ეროვნული საკითხავი

�rea maria
remarque

სამი მეგობარი

ერიხ მარია რემარკი

სამი მეგობარი

გერმანულიდან თარგმნა
ანა კორძაია-სამადაშვილმა

ერიხ მარია რემარკი 1898 წელს გერმანიის ქალაქ ოსნაბრიუკში დაიბადა.

პირველ მსოფლიო ომში ის დასავლეთის ფრონტზე გაგზავნეს ჯარისკაცად, სადაც ყუმბარის აფეთქების შედეგად მრავალჯერადი ჭრილობები მიიღო.

ომის დამთავრების შემდეგ რემარკმა მცირე ხნით დაწყებითი სკოლის მასწავლებლად იმუშავა, რის შემდეგაც ჟურნალისტიკით დაკავდა და რამდენიმე ნაკლებად ცნობილი გაზეთის რედაქტორი იყო. ამ დროს ჩნდება მისი პირველი მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებებიც.

1929 წელს გამოიცა „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, რომელმაც რემარკს მსოფლიო აღიარება მოუტანა. ამას ხელი 1930 წელს გადაღებულმა ჰოლივუდურმა ეკრანიზაციამაც შეუწყო.

1933 წელს ჰიტლერის რაიხსკანცლერად დანიშვნის მეორე დღესვე რემარკმა მიატოვა სამშობლო და შვეიცარიაში ემიგრირდა. ამასობაში გერმანიაში მისი წიგნები აკრძალეს და აუტოდაფეზე დაწვეს.

1939 წელს რემარკი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ის დიდი აღიარებით სარგებლობდა. გერმანიაში ის არც ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნებულა და 1947 წელს ამერიკული მოქალაქეობა მიიღო.

ცხოვრების ბოლომდე ის მონაცვლეობით აშშ-ში და შვეიცარიაში ცხოვრობდა.

„სამი მეგობარის“ წერა რემარკმა 1932 წელს დაიწყო და 1936-ში დაამთავრა. წიგნი მის პირველ მეუღლეს ილზე იუტა ზამბონას ეძღვნება, „სამი მეგობარი“ 1937 წელს რამდენიმე არაგერმანულენოვან ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, არგენტინა, სკანდინავიური ქვეყნები) ერთად გამოიცა. ერთი წლის შემდეგ გამოვიდა ამსტერდამში გამოცემა, ხოლო თავად გერმანიაში წიგნი მხოლოდ 1951 წელს დაიბეჭდა.

1938 წელსვე გადაიღეს ჰოლივუდური ეკრანიზაცია, რომლის სცენარის ავტორი ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი იყო.

1

ცა თითბერივით ყვითელი იყო, საკვამლურების ბოლს ჯერ არ გაეჭვარტლა. ფაბრიკის სახურავების თავზე განსაკუთრებით ანათებდა. მალე მზე ამოვიდოდა. საათს დავხედე. რვა არ იყო. თხუთმეტი წუთი კიდევ მქონდა.

კარი გავაღე და ყველაფერი მოვამზადე. ამ დროს ბენზინი ერთი-ორ გამვლელს ყოველთვის უნდა. უცებ უკნიდან ხრინწიანი ხითხითი მომესმა, კაცი იფიქრებდა, მიწისქვეშ ჟანგიანი ჩარხი დაატრიალესო. გავჩერდი და მივაყურადე. მერე ეზო გადავჭერი, სახელოსნოსთან დავბრუნდი და კარი ჩუმად შევაღე. ნახევრად ბნელ ოთახში მოჩვენება დაბორიალებდა. მას ჭუჭყიანი თავსაფარი ჰქონდა მოხვეული, ლურჯი წინსაფარი ეკეთა, სქელლანჩიანი ქოშები ეცვა, თან ცოცხს იქნევდა, ოთხმოცდაათ კილოს იწონიდა და დამლაგებელი მატილდა შტოსი იყო.

ცოტა ხანს ვიდექი და ვუყურებდი. ის ბეჰემოთის გრაციით დაბარბაცებდა ავტომანქანის რადიატორებს შორის და ყრუდ ღიღინებდა სიმღერას ერთგულ ჰუსარზე. ფანჯარასთან, მაგიდაზე, კო-

ნიაკის ორი ბოთლი იდგა. ერთი — თითქმის ცარიელი. წინა საღამოს სავსე იყო. შენახვა დამავიწყდა. — კარგი, რა, ქალბატონო შტოს, — ვთქვი მე.

სიმღერა შეწყდა. ცოცხი იატაკზე დავარდა. ნეტარი ღიმილი ჩაქრა ახლა მე ვიყავი მოჩვენება.

— უფალო იესო, — ალუღლუღდა მატილდა და წითელი თვალებით მომაჩერდა. — ჯერ არ გელოდით...

— გასაგებია. გეამათ?

— ეგ კი, მაგრამ... რა უხერხულია — პირი მოიწმინდა. — ყველაფერი ამერია...

— აჭარბებთ უბრალოდ, ფეხი გერევათ.

ძლივს იდგა. ულვაში უთრთოდა და თვალებს ბებერი ჭოტივით აფახულებდა. მაგრამ ნელ-ნელა გონს მოსვლა მოახერხა. ერთი ნაბიჯი მტკიცედ გადადგა.

— ბატონო ლოკამპ... კაცნი ვართ... ჯერ მხოლოდ დავყნოსე... მერე ერთი მოვყლუპე... კუჭი ხომ სულ მირევს... ჰოდა, მერე... მერე ეშმაკი შემიჩნდა. არც ის ვარგა, საწყალ ქალს რომ განსაცდელში ჩააგდებ და ბოთლს ასე დატოვებ...

ასეთი ადრეც დამხვედრია, ეს პირველი შემთხვევა არ იყო. მატილდა შტოსი ყოველ დილით ორი საათით მოდიოდა ხოლმე სახელოსნოს დასალაგებლად. ფული რომც დაგეყარა, ხელს არ ახლებდა, მაგრამ სასმელს გულგრილად ვერ უყურებდა, როგორც ვირთხა ვერ უძლებს ქონის ნაჭერს.

ბოთლი ავწიე.

— რასაკვირველია, კლიენტებისთვის განკუთვნილ კონიაკს ხელი არ ახლეთ, ბატონი კიოსტერის კარგი სასმელი კი გამოგიწრუპავთ.

მატილდას გამომშრალ ნაკვთებს ღიმილმა გადაურბინა.

— რა-რა და, ეს საქმე კარგად ვიცი. ხომ არ გამცემთ, ბატონო ლოკამპ, არა? მე, ქვრივ-ოხერს?

თავი გავაქნიე.

— დღეს — არა.

კაბის კალთა გაისწორა.

— მაშინ ჩავკლავ. მაგრამ თუ ბატონი კიოსტერი მოვიდა — ვაი, ჩვენ დღეს!

კარადასთან მივედი და გავაღე.

— მატილდა...

სასწრაფოდ მოხვანცალდა ყავისფერი, ოთხკუთხა ბოთლი ავწიე პროტესტის ნიშნად ხელები ასწია.

— მე არ მიქნია! უნამუსო ვიყო! ამისთვის ხელი არ მიხლია! — ვიცი, — ვუთხარი და ერთი ჭიქა ავავსე, — იცით, რა არის? — მაშ! — ტუჩები მოილოკა, — რომია! ძველისძველი, იამაიკური! — ძალიან კარგი. აბა, დალიეთ!

— მე? — უკან გახტა, — ბატონო ლოკამპ, მეტისმეტია! მეხი დამეცით! ვიღაც შტოსი ჩუმად მთელ კონიაკს გიწრუპავთ და თქვენ კიდევ რომს სჩუქნით. წმინდანი ხართ, დიახაც! ჯობს, მოვკვდე, ამას ვერ ვიზამ! — ჰოო? — ვთქვი და ჭიქა ვითომ უკან წავიღე — ჯანდაბას! — ხელი სასწრაფოდ გამომიწოდა, — სიკეთეს ზურგი არ უნდა აქციო. მაშინაც, როცა ვერ იგებ. გაგვიმარჯოს! დაბადების დღე ხომ არ გაქვთ?

— კი, მატილდა. სწორად მიხვდით.

— რა, მართლა? — ხელები ჩამჭიდა და მაგრად ჩამომართვა, — სულით და გულით გილოცავთ! ხვავი და ბარაქა! ბატონო ლოკამპ, — პირი მოიწმინდა, — გული ამიჩუყდა... ერთიც უნდა დავლიო. იმიტომ რომ შვილი ვით მიყვარხართ.

— კარგი.

ერთიც დავუსხი. გადაკრა და ქება-დიდებით გავიდა სახელოსნოდან.

ბოთლი შევინახე და მაგიდას მივუჯექი. ფანჯრიდან შემოსული

მკრთალი მზე ხელებს მინათებდა. უცნაური გრძნობაა ეს დაბადების დღეები, მაშინაც კი, როცა არაფრად მიგაჩნია. ოცდაათი წელი. არადა, ერთ დროს მეგონა, ოცის ვერასოდეს გავხდებოდი, იმდენად შორეულ ამბად მეჩვენებოდა. მერე კი...

ყუთიდან ფურცელი ამოვიღე და დავფიქრდი. ბავშვობა, სკოლა — ეს ერთი ამბავი იყო, შორეული, სადღაც მომხდარი, ახლა უკვე — სიზმარი; ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ 1916-ში დაიწყო. სწორედ მაშინ გამიწვიეს, გამხდარი, მაღალი, თვრამეტი წლისა, და ერთი ულვაშა უმცროსი ოფიცრის ბრძანებით ყაზარმის უკან, გადახნულ ველზე ვვარჯიშობდი, დაწოლას და ადგომას ვსწავლობდი. ერთ-ერთი პირველი საღამო იყო და ყაზარმაში დედაჩემი მოვიდა ჩემს სანახავად, მაგრამ მთელი საათი მოუწია ლოდინი. ზურგჩანთა მთლად განაწესის შესაბამისად ვერ ჩავალაგე და ამიტომ თავისუფალ დროს, სასჯელის სახით, ფეხსალაგი უნდა მეხეხა. დედაჩემს დახმარება უნდოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა. დედამ იტირა, მე კი ისე დავიღალე, ჯერაც ჩემთან იყო, რომ ჩამეძინა.

1917, ფლანდრია. მე და მიდენდორფმა დუქანში ერთი ბოთლი შავი ღვინო ვიყიდეთ, ამით უნდა აღგვენიშნა. მაგრამ არ გვეღირსა. ალიონზე ინგლისელებმა მძიმე ცეცხლი გახსნეს. კიოსტერი შუადღისას დაიჭრა, მეიერი და დეტერსი ნაშუადღევს მოკვდნენ. საღამოს კი, როცა უკვე გვეგონა, ყველაფერი მორჩა, და ბოთლი გავხსენით, ბლინდაჟში გაზმა შემოჟონა. ნიღბები კი დროულად გავიკეთეთ, მაგრამ მიდენდორფის გაფუჭებული ყოფილა. როცა შენიშნა, უკვე გვიანი იყო. სანამ ის მოვხსენით და ახალს მივაგენით, მეტისმეტად ბევრი გაზი ჩაყლაპა და სისხლი წასკდა. მეორე დილას გარდაიცვალა, სახე გამწვანებული და გაშავებული ჰქონდა. მთელი ყელი დაეგლიჯა — ცდილობდა“ ფრჩხილებით გამოეკაწრა და ჰაერი ჩაესუნთქა.

1918. ეს ლაზარეთში იყო. რამდენიმე დღით ადრე ახალი

ტრანსპორტი ჩამოვიდა. ქაღალდით გადახვეული ჭრილობები. მძიმედ დაჭრილები. მთელი დღე ბრტყელი საოპერაციო მანქანები წინ და უკან დაქროდნენ ხანდახან ცარიელები ბრუნდებოდნენ. ჩემ გვერდით იოზეფ შტოლი იწვა. ფეხები აღარ ჰქონდა, მაგრამ ჯერ არ იცოდა. არ ჩანდა, რადგან საბანი მავთულის ბადეზე იყო გადაფარებული არც დაიჯერებდა, რადგან ფეხები სტკიოდა. ღამით ჩვენს ოთახში ორი კაცი მოკვდა ერთი — ძალიან ნელა და მძიმედ.

1919. კვლავ შინ. რევოლუცია შიმშილი გარეთ სულ ავტომატის კაკანი ისმის. ჯარისკაცები ჯარისკაცებს ესვრიან. ამხანაგები — ამხანაგებს.

1920. გადატრიალება. კარლ ბრიოგერი დახვრიტეს. კიოსტერი და ლენცი დააპატიმრეს. დედაჩემი საავადმყოფოშია, კიბოს ბოლო სტადია აქვს.

1921...

დავფიქრდი აღარ მახსოვდა. ეს წელი, უბრალოდ, ამომივარდა.

1922. წელს ტიურინგიაში რკინიგზაზე ვმუშაობდი.

1923-ში რეზინის ფაბრიკის სარეკლამო განყოფილების უფროსი ვიყავი, ეს ინფლაციის დრო იყო. თვეში ორას მილიარდ მარკას ვიღებდი. დღეში ორჯერ ფულს არიგებდნენ და ნახევარი საათი გვქონდა, მაღაზიებში რომ გავვარდნილიყავით და დოლარის მომავალი კურსის გამოცხადებამდე რამის ყიდვა მოგვესწრო — შემდეგ ფული ნახევარ ფასს კარგავდა. მერე? მომდევნო წლებში რა ხდებოდა? ფანქარი გადავდე. თვლას აზრი არ ჰქონდა. წინა დაბადების დღე კაფე „ინტერნაციონალში“ გადავიხადე. იქ ერთი წელი პიანინოზე ვუკრავდი. ახლა კი აქ ვიჯექი, ავტოსარემონტო სახელოსნოში, „კიოსტერი და სხვები“. სხვები ლენცი და მე ვიყავით. სინამდვილეში, სახელოსნო მხოლოდ კიოსტერს ეკუთვნოდა. ის ადრე ჩვენი სკოლის მეგობარი და სამეგობროს

სული და გული იყო; მერე მფრინავი გახდა, მერე, ცოტა ხნით სტუდენტი, მერე — ავტომრბოლელი, და ბოლოს აი, ეს ჯიხური იყიდა. ჯერ ლენცი შეუერთდა, რომელიც მანამდე რამდენიმე წელი სამხრეთ ამერიკაში დაწრიალებდა, მერე — მე. ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე. წესით, სავსებით „კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი. არაფერი მიჭირდა, სამსახური მქონდა, ჯანს არ ვუჩიოდი, ძნელად ვიღლებოდი, როგორც იტყვიან, კაჟივით ვიყავი; მაგრამ აჯობებდა, ამაზე ნაკლები მეფიქრა. განსაკუთრებით, მარტოს. თორემ ხანდახან წარსულიდან რაღაც შემომაწვებოდა და მკვდარი თვალებით მომჩერებოდა ხოლმე. თუმცა, ასეთებისთვის სასმელი არსებობს.

გარეთ ჭიშკარმა გაიჭრიალა. ჩემი ცხოვრების თარიღებით გადაჭრელებული ფურცელი დავხიე და სანაგვეში გადავუძახე. კარი ერთბაშად გაიღო. კარში გოტფრიდ ლენცი იდგა, გრძელი, გამხდარი, ქერა ფაფრითა და ისეთი ცხვირით, სულ სხვა კაცს რომ მოუხდებოდა. — რობი, — დაიღრიალა მან, — ბებერო მსუნაგო, სწორდი! უფროსობას შენთან საუბარი ნებავს!

— ღმერთო ჩემო! — ავდექი, — იმედი მქონდა, არ გაგახსენდებოდა. შემიწყალეთ, ბავშვებო!

— არც იოცნებო! — გოტფრიდმა მაგიდაზე პარკი დადო, რომელშიც რაღაც მაგრად ჟღარუნობდა. მის კვალდაკვალ კიოსტერიც შემოვიდა ლენცი წინ ამესვეტა.

— რობი, დღეს პირველს რას გადაეყარე?

დავფიქრდი.

— მოცეკვავე ბერიქალს.

— წმინდაო მოსე! ცუდი ნიშანია. მაგრამ შენს ჰოროსკოპს კი შეესაბამება. გუშინ შევადგინე. მერწყული ხარ, არასანდო, მერყევი, როგორც ლერწამი — ქარში, სატურნის კუთხის საეჭვო გადახრებით და წელს — ფარჩაკი იუპიტერით. რადგან მე და ოტო

დედ-მამას გიცვლით, პირველ რიგში, ისეთ რამეს მოგართმევ, რაც დაგიცავს. ეს თილისმა გამომართვი! ერთხელ ერთმა ინკების ჩამომავალმა ქალმა მომცა. მას ჰქონდა ცისფერი სისხლი, ბრტყელტერფიანობა, ტილები და მომავალში ჩახედვის ნიჭი. „თეთრკანიანო უცხო კაცო“, მითხრა მან, „ეს მეფეებს ეკეთათ, შიგ მზის, მთვარის და დედამიწის ძალაა, პატარა პლანეტებზე აღარაფერს ვამბობ. მომეცი ვერცხლის დოლარი, სასმელს ვიყიდი, და თილისმა შენი იქნება“. ხოლო იმისთვის, რომ ბედნიერების ჯაჭვი არ გაწყდეს, ახლა ამას შენ გჩუქნი. დაგიცავს და შენს უკეთურ იუპიტერს კუდით ქვას ასროლინებს.

კისერზე წვრილ ძეწკვზე ჩამოკიდებული პატარა შავი ფიგურა ჩამომაცვა.

— ესეც ასე! ეს უფრო მაღალი დონის განსაცდელისგან დაგიცავს ყოველდღიურისგან კი — ინებე: ექვსი ბოთლი რომი ოტოსგან! შენზე ორჯერ უფროსებია!

პარკი გავხსენი და ბოთლები თითო-თითოდ ამოვალაგე დილის მზეში ქარვასავით ბრჭყვიალებდნენ.

— გადასარევად გამოიყურება, — ვთქვი მე, — საიდან, ოტო?

კიოსტერმა გაიცინა.

— ჩახლართული ამბავია. გრძელი მოსაყოლი. ერთი ის მითხარი, თავს როგორ გრძნობ? როგორც ოცდაათი წლისა?

თავი გავაქნიე.

— როგორც თექვსმეტის და ორმოცდაათისა ერთდროულად დიდი არაფერია — დიდი არაფერიო? — შეიცხადა ლენცმა, — ამაზე შესანიშნავი არაფერი არსებობს. მაშ, დროის გამგებელი გამხდარხარ და ორმაგად ცხოვრობ.

კიოსტერმა შემომხედა.

— თავი დაანებე, გოტფრიდ, — თქვა მერე, — დაბადების დღეები ეგოს მაგრად თრგუნავს. განსაკუთრებით, დილაადრიანად მალე მოვა გონს. ლენცმა თვალები მოჭუტა.

— რაც ნაკლები ეგო აქვს ადამიანს, მით მეტად ფასობს, რობი. ოდნავ მაინც განუგეშე?

— არა, — ვუთხარი მე, — არანაირად თუ კაცი რამედ ღირს საკუთარი ძეგლი ყოფილა. მე თუ მკითხავ, ძნელი და მოსაწყენი რამაა. — ფილოსოფოსობს, ოტო, — თქვა ლენცმა, — გადარჩენილია. ჩუმ წამს გაუძლო! დაბადების წამს, როცა საკუთარ თავს გუგაში ჩახედავ და მიხვდები, რა საცოდავი წიწილა ხარ. ახლა შეგვიძლია მშვიდად შევუდგეთ საქმეს და ბებერ კადილაკებს ჯიგარი დავუზეთოთ...

დაბინდებამდე ვმუშაობდით მერე ვიბანავეთ და ტანსაცმელი გამოვიცვალეთ. ლენცმა ბოთლების რიგს ხარბად გახედა — ერთს თავი ხომ არ წავაცალოთ?

— ეგ რობის გადასაწყვეტია, — თქვა კიოსტერმა, — უზრდელობაა, გოტფრიდ, დასაჩუქრებულს სიტყვა ასე უხეშად არ უნდა გადაუკრა. — უფრო დიდი უზრდელობა ის იქნება, თუ მჩუქებელს წყურვილით მოკლავს მიუგო ლენცმა და ერთი ბოთლი გახსნა.

სურნელი მაშინვე მთელ სახელოსნოს მოედო.

— წმინდაო მოსე, — თქვა გოტფრიდმა ჰაერი შევისუნთქეთ.

— ფანტასტიკურია, ოტო. მაღალ პოეზიას უნდა მივმართოთ ღირსეული შედარების საპოვნელად.

— ამ ბნელი სოროსთვის აფსუსია! გადაწყვიტა ლენცმა, — იცით, რა? სადმე წავიდეთ, ვივახშმოთ და ბოთლი თან წავიღოთ უფლის ბუნების წიაღში გამოვცალოთ!

— შესანიშნავია.

კადილაკი, რომელსაც ნაშუადღევს დავტრიალებდით, განზე გადავდგით. მის უკან ბორბლებზე უჩვეულო რამ იდგა. ეს ოტო კიოსტერის რბოლის მანქანა იყო, სახელოსნოს სიამაყე.

თავის დროზე კიოსტერმა ეს მანქანა, მაღალძარიანი ძველი ყუთი, აუქციონზე კაპიკებად იყიდა. იმ ხანებში თუ ვინმე მცოდნემ

ნახა, მოურიდებლად აღნიშნა, ტრანსპორტის მუზეუმს დააინტერესებსო. ბოლვისმა, რომელიც ქალის პალტოების ფაბრიკის მფლობელი და მოყვარული ავტომრბოლელი იყო, ოტოს ურჩია, საკერავ მანქანად გადააკეთეო. მაგრამ კიოსტერს ეს არ ადარდებდა. მან მანქანა ჯიბის საათივით დაშალა და თვეების განმავლობაში დაღამებამდე დასტრიალებდა. ერთ საღამოსაც ამ მანქანით ბართან გამოცხადდა, სადაც ვისხედით ხოლმე.

მის დანახვაზე ბოლვისი სიცილით ჩაბჟირდა — კვლავ ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა. ბოლვისმა გადაწყვიტა, გავერთობითო, და ოტოს შესთავაზა, შევეჯიბროთო, ორას მარკას დებდა ოცის სანაცვლოდ, თუ კიოსტერი მის ახალ სპორტულ მანქანას შეეჯიბრებოდა; ათი კილომეტრი უნდა გაევლოთ, ოტოს მანქანას ერთ კილომეტრ ფორას აძლევდა. კიოსტერი დათანხმდა ყველა იცინოდა და სასეიროდ. ემზადებოდა.

მაგრამ ოტომ ესეც არ იკმარა; მან პირობა შეცვალა და შეუდრეკელი სახით ფსონები გაზარდა — ათასი მარკა ათასი მარკის წინააღმდეგ. თავზარდაცემულმა ბოლვისმა ჰკითხა, საგიჟეთში ხომ არ მიგიყვანოო. პასუხად კიოსტერმა მხოლოდ მანქანა დაქოქა, მაშინვე საქმეს — მიხედეს. ნახევარ საათში ბოლვისი ისეთი არეული დაბრუნდა, თითქოს ურჩხული დაელანდოს. ჩეკი მდუმარედ გამოწერა, ჯერ ერთი, მერე — მეორე. იქვე უნდოდა ეყიდა. მაგრამ კიოსტერმა დასცინა. ის ამ მანქანას ამქვეყნად არანაირ თანხად აღარ დათმობდა. მართალია, შიგნით უნაკლო, გარეგნულად კვლავ საშინლად გამოიყურებოდა. ყოველდღიური მოხმარებისთვის განსაკუთრებით ძველმოდური ძარა დავასვით, ზუსტად მოერგო; ლაკი ჩამქრალი ჰქონდა, ფრთები — დახეთქილი, და ძრავსაფარი კაი ათი წლისა იქნებოდა. შეგვეძლო, უკეთაც გაგვეკეთებინა, — მაგრამ არ გავაკეთეთ, და საამისოდ მიზეზიც გვქონდა.

მანქანას კარლი ერქვა. კარლი, გზატკეცილების აჩრდილი.

კარლი გზატკეცილს ქშენით მიუყვებოდა.

— ოტო, — ვუთხარი, — მსხვერპლი გვიახლოვდება.

უკან მძიმე ბიუიკი მოუთმენლად აპიპინებდა. სწრაფად გვეწეოდა სულ მალე ჩვენი რადიატორები გვერდიგვერდ აღმოჩნდა. საჭესთან — მჯდომმა კაცმა უდიერად გადმოგვხედა. ზემოდან დასცქეროდა დაფეხვილ კარლს. მერე გაიხედა და დაგვივიწყა.

რამდენიმე წამში აღმოაჩინა, რომ კარლი კვლავ გვერდში და. ოდნავ გასწორდა, აგდებით შემოგვხედა და გაზი მისცა. მაგრამ კარლი არ შედრკა. დოგს ადევნებული ტერიერივით პატარა და ცქვიტი, ნიკელისა და ლაკის ბრჭყვიალა ლოკომოტივს კვლავ გვერდში მიჰყვებოდა.

კაცმა საჭეს ხელი მოუჭირა. ვერაფერი გაეგო და ტუჩებს დაცინვით მანჭავდა. ეტყობოდა, ახლა გვიპირებდა ეჩვენებინა, რისი მაქნისი იყო მისი მარხილი. გაზს ისეთი მიაჭირა, რომ მაყუჩი ტოროლებით სავსე ზაფხულის მდელოსავით აჭიკჭიკდა. მაგრამ ამან ვერაფერი არგო — ვერ გაგვასწრო. მახინჯი და უსახური კარლი ჯადოსავით ჰყავდა გვერდზე აკრული. კაცმა გაოცებით შეგვხედა. ვერაფრით მიმხვდარიყო — ას კილომეტრზე მეტი სიჩქარე აკრიფა და ეს რაღაც ძველმოდური ყუთი მაინც რით ვერ ჩამოიშორა. ის გაკვირვებით უყურებდა თავის სპიდომეტრს, თითქოს ეგონა, მატყუებსო. მერე გაზი მისცა.

მანქანები გვერდიგვერდ მიქროდნენ გრძელ, სწორ გზატკეცილზე რამდენიმე ასეულ მეტრში მოპირდაპირე მხრიდან სატვირთო მანქანა მოგვიახლოვდა. ბიუიკს ჩამორჩენა მოუწია, რომ გაეტარებინა. ის-ის იყო, კვლავ კარლს ამოუდგა გვერდში, რომ კატაფალკი მოქროლდა, გვირგვინების მოფრიალე ბაფთებით, და ბიუიკს კვლავ შენელება მოუწია. მერე გზა გაიწმინდა.

ამასობაში, საჭესთან მჯდომ კაცს ამპარტავნების ნატამალი

აღარ შერჩენოდა; გაბრაზებული, ტუჩებმოკუმული, წინ გადახრილი იჯდა — შეჯიბრის ჟინმა შეიპყრო, და უცებ მთელი მისი ცხოვრების ღირსება იმაზე გახდა დამოკიდებული, რომ ადევნებული ფინიასთვის თავი არ გაეყადრებინა.

ჩვენ კი — პირიქით, თითქოს გულგრილად ვისხედით სკამებზე ჩვენთვის ბიუიკი საერთოდ არ არსებობდა. კიოსტერი გზას მშვიდად შესცქეროდა, მე მოწყენილი ვუმზერდი ზეცას, ლენცმა კი, დაძაბულობისგან მუშტად რომ იყო შეკრული, გაზეთი დააძრო და ისე იქცეოდა, თითქოს მაინცდამაინც ახლა უნდა ეკითხა და ეს იყო მისთვის ყველაზე — მნიშვნელოვანი.

რამდენიმე წუთში კიოსტერმა თვალი ჩაგვიკრა. კარლმა სიჩქარე შეუმჩნევლად დააგდო და ბიუიკმა ნელ-ნელა გაასწრო. მისმა განიერმა, მოციმციმე ფრთებმა გვერდით ჩაგვიარა. ცოტა ხანში დაახლოებით ოცი მეტრი მოიგო და, როგორც ველოდით, ფანჯარაში მფლობელის სახე გამოჩნდა, რომელმაც აშკარად გამარჯვებულის ღიმილით გაგვიღიმა. ეგონა, მოიგო.

მაგრამ კაცმა მეტიც ქნა. თავი ვეღარ შეიკავა. ხელი დაგვიქნია, მომყევითო. თან უდიერად დაგვიქნია მოგებულის სახით..

— ოტო! — გააფრთხილა ლენცმა.

თქმა რად უნდოდა. იმწამს კარლმა ნახტომი გააკეთა. კომპრესორმა დაუსტვინა. ფანჯარა და ხელი გაქრა, რადგან კარლმა გამოწვევა მიიღო — მიჰყვა. დაუნდობლად მიჰყვა, თითქოს ჯავრი ამოიყარა. და აი, პირველად მივაქციეთ ყურადღება უცხო მანქანას. საჭესთან მჯდომს უწყინარი ღიმილით გავხედეთ; გვაინტერესებდა, ხელი რატომ დაგვიქნია. მაგრამ ის გამწარებით იხედებოდა სხვა მხარეს, და კარლმა მხოლოდ ახლა მისცა გაზი — ჭუჭყით დაფარული, ფრთების ფართხუნით, გამარჯვებული ნეხვის ხოჭოსავით მიქროდა.

— კარგი იყო, ოტო, — უთხრა ლენცმა კიოსტერს, — ამ კაცს ვახშამი აღარ შეერგება.

ასეთი ნადირობების გამო იყო, კარლის ძარას რომ არ ვცვლიდით. როგორც კი გზაზე გამოჩნდებოდა, უმალვე ვინმე მაინც ცდილობდა მის დაჩაგვრას. ის სხვა მანქანებზე ისევე მოქმედებდა, როგორც ფრთამოტეხილი ყვავი — მშიერ კატებზე. ყველაზე მშვიდობიანი მეოჯახეები გასწრებას ლამობდნენ, და მოყანყალე მანქანის ბუქნაობის დანახვაზე უაღრესად დარბაისელ წვეროსნებს შეჯიბრის ჟინი აიტანდათ ხოლმე. ვინ იფიქრებდა, რომ ამ მაზალო სხეულში მრბოლელის ძრავას დიდი გული ძგერდა!

ლენცი ამტკიცებდა, კარლს აღმზრდელობითი გავლენა აქვსო. ის ადამიანებს ასწავლიდა, რომ პატივი უნდა ეცათ შემოქმედებითი საწყისისთვის, რომელიც ყოველთვის შეუმჩნეველ საფარველშია გახვეული. ასე ამბობდა ლენცი, რომელსაც თავი უკანასკნელ რომანტიკოსად მოჰქონდა.

პატარა სასტუმროსთან გავჩერდით და მანქანიდან გადმოვედით. მშვენიერი, მშვიდი საღამო იყო. ხნულებს ლილისფერი დაჰკრავდა, ყანის კიდეები ოქროს და ყავისფრად ლიცლიცებდა. ხასხასა მწვანე ცაზე ღრუბლები ფლამინგოებივით მიცურავდნენ და ახალი მთვარის წვრილ ნამგალს ევლებოდნენ. თხილის ბუჩქი, გულის ამაჩუყებლად შიშველი და უკვე კვირტების მოლოდინით სავსე, ბინდსა და რაღაცის წინათგრძნობას იკრავდა მკერდში. პატარა ფუნდუკიდან შემწვარი ღვიძლის სურნელი იფრქვეოდა. ხახვიც ერია. გული გაგვითბა.

ლენცი სახლში შევარდა, სურნელს მიჰყვა. უკან სულ სახეცვლილი დაბრუნდა, — შემწვარი კარტოფილი უნდა ნახოთ! ჩქარა, თორემ აღარაფერი დაგვრჩება!

იმწამს კიდევ ერთი მანქანა მოქროლდა. გავშეშდით ეს ის ბიუიკი იყო, კარლის გვერდით დაამუხრუჭა.

— ესეც ასე! — თქვა ლენცმა ასეთი ამბების გამო უკვე ბევრჯერ

გვიჩხუბია.

— კაცი გადმოვიდა. დიდი და მძიმე იყო, და აქლემის ბეწვის განიერი, — ყავისფერი პალტო ეცვა. მან კარლს უკმაყოფილოდ გახედა, მერე სქელი, ყვითელი ხელთათმანი გაიხადა და ჩვენთან მოვიდა.

— ეს რა მოდელია, ეს თქვენი მანქანა? — ჰკითხა მჟავე სახით მასთან ყველაზე ახლოს მდგომ კიოსტერს.

ერთი ხანი სამივენი მდუმარედ შევცქეროდით. ალბათ, საკვირაოდ გამოწყობილი სხვისი მანქანით მოსეირნე მონტიორები ვეგონეთ. — რა ბრძანეთ? — ჰკითხა დაბნეულმა ოტომ, მისთვის ზრდილობა რომ ესწავლებინა კაცი გაწითლდა.

— ამ მანქანის შესახებ გკითხეთ, — აგვიხსნა კვლავ უკმაყოფილო ხმით.

ლენცი წამოიმართა. დიდი ცხვირი აუთამაშდა. ის სხვებისგანაც განსაკუთრებულ ზრდილობას მოითხოვდა. მაგრამ სანამ პირს დააღებდა, უცებ, თითქოს უჩინარმა ხელმა გააღო, ბიუიკის მეორე კარი გაიხსნა; იქიდან თხელი ფეხი გადმოსრიალდა, მას თხელი მუხლი მოჰყვა, მერე გოგონა გადმოვიდა და ჩვენკენ ნელა დაიძრა.

ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ. მანამდე მანქანაში სხვა არავინ შეგვიმჩნევია. ლენცი უმალვე შეიცვალა. ჭორფლიან სახეზე ღიმილი გადაეფინა. უცებ ყველამ გავიღიმეთ, რატომ — კაცმა არ იცის. მსუქანა გაოგნებული მოგვაჩერდა.

— ბინდინგი, — თქვა მან ბოლოს თან მოიხარა, თითქოს თავის სახელს ეჭიდებაო.

გოგონა უკვე ჩვენ გვერდით იდგა. დაიბნა და, როგორც ჩანს, აღარ იცოდა, რა ექნა. ჩვენ კიდევ უფრო გავიხარეთ. ლენცმა კიოსტერს გახედა: — აჩვენე მანქანა, ოტო.

— რატომაც არა, — მიუგო ოტომ და მანაც ხალისიანად გადა-

ხედა. — მართლაც, სიამოვნებით ვნახავდი, — თქვა ბინდინგმა უკვე შემრიგებლურად, — როგორც ჩანს, ძალიან სწრაფია, ისე ჩამიქროლა... — ორთავენი სადგომთან მივიდნენ და კიოსტერმა კარლის მოტორს სახურავი ახადა.

გოგონა არ გაჰყოლიათ. მოხდენილი და მდუმარე, ის ბინდბუნდში ჩემთან და ლენცთან ერთად დარჩა. მე ველოდი, რომ გოტფრიდი შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და თავისებურად შეუბერავდა. ასეთი ვითარებები უყვარდა. მაგრამ მას, როგორც ჩანს, ენა წართმეოდა. სხვა დროს როჭოსავით იცოდა თავის მოწონება, მაგრამ ახლა შვებულებაში გასული კარმელიტი ბერივით იდგა და არ ინძრეოდა.

— გვაპატიეთ, — ვთქვი ბოლოს, — მანქანაში ვერ დაგინახეთ თორემ ნამდვილად არ ვიმაიმუნებდით.

გოგონამ შემომხედა.

— რატომაც არა? — მომიგო მშვიდად, მოულოდნელად ბოხი ხმით, — მერე რა მოხდა.

— არაფერი, მაგრამ მაინც, რა წესია. ამ მანქანის სიჩქარე სადღაც ორასი კილომეტრია.

გოგონა ცოტა მოიხარა და ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო.

— ორასი კილომეტრი?

— ზუსტად ასოთხმოცდაცხრა და ორი, ოფიციალურად ასეა, — აუხსნა ლენცმა ამაყად, გეგონება, გაისროლაო.

გოგონამ გაიცინა.

— ჩვენ კი სადღაც სამოცი, სამოცდაათი გვეგონა.

— ხომ ხედავთ, — ვთქვი მე, — ან საიდან გეცოდინებოდათ.

— ჰო, — მომიგო მან, — მართლაც, საიდან გვეცოდინებოდა. ჩვენ გვეგონა, რომ ბიუიკი თქვენს მანქანაზე ორჯერ სწრაფია.

— ჰოო... — გატეხილი ტოტი ფეხით განზე გავწიე, — მაგრამ ჩვენ დიდი უპირატესობა გვქონდა. ბატონი ბინდინგიც მაგრად გავაბრაზეთ. გაიცინა.

— ერთი წამით მართლაც ასე იყო. მაგრამ წაგებაც ხომ უნდა შეგეძლოს. ისე როგორ იცხოვრებ.

— ნამდვილად...

დუმილი ჩამოვარდა. ლენცს გავხედე. მაგრამ უკანასკნელი რომანტიკოსი მხოლოდ გაიკრიჭა, ცხვირი შეათამაშა და არც შემეშველა არყის ხეები შრიალებდა. უკან, სახლში, ქათამი აკრიახდა.

— არაჩვეულებრივი ამინდია, — ვთქვი ბოლოს, სიჩუმე რომ დამერღვია — ჰო, დიდებული, — მომიგო გოგონამ.

— თან, როგორ თბილა, — დასძინა ლენცმა.

— უჩვეულოც კია, — განვავრცე მე.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. გოგონას ალბათ ჩლუნგები ვეგონეთ, მაგრამ რა ვქნა, მეტი ვერაფერი მოვახერხე. ლენცმა ჰაერი დაყნოსა. — მოთუშული ვაშლები, — თქვა გრძნობით, — როგორც ჩანს, ღვიძლთან ერთად მოთუშული ვაშლებიც იქნება. დელიკატესი.

— აშკარად, — ვთქვი და გულში ლენციც დავწყევლე და საკუთარი თავიც.

კიოსტერი და ბინდინგი დაბრუნდნენ. ორიოდე წუთში ბინდინგი სულ სხვა კაცი დამდგარიყო. როგორც ჩანს, ისიც მანქანების გიჟი იყო, ბედნიერები რომ არიან ხოლმე, პროფესიონალს თუ გამოიჭერენ სადმე სალაპარაკოდ.

— ერთად ხომ არ გვევახშმა? — გვკითხა მან.

— რასაკვირველია, — მიუგო ლენცმა.

შევედით. კართან გოტფრიდმა თვალი ჩამიკრა და გოგონასკენ გაიქნია თავი.

— დღეს რომ მოცეკვავე ბერიქალი ნახე, იმას ხვალ პატივი უნდა სცე. მხრები ავიჩეჩე.

— შეიძლება... მაგრამ მაშინ მარტო მე რატომ მაყაყანე?

გაიცინა.

— ბოლოს და ბოლოს ხომ შენც უნდა ისწავლო, ყმაწვილო — არაფრის სწავლა არ მინდა, — ვუთხარი მე. — დანარჩენებს მივ-ყევით. ისინი უკვე მაგიდას უსხდნენ. დიასახლისიც მოვიდა, ღვიძლი და შემწვარი კარტოფილი მოიტანა. თან დასაწყისის-თვის ერთი დიდი ბოთლი ხორბლის არაყიც დაედგა.

აღმოჩნდა, რომ ბინდინგი განუწყვეტლივ ლაპარაკობს. გა-საოცარი იყო, რამდენი რამ ჰქონია მანქანებზე სათქმელი. როცა გაიგი., ოტო ავტომრბოლელიც იყო, მის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

დავაკვირდი. მძიმე, მაღალი კაცი იყო, წითელი სახით და სქე-ლი, შავი წარბებით. ცოტა ბაქია, ცოტა ხმაურიანი, ალბათ, გულ-კეთილი, როგორც ყველა, ვინც ცხოვრებაში წარმატებას მიაღ-წია, წარმოვიდგინე, საღამოს, დაწოლის წინ, საკუთარ თავს სარ-კეში როგორ ათვალიერებს — სერიოზულად, ღირსეულად და მო-წიწებით.

გოგონა ჩემსა და ლენცს შორის იჯდა პალტო გაიხადა, ქვეშ ნაცრისფერი ინგლისური კოსტიუმი ეცვა. ყელზე თეთრი თავსა-ფარი მოეხვია, ცხენოსნის ჰალსტუხს ჩამოჰგავდა. მისი ყავისფე-რი თმა, აბრეშუმივით ნაზი, ნათურის შუქზე ქარვისფრად ბზინავ-და. ძალიან სწორი მხრები ჰქონდა, მაგრამ ოდნავ მოხრილი, თხელ, ძალიან გრძელ ხელებს უფრო ძვლიანი ეთქმოდა, ვიდრე რბილი. სახეც თხელი და ფერმკრთალი ჰქონდა, მაგრამ დიდი თვალები ლამის ვნებიან ძალას სძენდა. ჩემი აზრით, ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ მეტი არაფერი მიფიქრია. სამაგიეროდ, ლენცი იყო აღტყინებული და აალებული. მან სრული სახეცვლი-ლება განიცადა. ყვითელი ქოჩორი ოფოფივით უბრჭყვიალებდა. იდეების ცეცხლს აფრქვევდა და ბინდინგთან ერთად სუფრის ბა-ტონ-პატრონი იყო. მე უბრალოდ ვიჯექი და შემეძლო, ნაკლებად

შესამჩნევი ვყოფილიყავი, დიდი-დიდი, ჯამი მიმეწოდებინა ან სიგარეტი შემეთავაზებინა. და კიდევ, ბინდინგისთვის ჭიქა მიმეჭახუნებინა. ამას საკმაოდ ხშირად ვაკეთებდი.

უცებ ლენცმა იტკიცა:

— რომი! რობი, ერთი, ჩვენი დაბადების დღის რომი მოიტანე! — დაბადების დღე? ვინმეს დაბადების დღეა? — იკითხა გოგონამ. — ჩემი დღეობაა, — ვთქვი მე, — დილიდან ამ დღეში ვარ.

— ამ დღეში ხართ? ანუ, არ გინდათ, რომ მოგილოცოთ?

— რატომაც არა, — ვთქვი მე, — მოლოცვა სულ სხვა საქმეა.

— აბა, გილოცავთ!

წამით მისი თბილი, მშრალი ხელი ხელში მეჭირა მერე რომის მოსატანად გავედი.

პატარა სახლს დიდი და მდუმარე ღამე დასდგომოდა. ჩვენი მანქანის ტყავის სკამები ნოტიო იყო. გავჩერდი და ჰორიზონტს გავხედე, სადაც ცას ქალაქის მოწითალო შუქი ეფინებოდა. სიამოვნებით დავრჩებოდი გარეთ, მაგრამ ლენცის ძახილი უკვე მესმოდა.

ბინდინგი რომს ვერ იტანდა. მეორე ჭიქის მერე ეს შესამჩნევი გახდა. ის ბაღში გაბარბაცდა. ავდექი და ლენცთან მივედი დახლთან ერთი ბოთლი ჯინი შევუკვეთე.

— მაგარი გოგოა, არა? — თქვა ლენცმა.

— რა ვიცი, გოტფრიდ, — მივუგე მე, — არ დავკვირვებივარ.

ერთი ხანი თავისი ათასფრად მოელვარე, ლურჯი თვალებით მათვალიერა, მერე მოგიზგიზე თავი გააქნია.

— ერთი მითხარი, ყმაწვილო, საერთოდ, რისთვის ცხოვრობ?

— ეგ, რა ხანია, მეც მაინტერესებს, — ვუპასუხე მე.

გაიცინა. „აი — კაი, კაცო! ეგრე სადაა? წავალ ერთი, გავარკვევ, რა უნდა ამ გოგოს მაგ სქელ ავტოკატალოგთან.

ლენცი ბინდინგს ბაღში გაჰყვა. ცოტა ხანში ორივენი დახლთან დაბრუნდნენ. როგორც ჩანს, კარგი ამბავი იყო, რადგან

გოტფრიდი, რომელსაც გადაეწყვიტა, გზა ხსნილიაო, დიდი მონდომებით ეტაკა ბინდინგს. ერთი ბოთლი ჯინი აიღეს და ერთ საათში უკვე შენობით იყვნენ. როცა კარგ გუნებაზე იყო, ლენცი რაღაცით ძალიან მიმზიდველი ხდებოდა, იმდენად, რომ ძნელად თუ შეეწინააღმდეგებოდი. ასეთ დროს ის საკუთარ თავსაც ვეღარ ეწინააღმდეგებოდა. ახლა ბინდინგი გააბრუა და მალე გარეთ, ხეების ქვეშ, ორივენი ჯარისკაცულ სიმღერებს დასძახოდნენ. უკანასკნელმა რომანტიკოსმა გოგონა სულმთლად დაივიწყა.

დუქანში სამნი დავრჩით. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. შვარცვალდური საათი წიკწიკებდა. დიასახლისი მაგიდას ალაგებდა და დედაშვილურად დაგვცქეროდა. ღუმელთან ყავისფერი მონადირე ძაღლი წრიალებდა. ხანდახან ძილში წამოიყეფებდა ხოლმე, ჩუმად, წვრილი და საწყალობელი ხმით. გარეთ ფანჯარას ქარმა ჩაუქროლა. ქარს ჯარისკაცული სიმღერების ნაწყვეტები მოჰყვა, და მომეჩვენა, რომ ეს პატარა ოთახი აიწია და ჩვენთან ერთად გაცურა ღამესა და წლებში, მრავალი მოგონების მიღმა.

უცნაური განწყობა იყო. დრო თითქოს გაჩერდა. ის აღარ იყო ნაკადი, სიბნელიდან რომ მოდის და სიბნელეში მიემართება. დრო იყო ტბა, რომელშიც ცხოვრება მდუმარედ ირეკლებოდა. ჭიქა მეჭირა. რომი ლიცლიცებდა. გამახსენდა ბარათი, დილით სახელოსნოში რომ ვწერდი. მაშინ ცოტა მოწყენილი ვიყავი. ახლა — აღარ. ყველაფერი ერთნაირია — სანამ ცოცხალი ხარ. კიოსტერს შევხედე. მესმოდა, გოგონას როგორ ელაპარაკებოდა, მაგრამ სიტყვებს ყურადღებას არ ვაქცევდი. სიმთვრალის დასაწყისის რბილ ციმციმს ვგრძნობდი, სისხლს რომ ათბობს, ჩემს საყვარელ მდგომარეობას, როცა გაურკვევლობას თავგადასავლის ელფერი ედება. გარეთ ლენცი და ბინდინგი არგონის ტყის სიმღერას მღეროდნენ. ჩემ გვერდით უცხო გოგონა ლაპარაკობდა; ჩუმად და ნელა ლაპარაკობდა, ბოხი, აღმგზნები, ცოტა ხრინწია-

ნი ხმით. ჭიქა დავცალე, ის ორი კვლავ დაგვიბრუნდა. სუფთა ჰაერზე ცოტა გამოფხიზლებულიყვნენ. წამოვდექით. გოგონას პალტოს ჩაცმაში მივეხმარე. ჩემ წინ დადგა, მხრები მოხდენილად გაისწორა, თავი გადააგდო, პირი ოდნავ გააღო, ჭერს უღიმოდა, სხვას არავის. წამით პალტო დავუშვი. ამდენ ხანს სად ვიყურებოდი? მეძინა? ლენცის აღტაცებას უცებ მივხვდი, გაკვირვებული მომიტრიალდა. პალტო სასწრაფოდ ავწიე და ბინდინგს გავხედე, რომელიც აჭარხლებული და კვლავაც ცოტა გაშტერებული იდგა მაგიდასთან.

— როგორ ფიქრობთ, ტარება შეუძლია? — ვკითხე მე.

— მე მგონი...

მე ისევ გოგონას შევცქეროდი.

— თუ საეჭვო ამბავია, რომელიმე წამოგყვებით.

საპუდრე ამოიღო და გახსნა.

— არა უშავს, — თქვა მან, — ნასვამი როცაა, ბევრად უკეთ ატარებს — უკეთ და, ალბათ, უფრო გაუფრთხილებლადაც, — მივუგე მე.

თავისი პატარა სარკიდან ამომხედა.

— იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, — ვთქვი მე.

ვაჭარბებდი — ბინდინგი მშვენივრად იდგა ფეხზე. უბრალოდ, მინდოდა, რამე მექნა, რომ ასე უცებ არ წასულიყო.

— თუ შეიძლება, ხვალ დაგირეკავთ და გკითხავთ, როგორ ჩაიარა, — ვუთხარი მე.

მაშინვე არ უპასუხია.

— ამ ჩვენს სმაზე ჩვენც ხომ პასუხს ვაგებთ, არა? — განვაგრძე მე, მე, ამ ჩემი დაბადების დღით, განსაკუთრებით.

გაეცინა.

— კარგი, როგორც გენებოთ. დასავლეთი 2796..

გარეთ გასულმა ნომერი იმწამსვე ჩავიწერე. ბინდინგს თვალი გავაყოლეთ და ბოლო ჭიქაც დავლიეთ. მერე კარლმა აიწყვიტა.

მარტის მსუბუქ ნისლს მიაპობდა. სუნთქვა აგვიჩქარდა ქალაქი შემოგვეგება, ცეცხლოვანი და ოხშივარში მოლივივე. გამონაბოლქვიდან განათებული, ჭრელი ხომალდივით ფრედის ბარი ამოიმართა. კარლმა ღუზა ჩაუშვა, კონიაკი ოქროდ იღვრებოდა, ჯინი აქვამარინივით ბრჭყვიალებდა, და რომი თავად სიცოცხლე იყო. ბარის სკამებზე მყარად ვისხედით, მუსიკა იღვრებოდა, ცხოვრება ნათელი და ძლიერი ჩანდა, მკერდს გვივსებდა. აღარ გვახსოვდა, რომ პირქუში ნაქირავები ოთახების უიმედობა გველოდა, დაგვავიწყდა სასოწარკვეთილი ყოფა... ბარის დახლი ცხოვრების კაპიტნის ხიდად ქცეულიყო, და ჩვენ შხუილით მივექანებოდით მომავალში.

2

მეორე დღეს კვირა იყო. დიდხანს მეძინა და მხოლოდ მაშინ გავიღვიძე, როცა მზე ჩემს ლოგინს მოადგა. უცებ წამოვხტი და ფანჯარა გამოვაღე. გრილი, ნათელი დღე იდგა. სპირტქურა სკამზე დავდგი და ყავის ქილა მოვძებნე. ჩემმა დიასახლისმა, ქალბატონმა ცალევსკიმ, ნება დამრთო, ყავა ოთახში მომეხარშა. მისი ყავა მეტისმეტად წყალწყალა იყო. განსაკუთრებით, თუ წინა საღამოს ნასვამი ვიყავი.

უკვე ორი წელი ვცხოვრობდი ცალევსკის პანსიონში. მომწონდა იქაურობა. სულ რაღაც ხდებოდა, იმიტომ რომ პროფკავშირების სახლი, კაფე „ინტერნაციონალი“ და ხსნის არმიის თავშეყრის დუქანი გვერდიგვერდ იდგა. გარდა ამისა, სახლის წინ ძველი სასაფლაო მქონდა, უკვე დიდი ხნის წინათ გაუქმებული. ისეთი ხეები იზრდებოდა, პარკებში რომაა ხოლმე, და წყნარ ღამეებში კაცს თავი სოფლად ეგონებოდა. მართალია, სიმშვიდეს გვიან თუ ეღირსებოდი, რადგან სასაფლაოს ბაზრობა ემიჯნებოდა, კარუსელებითა და საქანელებით.

ქალბატონ ცალევსკისთვის სასაფლაო უდავოდ ხეირი იყო.

სუფთა ჰაერს და ხედს აღნიშნავდა ხოლმე და ამით ფასსაც ზრდიდა. სულ ამბობდა ხოლმე: „დაფიქრდით, ბატონებო — ადგილი.

ძალიან ნელა ჩავიცვი — როგორც კვირადღის წესია,. დავიბანე, ოთახში ვიბოდიალე, გაზეთი ვიკითხე, ყავა მოვიდუღე, ფანჯარასთან დავდექი და ვუყურე, ქუჩას როგორ რწყავდნენ. სასაფლაოს მაღალი ხეებიდან ჩიტების გალობა მესმოდა — უფლის პაწაწინა, ვერცხლის სასტვენებივით ჟღურტულებდნენ, ბაზრობის მელანქოლიური არღნის ჩუმ, ტკბილ ბურდღუნს ჰყვებოდნენ. ჩემი რამდენიმე წინდიდან და პერანგიდან თითოს ისე ვარჩევდი, თითქოს ოცჯერ მეტი მქონოდა. ჯიბეები სტვენა-სტვენით დავიცარიელე: ხურდა, დანა, გასაღებები, სიგარეტი — და აი, წუხანდელი ქაღალდი, გოგოს სახელითა და ტელეფონის ნომრით, პატრის ჰოლმანი. უცნაური სახელია, — პატრისი. ქაღალდი მაგიდაზე დავდე. მართლა გუშინდელი ამბავი იყო? რა დრო გავიდა, ლამის დამავიწყდა სასმელის მარგალიტისფერ ბურუსში. სმა ჩინებული იყო — გონს უცებ მოჰყავდი, მაგრამ საღამოსა და დილას შორის იმხელა სივრცეს ტოვებდა, თითქოს წლები ყოფილიყო გასული.

ქაღალდი წიგნებქვეშ ამოვდე. დავურეკო? შეიძლება, ან, შეიძლება, არა. დღისით ყველაფერი ცოტა სხვანაირად მომეჩვენა. სინამდვილეში, მშვიდად ყოფნა ძალიან მომწონდა. ბოლო წლების ჩოჩქოლი სავსებით მეყო. კიოსტერი იტყოდა, გულთან ახლოს არაფერი მიიტანოო. თუ მიიტან, დათმობაც გაგიჭირდებაო. არადა, ყველაფრის დათმობა მოგიწევსო... იმწამს გვერდით ოთახში კვირა დილისთვის სავალდებულო ხმაური ატყდა. ქუდს ვეძებდი, რომელიც წინადღით სადღაც მივაგდე, და ერთხანს ვაყურადებდი. ცოლ-ქმარი ჰასეები ერთმანეთს ერკინებოდნენ. ეს წყვილი აქ ხუთი წელი ცხოვრობდა, ერთ პატარა ოთახში. ცუდი ხალხი არ იყო. სამოთახიანი ბინა რომ ჰქონოდათ, ქალისთვის —

სამზარეულო, და თან შვილიც გაეჩინათ, ალბათ, ოჯახს შეინარ-ჩუნებდნენ. მაგრამ ბინა ფული ღირდა, და ბავშვი, ამ არეულ დროში — აბა, ამას ვინ შესწვდებოდა? ასე ისხდნენ ერთმანეთის თავებზე, ქალი ისტერიული გახდა, კაცს კი სულ თავის პატარა თანამდებობის დაკარგვისა ეშინოდა. რომ დაეკარგა, დაიღუპე-ბოდა. ორმოცდახუთი წლისა იყო. უმუშევრად რომ დარჩენილი-ყო, აღარავინ აიყვანდა. უბედურებაც ესაა: უწინ ნელ-ნელა იძი-რებოდი და ამოძრომის შესაძლებლობა კიდევ გქონდა, დღეს კი ყოველი დათხოვილი მარადიული უმუშევრობის უფსკრულში იჩეხებოდა.

ჩუმად გაძრომას ვაპირებდი, მაგრამ უკვე დამიკაკუნეს და ჰა-სე შემოლასლასდა. სკამზე დაეცა.

— აღარ შემიძლია...

სინამდვილეში, ნაზი კაცი იყო, დაქანებული მხრები და პატა-რა ულვაში ჰქონდა. მოკრძალებული, პასუხისმგებლობით სავსე მოხელე. მაგრამ დღეს სწორედ ასეთებს უჭირდათ ყველაზე მე-ტად. ალბათ, ყოველთვის ყველაზე მეტად უჭირდათ. მოკრძალე-ბა და პასუხისმგებლობა მხოლოდ რომანებშია დაფასებული. ცხოვრებაში ასეთებს ხმარობენ და მერე აგდებენ ხოლმე. ჰასემ ხელები ასწია.

— წარმოიდგინეთ, სამსახურში კიდევ ორი კაცი დაითხოვეს შემდეგი მე ვიქნები, აი, ნახავთ, მე ვიქნები!

სულ ამ შიშში ცხოვრობდა. არაყი დავუსხი მთელი სხეული უკანკალებდა. აშკარად ჩანდა, რომ ერთ დღესაც იქნებოდა და მოტყდებოდა ბევრი აღარაფერი დარჩენოდა.

— თან სულ ეს საყვედურები... — ჩაიჩურჩულა მან.

ალბათ, ქალი თავს აყვედრიდა. ორმოცდაორისა იყო, ცოტა მოშვებული და დამჭკნარი, მაგრამ, ცხადია, ჯერ ქმარივით გაქუ-ცული არ იყო. მას ჩაკეტილი სივრცის შიში ჰქონდა.

ჩარევას აზრი არ ჰქონდა.

— ყური მიგდეთ, ჰასე, — ვუთხარი მე, — შეგიძლიათ აქ იჯდეთ, რამდენ ხანსაც მოგინდებათ. მე წასასვლელი ვარ. თუ გირჩევნიათ, კონიაკი ტანსაცმლის კარადაში დგას. აი, გაზეთები. ნაშუადღევს კი ჩაჰკიდეთ ხელი თქვენს ცოლს და გადით სადმე, გადით ამ შენობიდან. ვთქვათ, კინოში. იმდენივე დაგიჯდებათ, რამდენიც კაფეში ორი საათის გატარება, და მეტიც შეგრჩებათ. დღეს პაროლია დავივიწყეთ და თავს ნუ იმტვრევთ!

ცოტა სინდისის ქენჯნით მხარზე ხელი დავკარი რა იყო, კინოში მუდამ კარგია. ყველას შეუძლია, რამეზე იოცნებოს.

გვერდით კარი ღია იყო: ქალი ისე სლუკუნებდა, გარეთაც ისმოდა. დერეფანს გავუყევი. შემდეგი კარი შეღებული იყო. აყურადებდნენ. იქიდან სუნამოს სუნი იფრქვეოდა. ამ ოთახში ერნა ბიონიგი ცხოვრობდა, პირადი მდივანი, თავისი ჯამაგირის კვალობაზე — მეტისმეტად ელეგანტური. თუმცა კვირაში ერთხელ შეფი დილამდე კარნახობდა ხოლმე რაღაცას და მეორე დღეს ერნა ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. სამაგიეროდ, საცეკვაოდ ყოველდღე დადიოდა. ამბობდა, როცა ცეკვა აღარ შემეძლება, აღარც სიცოცხლე მომინდებაო მას ორი მეგობარი ჰყავდა. ერთს უყვარდა და ყვავილებს სჩუქნიდა მეორე მას უყვარდა და ფულს აძლევდა.

მის გვერდით — როტმისტრი გრაფი ორლოვი, რუსი ემიგრანტი, ალფონსი, ოფიციანტი, სტატისტი, საფეთქლებთან ჭაღარაშერეული ჟიგოლო, არაჩვეულებრივი გიტარისტი. ყოველ საღამოს ყაზანის ღვთისმშობელს საშუალო დონის სასტუმროს მიმღების უფროსის თანამდებობას ევედრებოდა. როცა თვრებოდა, წაუტირებდა ხოლმე. შემდეგი კარი. ქალბატონი ბენდერი, ჩვილ ბავშვთა სახლის მედდა. ორმოცდაათი წლისა. ქმარი ომში დაიღუპა. 1918-ში ორი შვილი შიმშილით მოუკვდა ჭრელი კატა ჰყავდა. მეტი არავინ.

გვერდით — მიულერი, პენსიაზე გასული ხაზინადარი. ფილატელისტების გაერთიანების მდივანი. საფოსტო მარკების ცოცხალი კოლექციაა, მეტი არაფერი. ბედნიერი კაცია.

ბოლო კარზე დავაკაკუნე.

— რაო, გეორგ, — ვიკითხე. — ისევ არაფერია?

გეორგ ბლოკმა თავი გააქნია. სტუდენტი იყო, მეოთხე სემესტრს ამთავრებდა. ოთხი სემესტრი რომ ესწავლა, ორი წელი მაღაროში იმუშავა.

დანაზოგი უკვე თითქმის მთლიანად დაეხარჯა; ორი თვის სამყოფიღა დარჩენოდა. მაღაროში ვეღარ ბრუნდებოდა — დღეს უკვე ძალიან ბევრი მაღაროელი იყო უმუშევარი. სად არ ეძება რამე სამუშაო. ერთი კვირა მარგარინის ფაბრიკის სარეკლამო ფურცლებს არიგებდა, მაგრამ ფაბრიკა გაკოტრდა. ცოტა ხანში გაზეთების დამტარებლის ადგილი იშოვა და ამოისუნთქა, მაგრამ სამი დღის მერე, ალიონზე, ორი კეპიანი კაცი დაადგა, რომელთაც გაზეთები წაართვეს, დაუხიეს და აუხსნეს, ეს შენი საქმე არაა და მეორედ აღარ დაგინახოთო. უმუშევრები ისედაც გვყოფნისო, მეორე დილით მაინც მივიდა, თუმცა დახეული გაზეთებისთვის ფულის გადახდა მოუწია. ვიღაცამ ველოსიპედი დააჯახა. გაზეთები ტალახში ჩაუცვივდა. ორი მარკა დაუჯდა. მესამედაც მივიდა და დახეული ტანსაცმლით და გახეთქილი სახით დაბრუნდა. მერე შეეშვა. ახლა მთელი დღეები თავის ოთახში იჯდა და გიჟივით მეცადინეობდა, თითქოს ამას რამე აზრი ჰქონოდა. ან რა აზრი ჰქონდა, დარჩენილ სემესტრებს გაივლიდა თუ არა, სამსახურის იმედი, გამოცდის ჩაბარების შემთხვევაშიც კი, სულ მცირე, ათი წლის მერე თუ ექნებოდა სიგარეტის კოლოფი მივაწოდე.

— შეეშვი მაგას, გეორგ. ეგ მეც გამივლია. კიდევ მოასწრებ მან თავი გააქნია.

— ეს ჯერ კიდევ მაშინ შევამჩნიე, მაღაროს მერე. თუ ყოველ-

დღე არ იმეცადინე, თავიდან გივარდება, მეორედ კი ვეღარ ვიზამ.

ფერმკრთალი სახე, დაცქვეტილი ყურები და ახლომხედველი თვალები, გაჩხიკული სხეული და ჩავარდნილი მკერდი... ჯანდაბა...

— კარგად იყავი, გეორგ.

აღარც მშობლები ჰყავდა.

სამზარეულო. გარეული ღორის თავი — ფიტული ან გარდაცვლილი ბატონი ცალევსკის სახსოვარი. ტელეფონი. ბინდ-ბუნდი. გაზის და ცუდი ცხიმის სუნი. დერეფნის კარი, ზარის ღილაკთან მრავალი სავიზიტო ბარათით. ჩემიც აქაა. „რობერტ ლოკამპი, ფილოლოგიის სტუდენტი, ორი გრძელი ზარი“. ბარათი ყვითელი და ჭუჭყიანია. ფილოლოგიის სტუდენტი. ნუ იტყვი! როდინდელი ამბავია კიბეს ჩავუყევი, კაფე „ ინტერნაციონალისკენ“.

„ინტერნაციონალი“ დიდი, ბნელი, გაბოლილი დარბაზი იყო, მრავალი უკანა ოთახით. წინ, დახლის გვერდით, პიანინო იდგა. ასაწყობი იყო, ერთი-ორი სიმი გასწყვეტოდა და რამდენიმე სპილოს ძვლის კლავიშიც აკლდა, მაგრამ მე მიყვარდა ეს ყოჩაღი, ილაჯგაწყვეტილი მუსიკალური ჯაგლაგი. მან ჩემთან ერთად იცხოვრა მთელი ის წელი, რაც აქ ვუკრავდი. კაფეს უკანა ოთახებში საქონლით მოვაჭრეები იკრიბებოდნენ ხანდახან — ბაზრობის ხალხიც. წინ მეძავები ისხდნენ.

დუქანი ცარიელი იყო. მხოლოდ ბრტყელტერფიანი მიმტანი ალოი ზი იდგა დახლის უკან.

— ისევ ისე? — მკითხა მან.

თავი დავუქნიე. პორტვეინი და რომი მომიტანა ნახევარი ნახევარზე. მაგიდას მივუჯექი და უაზროდ დავიწყე ცქერა. ფანჯრიდან შემოსული მზის სხივის ნაცრისფერი სვეტი თაროებზე დაწყობილ ბოთლებში ირეკლებოდა. შერი ლალივით ღვიოდა.

ალოიზი ჭიქებს რეცხავდა. მედუქნის კატა პიანინოსთან იჯდა

და კრუტუნებდა. სიგარეტს ნელა ვეწეოდი, ჰაერი რულს გგვრიდა. გუშინდელ გოგოს უცნაური ხმა ჰქონდა. ბოხი, ცოტა ხრინწიანი, ლამის ჩახლეჩილი, მაგრამ მაინც რბილი.

— ალოიზ, — ვუთხარი მე, — ერთი, გაზეთები მომაწოდე, რა.

კარის ხმა გაისმა. როზა მოვიდა. როზა, სასაფლაოს ბოზი, რკინის ფაშატად წოდებული, ერთი ჭიქა შოკოლადი უნდოდა. ყოველ კვირადღეს, დილით, თავს ამის უფლებას აძლევდა; მერე ბურგდორფში მიემგზავრებოდა ხოლმე შვილის სანახავად.

— სალამი, რობერტ.

— სალამი, როზა. პატარა როგორა გყავს?

— ვნახავ. აი, ეს უნდა მივუტანო.

— პარკიდან წითელლოყება თოჯინა ამოიღო და მუცელზე ხელი დააჭირა. „დე-და“, დაიყიყინა თოჯინამ. როზას სახე გაუბრწყინდა.

— ზღაპრულია! — ვთქვი მე.

— მოიცა.

როზამ თოჯინა უკან გადასწია უცებ თვალები ტკაცუნით დაეხუჭა — წარმოუდგენელია, როზა.

კმაყოფილი დამირჩა და თოჯინა კვლავ პარკში ჩადო.

— შენ გესმის ასეთი რაღაცები, რობერტ. კარგი ქმარი იქნები. — ჰო, რა ვიცი, — ვუთხარი დაეჭვებულმა.

როზა შვილს თავს ევლებოდა. სამი თვე, სანამ სიარული არ შეეძლო, თავის ოთახში ჰყავდა. მისი პროფესიის მიუხედავად, ასატანი იყო, რადგან გვერდით პატარა კუნჭული ჰქონდა. საღამოს ვინმე კავალერი თუ ახლდა, როზა რამე მიზეზით წამით გარეთ ალოდინებდა, სწრაფად შეასწრებდა ხოლმე, ბავშვის ეტლს იმ კუნჭულში მალავდა, მერე კი კარს აღებდა და კაცი შეჰყავდა, მაგრამ დეკემბერში ბავშვს მეტისმეტად ხშირად უწევდა თბილი ოთახიდან გაყინულ კუნჭულში გადასვლა. ამიტომაც იყო, გაცივდა და ტირილი დასჩემდა, სწორედ მაშინ, როცა როზას სტუმარი

ჰყავდა ხოლმე. როზას მასთან განშორება მოუწია, თუმცა ძალიან კი უჭირდა, მან ის ძვირად ღირებულ ბავშვთა სახლში მიიყვანა იქ — როზა წარმოსადეგ ქვრივად მიაჩნდათ.

როზა ადგა.

— პარასკევს ხომ მოხვალ?

თავი დავუქნიე.

შემომხედა.

— ხომ იცი, რაც ხდება?

— აბა, რა.

აზრზე არ ვიყავი, მაგრამ კითხვის სურვილიც არ გამჩენია. ეს იმ წელს ვისწავლე, როცა აქ პიანინოს ვუკრავდი.

— კარგად იყავი, რობერტ.

— კარგად როზა.

ერთხანს კიდევ ვიჯექი მაგრამ ისეთი მიძინებული და მშვიდი ვეღარ ვიყავი, როგორც უწინ, როცა ინტერნაციონალი ერთგვარ საკვირაო სამშობლოდ მესახებოდა. ერთი რომიც დავლიე, კატას ხელი გადავუსვი და წავედი.

მთელი დღე ვიყიალე. არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა და დიდხანს ვერსად ვძლებდი. საღამოსკენ ჩვენს სახელოსნოში წავედი. კიოსტერი დამხვდა. კადილაკს უტრიალებდა. ცოტა ხნის წინათ სასაცილო თანხად შევიძინეთ. ახლა უკვე საფუძვლიანად მოვაწესრიგეთ და კიოსტერი მას საბოლოოდ აპრიალებდა. სპეკულაცია იყო. იმედი გვქონდა, კარგ ფულს გავაკეთებდით. მე ამ საქმეს ეჭვის თვალით ვუყურებდი. ცუდ დროში ხალხს პატარა მანქანების ყიდვა უნდა და არა ამხელა ომნიბუსისა. — შეგვრჩება, ოტო, — ვთქვი მე.

მაგრამ კიოსტერი მტკიცედ იყო დარწმუნებული.

— ეს საშუალო მანქანები შერჩებათ ხოლმე, რობი, — ამიხსნა

მან — ხალხი იაფიანებს ყიდულობს, და ძალიან ძვირიანებს. ფულიანები ჯერაც არსებობენ. ან უნდათ, რომ ფულიანებივით გამოიყურებოდნენ. — გოტფრიდი სადაა? — ვკითხე მე.

— რაღაც პოლიტიკურ თავყრილობაზე.

— რა სიგიჟეა! იქ რა უნდა?

კიოსტერმა გაიცინა.

— თვითონაც არ იცის. ალბათ გაზაფხული შეუჩნდა ხომ სულ რაღაც სიახლე უნდება.

— შეიძლება, — ვთქვი მე, — მოდი, მოგეხმარები.

დაბინდებამდე ვუტრიალეთ, — მოვრჩით, — თქვა კიოსტერმა.

ხელ-პირი დავიბანეთ.

— იცი, რა მაქვს? — მკითხა ოტომ და საქაღალდეზე დააკაკუნა. — აბა?

— საღამოსთვის კრივის ბილეთები ორი. ხომ წამოხვალ?

ვორჭოფობდი გაკვირვებული მომაჩერდა.

— შტილინგი ჩხუბობს, — მითხრა მან, — უოკერთან. მაგარი ბრძოლა იქნება.

— გოტფრიდი წაიყვანე, — შევთავაზე და საკუთარ თავზე გამეცინა. როგორ არ მივდიოდი... მაგრამ რაღაც, არ მინდოდა რატომ — არ ვიცი — რამეს აპირებ? — მკითხა მან.

— არა.

დამაკვირდა.

— სახლში წავალ, — ვთქვი მე, — წერილებს დავწერ და რაღაც ეგეთები. ესეც ხომ გასაკეთებელია...

— ხომ კარგად ხარ? — მკითხა მზრუნველად.

— კი, აბა რა. ალბათ მეც გაზაფხული შემომიჩნდა — კაი. როგორც გინდა.

სახლისკენ წავეხეტე. მაგრამ როცა ჩემს ოთახში აღმოვჩნდი ვეღარ მივხვდი, რა უნდა მეკეთებინა. უმიზნოდ მივედ მოვედებოდი. ნეტა, აქ რა მინდოდა? ბოლოს დერეფანს გავუყევი, გეორგის

მოსანახულებლად გზად ქალბატონ ცალევსკის შევეჩეხე.

— სასწაული, — თქვა გაკვირვებულმა — თქვენ აქ საიდან?

— რა არ ხდება, — ვუპასუხე ცოტა გაღიზიანებულმა ჭაღარა კულულები გააქნია.

— სახლში ზიხართ? ჰოი, საოცრებავ!

გეორგთან დიდხანს არ დავრჩენილვარ. თხუთმეტ წუთში დავბრუნდი. ვიფიქრე, ხომ არ დამელია-მეთქი. არ მინდოდა. ფანჯარასთან დავჯექი და ქუჩას გავხედე სასაფლაოზე ბინდი ღამურას ფრთებივით გადაშლილიყო. პროფკავშირების სახლის თავზე უმწიფარი ვაშლივით.

მწვანე ცა მოჩანდა. ლამპიონები უკვე ენთო, მაგრამ ჯერ საკმარისად არ ბნელოდა და შეციებულებს ჰგავდნენ. წიგნებიდან ტელეფონის ნომერი ამოვაცოცე ბოლოს და ბოლოს, დარეკვა რაღა იყო. თითქოს შევპირდი კიდეც. ალბათ, გოგონა სახლში არც იქნებოდა.

შესასვლელში გავედი, სადაც ტელეფონი იდგა, ყურმილი ავიღე და ნომერი ვთქვი. სანამ პასუხს ველოდი, ვგრძნობდი, რომ შავი ნიჟარიდან — რბილი ტალღა, მსუბუქი მოლოდინი დაიძრა. გოგონა შინ იყო. როცა ქალბატონი ცალევსკის წინკარში, გარეული ღორების თავებში, ცხიმის სუნსა და სამზარეულოს ხმებში უცებ, ჯადოსნურად, ჩუმად და ოდნავ ნელა, თითქოს ყოველი სიტყვის წინ ფიქრობსო, მისი ბოხი, ოდნავ ხრინწიანი ხმა გაისმა, ჩემი უკმაყოფილება უცებ გაქრა. იმის ნაცვლად, მხოლოდ მომეკითხა, ზეგისთვის შეხვედრა დავუთქვი, და დავკიდე. უცებ ყველაფერი მთლად სიბრიყვედ აღარ მომეჩვენა. „სიგიჟეა“, გავიფიქრე და თავი გავაქნიე. მერე ყურმილი ისევ ავიღე და კიოსტერს დავურეკე — ბილეთები ისევ გაქვს ოტო?

— კი.

— კაი. კრივზე მოვდივარ.

მერე ერთხანს ღამის ქალაქში ვისეირნეთ.ქუჩები განათებული და ცარიელი იყო. აბრები ციმციმებდა. ვიტრინებში სინათლე ტყუილად ენთო. ერთში შიშველი ცვილის ფიგურები იდგა, მოხატული სხეულებით. — მოჩვენებებს ჰგავდნენ, რაღაც უკუღმართობას. იქვე სამკაული ბრჭყვიალებდა. მერე უნივერმაღი იყო, საკათედრო ტაძარივით თეთრად განათებული. ფანჯრებში ჭრელი, პრიალა აბრეშუმი ქაფივით იდგა. კინოს წინ ფერმკრთალი, დამშეული ხალხი ჩამომდგარიყო. მათ გვერდით სურსათი გამოეფინათ. კონსერვის ქილები მოცახცახე კოშკებად იყო აღმართული, ბამბაში სათუთად ეწყო შემჭკნარი ვაშლები, მსუქანი ბატები თოკზე სარეცხივით ეკიდა, ყავისფერი, მრგვალი პური შებოლილ ძეხვის მეზობლად იდო, და ნაზი ყვითელი და ვარდისფერი ორაგულისა და ღვიძლის პაშტეტის ნაჭრები თაიგულს ჰგავდა.

ვიტრინის სიახლოვეს ჩამოვსხედით. გრილოდა. მთვარე სახლებს მაგიდის ლამპასავით ადგა. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. იქვე, ქვაფენილზე, მუშებს კარავი გაეშალათ. ტრამვაის რელსებს აგებდნენ. ვენტილატორები შიშინებდა და გულმოდგინედ დახრილ, ბნელ ფიგურებზე ნაპერწკლების წვიმა ცვიოდა, მათ გვერდით, საველე სამზარეულოსავით, ასფალტით სავსე ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა.

— ჩვენ ჩვენსას ვფიქრობდით.

— უცნაური რამაა კვირადღე, არა ოტო?

კიოსტერმა თავი დამიქნია.

— მიხარია კიდეც, რომ მიიწურა.

კიოსტერმა მხრები აიჩეჩა.

შეიძლება, ჯაფას ისე მივეჩვიეთ, რომ ცოტა თავისუფლებაც გვაღიზიანებს.

საყელო ავიწიე.

— ისე, რა უშავს ჩვენს ცხოვრებას არა, ოტო?

შემომხედა და გამიღიმა.

— ადრე უშავდა.

— მართალი ხარ, — მივუგე, — ეგეცაა...

პნევმატური ჩაქუჩების თვალისმომჭრელი შუქი მწვანედ ეცემოდა ასფალტს.

მუშების შიგნიდან განათებული კარავი თბილ, პატარა სამშობლოს ჰგავდა.

— როგორ ფიქრობ, სამშაბათს კადილაკი მზად იქნება? — ვკითხე მე — შეიძლება, — თქვა კიოსტერმა, — რა იყო?

— არა, არაფერი...

ავდექით და შინისკენ გავწიეთ.

— დღეს ცოტა ვერა ვარ, ოტო, — ვუთხარი მე.

— ვის არ მოსვლია. ღამე მშვიდობისა, რობი.

— აბა, შენ იცი, ოტო.

ოთახში ერთხანს კიდევ ვიჯექი. ეს ხუხულა უცებ სულ აღარ მომეწონა. ჭაღი მახინჯი იყო, შუქი — მეტისმეტად მჭახე, სავარძლები — გაქუცული, ლინოლეუმი — უიმედოდ მოსაწყენი. სარეცხი დაფა, ლოგინი და მის თავზე დაკიდებული ვატერლოოს ბრძოლის ამსახველი სურათი... ვიფიქრე, აქ წესიერი კაცის მოყვანა არც შეიძლება-მეთქი. მით უმეტეს ქალისა. დიდი-დიდი, „ინტერნაციონალის“ ბოზი მოიყვანო.

3

სამშაბათს, დილით, ჩვენი სახელოსნოს ეზოში ვისხედით და ვსაუზმობდით კადილაკი მზად იყო. ლენცს ხელში ფურცელი ეჭირა და გამარჯვებული სახით შემოგვცქეროდა. ლენცი ჩვენი სარეკლამო განყოფილების უფროსი ბრძანდებოდა და სწორედ იმწამს წაგვიკითხა მე და კიოსტერს განცხადება, რომელიც მანქანის გასაყიდად დაეწერა. ამ სიტყვებით იწყებოდა: „შვებულება სამხრეთ სანაპიროსკენ დიდებული ტრანსპორტით. რაღაც საშუალო იყო ლექსსა და ჰიმნს შორის.

კიოსტერი და მე ერთხანს ვდუმდით. ჯერ ეს ყვავილოვანი ფანტაზიის ნაკადი უნდა მოგვენელებინა. ლენცმა ჩათვალა რომ მეტისმეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— პოეტური და დიდებულია, არა? — გვკითხა ამაყად, — პრაგმატულ ხანაში რომანტიკული უნდა იყო, მთელი ხრიკი ესაა უკიდურესობები ერთმანეთს იზიდავს.

— მაშინ არა, როცა საქმე ფულს ეხება, — მივუგე მე.

— ავტომობილებს ფულის დასაბანდებლად არ ყიდულობენ, ბიჭო, — არ დამეთანხმა გოტფრიდი, — იმისთვის ყიდულობენ,

რომ ფული დახარჯონ; და სწორედ აქ იწყება რომანტიკა, ყოველ შემთხვევაში, მეწარმისათვის. უმრავლესობისთვის აქ მთავრდება კიდეც. რას იტყვი, ოტო?

— იცი, რა... — ფრთხილად დაიწყო კიოსტერმა.

— ამდენს რატომ ვლაპარაკობთ, — შევაწყვეტინე მე, — ეს რამე კურორტის ან სილამაზის მალამოს რეკლამაა მაგრამ ავტომობილისა ნამდვილად არა.

ლენცმა პირი დააღო.

— მოიცა, — განვაგრძე მე, — შენ ხომ თვლი, რომ მიკერძოებულები ვართ, გოტფრიდ. ამიტომ, გთავაზობ: მოდი, იუპს ვკითხოთ. ის ხალხის ხმაა!

იუპი ჩვენი ერთადერთი თანამშრომელი იყო, თხუთმეტი წლის ბიჭი, რომელიც ჩვენთან თითქოს შეგირდად იდგა. ბენზინს ასხამდა, საუზმეს გვიმზადებდა და საღამოს სახელოსნოს ალაგებდა. პატარა იყო, ჭორფლიანი და, რაც მე მინახავს, ყველაზე დიდი და დაცქვეტილი ყურები — ჰქონდა. კიოსტერი ამბობდა, თვითმფრინავიდან რომ გადმოვარდეს, არაფერი მოუვა, ყურების წყალობით მიწაზე ნარნარად დაეშვებაო. მოვიყვანეთ ლენცმა განცხადება წაუკითხა — ასეთი მანქანა დაგაინტერესებდა, იუპ? — ჰკითხა კიოსტერმა — მანქანა? — ჰკითხა პასუხად იუპმა. გამეცინა.

— ცხადია, მანქანა, — შეუღრინა გოტფრიდმა, — აბა, კალია გეგონა? — მაგარი სწრაფია, განმანაწილებელი ლილვი ზემოდან იმართება და ჰიდრავლიკური მუხრუჭები აქვს? — დაინტერესდა იუპი ისე, რომ არც გატოკებულა.

— ბრიყვო, ეს ჩვენი კადილაკია — გამოსცრა კბილებში ლენცმა — არ არსებობს, — მიუგო იუპმა და ფართოდ გაუღიმა.

— ესეც შენ, გოტფრიდ! — თქვა კიოსტერმა, — ესაა დღევანდელი რომანტიკა.

— წადი, შენს ტუმბოს მიხედე, იუპ, მეოცე საუკუნის წყეულო

შვილო. უკმაყოფილო ლენცი ოთახში გაუჩინარდა, რომ თავისი პოეტური აღმაფრენის მიუხედავად, განცხადებისთვის ცოტა მეტი ტექნიკური დატვირთვაც მიეცა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჭიშკართან უფროსი ინსპექტორი ბარსიგი გაჩნდა. დიდი პატივით მივიღეთ. ის ინჟინერი და ავტოსადაზღვევო „ფენიქსის“ ექსპერტი იყო, სარემონტო საქმისთვის მნიშვნელოვანი კაცი. მასთან ჩინებული ურთიერთობა გვქონდა. როგორც ინჟინერი დიდი ეშმაკი კაცი იყო, ვერაფერს გამოაპარებდი, მაგრამ პეპლების სპეციალისტის სახით მოვლენილი, კარაქივით რბილი ხდებოდა. დიდი კოლექცია ჰქონდა, და ერთხელაც ერთი მსუქანი ფარვანა ვაჩუქეთ — ღამით სახელოსნოში შემოგვიფრინდა. ცხოველი რომ მივართვით, ბარსიგს ფერი წაუვიდა და საზეიმო იერი დაედო. თავის ქალა ყოფილა, დიდი იშვიათობა, კოლექციას სწორედ ეს თავის ქალა აკლდა. ბარსიგმა სიკეთე არ დაგვივიწყა და მას აქეთია, რამდენადაც შეეძლო, სარემონტო სამუშაოებით უზრუნველგვყოფდა. სამაგიეროდ, სადაც რამე ჩრჩილს წავასწარით, ყველა დავუჭირეთ.

— ვერმუტზე რას იტყვით, ბატონო ბარსიგ? — ჰკითხა კვლავ აღმდგარმა ლენცმა.

— საღამომდე არ ვსვამ — მიუგო ბარსიგმა — ეს მტკიცე პრინციპი მაქვს.

— პრინციპები უნდა დაამსხვრიოთ, თორემ რა სიხარულია, — აუხსნა გოტფრიდმა და დაასხა, — ყველა ჩრჩილის, ფარშევანგისთვალას და მარგალიტას ნათელი მომავლისა იყოს!

წამით ბარსიგი შეჭოჭმანდა.

— ასე თუა, უარს ვეღარ ვიტყვი, — თქვა მან და ჭიქას გადასწვდა, მაგრამ მაშინ, მოდი, პატარა ხარისთვალასიც იყოს..

დაბნეულმა გაიღიმა, თითქოს ქალზე ეთქვას რამე ორაზრო-

ვანი. — იცით, ცოტა ხნის წინ ახალი სახეობა აღმოვაჩინე ბალნიანი საცეცებით.

— დასწყევლოს ღმერთმა, — თქვა ლენცმა, — ყურადღება! პიონერი ყოფილხართ, თქვენი სახელი ბუნებისმეტყველების ისტორიაში შევა. თითოც დავლიეთ, ბალნიანი საცეცებისა. ბარსიგმა ულვაში მოიწმინდა.

— თქვენთვის კარგი ამბავი მაქვს. შეგიძლიათ, ფორდს მიაკითხოთ. — დირექტორი თანახმაა, რომ თქვენ შეაკეთოთ.

— შესანიშნავია, — თქვა კიოსტერმა, — თქვენი ვალიდან ვერასოდეს ამოვალთ. ხარჯთაღრიცხვის საქმე როგორაა?

— ეგეც დამტკიცებულია — დაქვითვა?

ბარსიგმა თვალები დახუჭა.

— ჯერ არ უნდოდათ. მაგრამ საბოლოოდ...

— სავსე ჭიქით — სადაზღვევო „ფენიქსს“ გაუმარჯოს!

ბარსიგი ადგა და დაგვემშვიდობა.

— წარმოიდგინეთ, — თქვა მიმავალმა, — მასთან ერთად ფორდში ქალი რომ იჯდა, რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა. მხოლოდ დაჭრილ დასერილი იყო. ალბათ, სისხლისგან დაიცალა.

— რამდენი წლის იქნებოდა? — ჰკითხა კიოსტერმა.

— ოცდათოთხმეტის, — მიუგო ბარსიგმა, — ოთხი თვის ორსული. ოც ათას მარკად იყო დაზღვეული.

მაშინვე მანქანის წამოსაყვანად წავედით ხაბაზთან ეყენათ. იმ ღამით კაცი ნასვამი ყოფილა და კედელს შესკდომია. მხოლოდ მისი ცოლი დაშავდა, თვითონ ნაკაწრიც არ ჰქონია.

როცა მანქანა წასაღებად მოვამზადეთ, გარაჟში შეგვხვდა. ერთხანს მდუმარედ გვიყურა, ილაჯგაწყვეტილი იდგა, მოხრილი, მოკლე კისრით და ოდნავ წინწამოწეული თავით. ხაბაზისთვის დამახასიათებელი არაჯანსაღი, მონაცრისფრო-მოთეთრო სახის

გამო დიდ, ნაღვლიან ფქვილის მატლს ჰგავდა. ნელა მოგვიახლოვდა.

— როდის გაკეთდება? — გვკითხა მან.

— სადღაც, სამ კვირაში, — უპასუხა კიოსტერმა.

ძრავსაფარზე ანიშნა.

— ესეც შედის, ხომ სწორია?

— რანაირად? — ჰკითხა ოტომ, — სულ არ დაშავებულა ხაბაზი მოუთმენლად შეინძრა.

— მაგრამ ახალი ძრავსაფარი აჯობებს. თქვენთვის ხომ კარგა დიდი შეკვეთაა გამიგეთ, ხომ?

— არა, — თქვა კიოსტერმა.

ძალიან კარგად გაუგო. კაცს უფასოდ ახალი ძრავსაფარი უნდოდა, რაზეც დაზღვევა პასუხს არ აგებდა, ამიტომ რემონტის ხარჯზე აპირებდა იოლს გასვლას. ცოტა ხანს ვიკამათეთ. კაცი დაგვემუქრა, ხელშეკრულებას გავაუქმებ და ხარჯთაღრიცხვას უფრო დამყოლ სახელოსნოს გავაკეთებინებო. ბოლოს კიოსტერმა დაუთმო სამუშაო გვჭირდებოდა, თორემ არ იზამდა.

— ეგრე, რაღა, — თქვა ხაბაზმა და ცერად გაიღიმა, — რამდენიმე დღეში მოვალ, მასალა შევარჩიოთ. მე ვფიქრობ, კრემისფერი ნაზი ფერია.

წამოვედით. გარეთ გამოსულებს ლენცმა ფორდის სავარძელზე მიგვითითა. დიდი შავი ლაქები ჰქონდა.

— მისი გარდაცვლილი ცოლის სისხლია. ახალი შალითები მაინც დაითრია. კრემისფერი. ნაზი ფერები. რა მაგარია! მე მგონი, ეს ორი კაცის დაზღვევის ფულსაც დაითრევს. ცოლი ხომ ორსულად იყო:

კიოსტერმა მხრები აიჩეჩა.

— ალბათ, საკუთარ თავს ეუბნება, ეს სულ სხვა ამბავიაო — შეიძლება, — თქვა ლენცმა, — ასეთი ხალხიც ხომ არსებობს, გაჭირვების დროს ამით რომ ინუგეშებს თავს. ზუსტად ორმოცდაათი

მარკა დაგვიჯდება ჩვენი ჯამაგირიდან.

ნაშუადღევს რაღაც მოვიმიზეზე და სახლში წავედი ხუთზე პატრის ჰოლმანს უნდა შევხვედროდი, მაგრამ სახელოსნოში ამის შესახებ კრინტი არ დამიძრავს. კი არ ვმალავდი; უბრალოდ, უცებ დაუჯერებლად მეჩვენა. შეხვედრა კაფეში დამითქვა. იქ არასოდეს ვყოფილვარ; ვიცოდი მხოლოდ, რომ პატარა, ელეგანტური დუქანი იყო. ისე წავედი, აზრზე არ ვიყავი. შევედი თუ არა, დამფრთხალი გამოვვარდი უკან, დარბაზი. მოჭორავე ქალებით იყო სავსე. ტიპურ ქალების საკონდიტროში ამოვყავი თავი.

დიდი გაჭირვებით მოვახერხე გათავისუფლებული მაგიდის დათრევა. უკმაყოფილომ მიმოვიხედე. ჩემ გარდა, იქ მხოლოდ ორი მამაკაცი იყო, და ისინიც არ მომეწონენ.

— ყავა, ჩაი, შოკოლადი? — მკითხა მიმტანმა და ხელსაწმენდით მაგიდაზე დარჩენილი ნამცხვრის ნამცეცები ზედ დამაყარა.

— დიდი ჭიქით კონიაკი, — ვუპასუხე.

მომიტანა. მაგრამ მას ყავის მოყვარულ ქალთა ადგილის მაძიებელი გუნდიც მოჰყვა წინ ათლეტი ქალი მოუძღოდათ, სამგლოვიარო ქუდით. — ოთხი ადგილი გვინდა, თუ შეიძლება! — თქვა მან და ჩემს მაგიდაზე მიუთითა.

— მოიცა, — ვუპასუხე მე, — მაგიდა დაკავებულია. ველოდები — ასე არ გამოვა, ჩემო ბატონო! — მითხრა მიმტანმა, — ამ დროს ადგილების დაჯავშნა არ შეიძლება.

შევხედე. მერე ათლეტ ქალს შევხედე, რომელიც მაგიდას მოსდგომოდა და სავარძლის ზურგს ჩასჭიდებოდა. სახეზე შევხედე და ყოველგვარ წინააღმდეგობაზე ხელი ავიღე. ამ პერსონას ქვემეხებიც ვერ შეძრავდა — მაგიდის დაპყრობა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი.

— კიდევ ერთი კონიაკი მაინც მომიტანეთ, — შევუღრინე მიმტანს. — დიდი სიამოვნებით, ბატონო. ისევ დიდი ჭიქით?

— დიახ.

— ძალიან კარგი. — დაიხარა — ეს ხომ ექვსკაციანი მაგიდაა, — მომიბოდიშა.

— მართალია. უბრალოდ, კონიაკი მომიტანეთ როგორც ჩანს, ათლეტი ქალბატონი სიფხიზლის მომხრეთა კლუბიდან იყო. ის ჩემს სასმელს ისე მიაჩერდა, თითქოს დამპალი თევზი ყოფილიყო. მის გასაბრაზებლად კიდევ ერთი შევუკვეთე. უცებ მთელი ეს წამოწყება სასაცილოდ მეჩვენა. აქ რა მინდოდა? ან ამ გოგოსგან რა მინდოდა? ისიც აღარ ვიცოდი, ამ არეულობასა და ყაყანში მის ცნობას თუ შევძლებდი. კონიაკი გაბრაზებულმა გადავკარი.

— სალამი! — თქვა ვიღაცამ ჩემ ზურგსუკან.

წამოვიმართე. ის იდგა და მიცინოდა.

— დროულად დაგიწყიათ!

ჭიქა ჯერაც ხელში მეჭირა. მაგიდაზე დავდგი. უცებ დავიბენი გოგო სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, მე სხვა მახსოვდა. ნამცხვრის ჭამით გართული, კარგად ნაკვები მდედრების გარემოცვაში ის თხელი, ნორჩი ამორძალივით იყო, გრილი, მანათობელი, ნამდვილი და მიუწვდომელი. ვიფიქრე, რომ ჩვენ შორის არასოდეს არაფერი მოხდება, და ვთქვი: — ასე აჩრდილივით საიდან გაჩნდით? თვალი სულ კარისკენ მეჭირა მარჯვნივ მიმანიშნა:

— იქით კიდევ ერთი შესასვლელია მაგრამ დამაგვიანდა დიდხანს გალოდინეთ?

— სულაც არა. ორი, სამი წუთი თუ იქნება მეც ახლახან მოვედი. ჩემს სუფრასთან მსხდომი ყავის მოყვარულები დადუმდნენ. კეფით ოთხი სოლიდური დედის შემფასებელ მზერებს ვგრძნობდი.

— აქ დავრჩეთ? — ვკითხე მე.

გოგონამ სუფრას სწრაფი მზერა მოავლო. ტუჩები უთრთოდა. მხიარულად შემომხედა.

— ვშიშობ, ყველა კაფე ერთნაირია, თავი გავაქნიე.

— ცარიელები ბევრად ჯობს. ეს რაღაც ეშმაკის დუქანია, კაცს არასრულფასოვნების კომპლექსს აჰკიდებს. უკეთესია, ბარში წავიდეთ.

— ბარში? დღისითაც არსებობს რამე ბარი?

— ვიცი ერთი, — ვთქვი მე, — ძალიან წყნარი ადგილია. თუ ინებებთ. — რატომაც არა...

ავხედე. იმწამს ვერ მივხვდი, რა იგულისხმა. ირონიის საწინააღმდეგო არაფერი მქონია — როცა მე არ მეხებოდა; მაგრამ თავს უგვანოდ ვგრძნობდი.

— მაშ, წავიდეთ, — თქვა მან.

მიმტანს ხელი დავუქნიე.

— სამი დიდი კონიაკი, — დაიღრიალა უბედურმა ისეთ ხმაზე, გეგონება, ანგარიშს საფლავში ჩამძახოდა, — სამი მარკა და ოცდაათი!

გოგონა მომიტრიალდა.

— სამ წუთში სამი კონიაკი? მაგარი ტემპია!

— ორი გუშინდელია.

— მატყუარა, — დაისისინა სუფრასთან მჯდომმა ათლეტმა ქალმა. მეტისმეტად დიდხანს დუმდა.

მოვუტრიალდი და დავიხარე — ბედნიერ შობას გისურვებთ, ქალბატონებო და სწრაფად გავერიდე.

— იჩხუბეთ? — მკითხა გარეთ გოგონამ.

— დიდად არა. უბრალოდ, მტკიცე ოჯახური მდგომარეობის მქონე დიასახლისებზე ცუდად ვმოქმედებ.

— მეც, — მომიგო მან.

შევხედე. სხვა სამყაროსას ჰგავდა. საერთოდ ვერ წარმომედგინა, რა არსება იყო და როგორ ცხოვრობდა.

ბარში იმედიანად ვიყავი. რომ შევედით, ფრედი, ბარმენი,

დახლსუკან იდგა და კონიაკის დიდ ჭიქებს აპრიალებდა. ისე მომესალმა, ვითომ პირველად ვენახე და ორი დღის წინ სახლში მისი წასაღები არ გავმხდარიყავი. კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი და დიდი გამოცდილებაც ჰქონდა. დარბაზი ცარიელი იყო. მხოლოდ ერთ მაგიდასთან, როგორც თითქმის ყოველთვის, ვალენტინ ჰაუზერი იჯდა. ომიდან ვიცნობდი; ერთ ასეულში ვიყავით. ერთხელ ტყვიების წვიმაში წერილი მომიტანა, იმიტომ რომ დედაჩემისა ეგონა. იცოდა, წერილს ველოდი, რადგან დედაჩემს ოპერაცია გაუკეთეს. მაგრამ შეცდა; ეს მხოლოდ ჭინჭრით ნაქსოვი სამუზარადე ქუდების რეკლამა იყო, უკანა გზაზე ფეხში დაჭრეს. ომის მერე ვალენტინმა მემკვიდრეობა მიიღო და ერთი ხანი ამით იცხოვრა. სასმელს დაახარჯა. ამტკიცებდა, რომ ეს ბედნიერება უნდა აღენიშნა: ცოცხალი დაბრუნდა. ეს რომ მრავალი წლის წინათ მოხდა, სულ არ ადარდებდა. გვიხსნიდა, რომ სათანადოდ მაინც ვერ ზეიმობს. ის იმ ადამიანთაგანი იყო, ომი რომ საშინლად ახსოვთ. დანარჩენებს ბევრი რამ დაგვავიწყდა; მას კი ყოველი დღე და ყოველი საათი ახსოვდა.

შევატყვე, უკვე მაგარი ნასვამი იყო; დაძირული და გათიშული იჯდა თავის კუთხეში. ხელი ავუწიე.

— სალამი ვალენტინს!

გამომხედა და თავი დამიქნია.

— სალამი, რობი!

კუთხეში დავსხედით. ბარმენი მოვიდა — რას დალევთ? — ვკითხე გოგონას.

— მარტინი იყოს, — მიპასუხა მან, — მშრალი მარტინი.

— ფრედი ამ საქმის ოსტატია.

ფრედმა თავს უფლება მისცა, გაღიმებოდა.

— მე — როგორც ყოველთვის, — ვუთხარი.

ბარში გრილოდა და ნახევრად ბნელოდა. დაღვრილი ჯინის და კონიაკის სუნი იდგა. მკვეთრი სუნი იყო, როგორც ღვიის და

პურის. ჭერიდან ხისგან გამოთლილი გემის მოდელი ეშვებოდა. დახლსუკან კედელი სპილენძის ფირფიტებით იყო მოჭედილი. ნათურის მკრთალი შუქი შიგ მიწისქვეშა ცეცხლივით ირეკლებოდა. პატარა, რკინის ჭედური სანათურებიდან მხოლოდ ორი ენთო, ვალენტინის და ჩვენი. სანათურებს ძველი რუკებისგან გაკეთებული პერგამენტის აბაჟურები ჰქონდა, მსოფლიოს ვიწრო, განათებულ ფრაგმენტებს ჰგავდა.

ცოტა დაბნეული ვიყავი და არ ვიცოდი, საუბარი როგორ უნდა დამეწყო. გოგონას ხომ საერთოდ არ ვიცნობდი, და რაც უფრო დიდხანს შევცქეროდი, მით უფრო უცხოდ მეჩვენებოდა. დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც ასე, ვიღაცასთან ერთად ვიყავი. დავიწყებული მქონდა. მამაკაცებთან ურთიერთობა უკეთ მეხერხებოდა. მანამდე, კაფეში, მეჩვენებოდა, რომ ძალიან ხმაური იყო, აქ კი მეტისმეტი სიჩუმე დამხვდა. ოთახის სიწყნარეში თითოეული სიტყვა იმდენად წონიანი იყო, რომ თავისუფლად ლაპარაკი ძალიან ჭირდა. ლამის იმ კაფეში დაბრუნება ვინატრე. ფრედმა ჭიქები მოიტანა. დავლიეთ. რომს, მაგარს და გრილს, მზის გემო ჰქონდა, საიმედო რამ იყო, ჭიქა დავცალე და ფრედს უცებ დავუბრუნე.

— მოგწონთ აქაურობა? — ვკითხე მე.

— გოგონამ თავი დამიქნია — იმ საკონდიტროს სჯობია?

— საკონდიტროები მძულს — მითხრა მან.

— მაშ, მაინცდამაინც იქ რატომ შევხვდით? ვკითხე გაოცებულმა — რა ვიცი. — ქუდი მოიხადა, — სხვა არაფერი მომაგონდა.

— თუ აქაურობა მოგწონთ, ამას რა ჯობია საღამოობით ეს ადგილი ჩვენთვის უკვე სახლივითაა.

გაიცინა — მერე, სევდიანი ამბავი არაა?

— არა, — ვთქვი მე, — დრომ მოიტანა.

ფრედმა მეორე ჭიქა ჩამოდგა. იქვე, მაგიდაზე, მწვანე ჰავანაც დადო — ბატონი ჰაუზერისგან.

ვალენტინმა თავისი კუთხიდან ხელი დამიქნია და ჭიქა ასწია. — 31 ივლისი, 17, რობი, — მითხრა მძიმე ხმით.

თავი დავუქნიე და მეც ჭიქა ავწიე.

აუცილებლად ვინმესთან ერთად უნდა დაელია. საღამოობით მინახავს, მთვარესთან ან გლეხის დუქანთან ამოსულ იასამნის ბუჩქთან ერთად სვამდა. მერე სანგრებში გატარებული ერთი დღე გაიხსენა, სადაც განსაკუთრებული გასაჭირი ადგა, და მადლობელი იყო, რომ აქ ყოფნა და ასე ჯდომა შეეძლო.

— ჩემი მეგობარია, — ვუთხარი გოგონას, — ომის დროინდელი ამხანაგი. ჩემს ნაცნობებში ერთადერთი კაცია, ვინც დიდი უბედურება პატარა ბედნიერებად გადაიქცია. აღარ იცის, თავის ცხოვრებას რა უყოს, ამიტომ, უბრალოდ, უხარია, რომ ცოცხალია.

დაფიქრებით შემომხედა. შუბლზე და პირზე მზის სხივი ადგა — მშვენივრად მესმის, თქვა მან.

ავხედე.

— რად გინდათ. საამისოდ მეტისმეტად ახალგაზრდა ბრძანდებით. გაიღიმა. მსუბუქი, მოფარფატე ღიმილი იყო, მხოლოდ თვალებში ედგა. სახე არც შეცვლია, უბრალოდ, გაუნათდა, შიგნიდან გაუნათდა. — მეტისმეტად ახალგაზრდა, — თქვა მან, — ეგ რა თქმაა. მე მგონია, მეტისმეტად ახალგაზრდა არ არსებობს მეტისმეტად მოხუცი კი — ყოველთვის.

წამით გავჩუმდი.

— ამის საწინააღმდეგოდ უამრავი რამის თქმა შეიძლება, — მივუგე მერე და ფრედს ვანიშნე, კიდევ რამე დაესხა. გოგონა თავდაჯერებული იყო, მისთვის ყველაფერი თავისთავად ცხადი ჩანდა. თავს რაღაც კუნძად ვგრძნობდი. სიამოვნებით გავაბამდი მსუბუქ, ხალისიან საუბარს, ისეთს, მერე, მარტო დარჩენილი რომ მოიგონებდა კაცი. ასეთები ლენცს ეხერხებოდა, მე კი სულ

უნიჭოდ და მძიმედ გამომდიოდა. გოტფრიდი არცთუ უსამართლოდ ამტკიცებდა, რომ როგორც მოსაუბრე, დაახლოებით ფოსტის მოხელის დონეზე ვიყავი.

ბედად, ფრედი ჭკვიანურად იქცეოდა. პატარა სათითის ნაცვლად წესიერი ღვინის ჭიქა გამივსო. ამრიგად, წინ და უკან სირბილი აღარ მოუწევდა და მაინცდამაინც თვალშისაცემიც აღარ იქნებოდა, რამდენი დავლიე. უნდა დამელია; სხვანაირად ამ საძაგელ სიმძიმეს ვერ მოვიცილებდი.

— მარტინის აღარ ინებებთ? — ვკითხე გოგონას.

— თქვენ რას სვამთ?

— ეს რომია.

ჩემი ჭიქა დაათვალიერა.

— აქამდეც ამას სვამდით.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — ძირითადად, ამას ვსვამ.

თავი გააქნია.

— არა მგონია, გემრიელი იყოს.

— ეგ აღარ ვიცი, — ვუთხარი მე.

შემომხედა.

— აბა, რატომ სვამთ?

— რომი, — დავიწყე გახარებულმა, რომ სალაპარაკო გამოვნახე, — რომის გემო სულ არაა საინტერესო. ეს უბრალოდ სასმელი არაა, უფრო მეგობარია. მეგობარი, რომელიც ყველაფერს გიმსუბუქებს. სამყაროს ცვლის. ამიტომაც სვამენ. — ჭიქა განზე გავწიე, — ერთი მარტინიც შევუკვეთო?

— რომი მირჩევნია, — თქვა მან — მეც გავსინჯავ.

— კარგი, — ვუპასუხე, — ოღონდ ამას არა, დასაწყისისთვის მეტისმეტად მძიმეა. ერთი ბაკარდის კოქტეილი მოგვიტანე, — გავძახე ფრედს. ფრედმა ჭიქები მოიტანა. ზედ მარილიანი ნუშით და მოხალული ყავის მარცვლებით სავსე ფიალაც მოაყოლა.

— ჩემი ბოთლი აქ დამიდგი — ვუთხარი მე.

ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა და განათდა. დაბნეულობა გაქრა, სიტყვები თვითონ მოდიოდნენ და აღარ ვუფიქრდებოდი, რას ვლაპარაკობდი. ვსვამდი და ვგრძნობდი, როგორ აგორდა დიდი, რბილი ტალღა და როგორ დამფარა, როგორ აივსო დაბინდების ცარიელი საათი სურათებით და ყოფიერების გულგრილ, ნაცრისფერ მხარეებში კვლავ ჯადოსნურად შემოვიდა ოცნებების ჩუმი მატარებელი. ბარის კედლებმა უკან დაიხიეს და უცებ ეს ბარი აღარ იყო, ეს იყო სამყაროს კუთხე, სავანე, ნახევრად ბნელი თავშესაფარი, რომლის გარშემოც ქაოსის მარადიული ბრძოლა მძვინვარებდა, და რომელშიც ჩვენ დაცულები ვიყავით, დროის ბინდ-ბუნდში ამოუცნობი ქარის მიერ ერთმანეთთან მიტანილები. გოგონა სკამზე მოკუნტული იჯდა, უცხო და იდუმალი, თითქოს სიცოცხლის სხვა ნაპირიდან გამორიყულიყო. მესმოდა, როგორ ვლაპარაკობდი, მაგრამ თითქოს მე აღარ ვიყავი, ვიღაც სხვა იყო, ისეთი, როგორიც მინდოდა ვყოფილიყავი. როცა ჩემი ცხოვრების პატარა მოვლენებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სიტყვები აცდნენ, დაიძრნენ და სხვა, ფერად მხარეში შეიჭრნენ. ვიცოდი, რომ სიმართლე აღარ იყო, სიტყვები ფანტაზიად და ტყუილებად ქცეულიყვნენ, მაგრამ სულერთია... სინამდვილე უიმედო იყო და უფერული, და მხოლოდ სიზმრების შეგრძნებები და ათინათი იყო ცხოვრება...

ბარის სპილენძში შუქი ღვიოდა. ხანდახან ვალენტინი ჭიქას სწევდა და რაღაც თარიღს ბუტბუტებდა. გარედან ყრუდ ისმოდა მანქანების ხმა — თითქოს მტაცებელი ფრინველები იძახდნენ. ქუჩა შემოგვძახებდა ხოლმე, როცა ვინმე კარს აღებდა. მაწყევარი, შურიანი დედაბერივით ყვიროდა.

უკვე ბნელოდა, როცა პატრის ჰოლმანი სახლამდე მივაცილე. უკან ნელა ვბრუნდებოდი. უცებ ვიგრძენი, რომ მარტო დავრჩი

და დავცარიელდი. ცრიდა. ვიტრინის წინ ჩამოვდექი. მეტისმეტად ბევრი დამილევია, აქამდე არც შემიმჩნევია. არ მაქანავებდა, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი.

უცებ ძალიან დამცხა. პალტო გავიხსენი და ქუდი გადავიწიე. ჯანდაბა, ისევ მომერია! ნეტა რა ვილაპარაკე? ამაზე დაფიქრებასაც ვერ ვბედავდი. აღარც მახსოვდა, ყველაზე ცუდი ეს იყო. ახლა, მარტო რომ ვიდექი ქუჩაში, ავტობუსების გრიალში, ყველაფერი ნახევრად ჩაბნელებული ბარისგან სრულიად განსხვავებულად მეჩვენებოდა. თავბედი ვიწყევლე. რა კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე იმ გოგოზე! ალბათ, შეამჩნია. თვითონ ხომ თითქმის არ დაულევია. დამშვიდობებისასაც ისე უცნაურად შემომხედა...

ღმერთო ჩემო! შემოვტრიალდი და მსუქან, დაბალ კაცს დავეჯახე — აბა! — ვთქვი გაცოფებულმა.

— თვალი გაახილე, საფრთხობელა! — აყეფდა სქელი.

მივაშტერდი.

— რა იყო, კაცი არ გინახავთ? — ყეფას განაგრძობდა.

ესღა მაკლდა.

— კაცი კი, — ვუთხარი მე, — მოსეირნე კასრები — არა.

მსუქანი არც დაფიქრებულა. გაჩერდა და გაიბერა.

— იცით, რა? — დამისისინა, — ზოოპარკში წადით! მეოცნებე კენგურუებს ქუჩაში არაფერი ესაქმებათ!

მივხვდი, რომ მაღალი დონის მლანძღველს შევეყარე. უგუნებობის მიუხედავად, ღირსება უნდა დამეცვა.

— გაიარე, ავადმყოფო შვიდთვიანო, — ვუთხარი და კურთხევის ნიშნად ხელი ავწიე.

ჩემი გამოწვევა არად ჩააგდო და ყეფა განაგრძო:

— ტვინში ბეტონი ჩაასხმევინე, დაჭმუჭნულო მაიმუნო-ძაღლიშვილო! მე დეკადენტური ბრტყელტერფიანობა დავწამე. მან გაქუცული კაკადუ მიწოდა. მე ვუთხარი, რომ უმუშევარი გვამების მექისე იყო. ამაზე პასუხად მან, უკვე პატივისცემით, კიბოიანი

ძროხის თავ-ფეხი მომაძახა. მე ვუთხარი, — ბოლო რომ მომეღო, — ბიფშტექსების მოხეტიალე სასაფლაო ხარ-მეთქი. უცებ სახე გაუნათდა.

— ბიფშტექსების სასაფლაო მაგარია! — თქვა მან, — არ გამიგონია. ჩემს რეპერტუარში შევიტან! აბა, ჰე...

ქუდი ამიწია და ერთმანეთის მიმართ პატივისცემით გამსჭვალულები დავიშალეთ.

მლანძღველმა გამომაცოცხლა. მაგრამ ჯავრი მაინც დამრჩა. რაც უფრო ვფხიზლდებოდი, მით უფრო მაწვებოდა. თავს გაწურული პირსახოცივით ვგრძნობდი. ნელ-ნელა უკვე მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ ვბრაზობდი, ყველაფერზე გავბრაზდი, გოგონაზეც. ჩემი დათრობის მიზეზი ხომ ის იყო. საყელო ავიწიე. ეფიქრა, რაც უნდოდა, ჩემთვის სულერთია, ის მაინც ეცოდინებოდა, რასთანა აქვს საქმე. ჯანდაბას, მორჩა და მორჩა, რაც იყო, იყო. რაღა ეშველებოდა. იქნებ ასე ჯობს კიდეც... ბარში დავბრუნდი და მართლა დავთვერი.

4

დათბა, ჰაერში ნესტი დატრიალდა და რამდენიმე დღე იწვიმა. მერე გამოიდარა, მზემ დააცხუნა, და პარასკევს, დილით, სამსახურში მისულმა ეზოში მატილდა შტოსი დავინახე, იღლიაში ამოჩრილი ცოცხით და გულაჩუყებული ბეჰემოთის სახით.

— შეხედე, რა, ბატონო ლოკამპ, რა დიდებულია! სასწაულია რა. სახტად დავრჩი. ბენზინგასამართთან ბებერი ქლიავის ხე ერთ ღამეში აყვავებულიყო.

მთელი ზამთარი დაგრეხილი და შიშველი იყო, ზედ ძველ საბურავებს ვკიდებდით ხოლმე და ტოტებზე მანქანის ზეთის ჭურჭელი გვქონდა გასაშრობად ჩამოცმული, თითქოს უბრალოდ მოსახერხებელი საკიდი ყოფილიყო ყველაფრისთვის, ჩვრებით დაწყებული და ძრავსაფრით დამთავრებული. სულ რამდენიმე დღის წინ ზედ ჩვენი ლურჯი ტილოს შარვლები ფრიალებდა, გუშინაც კი საამისო არაფერი ეტყობოდა — და უცებ, ერთ ღამეში, ხე გარდაიქმნა და ჯადოსნურად გადაიქცა ვარდისფერ და თეთრ ღრუბლად, ყვავილების ღრუბლად, თითქოს პეპლების გუნდს გზა აერია და ჩვენს ჭუჭყიან ეზოში ამოყო თავი...

— და სურნელი... — თქვა მიბნედილმა მატილდამ და თვალები აატრიალა, — საოცარია. თქვენი რომივითაა...

არაფრის სუნი არ მცემდა, მაგრამ უცებ მივუხვდი.

— უფრო კლიენტების კონიაკის სუნია, — მოვახსენე მე.

ენერგიულად შემეწინააღმდეგა.

— ბატონო ლოკამპ, ჩანს, გაციებული ხართ. შეიძლება, ცხვირში პოლიპებიც კი გქონდეთ. დღეს პოლიპები თითქმის ყველასა აქვს. არა, ბატონო, ბებერ შტოსს მეძებრის ყნოსვა აქვს, რომია, ძველი რომი... — კარგი, მატილდა...

ერთი ჭიქა რომი დავუსხი და ბენზინგასამართს მივაშურე. იუპი უკვე იქ იჯდა. წინ დაჟანგული კონსერვის ქილით აყვავებული ტოტები ედგა. — ეს რაღაა? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ქალბატონებისთვის, — ამიხსნა იუპმა, — ბენზინს რომ ჩაასხამენ, თითო ტოტი საჩუქრად ეკუთვნით. უკვე ოთხმოცდაათი ლიტრით მეტი გავყიდე. ამ ხეს ოქროს ფასი აქვს, ბატონო ლოკამპ. აქ რომ არ მდგარიყო, ჩვენ უნდა დაგვერგო.

— საქმიანი ბიჭი ხარ.

გაიკრიჭა. მზე მის ყურებში ატანდა, ეკლესიის ძოწისფერ ფანჯრებს მოგაგონებდათ.

— ორჯერ სურათიც გადამიღეს, — მომახსენა იუპმა, — ხის ფონზე. — დაიცა, კინოვარსკვლავიც გახდები, — ვუთხარი და ორმოსკენ წავედი. ფორდის ქვეშიდან ლენცი გამოხოხდა.

— რობი, — მითხრა მან, — რაღაც მოვიფიქრე. ბინდინგის გოგოს უნდა მივხედოთ.

მივაჩერდი.

— რას მეუბნები?

— იმას, რაც გითხარი. რას მომშტერებიხარ?

— არ მოგშტერებივარ...

— თვალები დაქაჩული გაქვს. იმ გოგოს რა ჰქვია? პატი, და მერე? — არ ვიცი, — მივუგე მე.

წამოდგა.

— არ იცი? მისამართი ხომ ჩაიწერე! ჩემი თვალით დავინახე. — ქაღალდი დამეკარგა.

— დაგეკარგაო! — ორივე ხელი ყვითელ ქოჩორში ჩაივლო, — და ამისთვის იყო, რომ ბინდინგი ერთი საათი გარეთ მყავდა გაკავებული! დაკარგა! კაი, იქნებ ოტოს ახსოვდეს.

— ოტომაც არ იცის..

შემომხედა.

— შე საცოდავო დილეტანტო! კიდევ უარესი! რა, არ იცი, რომ ზღაპრული გოგო იყო? ღმერთო ჩემო! — თვალები ზეცას აღაპყრო — როგორც კი გზაზე რაღაც წესიერმა ჩაუქროლა, ამ დუნდუკმა მისამართი დაკარგა!

— მე თუ მკითხავ, არც ეგეთი მაგარია — იმიტომ, რომ ვირი ხარ, — მომიგო ლენცმა, — შტერი, რომელსაც არაფერი უნახავს, რაც კაფე „ინტერნაციონალის“ ბოზების დონეს აღემატება! შე პიანისტო! კიდევ ერთხელ გეუბნები: იღბალი იყო, განსაკუთრებული იღბალი იყო ეს გოგო! ცხადია, შენ ასეთები არ გაგეგება! ნახე, რა თვალები ჰქონდა? ცხადია, არა... შენ შენს ჭიქას შესცქეროდი...

— მოკეტე, — შევაწყვეტინე, რადგან ჭიქის ამბავი გულზე მომხვდა.

— და ხელები, — განაგრძო ისე, რომ არაფრად ჩავუგდივარ — თხელი, გრძელი ხელები, მულატი ქალივით... გოტფრიდს ამ საქმისა გაეგება, დამიჯერე! წმინდაო მოსე! როგორც იქნა, ისეთი გოგო გამოჩნდა, როგორიც უნდა გამოჩენილიყო, ლამაზი, ბუნებრივი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკუთარი ატმოსფეროთი, — უცებ საკუთარ თავს შეაწყვეტინა, — საერთოდ, იცი, ატმოსფერო რას ნიშნავს?

— ჰაერი, რომლითაც საბურავებს ვბერავთ, — ვუპასუხე კუშტად. — რასაკვირველია, — მითხრა თანაგრძნობით და აგდებულად, — ჰაერი, რასაკვირველია! ატმოსფერო, აურა, გამოსხივება, სითბო, საიდუმლო — ის, რაც სილამაზეს სულს ჩაჰბერავს და აცოცხლებს. მაგრამ რაზე ვლაპარაკობ. შენი ატმოსფერო ხომ რომის წყურვილია.

— ახლა მოკეტე, თორემ თავში რამეს ჩაგცხებ, — შევუღრინე მე. მაგრამ გოტფრიდი ლაპარაკს განაგრძობდა და მე მისთვის არაფერი ჩამირტყამს. მას ხომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა მოხდა, და აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ მისი ყოველი სიტყვა გულზე მაგრად მხვდებოდა. განსაკუთრებით, სმასთან დაკავშირებული. უკვე მოვინელე და თავიც კარგად დავიმშვიდე; მაგრამ ახლა ისევ ყველაფერი წამომიტივტივდა. ის გოგონას აქებდა და აქებდა, და ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ მართლაც რაღაც განსაკუთრებული დავკარგე.

ექვს საათზე გაჯავრებული წავედი კაფე „ინტერნაციონალში“, ეს ჩემი თავშესაფარი იყო; ლენცმაც ხომ დამიდასტურა. ჩემდა გასაოცრად, როცა შევედი, დიდი ამბავი დამხვდა. დახლზე ტორტები და კექსი დაელაგებინათ და ბრტყელტერფა ალოიზი ყავის ჭურჭლით სავსე სინების ზრიალით უკანა ოთახში გარბოდა. შევდექი. ყავა, თან ყავადნებით? ალბათ მთელი კავშირი გალეწილი იწვა მაგიდების ქვეშ.

მაგრამ მასპინძელმა ყველაფერი ამიხსნა. დღეს უკანა ოთახში როზას მეგობრის, ლილის გამოსამშვიდობებელ საღამოს აღნიშნავდნენ. უცებ გამახსენდა. რასაკვირველია, მე ხომ დაპატიჟებული ვიყავი! თან, ერთადერთი მამაკაცი, როგორც როზამ მრავალმნიშვნელოვნად მომახსენა — მამათმავალი კიკიც აქ იყო, მაგრამ არ ითვლებოდა. სასწრაფოდ გავვარდი და ერთი თაიგული, ერთი ანანასი, ერთი ბავშვის საჩხრიალო და ერთი ფილა

შოკოლადი ვიყიდე.

როზა ბანოვნის ღიმილით შემეგება. შავი, დეკოლტირებული კაბა ეცვა და სუფრის თავში სუფევდა. ოქროს კბილები უციმციმებდა. პატარა გოგო მოვიკითხე და ცელულოიდის საჩხრიალო და შოკოლადი მივართვი. როზა ბრწყინავდა.

ანანასით და ყვავილებით ლილის მივუტრიალდი.

— იბედნიერე!

— ნამდვილი კავალერია და ყოველთვის კავალერი იქნება! — თქვა როზამ, — მოდი, რობი, ჩვენ შორის ჩაჯექი.

ლილი როზას საუკეთესო მეგობარი იყო. ზურგსუკან ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა მოტოვებული. ლილი ის იყო, რაც ყოველი მეძავის მიუწვდომელი ოცნებაა: სასტუმროს გოგო. სასტუმროს გოგო ქუჩაში არ დგას, ის სასტუმროში ცხოვრობს და ნაცნობობასაც იქ აბამს. ეს თითქმის არც ერთ მეძავს არ გამოსდის — ან გარდერობი არ უწყობს ხელს, ან ფული არ ჰყოფნის საიმისოდ, რომ კაცს დაელოდოს. მართალია, ლილი მხოლოდ პროვინციულ სასტუმროებში ცხოვრობდა; მაგრამ წლების განმავლობაში თითქმის ოთხი ათასი მარკა შეაგროვა. ახლა თხოვდებოდა. მის საქმროს პატარა სარემონტო სახელოსნო ჰქონდა. მან ლილიზე ყველაფერ იცოდა და მისთვის ეს სულერთი იყო მომავალში შეეძლო — მშვიდად ყოფილიყო. ასეთი გოგოები თუ თხოვდებოდნენ, სანდოები ხდებოდნენ კარგად იცოდნენ ამაოების ფასი და ყელში ჰქონდათ ამოსული. ერთგულები იყვნენ.

ლილი ორშაბათს თხოვდებოდა. დღეს როზამ გამოსამშვიდობებლად ყავის სუფრა გაუშალა. ყველა მოვიდა, რომ ლილისთან ერთხელაც გაეტარებინათ დრო. ქორწილის მერე აქ აღარ მოესვლებოდა.

— როზამ ყავა დამისხა. ალოიზი უშველებელი, ქიშმიშით, ნუშით და მწვანე ცუკატებით სავსე კექსით შემობაჯბაჯდა. როზამ

მოზრდილი ნაჭერი გადმომიღო. ვიცოდი, რაც უნდა მექნა. მცოდნე კაცივით მოვკბიჩე და დიდი გაოცება გამოვხატე.

— დასწყევლოს ღმერთმა, ეს მაღაზიისა არაა...

— ჩემი გამომცხვარია, — თქვა ბედნიერმა როზამ. ის საარაკო მზარეული იყო და სიამოვნებდა, როცა ამას აღიარებდნენ ხოლმე. განსაკუთრებით გულიაშსა და კექსში არ ჰყავდა ბადალი ტყუილად კი არ იყო ბოჰემიიდან.

მიმოვიხედე. მაგიდას უსხდნენ უფლის ვენახების მშრომელები, ადამიანთა უტყუარი მცოდნეები, სიყვარულის ჯარისკაცები — ვალი, მზეთუნახავი, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ღამეული გასეირნებიდან, თეთრი მელის ბეწვი მოიპარა; ხისფეხიანი ლინა, რომელიც საყვარლებს ჯერაც შოულობდა; ფრიცი, ნაბოზარი, რომელსაც ბრტყელტერფა ალოიზი უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის წინათ შეეძლო საკუთარი ბინის ქონაც და მისი ამტანი კაცის პოვნაც; წითელლოყება მარგო, რომელიც სულ მოახლის ტანსაცმელში დადიოდა და ელეგანტურ მამრებს ასე აბამდა; მარიონი, ყველაზე უმცროსი, გაბრწყინებული და უწყინარი; კიკი, რომელიც კაცად არ ითვლებოდა, იმიტომ რომ ქალის ტანსაცმელი ეცვა და იხატებოდა; მიმი, საცოდავი საქონელი, რომელიც ორმოცდახუთი წლის იყო და ვარიკოზული ვენების გამო სულ უფრო უჭირდა; ერთი-ორი ბარის ქალი და დიასახლისები, რომელთაც არ ვიცნობდი; და ბოლოს, მეორე საპატიო სტუმარი — რუხი და ზამთრის ვაშლივით დაჭმუჭნული დედიკო, ყველას მესაიდუმლე, ღამითმოსეირნეთა ნუგეში და იმედი, ნიკოლაის ქუჩის კუთხეში ძეხვებით მოვაჭრე დედიკო, მფრინავი ბუფეტი და ღამით — გადამცვლელი პუნქტი, რომელიც ფრანკფურტულ ძეხვებთან ერთად ჩუმად სიგარეტსა და რეზინის ნაწარმსაც ჰყიდდა შეიძლება ფულიც ესესხებინა.

წესები ვიცოდი. დღეს საქმეზე კრინტს არ დაძრავდნენ არც

ერთი უხეში სიტყვა არ გაისმებოდა. დავიწყებულია როზას საოცარი შრომისუნარიანობა, რომელმაც „რკინის ფაშატის“ მეტსახელი მოუტანა; დავიწყებულია ფრიცის და საქონლით მოვაჭრე შტეფან გრიგოლაითის საუბრები სიყვარულის შესახებ; დავიწყებულია კიკის ცეკვები ალიონზე, მარილიანი ბლითების კალათის ირგვლივ. აქაური საუბრები მანდილოსნების ნებისმიერ წრეს დაამშვენებდა.

— ყველაფერი მოაგვარე, ლილი? — ვკითხე მე.

თავი დამიქნია.

— მზითევი დიდი ხნის წინ მქონდა მომზადებული — არაჩვეულებრივი მზითევია, — თქვა როზამ, — მაქმანის გადასაფარებელიც არ აკლია.

— მაქმანის გადასაფარებელი რისი მაქნისია? — ვიკითხე მე — მომისმინე, რობი! — როზამ ისეთი საყვედურით შემომხედა, რომ სასწრაფოდ ვუთხარი, ვიცი-მეთქი. მაქმანის გადასაფარებლები, ავეჯის ხელით ნაქსოვი შალითები, — რასაკვირველია, ისინი წვრილბურჟუაზიული სიმყუდროვის სიმბოლო იყო, წმინდა სიმბოლო ქორწინების და დაკარგული სამოთხისა. ეს ქალები ხომ ვნებების გამო არ გაბოზებულან; ეს ისინი იყვნენ, ვისაც ბურჟუაზიულმა ყოფამ არ გაუმართლა. მათი გასაიდუმლოებული წადილი საქორწილო სარეცელი იყო და არა გარყვნილება. მაგრამ ამას არასოდეს აღიარებდნენ.

პიანინოს მივუჯექი. როზა ამას ელოდა. მას მუსიკა უყვარდა ისევე, როგორც ყველა ამ გოგოს. დამშვიდობებისას მისი და ლილის ყველა საყვარელი სიმღერა ერთხელაც დავუკარი. თავიდან — „ქალწულის ლოცვა“. სახელწოდება დუქანს მთლად არ შეესაბამებოდა, მაგრამ ომახიანი რამ იყო, ბევრი ზრიალ-ჟღრიალით. ამას მიჰყვა „ჩიტუნების საღამოს სიმღერა“, „მზის სხივი ალპების თავზე“, „როცა სიყვარული კვდება“, „არლეკინის მილიონები“

დაბოლოს — „კვლავ სამშობლოში მინდა“. ეს როზას განსაკუთრებით უყვარდა. ბოზები ყველაზე შეუვალები და, ამავე დროს, ყველაზე სენტიმენტალურები არიან. სიმღერას ყველა აჰყვა. მამათმავალმა კიკიმ მეორე ხმა მისცა.

ლილი წამოდგა თავისი საქმროსთვის უნდა მიეკითხა. როზამ გულითადად ჩაკოცნა.

— ჭკუით, ლილი! თავი არ დააჩაგვრინო!

ლილი საჩუქრებით დატვირთული წავიდა. ღმერთი, რჯული, ახლა სულ სხვა სახე ჰქონდა. წაშლილიყო მკაცრი ხაზები, რომელიც ნებისმიერს დაღარავს ხოლმე, ვისაც კი ადამიანთა სიმდაბლესთან აქვს საქმე; ლილის სახე დარბილებოდა, მართლაც ნორჩი გოგოსას უგავდა, კართან ვიდექით და ლილის ხელს ვუქნევდით. უცებ მიმიმ ტირილი დაიწყო. ერთხელ ის თავადაც გათხოვილი იყო. მისი ქმარი ომში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. რომ მოეკლათ, მიმის პატარა პენსია ექნებოდა და ქუჩაში გასვლა არ მოუწევდა. როზამ ზურგზე ხელი დაჰკრა. — ჰა, მიმი, ახლა არ დაიწყო! წამო, კიდევ თითო ყავა დავლიოთ.. მთელი საზოგადოება ჩაბნელებულ ინტერნაციონალში დაბრუნდა, როგორც ქათმები — საქათმეში. მაგრამ ხალისი აღარ იყო.

— ერთიც დაგვიკარი, რობი! — მითხრა როზამ, — გაგვამხნევე. — კარგი, — მივუგე მე, — მოდი, „ძველი მეგობრების მარში“ დავცხოთ.

მერე მეც დავემშვიდობე. როზამ ერთი შეკვრა ნამცხვარიც გამატანა. მე ის დედიკოს ვაჟს ვაჩუქე, რომელიც საღამოს ვაჭრობისთვის გარეთ ძეხვების დახლს აწყობდა.

ვფიქრობდი, რა მექნა. ბარში აღარანაირად აღარ მინდოდა; არც კინოში; სახელოსნოში? საათს ყოყმანით დავხედე. კიოსტერი დაბრუნდებოდა. თუ იქ იქნა, ლენცი საათობით ვეღარ შეძლებდა გოგონაზე ლაპარაკს. წავედი.

შუქი ენთო. არამარტო ოთახში — მთელი ეზო გაჩახჩახებული

იყო. მარტო კიოსტერი დამხვდა.

— რა ხდება, ოტო? — ვკითხე მე, — კადილაკი ხომ არ გაყიდე? კიოსტერმა გაიცინა.

— არა. უბრალოდ, გოტფრიდმა პატარა ილუმინაცია მოაწყო.

კადილაკის ორივე ფარი ანთებული იყო. მანქანა ისე დაეყენებინათ, რომ შუქი ფანჯრიდან ეზოს ეცემოდა, ზედ თეთრად აყვავებულ ქლიავის ხეს. საუცხოო სანახავი იყო, ცარცივით თეთრი, ორივე მხრიდან შემოწოლილი სიბნელე თითქოს ზღვასავით შრიალებდა.

შესანიშნავია, — ვთქვი მე, — თვითონ სადაა?

— საჭმელი მოაქვს.

— დიდებული აზრია, — ვუთხარი, ცოტა არეული ვარ. შეიძლება, შიმშილის ბრალიცაა.

კიოსტერმა თავი დამიქნია.

— ჭამა ყოველთვის კარგია. ეს ყველა ძველი მეომრის კანონია. დღეს ნაშუადღევს ცოტა მეც ავურიე. კარლი რბოლაზე ჩავწერე.

— რაო? — ვთქვი მე, — რა, ექვსში?

თავი დამიქნია.

— ჯანდაბა შენ, ოტო. იქ ხომ სულ მამები იქნებიან ისევ თავი დამიქნია.

— ბრაუმიულერის სპორტული მანქანების კლასიდან სახელოები დავიკაპიწე.

— აბა, წამო, ოტო! დიდი ზეთის აბაზანა ჩვენს საყვარელ ბიჭს! — შესდექ! — დაიძახა უკანასკნელმა რომანტიკოსმა, რომელიც იმწამს შემოვიდა, — ჯერ დავპურდეთ!

ვახშამი ამოალაგა, — ყველი, პური, ქვასავით მაგარი შებოლილი ძეხვი და შპროტი. ზედ ჩაციებული ლუდი დავაყოლეთ. დამშეული მთიბავების ბრიგადასავით ვჭამეთ. მერე კარლს მივ-

ხედეთ. ორი საათი თავს დავტრიალებდით, ყველაფერი შევამოწმეთ, ყველაფერი დავზეთეთ. მერე მე და ლენცმა მეორედ ვივახშმეთ. გოტფრიდმა ფორდის ფარებიც ჩართო. დარტყმისას ერთი ფარი შემთხვევით გადარჩენილიყო. ახლა ის გაღუნული შასიდან პირდაპირ ზეცას შესცქეროდა.

ლენცი კმაყოფილი მომიტრიალდა.

— აბა, რობი, ბოთლები მოიტანე. აყვავებული ხის ზეიმი უნდა აღვნიშნოთ.

კონიაკი, ჯინი და ორი ჭიქა მაგიდაზე დავდგი.

— შენ? — მკითხა გოტფრიდმა.

— არ ვსვამ.

— რაო? რატომ არა?

— იმიტომ რომ ეს წყეული ლოთობა აღარ მინდა.

ლენცი ერთხანს მათვალიერებდა, — ბავშვი გაგვიგიჟდა, ოტო, — უთხრა მერე კიოსტერს.

— დაანებე. არ უნდა და ნუ უნდა, — მიუგო კიოსტერმა.

— ლენცმა ჭიქა შეივსო.

— ეს ბოლო დროა, ბიჭი გიჟადაა.

— უარესი არაფერი მომხდარა? — ვიკითხე მე.

მოპირდაპირე მხარეს, ფაბრიკის თავზე, დიდი და წითელი მთვარე ამოვიდა. ცოტა ხანს ვისხედით და ვდუმდით.

— ერთი მითხარი, გოტფრიდ, — დავიწყე მე, — შენ ხომ სიყვარულის ამბებში მაგრად ერკვევი, არა?

— ვერკვევიო? სიყვარულის დიდოსტატი ვარ, — მომიგო ლენცმა მორცხვად.

— ძალიან კარგი. მაინტერესებს, ამ დროს ყოველთვის სულელურად იქცევიან?

— რას ჰქვია, სულელურად?

— აი, ისე, თითქოს ნასვამი იყო. ბოდიალობ რაღაცას და სისულელეებს ლაპარაკობ და იტყუები.

ლენცს სიცილი აუტყდა.

— ბიჭო! ყველაფერი სულ ტყუილია. დედაბუნების შესანიშნავი ტყუილი. ამ ქლიავს შეხედე! ესეც იტყუება. თავს ილამაზებს. სიყვარულს სიმართლესთან რა საქმე აქვს, ეგ საშინელება იქნებოდა. დიდება ღმერთს, წყეული ეთიკის სპეციალისტები ჯერ ყველაფერს ვერ იმონებენ წამოვდექი.

— რას ამბობ, რომ ტყუილის გარეშე საერთოდ არაფერი გამოვა? — სულ არაფერი, შვილო.

— მაგრამ ასე ხომ თავს მაგარ სასაცილოდ გაიხდი ლენცი გაიკრიჭა.

— დაიმახსოვრე, ბიჭო: თუ ქალის გამო რამეს აკეთებ, მისი დასაცინი არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ გახდები. ყველაზე სულელური წარმოდგენაც რომ გამართო. რაც გინდა, ის ქენი: თავზე დადექი, სრული სიშტერე ილაპარაკე, გაიფხორე, ფარშევანგივით, ფანჯარასთან უმღერე. ოღონდ ერთი რამე არ ქნა: ნუ იქნები საქმიანი, ნუ იქნები გონიერი გამოვცოცხლდი, — შენ რას იტყვი, ოტო?

კიოსტერმა გაიცინა.

— ალბათ, ასეა.

ის წამოდგა და კარლის ძრავას ახადა. ჩემი რომის ბოთლი და ჭიქა მოვიტანე და მაგიდაზე დავდგი. ოტომ მანქანა დაქოქა. ძრავა ღრმად და თავშეკავებულად თუხთუხებდა. ლენცს ფეხები ფანჯრის რაფაზე ჰქონდა შელაგებული და გარეთ იცქირებოდა. მის გვერდით დავჯექი. — ქალთან ერთად როცა ყოფილხარ, დამთვრალხარ?

— ხშირად, — მიპასუხა ისე, რომ არც განძრეულა.

— მერე?

ცერად გადმომხედა.

— რას გულისხმობ, რამე თუ მიქარე? ბოდიში არასოდეს მოიხადო, პატარავ. არ ილაპარაკო. ყვავილები გაუგზავნე. ბარათი

— არა. მხოლოდ ყვავილები. ყვავილები ყველაფერს ფარავს. საფლავებსაც კი. შევხედე. არ ინძრეოდა. გარედან შემოსულ თეთრ შუქში თვალები უბრჭყვიალებდა. ძრავა კვლავ მუშაობდა, ჩუმად გუგუნებდა, თითქოს ჩვენ ქვეშ მიწა იძვროდა.

— დავლევდი რამეს, — ვთქვი და ბოთლი გავხსენი.

კიოსტერმა ძრავა გამორთო. მერე ლენცს მიუტრიალდა.

— მთვარე საკმარისად ანათებს, კაცმა რომ ჭიქას მიაგნოს, გოტფრიდ. ილუმინაცია გამორთე. განსაკუთრებით, ფორდისა. ეს წყეული ომის დროინდელ ირიბ სხივებს მაგონებს. ღამით, როცა თვითმფრინავებს მისწვდებოდნენ ხოლმე, ბევრი ვერაფერი ხალისი იყო.

ლენცმა თავი დაუქნია.

— მე კი იმას მაგონებს... კაი, სულერთია... — ადგა და ფარები გამორთო. მთვარე ფაბრიკის სახურავის თავზე ამოიწვერა. სულ უფრო ნათდებოდა და ქლიავის ტოტებში ყვითელი ლამპიონივით ეკიდა. ნაზი სიო ტოტებს ჩუმად არხევდა.

— უცნაურია, — თქვა ცოტა ხანში ლენცმა, — რატომაა, რომ ძეგლებს ათასი ჯურის ადამიანებს უდგამენ... არ ჯობს, მთვარეს ან აყვავებულ ხეს დაუდგან?

სახლში ადრე მივედი. დერეფნის კარი რომ გავაღე, მუსიკა შემომესმა. ერნა ბიონიგის, მდივნის გრამოფონი იყო. ქალი ჩუმი, წკრიალა ხმით მღეროდა. მერე ვიოლინოები და ბანჯოს პიციკატო შემოიჭრა. და ისევ ხმა, გულის ამაჩუყებელი, რბილი, თითქოს ბედნიერებით აღვსილი, მივაყურადე, რომ სიტყვები გამეგო. უჩვეულოდ სულშიჩამწვდომად ჟღერდა ამ ქალის ჩუმი სიმღერა, აქ, ბნელ დერეფანში, ქალბატონ ბენდერის საკერავ მანქანასა და ჰასეების ჩემოდნებს შორის. სამზარეულოს თავზე ტახის თავის ფიტულს ავხედე. მოახლე გოგო ჭურჭელს აჩხრიალებდა.

— უშენოდ როგორ ვცხოვრობდი, — მღეროდა ქალი სულ ორ

ნაბიჯში, კარს უკან.

მხრები ავიჩეჩე და ჩემს ოთახში შევედი.

გვერდიდან გაცხოველებული კამათი ისმოდა. ორ წუთში ჩემს კარზე კაკუნი გაისმა და ჰასე შემოვიდა.

— ხელს გიშლით? — მკითხა დაღლილმა.

— სულ არა, — ვუპასუხე, — დალევთ რამეს?

— არა, ასე აჯობებს. უბრალოდ, ჩამოვჯდები.

უაზროდ იყურებოდა.

— თქვენ რა გიშავთ, — მითხრა მან, — მარტო ხართ...

— რა სისულელეა, — მივუგე მე, — სულ ასე მარტო ჯდომაც არაა სახარბიელო, დამიჯერეთ.

სავარძელში მოკუნტული იჯდა. ფანჯარაში არეკლილი ნათურების მკრთალ შუქზე თვალები შუშისას მიუგავდა. ვიწრო, ჩამოყრილი მხრები... — ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წარმომედგინა, — მითხრა ცოტა ხნის მერე.

— ყველა ასეა, — ვუთხარი მე.

ნახევარ საათში ისევ გავიდა, რომ თავისი ცოლისთვის გაეძლო. — რამდენიმე გაზეთი და კარადაში ოდესღაც შედგმული ნახევარი ბოთლი კურასაო გავატანე — უსიამოვნო, ტკბილი რაღაცა, მაგრამ მისთვის საუკეთესო იყო. მას ხომ ამის არაფერი გაეგებოდა.

ჩუმად გავიდა, ლამის უხმოდ, ჩრდილში მდგომი ჩრდილი, თითქოს უკვე გამქრალიყო. კარი მივუხურე და დერეფნიდან ჭრელი აბრეშუმის ნაკუწივით კვლავ მუსიკა შემომიქროლდა — ვიოლინოები, მოგუდული ბანჯო — „უშენოდ როგორ ვცხოვრობდი...“

ფანჯარას მივუჯექი. გარეთ, მთვარის ლურჯ სხივებში, სასაფლაო გადაშლილიყო. მანათობელი რეკლამის ფერადი კამათლები კენწეროებს მიუყვებოდა და სიბნელეში საფლავის ქვებს აციალებდა. მშვიდი სასაფლაო, საშიში არაფერი. იქვე მანქანები

აპიპინებდნენ და ფარების შუქი ამოქარულ წარწერებზე გადაირბენდა ხოლმე.

კარგა ხანს ვიჯექი და ათას რამეზე ვფიქრობდი. იმაზეც, ომიდან როგორ დავბრუნდით, ახალგაზრდები, იმედდაკარგულები, ჩამონგრეული მაღაროდან გამოსული მაღაროელებივით. საპროტესტო მარში უნდა გაგვემართა ტყუილის, ეგოიზმის, სიხარბის, უგულობის წინააღმდეგ — რაც გამოვიარეთ, სულ ამის ბრალი იყო. გაქვავებულები ვიყავით და არაფრის გვწამდა, გვერდით მდგომი მეგობრის გარდა. და კიდევ, იმისა, რასაც არასოდეს მოვუტყუებივართ: ცის, თამბაქოსი, ხის და პურის და მიწისა. მაგრამ რა გამოვიდა? ყველაფერი დაგვენგრა, გაყალბდა და დავიწყებას მიეცა. ხოლო ვისაც დავიწყება არ შეეძლო, მას მხოლოდ უძლურება, იმედგაცრუება, გულგრილობა და სასმელი შერჩა. დიდი ადამიანური და მამაკაცური ოცნებების დრო გავიდა. საქმოსნები გამარჯვებას ზეიმობდნენ. ზეიმობდა კორუფცია. და სიღატაკე.

„თქვენ რა გიშავთ, მარტო ხართ“, თქვა ჰასემ. ძალიან კარგია — ვინც მარტოა, იმას ვერც მიატოვებენ. მაგრამ ზოგჯერ, საღამოობით, ხელოვნურად ნაგები სიმაგრე ინგრეოდა და ცხოვრება მოსლუკუნე, აჩქარებულ მელოდიად იქცეოდა, ველური მონატრების, წადილის, დარდის და იმედის ნარევად, იმედისა, რომ თავს დააღწევ ამ უაზრო გაბრუებას, მარადიული არღნის უაზრო ზუზუნს, და სულერთია, სად აღმოჩნდები. რა საცოდავი მოთხოვნილებაა: სულ ცოტა სითბო. რა მოხდებოდა, ორი ხელი რომ იყოს აქ და ჩემკენ დახრილი სახე? თუ ესეც შეცდომაა, უარყოფა და გაქცევა? ნეტა, მარტოობის გარდა რამე თუ არსებობს?

ფანჯარა დავხურე. არა, სხვა არაფერი არსებობს. სხვა ყველაფრისთვის ფეხზე სათანადოდ მყარად ვერ ვიდექი.

მაგრამ მეორე დილას ადრიანად გავედი და სახელოსნოში

მისვლამდე ყვავილების პატარა მაღაზიის მფლობელის ბინის კარზე დავაკაკუნე. მასთან ერთად ვარდის თაიგული ავარჩიე და ვუთხარი, რომ სასწრაფოდ უნდა გაეგზავნა. ცოტა უჩვეულო გრძნობა მქონდა, როცა ბარათზე ნელა ვწერდი: პატრის ჰოლმა-ნი.

5

ფინანსთა სამმართველოში წასასვლელად კიოსტერმა ყველაზე ძველი კოსტიუმი ჩაიცვა. ჩვენი გადასახადების შემცირება უნდა ეცადა. მე — და ლენცი სახელოსნოში მარტოები დავრჩით.

— მიდი, გოტფრიდ, — ვუთხარი მე, — ეცი ამ მსუქან კადილაკს. წინა საღამოს ჩვენი განცხადება გამოქვეყნდა. ასე რომ, დღეს უკვე კლიენტებს ველოდით, — თუ საერთოდ ვინმე მოვიდოდა, მანქანა მზად უნდა ყოფილიყო.

ჯერ ლაკი გავაპრიალეთ. კადილაკი ალაპლაპდა და ასი მარკით უფრო ძვირიანს დაემსგავსა. მერე მოტორში ყველაზე ბლანტი ზეთი ჩავასხით, რაც კი გვებადა. ცილინდრები მთლად პირველი ხარისხის ვეღარ იყო და ცოტა ხმაურობდა. ბლანტმა ზეთმა გაასრიალა და მანქანა შესანიშნავად, ჩუმად მუშაობდა. სიჩქარეების კოლოფში და დიფერენციალშიც სქელი ზეთი ვუთავაზეთ, რომ მთლად ჩაგვეჩუმებინა.

მერე გავედით. სიახლოვეში გზის ძალიან ცუდი მონაკვეთი გვეგულებოდა. ორმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით გავი-

არეთ. ძარა კაკუნებდა. საბურავებიდან ერთი მეოთხედი ატმოსფერო ჰაერი გამოვუშვით და ერთხელაც ვცადეთ. ცოტა ეშველა. კიდევ ერთი მეოთხედი გამოვუშვით. ახლა აღარაფერი იძროდა.

დავბრუნდით, ჭრიალა ძრავსაფარი დავზეთეთ, ცოტა რეზინი ჩავუფინეთ, რადიატორში ცხელი წყალი ჩავასხით, რომ ძრავა უმალვე დაქოქილიყო, და მანქანა ქვემოდან კიდევ ერთხელ ნავთით დავნამეთ, რომ იქაც ეპრიალა. მერე გოტფრიდ ლენცმა ხელები ზეცად აღაპყრო.

— მობრძანდი, დალოცვილო მყიდველო! მოდი, საფულის საყვარელო მფლობელო! გელით, როგორც ნეფე — პატარძალს!

პატარძალმა გვალოდინა. ამიტომ ხაბაზის რაში ორმოზე შევაყენეთ და წინა ხიდს დავუწყეთ ჩხიკინი. ორიოდ საათი ჩუმად ვიმუშავეთ, ბევრი არ გვილაპარაკია. მერე გავიგონე, რომ იუპი ბენზინგასამართთან სიმღერას უსტვენდა: „ყური უგდეთ, ეს რა მოსულა...“

ორმოდან ამოვძვერი და ფანჯარაში გავიხედე. კადილაკს პატარა, ჯმუხი კაცი უტრიალებდა. ბიურგერული და სოლიდური იერი ჰქონდა. — შეხედე ერთი, გოტფრიდ, — წავჩურჩულე, — ესაა პატარძალი? — აბა, რა, — მითხრა ლენცმა დანახვისთანავე, — სახეს შეხედე. მარტო დგას და სახეზე უკვე უნდობლობა აწერია. მიდი, მიხედე! მე აქ, რეზერვში დავრჩები. თუ ვერაფერი ქენი, მეც მოვალ. ჩემი ხრიკები არ დაგავიწყდეს!

— კაი.

გავედი, კაცმა ჭკვიანი, შავი თვალები შემაგება. გავეცანი.

— ლოკამპი.

— ბლუმენთალი.

ეს გოტფრიდის პირველი ხრიკი იყო: თავი უნდა წარგედგინა. ამტკიცებდა, ატმოსფერო უცებ უფრო ინტიმური ხდებაო. მისი მეორე წესის თანახმად, ძალიან თავშეკავებულად უნდა დაგეწყო

და კლიენტისთვის უნდა მოგესმინა, და მერე იქ მისწოლოდი, სადაც საჭირო იქნებოდა. — კადილაკის გამო მობრძანდით, ბატონო ბლუმენთალ? — ვკითხე მე. ბლუმენთალმა თავი დამიქნია.

— იქა დგას, — ვთქვი და მივუთითე.

— ვხედავ, — მომიგო ბლუმენთალმა.

წამით გავხედე. „ყურადღება!“ გავიფიქრე, „მუხანათი კაცია!“ ეზო გადავჭერით. მანქანის კარი გავაღე და დავქოქე. მერე გავჩუმდი, ბლუმენთალს დათვალიერება ვაცადე. რამეს მაინც გააკრიტიკებდა; აი, იქ კი ჩავირთვებოდი.

მაგრამ ბლუმენთალი არაფერს ათვალიერებდა. არც არაფერი დაუწუნებია. დუმდა და კერპივით იდგა. რაღა დამრჩენოდა, მე შევუტიე.

ნელა და სისტემურად შევუდექი კადილაკის შესახებ თხრობას, როგორც დედა იტყოდა თავისი შვილის სადიდებელს, და თან ვცდილობდი, გამერკვია, კაცი საერთოდ რამეს თუ ხვდებოდა. თუ პროფესიონალი იყო, ძრავაზე და შასიზე მეტი უნდა მელაპარაკა, თუ არაფერი გაეგებოდა — კომფორტზე და ზიზილ-პიპილებზე.

მაგრამ ვერც ახლა გავარკვიე რამე. მალაპარაკა, სანამ ბუშტივით არ დავიჩუტე.

— რისთვის ყიდულობთ მანქანას? ქალაქში სატარებლად თუ სამოგზაუროდ? — ვკითხე ბოლოს, რომ რამეს მაინც მოვჭიდებოდი.

— ყველაფრისთვის, — ამიხსნა ბლუმენთალმა.

— აჰა! და თავად უნდა ატაროთ, თუ მძღოლი გყავთ?

— გააჩნია.

გააჩნია. კაცი თუთიყუშივით მპასუხობდა. როგორც ჩანს, მდუმარე ძმების ორდენის წვერი იყო.

მის გასამხნევებლად ვეცადე, რამე თავად მოესინჯა ჩვეულებ-

რივ, ასეთ დროს კლიენტები იხსნებოდნენ ხოლმე. თან შემეშინდა, არ დაიძინოს-მეთქი. — ასეთი დიდი კაბრიოლეტის კვალობაზე ძრავსაფარი ძალიან მსუბუქად იწევა, — ვთქვი მე, — აბა, თქვენ თვითონ დახურეთ ცალი ხელითაც მოერევით.

მაგრამ ბლუმენთალმა ბრძანა, არაა საჭიროო. ვხედავო. კარები მივაჯახუნე და სახელურებს დავეჯაჯგურე.

— სრულიად უცვეთია. გადასახადებივით მტკიცე. აბა, სცადეთ. ბლუმენთალმა არ სცადა. ჩათვალა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო წყეული კერკეტი კაკალი.

ფანჯრები ვაჩვენე.

— სულ თამაშ-თამაშით იწევა. ნებისმიერ სიმაღლეზე გააჩერებთ. არ იძვროდა.

— თან შუშა არ ტყდება, — განვაგრძე, უკვე ოდნავ დაბნეულმა, — უზარმაზარი უპირატესობაა! იქ, სახელოსნოში, ფორდი დგას... — ხაბაზის ცოლის ამბავი ვუთხარი და ცოტა შევალამაზე კიდეც, ანუ ერთი ბავშვიც დავღუპე.

მაგრამ ბლუმენთალს სეიფის ჯიგარი ჰქონდა.

— შუშები ხომ ყველა მანქანასა აქვს, — შემაწყვეტინა, — განსაკუთრებული არაფერია.

— არამსხვრევადი შუშები მანქანას ქარხნული წესით არ მოჰყვება, — არ შევეპუე, მტკიცედ და ნაზად, — დიდი-დიდი, საქარე მინის ზოგი სახეობა იყოს ასეთი. მაგრამ გვერდითა დიდი ფანჯრები — არასოდეს.

დავაპიპინე კიდეც და შიდა კომფორტის აღწერაზე გადავედი — საბარგული, სავარძლები, ჯიბეები, მართვის პანელი... ყველა წვრილმანი აღვნიშნე, ბლუმენთალს სანთებელაც კი გავუწოდე, და დრო ვიხელთე, სიგარეტი შევთავაზე, რომ ცოტა მაინც გამეცოცხლებინა უარი მითხრა.

— არ ვეწევი, გმადლობთ, — მითხრა და ისე მოწყენილმა შემომხედა რომ უცებ საშინელმა აზრმა გამიელვა: იქნებ სულაც

ჩვენთან არ მოსულა, იქნებ აერია და სულ სხვა რამის ყიდვა უნდოდა, ღილკილოების საკერავი მანქანის, ან რადიოაპარატის. ახლა კი უბრალოდ დაბნეულია იდგება ასე, და მერე გზას განაგრძობს.

— გავიაროთ, ბატონო ბლუმენთალ, ვცადოთ, — შევთავაზე ბოლოს, ილაჯგაწყვეტილმა.

— ვცადოთ? — ისე იკითხა თითქოს რამე უხამსობა მეთქვას.

— ჰო, ვცადოთ, გავიაროთ. ხომ უნდა ნახოთ, რისი მაქნისია. გზაზე როგორ მისრიალებს, როგორც რელსებზე, და ეს მძიმე კაბრიოლეტი ბუმბულივით — აჰ, გავიაროთ... — ხელი აიქნია, — ასეთი გასეირნებით ვერაფერს მიხვდება კაცი. მანქანის ნაკლს მერეღა ამჩნევ.

რასაკვირველია, თუჯის სატანავ“, ვფიქრობდი გაბრაზებული, აბა, რა გგონია, ყველა ნაკლზე ცხვირს დაგადებინებ?

— კარგი, ნუ გავივლით, — ვთქვი და ყოველგვარი იმედი დავკარგე. კაცს არ უნდა, გასაგებია.

მაგრამ მერე უცებ მომიტრიალდა, თვალებში ჩამხედა და ჩუმად, — მკაცრად და ძალიან სწრაფად მკითხა:

— რა ღირს მანქანა?

— შვიდი ათასი მარკა, — ვუპასუხე, თითქოს გავისროლე, თვალის დაუხამხამებლად. ამდენი კი ვიცოდი: ამ კაცს არ უნდა შეემჩნია, რომ ფასი იმწამს დავადე. ყოყმანის ყოველი წამი შეიძლება ათასი მარკა დამჯდომოდა, ივაჭრებდა. — შვიდი ათასი მარკა, სუფთად, — გავიმეორე მტკიცედ და ვიფიქრე: „თუ ხუთს შემომთავაზებ, შენია.“

მაგრამ ბლუმენთალმა არაფერი შემომთავაზა. მხოლოდ ამოიხვნეშა:

— ძვირია!

— რასაკვირველია! — ვთქვი და ხელი საბოლოოდ ჩავიქნიე.

— რას ნიშნავს — რასაკვირველია? — ბლუმენთალმა უცებ შედარებით ადამიანურად მკითხა.

— ბატონო ბლუმენთალ, — მივუგე მე, — დღეისათვის ვინმეს თუ შეხვედრიხართ, ვინც რამე ფასზე სხვა რამეს იტყოდა?

ყურადღებით შემომხედა. მერე მის სახეზე ღიმილის მსგავსი რამ გაკრთა.

— ეგრეა. მაგრამ მანქანა მართლა მეტისმეტად ძვირია ყურებს არ დავუჯერე. მეღირსა, ეს უკვე სწორი ტონი იყო! დაინტერესებულის ტონი! თუ კიდევ ახალი წყეული ოინია?

— იმწამს ეზოში ელეგანტური დენდი შემოვიდა, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, სახლის ნომერი ერთხელაც შეამოწმა და ჩემკენ დაიძრა.

— კადილაკი აქ იყიდება?

თავი დავუქნიე და დენდის ყვითელ ხელჯოხს და ტყავის ხელთათმანებს ნებს უსიტყვოდ მივაჩერდი.

— შეიძლება, ვნახო? — დაკითხვა განაგრძო, ისე, რომ სახე არ შესცვლია. - აგერაა, ვუთხარი - მაგრამ იქნებ ერთი წუთი მოითმინოთ, ჯერ საქმე მაქვს. შიგნით ხომ არ დამელოდებოდით?

დენდიმ წამით მოტორის ღუღუნს დაუგდო ყური, ჯერ კრიტიკული სახე მიიღო, მერე მოიწონა, და სახელოსნოში გამომყვა.

— იდიოტო, — შევუღრინე და ბლუმენთალს სასწრაფოდ დავუბრუნდი. — მანქანა ერთხელ რომ გაგეტარებინათ, ფასზე სულ სხვა აზრისა იქნებოდით, — ვუთხარი მე, — რამდენ ხანსაც გენებოთ, ატარეთ. თუ გნებავთ, საღამოს გამოგივლით და გამოსაცდელად გავიაროთ, თუ ასე უფრო გაწყობთ.

მაგრამ ძვრა წამიერი აღმოჩნდა. ბლუმენთალი კვლავ გრანიტის ლოტბარივით იდგა.

— შეეშვით, — თქვა მან, — უნდა წავიდე. თუ გავლას გადავწყვეტ, დაგირეკავთ.

მივხვდი, ვეღარაფერს გავაწყობდი ამ კაცთან ლაპარაკს აზრი

არ ჰქონდა.

— კარგი, — დავთანხმდი, — თუ გინდათ, თქვენი ტელეფონის ნომერი მომეცით, და თუ სხვა ვინმე დაინტერესდა, მოგახსენებდით.

ბლუმენთალმა უცნაურად შემომხედა.

— დაინტერესებული ჯერ მყიდველს არ ნიშნავს.

პორტსიგარი ამოიღო და გამომიწოდა. უცებ მწეველი ყოფილა. თან „კორონა-კორონას“ ეწეოდა, ეტყობა, ფული თავზესაყრელად ჰქონდა. მაგრამ ჩემთვის ეს უკვე სულერთი იყო, სიგარა გამოვართვი. ხელი მეგობრულად ჩამომართვა და წავიდა. თვალი გავაყოლე და ჩუმად, მაგრამ საფუძვლიანად დავწყევლე. მერე სახელოსნოში დავბრუნდი, — აბა, — მომეგება ელეგანტური გოტფრიდ ლენცი, — როგორი იყო? გიყურე, როგორ მარტვილობდი, და ხელი გაგიმართე. კიდევ კარგი, — ოტომ საფინანსოსთვის გამოიცვალა. მისი კოსტიუმი დავინახე, აგერ ეკიდა, წამში ჩავიცვი, ფანჯრიდან გადავხტი და ისევ დავბრუნდი, სერიოზული მყიდველი! ჰა, როგორი იყო?

— იდიოტური, — მივუგე მე, — ეს კაცი ორივეს ჯიბეში ჩაგვისვამს! სიგარას შეხედე! მარკა და ორმოცდაათი ღირს. მილიარდერი გამიგდე.

გოტფრიდმა სიგარა გამომართვა, დაყნოსა და მოუკიდა.

— ცრუპენტელა გაგიგდე. მილიარდერები ასეთ სიგარებს არ ეწევიან. გროშიანებს ეწევიან ხოლმე.

— რა სისულელეა, — ვუპასუხე, — ცრუპენტელებს ბლუმენთალი არ ჰქვიათ. გრაფ ბლუმენაუს ან რამე ასეთს ირქმევენ ხოლმე.

— ეგ კაცი დაბრუნდება, — თქვა ლენცმა, როგორც ყოველთვის, იმედებით აღსავსემ, და შემომაბოლა.

— ეს არ დაბრუნდება — ვუთხარი დარწმუნებით, — ბამბუკის ხელჯოხი და ხელთათმანები საიდან?

— ვითხოვე. იქით, ბენის და კომპანიის მაღაზიაში. გამყიდველ ქალს ვიცნობ. ხელჯოხი იქნებ დავიტოვო კიდეც. მომწონს.

თვითკმაყოფილმა ლენცმა ჰაერი ჯოხით გააპო.

— გოტფრიდ, — ვუთხარი, — შენი აქ ყოფნა საცოდაობაა. იცი, რა? ვარიეტეში წადი. იქაა შენი ადგილი.

— დაგირეკეს, — მითხრა ფრიდამ, ქალბატონი ცალევსკის ელამმა მოახლე გოგომ, როცა შუადღისას შინ შევირბინე.

მივუტრიალდი.

— როდის?

— ნახევარი საათია. ქალი იყო.

— მერე, რაო, ქალმა?

— საღამოს კიდევ დარეკავს. მაგრამ მე ეგრევე ვუთხარი, რომ აზრი არა აქვს. რომ საღამოობით შინ არ ხართ ხოლმე.

მივაშტერდი.

— რაო? ასე უთხარით? ღმერთო, ნეტა თქვენთვის ტელეფონით ლაპარაკი ესწავლებინათ!

— ტელეფონით მშვენივრად ვლაპარაკობ! — ამიხსნა ფრიდამ გამომწვევად, — და თქვენც არ ხართ ხოლმე საღამოობით.

— რა შენი საქმეა, — გავბრაზდი, — სხვა დროს ისიც თქვით ხოლმე, რომ დახეული წინდა მაცვია, — რატომაც არა, — არ შემეპუა ფრიდა და წითელი, ანთებული თვალებით ავად შემომხედა. ჩვენ ძველი მტრები ვიყავით.

დიდი სიამოვნებით ჩავაყუდებდი სუპის ქვაბში, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე, ხელი ჯიბეში ჩავიყავი, ერთი მარკა მივაჩეჩე და შემრიგებლურად ვკითხე:

— ქალმა სახელი არ გითხრათ?

— არა, — მითხრა ფრიდამ.

— როგორი ხმა ჰქონდა? ცოტა ბოხი და დაბალი, ხრინწიანი-

ვით? — მე რა ვიცი, — მიპასუხა ფრიდამ ისე ფლეგმატურად, თითქოს მარკა არასოდეს მიმეჩეჩებინოს.

— რა ლამაზი ბეჭედი გიკეთიათ, მართლა თვალწარმტაცია, — ვუთხარი მე, — აბა, დაფიქრდით, იქნებ რამე გაგახსენდეთ.

— არა, — მომიგო ფრიდამ, და სახე მავნე სიხარულით გაუნათდა. — მაშ, წადი და თავი ჩამოიხრჩე, სატანის ცოცხო, — შევუღრინე და ჩემ გზაზე წავედი.

საღამოს, ზუსტად ექვსზე, შინ ვიყავი. კარი რომ გავაღე, თვალწინ უჩვეულო სურათი გადამეშალა. დერეფანში ქალბატონი ბენდერი იდგა, ჩვილების მომვლელი; და გარს მთელი პანსიონის ქალები ეხვეოდნენ. — ერთი, აქ მოდით, — მითხრა ქალბატონმა ცალევსკიმ.

თავყრილობის მიზეზი ბაფთით მორთული ჩვილი იყო, ექვსიოდე თვისა. ქალბატონმა ბენდერმა ის თავშესაფრიდან ეტლით მოიყვანა. სრულიად ჩვეულებრივი ბავშვი იყო, მაგრამ ქალები ისეთი გიჟური აღტაცებით დასცქეროდნენ, თითქოს ამქვეყნად მოვლენილი პირველი ბავშვი ყოფილიყო.

ხითხითებდნენ, პატარა არსებას თვალებთან თითებს უთამაშებდნენ და ტუჩებს აწკლაპუნებდნენ. პლატონური დედაშვილობის ამ ორგიაში ერნა ბიონიგიც კი მონაწილეობდა თავისი დრაკონებიანი კიმონოთი. — ხომ უსაყვარლესი არსებაა? — მკითხა თვალებმიბნედილმა ქალბატონმა ცალევსკიმ.

— ამაზე ერთი ოცი, ოცდაათი წლის მერე შეიძლება ლაპარაკი, — ვუთხარი და თვალი ტელეფონისკენ გავაპარე. იმედია, მაინცდამაინც მაშინ არ დარეკავდა, როცა ყველა აქ იყო თავშეყრილი.

— კარგად შეხედეთ, — მომიწოდა ქალბატონმა ჰასემ.

შევხედე. ჩვეულებრივი ჩვილი იყო. განსაკუთრებული ვერა-

ფერი აღმოვაჩინე. დიდი-დიდი, ის, რომ საშინლად პატარა ხელები ჰქონდა უცნაურია, რომ ოდესღაც ასეთივე პატარა ვიყავი.

— საწყალი მატლი, — ვთქვი მე, — ჯერ ხომ არც იცის, რა ელის. ნეტა მაცოდინა, შენ რომელი ომი მოგისწრებს.

— კუნძო, — მომიგო ქალბატონმა ცალევსკიმ, — გული არა გაქვთ? — მეტისმეტად დიდიც კი, — ავუხსენი მე, — თორემ ასეთი აზრები არ მომივიდოდა.

ვთქვი და ჩემი ოთახისკენ გავეშურე.

ათ წუთში ტელეფონმა დარეკა. ჩემი სახელი გავიგონე და გავედი, რა თქმა უნდა, მთელი საზოგადოება აქ იყო! არც მაშინ მოუცვლიათ ფეხი, როცა ყურმილი ყურთან მივიტანა და პატრის ჰოლმანის ხმა გავიგონე — ყვავილების გამო მადლობას მიხდიდა. პირიქით: ჩვილმა, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე საღად აზროვნებდა და ეს მაიმუნობა ყელში ჰქონდა ამოსული, უცებ ღრიალი დაიწყო.

— უკაცრავად, — ჩავძახე ყურმილში სასოწარკვეთილმა, — არ მესმის თქვენი, ჩვილი ბღავის. ოღონდ, ჩემი არაა.

აღრიალებული არსების დასაწყნარებლად ქალები უზარმაზარი გველების ბუდესავით ასისინდნენ. მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ბავშვი უფრო აყვირდა. ახლაღა შევნიშნე, რომ მართლაც განსაკუთრებული ჩვილი იყო. ეტყობა, ფილტვები ფეხებამდე ჩასთრევდა, სხვანაირად ასეთი მქუხარე ხმა რით უნდა ამეხსნა? დიდი გასაჭირი მადგა. დედების გუნდს მრისხანე მზერებს ვესროდი, ტელეფონში კეთილად საუბარს ვცდილობდი. თხემიდან ცხვირამდე ჭექა-ქუხილი ვიყავი, ცხვირიდან ნიკაპამდე — გაზაფხული, მზიანი მიდამო. გაოცებას ვარ, რომ მომავალი საღამოსთვის მაინც მოვახერხე შეხვედრის დათქმა.

— ხმაგაუმტარი სატელეფონო ჯიხური უნდა იშოვოთ, — ვუთხარი ქალბატონ ცალევსკის.

მაგრამ ქალბატონ ცალევსკის სიტყვა-პასუხი არ უჭირდა.

— ვითომ, რატომ? — ცეცხლი ყარა, — ამისთანა რა გაქვთ დასამალი? გავჩუმდი და უკან დავიხიე. ქალს რომ დედობრივი გრძნობები აეშლება, ჩხუბი არ ღირს. მას მთელი მსოფლიოს მორალი უმაგრებს ზურგს. საღამოს გოტფრიდთან ვიყავი შეთანხმებული. ერთ პატარა დუქანში დავნაყრდი და მერე წავედი. გზად ყველაზე ელეგანტურ მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზიაში ახალი ჰალსტუხი ვიყიდე. ჯერაც მიკვირდა, ყველაფერი რა კარგად აეწყო, და თავს პირობა მივეცი, რომ მეორე დღეს დამკრძალავი ბიუროს გენერალური დირექტორივით სერიოზულად მოვიქცეოდი.

გოტფრიდის ოთახი ღირსშესანიშნაობა იყო. მთელ კედლებზე სამხრეთ ამერიკიდან ჩამოტანილი სუვენირები ეკიდა. ჭრელი ჭილოფები, რამდენიმე ნიღაბი, გამხმარი თავის ქალა, უცნაური თიხის ქოთნები, შუბები და, რაც მთავარია, ფოტოსურათების დიდი კოლექცია, რომელიც ერთ კედელს მთლიანად იკავებდა: ინდიელი და კრეოლი გოგოები, მშვენიერი, ყავისფერი, მოქნილი მხეცები, წარმოუდგენლად გრაციოზულები და უშუალოები.

ლენცისა და კიოსტერის გარდა, ბრაუმიულერი და გრაუც დამხვდნენ. თეო ბრაუმიულერი, მზით დამწვარი, სპილენძის თავით დივანის საზურგეს იყო მიყრდნობილი და გოტფრიდის ფოტოკოლექციას აღტაცებული ათვალიერებდა. ის ერთი ავტოფაბრიკის მრბოლელი იყო, კიოსტერის ძველი მეგობარი. ექვსში ისიც იმ რბოლაში მონაწილეობდა, რომელშიც ოტომ კარლი ჩაწერა.

ფერდინანდ გრაუ მძიმედ, მოწყვეტით, საკმაოდ ნასვამი იჯდა მაგიდასთან. რომ დამინახა, განიერი ტორით გულში ჩამიკრა.

— რობი, — თქვა მან მძიმედ, — ამ დაღუპულ ხალხში რა გინდა? აქ არაფერი გესაქმება. წადი აქედან. თავს უშველე. ჯერ დრო გაქვს! ლენცს გავხედე. თვალი ჩამიკრა.

— ფერდინანდი მაგარ ფორმაშია. ორი დღეა, საყვარელი მკვდრისას სვამს. პორტრეტი გაყიდა და ფული ეგრევე მისცეს.

ფერდინანდ გრაუ მხატვარი იყო. ერთი განსაკუთრებული საქმე რომ არა, დიდი ხნის წინ მოკვდებოდა შიმშილით, მოწიწებით გამსჭვალული ოჯახის წევრების დაკვეთით გრაუ ფოტოსურათების მიხედვით მიცვალებულების დაუჯერებლად ცოცხალ პორტრეტებს ხატავდა ამით ცხოვრობდა, თან ძალიან კარგად. მის შესანიშნავ პეიზაჟებს არავინ ყიდულობდა. ამის გამო გრაუს გამოსვლებს ერთგვარი პესიმიზმი დაჰკრავდა.

— ამჯერად, რობი, — თქვა მან, — ამჯერად მედუქნის გარდაცვლილი დეიდის ხარჯზე ვსვამთ. ის ძმრითა და ცხიმით ვაჭრობდა. — გააჟრიალა, — საშინელებაა.

— მომისმინე, ფერდინანდ, — მიმართა ლენცმა, — ასე სასტიკად ნუ იტყვი ხოლმე. შენ ხომ ერთ-ერთი უმშვენიერესი ადამიანური თვისებით, მოწიწებით გიდგას სული.

— სისულელეა, — ბრძანა გრაუმ, — მე სინდისის ქენჯნა მარჩენს მოწიწება სინდისის ქენჯნაა, სხვა არაფერი. ხალხი თავს იმართლებს იმის გამო, რაც გარდაცვლილს სიცოცხლეში უსურვა და გაუკეთა. — ხელი გავარვარებულ თავზე გადაისვა, — როგორ გგონია, რამდენჯერ უსურვა ჩემმა დამკვეთმა თავის დეიდას სიკვდილი? სამაგიეროდ, საუკეთესო საღებავით დამახატვინა და ახლა დივანის თავზე უკიდია. ასე უფრო უყვარს. მოწიწება! ადამიანს თავისი მწირი კარგი თვისებები მხოლოდ მაში, ახსენდება, როცა გვიანია. მერე უჩუყდება გული, რა კეთილშობილი შეეძლო ყოფილიყო, და ეს სიქველედ მიაჩნია. სიქველე, სიკეთე, კეთილშობილება, — ტორი აიქნია, — სხვებისა გვაწყობს, რომ საჩვენოდ გამოვიყენოთ. ლენცი იკრიჭებოდა.

— ადამიანთა საზოგადოების საფუძვლებს არყევ, ფერდინანდ!

— ადამიანთა საზოგადოების საფუძვლები სიხარბე, შიში და მექრთამეობაა, — უპასუხა გრაუმ, — ადამიანი ბოროტია, მაგრამ სიკეთე უყვარს, თუ სიკეთეს სხვა სჩადის. — ლენცს ჭიქა გაუწოდა, — დამისხი ერთი და მთელი საღამო შენ ნუ ლაპარაკობ. სხვასაც

ვათქმევინოთ რამე. დივანს გადავაცოცდი და კიოსტერთან მივედი. უცებ რაღაც მომაფიქრდა.

— ოტო, ერთი სიკეთე უნდა გამიკეთო. ხვალ საღამოსთვის კადილაკი მჭირდება.

ბრაუმიულერმა ოდნავ ჩაცმული კრეოლი მოცეკვავის თვალიერება შეწყვიტა.

მოსახვევებშიც შედიხარ? — დაინტერესდა, — აქამდე მეგონა, მხოლოდ სწორ გზაზე დადიოდი, ისიც მაშინ, თუ საჭესთან სხვა ზის.

— შენ დაწყნარდი, თეო, — მივუგე მე, — ექვსში, რბოლაზე, დაგკეპავთ. ბრაუმიულერი ჩაბჟირდა.

— ჰა, რას იტყვი, ოტო? — ჩავეკითხე დაძაბული, — მანქანა დაზღვეული არაა, რობი, — მითხრა კიოსტერმა.

— ლოკოკინასავით ვივლი და ომნიბუსივით ვაპიპინებ. ორიოდე კილომეტრი, ქალაქში.

ოტომ თვალები მოჭუტა და გაიღიმა.

— კარგი, რობი. ეგრე იყოს.

— მანქანა ახალი ჰალსტუხისთვის გინდა? — ლენცი შემოგვიერთდა. — მოკეტე, — ვუთხარი და განზე გავწიე.

არ დამნებდა.

— ერთი, მაჩვენე, პატარავ! — აბრეშუმი მოსინჯა, — დიდებულია. ჩვენი პატარა ჟიგოლოს როლში. მე მგონი, გადანახულებაზე გაგიწევია! — დღეს ვერაფრით მაწყენინებ, მაქცია, — მივუგე მე.

— გადანახულებაო? — ფერდინანდ გრაუმ თავი წამოსწია, — რატომაც არა? — გამოცოცხლდა და მომიტრიალდა, — მიდი, მიდი, რობი! საამისოდ ყველაფერი გაქვს. სიყვარული ერთგვარ გულუბრყვილობას გულისხმობს. ეგ არ გაკლია. მოუფრთხილდი. ღვთის საჩუქარია ერთხელ თუ დაკარგე, ვეღარ დაიბრუნებ.

— მაინცდამაინც გულთან ახლოს ნუ მიიტან, — გაიკრიჭა ლენცი, — სულელად თუ დაიბადე, ეგ სირცხვილი არაა. სირცხვილი

ისაა, სულელად რომ მოკვდები.

— გაჩუმდი, გოტფრიდ. — გრაუმ მძლავრი ტორის ერთი მოძრაობით განზე გასწია, — შენ ეგ არ გეხება, ზურგში დარჩენილო რომანტიკოსო. შენ სულ არ მენანები.

— ბოლომდე თქვი, ფერდინანდ, — თქვა ლენცმა, — გულზე მოგეშვება. — მუქთახორა ხარ, — აუხსნა გრაუმ, — პათეტიკური მუქთახორა. — ეგ ყველანი ვართ, — ფართოდ გაიღიმა ლენცმა, — მხოლოდ ილუზიებით და კრედიტებითღა ვცოცხლობთ.

— დიახ, — თქვა გრაუმ და გაბუჩქული წარბების ქვეშიდან თვალი მოგვავლო, — წარსული ილუზიებით და მომავალი კრედიტებით. — მერე ისევ მე მომიტრიალდა, — გულუბრყვილობა— მეთქი, რობი. ამას სისულელეს მხოლოდ შურიანი ხალხი ეძახის. ამის გამო გული არ გეტკინოს. ეს შეცდომა კი არა, ნიჭია.

ლენცი შეწინააღმდეგებას აპირებდა, მაგრამ ფერდინანდი განაგრძობდა:

— იცი, რასაც ვგულისხმობ. მარტივი ზნე, ჯერ სკეპტიკურობას და ზეინტელექტს რომ არ დაუხრავს. პარციფალი სულელი იყო. ჭკვიანი რომ ყოფილიყო, წმინდა გრაალს ვერ მოიპოვებდა. ცხოვრებაში მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც სულელია; სხვები მეტისმეტად ბევრ წინააღმდეგობას ხედავენ და საქმის დაწყებამდე ეჭვები ეძალებათ. ძნელ დროში უბრალოება ძვირფასი რამაა, ჯადოსნური მოსასხამი, რომელიც იმ განსაცდელებისგან დაგიცავს, ჭკვიანი რომ დაჰიპნოზებულივით ელტვის ხოლმე.

მოსვა და უზარმაზარი ლურჯი თვალებით შემომხედა, ცის ნატეხებივით რომ ასხდა დაღარულ სახეზე.

— ბევრის ცოდნას ნურასდროს ისურვებ, რობი! რაც ნაკლები გეცოდინება, მით უფრო გაგიიოლდება ცხოვრება. ცოდნა ათავისუფლებს და აუბედურებს კიდეც. მოდი, გულუბრყვილობას გაუმარჯოს და ყველაფერ იმას, რაც თან ახლავს: სიყვარულს, მო-

მავლის რწმენას... დიდებული სისულელე, დაკარგული სამოთხე...

მძიმედ იჯდა, მასიური, უცებ საკუთარ თავსა და სიმთვრალეში ჩაძირული, როგორც ხელშეუხებელი დარდის მარტოხელა მთა. მისი ცხოვრება დამსხვრეული იყო და მან იცოდა, რომ ვეღარ ააწყობდა. ის დიდ სახელოსნოში ცხოვრობდა და თავის დიასახლისთან ჰქონდა ურთიერთობა. ქალი მტკიცე და უხეში იყო. გრაუ კი — პირიქით, დიდი სხეულის მიუხედავად, მგრძნობიარე და მერყევი. ქალს თავს ვერ აღწევდა, და ალბათ ესეც აღარ ადარდებდა. გრაუ ორმოცდაორი წლისა იყო. თუმცა ვიცოდი, რომ სიმთვრალის ბრალია, მის შემყურეს მაინც უცნაურად გამაჟრჟოლა. გრაუ ხშირად არ გვსტუმრობდა და თითქმის ყოველთვის მარტო სვამდა თავის სახელოსნოში. ასე სულ მალე ჩაიძირები კაცი.

გრაუს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. ჭიქა მომაჩეჩა.

— დალიე, რობი. და თავს უშველე. იფიქრე იმაზე, რაც გითხარი. კარგი, ფერდინანდ!

ლენცმა გრამოფონი დაქოქა. უამრავი ზანგური ფირფიტა ჰქონდა და რამდენიმე დადო — მისისიპიზე, ბამბის მკრეფავებზე და დახუთულ ღამეებზე ლურჯი ტროპიკული მდინარეების ნაპირას.

6

პატრის ჰოლმანი დიდ, ყვითელ, მრავალსართულიან სახლში ცხოვრობდა, წინ ვიწრო გაზონით. შესასვლელთან ლამპიონი იდგა. კადილაკი ზუსტად ლამპიონის ქვეშ გავაჩერე. მის შუქში ის დიდ სპილოს ჰგავდა, მოციალე, შავად ალაპლაპებული.

ჩემი გარდერობი კიდევ შევავსე. ჰალსტუხს ახალი ქუდი და ხელთათმანი ვუყიდე; თან ლენცის თხელი პალტო მეცვა, შესანიშნავი, ნაცრისფერი, დახვეწილი შოტლანდიური შალისა. ასე აღჭურვილს მინდოდა ჩემ მიერ მოხდენილი პირველი, ლოთური შთაბეჭდილება გამექარწყლებინა.

დავაპიპინე. უმალვე ხუთი სართულის ფანჯრებში, კიბეზე, სინათლე რაკეტასავით აინთო. ლიფტი აზუზუნდა. ვუყურებდი, როგორ ჩამოდიოდა, თითქოს მადლის კალათი ეშვებოდა ციდან. პატრის ჰოლმანმა კარი გააღო და კიბეზე სწრაფად ჩამოირბინა. მოკლე, ყავისფერი ბეწვის ქურთუკი ეცვა და ვიწრო, ყავისფერი კაბა.

— სალამი! — ხელი გამომიწოდა, — ძალიან მიხარია, რომ გამოვედი. მთელი დღე სახლში ვიჯექი.

მომეწონა, ხელი როგორც ჩამომართვა — უფრო ძლიერად მომიჭირა, ვიდრე ველოდი. მეზიზღება ხალხი, მომჩვარულ ხელს რომ მკვდარი თევზივით გამოგიწვდის ხოლმე.

— აქამდე რატომ არ მითხარით, — მივუგე მე, — შუადღისას მოგაკითხავდით.

— ამდენი დრო გაქვს?

— ასეც არაა. მაგრამ გავთავისუფლდებოდი.

ღრმად ჩაისუნთქა.

— შესანიშნავი ჰაერია! გაზაფხულის სუნი დგას.

— თუ გნებავთ, ჰაერზე გავიდეთ, რამდენი ხნითაც გინდათ, — ვუთხარი მე, — ქალაქგარეთ. ტყეში წავიდეთ. მანქანით ვარ. — და ხელი კადილაკისკენ გავიქნიე, ისე, სხვათა შორის, თითქოს ძველი ფორდი ყოფილიყო.

— კადილაკი? — გაკვირვებულმა შემომხედა, — თქვენია?

— ამ საღამოს — კი. ისე, ჩვენი სახელოსნოსია. გავაცოცხლეთ და ამით ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდი გარიგების იმედი გვაქვს კარი გამოვაღე.

— გინდა, ჯერ „მტევანში“ წავიდეთ და ვივახშმოთ? რას იტყვით? — ვახშამი კარგია, მაგრამ რატომ მაინცდამაინც „მტევანში?“ დავიბენი. „მტევნის“ გარდა არც ერთი ელეგანტური რესტორანი არ მეგულებოდა.

— რაღა დაგიმალოთ, — ვთქვი მე, — სხვა არ ვიცი. თან, მე მგონი, კადილაკიც რაღაცებს გვავალებს.

გაიცინა.

— „მტევანში“ დაძაბულობა და მოწყენილობა იქნება. სადმე სხვაგან წავიდეთ!

აღარ ვიცოდი, რა მექნა. ჩემი სერიოზული ოცნებები ერთბაშად აორთქლდა.

— მაშინ თქვენ უნდა შემომთავაზოთ, — ვუთხარი მე, — მე რაც დუქნები ვიცი, ცოტა მძიმე ამბავია. მგონი, სათქვენო ვერ იქნება

— ვითომ, რატომ?

— რა ვიცი...

სწრაფად შემომხედა.

— ვცადოთ, რა მოხდა.

— კარგი. — მთელი პროგრამა ერთბაშად შევცვალე, — მაშ, თუ არ შეშინდებით, ერთი ადგილი ვიცი. ალფონსთან წავიდეთ.

— ალფონსი უკვე ჩინებულად ჟღერს, — მომიგო მან, — და ამ საღამოს შეშინებასაც არ ვაპირებ.

— ალფონსი ლუდხანის მფლობელია, — ვთქვი მე, — ლენცის მეგობარი გაიცინა.

— ლენცს ყველგან მეგობრები ჰყავს, ჰო?

თავი დავუქნიე.

— იოლადაც პოულობს, ბინდინგთან ხომ ნახეთ.

— ჰო, რა ვიცი, — თქვა მან, — ელვის სისწრაფით კი მოხდა ყველაფერი დავიძარით.

ალფონსი მძიმე, მშვიდი კაცი იყო. წინწამოწეული ყვრიმალებით. პატარა თვალებით. აკაპიწებული სახელოებით. გორილის მკლავებით.

ყველას, ვინც თვალში არ მოსდიოდა, დუქნიდან თვითონ აგდებდა ხოლმე. სამშობლოს ერთგულთა სპორტული გაერთიანების წევრებსაც. ძალიან მძიმე სტუმრებისთვის დახლქვეშ ჩაქუჩი ჰქონდა დაგულებული. დუქანი კარგ ადგილას იდგა — იქვე, საავადმყოფოსთან. ამგვარად ალფონსი მგზავრობის ხარჯებს ზოგავდა.

ბანჯგვლიანი თათი ნაძვის ხის მაგიდის ღია ფერის ზედაპირს გადაუსვა. — ლუდი? — იკითხა მან.

— ხორბლის არაყი, და რამე საჭმელიც, — ვუპასუხე მე.

— ქალბატონს? — მკითხა ალფონსმა.

— ქალბატონსაც არაყი, — თქვა პატრის ჰოლმანმა.

— მაგარია, მაგარია, — თქვა ალფონსმა, — ღორის ნეკნები გვაქვს და მჟავე კომბოსტო.

— შენი დაკლულია? — ვკითხე მე.

— აბა, რა.

— მაგრამ ქალბატონს ალბათ უფრო მსუბუქი რამ ენდომება, ალფონს. — არ მჯერა, — განაცხადა ალფონსმა. — ჯერ ნეკნებს შეხედეთ მიმტანს ერთი ულუფა მოატანინა.

— დიდებული ნეზვი იყო, — თქვა მან, — ჯილდოებიც ჰქონდა. ორჯერ პირველი ადგილი აიღო.

— აბა, ამ ცდუნებას ვერავინ გაუძლებს — ჩემდა გასაკვირად, პატრის ჰოლმანმა ისე მტკიცედ მიუგო, გეგონება, მთელი წელი ამ დუქანში ეტრიალოს.

ალფონსმა თვალი ჩამიკრა.

— მაშ, ორი ულუფა?

პატრისმა თავი დაუქნია.

— ძალიან კარგი! მე თვითონ მოვამზადებ.

სამზარეულოსკენ გაეშურა.

— დუქნის გამო რაც ვიორჭოფე, სულ უკან მიმაქვს, — ვთქვი მე, — ალფონსის გული ერთი იერიშით დაიპყარით. თვითონ მოვამზადებო ამას მხოლოდ ხშირი სტუმრებისთვის შვრება.

ალფონსი დაბრუნდა.

— ახალი ძეხვიც დავადე.

— არცთუ ურიგო აზრია, — ვთქვი მე.

ალფონსი კეთილად შემოგვცქეროდა. არაყიც მოიტანეს სამი ჭიქა ერთი — ალფონსისთვის.

— მაშ, გაგვიმარჯოს, — თქვა მან, — ჩვენს შვილებს მდიდარი მშობლები მისცეს ღმერთმა.

დავლიეთ. გოგონამაც კი არ მოსვა, ბოლომდე დაცალა.

— მაგარია, მაგარია, — თქვა ალფონსმა და დახლისკენ წაფლატუნდა. — ხორბლის არაყზე რას იტყვით? — ვკითხე გოგონას.

გააჟრიალა.

— ცოტა მაგარია. მაგრამ ალფონსთან ხომ არ შევრცხვებოდი.

ღორის ნეკნებმა გაამართლა. ორი დიდი ულუფა შევჭამე და პატრის ჰოლმანმაც ბევრად მეტი მიირთვა, ვიდრე წარმოვიდგენდი. ძალიან მომწონდა, ასე კარგად რომ ამყვა და დუქანშიც ლაღად იყო. ყოველგვარი პრანჭვის გარეშე ალფონსთან ერთად მეორე ჭიქაც დაცალა.

ალფონსმა ჩუმად თვალი ჩამიკრა, ძალიან კარგი ამბავიაო. ალფონსი კი საქმის მცოდნე კაცი იყო. მთლად სილამაზისა და კულტურის თვალსაზრისით ვერა, მაგრამ აი, არსსა და შინაარსში მაგრად ერკვეოდა.

— თუ გაგიმართლათ, ალფონსის ადამიანურ სისუსტესაც ნახავთ, — ვთქვი მე.

— საინტერესოა, — მომიგო გოგონამ, — ისე გამოიყურება, წესით, არ უნდა ჰქონდეს.

— და მაინც! — დახლის გვერდით მდგომი მაგიდისკენ გავახედე, — აი... — რაო? გრამოფონი?

— გრამოფონი არა. გუნდი! ალფონსი გუნდურ შესრულებაზე გიჟდება. არც ცეკვები, არც კლასიკური მუსიკა — მხოლოდ გუნდი. მამაკაცთა გუნდები, შერეული გუნდები, — რაც ფირფიტებს ხედავთ, ზედ სულ გუნდებია. აი, ნახეთ, მოდის.

— მოგეწონათ? — იკითხა ალფონსმა.

— ისეთია, სახლში დედა რომ გაჭმევს, — ვუპასუხე მე.

ქალბატონი რას იტყვის?

— ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო ღორის ნეკნები იყო, — აუხსნა მამაცურად ქალბატონმა.

ალფონსმა თავი დააქნია. კმაყოფილი იყო.

— ახლა ახალ ფირფიტას დაგიკრავთ. გაოცდებით.

გრამოფონთან მივიდა. ნემსი აფხაჭუნდა და გაისმა მძლავრი

მამაკაცების ქორო, რომელიც ომახიანად მღეროდა „ტყის სიჩუმეს“. ეს ოხერი, ძალიან ხმამაღალი სიჩუმე იყო.

პირველივე ტაქტზე დუქანში დუმილი ჩამოწვა. თუ ვინმე სათანადო მოწიწებას არ ავლენდა, ალფონსი შეიძლებოდა სახიფათოც გამხდარიყო. დახლთან იდგა, ბალნიან მკლავებზე დაყრდნობილი. მუსიკის ძალით სახე ეცვლებოდა. მეოცნებე ხდებოდა, რამდენადაც შეიძლება, გორილა მეოცნებე იყოს. გუნდურ სიმღერას მასზე ენით აუწერელი გავლენა ჰქონდა. ის შვლის ნუკრივით ნაზი ხდებოდა. შეიძლებოდა, შუაგულ ჩხუბში, მამაკაცთა გუნდის გაგონებაზე, მოწინააღმდეგისთვის მონუსხულივით დაენებებინა თავი და შერიგებაზე წასულიყო. ადრე, როცა კიდევ უფრო ფიცხი გახლდათ, მის ცოლს მისი საყვარელი ფირფიტები სულ გამზადებული ჰქონდა. როცა სახიფათო ვითარება იქმნებოდა და ალფონსი უკვე ჩაქუჩით ხელში დაიძრებოდა დახლსუკნიდან, ქალი ნემსს უცებ დაასვამდა ხოლმე — და ალფონსი ჩაქუჩს ძირს უშვებდა, სმენად იქცეოდა და წყნარდებოდა. ახლა ეს საჭირო აღარ იყო: ცოლი გარდაიცვალა, მისი პორტრეტი, ფერდინანდ გრაუს საჩუქარი, რისთვისაც მას საკუთარი მაგიდა ერგო, დახლსუკან იდგა, და ალფონსიც წლებთან ერთად დადინჯდა.

ფირფიტა დამთავრდა. ალფონსი მოგვიახლოვდა.

— დიდებულია, — ვთქვი მე.

— განსაკუთრებით, პირველი ტენორი, — დასძინა პატრის ჰოლმანმა. — სწორია, — ბრძანა ალფონსმა და პირველად გამოცოცხლდა — გესმით საკითხი! პირველი ტენორი ძალიან მაღალი დონეა.

დავემშვიდობეთ.

— გოტფრიდი მომიკითხე, — მითხრა ალფონსმა, — უთხარი, გამოჩნდეს.

ქუჩაში ვიდექით. სახლის წინ მდგარი ლამპიონები მათ თავზე

აღმართული ბებერი ხის ტოტებს მოუსვენარ შუქ-ჩრდილს ჰფენდა. ტოტებს უკვე მსუბუქი მწვანე ციალი დაჰკრავდა, და ქვემოდან შენთებული მოპარპალე, ბუნდოვანი სინათლის წყალობით ხე ბევრად უფრო მძლავრი და მაღალი მოჩანდა. მისი ტოტები ბინდში იკარგებოდნენ, როგორც უზარმაზარი, გაშლილი ხელი, ცისკენ დიდი ვნებით — გაწვდილი.

პატრის ჰოლმანს შეამცივნა.

— შეგცივდათ? — ვკითხე მე.

მხრები აიწურა და ხელები ბეწვის ქურთუკის სახელოებში შეიწყო. — სულ ერთი წამით. შიგნით ძალიან თბილოდა.

თავი გააქნია.

— მეტისმეტად მსუბუქად გაცვიათ, — ვუთხარი მე, — საღამოობით ჯერ კიდევ გრილა.

— მძიმე ნივთების ტარება არ მიყვარს. ძალიან მინდა, ეღირსოს და დათბეს. სიცივეს ვერ ვიტან. ქალაქში განსაკუთრებით.

— კადილაკში თბილა, — ვუთხარი მე, — ყოველი შემთხვევისთვის პლედიც წამოვიღე.

მანქანაში ჩავსვი და მუხლებზე გადავაფარე. უფრო მაღლა აიწია — შესანიშნავია! ასე სჯობს. სიცივემ სევდა იცის.

— არამარტო სიცივემ. — საჭესთან დავჯექი, — ცოტა გავისეირნოთ? თავი დამიქნია.

— სიამოვნებით.

— საით?

— უბრალოდ, ქუჩებში ნელა გავიაროთ საით — სულერთია — კარგი.

მანქანა დავქოქე და ნელა და უმიზნოდ გავედით ქალაქში. საღამოს ყველაზე დიდი მოძრაობა იყო. თითქმის უხმოდ მივსრიალებდით მანქანა ძალიან ჩუმად ზუზუნებდა. თითქოს გემი იყო, სიცოცხლის ფერად არხებზე უჩუმრად მავალი. ქუჩებმა ჩაგვიქროლა, განათებულმა თაღებმა, სინათლეებმა, ლამპიონების

მწკრივებმა, ტკბილმა, რბილმა მოძახილმა, საღამოობით რომ იცის ხოლმე, ღამის ნაზმა ციებ-ცხელებამ, და ყველაფერ ამის თავზე, სახურავების კიდეებს შორის, რკინასავით რუხი, დიდი ცა იდგა, ქალაქის შუქებით განათებული.

გოგონა ჩემ გვერდით მდუმარედ იჯდა; ფანჯრიდან ხან ნათელი გადაურბენდა სახეზე, ხან — ჩრდილი. ზოგჯერ გავხედავდი ხოლმე. ისევ ის საღამო გამახსენდა, პირველად რომ ვნახე. თითქოს უფრო სერიოზული გამხდარიყო, მეჩვენებოდა, რომ მისი სახე უწინდელზე მეტად უცხო იყო, მაგრამ ძალიან ლამაზი — სახე, რომელიც მაშინ ასე შემეხო და აღარ დამავიწყდა. მეჩვენებოდა, რომ მასში რაღაც ჩუმი საიდუმლო იმალებოდა, ისეთი, ბუნებასთან ახლოს მყოფ არსებებს რომ აქვთ ხოლმე — ხეებს, ღრუბლებს, ცხოველებს, და ზოგჯერ ქალსაც.

გარეუბნის წყნარ ქუჩებში გავედით. ქარი ამოვარდა. თითქოს ღამე მოჰქონდა. დიდ მოედანზე, რომლის გარშემოც პატარა ბაღებში პატარა სახლებს ეძინა, მანქანა გაჩერდა.

პატრის ჰოლმანი შეირხა, ახალგაღვიძებულივით.

— რა კარგია, — თქვა ცოტა ხნის მერე, — მანქანა რომ მყავდეს, ყოველ საღამოს ასე ვისეირნებდი. დაუჯერებელი რამეა, ასე უხმოდ რომ შეგიძლია ყველგან სრიალი. თან გღვიძავს და თან სიზმარს ხედავ. მე მგონი, საღამოს ადამიანები აღარც იქნებოდნენ საჭირო...

ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე.

— საღამოს ადამიანები გჭირდებათ ხოლმე, არა?

თავი დამიქნია.

— საღამოს კი. უცნაური რამეა ეს დაბნელება.

კოლოფი გავხსენი.

— ამერიკული სიგარეტია. მოგწონთ?

— კი. ყველაზე მეტად.

მოვუკიდე. წამით ასანთის თბილმა, ახლო ალმა მისი სახე და ჩემი ხელები გაანათა, და უცებ გიჟური აზრი მომივიდა, რომ დიდი ხანია, ერთად ვიყავით.

ფანჯარა ჩავწიე, რომ ბოლი გასულიყო — გინდათ, გაატარეთ? — ვკითხე მე, — თუ გესიამოვნებათ.

მომიტრიალდა.

— მინდა, მაგრამ არ შემიძლია, — მართლა არ — მართლა. არასოდეს მისწავლია.

ჩემი შანსიც გამოჩნდა.

— ბინდინგს დიდი ხნის წინათ უნდა ესწავლებინა, — ვთქვი მე. გაიცინა.

— ბინდინგი თავის მანქანაზე მეტისმეტად გიჟდება. არავის აკარებს, — ეგ ხომ სასაცილოა, — გამოვაცხადე კმაყოფილმა, რომ სქელოს ერთი მაინც მოხვდა, — ახლავე გაგატარებთ. მოდით.

კიოსტერის ყველა გაფრთხილება ქარს გავატანე და გადავედი, რომ გოგონა საჭესთან დამესვა. აღელდა.

— მართლა არ ვიცი ტარება.

— არაფერიც, — მივუგე მე, — ატარებთ. უბრალოდ, ეს აქამდე არ იცოდით. — დაქოქვა და მოჭიდება ვაჩვენე, — აი, ასე, — ვთქვი მერე, — აბა, დავიძარით — ერთი წუთით! — ომნიბუსი დამანახა, რომელიც ქუჩას მარტოდ მიუყვებოდა, — არ გავატაროთ?

— არავითარ შემთხვევაში! — სასწრაფოდ დავქოქე და დავძარი. საჭეს ჩაეჭიდა და ქუჩას დაძაბული გაჰყურებდა.

— ღმერთო ჩემო, ძალიან სწრაფად მივდივართ!

სპიდომეტრს შევხედე.

— ოცდახუთით მიდიხართ. სინამდვილეში — ოცით. შორ დისტანციებზე მორბენალისთვის კარგი ტემპია.

— მე ოთხმოცი მგონია.

რამდენიმე წუთში პირველმა შიშმა გადაუარა. ფართო, სწორ

ქუჩას მივუყვებოდით. კადილაკი ცოტა ირწეოდა, გეგონება, ბენზინის მაგივრად კონიაკი ჩაუსხამთო, და ხანდახან ბორდიურსაც საეჭვოდ უახლოვდებოდა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი საუკეთესოდ წავიდა და ის მოხდა, რასაც ვვარაუდობდი: უპირატესობა მომეცა, რადგან უცებ მოწაფე და მასწავლებელი გავხდით, და მეც დრო ვიხელთე.

— ყურადღება, — ვთქვი მე, — იქ პოლიციელი დგას!

— გავაჩერო?

— გვიანია.

— რომ დამიჭიროს, რა მოხდება? მართვის მოწმობა ხომ არ მაქვს. — ორივეს ციხეში ჩაგვსვამენ.

— ღმერთო ჩემო! — შეშინებულმა ფეხით მუხრუჭის ძებნა დაიწყო. — გაზი! — შევძახე, — გაზი მიეცით! მაგრად! ამაყად და სწრაფად უნდა ჩავუაროთ. კანონის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება თავხედობაა. პოლიციელი ზედაც არ გვიყურებდა. გოგონამ ამოისუნთქა.

— აქამდე არც ვიცოდი, რომ საგზაო პოლიციელი შეიძლება ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულს ჰგავდეს, — თქვა მან, როცა რამდენიმე ასეული მეტრით გავცდით.

— ეს მაშინ მოუვა, თუ დაეტაკებით. — მუხრუჭი ნელ-ნელა ამოვწიე, — ესეც ასე, დიდებული, ცარიელი ქუჩა გვაქვს, თან ცენტრალურიც არაა. აქ კი მართლა ვივარჯიშოთ. ჯერ დაძვრა და გაჩერება. პატრის ჰოლმანს მანქანა რამდენჯერმე ჩაუქრა. ბეწვის ქურთუკი გაიხსნა.

— დამცხა! მაგრამ უნდა ვისწავლო!

ბეჯითად და ყურადღებით უჯდა საჭეს და ჩემს ქმედებებს აკვირდებოდა. მერე აღგზნებული შეძახილებით თავისი პირველი მოსახვევი გაიარა და შემონათებული ფარებისა ეშმაკივით შეეშინდა, და ამდენადვე ამაყი იყო, რომ ბედნიერად გადარჩა. მალე პატარა, მხოლოდ მაჩვენებლებით განათებულ სივრცეში

უცებ დავმეგობრდით, და ნახევარ საათში, როცა ადგილები გავცვალეთ და უკან წამოვედით, უფრო დაახლოებულები ვიყავით, ვიდრე მაშინ ვიქნებოდით, ერთმანეთისთვის მთელი ჩვენი ცხოვრების ამბები რომ მოგვეყოლა.

ნიკოლაის ქუჩის სიახლოვეს მანქანა კვლავ გავაჩერე. ზედ წითელი კინოს რეკლამის ქვეშ ვიდექით. მის ქვეშ ასფალტი გახუნებულ მეწამულ ხავერდს ჰგავდა. ტროტუართან ზეთის დიდი შავი ლაქა პრიალებდა.

— ესეც ასე, — ვთქვი მე, — თითო ჭიქა ალალად დავიმსახურეთ. სად დავლიოთ?

პატრის ჰოლმანი წამით დაფიქრდა და მერე შემომთავაზა:

— მოდი, ისევ იმ ლამაზ, გემებიან ბარში მივიდეთ.

იმწამსვე განგაში ჩამერთო. ბარში აუცილებლად იჯდებოდა უკანასკნელი რომანტიკოსი. მის სახეს უკვე ვხედავდი.

— კარგი, რა, — ვთქვი სასწრაფოდ, — ბევრი ვერაფერია ბევრად უკეთესი დუქნებიც არსებობს...

— არ ვიცი, მე ძალიან მელამაზა.

— მართლა? — ვკითხე გაკვირვებულმა, — გელამაზათ?

— ჰო, — მიპასუხა სიცილით, — თან ძალიან...

„თურმე რა ხდება!“ ვიფიქრე მე, „მე კიდევ თავს ვიტანჯავდი — უბრალოდ, მე მგონი, ამ დროს გადავსებული იქნება, — ერთხელაც ვცადე.

— მივიდეთ და ვნახოთ.

— ჰო, შეიძლება. — ვფიქრობდი, რა მექნა.

როცა მივადექით, მანქანიდან უცებ გადავედი.

— უცებ შევიხედავ. ახლავე დავბრუნდები.

ვალენტინის გარდა, ნაცნობი არავინ იყო.

— მითხარი, — მივმართე ვალენტინს, — გოტფრიდი იყო?

ვალენტინმა თავი დამიქნია.

— ოტოსთან ერთად. ნახევარი საათია, რაც წავიდნენ.

— აფსუს, — ამოვისუნთქე, — სიამოვნებით ვნახავდი.

მანქანასთან დავბრუნდი.

— გავრისკოთ, — ვუთხარი გოგონას, — შემთხვევით, დღეს არც ისე ცუდადაა საქმე.

მაინც ვიფრთხილე და კადილაკი კუთხეს მივაფარე, უბნელეს ჩრდილში დავაყენე.

მაგრამ ათი წუთიც არ იყო გასული, რომ დახლთან ლენცის ჩალისფერი თავი გაჩნდა. „ჯანდაბა“, ვიფიქრე მე, „ვერ ავცდი!“ მისი ნახვა ერთი-ორი კვირის მერე მერჩივნა.

გოტფრიდს ეტყობოდა, დარჩენას არ აპირებდა. უკვე ვიფიქრე, გადავრჩი-მეთქი, რომ ვალენტინმა ჩემკენ ანიშნა. ტყუილისთვის დავისაჯე.

გოტფრიდის სახე ჩვენი დანახვისას მონდომებული მსახიობისთვის ჩინებული გაკვეთილი იქნებოდა. თვალები ტაფამწვარივით გადმოკარკლა და შემეშინდა, ყბა არ მოძვრეს-მეთქი. აფსუსია, რომ იმწამს ბარში რეჟისორი არავინ იყო; დარწმუნებული ვარ, ლენცს უმალვე აიყვანდა ვთქვათ, ისეთი სცენისთვის, დაღუპული გემის მეზღვაურებს უცებ გველეშაპი რომ ამოუხტებათ ღრიალით.

გოტფრიდი უცებ გონს მოეგო. თვალით ვანიშნე, გაქრი-მეთქი. აგდებული ღიმილით მიპასუხა, ტანსაცმელი გაისწორა და მოგვადგა ვიცოდი, რაც მელოდა, და უმალვე შევუტიე.

— გააცილე ქალბატონი ბომბლატი? — ვკითხე, რომ უმალვე გამეუვნებელყო.

— კი, — მითხრა და თვალიც არ დაუხამხამებია, თუმცა ერთი წამის წინ ქალბატონი ბომბლატის შესახებ არაფერი სმენოდა, — მოგიკითხა და ხვალ დილიდან დამირეკოსო.

მაგარი შემომიბრუნა. თავი დავუქნიე.

— ვიზამ. იმედია, მანქანას მაინც იყიდის.

ლენცმა პირი ისევ დააღო. წვივში გავუქანე და და ისე შევხედე, რომ ქირქილს შეეშვა.

— რამდენიმე ჭიქა დავლიეთ. მე მხოლოდ კოქტეილ საიდქარსს ვსვამდი, ბლომად ლიმონით. არ მინდოდა, ისევ ამერია.

გოტფრიდმა ბრწყინვალედ დაიწყო.

— შენთან ვიყავი, — მითხრა მან, — მეთქი, გავუვლი. მერე — ბაზრობაზე. შესანიშნავი ახალი კარუსელი დგას. წავიდეთ? — პატრის ჰოლმანს გახედა.

— აუცილებლად! — მიუგო მან, — კარუსელი ყველაფერს მირჩევნია! — მაშ, წავედით, — ვთქვი მე.

მიხაროდა, რომ გამოვედით. გარეთ უფრო იოლი იყო ყველაფერი.

მეარღნეები ბაზრობის სადარაჯოზე დგანან. მელანქოლიური, ტკბილი დუდუნი. არღნის გაქუცულ ხავერდის კუთხეზე — ხან თუთიყუში, ხან გათოშილი პატარა მაიმუნი, წითელი მაუდის კურტაკში. მერე — ფაიფურის წებოთი მოვაჭრეების, მინის მჭრელების, თურქული თაფლის, საჰაერო ბუშტების და ფართლეულის გამყიდვლების მჭახე ხმები. ცივი, ლურჯი შუქი და კარბიდის ლამპების სუნი. წინასწარმეტყველები, ვარსკვლავთმრიცხველები, თაფლაკვერების კარვები, მოქანავე ნავები, ატრაქციონების ჯიხურები, და აი, მუსიკის გრიალში, — ჭრელი, ბრჭყვიალა, სასახლეების დარად განათებული კარუსელის წრეზე მოტრიალე კოშკები.

— წავედით ბავშვებო! — ლენცი, მოფრიალე ქოჩრით, აღმადაღმა ატრაქციონს მიადგა. აქ ყველაზე დიდი ორკესტრი უკრავდა. ყოველ წრეზე მოოქრული ნიშებიდან ექვსი მესაყვირე გამოდიოდა, ისინი ყველა მხარეს ბრუნდებოდნენ, ინსტრუმენტებს ატრიალებდნენ, იქნევდნენ და კვლავ ნიშებში შედიოდნენ. შესანიშნავი იყო.

დიდ გემში ვისხედით და აღმა-დაღმა დავფრინავდით. სამყარო ბრწყინავდა და მისრიალებდა, ტრიალებდა და შავ გვირაბში ვარდებოდა, რომელშიც დოლების ბაგაბუგში მივქროდით, რომ კვლავ ბრწყინვალება და საყვირები მოგვგებებოდნენ.

— შემდეგი! — გოტფრიდი საჰაერო ხომალდებისა და აეროპლანების მფრინავი კარუსელისკენ მიემართებოდა. ცეპელინი მოვიპოვეთ და სამი წრე დავარტყით.

ცოტა გულამოვარდნილები კვლავ მიწაზე ვიდექით.

— ახლა კი ეშმაკის ბორბალი! — განაცხადა ლენცმა.

ეშმაკის ბორბალი დიდი, პრიალა, შუაში ოდნავ ამობურცული წრე იყო, რომელიც სულ უფრო და უფრო სწრაფად ტრიალებდა და რომელზეც უნდა გამაგრებულიყავი. გოტფრიდი ოციოდე კაცთან ერთად ავიდა ზედ. შლეგივით დააბიჯებდა და განსაკუთრებული ტაში დაიმსახურა. ბოლოს მარტო დარჩა, ვიღაც მზარეულ ქალთან ერთად, რომელსაც ექვსტალერიანი ცხენივით საჯდომი ჰქონდა. რომ გაუჭირდებოდა ხოლმე, ეს გაქნილი პიროვნება უბრალოდ წრის შუაგულში ჯდებოდა, გოტფრიდი კი მის სიახლოვეს დაქროდა. დანარჩენები უკვე ჩამოცვენილიყვნენ. საბოლოოდ წერამ უკანასკნელ რომანტიკოსსაც უწია: დაბარბაცდა, მზარეულის მკლავებში ჩავარდა და მასთან ჩახვეული, გვერდით გადაგორდა. როცა ჩვენამდე მოაღწია, ხელი მზარეულისთვის ჰქონდა გაყრილი. უკვე ლინას ეძახდა. ლინა მორცხვად იღიმებოდა. ლენცმა ჰკითხა, რით გაგიმასპინძლდეო. ლინამ უპასუხა, ლუდი წყურვილს კარგად კლავსო. ორივე ფარდულში გაუჩინარდა.

— ჩვენ? ჩვენ სად წავიდეთ? — მკითხა თვალებანთებულმა პატრის ჰოლმანმა.

— მოჩვენებების ლაბირინთში, — მივუგე და დიდი ჯიხურისკენ გავახედე. ლაბირინთი მოულოდნელობებით აღსავსე გზა იყო. რამდენიმე ნაბიჯის გავლის მერე მიწა იძრა, ვიღაცის ხელები

წაგვეპოტინა, კუთხეებიდან საშინელი სახეები გამოხტნენ, მოჩვენებები ყმუოდნენ. ვიცინოდით, მაგრამ ერთი მწვანედ მანათობელი, მკვდარი თავის დანახვაზე გოგონა უცებ შეკრთა. წამით ჩემს მკლავებში აღმოჩნდა, მისმა სუნთქვამ სახეზე გადამირბინა, პირთან მისი თმა ვიგრძენი მერე კი ისევ გაიცინა, და მეც ხელი გავუშვი, — ხელი გავუშვი; მაგრამ ჩემში რაღაც იყო, რაც არ უშვებდა. რა ხანია, გამოვედით, მე კი მკლავებით კვლავ მის „მხრებს ვგრძნობდი, რბილ თმას, მისი კანის მსუბუქ ატმის სურნელს. თვალს ვარიდებდი უცებ ჩემთვის სულ სხვანაირი გახდა.

ლენცი უკვე გველოდა. მარტო იყო.

— ლინა რა იქნა? — ვკითხე მე.

— სვამს, — მომიგო და თავი გლეხური კარვისკენ გაიქნია, — მჭედელთან ერთად, — თანაგიგრძნობ, — ვუთხარი მე.

— რა სისულელეა, — მიპასუხა ლენცმა, — ახლა სერიოზულ, კაცურ საქმეს მივხედოთ.

ერთ ჯიხურთან მივედით, სადაც რეზინის მაგარი რგოლების კაუჭებზე ჩამოცმა და ათასი რამის მოგება შეიძლებოდა.

— ესეც ასე, — უთხრა ლენცმა პატრის ჰოლმანს და ქუდი კეფაზე მოიგდო, — ახლა მზითევსაც შეგიგროვებთ.

ჯერ ლენცმა ისროლა და მაღვიძარა მოიგო. მე მივბაძე და დათუნია მერგო. ჯიხურის მფლობელმა ორივე გადმოგვცა და ბევრი ვაშა იძახა, რომ სხვა კლიენტებიც მოეზიდა.

— ეგ ვაშა-ვაშა მალე გადაგივლის, — ჩაიცინა ლენცმა და ტაფა მოიპოვა, მე — მეორე დათუნია.

— ნახე, როგორ გამხეცდნენ, — თქვა ჯიხურის მეპატრონემ და ნივთები მოგვაწოდა.

ამ კაცმა არ იცოდა, რა ელოდა. ლენცი მთელ ასეულში ყველაზე კარგად ისროდა ხელყუმბარებს, ხოლო ზამთარში, როცა საქმე არ გვქონდა, თვეობით ვიწაფებოდით საკუთარი ქუდების სროლაში — ყველანაირ კაუჭს ვესროდით. ამასთან შედარებით

ეს რგოლები საბავშვო თამაში იყო. გოტფრიდმა, სულ იოლად, ბროლის ლარნაკი იპოვა, მე — დუჟინი გრამოფონის ფირფიტა. ჯიხურის მფლობელმა მოგებული მდუმარედ მოგვცა და მერე კაუჭები შეამოწმა. ლენცმა დაუმიზნა, ისროლა და ყავის სერვიზი მოიგო, მეორე ჯილდო. უკვე მრავალი მაყურებელი გვყავდა. სამი რგოლი ერთსა და იმავე კაუჭს ძალიან სწრაფად ვესროლე. შედეგი: მონანიე წმინდა მარიამ მაგდალინელი ოქროსფერ ჩარჩოში.

ჯიხურის მფლობელს ისეთი სახე გაუხდა, თითქოს კბილის ექიმთან ყოფილიყო. ჭოჭმანობდა, კიდევ მოეცა თუ არა ჩვენთვის სროლის უფლება. შეწყვეტას ვაპირებდით, მაგრამ მაყურებელი ახმაურდა. კაცს მოსთხოვეს, განაგრძონო. აინტერესებდათ, როგორ გაჩანაგდებოდა, ყველაზე მეტს ლინა ქოთქოთებდა, რომელიც თავის მჭედელთან ერთად უცებ კვლავ აღმოცენდა.

— აცდენა შეიძლება, ჰო? — ყიოდა ლინა, — გარტყმა არა, ჰო? მჭედელი კვერს ბურდღუნით უკრავდა.

— კარგი, — თქვა ლენცმა, — თითოც ვისროლოთ.

ჯერ მე ვისროლე. ტაშტი დოქითა და სასაპნით. მერე ლენცის ჯერი დადგა. ხუთი რგოლი აიღო. ოთხი ერთსა და იმავე რგოლს უცებ ჩამოაცვა. მეხუთემდე თეატრალურად შეისვენა და სიგარეტი ამოიღო. სამმა კაცმა ცეცხლი გაუწოდა. მჭედელმა მხრებზე ხელი დაუტყაპუნა. ლინა აღელვებისგან ცხვირსახოცს ჭამდა. მერე გოტფრიდმა დაუმიზნა და ძალიან მსუბუქად, რომ არ გადამხტარიყო, ბოლო რგოლი დანარჩენ ოთხს ჩამოაცვა. დიდი გრიალი. მთავარი ჯილდო მოინადირა — საბავშვო ეტლი ვარდისფერი საბნით და მაქმანებიანი ბალიშებით.

ჯიხურის მფლობელმა ეტლი წყევლა-კრულვით გამოაგორა. ყველაფერი შიგ ჩავალაგეთ და შემდეგი ჯიხურისკენ გავწიეთ. ეტლს ლინა მოაგორებდა. მჭედელი ამასთან დაკავშირებით ისე

ხუმრობდა, რომ პატრის ჰოლმანთან ერთად ჩამორჩენა ვამჯობინე. შემდეგ ჯიხურში რგოლებს ღვინის ბოთლებს ესროდნენ. თუ ჩამოაცვამდი, ბოთლს იგებდი. ექვსი მოვიპოვეთ, ლენცმა ეტიკეტებს დახედა და ღვინო მჭედელს აჩუქა.

კიდევ ერთი ასეთი ჯიხური არსებობდა. მაგრამ მფლობელმა სუნი იკრა და რომ მივედით, მოგვახსენა, დაკეტილიაო. მჭედელი ყაყანს აპირებდა; დაინახა, რომ აქ ლუდის ბოთლები იყო მოსაგები. მაგრამ ჩვენ ვიუარეთ. ამ ჯიხურის მფლობელი ცალხელა იყო.

კადილაკთან დიდი ამალით გამოვცხადდით.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა ლენცმა და თავი მოიფხანა, — ყველაფერს აჯობებს, ეტლი უკან მოვაბათ.

— რასაკვირველია, — ვთქვი მე, — მაგრამ შენ შიგ უნდა ჩაჯდე და მართო, რომ არ ამოყირავდეს.

პატრის ჰოლმანმა პროტესტი გამოაცხადა. ეშინოდა, რომ ლენცი ამას მართლა გააკეთებდა.

— კარგი, — თქვა გოტფრიდმა, — მაშ, დავახარისხოთ ეს ორი დათუნია ნამდვილად თქვენია. გრამოფონის ფირფიტებიც. ტაფა?

გოგონამ თავი გააქნია.

— მაშინ სახელოსნოს გადაეცემა, — ბრძანა ლენცმა, — ეს შენ, რობი, ერბო-კვერცხების ძველი ოსტატი ხარ. ყავის ჭურჭელი?

გოგონამ ლინასკენ გააქნია თავი. მზარეული გაწითლდა. გოტფრიდმა ჭურჭელი საზეიმოდ, ჯილდოსავით გადასცა. მერე ქაშანურის ტაშტს დასწვდა.

— საბანაო ჭურჭელი? ბატონ მჭედელს ხომ? საქმეში გამოგადგება. მაღვიძარაც. მჭედლებს ღრმა ძილი სჩვევიათ.

გოტფრიდს ლარნაკი გადავეცი. მან ის ლინას მიაწოდა. ლინას ენა დაება, იუარა. მაგდალინელს თვალს ვერ აშორებდა. ეგონა, ლარნაკი რომ ავიღო, სურათი მჭედელს ერგებაო.

— ხელოვნებაზე ვგიჟდები, — უცებ გამოტყდა.

გულის ამაჩუყებელი იყო, ხარბად რომ შესცქეროდა და წითელ თითებს იკვნეტდა.

— მოწყალე ქალბატონო, — დაიწყო ლენცმა მაღალფარდოვნად და მიუტრიალდა, — ამაზე რას იტყვით?

პატრის ჰოლმანმა სურათი აიღო და მზარეულს მისცა.

— ძალიან ლამაზი სურათია, ლინა, — უთხრა მან.

— ლოგინის თავზე დაიკიდე და გულით მიიღე, — განავრცო ლენცმა. ლინამ გამოართვა. თვალებში ცრემლი ედგა. მადლიერების ნიშნად მაგრად დაასლოკინა.

— ახლა კი შენ, — ლენცმა საბავშვო ეტლს დაფიქრებით გახედა მაგდალინელის მიერ მინიჭებული ბედნიერების მიუხედავად, ლინას თვალები კვლავ ხარბად აენთო. მჭედელმა თქვა, კაცმა არ იცის, როდის რა დაგჭირდებაო, და ისე იცინა, ერთი ბოთლი გაუვარდა მაგრამ ლენცს ასე არ აწყობდა, — ერთი წამით, იქ რაღაცას თვალი მოვკარი, — თქვა და გაქრა. ორიოდ წუთში დაბრუნდა, ეტლს დასწვდა და წაიღო. იქიდან ხელცარიელი დაბრუნდა, — არის! — კადილაკში ჩავსხედით.

— ვითომ შობაა! — თქვა დატვირთულმა და ბედნიერმა ლინამ და დამშვიდობებისას თავისი წითელი თათი გამოგვიწოდა.

მჭედელმა წუთით გვერდით გაგვიყვანა.

— მომისმინეთ, — გვითხრა მან, — თუ ოდესმე ვინმე საცემი იქნება, მე ლაიბნიცის ქუჩაზე ვცხოვრობ, თექვსმეტში, უკანა ეზოა, ორი საფეხური მარცხნივ. თუ ბევრნი იქნენ, ჩემ საძმოსთან ერთად მოვალ.

— შევთანხმდით, — მივუგეთ და მანქანა დავძარით.

ბაზრობის კუთხესთან რომ მოვუხვიეთ, გოტფრიდმა ფანჯრიდან გაგვახედა. ჩვენი ეტლი იქ იდგა, შიგ ნამდვილი ბავშვი იჯდა, და ვიღაც ფერმკრთალი, ჯერაც დაბნეული ქალი ეტლს ათვალიერებდა.

— როგორია? — გვკითხა ლენცმა.

— დათუნიებიც მიეცით! — შესძახა პატრის ჰოლმანმა, — ესენიც — ეკუთვნის.

— მაშინ, ერთს ავიღებ, — უთხრა ლენცმა, ერთი თქვენ უნდა გქონდეთ. — არა, ორივე.

— კარგი.

ლენცი მანქანიდან გადახტა, დათუნიები ქალს მიაჩეჩა და სანამ ის რამის თქმას მოასწრებდა, ისე მოკურცხლა, იფიქრებდით, მისდევენო. — ესეც ასე, — ამოისუნთქა ლენცმა, — ამ ჩემმა კეთილშობილებამ ძალიან ცუდად გამხადა. „ინტერნაციონალთან“ ჩამომსვი. კონიაკი მჭირდება. გადავიდა, მე კი გოგონა შინ მივიყვანე. ახლა ყველაფერი სულ სხვანაირად იყო, ისე არა, როგორც წინა შეხვედრის დროს. კართან იდგა და ლამპიონი დაჭნათოდა. შესანიშნავად გამოიყურებოდა.

— ღამე მშვიდობისა, — ვუთხარი მე, — ძილი ნებისა.

— ღამე მშვიდობისა.

თვალი გავაყოლე, სანამ შუქი არ ჩაქრა. მერე კადილაკი დავძარი. თავს უცნაურად ვგრძნობდი. ჩვეულებრივი ამბავი არ იყო, აი, საღამოს ვიღაც გოგოზე რომ გაგიჟდები ამას მეტი სინაზე ახლდა. სინაზე და იმის სურვილი, რომ ერთხელაც მოდუნდე და თავი აღარ შეიკავო წახვიდე და გადაიჩეხო.

ლენცთან წავედი, „ინტერნაციონალში“. დუქანი თითქმის ცარიელი იყო. ერთ კუთხეში ფრიცი იჯდა თავის მიმტან ალოიზთან ერთად. ჩხუბობდნენ. გოტფრიდი, მიმი და ვალი დახლის გვერდზე, დივანზე ისხდნენ. გოტფრიდი ორივეს მომხიბვლელად ექცეოდა, საწყალ მოხუც მიმისაც.

გოგოები მალე წავიდნენ. სამუშაო ჰქონდათ — ახლა ყველაზე კარგი — დრო იყო. მიმი თავისი ვენების გამო გმინავდა და კვნესოდა გოტფრიდის გვერდით დავჯექი.

— დაიწყე, — ვუთხარი მე.

— რატომ, პატარავ? — თქვა მან ჩემდა გასაკვირად, — ძალიან სწორად იქცევი.

მომეშვა, ასე იოლად რომ მიიღო.

— აქამდე გეთქვა, — ვთქვი მე.

ხელი ამიქნია.

— სისულელეა.

რომი შევუკვეთე.

— იცი, — ვუთხარი მერე, — აზრზე არა ვარ, რა ქალია არც ის ვიცი, ბინდინგთან რა აქვს. მაშინ რამე გითხრა?

შემომხედა.

— რამე გაწუხებს?

— არა.

— მეც მაგას ვამბობ. ისე, პალტო გიხდება.

გავწითლდი.

— ნუ წითლდები. შენ მართალი ხარ. ნეტა, მეც შემეძლოს ასე. ერთხანს ვდუმდი.

— ეგ როგორ, გოტფრიდ? — ვკითხე ბოლოს მომაცქერდა, — სხვა ყველაფერი ნაგავია, რობი, იმიტომ, რომ დღეს არაფერი — არაფრად ღირს. გაიხსენე, გუშინ ფერდინანდმა რა გითხრა. არ ტყუის, ეგ ბებერი, სქელი მკვდრების მხატველი. მიდი, რა, იმ ყუთს მიუჯექი და ერთი-ორი ძველი ჯარისკაცული სიმღერა დაუკარი.

„სამი შროშანი“ და „არგონის ტყე“ დავუკარი. ცარიელ დუქანში არაამქვეყნიურივით ჟღერდა, თუკი გავიხსენებთ, მანამდე რა დროს ვმღეროდით ხოლმე.

7

ორი დღის მერე კიოსტერი სახელოსნოდან ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა, — რობი, ბლუმენთალმა დარეკა. თერთმეტზე კადილაკით უნდა მიაკითხო. გავლა უნდა.

სახრახნისი და ქანჩის გასაღები მოვისროლე.

— ბიჭო, ოტო, რომ გამოვიდეს!

— რა გითხარით, — გაისმა ფორდის ქვეშ, ორმოში მყოფი ლენცის ხმა, — ხომ ვთქვი, დაბრუნდება-თქო. გოტფრიდს მოუსმინეთ ხოლმე! — მოკეტე, სერიოზული ვითარებაა, — ჩავძახე მე, — ოტო, რამდენის დაკლება მოსულა?

— უკიდურეს შემთხვევაში, ორი ათასის. ყველაზე უკიდურესში — ორი ათას ორასის. თუ დაიქცა ყველაფერი, ორი ათას ხუთასის. თუ შეატყვე, გიჟთან გაქვს საქმე, ორი ათას ექვსასი იყოს. მაგრამ მაშინ უთხარი, რომ სამარადჟამოდ დავწყევლით.

— კარგი.

მანქანა გავაპრიალეთ. ჩავჯექი. კიოსტერმა მხარზე ხელი დამადო. — რობი, გახსოვდეს, რომ ჯარისკაცი იყავი და სხვა დავალებებსაც ასრულებდი. ჩვენი სახელოსნოს ღირსება სისხლის

ბოლო წვეთამდე დაიცავი. ფეხზე მდგომი მოკვდი, ხელი ბლუმენთალის საფულეზე გედოს.

— არის, — გავიკრიჭე მე.

ლენცმა ჯიბიდან მედალიონი ამოაცოცა და სახესთან მომიტანა — შეეხე ჩემს თილისმას, რობი!

— ჯანდაბას. — შევეხე.

— აბრაკადაბრა, დიდო შივა, — ილოცა გოტფრიდმა, — ამ ლაჩარს სიმამაცე და ძალა უბოძე! მოიცა, აჰა, დაიჭი თილისმა, ასე სჯობია, თან წაიღე! კაი, ახლა სამჯერ გადააფურთხე.

— აჰა, — ვუთხარი მე, ფეხებთან დავუფურთხე და დავიძარი, აღგზნებულ იუპსაც ჩავუარე, რომელიც ბენზინის შლანგით მიძღვნიდა სალამს.

გზად რამდენიმე მიხაკი ვიყიდე და ოსტატურად ჩავაწყვე მანქანის ბროლის ლარნაკებში. ამით ქალბატონი ბლუმენთალის მოთაფვლას ვგეგმავდი.

სამწუხაროდ, ბლუმენთალი შინ კი არა, სამსახურში დამხვდა. თხუთმეტი წუთი დაცდა მომიწია. „ძვირფასო“, ვფიქრობდი ჩემთვის, ვიცი ეს ოინი, ამით ვერ მომადუნებ“. წინკარში კოხტა სტენოგრაფისტი გოგო საკინძიდან ამოღებული მიხაკით მოვქრთამე და საწარმოს შესახებ გამოვკითხე. ტრიკოტაჟი, კარგი ბრუნვა, ბიუროში ცხრა კაცია, მშვიდი კომპანიონი, გაცხარებული კონკურენცია „მაიერსა და ვაჟთან“, მაიერის ვაჟი ორკაციან წითელ ესექსზე იჯდა, — ამდენი მოვასწარი, და ბლუმენთალმაც მიხმო.

მაშინვე შემიტია.

— ახალგაზრდავ, — მითხრა მან, — დიდი დრო არ მაქვს წინა დღეს რა ფასიც დამისახელეთ, ეგ თქვენი ოცნებისა იყო. ახლა კი გულზე ხელი დაიდეთ, რა ღირს მანქანა?

— შვიდი ათასი მარკა, — მივუგე მე.

წამით განზე გაიხედა.

— რა გაეწყობა.

— ბატონო ბლუმენთალ, — ვუთხარი მე, — მოდი მანქანა ერთხელაც ნახეთ...

— არაა საჭირო, — შემაწყვეტინა, — კარგად ვნახე...

— ნახვაცაა და ნახვაც, — ავუხსენი მე, — დეტალები უნდა ნახოთ. ლაკი პირველი ხარისხისაა, „ვოლ და რურბეკის“, თვითღირებულება — 250 მარკა; ახალი საბურავები, საკატალოგე ფასი 600 მარკა, ესეც 850. შალითები, უძვირფასესი...

ხელი ამიქნია. თავიდან დავიწყე. მოვუწოდებდი, ეს დიდებული მანქანა დაეთვალიერებინა, შესანიშნავი ტყავის გადასაკრავი ენახა, ქრომირებული ვენტილატორი, ულტრათანამედროვე ბამპერები, წყვილი სამოცი მარკა ღირს... შვილი რომ მიილტვის დედისკენ, ისე მივილტვოდი კადილაკისკენ, და ბლუმენთალს ვახვევდი, ჩამომყოლოდა. ვიცოდი, როგორც ანთეოსს, მიწიდან ახალი ძალა მომეცემოდა. ფასის აბსტრაქტული შიში ქრება, როცა სამაგიეროდ რამის ჩვენება შეგიძლია.

მაგრამ ბლუმენთალმაც იცოდა, რომ მისი ძალა მისივე საწერი მაგიდის უკან იმალებოდა. სათვალე გაიკეთა და უკვე მართლა შემომიტია, ვიბრძოდით, როგორც ვეფხვი და პითონი. ბლუმენთალი პითონი იყო, სანამ გონს მოვეგე, ხუთასი მარკა ჩამომაჭრა.

შევშინდი და დავფრთხი. ხელი ჯიბეში ჩავიყავი და გოტფრიდის თილისმა ჩავბღუჯე.

— ბატონო ბლუმენთალ, — ვთქვი ღონემიხდილმა, — პირველი საათია, ალბათ, სასადილოდ გინდათ გახვიდეთ! — რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უნდა გავსულიყავი ამ ოთახიდან, რომელშიც ფასები თოვლივით დნებოდა.

— ორზე ვსადილობ, — ამიხსნა ბლუმენთალმა შეუდრეკლად, — იცით, რა? მოდი, გავიაროთ.

ამოვისუნთქე.

— მერე საუბარი გავაგრძელოთ, — დასძინა მან. ისევ სუნთქვა შემეკრა. — მისი სახლისკენ გავემგზავრეთ. ჩემდა გასაოცრად, მანქანაში უცბად გარდაისახა. გემრიელად მიამბო ანეკდოტი იმპერატორ ფრანც იოსებზე, რომელიც უკვე ვიცოდი. სამაგიეროდ, მე ტრამვაის კონდუქტორზე მოვუყევი. ის გზააბნეულ საქსონელზე მომიყვა. მე იქვე შოტლანდიელ შეყვარებულებზე ვუამბე. მხოლოდ ზედ სახლთან დავსერიოზულდით. მთხოვა, დამელოდეო, თავისი ცოლის მოყვანა უნდოდა.

— ჩემო საყვარელო, მსუქანო კადილაკო, — ვთქვი და მანქანას რადიატორზე დავუკაკუნე, — ამ ანეკდოტების უკან რამე ახალი ეშმაკობა იქნება დამალული. მაგრამ შენ მშვიდად იყავი, ჩვენ მაგას კიდევ ვუტირებთ ყოფას. გიყიდის. ებრაელი როცა ბრუნდება, ყიდულობს კიდეც ქრისტიანი როცა ბრუნდება, კიდევ კარგა ხანს არ ყიდულობს, ერთი ექვსჯერ მაინც გაივლ-გამოივლის, დროგის ფულს დაზოგავს, და მერე უცებ გაახსენდება, რომ მანქანა კი არა, სამზარეულო სჭირდება. არა, არა, ებრაელები კარგი ხალხია, იციან, რა უნდათ. მაგრამ გეფიცები, ჩემო კარგო და მსუქანო: იუდა მაკაბელის ამ პირდაპირ ჩამომავალს ასი მარკაც რომ დავუთმო, ცხოვრებაში სასმელს აღარ გავეკარები. ქალბატონი ბლუმენთალიც გამოჩნდა. ლენცის ყველა რჩევა გავიხსენე და ჩემში მეომარი კავალერად გადაიქცა.

საპასუხოდ ბლუმენთალმა მხოლოდ აგდებით ჩაიღიმა. რკინის კაცი იყო. ტრიკოტაჟი კი არა, ლოკომოტივები უნდა გაეყიდა.

ისე მოვახერხე, რომ ის მანქანაში უკან დაჯდა, მისი ცოლი კი — ჩემ გვერდით.

— საით წაგიყვანოთ, მოწყალე ქალბატონო? — ვკითხე და დავდნი. — საითაც გენებოთ, — მიპასუხა მან და დედაშვილურად გამიღიმა. ავლაპარაკდი. უწყინარ ადამიანთან ყოფნა ღვთის წყალობა იყო. ისე ჩუმად ვლაპარაკობდი, ბლუმენთალს ბევრი არაფერი ესმოდა. ასე უფრო თამამად ვსაუბრობდი. ისიც მყოფნიდა,

უკან რომ მეჯდა.

გავჩერდით. გადმოვედი და ჩემს მტერს მტკიცედ შევხედე.

— აღიარეთ, მანქანა კარაქივით მისრიალებს, ბატონო ბლუმენთალ. — კარაქი რა სახსენებელია, ახალგაზრდავ, — უჩვეულოდ კეთილად მიპასუხა, — როცა კაცს გადასახადები ხრავენ. ამ მანქანას მეტისმეტად ბევრი გადასახადი მოუწევს, ისე რომ იცოდეთ.

— ბატონო ბლუმენთალ, — ვეცადე, ტონი შემენარჩუნებინა, — საქმიანი კაცი ბრძანდებით, შემიძლია, პირდაპირ გელაპარაკოთ. ეს გადასახადები არაა, ხარჯებია. თავად უწყით, დღეს საწარმო რას მოითხოვს? მოგეხსენებათ, უწინდელივით კაპიტალი კი არა, კრედიტი სჭირდება! და კრედიტს როგორ მიიღებთ? იმის მიხედვით, როგორ გამოიყურებით. კადილაკი სოლიდური და მარდია, წარმოსადეგი და არა ძველმოდური — ჯანსაღი ბურჟუაზია... საწარმოს ცოცხალი რეკლამაა.

ბლუმენთალი გამხიარულდა და თავის ცოლს მიმართა:

— თავიანი ებრაელია, არა? ახალგაზრდავ, — მითხრა მერე, კვლავ ფამილარულად, — დღეს სოლიდურობის საუკეთესო რეკლამა გაქუცული კოსტიუმი და ავტობუსით მგზავრობაა. მთელი ის ფული რომ მოგვცა, რაც ამ ელეგანტურ მანქანებში არ გადაუხდიათ, აქ რომ დაქრის, ძალიან მშვიდად შევძლებდით ცხოვრებას.“ ეს ისე, ჩვენში დარჩეს.

უნდობლად შევხედე ეს მეგობრული განწყობა რაღა იყო? თუ ცოლის თანდასწრებით მებრძოლის სულს იხშობდა ხოლმე? გადავწყვიტე გამესროლა.

— ეს კადილაკი რაღაც ესექსი ხომ არაა, მოწყალე ქალბატონო? უმცროსი მაიერი და ვაჟი ასეთით დადის, მაგრამ რომც მაჩუქო არ მინდა რაღაც ცეცხლივით წითელი, თვალში საცემი მარხილი...

ბლუმენთალის ქსუტუნი გავიგონე და სწრაფად განვაგრძე:

— ეს ფერი ძალიან გიხდებათ, მოწყალე ქალბატონო ჩამქრალი კობალტის ლურჯი ქერასთან...

უცებ ბლუმენთალი ისე გაიკრიჭა, როგორც უთვალავი მაიმუნი გაიკრიჭებოდა ერთად.

— „მაიერი და ვაჟი“... ყოჩაღ, ყოჩაღ... — დაიკვნესა მან, — ახლა კიდევ ლაყბობს... ლაყბობს!

შევხედე. თვალებს არ დავუჯერე. მართლა იცინოდა! ისევ იმას მივაწექი..

— ბატონო ბლუმენთალ, დამერწმუნებით, მართალი ვარ ქალთან მიმართებით ლაყბობა ლაყბობა არაა. ეს ქათინაურებია, რომლებიც ჩვენს დროში, ვაგლახ, სულ უფრო დიდი იშვიათობა გახდა. ქალი ლითონის ავეჯი არაა, ყვავილია, ის პრაგმატიზმს არ მოითხოვს; მას ლაყბობის მზე სჭირდება. ყოველდღე ერთი ლამაზი სიტყვის თქმა სჯობს იმას, რომ მთელი ცხოვრება გაშმაგებით და სერიოზულად მისთვის იმუშაოთ. თან არც მილაყბია, ეს ფიზიკის ძირეული კანონია. ლურჯი ქერას უხდება. — კარგად დაიღრიალე, ლომო! — მითხრა გაბრწყინებულმა ბლუმენთალმა, — ყური მიგდეთ, ბატონო ლოკამპ ვიცი, რომ ერთ ათას მარკას კიდევ დაგაკლებინებთ...

ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. „ვერაგო სატანა“, ვიფიქრე მე, „აი, მოსალოდნელი დარტყმაც!“ უკვე ვხედავდი, როგორ მივუყვებოდი ფხიზელი ასკეტის ცხოვრების გზას, და ქალბატონ ბლუმენთალს ტანჯული შვლის ნუკრის მზერა ვტყორცნე.

— კი მაგრამ, მამა... — თქვა მან.

— მაცადე, დედა, — მიუგო მან, — მოკლედ, შემიძლია მაგრამ არ ვიზამ. მეწარმე ვარ და თქვენმა მუშაობამ გამართო, ცოტა ფანტაზიაში გადაამლაშეთ, მაგრამ „მაიერი და ვაჟი“ კარგი იყო. დედა ებრაელი გყავთ? — არა.

— კონფექციასთან თუ გქონიათ საქმე?

— დიახ.

— აი, ხომ ხედავთ, იქაური სტილია. რა სფეროში?

— სული, — ვუპასუხე, — მასწავლებლობას ვაპირებდი, — ბატონო ლოკამპ, — თქვა ბლუმენთალმა, — პატივს გცემთ! თუ უმუშევრად დარჩით, დამირეკეთ, ჩეკი გამოწერა და მომცა. თვალებს არ ვუჯერებდი! წინასწარ გადაიხადა! სასწაული!

— ბატონო ბლუმენთალ, — ვუთხარი გაოგნებულმა, — თუ ნებას დამრთავთ, მანქანას ორ ბროლის საფერფლეს და უმაღლესი ხარისხის რეზინის საფენს დავამატებ.

— ძალიან კარგი, ბრძანა მან, — მოხუცი ბლუმენთალიც საჩუქარს მერე კი მეორე დღისთვის ვახშმად მიმიწვია ქალბატონი ბლუმენთალი დედაშვილურად მიღიმოდა.

— ფარშირებული ქარიყლაპია გვექნება, — მითხრა რბილად.

— დელიკატესია, — მოვახსენე მე, — მაშინ მანქანასაც მოგიყვანთ. ხვალ გავაფორმოთ.

სახელოსნოსკენ მერცხალივით მივფრინავდი. მაგრამ ლენცი და კიოსტერი სასადილოდ გასულიყვნენ. ჩემი გამარჯვება ჯერ ჩემთვის უნდა შემენახა. მხოლოდ იუპი დამხვდა.

— გაყიდეთ? — მკითხა მან.

— ისე, კი უნდა იცოდე, შე ბატო, — ვუთხარი მე, — აი შენ ტალერი წადი და შენთვის ერთი თვითმფრინავი ააწყვე.

— ესე იგი, გაყიდულა, — გაიკრიჭა იუპი.

— ახლა წავალ, ვჭამ, — ვუთხარი მე, — მაგრამ ვაი შენ, ჩემს მოსვლამდე ვინმეს რამე რომ უთხრა.

— ბატონო ლოკამპ, — მითხრა დარწმუნებით და ტალერი ჰაერში შეათამაშა, — სამარე ვარ.

— გეტყობა, ვუთხარი და გაზს დავაჭირე როცა ეზოში დავბრუნდი, იუპმა რაღაც მანიშნა.

— რა მოხდა? — ვკითხე მე, — ენას კბილი ვერ დააჭირე?

— ბატონო ლოკამპ! მე ქვა და რკინა ვარ! — გაიკრიჭა, — უბრალო ის ფორდის ვაჟკაცი მოვიდა.

კადილაკი ეზოში დავტოვე და სახელოსნოში შევედი ხაბაზი იქ იყო და ფერების სინჯების წიგნს ჩაჰკირკიტებდა, ქამრიანი პალტოთი, განიერი სამგლოვიარო ლენტით. მის გვერდით კოხტა არსება იდგა. ცოცხალი, შავი თვალები ჰქონდა, შელანძღული კურდღლის ბეწვით გაწყობილი გაღეღილი პალტო ეცვა და მეტისმეტად პატარა ლაკის ფეხსაცმელი. შავი არსება კაშკაშა ალისფერის მომხრე იყო; ხაბაზს წითელი ეხამუშებოდა — ის ხომ გლოვობდა. ამიტომ ფერმკრთალი მოყვითალო-მონაცრისფრო შესთავაზა.

— კარგი, რა, — აბუზღუნდა შავტუხა, — ფორდი თვალში საცემად უნდა ლაპლაპებდეს. თორემ არაფერს არ ემგვანება.

როცა ხაბაზი იხრებოდა, გოგო შეთქმულის სახით გადმოგვხედავდა ხოლმე, მხრებს იჩეჩავდა, ტუჩებს მანჭავდა და თვალს გვიკრავდა. ცქვიტი ბავშვია! საბოლოოდ მომწვანოზე შეთანხმდნენ. გოგონას ღია ფერის შალითები მოუნდა. მაგრამ აქ ხაბაზი მყარად დადგა. სადმე მაინც ხომ უნდა ჩანდეს მისი გლოვა! მან შავი ტყავი აირჩია და თავისი გაიტანა. იქვე მოგებაც ნახა: შალითები ხომ უფასოდ ერგებოდა და ტყავი — ქსოვილზე ძვირი ღირდა.

წავიდნენ. მაგრამ ეზოში კვლავ შეჩერდნენ. შავტუხამ კადილაკი დაინახა და უმალვე ეცა:

— ნახე, ბაია, რა მანქანაა! აი, ეს მესმის!

მომდევნო წამს კარი უკვე გამოღებული ჰქონდა და შიგ იჯდა, აღტაცებისგან დაელმებული.

— აი, მესმის სავარძლები! კოლოსალურია! კლუბის სავარძლებივითაა! ფორდს კი არა ჰგავს!

— ჰა, წამო, წამო! — უთხრა უკმაყოფილო ბაიამ.

ლენცმა ხელი წამკრა; საქმისთვის უნდა მიმეხედა და ხაბაზისთვის მანქანა შემეტენა. გოტფრიდს ზემოდან დავხედე და ხმა არ გავეცი. უფრო ძლიერად წამკრა. მეც ვკარი და ზურგი შევაქციე.

ხაბაზმა თავისი შავი მშვენება დიდი გაჭირვებით გამოიყვანა მანქანიდან და ცოტა მოხრილი და ძალიან გაბრაზებული წავიდა.

წყვილს თვალი გავაყოლეთ.

— ეს კაცი გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებს — ვთქვი მე, — შეკეთებული მანქანა, ახალი ქალი... აი, მესმის!

— აცადე, — თქვა კიოსტერმა, — ეს ქალი კიდევ ბევრჯერ გაახარებს ის ორი კუთხეს მოეფარა და გოტფრიდიც აბუყბუყდა.

— რა ღმერთი გიწყრება, რობი? რა შანსი გაუშვი! სასკოლო მაგალითი იყო, როგორ უნდა ეცე!

უმცროსო ოფიცერო ლენც, — მივუგე მე, — სწორდი, როცა წოდებით უფროსს ელაპარაკები! რა გგონიათ, ბიგამისტი ვარ და მანქანას ორჯერ გავათხოვებ?

დიდებული წამი იყო. ლენცს შევცქეროდი. თვალები თეფშისტოლა გაუხდა.

— სიწმინდეებზე ხუმრობა არ შეიძლება, — ალუღლუღდა ლენცი. ზედაც არ შემიხედავს, კიოსტერს მივუბრუნდი.

— ოტო, დაემშვიდობე ჩვენს პატარა კადილაკს! ის ჩვენი აღარაა. ამიერიდან ის ნიფხვების მწარმოებელს შემატებს ბრწყინვალებას! ვიმედოვნებ, იქ კარგი ცხოვრება ელის! ისეთი გმირული ვერა, როგორიც ჩვენთან ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო დაცული.

ჩეკი ამოვიღე. ლენცი კინაღამ დაიშალა.

— არა... რაო? რა... გადაიხადა? — ჩურჩულებდა ხმაჩახლეჩილი. — აბა, დამწყებებო, რა გგონიათ? — ვიკითხე და ჩეკი გავაქნიე, — გამოიცანით!

— ოთხი! — დაიყვირა თვალდახუჭულმა ლენცმა.

— ოთხი და ხუთი, — თქვა კიოსტერმა.

— ხუთი, — გამოგვძახა ბენზინგასამართთან მდგომმა იუპმა.

— ხუთი და ხუთი, — მივუგდე მე.

ლენცმა ჩეკი ხელიდან გამომგლიჯა.

— შეუძლებელია! ალბათ, ყალბია!

— ბატონო ლენც, — ვთქვი ღირსეულად, — ჩეკი ისეთივე სანდოა, როგორი არასანდოც თქვენ ბრძანდებით! ჩემი მეგობარი ბლუმენთალი ოცჯერ მეტსაც გასწვდება. გესმით, ჩემი მეგობარი, რომელთანაც ხვალ საღამოს ფარშირებულ ქარიყლაპიას გეახლებით. მომბაძეთ! დამეგობრება, წინასწარ გადახდა და ვახშამზე მიპატიჟება: გაყიდვა ამას ჰქვია ესეც ასე. თავისუფლად!

გოტფრიდი გონს აღარ იყო. ბოლო ხერხი სცადა.

— ჩემი რეკლამა და ჩემი თილისმა!

გულსაკიდი დავუბრუნე.

— აჰა, შენი საყელური. სულ დამავიწყდა.

— უნაკლოდ ივაჭრე, რობი, — მითხრა კიოსტერმა, — დიდება ღმერთს, რომ ეს მარხილი მოვიშორეთ. ნაალაფარს ძალიან მაგრად მოვიხმართ, — ორმოცდაათ მარკას ავანსად მომცემ? — ვკითხე მე.

— ასს. შენ ეს დაიმსახურე.

— ისე, ავანსთან ერთად, ჩემი რუხი პალტო არ გინდა? — მკითხა გოტფრიდმა და თვალები მოჭუტა.

— გული საავადმყოფოსკენ ხომ არ მიგიწევს, სევდიანო და უტაქტო ნაბიჭვარო? — ვკითხე პასუხად.

— აბა, ბავშვებო, დღეისთვის მოვრჩეთ! — შემოგვთავაზა კიოსტერმა, —დღეს უკვე საკმარისი ფული გავაკეთეთ. ღმერთს ნუ გამოვცდით, მოდი, კარლი სავარჯიშოდ წავიყვანოთ.

იუპმა თავისი ბენზინგასამართი, რა ხანია, მიატოვა. ხელებს აღგზნებული იწმენდდა.

— ბატონო კიოსტერ, მაშ, აქაურობა მე ჩავიბარო, ჰო?

— არა, იუპ,— უთხრა ოტომ სიცილით, — შენც მოდიხარ!

ბანკში გავიარეთ და ჩეკი გავანაღდეთ. ლენცმა არ მოისვენა, სანამ არ დარწმუნდა, რომ წესრიგში იყო. მერე ადგილს მოვწყდით ისე, რომ ასფალტს ნაპერწკლები გასცვივდა.

8

ჩემი დიასახლისის პირისპირ ვიდექი.

— მოხდა რამე? — მკითხა ქალბატონმა ცალევსკიმ.

— არაფერი, — მივუგე მე, — უბრალოდ, ქირის გადახდა მინდა. სამი დღით ადრე მომივიდა და ქალბატონი ცალევსკი გაოცებისგან კინაღამ წაიქცა.

— რაღაც ამბავია, — მითხრა დაეჭვებულმა.

— არანაირი, — მივუგე მე, — შეიძლება, ამ საღამოს თქვენი სალონიდან ის ორი ფარჩის სავარძელი ვითხოვო?

ქალბატონი ცალევსკი ბრძოლისთვის მოემზადა და სქელ თეძოებზე დოინჯი შემოირტყა.

— ესეც ასე! თქვენი ოთახი აღარ მოგწონთ?

— როგორ არა. მაგრამ თქვენი ფარჩის სავარძლები უფრო მომწონს. ავუხსენი, რომ შეიძლება ბიძაშვილი მეწვიოს და ამიტომ ოთახის გალამაზება მინდა.

— ბიძაშვილი, — გაიმეორა ეჭვიანად, — მერე, როდის მოვა ის თქვენი ბიძაშვილი?

— ჯერ ზუსტად არ ვიცი, — ვუთხარი მე, — მაგრამ თუ მოვა, ცხადია, გვიან არა, საღამოს, სავახშმოდ. ისე, ბიძაშვილებმა რა დააშავეს, ქალბატონო ცალევსკი?

— ბიძაშვილები გამიგია, — მომიგო მან — მაგრამ მათთვის სავარძლებს არ ითხოვენ ხოლმე.

— მე ვითხოვ, — დავარწმუნე, — იცით, მე ოჯახს ძალიან ვაფასებ. — გეტყობათ! ერთმანეთთან დაძვრებით. ფარჩის სავარძლები კი აიღეთ. მანამდე სალონში წითელი პლუშისები დადგით.

— დიდი მადლობა. ხვალ ყველაფერს დავაბრუნებ. ხალიჩასაც.

— ხალიჩასო? — მომიტრიალდა, — ხალიჩა ვინ ახსენა?

— მე. და თქვენც, ეს წამია.

აღშფოთებულმა შემომხედა.

— ასე არაა? — ვუთხარი მე, — სავარძლები ხომ ზედ დგას.

ჩემი ოთახის მორთვას შევუდექი. ნაშუადღევს პატრის ჰოლმანს დავურეკე. აქამდე ავად იყო და ლამის ერთი კვირა აღარ მენახა. რვა საათზე შევთანხმდით და შევთავაზე, ჩემთან გვევახშმა და მერე კინოში წავსულიყავით. ფარჩის სავარძლები და ხალიჩა პომპეზურად გამოიყურებოდა, მაგრამ განათება საშინელი იყო. გვერდით, ჰასეების ოჯახს მივუკაკუნე, რომ მაგიდის ლამპა მეთხოვა. დაღლილი ქალბატონი ჰასე ფანჯარას მისჯდომოდა. მისი ქმარი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ყოველდღე, სრულიად ნებაყოფლობით, ლამის ორი საათით მეტხანს მუშაობდა, ოღონდაც არ მოეხსნათ. მისი ცოლი რაღაცით ავადმყოფ ფრინველს ჰგავდა. მომჩვარულ, ასაკშეპარულ ნაკვთებში ჯერაც მოჩანდა ბავშვის გალეული სახე — იმედგაცრუებული, ნაღვლიანი ბავშვისა.

ჩემი სათხოვარი მოვახსენე. წამოდგა და ლამპა მომიტანა.

— ჰოო, — ამოიოხრა, — ახლა რომ ვფიქრობ, უწინ...

ეს ამბავი უკვე ვიცოდი. საუბარი იყო იმაზე, თუ რა უნათოდა,

ჰასეს, რომ არ გაჰყოლოდა. მერე იმის შესახებ ილაპარაკა, თუ რა მოუვიდოდა ჰასეს, ცოლი რომ არ მოეყვანა. ეს, ალბათ, ამქვეყნად ყველაზე ხშირად მოყოლილი ამბავია. თან ყველაზე უიმედო.

ერთხანს ვუსმინე, რამდენიმე ბანალური სიტყვა მეც ვთქვი და ერნა ბიონიგთან გავსწიე, მისგან გრამოფონის წამოსაღებად.

ქალბატონი ჰასე ერნას მხოლოდ გვერდით მცხოვრებად მოიხსენებდა. ზემოდან უყურებდა, რადგან მისი შურდა. მე კი ძალიან მომწონდა ერნა. ის ცხოვრებას არ ართულებდა და იცოდა, რომ ოდნავ მაინც უნდა შეერგო ის, რასაც ბედნიერება ჰქვია. ისიც იცოდა, რომ ორმაგად და სამმაგად მოუწევდა გადახდა. ბედნიერება ამქვეყნად ყველაზე გაურკვეველი და ყველაზე ძვირად ღირებული რამ გახლავთ.

ერნამ ჩემოდანთან ჩაიცუცქა და რამდენიმე ფირფიტა აარჩია. — ფოქსტროტები გინდათ?

— არა, — ვუპასუხე, — არ ვცეკვავ.

გაოცებულმა ამომხედა.

— არ ცეკვავთ? აბა, სადმე რომ მიდიხართ, რას აკეთებთ?

— ვსვამ. ესეც არაა ურიგო.

თავი გააქნია.

— კაცმა თუ ცეკვა არ იცის, აღარ მაინტერესებს.

— მკაცრი წესები გქონიათ, — მივუგე მე, — მაგრამ სხვანაირი ფირფიტებიც ხომ არსებობს. ამას წინათ ძალიან ლამაზ რამეს უკრავდით ქალის ხმა იყო, თითქოს ჰავაების მუსიკა...

— ოჰ, ეგ სასწაულია. „უშენოდ როგორ ვცოცხლობდი“, ჰო?

— სწორია! ეს შლაგერების ავტორები რას არ მოიგონებენ! მე მგონი, მათ გარდა რომანტიკოსი აღარავინ დარჩა.

გაიცინა.

— რატომაც არა? ასეთი გრამოფონიც ხომ ოჯახური ალბომივითაა ადრე ერთმანეთს ალბომებში ლექსებს უწერდნენ, დღეს

გრამოფონის ფირფიტებს სჩუქნიან, როცა რამის გახსენება მინდა ხოლმე, იმდროინდელი ფირფიტის დადება მჭირდება და ყველაფერი უცებ ბრუნდება.

ძირს დალაგებული ფირფიტების მთას დავხედე.

— ამით თუ ვიმსჯელებთ, უთვალავი მოგონება გქონიათ, ერნა. ადგა და მოწითალო თმა გადაიწია.

— კი, — თქვა და ერთი შეკვრა ფეხით განზე გასწია, — თუმცა მე ერთსა და ნამდვილს ვამჯობინებდი.

ამოვალაგე, რაც ვახშმისთვის მქონდა ნაყიდი, და როგორც შემეძლო, ყველაფერი მოვაგვარე. სამზარეულოდან დახმარებას არ ველოდი, საამისოდ ფრიდა არ მწყალობდა. დიდი-დიდი, რამე ძირს დაეგდო. მაგრამ რაღაც მაინც მოვახერხე და ახალი ბრწყინვალებით მოსილი ჩემი ძველი ოთახი ვეღარც კი ვიცანი. სავარძელი, ლამპა, გაწყობილი მაგიდა — ვგრძნობდი, რომ მოუთმენლობა მიპყრობდა.

გავედი, თუმცა კი ერთ საათზე მეტი მქონდა. გარეთ ქარი ქროდა და სახლების კუთხეებს ეხლებოდა. ლამპიონები უკვე ენთო. სახლებს შორის ბინდი ზღვასავით ლურჯი იყო, „ინტერნაციონალი“ იარაღაყრილი საბრძოლო გემივით მოცურავდა. წამით შევირბინე.

— ესეც რობერტი, — თქვა როზამ.

— აქ რას აკეთებ? — ვკითხე მე, — დღეს არ მუშაობ?

— ჯერ ადრეა.

ალოიზი მოგვეპარა.

— ერთმაგი? — მკითხა მან.

— სამმაგი, — მივუგე პასუხად.

— მაგრად ურტყამ, — მითხრა როზამ.

— ჯანი მჭირდება, — ვუთხარი და რომი ჩავცალე.

— დაუკრავ? — მკითხა როზამ.

თავი გავაქნიე.

— დღეს ხასიათზე არა ვარ. მეტისმეტად ქარიანი დღეა, როზა. პატარა რას შვრება?

გაიღიმა და ოქროს კბილები გამოაჩინა.

— ნეტა სულ ასე მყავდეს, კარგად. ხვალ ისევ მივდივარ. ამ კვირაში ბლომად ფული გავაკეთე, ბებერ ხვადებს გაზაფხული შეუჩნდათ. ახალ პალტოს მივუტან. წითელი შალია.

— წითელი შალი მაგარ მოდაშია..

— შენ ნამდვილი კავალერი ხარ, რობი.

— რა გითხრა.., მოდი, თითო დავლიოთ. ანისეტზე რას იტყვი? თავი დამიქნია. ერთმანეთს მივუჭახუნეთ.

— მითხარი, როზა, სიყვარულზე რა აზრის ხარ? — მივმართე მე, — ავ საქმეში ხომ ერკვევი, ხმამაღლა გაიცინა, — მორჩი, — თქვა მერე, — სიყვარული! ეჰ, ჩემი არტური... ის არამზადა რომ მაგონდება, ახლაც მუხლები მეკვეთება. ერთი რამე უნდა გითხრა, რობი, ოღონდ მართლა: ადამიანის სიცოცხლე სიყვარულისთვის მეტისმეტად გრძელია. უბრალოდ, ძალიან გრძელია. ეს ჩემმა არტურმაც მითხრა, როცა მიმატოვა. მართალიცაა. სიყვარული მშვენიერია. მაგრამ ვიღაცისთვის ყოველთვის უფრო გრძელია. და მერე ის მეორე ზის და თვალებს აცეცებს. გიჟივით აცეცებს.

— გასაგებია, — ვთქვი მე, — მაგრამ სიყვარულის გარეშე ხომ შვებულებაში გასული ცხედარი ხარ, არა?

— მომბაძე, — მითხრა როზამ, — ბავშვი იყოლიე. სიყვარულის საგანიც გეყოლება და მშვიდადაც იქნები.

— საღი აზრია, — ვუთხარი მე, — ეგღა მაკლდა.

როზამ თავი მეოცნებე სახით გააქნია.

— რაც მე არტურისგან მომხვედრია... და მაინც, ახლა რომ შემოვიდეს, გვერდულად უკან გადაწეული ქვაბურა ქუდით... ბიჭო, ამის წარმოდგენაზეც მაკანკალებს.

— მოდი, არტურს გაუმარჯოს.

როზამ გაიცინა.

— გაუმარჯოს, მაგ ბოზის ტრიკოს!

გადავკარით.

— ნახვამდის, როზა. ამაღამ ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— მადლობა ნახვამდის, რობი!

სახლის კარი გაჯახუნდა.

— სალამი, — მითხრა პატრის ჰოლმანმა, — რაზე ჩაფიქრებულხართ? — არა, არაფერზე! როგორა ხართ? გამომჯობინდით? რა გჭირდათ? — აჰ, დიდი არაფერი გავცივდი და ცოტა სიცხე მქონდა.

ავადმყოფს და შეტევიანს სულ არ ჰგავდა. პირიქით — მისი თვალები ასეთი დიდი და მბრწყინავი არასდროს მინახავს, ოდნავ შეფაკლული იყო და მოხდენილად მოძრაობდა, თხელი, ლამაზი ცხოველივით, — დიდებულად გამოიყურებით, — ვუთხარი მე, — სრულიად ჯანსაღად უამრავი რამის გაკეთება შეგვიძლია.

— კარგი იქნებოდა, მიპასუხა მან, — მაგრამ დღეს არ გამოვა. დღეს არ შემიძლია ვერ გავიგე და მივაჩერდი.

— არ შეგიძლიათ?

თავი გააქნია.

— სამწუხაროდ, არა.

მაინც ვერაფერი გავიგე. ვიფიქრე, ჩემი სახლის ამბავი სხვანაირად გაიგო და ამიტომ ჩემთან ვახშმობა აღარ მოუნდა-მეთქი.

— დაგირეკეთ, — თქვა მან, — რომ ტყუილად არ მოგეკითხათ. მაგრამ უკვე გასული დამხვდით.

როგორც იქნა, გავიგე.

— მართლა არ შეგიძლიათ? მთელი საღამო? — ვკითხე მე.

— დღეს არ შემიძლია. წასასვლელი ვარ. სამწუხაროდ, ეს მეც მხოლოდ ნახევარი საათის წინ გავიგე.

— ვერ გადადებთ?

— არა, არ გამოვა. — გამიღიმა, — ცოტა საქმიანი ამბავია. დარეტიანებულივით ვიყავი. ყველაფერი წარმომედგინა, ამის გარდა. არც ერთი სიტყვისა არ მჯეროდა საქმიანი ამბავი — საქმიანისა არაფერი ეტყობოდა! ალბათ, მიზეზი მოიგონა. ნამდვილად ასე იყო. საღამოს რა საქმიანი შეხვედრა უნდა ჰქონოდა? ასეთებს დილით აკეთებენ! და არც ნახევარი საათით ადრე იგებენ ხოლმე. უბრალოდ, არ უნდოდა, ეს იყო და ეს.

ბავშვურად იმედგაცრუებული დავრჩი. ახლა ვიგრძენი, ამ საღამოს როგორი სიხარულით ველოდი. გავბრაზდი, ასე რომ დამწყდა გული და არ მინდოდა, მას შეემჩნია.

— კარგი, — ვუთხარი მე, — რა გაეწყობა. ნახვამდის.

დაკვირვებით შემომხედა.

— არც ასეთი საჩქარო ამბავია. მხოლოდ ცხრაზე ვარ შეთანხმებული. ცოტა გავისეირნოთ? მთელი კვირა გარეთ არ გავსულვარ, — კარგი, — ვუთხარი უგემურად. უცებ ვიგრძენი, რომ დავიღალე და დავცარიელდი ქუჩას მივუყვებოდით. საღამოს გამოიდარა და სახურავებს შორი, ვარსკვლავები მოჩანდა. გაზონთან ჩავიარეთ, სადაც ჩრდილში რამდენიმე ბუჩქი ხარობდა. პატრის ჰოლმანი გაჩერდა.

— იასამანი, — თქვა მან, — იასამნის სურნელი დგას! შეუძლებელია ჯერ ხომ ძალიან ადრეა.

— ვერაფერს ვგრძნობ, — მივუგე მე.

— კი, სუნია! — გაზონისკენ გადაიხარა.

— ეს, ჩემო ქალბატონო, არის Daphne Indica, — გაისმა სიბნელიდან ჩახლეჩილი ხმა.

ქალაქის მებაღე, თითბრისკოკარდიანი ქუდით, ხეს იყო მიყრდნობილი. ცოტა ბარბაცით მოგვიახლოვდა. ჯიბიდან ბოთლის ყელი მოუჩანდა. — დღეს დავრგეთ, — თქვა და მაგრად დაასლოკინა, — აი, იქით დგას. — დიდი მადლობა, — თქვა პატრის ჰოლმანმა და მომიტრიალდა, — ისევ ვერაფერს გრძნობთ?

— კი, ახლა ვგრძნობ, — ვუთხარი უგუნებოდ, — ჩვენებური, კარგი ხორბლის არყის სუნს.

— მაგრად გამოიცანი! — ჩრდილში მდგომმა კაცმა სასტიკად დააბოყინა. ძალიან კარგად ვგრძნობდი ტკბილ, მძიმე სურნელს, ალერსიან ბინდში რომ ტრიალებდა; მაგრამ ამას არაფრის დიდებით არ ვაღიარებდი. გოგონამ გაიცინა და მხრებში გასწორდა.

— რა კარგია, თან მას მერე, რაც ამდენ ხანს ოთახში ვიჯექი რა დასანანია, რომ წასასვლელი ვარ! ეს ბინდინგი, სულ რომ ეჩქარება და სულ ბოლო წუთამდე მიჰყავს საქმე... ხომ შეეძლო, მართლა ხვალისთვის გადაედო!

— ბინდინგი? — ვკითხე მე, — ბინდინგთან ხართ შეთანხმებული? თავი დამიქნია.

— ბინდინგია და კიდევ ვიღაცა. ამ ვიღაცის ამბავია. მართლა საქმიანი. წარმოგიდგენიათ?

— ვერა, — ვუპასუხე, — ვერ წარმომიდგენია.

გაიცინა და ლაპარაკი განაგრძო. მაგრამ მე აღარ ვუსმენდი. ბინდინგი... მეხი დამეცა. არასოდეს დავფიქრებულვარ, რომ მას ჩემზე დიდი ხნით ადრე იცნობდა, მე მხოლოდ მის უშველებელ და მოციალე ბიუიკს ვხედავდი, მის ძვირიან ტანსაცმელს და ჩემ წინაშე აღმართულ საფულეს. ჩემო საწყალო, ყოჩაღო, მორთულო ოთახო! რა მეგონა? ეს გოგონა საჩემო არ იყო! ვინ ვეგდე? ფეხითმოსიარულე, რომელმაც ერთხელ კადილაკი ითხოვა, მოუქნელი ლოთბაზარა, მეტი არაფერი! ასეთები ყოველი ქუჩის კუთხეში ყრიან. უკვე ვხედავდი, როგორ სალამს აძლევდა ბინდინგს „მტევნის“ პორტიე, ვხედავდი ნათელ, თბილ, მოვლილ დარბაზებს, სიგარეტის ბოლს და ელეგანტურ ადამიანებს, მესმოდა მუსიკა და სიცილი; მე დამცინოდნენ! „წავედი“, ვიფიქრე, „ჩქარა, წავედი აქედან!“ რაღაც მეგონა, რაღაცის იმედი მქონდა — კმარა! ამის დაშვება უაზრობა იყო. მორჩა, წავედი!

— თუ გინდათ, ხვალ საღამოს შევხვდეთ, — თქვა პატრის ჰოლმანმა. — ხვალ საღამოს არ მცალია, — ვუპასუხე მე.

— ან ზეგ, ან სხვა დროს, ამ კვირაში. მომდევნო დღეები თავისუფალი მაქვს.

— გამიჭირდება, — ვუთხარი მე, — დღეს საჩქარო შეკვეთა მივიღეთ, ალბათ, მთელი კვირა გვიანობამდე მოგვიწევს მუშაობა.

ვიტყუებოდი, მაგრამ რა მექნა. უცებ ბრაზი და სირცხვილი მომაწვა. მოედანი გადავჭერით და სასაფლაოს გასწვრივ მიმავალ ქუჩას გავუყევით. „ინტერნაციონალის“ მხრიდან ჩვენკენ მომავალი როზა დავინახე. მაღალი ჩექმები ულაპლაპებდა. შემეძლო, გადამეხვია, და სხვა დროს ასეც ვიზამდი, მაგრამ ახლა გზა განვაგრძე, მის შესახვედრად. როზამ ზედაც არ შემომხედა, თითქოს უცხოზე უცხო ვყოფილიყავი. თავისთავად ცხადია: თუ მარტო არ იყავი, ეს გოგოები ქუჩაში არავის იცნობდნენ.

— გამარჯობა, როზა, — ვუთხარი მე.

ჯერ მე შემომხედა გაკვირვებით, მერე — პატრის ჰოლმანს, თავი ჩქარ-ჩქარა დაგვიკრა და დაბნეულმა გზა განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯით უკან ფრიცი მოჰყვებოდა, ხელჩანთის ქნევით, ძალიან წითელი პომადით და თეძოების ქანაობით. გულგრილად გამომხედა, თითქოს ფანჯრის მინა ვყოფილიყავი.

— სალამი, ფრიცი!

თავი დედოფალივით დახარა და გაოცება არაფრით გამოუხატავს; მაგრამ რომ ჩაგვიარა, გავიგონე — ნაბიჯს აუჩქარა, როზასთან მომხდარის განხილვა უნდოდა. ჯერაც შემეძლო, გადამეხვია, რადგან ვიცოდი, რომ სხვებიც მოვიდოდნენ — სწორედ პირველი დიდი შემოვლის დრო იყო. მაგრამ გზას კვლავ ჯიქურ მივუყვებოდი — რატომ უნდა გავრიდებოდი. მათ ხომ ბევრად უკეთ ვიცნობდი, ვიდრე ჩემ გვერდით მომავალ გოგონას თავისი ბინდინგით და მისი ბიუიკით. შეეძლო, ყველაფრისთვის ეყურებინა, თან ყურადღებით.

ლამპიონების გრძელ რიგს ყველანი მოუყვებოდნენ: ფერმკრთალი, თხელი და ელეგანტური მზეთუნახავი ვალი, ხისფეხიანი ლინა, ჩასკვნილი ერნა, წიწილა მარიონი, წითელლოყება მარგო, ციყვის ქურქში გამოწყობილი მამათმავალი კიკი და ბოლოს — მიმი ბებია ატკივებული ვენებით, გაქუცულ ჭოტს ჰგავდა. ყველას მივესალმე, და როცა ძეხვის ქვაბს გავუსწორდი, დედიკოს გულით ჩამოვართვი ხელი.

— აქ ბევრი ნაცნობი გყოლიათ, — მითხრა ცოტა ხნის მერე პატრის ჰოლმანმა.

— ასეთები კი, — ვუპასუხე კუშტად.

ვიგრძენი, რომ შემომხედა.

— მე მგონი, უნდა დავბრუნდეთ, — მითხრა მან.

— კი, — ვუპასუხე, — მეც ასე მგონია.

მისი სახლის კართან ვიდექით.

— ბედნიერად, — ვუთხარი მე, — და კარგი დრო გაატარეთ.

არ მიპასუხა. თავს ძალა დავატანე, მზერა კარის ზარს მოვწყვიტე და შევხედე. და მართლა, — თვალებს არ დავუჯერე, — იდგა, და იმის ნაცვლად, რომ გულზე მოხვედროდა, ტუჩები აუკანკალდა, თვალები აუბრჭყვიალდა და მერე სიცილი დაიწყო, გულიანად და უდარდელად. უბრალოდ, დამცინოდა.

— ბავშვი ხართ, — მითხრა — მივაშტერდი.

მან, — ღმერთო, ჯერ რა ბავშვი ხართ!

— რა ვიცი... — ვუთხარი მე, — როგორცაა...— და უცებ მივხვდი, — იდიოტი ბგონივართ, არა?

იცინოდა; უცებ მივაჭერი და ჩემკენ მოვიზიდე, რაც უნდოდა, ის ეფიქრა. მისი თმა ლოყებზე მეხებოდა, სახე სულ ახლოს მედგა, მისი კანის მსუბუქ ატმის სურნელს ვგრძნობდი; მერე მისი თვალები მომიახლოვდნენ და მისი ტუჩები ვიგრძენი...

სანამ გონს მოვეგე, უკვე წასული იყო.

უკანა გზაზე კვლავ დედიკოს ძეხვებთან ჩავიარე.

— ერთი დიდი ძეხვი მომეცი, — ვუთხარი გაბრწყინებულმა.

— მდოგვით? — მითხრა სუფთა, თეთრი წინსაფრით მდგომმა დედიკომ. — ძალიან ბევრი მდოგვით, დედიკო!

ძეხვი ფეხზე მდგომმა გემრიელად შევჭამე, თან ალოიზს „ინტერნაციონალიდან ერთი კათხა ლუდიც მოვატანინე.

— ადამიანი სასაცილო არსებაა, არა, დედიკო? — ვკითხე მე. — ვერ წარმოიდგენ, — მიპასუხა ბეჯითად, — გუშინ მოვიდა ვიღაც ბატონი, ორი ვენური შეჭამა, მდოგვით, და მერე თურმე გადახდა არ შეუძლია. კარგა გვიანი იყო, კაცი არ ჭაჭანებდა, ხომ იცი, როგორცაა, და რა მექნა, გავუშვი. და წარმოიდგინე, დღეს ისევ მოვიდა და ვენურებისაც გადამიხადა და ჯიბის ფულიც მომცა.

— ომამდელი აღზრდა, ჩემო დედიკო. სხვა როგორ გაქვს საქმე? — ცუდად! გუშინ შვიდი წყვილი ვენური და ცხრა ძეხვი გავყიდე. იცი, გოგოები რომ არ მყავდნენ, დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდა ჩემი ამბავი. გოგოები ბოზები იყვნენ, დედიკოს, რამდენადაც შეეძლოთ, ხელს უმართავდნენ. თაყვანისმცემელს რომ იშოვიდნენ ხოლმე, თუ შესაძლებელი იყო, დედიკოსთან ჩაატარებდნენ, რომ საქმემდე თითო ძეხვი შეეჭამათ და ბერიქალსაც ფული გაეკეთებინა.

— მალე დათბება, — განაგრძობდა დედიკო, — მაგრამ ზამთარში, სისველეში და სიცივეში, რაც გინდა, ჩაიცვი, მაინც არაფერი გეშველება. — ერთი ძეხვიც მომეცი, — ვუთხარი მე, — ცხოვრება ძალიან მიხარია. სახლში რა ხდება?

წყალწყალა, პატარა თვალებით შემომხედა.

— ისევ ისე ვარ. ცოტა ხნის წინ ლოგინი გაყიდა.

დედიკო გათხოვილი იყო. ათი წლის წინ მისი ქმარი მეტროს ვაგონში ახტომისას წაიქცა და მატარებელმა გადაუარა. ორივე ფეხის მოკვეთა მოუწია, უბედურებამ მასზე უცნაური გავლენა მოახდინა: ისე რცხვენოდა თავის დახეიბრების, რომ ცოლთან აღარ წვებოდა. გარდა ამისა საავადმყოფოში მორფს მიეჩვია. ამან

უცებ მოუღო ბოლო, ჰომოსექსუალების წრეში მოხვდა და მალე კაცი, რომელიც ორმოცდაათი წელი ნორმალური იყო, მხოლოდ მამათმავალ ყმაწვილებთან დაიარებოდა. მათი არ რცხვენოდა, იმიტომ რომ ისინი მამაკაცები იყვნენ. ქალებისათვის ხეიბარი იყო და ეგონა, ზიზღსა და სიბრალულს იწვევდა, და ვერ უძლებდა. მამაკაცებისთვის ის ადამიანი იყო, რომელსაც უბედურება შეემთხვა. ბიჭებისა და მორფის საშოვნელად ის დედიკოს ყველაფერს ართმევდა, რასაც კი პოულობდა, და ჰყიდდა, რაც კი გასაყიდი იყო. მაგრამ დედიკო არ ტოვებდა, თუმცა კაცი ხშირად ურტყამდა. დედიკო თავის ვაჟთან ერთად ყოველღამე ძეხვს ჰყიდდა, ზოგჯერ დილის ოთხამდეც. დღისით სარეცხს რეცხავდა, კიბეებს ხეხავდა. წელსქვემოთ სულ ავად იყო და ოთხმოცდაათ გირვანქას იწონიდა, მაგრამ უგუნებოდ არავის უნახავს. დედიკო თვლიდა, რომ ჯერ კარგად ჰქონდა საქმე, ზოგჯერ, როცა თავს უბედურად გრძნობდა, ქმარი მიადგებოდა ხოლმე და ტიროდა. ეს დედიკოსთვის ყველაზე ნათელი საათები იყო.

— ისევ იმ კარგ საქმეზე ხარ? — მკითხა დედიკომ.

თავი დავუქნიე.

— კი, დედიკო. ახლა ფულს კარგად ვაკეთებ — გაუფრთხილდი ამ საქმეს, არ დაკარგო.

— ვეცდები, დედიკო.

შინ დავბრუნდი. წინკარში, ღვთისგან მოვლენილივით, მოახლე ფრიდა იდგა.

— კარგი გოგო ხართ, — ვუთხარი, რადგან რამე სიკეთის გაკეთება მინდოდა.

ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძმარი დაელიოს.

— მართლა! — განვაგრძე მე, — ამ გაუთავებელ ჩხუბს რა აზრი აქვს? ცხოვრება ხანმოკლეა, ფრიდა, მოულოდნელობებით და საფრთხით სავსე. დღეს ერთად დგომა გვმართებს. ავიტანოთ ერთმანეთი!

ჩემს გაწვდილ ხელს თვალი აარიდა, რაღაცა ჩაილუღლუღა წყეული ლოთბაზარების შესახებ, კარი გაიჯახუნა და გაქრა.

გეორგ ბლოკს მივუკაკუნე. მის კარსქვემოდან შუქი მოჩანდა. რაღაცას იზუთხავდა.

— წამო, გეორგ, ვჭამოთ, — ვუთხარი მე.

გამომხედა ფერმკრთალი სახე აუწითლდა.

— არ მშია.

ეგონა, სიბრალული მალაპარაკებდა. ამიტომ არ უნდოდა.

— ჯერ ნახე, რა მაქვს, — ვუთხარი მე, — გაფუჭდება. გამისწორე, რა, როცა დერეფანს გავდიოდით, დავინახე, რომ ერნა ბიონიგის კარი შეღებული იყო. კარსუკან ჩუმი სუნთქვა მომესმა. „აჰა“, ვიფიქრე და გავიგონე, რომ ჰასეების კლიტე ჩუმად გაჩხაკუნდა და მათი კარიც რამდენიმე სანტიმეტრით გაიღო. მთელი პანსიონი ჩემს ბიძაშვილს ჩასაფრებოდა.

ჭაღის მკვეთრ შუქში ქალბატონი ცალევსკის ფარჩის სავარძლები — იდგა. ჰასეების ლამპა ბრწყინავდა, ანანასები ციალებდა, საუკეთესო ღვიძლის ძეხვი, ორაგული, ერთი ბოთლი შერი...

მე და დამუნჯებული გეორგი შუა ჭამაში ვიყავით, რომ კარზე დააკაკუნეს ვიცოდი, ვინც იქნებოდა.

— მოიცა, გეორგ, — წავჩურჩულე და გავძახე, — მობრძანდით! კარი გაიღო და ცნობისმოყვარეობით ანთებული ქალბატონი ცალევსკი შემოვიდა. ცხოვრებაში პირველად პირადად მომიტანა საფოსტო გზავნილი, რაღაც ამონაბეჭდი, რომელიც უმი პროდუქტებით კვებისკენ მომიწოდებდა. ქალბატონი ცალევსკი ფერიასავით გამოიყურებოდა: ტანმაღალი ქალბატონი უკეთესი, ძველი დროიდან, მაქმანის კაბა, ფოჩებიანი შარფი და გულსაბნევი, ზედ ცხონებული ცალევსკის გამოსახულებით. დაშაქრული ღიმილი სახეზე მიეყინა. გაოგნებული შესცქეროდა დაბნეულ გეორგს. უგულო ვარ — სიცილი ამიტყდა. ქალბატონი ცალევსკი უცებ მოეგო გონს.

— აჰა, გადაგაგდეს, — თქვა შხამიანად.

— მართალია, — ვუპასუხე, ჯერაც მისი იერით მონუსხულმა. რა ბედნიერებაა, რომ დაპატიჟებამ ამაოდ ჩამიარა!

დედა ცალევსკიმ აგდებით გადმომხედა.

— მერე, რა გაცინებთ? სულ ვამბობდი: სადაც ხალხს გული აქვს თქვენ არყის ბოთლი გიდგათ.

— კარგი სიტყვაა, — მივუგე მე, — ხომ არ დაგვეწვეოდით, მოწყალე ქალბატონო?

ორჭოფობდა მერე ცნობისმოყვარეობამ გადასძალა — ეგებ კიდევ რამე გაეგო. შერის ბოთლი გავხსენი.

მერე, როცა ყველაფერი მორჩა და დაწყნარდა, პალტო და საბანი ავიღე და დერეფანში ტელეფონთან მივიპარე. აპარატიან მაგიდასთან ჩავიმუხლე პალტო და საბანი თავზე გადავიხურე. ყურმილი ავიღე და მარცხენა ხელით პალტო შემოვიკეცე. ასე ნამდვილად ვერავინ მომისმენდა. ცალევსკის პანსიონს დაუჯერებლად გრძელი, ცნობისმოყვარე ყურები ჰქონდა.

გამიმართლა. პატრის ჰოლმანი შინ იყო.

— დიდი ხანია, საიდუმლო შეხვედრიდან დაბრუნდით? — ვკითხე. — თითქმის ერთი საათია.

— აფსუს. რომ მცოდნოდა...

გაიცინა.

— არა, რა აზრი ჰქონდა. ლოგინში ვწევარ და ისევ სიცხე მაქვს. ძალიან კარგია, რომ სახლში დროზე დავბრუნდი.

— სიცხე? რა სიცხეა ამისთანა?

— აჰ, დიდი არაფერი. თქვენ რას აკეთებდით?

— ჩემს დიასახლისს მსოფლიო ამბებზე ველაპარაკებოდი. თქვენ? საქმე გამოგივიდათ?

— იმედია, გამოვა.

ჩემს სამალავში საშინლად ჩამოცხა. ამიტომ, როცა გოგონა

ლაპარაკობდა, ფარდას ავწევდი ხოლმე, გრილ ჰაერს ვისუნთქავდი და ისევ ვხურავდი, როცა თავად მქონდა რამე სათქმელი.

— არავის იცნობთ, რობერტი რომ ერქვას? — ვკითხე მე გაიცინა.

— მე მგონი, არა...

— აფსუს. სიამოვნებით მოვისმენდი, ამ სახელს როგორ წარმოთქვამთ, იქნებ მაინც გეცადათ?

ისევ გაიცინა.

— ისე, უბრალოდ, გავერთოთ, — ვთქვი მე, — მაგალითად: რობერტი ვირია.

— რობერტი ბავშვია.

— საოცარი გამოთქმა გაქვთ, — ვუთხარი მე, — მოდი, ახლა რობი ვცადოთ. მაშ, ასე: რობი...

— რობი ლოთია... — ნელა წარმოთქვა ჩუმმა, შორეულმა ხმამ, — ახლა კი ჩემი ძილის დროა... ძილის წამალი დავლიე და თავი უკვე მიზუზუნებს... — კარგი.., ღამე მშვიდობისა... ძილი ნებისა... — ყურმილი დავკიდე და პალტო და საბანი გვერდით გადავდე. მერე წამოვდექი და გავშეშდი. ჩემ უკან, ერთ ნაბიჯში, მოჩვენებასავით იდგა პენსიაზე გასული ხაზინადარი, რომელიც სამზარეულოს გვერდით ოთახში ცხოვრობდა. გაბრაზებულმა რაღაც ჩავიბურტყუნე.

— ჩუ! — თქვა და გაიკრიჭა.

— ჩუ! — მივუგე მეც და ჭირი ვუსურვე.

თითი ასწია.

— არ გაგცემთ. პოლიტიკური ამბავია?

— რა? — ვკითხე გაოცებულმა.

თვალი ჩამიკრა.

— დარდი არ გქონდეთ. მეც მაგარი მემარჯვენე ვარ. საიდუმლო პოლიტიკური საუბარი გქონდათ, ჰო?

მივხვდი.

— უაღრესად პოლიტიკური! — ახლა მეც ვიკრიჭებოდი.

თავი დამიქნია და ჩაიჩურჩულა:

— იმპერატორს დიდება!

— დიდება! — ვუპასუხე მე, — ახლა სხვა რამე მაინტერესებს ხომ არ იცით, ტელეფონი ვინ გამოიგონა?

მელოტი თავი გაკვირვებულმა გააქნია:

— არც მე ვიცი, — ვთქვი მე, — არადა, ზღაპრული კაცი იქნებო-და...

9

კვირა. დღეს რბოლაა. ბოლო კვირის განმავლობაში კიოსტერი ყოველდღე ვარჯიშობდა, მერე, საღამოობით, გვიან ღამემდე, კარლის ყოველ ჭანჭიკს ვამოწმებდით, ვზეთავდით და ვაწესრიგებდით. ახლა სათადარიგო ნაწილების საწყობში ვისხედით და კიოსტერს ველოდიო რომელიც სასტარტო მოედანზე იყო წასული.

ყველანი აქ ვიყავით: გრაუ, ვალენტინი, ლენცი, პატრის ჰოლმანი და, რაც მთავარია, იუპი. იუპი, კომბინეზონში გამოწყობილი, საგანგებო სათვალით და მუზარადით. ის კიოსტერის თანამგზავრი იყო, რადგან ყველაზე მსუბუქი ბრძანდებოდა. თუმცა, ლენცი ორჭოფობდა. ის ამტკიცებდა, რომ იუპის უზარმაზარი, დაცქვეტილი ყურები ჰაერის მეტისმეტად დიდ წინაღობას გამოიწვევდა; მანქანა ან ოცი კილომეტრის სიჩქარეს დაკარგავდა, ან თვითმფრინავად გადაიქცეოდა.

— ინგლისური სახელი საიდან გაქვთ? — ჰკითხა გოტფრიდმა პატრის ჰოლმანს, რომელიც მის გვერდით იჯდა.

— დედაჩემი ინგლისელი იყო. მასაც ასე ერქვა, პატი.

— აჰ, პატი, ეს სულ სხვა საქმეა. ბევრად იოლი სათქმელია. — გოტფრიდმა ჭიქა და ბოთლი მოიტანა, — აბა, მეგობრობას გაუმარჯოს პატ! მე გოტფრიდი მქვია.

მივაშტერდი. მე მიმართვაზე ჯერაც თავს ვიმტვრევდი, ის კი დღისით-მზისით ასეთებს სჩადიოდა! თან პატიმ გაიცინა და მართლა გოტფრიდს უძახდა.

მაგრამ ფერდინანდ გრაუსთან შედარებით ეს არაფერი იყო. ის სრულიად შეიშალა და პატის თვალს არ აცილებდა. ლექსებს გამოთქმით კითხულობდა და ეუბნებოდა, უნდა დაგხატოო. მართლაც, ყუთზე ჩამოჯდა და ხატვას შეუდგა.

— მომისმინე, ფერდინანდ, ბებერო მკვდარიჭამია — ვუთხარი და ბლოკნოტი წავართვი, — ცოცხლებს ნუ ეხები. შენ შენს გვამებს მიხედე. და უფრო ზოგად საკითხებზე ილაპარაკე. გოგოს რაც შეეხება, მგრძნობიარე ვარ.

— კარგი, და მერე ჩემი მედუქნის დეიდის ნაშთები ერთად დავლიოთ, ჰო? — მთლიანად დალევისა რა გითხრა, მაგრამ ცალ ფეხს მაინც მოვერევით. — კარგი. მაშ, დაგინდობ, ყმაწვილო.

ძრავების გრიალი გზას ავტომატის ჯერივით უვლიდა. დამწვარი ზეთის, ბენზინის და აბუსალათინის სუნი იდგა. ამაღელვებელი საოცარი სუნი, ძრავების ამაღელვებელი, საოცარი გრიალი იქვე, კეთილმოწყობილ ჯიხურებში, მონტიორები ხმაურობდნენ. ჩვენ ფრიად მწირად ვიყავით აღჭურვილი. რაღაც ხელსაწყოები, სანთლები, რამდენიმე ბორბალი და სათადარიგო საბურავი, რომლებიც ფაბრიკაში უფასოდ მივიღეთ, რამდენიმე პატარა სათადარიგო ნაწილი — სულ ეს იყო. კიოსტერი ფაბრიკის სახელით არ გამოდიოდა, ყველაფერი ჩვენ თვითონ უნდა გადაგვეხადა. ამიტომ ბევრი არაფერი გაგვაჩნდა.

ოტო მოვიდა. მას ბრაუმიულერი მოჰყვა, რომელიც რბოლისთვის უკვე გამოწყობილიყო.

— აბა, ოტო, — თქვა მან, — თუ დღეს სანთლები გამიძლებს, წასულია შენი საქმე! მაგრამ ვერ გამიძლებს.

— ვნახოთ, — მიუგო კიოსტერმა.

ბრაუმიულერმა კარლს მუქარით გახედა:

— უფრთხილდი ჩემს მაკნატუნას!

მაკნატუნა ძალიან მძიმე, ახალი მანქანა იყო, რომელსაც ბრაუმიულერი მართავდა. ის ფავორიტად ითვლებოდა.

— კარლი შავ დღეს დაგაყრის, თეო! — გასძახა ლენცმა.

ბრაუმიულერი ძველი, მართალი, ჯარისკაცული ენით აპირებდა პასუხის გაცემას, მაგრამ ჩვენთან მჯდომი პატრის ჰოლმანის დანახვაზე გაჩუმდა, თვალები დააელმა, უმიზნოდ გაიკრიჭა და გაგვეცალა. — სრული წარმატებაა, — თქვა დაკმაყოფილებულმა ლენცმა.

ტრასას მოტოციკლეტების ყეფამ გადაუარა. კიოსტერი უნდა მომზადებულიყო. კარლი სპორტული მანქანების კლასში იყო ჩაწერილი.

— ბევრი ვერაფრით დაგეხმარებით ოტო, — ვუთხარი და ხელსაწყოებს გავხედე.

ხელი ამიქნია.

— არცაა საჭირო. კარლი თუ დაიმტვრა, ქარხანა ვერ უშველის — დაფებს დაგიჭერთ, რომ იცოდე, როგორ გაქვს საქმე, ჰო?

კიოსტერმა თავი გააქნია.

— ერთიანი სტარტია. დავინახავ. თან იუპიც მიხედავს.

იუპმა თავი ბეჯითად დააქნია. აღგზნებისგან კანკალებდა და განუწყვეტლივ ჭამდა შოკოლადს. მაგრამ ეს ახლა იყო ასე. სასტარტო გასროლისთანავე კუსავით დაწყნარდებოდა, — აბა, წადით, კისერიც გიტეხიათ.

— კარლი გამოვიყვანეთ.

— სტარტზე არ გაიჭედო, საყვარელო ცხედარო, — თქვა ლენცმა და რადიატორს ხელი გადაუსვა, — მოხუც მამას იმედებს ნუ

გაუცრუებ, ჩემო კარლ!

კარლი გაქროლდა. თვალი გავაყოლეთ.

— შეხედე, რა მაზალო ძონძია, — თქვა უცებ ჩვენ გვერდით ვიღაცამ, — უკანა ნაწილი ნახე, რა. სირაქლემა.

ლენცი წამოიმართა.

— თეთრ მანქანას გულისხმობთ?— ჰკითხა გაწითლებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ მშვიდმა.

— სწორედ მაგას, — მოგვიგო მეზობელი ჯიხურიდან გამოსულმა უშველებელმა მონტიორმა და თავის მეზობლად მდგომს ლუდის ბოთლი მიაწოდა. ლენცს ბრაზისგან ენა დაება და დაბალ ფიცრულ კედელზე გადაძრომა დაიწყო. დიდება ღმერთს, წყენა ჯერ არ ამოუთქვამს. უკან გადმოვათრიე.

— შეეშვი, — გავუბრაზდი მე, — შენ აქ გვჭირდები. წინასწარ ლაზარეთში რა გინდა?

ჯორივით შედგა, არაფრით არ შეეშვა. კარლის შეურაცხყოფას ვერ იტანდა.

— ხომ ხედავთ, — ვუთხარი პატრის ჰოლმანს, — რომ ჰკითხო, უკანასკნელი რომანტიკოსია, ეს ჯიხვი ესა! დაიჯერებთ, რომ ოდესღაც ლექსებს წერდა?

ამან უმალვე გაჭრა. ეს გოტფრიდის სუსტი წერტილი იყო.

—ომამდე დიდი ხნით ადრე, — მოიბოდიშა მან, — თანაც, პატარავ, რბოლის დროს გაგიჟება სირცხვილი არაა. არა, პატ?

— გაგიჟება საერთოდ არაა სირცხვილი.

გოტფრიდმა ხელი აღმართა.

— დიადი სიტყვებია!

ყველა ხმა ძრავების გრიალმა დაფარა. ჰაერი ზანზარებდა ცა და დედამიწა ზანზარებდა. მინდორს გადაუქროლეს.

— ბოლოს წინაა! — დაიღრინა ლენცმა, — იმ წყეულმა სტარტი ისევ ჩააგდო!

— არა უშავს, — ვუთხარი, — სტარტი კარლის სუსტი წერტილია,

ნელა იწყებს მაგრამ მერე საერთოდ აღარ ჩერდება.

ძრავების ხმა მიწყნარდა და გამაძლიერებლებისა გავიგონეთ ყურებს არ ვუჯერებდით: ბურგერი, მძიმე მოწინააღმდეგე, სტარტზევე დარჩენილიყო — მანქანები გრუხუნით გვიახლოვდებოდნენ, შორს შარაგზის კალიებივით კანკალებდნენ, მერე გაიზარდნენ და ტრიბუნებთან მოპირდაპირე მხარეს, დიდი მოსახვევისკენ გაქროლდნენ. ჯერაც ექვსნი იყვნენ, კიოსტერი — კვლავ ბოლოდან მეორე. შემართებულები ვიყავით. მოსახვევიდან გრუხუნი და გრუხუნის ექო ისმოდა. მერე ბრბომ დაიგმინა, ერთი წინ გაიჭრა, უკან მეორე და მესამე მიჰყვნენ და მერე — კიოსტერი. მოსახვევი გაიარა და ახლა მეოთხე იყო.

მზემ ღრუბლებიდან გამოანათა. გზას შუქის და ჩრდილის ფართო ზოლები დაეფინა და უცებ ვეფხვივით შეაფერადა. ტრიბუნებზე მდგომ ბრბოზე ღრუბლების ჩრდილები დასრიალებდა. ძრავების ჭექა ყველას სისხლში გვირტყამდა, გიჟური მუსიკასავით. ლენცი განუწყვეტლივ ფართხალებდა, მე სიგარეტი დავღეჭე, პატრის ჰოლმანი ჰაერს იყნოსავდა, ალიონზე გამოსული კვიცივით. მხოლოდ ვალენტინი და გრაუ ისხდნენ მშვიდად და მზეს ეფიცხებოდნენ.

მანქანების მძლავრი გულისცემა კვლავ ტრიბუნებს მიუახლოვდა. კიოსტერს გავცქეროდით. თავი გააქნია, საბურავის გამოცვლა არ უნდოდა. რომ მობრუნდა, აღმოჩნდა, რომ ცოტა წინ წასულა. მესამეს უკანა ბორბალთან მიჰყვებოდა. დაუსრულებელ სწორ გზაზე ასე მიქროდნენ.

— ჯანდაბა! — ლენცმა ბოთლიდან მოსვა, — ნასწავლი აქვს, — ვუთხარი პატრის ჰოლმანს, — მოსახვევები მისი სპეციალობაა.

— გინდა ერთი ყლუპი, პატ? — ჰკითხა ლენცმა.

გაბრაზებულმა შევხედე. თვალი ისე გამისწორა, არც დაუხამხამებია. — ჭიქით მირჩევნია, — „თქვა პატიმ, — ბოთლიდან დალევა ჯერ ვერ ვისწავლე — გეტყობა, — გოტფრიდმა ჭიქა ამოაცოცა,

— ეს თანამედროვე აღზრდის ნაკლია.

მომდევნო წრეზე მანქანები გაიშალნენ. წინ ბრაუმიულერი იყო. ნელ-ნელა პირველმა ოთხმა სამასი მეტრი მოიგო. კიოსტერი მესამეს ზუსტად გვერდით მიჰყვებოდა და ტრიბუნის უკან გაუჩინარდა, მერე მანქანები ისევ მოგვიახლოვდნენ. წამოვხტით. მესამე რა იქნა? ოტო პირველ ორს მარტო მოჰყვებოდა. როგორც იქნა, მესამეც მოგრიხინდა. უკანა საბურავები დაგლეჯილი ჰქონია. ლენცი მავნებლურად გაიკრიჭა; მანქანა გვერდით ჯიხურთან გაჩერდა. გოლი.

ათმა მონტიორმა შეიკურთხა. ერთი წუთის მერე მანქანა კვლავ გაცოცხლდა.

მომდევნო წრეზე ვითარება არ შეცვლილა. ლენცმა წამმზომი განზე გადადო და დაიანგარიშა.

— კარლს კიდევ აქვს რეზერვი, — მოგვახსენა შემდგომ — ვშიშობ, რომ სხვებსაც, — ვთქვი მე.

— მცირედმორწმუნევ! — გამანადგურებელი მზერა მესროლა.

ბოლოს წინა წრეზე კიოსტერმა თავი გააქნია. გარისკა, საბურავი არ გამოცვალა. ჯერ ისეც არ ცხელოდა, რომ ვერ გაეძლო.

როცა მანქანები გადამწყვეტ ბრძოლას შეუდგნენ, ველსა და ტრიბუნებს დაძაბულობა გამჭვირვალე მხეცივით დააწვა.

— ყველამ ხეს ჩასჭიდეთ ხელი, — ვთქვი და ჩაქუჩის ტარი ჩავბღუჯე. ლენცმა ხელი თავში ჩამავლო. ხელი ვკარი. გაიკრიჭა და ბარიერს მოეჭიდა.

ღრიალი ბღავილში გადაიზარდა, ბღავილი — ყმუილში, ყმუილი — ჭექაში, უდიდესი სისწრაფით მომავალი მანქანების წვრილ ხმაზე სიმღერასა და სტვენაში. ბრაუმიულერი მოსახვევში მიფრინავდა, მას მეორე მისდევდა, რომლის უკანა საბურავებიც მტვერს აყენებდა, ღრჭიალებდა, როგორც ჩანს, ცდილობდა, ქვემოდან გამძვრალიყო.

— არა! — აყვირდა ლენცი.

კიოსტერი მოქროდა, მანქანა ზუზუნით მიასკდა კიდეს. წამით გავშეშდით, — თითქოს გადაფრინდა მერე კი ძრავამ დაიღრიალა და მანქანა ახტუნავდა.

— მთელი გაზით შევიდა! — დავიყვირე მე.

ლენცმა თავი დამიქნია.

— გიჟია!

ბარიერზე გადაყუდებულები აღგზნებისგან ციებ-ცხელებამ აგვიტანა — გაამართლა? პატრის ჰოლმანი ხელსაწყოების ყუთზე დავაყენე.

— უკეთ დაინახავთ! მხრებზე დამეყრდენით აი, ნახავთ, მოსახვევში გაასწრებს — გაასწრო! — დაიყვირა მან, — უკვე გაასწრო!

— ბრაუმიულერს მიადგა! უფალო ღმერთო, წმინდაო მოსე! — ახლა ლენცი აყვირდა, — მართლა გაასწრო და ბრაუმიულერს მისდევს. ავდრის ღრუბელში სამი მანქანა გამოჩნდა, მოგვიახლოვდა. გიჟებივით ვყვიროდით, ვალენტინიც შემოგვიერთდა და გრაუს საშინელი ბანიც. კიოსტერს სასწაულად გაუმართლა — მეორეს მოსახვევში ზემოდან გადაასწრო, რადგან იმან არასწორად გათვალა და ყველაზე ციცაბო მოსახვევში მართვა დაკარგა. ახლა კარლი შევარდენივით მიქროდა ბრაუმიულერისკენ, რომელიც უცებ მხოლოდ ოცი მეტრით წინ აღმოჩნდა და, როგორც ჩანს, მანქანა ჩაუქრა.

— მიდი, ოტო! მიდი! მისცხე მაკნატუნას, — ვღრიალებდით და ხელებს ვიქნევდით.

მანქანები ბოლო მოსახვევში გაუჩინარდნენ. ლენცი ხმამაღლა ევედრებოდა აზიის და სამხრეთ ამერიკის ყველა ღმერთს და თავის თილისმას იქნევდა. მეც ჩემი გავაძრე. პატრის ჰოლმანი მხრებზე დამეყრდნო და წინ წამოწეული სახით იდგა, გალიონის ფიგურის მსგავსად.

აი, მოვიდნენ. ბრაუმიულერის ძრავა ჯერაც იფურთხებოდა, წამდაუწუმ ქრებოდა. თვალები დავხუჭე; ლენცი შეტრიალდა,

ტრასას ზურგი შეაქცია — იღბალს ვქრთამავდით. შეძახილმა მოგვატრიალა. ისღა დავინახეთ, რომ კიოსტერმა ორი მეტრით გაასწრო და ფინიში პირველმა გაარღვია.

ლენცი შეიშალა. ხელსაწყოები ძირს დაყარა და საბურავებზე ხელით შედგა. როცა კვლავ ფეხზე დადგა, ჰერკულესივით მონტიორს გასძახა:

— როგორ ბრძანეთ? ძონძი, არა?

— კარგი, რა, ნუ მეყიყინები, — მიუგო კუშტად მონტიორმა. და რაც უკანასკნელ რომანტიკოსს ვიცნობდი, პირველად მოხდა, რომ შეურაცხყოფის გამო არ გაცოფდა და სიცილისგან წმიდა ვიტეს ცეკვა დაემართა.

ოტოს ველოდით. ჯერ რბოლის ხელმძღვანელობასთან ჰქონდა რაღაც გასარკვევი.

— გოტფრიდ, — გაისმა უცებ ჩვენ უკან ჩახლეჩილი ხმა. მოვტრიალდით, კაცი-მთა იდგა, მეტისმეტად ვიწრო, ზოლიან შარვალსა და მეტისმეტად ვიწრო მორენგოს ჟაკეტში გამოწყობილი, შავი ქვაბურა ქუდით თავზე, — ალფონს! — შესძახა პატრის ჰოლმანმა.

— გახლავართ, — მოგვახსენა მან.

— მოვიგეთ, ალფონს! — დაიძახა პატრისმა.

— მაგარია, მაგარია. მაშ, დავიგვიანე?

— შენ არასოდეს იგვიანებ, ალფონს, — უთხრა ლენცმა — რაღაც საჭმელი მომქონდა თქვენთვის. ცივი ღორის მწვადი და ჩაბასთურმებული ნეკნები. დაჭრილია.

— მოიტა და დაჯექი, ოქროს ბიჭო! — შესძახა გოტფრიდმა, — ახლავე მივხედავთ.

პარკი გახსნა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა პატრის ჰოლმანმა, — ერთ პოლკს დაანაყრებს. — ეგ მერე თქვით, — უპასუხა ალფონსმა.

— აი, კიდევ... ესეც ცოტა ბრენდი.

ორი ბოთლი დადგა.

— საცობები ამოღებულია.

— მაგარია, მაგარია, — თქვა პატრის ჰოლმანმა. ალფონსმა კეთილად ჩაუკრა თვალი.

კარლი მობუყბუყდა. კიოსტერი და იუპი გადმოხტნენ. იუპი ახალგაზრდა ნაპოლეონივით გამოიყურებოდა. ყურები ეკლესიის ფანჯრებივით უნათებდა. ხელში უშველებელი, თავზარდამცემად უგემოვნო ვერცხლის თასი ეჭირა.

— მეექვსე, — თქვა სიცილით კიოსტერმა, — ვინმეს რამე რომ არ შეეშალოს.

— მხოლოდ ეს სარძეულაა? ჰკითხა საქმიანად ალფონსმა, — ნაღდი ფული?

— ეგეცაა, — დაამშვიდა ოტომ, — ნაღდი ფულიც.

— აბა, ფული თავზესაყრელად გვქონია — თქვა გრაუმ.

— კარგი საღამო ჩანს.

— ჩემთან? — გვკითხა ალფონსმა.

— რასაკვირველია, — მიუგო ლენცმა.

— მუხუდოს სუპი ღორის მუჟუჟით, — თქვა ალფონსმა, და პატრის ჰოლმანსაც კი სახეზე პატივისცემა აღებეჭდა, — ცხადია, უსასყიდლოდ, — დასძინა მან.

ბრაუმიულერი მოვიდა, თავისი ყისმათი დაწყევლა ხელში ზეთიანი სანთლები ეჭირა.

— დაწყნარდი, თეო, — შეუძახა ლენცმა, — შემდეგ საბავშვო ეტლების რბოლაში პირველი ადგილი განაღდებული გაქვს.

— კონიაკით რევანშზე რას იტყვით? — იკითხა ბრაუმიულერმა. — ლუდის კათხით იყოს, — თქვა გრაუმ.

— შანსი არა გაქვთ, ბატონო ბრაუმიულერ, — აუხსნა საქმის მცოდნე ალფონსმა, — გალეწილი კიოსტერი არასოდეს მინახავს.

— არც მე მენახა ჩემ წინ მიმავალი კარლი, — მიუგო ბრაუმიულერმა, — დღეს ვნახე მხოლოდ.

— ღირსეულად იტან, — თქვა გრაუმ, — აი შენ ჭიქა. სულ მანქანების ბრალია! კულტურის დაისისა დავლიოთ.

ალფონსის მოტანილი სანოვაგის თან წაღებას ვაპირებდით. რამდენიმე კაცის სამყოფი კიდევ დარჩენილიყო. მაგრამ მხოლოდ ქაღალდი დაგვხვდა. — ეს რა ჯანდაბაა... — თქვა ლენცმა, — აჰა! — იუპისკენ გვანიშნა, რომელიც დარცხვენილი იღიმებოდა, ჯერაც სავსე მუჭებით და დოლივით გამობზეკილი მუცლით, — კიდევ ერთი რეკორდი.

ალფონსის სუფრაზე პატრის ჰოლმანს, ჩემი აზრით, მეტისმეტი წარმატება ჰქონდა. გრაუს წავასწარი, ისევ შესთავაზა, დაგხატავო. პატრისმა გაიცინა და აუხსნა, ეგ ძალიან დიდი ხნის საქმეა, ამას ფოტოგრაფირებას ვამჯობინებდიო.

— ეგ უკეთ ეხერხება, — ჩავურტყი გრაუს, — იქნებ, ფოტოსურათიდან გადაგხატოთ.

— მშვიდად, რობი, — ფერდინანდი არ შედრკა და პატს უზარმაზარი, ცისფერი, ბავშვური თვალებით მიაჩერდა, — შენ სასმელი გაბოროტებს, მე — მაადამიანებს. ესაა განსხვავება ჩვენს თაობებს შორის.

— სადღაც ათი წლითაა ჩემზე უფროსი, — ჩავჩურთე მე.

— დღეს ეს მთელ თაობას ნიშნავს, — განაგრძო ფერდინანდმა — მთელ სიცოცხლეს. რა გაგეგებათ ყოფიერებისა, ბიჭებო!

გრძნობების გეშინიათ. წერილებს არ წერთ — რეკავთ; აღარ ოცნებობ. — შაბათ-კვირას მოგზაურობთ; სიყვარულში საღად აზროვნებთ პოლიტიკაში — ხელაღებით. საცოდავი ხალხი!

ცალი ყურით ვუსმენდი, მეორე ბრაუმიულერისკენ მქონდა. ის პატრის ჰოლმანს ცოტა არეულად უხსნიდა, რომ მაინცდამაინც მასთან უნდა ესწავლა მანქანის მართვა. ყველა ჩემს ხრიკს გასწავლიო როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, განზე გავიყვანე.

— სპორტსმენისთვის, თეო, ქალებზე მეტისმეტად ბევრი ფიქრი ძალიან მავნეა.

— ჩემთვის — არა, — თქვა ბრაუმიულერმა, — სასწაულად ჯანმრთელი ვარ.

— კარგი. მაშინ კიდევ ერთ რამეს გეტყვი, ჯანმრთელობის საწინდარს: ბოთლს თავზე გადაგამტვრევ.

გამიცინა.

— დაშნა ქარქაშში ჩააგე, ყმაწვილო. იცი, ჭეშმარიტი კავალერი როგორ შეიცნობა? იმით, რომ მთვრალიც ღირსეულად იქცევა. იცი, მე ვინ ვარ? — მეტიჩარა.

ის კი არ მედარდებოდა, რომ რომელიმე მათგანი მართლა რამეს ჩაიდენდა; ჩვენში ასეთები არ ხდებოდა. მაგრამ გოგონას ამბავი ზუსტად არ ვიცოდი, — ხომ შეიძლება, რომელიმე მათგანი მოსწონებოდა. ისე კარგად ჯერ არ ვიცნობდი, რომ მშვიდად ვყოფილიყავი. საერთოდ, როდის ხარ კაცი მშვიდად?

— გინდა, გავიპაროთ?— ვკითხე პატს.

თავი დამიქნია.

ქუჩებს მივუყვებოდით. დაბინდდა. ქალაქში ნისლი ჩამოწვა, მწვანე და ვერცხლისფერი ნისლი. პატის ხელი პალტოს ჯიბეში ჩავიდე. კარგა ხანს ასე მივდიოდით.

— დაიღალე? — ვკითხე მე.

მან თავი გააქნია და გამიღიმა, კაფეებს რომ ჩავუარეთ, ვკითხე; — სადმე შევიდეთ?

— არა. აღარ გვინდა.

გზა განვაგრძეთ და სასაფლაოს მივადექით. თითქოს წყნარი კუნძული იყო სახლების ნაკადში. ხეები შრიალებდნენ. კენწეროები აღარ ჩანდა. ცარიელი ძელსკამი მოვძებნეთ და დავსხედით.

ჩვენ წინ, გზის პირას ჩამწკრივებულ ლამპიონებს მოკანკალე, ნარინჯისფერი წრეები შემოერტყათ. ნისლი გამკვრივდა, და შუქის ზღაპარი დაიწყო. ცაცხვებიდან გაბრუებული მაისის ხოჭოები გამობანცალდნენ, ლამპიონებს შემოეხვივნენ და ბურდღუნით,

მძიმედ ეხლებოდნენ ნოტიო მინას. ნისლმა ყველაფერი შეცვალა, ასწია და გააქრო მოპირდაპირე მხარეს სასტუმრო უკვე ოკეანის გემივით, განათებული კაბინებით მიცურავდა ასფალტის შავი სარკის თავზე, უკან მდგომი ეკლესიის ნაცრისფერი ჩრდილი იალქნიანი გემის აჩრდილად გადაიქცა, მაღალი ანძებით, რომლებიც მონაცრისფრო-მოწითალო შუქში იკარგებოდა, და აი, სახლების ბორნებმაც გაცურეს, გასწიეს...

მდუმარედ ვისხედით გვერდიგვერდ. ნისლის გამო ყველაფერი თითქოს არარეალური იყო — ჩვენც. გოგონას შევხედე. მის ფართოდ გახელილ თვალებში ლამპიონების შუქი ირეკლებოდა.

— მოდი, — ვუთხარი მე, — ახლოს მოდი... თორემ ნისლი წაგიღებს... სახით მობრუნდა, იღიმებოდა, პირი ოდნავ გაეღო, კბილები უბრჭყვიალებდა, დიდი თვალებით შემომცქეროდა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ვერ მხედავდა. თითქოს ჩემ მიღმა ნაცრისფერ და ვერცხლისფერ დინებას უღიმოდა, თითქოს მოშრიალე კენწეროებმა, ნოტიო ვარჯებმა მონუსხა, თითქოს ხეების უკნიდან, სამყაროს უკნიდან, ბნელი, გაუგონარი ძახილი ესმოდა, თითქოს ახლავე უნდა ამდგარიყო და წასულიყო, ნისლში, უმიზნოდ და მტკიცედ, მას დანებებოდა — დედამიწის და სიცოცხლის იდუმალ ძახილს.

ეს სახე არასოდეს დამავიწყდება. არასოდეს დამავიწყდება, როგორ დაიხარა ჩემკენ, როგორი გამომეტყველება მიიღო, როგორი სინაზით აივსო, ნათელი დუმილით, თითქოს აყვავდა... არასოდეს დამავიწყდება, როგორ მომიახლოვდა მისი ბაგე, როგორ მოუახლოვდნენ მისი თვალები ჩემს თვალებს, როგორ ახლოს იყვნენ მისი თვალები და როგორ მეკითხებოდნენ რაღაცას, როგორ სერიოზულად შემომცქეროდნენ ეს დიდი და მოციმციმე თვალები.., და მერე როგორ ნელა დახუჭა, თითქოს დამნებდა...

ნისლი, ნისლი... ფერმკრთალი საფლავის ჯვრები. ჩემი პალტო მოვიხურეთ. ქალაქი ჩაძირულიყო, დრო მოკვდა...

დიდხანს ვისხედით. ნელ-ნელა ქარმა დაუბერა და ჩვენ წინ, რუხ შუქში, ჩრდილები შეირხა. ნაბიჯები და ჩუმი ბუტბუტი მესმოდა. მერე — გიტარის ჩუმი ჟღარუნი. თავი ავწიე. ჩრდილები მოგვიახლოვდნენ, ბნელ ფიგურებად იქცნენ და წრე შეკრეს. და უცებ — ხმამაღალი სიმღერა: — „იესო, იესო შენც გეძებს...“

წამოვხტი და მივაყურადე. რა ხდება? მთვარეზე მოვხვდით? ნამდვილი გუნდი იყო — ქალები ორ ხმაში მღეროდნენ.

— „ცოდვილო, ცოდვილო, ადექი...“ — პოლკის მარშის ტაქტში სასაფლაოს თავზე სიმღერა ისმოდა.

პატს მივაჩერდი.

— წარმოუდგენელია, — ვუთხარი მე.

— „მოდი, მოინანიე...“ — განაგრძობდნენ მხიარულად.

— უცებ მივხვდი:

— ღმერთო ჩემო! ხსნის არმია!

— „ცოდვას გზას ნუ დაუთმობ...“ — მოგვიწოდებდნენ ჩრდილები. პატის ყავისფერ თვალებში ნაპერწკლები ათამაშდნენ. ტუჩები უთრთოდა და მხრები უკანკალებდა.

დაუოკებელი ფორტისიმო განაგრძობდა:

— „ჯოჯოხეთის მწველი ცეცხლი,

ეს ცოდვილთა ხვედრია,

იესო კი აქეთ გიხმობს,

სინანულის ღმერთია...“

უცებ ნისლიდან გაბრაზებული ღრიალი გაისმა:

— გაჩუმდით, თქვენ დაგეცეთ მეხი!

წამით დაბნეულები დადუმდნენ. მაგრამ ხსნის არმია განსაცდელებს შეჩვეული იყო. გუნდმა უფრო ძლიერად დასცხო და უნისონში ატირდა: — „რა გინდა მარტოს ამქვეყნად“.

— კოცნაობა, წყეულებო! — დაიყვირა ბრაზიანმა ხმამ — აქაც არ მოგვასვენებთ?

— „სატანა გიხმობს, გაცდუნებს“ — უცებ ხმას აუწიეს.

— თქვენ, ბერიქალები რა ხანია, ვეღარ მაცდუნებთ! — მოისმა პასუხი ნისლიდან.

ავხარხარდი. პატმაც თავი ვეღარ შეიკავა სასაფლაოზე გამართული დუელის გამო სიცილით დავიხოცეთ. ხსნის არმიამ იცოდა, რომ აქაური ძელსკამები თავშესაფარი იყო შეყვარებულებისთვის, რომლებიც სხვაგვარად ქალაქის ხმაურში ვერსად განმარტოებულიყვნენ. ამიტომაც უტევდნენ ასე. საკვირაო რეიდს აწყობდნენ, სულების გადასარჩენად. დაუმუშავებელი ხმები ღვთის შიშით, ღრმა რწმენით, ხმამაღლა მოთქვამდნენ თავიანთ ტექსტებს. გიტარებიც მაგარი ვუმბა-ვუმბათი აჰყოლოდნენ.

სასაფლაო გაცოცხლდა. ნისლიდან ხითხითი და შეძახილები მოისმა. როგორც ჩანს, ყველა სკამი დაკავებული იყო. სიყვარულის მარტოხელა მეამბოხეებმა თანამოაზრეების უჩინარი, ძლიერი მხარდაჭერა პოვეს. საპროტესტო გუნდი ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, ძველი სამხედროები იყვნენ, მარშით აღგზნებულები, რადგან ცოტა ხანში მძლავრად დასჭექეს დაუვიწყარი სიმღერა:

— „როცა ჰამბურგში ვიყავი

ვნახე — ქვეყანა ყვაოდა...

— „ო, ნუ დანებდები...“ — ერთხელაც მჭახედ შესძახა ასკეტთა გუნდმა. ხსნის არმიამ განგაში დასცა,

მაგრამ ბოროტმა გაიმარჯვა.

— „ჩემი სახელი არ ითქმის“, — უხეში ხმები წინ მედგრად აღუდგნენ — „გოგო ვარ ფულით ნაყიდი.“

— ახლა კი წასვლის დროა, — ვუთხარი პატს, — ეს სიმღერა მეც ვიცი. ბევრი სტროფია, ერთიმეორეზე მაგარი. წავედით აქედან.

კვლავ ქალაქი, მანქანების პიპინით და საბურავების შრიალით, მაგრამ ისევ მოჯადოებული. ნისლმა ომნიბუსები დიდ, ზღაპრულ მხეცებად აქცია, მანქანები — სინათლის კატები —

უჩუმრად გვეპარებოდნენ და ვიტრინები ფერად გამოქვაბულებად ქცეულიყო, ლაბირინთებად. სასაფლაოს გასწვრივ ქუჩას გავუყევით და ბაზრობის მოედანი გადავკვეთეთ. ნისლში მოტრიალე კარუსელები მუსიკისა და ბრჭყვიალის კოშკებს ჰგავდა, ეშმაკის ბორბალი ალისფერს, ოქროს და სიცილს აფრქვევდა და ლაბირინთი ლურჯ ცეცხლებში ციალებდა.

— დალოცვილი ლაბირინთი, — ვთქვი მე.

— რატომ? — მკითხა პატმა.

— ერთხელ ხომ ერთად ვიყავით.

თავი დამიქნია.

— ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ეს უსასრულოდ დიდი ხნის წინათ იყო. — კიდევ შევიდეთ?

— არა, — ვუთხარი, — ახლა არ გვინდა. დალევ რამეს?

თავი გააქნია. ულამაზესად გამოიყურებოდა. ნისლი, მსუბუქი სურნელი კიდევ უფრო ამშვენებდა.

— ხომ არ დაიღალე? — ვკითხე მე.

— არა, ჯერ არა.

რგოლების და კაუჭების ჯიხურს გავუსწორდით. მის წინ ჩამოკიდებული ლამპები თეთრ, კარბიდის შუქს აფრქვევდა. პატმა შემომხედა — არა, — ვუთხარი, — დღეს არ ვისვრი. არც ერთ რგოლს. ალექსანდრე დიდის ღვინის სარდაფებიც რომ თამაშდებოდეს.

გზა განვაგრძეთ, მოედანი გადავჭერით და ქუჩებს გავუყევით. — სადღაც აქ Daphne Indica უნდა იდგეს, — თქვა პატმა.

— ჰო, სურნელი შორიდან იგრძნობა, მთელ გაზონს ეფინება. მკვეთრად იგრძნობა, არა?

შემომხედა — ჰო, — მითხრა მან.

— როგორც ჩანს, აყვავდა. მთელ ქალაქში მისი სუნი დგას.

ფრთხილად მიმოვიხედე, სადმე ცარიელი სკამი ხომ არ იდგა.

არ ვიცი, Daphne Indica-ს ბრალი იყო, კვირადღის თუ სხვა რამისა — ერთიც ვერ ვნახე. ყველა დაკავებული იყო. საათს დავხედე., პირველი დაწყებულიყო. — წამოდი, — ვუთხარი, — ჩემთან წავიდეთ... იქ ჩვენთვის ვიქნებით. არ მიპასუხა, მაგრამ გავტრიალდით. სასაფლაოსთან მოულოდნელი რამ დავინახეთ. ხსნის არმიას დამატებითი ძალები მოეზიდა. გუნდი უკვე ოთხ რიგად იდგა. მხოლოდ დები როდი იყვნენ, ორ რიგად! ფორმიანი ძმებიც დამწკრივებულიყვნენ უკვე ორ ხმაში კი არ გასძახოდნენ, სიმღერა ოთხხმიანი გამხდარიყო, ორღანივით ჟღერდა. საფლავის ქვებს ვალსის ტაქტში დასძახოდნენ:

— „ზეციური იერუსალიმი...“

ოპოზიციისა აღარაფერი ისმოდა. განდევნეს.

— გამძლეობა, — იტყოდა ხოლმე ჩემი რექტორი ჰილერმანი, — გამძლეობა და სიბეჯითე სჯობს უდისციპლინობას და გენიალურობას...

კარი გავაღე. წამით დავფიქრდი. მერე შუქი ავანთე. ნაწლავივით დერეფანი ყვითლად და საძაგლად იყო დაფჩენილი.

— თვალები დახუჭე, — ვუთხარი ჩუმად პატს, — ამის ყურებას მტკიცე ნერვები უნდა.

ხელში ავიტაცე და ნელა, ჩვეულებრივი ნაბიჯით წავედი, ვითომ მარტო ვიყავი. ჩემოდნებს და გაზქურებს ჩავუარე და ჩემს ოთახს მივადექი. — საშინელებაა, არა? — ვუთხარი დარცხვენილმა და ჩვენ თვალწინ გადაშლილ პლუშის ავეჯს შევხედე.

— სულაც არაა ისეთი საშინელი, — თქვა პატმა.

— კი, საშინელია, — მივუგე მე და ფანჯარასთან მივედი, — მაგრამ ხედი მაინც ლამაზია. იქნებ სავარძლები ფანჯრისკენ მივწიოთ.

პატმა ოთახში გაიარა.

— ურიგო არაა. რაც მთავარია, მშვენიერი სითბოა.

— შეგცივდა?

— სითბო მიყვარს, — თქვა მან და მხრები ოდნავ ასწია, — სიცივე და წვიმა არ მიყვარს. ვერც ვუძლებ.

— ღმერთო ჩემო... და გარეთ, ნისლში რომ ვისხედით...

— ჰოდა, ახლა აქ კიდევ უფრო კარგია...

გაიზმორა და კოხტა ნაბიჯით კვლავ ოთახის შემოვლა განაგრძო. ძალიან დარცხვენილი ვიყავი და უცებ მიმოვიხედე. დიდება ღმერთს, ბევრი არაფერი ეყარა დახეული საშინაო ფეხსაცმელი ლოგინქვეშ ფეხის ერთი მოქნევით შევყარე.

პატი ტანსაცმლის კარადის წინ იდგა და ზემოთ იყურებოდა იქ ლენცის ნაჩუქარი ძველი ჩემოდანი იდო. ზედ თავისი თავგადასავლების და მოგზაურობების ფერადი ფურცლები ჰქონდა მიკრული.

— რიო დე ჟანეირო... — კითხულობდა პატი, — მანაოს... სანტიაგო ბუენოს აირეს... ლას პალმას...

ჩემოდანი უკან ჩასწია და მომიახლოვდა.

— აქ უკვე ყველგან იყავი?

რაღაცა ჩავიბუტბუტე. ხელი მკლავში ჩამჭიდა.

— მოდი, მომიყევი, ყველა ქალაქის ამბავი მომიყევი, ალბათ, შესანიშნავია ასეთი შორეული მოგზაურობები...

და მე? მე მას ვუცქერდი, ლამაზს, ნორჩს, მოლოდინით აღვსილს პეპელას, რომელსაც, ჩემ იღბლად, გზა აებნა და ჩემს დაქცეულ, გაქუცულ ოთახში შემოფარფატდა, ჩემს უმნიშვნელო, უაზრო ცხოვრებაში. ჩემთან იყო და არც იყო ჩემთან — ერთი ამოსუნთქვა, და შეიძლება აფრენილიყო და გაფრენილიყო... მაგინეთ, მწყევლეთ, არ შემეძლო, არ შემეძლო, „არა“ ვერ ვთქვი, ვერ ვთქვი რომ იქ არასოდეს ვყოფილვარ, ახლა ვერ ვიტყოდი...

ფანჯარასთან ვიდექით, ნისლი მინებს აწვებოდა და მძლავრობდა და მე ვგრძნობდი — მის მიღმა ისევ ის იყო ჩასაფრებული, ის, რაზეც ვდუმდით, რასაც ვმალავდით, რამაც ჩაიარა: შიშის

ნესტიანი დღეები, სიცარიელე, ჭუჭყი, გახრწნილი ყოფიერების ნაფლეთები, უსუსურობა, უმიზნოდ ჩაქროლებული ცხოვრების თავგზააბნეული ბაქიბუქობა... აქ კი, ჩემ წინ, ჩრდილში, განსაცვიფრებლად ახლოს, ჩუმი სუნთქვაა, დაუჯერებელი აწმყო, სითბო, ნათელი ცხოვრება... უნდა დამეჭირა, უნდა მომეპოვებინა...

— რიო... — ვთქვი მე, — რიო დე ჟანეირო... ზღაპარივით პორტია. ყურეს ზღვა შვიდ თაღად აკრავს გარს, და მის თავზე თეთრი და მოციმციმე ქალაქია აღმართული...

მე ვყვებოდი ცხელ ქალაქებზე და უკიდეგანო ველებზე ყვითელ მდინარეებზე, მოციალე კუნძულებზე და ნიანგებზე, ტყეებზე, რომლებიც გზებს უცებ ყლაპავს, ღამით იაგუარების ძახილზე, როცა გემები ვანილის, ხვატის, ორქიდეების, ხრწნის და სიბნელის სურნელში მდინარის ტალღებს მიუყვებიან. ეს ყველაფერი ლენცისგან ვიცოდი, მაგრამ ახლა მეჩვენებოდა, რომ მე თვითონ ვნახე, ისე საოცრად ერეოდა ერთმანეთს მოგონებები და მონატრება, სურვილი, რომ ჩემი ცხოვრების მწირი და ბნელი აურზაურისთვის ცოტა ბრწყინვალება შემემატებინა, რომ ეს წარმოუდგენლად ლამაზი სახე არ დამეკარგა, ეს უცაბედი იმედი, ბედნიერი ყვავილობა, რომლისთვისაც მე მეტისმეტად პატარა ვიყავი. მერე მოვასწრებდი ყველაფრის ახსნას, მერე, როცა მეტი ვიქნებოდი, როცა ყველაფერი უფრო გარკვეული იქნებოდა, მერე, მაგრამ ახლა — არა..

— მანაოსი, — ვამბობდი მე, — ბუენოს აირესი, — და ყოველი სიტყვა თხოვნა და ფიცი იყო.

ღამე. გარეთ გაწვიმდა. წვეთები რბილად და ნაზად ცვიოდა. ისე აღარ ხმაურობდნენ, როგორც ერთი თვის წინ, როცა მხოლოდ ცაცხვის ტოტებზე ეცემოდნენ. ახლა ჩუმად მოსრიალებდნენ ნორჩ, რბილ ფოთლებზე, ეცემოდნენ და მოსრიალებდნენ, მისტიკური ზეიმი, იდუმალი სრიალი ფესვებისკენ, საიდანაც

კვლავ ამოიმართებოდნენ, რომ თავად გამხდარიყვნენ ფოთლები, გაზაფხულის ღამეებში წვიმას რომ ელიან. სიჩუმემ დაისადგურა. ქუჩის ხმაური შეწყდა. ქვაფენილზე ეული ლამპიონი ციმციმებდა. ქვემოდან განათებული ხის ნაზი ფოთლები თითქმის თეთრი მოჩანდა, თითქმის გამჭვირვალე, და კენწეროები ბრჭყვიალა, ნათელი იალქნები იყო...

— გესმის, პატ, წვიმს...

— ჰო...

ჩემ გვერდით იწვა. მუქი თმა თეთრ ბალიშს ეფინებოდა. თმაში სახე ძალიან ფერმკრთალი მოუჩანდა. ცალი მხარი წამოეწია, სპილენძივით ბზინავდა და მკლავზე სინათლის თხელი ზოლი ეცემოდა.

— უყურე... — თქვა მან და ხელიც მიუშვირა.

— მე მგონი, გარედან შემოდის, ლამპიონისაა, — ვთქვი მე.

წამოიმართა. ახლა შუქი სახეზეც ეცემოდა, მხრებსა და მკერდზე ეფინებოდა, ყვითელი, ცვილის სანთლის ნათებასავით, იცვლებოდა, დედდებოდა, აი, ნარინჯისფერი გახდა, ლურჯმა წრეებმა დაუარა და უცებ მის უკან წითელი სხივი აღიმართა, შარავანდედივით, ზემოთ ასრიალდა და ნელა გადაუარა ოთახის ჭერს.

— მოპირდაპირე მხარეს სიგარეტის რეკლამაა.

— ხედავ, რა ლამაზი ოთახია, — თქვა მან.

— ლამაზია, როცა აქ ხარ, — ვუთხარი მე, — როგორიც ადრე იყო, აღარასოდეს იქნება, იმიტომ, რომ შენ აქ იყავი.

ლოგინში ჩაიმუხლა, მკრთალი ნათლით მოცულმა — კი, მაგრამ... — თქვა მან, — მე ხომ აქ ხშირად ვიქნები.. ხშირად ჩუმად ვიწექი და ვუყურებდი. თითქოს რბილ, ნათელ სიზმარში ვიყავი, მოდუნებული, გასაგები, მშვიდი და ძალიან ბედნიერი სიზმარი იყო, — რა ლამაზი ხარ, პატ! ასე ბევრად უფრო ლამაზი ხარ, ვიდრე ნებისმიერ კაბაში.

გაიღიმა და ჩემკენ დაიხარა.

— ძალიან უნდა გიყვარდე, რობი. არ ვიცი, უსიყვარულოდ რა მეშველება. — მისმა თვალებმა მომნუსხა. სახე სულ ახლოს მომიტანა აღელვებული, ღია, ვნებიანი ძალით სავსე.

— ხელი არ გამიშვა, — ჩურჩულებდა პატი, — ვინმე მჭირდება, ვინც ხელს ჩამჭიდებს. თორემ წავიქცევი. მეშინია.

— შეშინებულს არ ჰგავხარ, — მივუგე მე.

— ვარ. უბრალოდ, თავი მომაქვს. ხშირად მეშინია ხოლმე.

— ხელს არ გაგიშვებ, — ვუპასუხე კვლავ ამ უცნაურ ბურანში, ნათელ ძილში, — მაგრად ჩაგჭიდებ, პატ, ისე, რომ გაგიკვირდება ჩემი სახე თავის ხელებში მოიმწყვდია.

— მართლა?

თავი დავუქნიე. მხრები მწვანედ უნათებდა, თითქოს წყლის სიღრმიდან. მისი ხელები ჩემსაში მოვიმწყვდიე და მოვიზიდე პატი — ტალღა, მანათობელი, მსუნთქავი, რბილი ტალღა, რომელმაც დამფარა და ყველაფერი გააქრო.

ჩემს მკლავზე ეძინა. ხშირად მეღვიძებოდა და ვუყურებდი. ვფიქრობდი, ნეტა ეს ღამე არ დასრულდეს-მეთქი. სადღაც ვართ, დროის მიღმა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ჯერაც ვერ მივხვდი. ჯერ ვერ ვხვდებოდი, რომ ვინმეს ჩემი სიყვარული შეეძლო. ვიცოდი, რომ მამაკაცისთვის კარგი მეგობრობის გაწევა შემეძლო, მაგრამ ვერ წარმომედგინა, ქალს რატომ უნდა ვყვარებოდი. მეგონა, რომ მხოლოდ ეს ღამე მექნებოდა და ვფიქრობდი, გავიღვიძებ და მორჩება-მეთქი.

— სიბნელეს რუხი შეეპარა. ჩუმად ვიწექი. პატის თავქვეშ ამოდებული მკლავი დამიბუჟდა და ვეღარ ვგრძნობდი. მაგრამ ეს არ მაღელვებდა. როცა ძილში გადაბრუნდა და თავი ბალიშში ჩარგო, მკლავი გამოვაცალე. ძალიან ჩუმად ავდექი, კბილები უხმოდ

გავიხეხე და პირი გავიპარსე. თმასა და კეფაზე ცოტა ოდეკოლონიც დავისხი. უცნაური იყო: ჩუმი, ნაცრისფერი ოთახი, ფიქრები და გარეთ — ხეების ბნელი სილუეტები. რომ მოვბრუნდი, დავინახე, რომ პატს თვალები გაეხილა და მიყურებდა. შევკრთი.

— მოდი, — მითხრა მან.

მივედი და ლოგინზე ჩამოვუჯექი.

— ეს ყველაფერი ცხადია? — ვკითხე მე.

— რატომ მეკითხები?

— არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ გათენდა.

ინათა.

— ჩემი ნივთები უნდა მომაწოდო, — თქვა მან.

ძირს დაგდებულ თხელ აბრეშუმის თეთრეულს მივწვდი. მსუბუქი იყო და ძალიან ცოტა. ხელში მეჭირა. „ესეც სხვანაირია“, ვიფიქრე მე, „ვისაც ასეთი რამე აცვია, სხვანაირი უნდა იყოს. ვერასოდეს გავუგებ, ვერასოდეს“. ტანსაცმელი მივაწოდე. ხელი კისერზე მომხვია და მაკოცა.

მერე შინ მივიყვანე. ბევრი აღარ გვილაპარაკია. ვერცხლისფერ ალიონში გვერდიგვერდ მივაბიჯებდით. ქვაფენილზე მერძევეების მანქანები მირახრახებდნენ, უკვე გაზეთებსაც დაატარებდნენ. ერთი სახლის წინ მოხუცი კაცი იჯდა და ეძინა. ნიკაპი უკანკალებდა, თითქოს მოერყაო. ფუნთუშებიანი კალათებით დატვირთული ველოსიპედისტები ჩაუვლიდნენ ხოლმე. ქუჩაში ცხელი, ახალგამომცხვარი პურის სურნელი ტრიალებდა. ჩვენ ზემოთ, ძალიან მაღლა, ლურჯ ცაში მფრინავი მიუყვებოდა თავის გზას.

— დღეს? — ვკითხე პატს სახლის კართან.

გამიღიმა.

— შვიდზე? — ვკითხე მე.

დაღლილს სულ არ ჰგავდა. კარგად გამოძინებულივით იყო.

დამშვიდობებისას მაკოცა. სახლის წინ ვიდექი, სანამ არ დავინახე, რომ მის ოთახში სინათლე აინთო.

მერე დავბრუნდი. გზად ბევრი რამ გამახსენდა, რისი თქმაც მინდოდა, ბევრი მშვენიერი სიტყვა ქუჩებში მივაბიჯებდი და ვფიქრობდი, რამდენ რამეს ვიტყოდი და გავაკეთებდი, ასეთი რომ არ ვიყო — ასეთ როგორიც ვარ. მერე ბაზარში წავედი, ვიცოდი, რომ აქ იმავე ფასად მაღაზიაზე სამჯერ მეტი ყვავილის ყიდვა შეიძლებოდა. რაც ფული დამრჩა, სულ ტიტები ვიყიდე. შესანიშნავი სანახავი იყო, ახალი დაკრეფილი, ფურცლებზე — წყლის წვეთებით. დიდი თაიგული გამომივიდა, გამყიდველი დამპირდა, რომ თერთმეტ საათზე პატს გაუგზავნიდა. რომ დამპირდა, შემომცინა, და ზედ ერთი კონა იებიც დაადო.

— ქალბატონს, სულ მცირე, თოთხმეტი დღე გაუხარებს გულს, — თქვა მან, — უბრალოდ, დროდადრო წყალში თითო პირამიდონი უნდა ჩააგდოს.

თავი დავუქნიე და ფული მივეცი. მერე ნელა გავუყევი შინისკენ მიმავალ გზას.

10

ფორდი მზად იყო და სახელოსნოში იდგა. ახალი სამუშაო ჯერ არ ჩანდა. რამე უნდა გვექნა. მე და კიოსტერი აუქციონზე წავედით. ტაქსი იყო გამოტანილი და იმის შეძენა გვინდოდა. ტაქსების გადაყიდვა ყოველთვის უფრო იოლია.

სააუქციონე სახლი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ერთ უკანა ეზოში იყო განლაგებული. ტაქსის გარდა გასაყიდად კიდევ უამრავი ნივთი გამოეტანათ. ნივთების ნაწილი ეზოში ეწყო — ლოგინები, მოყანყალებული მაგიდები, მოოქრული გალია შიგ მჯდომი თუთიყუშით, რომელიც გაიძახოდა: „სალამი, საყვარელო!“ აქ იყო დასადგმელი საათი, წიგნები, მაგიდები, ძველი ფრაკი, სამზარეულოს სკამები, ჭურჭელი — დამსხვრეული, ფსკერზე დაშვებული ყოფის მათხოვრული სახე.

ადრე მივსულვართ; აუქციონერი არ დაგვხვდა.

გამოფენილ ნივთებში ვიქექებოდი და ერთი-ორი წიგნიც დავათვალიერე, ძველბერძნული და ლათინური კლასიკის იაფიანი, გაქუცული ეგზემპლარები, კიდეებზე ხელით მიწერილი კომენტარებით. გახუნებულ, დაშლილ ფურცლებზე აღარც ჰორაციუსის

სტროფები ეწერა და აღარც ანაკრეონის სიმღერები, აქ მხოლოდ ყვირილი იყო და გაჭირვება და დაკარგული ცხოვრების უსასოობა. ამ წიგნების მფლობელისთვის ისინი თავშესაფარი იყო, მან ისინი ბოლომდე შეინახა, და ის, ვინც ეს წიგნები აქ მოიტანა, უკვე ბოლოში იყო გასული.

კიოსტერმა მხარსუკნიდან დახედა.

— სევდიანი რამაა, არა?

თავი დავუქნიე და დანარჩენ ნივთებზეც მივუთითე — ესენიც, ოტო. სამზარეულოს სკამებს და ტანსაცმლის კარადებს გასართობად არავინ მოიტანდა.

ეზოს კუთხეში მდგარ მანქანასთან მივედით. საღებავი აქერცლილი და გახუნებული ჰქონდა, მაგრამ მანქანა სუფთა იყო, ფრთების ქვეშაც. იქვე ერთი ჯმუხი კაცი იდგა, ჩამოკიდებული, ფართო ხელებით, და გულგრილად შემოგვცქეროდა.

— მანქანა დაათვალიერე? — ვკითხე კიოსტერს.

— გუშინ. — მიპასუხა მან, — გაცვეთილია, მაგრამ საუკეთესოდ მოვლილი.

თავი დავუქნიე.

— ეტყობა. დღეს დილითაც გაურეცხავთ, ოტო. ამას არც ერთი აქაური ჯეელი არ იზამდა.

კიოსტერმა თავი გააქნია და მერე იმ ჯმუხ კაცს გახედა.

— ეგ იქნება მფლობელი. გუშინაც აქ იდგა და მანქანას წმენდდა. — რა უბედურებაა, — ვთქვი მე, — მანქანის გატანილ ძაღლს ჰგავს ეს კაცი. ეზო ახალგაზრდამ გადმოჭრა და მანქანასთან მოვიდა. ქამრიანი პალტო ეცვა და უსიამოვნოდ ცქვიტი იყო.

— მაშ, ეს მარხილია, — თქვა მან ნახევრად ჩვენს და ნახევრად იმ კაცის გასაგონად, და ხელჯოხით ფრთის თავსახურზე დააკაკუნა. დავინახე, რომ მამაკაცის თვალებში რაღაც გაკრთა.

— არა უშავს, არა უშავს, — მოგვახსენა მოწყალედ ქამრიანმა,

— საღებავი მაინც კაპიკად აღარ ვარგა. პატივსაცემი ძონძია. წესით, მუზეუმში უნდა იდგეს, არა? — თავის ხუმრობაზე მაგრად გაიცინა და მოწონების იმედით გადმოგვხედა. ჩვენ არ გაგვცინებია. მაშინ მფლობელს მიუტრიალდა, — ამ პაპაში რამდენი გინდათ?

კაცმა ნერწყვი გადაყლაპა, ხმა არ ამოუღია.

— ჯართია. რა, — კიკინებდა ყმაწვილი აშკარად ჩინებულ გუნებაზე — იყო. მერე მოგვიტრიალდა: — ბატონებსაც აინტერესებთ? — ხმადაბლა. — შეგვიძლია, შევთანხმდეთ ვაშლის და კვერცხის ფასად, და მოგება გავიყოთ. ფული რატომ გადავყაროთ! ჰო, მართლა, გვიდო თის ფონ დერ აუგეკა გახლავართ.

ბამბუკის ხელჯოხს ატრიალებდა და თვალებს გვიპაჭუნებდა ასეთი ოცდახუთი წლის მატლისთვის საიდუმლო არაფერია“, ვფიქრობდი გაბრაზებული. მანქანასთან მდგომი მდუმარე კაცი მეცოდებოდა, და ვთქვი:

— თისი არ უნდა გერქვათ.

— მართლა? — მკითხა კმაყოფილმა. როგორც ჩანს, მიჩვეული იყო, რომ ყოჩაღობას უწონებდნენ.

— დიახ, — განვაგრძე მე, — თქვენ უნდა გერქვათ ლაწირაკი გვიდო ლაწირაკი!

უკან დაიხია.

— რასაკვირველია, — თქვა მერე, — ორი ერთზე...

— თუ ეგაა, — ვუთხარი მე, — სადაც გინდათ, მარტოც გამოგყვებით — მადლობა, — მომიგო გვიდომ ცივად, — მართლაც, მადლობა! — გაგვერიდა.

ჯმუხი კაცი არეული სახით იდგა, თითქოს მას არც არაფერი შეხებოდა, და მანქანას მისჩერებოდა.

— არ უნდა ვიყიდოთ, ოტო, — ვთქვი მე.

— მაშინ შენი ქამროსანი გვიდო იყიდის, — მომიგო კიოსტერმა — კაცს მაინც ვერ დავეხმარებით — მართალი ხარ, — ვთქვი მე, —

მაგრამ მაინც... არ მსიამოვნებს — დღეს ყველაფერი ასე არაა, რობი? დამიჯერე: იმ კაცისთვის ჯობს კიდეც, რომ აქ ვართ. იქნებ მანქანაში ცოტა მეტი აიღოს. მაგრამ გპირდები: თუ ის ქამროსანი არ ივაჭრებს, არც მე ვიზამ რამეს.

აუქციონერი მოვიდა. ეჩქარებოდა, როგორც ჩანს, ბევრი საქმე ჰქონდა. ყოველდღე ხომ უამრავი აუქციონი იმართებოდა. ხელების ქნევით შეუდგა საცოდავი ხარახურის გაყიდვას. მას თუჯის იუმორი ჰქონდა და იმ ჯიშის საქმიანი კაცი იყო, ყოველდღე გაჭირვებასთან რომ აქვს საქმე და თვითონ არაფერი ეხება.

ნივთები კაპიკებად იყიდებოდა. ძირითადად, რამდენიმე კაცმა იყიდა. როცა აუქციონერი გახედავდა, თითს ზანტად სწევდნენ, ან უბრალოდ თავს აქნევდნენ ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ აუქციონერის მზერას სხვა თვალებიც აედევნებოდა — ქალის დატანჯული მზერა. ეს თვალები მყიდველების თითებს ისე შესცქეროდნენ, როგორც უფლის აღთქმას, იმედით და შიშით. ტაქსის შეძენა სამ კაცს უნდოდა. პირველი გვიდო იყო.

— სამასი მარკა.

სამარცხვინო ფასი. ჯმუხი კაცი მოგვიახლოვდა. ტუჩები უხმოდ უმოძრავებდა თითქოს მასაც უნდოდა ფასის შეთავაზება. მაგრამ ხელი დაუშვა უკან გადგა.

მეორე შემოთავაზება ოთხასი მარკა იყო. გვიდომ ოთხას ორმოცდაათი თქვა. დუმილი ჩამოვარდა. აუქციონერმა მიმოიხედა:

— მეტი არავინ ჩანს... ერთი... ორი...

— ათასი, — თქვა კიოსტერმა. შევხედე, — სამიც ღირს, — ჩაილუღლუღა მან, — ამის მკვლელობას მე ვერ ვუყურებ.

გვიდო დაბნეული გვანიშნებდა რაღაცას. როცა საქმე საქმეს შეეხო, ლაწირაკობა სულ დაავიწყდა.

— ათას ასი, — დაიკიკინა მან და თვალები აგვიხამხამა. ერთი თვალი უკანალზეც რომ ჰქონოდა, იმასაც ჩაგვიკრავდა.

— ათას ხუთასი, — თქვა კიოსტერმა.

აუქციონერი ეშხში შევიდა. თავისი ჩაქუჩით ხელში კაპელმაისტერივით დახტოდა. აქამდე ორი, ორ-ნახევარი მარკა თუ იყო ნათქვამი. — ათას ხუთას ათი, — განაცხადა ოფლში გაწურულმა გვიდომ.

— ათას რვაასი, — თქვა კიოსტერმა.

გვიდომ თითი შუბლთან მიიტანა და დაგვნებდა. აუქციონერი ხტოდა. უცებ პატი გამახსენდა — ათას რვაას ორმოცდაათი, ვთქვი მე. არ ვაპირებდი, წამომცდა. კიოსტერმა თავი გაკვირვებით მოატრიალა.

— ორმოცდაათს მე ვდებ, — ვუთხარი სწრაფად, — ისე... ყოველი შემთხვევისთვის.

თავი დამიქნია.

აუქციონერმა მანქანა გადმოგვცა. კიოსტერმა მაშინვე გადაიხადა. — ასე, ხომ? — გვიდომ მაინც ვერ მოითმინა და მოგვადგა, ვითომ არაფერი მომხდარიყო, — ამ ყუთს ათას მარკაღაც დავითრევდით მესამეს ეგრევე მოვსვამდით თავის ადგილზე.

— სალამი, საყვარელო! — დასძახა მის ზურგსუკან თუნუქის ხმამ, — თუთიყუში იყო, თავისი ოქროს გალიიდან სიტყვა შემოგვაშველა — ლაწირაკო, — დავძინე მე.

გვიდომ მხრები აიჩეჩა და გაუჩინარდა.

მანქანის ყოფილ მფლობელთან მივედი. მის გვერდით ფერმკრთალი ქალი იდგა.

— ჰო... — ვთქვი მე.

— ვიცი... — მომიგო მან.

— გვერჩივნა, არ გვექნა, — ვთქვი მე, — მაგრამ თქვენც ნაკლებს აიღებდით.

თავი დამიქნია და საკუთარ ხელებს დააცქერდა.

— კარგი მანქანაა, — თქვა უცებ, სხაპასხუპით, — კარგი მანქანაა, არ ინანებთ, მართლა, არ ინანებთ, მანქანა არაფერ შუაშია, ისეა, ისე მოხდა — ვიცი, ვიცი, — ვუთხარი მე.

— ფული მაინც არ შეგვხვდება, — გვითხრა ქალმა, — უმალვე წავა. — ყველაფერი იქნება, დე, — უთხრა კაცმა, — ყველაფერი იქნება. ქალს არაფერი უთქვამს.

— დაქოქვისას პირველ ორ ჯერზე ჭედავს, — გვითხრა კაცმა, — მაგრამ ეგ დეფექტი არაა. ახალი რომ იყო, მაშინაც ასე აკეთებდა. — თითქოს ბავშვზე ლაპარაკობდა, — სამი წელი გვყავდა და არაფერი დამართნია. უბრალოდ... ჯერ ავად ვიყავი და მერე ერთმა დამაქცია...

მეგობარმა...

— ნაძირალამ, — თქვა ქალმა მტკიცე სახით.

— დაანებე, დე, — თქვა კაცმა და ქალს შეხედა, — ამოვძვრები. არა, დე? ქალს პასუხი არ გაუცია. კაცი ოფლად იყო გაწურული.

— მისამართი მომეცით, უთხრა კიოსტერმა, — ეგებ მძღოლი დაგვჭირდეს.

კაცი თავისი მძიმე, პატიოსანი ხელებით ბეჯითად წერდა. კიოსტერს გავხედე, ორივემ ვიცოდით, სასწაულით თუ ეშველებოდა რამე.. სასწაულები კი აღარ არსებობს, დიდი-დიდი, უარესობისკენ.

კაცი ციებიანივით ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. აუქციონი დამთავრდა ეზოში ჩვენღა ვიდექით. გვირჩევდა, ზამთარში სტარტერისთვის რა გვექნა. მანქანას ხელს წამდაუწუმ ჰკიდებდა, მერე გაჩუმდა — წამოდი, ალბერტ, — უთხრა ქალმა.

ხელი გავუწოდეთ. წავიდნენ. წასვლა ვაცადეთ. მერე მანქანა დავქოქეთ.

— რომ გავდიოდით, პატარა დედაბერი დავინახეთ. ხელები თუთიყუშის გალიისთვის მოეხვია და რამდენიმე ბავშვს იგერიებდა. კიოსტერმა გაუჩერა.

— საით მიბრძანდებით? — ჰკითხა ქალს.

— ღმერთო ჩემო, სად მაქვს დროგის ფული, — შეიცხადა ქალმა. — არც გინდათ, — უთხრა ოტომ, — დღეს დაბადების დღე მაქვს

და მუქთაზე დავდივარ. ქალმა გალია უნდობლად ჩაბღუჯა.

— მერე აღმოჩნდება, რომ ფასიანია.

დავამშვიდეთ და ჩაგვიჯდა.

— თუთიყუში რად გინდოდა, დედი? — ვკითხე, როცა გადადიოდა. — საღამოებისთვის, — მითხრა მან, — როგორ ფიქრობთ, საკენკი ძალიან ძვირი იქნება?

— არა, — ვუთხარი, — მაგრამ საღამო რა შუაშია?

— ლაპარაკობს, — მიპასუხა ქალმა და მკრთალი, მოხუცი თვალებით შემომხედა, — იქნება და ილაპარაკებს ხოლმე.

— აი თურმე, რა ყოფილა... — ვთქვი მე.

ნაშუადღევს ხაბაზი თავისი ფორდის წასაყვანად მოვიდა ფერწასული იყო და გაჯავრებული ჩანდა. ეზოში მარტო მე ვიყავი.

— ფერი მოგეწონათ? — ვკითხე მე.

— კი, — თქვა მან და მანქანას ყოყმანით გახედა.

— შალითები ძალიან ლამაზი გამოვიდა.

— ნამდვილად...

იდგა და თითქოს წასვლას ვერ ბედავდა. ველოდი, რომ კიდევ რამეს ისურვებდა, უფასოდ — დომკრატს, საფერფლეს ან რამე მსგავსს. მაგრამ შევცდი. ცოტა ხანი იქსუტუნა მერე ჩაწითლებული თვალებით შემომხედა და თქვა:

— ისე, რომ დაუფიქრდე... ერთი-ორი კვირის წინ შიგ ჯერ ჯანმრთელი და საღ-სალამათი იჯდა...

ცოტა გამიკვირდა, ასე რომ განაზდა, და ვივარაუდე, ეტყობა, ის, მკვირცხლი, შავი ძუკნა, ბოლო ჯერზე რომ ახლდა, უკვე ნერვებს უშლის-მეთქი. ბრაზი ხომ ადამიანებს სიყვარულზე იოლად აღუძრავს სენტიმენტებს.

— კარგი ქალი იყო, — განაგრძო მან, — ქალის სული. არასოდეს არაფერი მოუთხოვია. ათი წელი ერთ პალტოში დადიოდა.

პერანგებს და მსგავსებს სულ თვითონ იკერავდა. სახლსაც თვითონ უვლიდა, მოახლე არ ჰყოლია.

„ესეც ასე“, ვიფიქრე მე, „ეს ახალი, როგორც ჩანს, ასე არ მოიქცა“, ხაბაზი ალაპარაკდა. მომიყვა, როგორი ყაირათიანი ცოლი ჰყავდა. საოცარი იყო, დანაზოგი ფულის გახსენება ამ გალოთებულ ფქვილის ტომარას გულს როგორ უჩუყებდა. თურმე, ერთი ნორმალური ფოტოც კი არ გადააღებინა, ძალიან ეძვირებოდა. ამიტომ მხოლოდ საქორწილო სურათი ჰქონდა და რამდენიმე სამოყვარულო ფოტოგრაფია.

აზრი გამიჩნდა.

— თქვენი ცოლის კარგი პორტრეტი უნდა დაახატვინოთ, — ვუთხარი მე, — სამუდამოდ გექნებათ. ფოტოსურათები დროთა განმავლობაში ფერმკრთალდება. არის აქ ერთი ხელოვანი, რომელიც ამას გააკეთებს. ფერდინანდ გრაუს საქმიანობის შესახებ ვუამბე. უმალვე უნდობლობით აღივსო და თქვა, ძალიან ძვირი იქნებაო. დავამშვიდე — თუ წამოგყვებით, ფასდაკლებით დახატავს-მეთქი. თავის შეკავებას ეცადა.

მაგრამ მე არ შევეშვი და ავუხსენი, თუ ცოლი ასე ძვირად გიღირთ, ფასი არ უნდა გებევროთ-მეთქი. როგორც იქნა, მოვარჯულე. ფერდინანდ გრაუს დავურეკე და ამბავი მოვახსენე. მერე ხაბაზს გავყევი, რომ ცოლის ფოტოსურათები წამოგვეღო.

შავი არსება მაღაზიიდან გამოვარდა. მისი ცქვიტი თვალი ყველაფერს სწვდებოდა. ხაბაზი ანერვიულდა მის თვალწინ ფოტოების ძებნა არ უნდოდა.

— დაგვტოვე, — უთხრა ბოლოს უხეშად შავტუხა გატრიალდა, თან შემოტკეცილ ჯემპრქვეშ მკერდს გამომწვევად იქნევდა. ხაბაზმა მწვანე პლუშის ალბომიდან რამდენიმე სურათი ამოიღო და მაჩვენა. ქალი-პატარძალი, მის გვერდით თავად იდგა, აპრეხილი ულვაშით. აქ ქალი ჯერ კიდევ იცინოდა. მეორეზე გამხდა-

რი იყო, ილაჯგაწყვეტილი, შეშინებული თვალებით სკამის კიდეზე ჩამოსკუპებული ორი პატარა სურათი — და მთელი ცხოვრება — წავა, ვუთხარი მე, — ამის მიხედვით ყველაფერს გააკეთებს. ფერდინანდ გრაუს სერთუკი ეცვა. ღირსეულად და საზეიმოდ გამოიყურებოდა. ეს მისი საქმის ნაწილი იყო. მან იცოდა, რომ მრავალი მგლოვიარისთვის მათი ტკივილის პატივისცემა მეტს ნიშნავდა, ვიდრე თავად ტკივილი.

სახელოსნოს კედლებზე, ოქროს ჩარჩოებში, ზეთში შესრულებული რამდენიმე შთამბეჭდავი პორტრეტი ეკიდა, მათ ქვეშ — შესატყვისი პატარა ფოტოსურათები. შესაბამისად, ნებისმიერ კლიენტს შეეძლო, მაშინვე დაენახა, გაცრეცილი ფოტოდანაც რის გამოყვანა შეიძლებოდა. ფერდინანდმა ხაბაზი მიმოატარა და ჰკითხა, რომელი სტილი მოსწონდა ყველაზე მეტად. ხაბაზმა ჰკითხა, ფასი ზომაზე თუ იყო დამოკიდებული. ფერდინანდმა აუხსნა, რომ მნიშვნელობა კვადრატულ მეტრებს კი არა, შესრულებას ჰქონდა. ამიტომ ხაბაზს ყველაზე მეტად ყველაზე დიდი მოეწონა.

— კარგი გემოვნება გქონიათ, — შეაქო ფერდინანდმა, — ეს სურათი პრინცესა ბორჯეზეს პორტრეტია. რვაასი მარკა ღირს, ჩარჩოიანად. ხაბაზი შეკრთა.

— უჩარჩოოდ?

— შვიდას ოცი.

ხაბაზმა ოთხასი მარკა შესთავაზა.

ფერდინანდმა ფაფარი გააქნია.

— ოთხას მარკად, დიდი-დიდი, თავი მოგივიდეთ, პროფილში. მუხლამდე ანფასში — ვერა. ეს ორმაგი სამუშაოა.

— ხაბაზმა, თავი პროფილში მეყოფაო. ფერდინანდმა გაახსენა, რომ ორივე ფოტო წინიდან იყო გადაღებული, ამის მიხედვით პროფილს ტიციანიც კი ვერ დახატავდა. ხაბაზს ოფლმა დაასხა.

ეტყობოდა, ძალიან განიცადა, რომ მაშინ, სურათის გადაღებისას, სათანადო წინდახედულება არ გამოიჩინა. სხვა რა გზა ჰქონდა, აღიარა, რომ ფერდინანდი მართალი იყო — ანფასში პროფილზე ნახევარი სახით მეტი უნდა დაეხატა. მაღალი ფასი გამართლებული იყო. დიდად მერყეობდა აქამდე ფერდინანდი ფრიად თავშეკავებული იყო, ახლა კი დარწმუნება დაუწყო. მისი მძლავრი ბანი მთელ სახელოსნოს მოედო. როგორც პროფესიონალმა, უნდა ვაღიარო, რომ უნაკლოდ მუშაობდა. ხაბაზი მალე მომწიფდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც ფერდინანდმა უამბო, ასეთი პომპეზური ტილო არაკეთილმოსურნე მეზობლებზე როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

— კარგი, — თქვა ხაბაზმა, — მაგრამ ნაღდი ფულით ანგარიშსწორება ათი პროცენტის ფასდაკლებით იქნება.

— თანახმა ვარ, — მიუგო ფერდინანდმა, — ათპროცენტიანი ფასდაკლება და ავანსის სახით, წინასწარი ხარჯებისთვის, ფერების და ტილოს სამასი მარკა.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს, მერე შეთანხმდნენ და შესრულებაზეც მორიგდნენ. ხაბაზს უნდოდა, ზედ მარგალიტის მძივი და ბრილიანტის გულსაბნევიც მიეხატათ. ფოტოზე ისინი არ ჩანდა.

— თავისთავად ცხადია, — მიუგო ფერდინანდმა, — თქვენი მეუღლის სამკაულსაც დავხატავ. ყველაფერს აჯობებს, თუ ერთი საათით მომიტანთ, რომ შეძლებისდაგვარად მივამსგავსო ხაბაზი გაწითლდა.

— აღარ მაქვს. ისა... ნათესავებთანაა...

— რა გაეწყობა. უიმისოდაც გამოვა. გულსაკიდი ისეთი აი, იმ ნახატზე რომაა?

ხაბაზმა თავი დაუქნია.

— მთლად ამხელა არაა.

— კარგი. ასე გავაკეთოთ. მძივი მაინც არ გვჭირდება. ყველა

მარგალიტი ხომ ერთნაირია.

ხაბაზმა ამოისუნთქა.

— ნახატს როდის დაამთავრებთ?

— ექვს კვირაში.

— კარგი.

ხაბაზი დაგვემშვიდობა მე და ფერდინანდი სახელოსნოში ერთი ხანი მარტონი დავრჩით — ექვსი კვირა გჭირდება? — ვკითხე მე.

კარგი, რა, ოთხი, ხუთი დღე. მაგრამ ამას ხომ არ ვეტყვი, დამიანგარიშებს საათში რამდენს ვაკეთებ, და თავს მოტყუებულად იგრძნობს. ექვსი კვირა და, კმაყოფილი იქნება. პრინცესა ბორჯეზესი არ იყოს. ადამიანის ბუნებაა ასეთი, რობი, ძვირფასო. რომ მეთქვა, მკერავი გოგოა-მეთქი, თავის სურათს ნაკლებად დააფასებდა. ეს მეექვსე შემთხვევაა, როცა გარდაცვლილ ქალებს აი, იმ პორტრეტის სამკაული უკეთიათ შემთხვევითობის ამბავია. საოცრად ამაღელვებელი რეკლამა გამოდგა ჩვენი ლუიზა ვოლფის პორტრეტი.

მიმოვიხედე. კედლებიდან გაშეშებული სახეები და თვალები დამცქეროდნენ, დიდი ხნის წინათ მიწაში ჩადებული. ეს ის პორტრეტები იყო, რომლებსაც პატრონებმა ან არ მოაკითხეს, ან საფასური ვერ გადაიხადეს. ადამიანები, რომელთაც ოდესღაც რაღაცის იმედი ჰქონდათ, რომლებიც სუნთქავდნენ.

— ეს ყველაფერი ნელ-ნელა მელანქოლიას არ გგვრის, ფერდინანდ? მხრები აიჩეჩა.

— არა, დიდი-დიდი, ცინიკოსად მაქციოს. მელანქოლიური მაშინ ხდები, როცა სიცოცხლეზე ფიქრობ, ცინიკოსი — როცა ხედავ, რომ უმრავლესობა ამ საქმეს უკვე მორჩა.

— კი, მაგრამ ზოგი უფრო ღრმად მიდის...

— ნამდვილად. მაგრამ ისინი პორტრეტებს არ ახატვინებენ.

ადგა.

— და ძალიანაც კარგი, რობი, კარგია, რაღაცას რომ ფართხალებენ, ვითომ მნიშვნელოვანს სჩადიან, ეს მათ ზურგს უმაგრებს და იცავს. მარტოობა, ნამდვილი მარტოობა, ყოველგვარი ილუზიების გარეშე, ერთი ნაბიჯია სიგიჟემდე და თვითმკვლელობამდე.

დიდ, ცარიელ ოთახში ბინდი ჩამოწვა. გვერდით ჩუმი ნაბიჯები ისმოდა, ვიღაც ბოლთას სცემდა. დიასახლისი იყო. როცა რომელიმე ჩვენგანი სტუმრობდა, ის არ ჩნდებოდა ხოლმე. ვძულდით, რადგან ეგონა, გრაუს ჩემ წინააღმდეგ ამხედრებენო.

წავედი. ქვემოთ ქუჩის ნაკადი და ხმაური თბილი აბაზანასავით შემომეგება.

11

პატთან მივდიოდი. პირველად ვესტუმრე. აქამდე ყოველთვის ის მოდიოდა ჩემთან, ან სახლთან ვაკითხავდი ხოლმე. ისე გამოდიოდა, რომ სულ ჩემი სტუმარი იყო. მის შესახებ მეტის ცოდნა მინდოდა. მინდოდა, მცოდნოდა, როგორ ცხოვრობს.

ვიფიქრე, ყვავილებს წავუღებ-მეთქი. იოლი საქმე იყო — ბაზრობის მოედანთან გაზონები ყვაოდა. გისოსზე გადავხტი და თეთრი იასამნის ბუჩქის ძარცვა დავიწყე.

— რას აკეთებთ? — გაისმა უცებ ომახიანი ხმა.

ამოვხედე. წითელსახიანი კაცი, გაფუებული თეთრი ულვაშით, აღშფოთებული მომჩერებოდა. არც პოლიციელი იყო და არც პარკის დარაჯი.

დიდი-დიდი, გადამდგარი სამხედრო ყოფილიყო, ზედ ეტყობოდა, — რა ძნელი მისახვედრია, — ვუპასუხე ზრდილობიანად, — იასამნის ტოტებს ვამტვრევ.

კაცს წამით ენა ჩაუვარდა.

— არ იცით, რომ ქალაქის გაზონია? — დაიღრინა მერე აღშფოთებულმა. — გავიცინე.

— რა თქმა უნდა, ვიცი! აბა, რას ფიქრობთ, კანარის კუნძულები მეგონა? კაცი გალურჯდა. შემეშინდა, სისხლი არ ჩაექცეს-მეთქი.

— აბა, გამოდი, ყმაწვილო! — დამძახა საუკეთესო ყაზარმული ძახილით, — სახელმწიფო ქონებას აჩანაგებთ! პოლიციას ჩაგაბარებთ!

უკვე საკმარისად მქონდა იასამანი მოკრეფილი.

— აბა, დამიჭირე, პაპაჩემო! — მოვუწოდე მოხუცს, მეორე მხარეს გისოსს გადავახტი და მოვკურცხლე.

პატის სახლის წინ ჩემს კოსტიუმს კიდევ ერთხელ შევავლე თვალი. მერე კიბეს ავუყევი და მიმოვიხედე. ახალი, თანამედროვე სახლი იყო; ჩემი გაპარტახებული და პომპეზური ბარაკისგან ძალიან განსხვავდებოდა. კიბეზე წითელი ფარდაგი იყო დაგებული. დედა ცალევსკისთან ესეც არ გვქონდა. ლიფტზე აღარაფერს ვამბობ.

პატი მეორე სართულზე ცხოვრობდა. კარზე თავდაჯერებული კაცის თითბრის აბრა იწონებდა თავს: ეგბერტ ფონ ჰაკე, უფროსი ლეიტენანტი. კარგა ხანს ვუყურე, მერე სანამ დავრეკავდი, ჰალსტუხი გავისწორე, ანგარიშმიუცემლად.

კარი გოგონამ გამიღო, პატარა თეთრი ქუდი ეხურა და თოვლივით თეთრი წინსაფარი ეკეთა; ჩვენი ელამი, გაუთლელი ფრიდა მასთან სახსენებელიც არ იყო.

— ბატონი ლოკამპი? — მკითხა მან.

თავი დავუქნიე.

პატარა წინკარი გამატარა და მერე ერთი ოთახის კარი გააღო. შიგ რომ ფორმაში გამოწყობილი უფროსი ლეიტენანტი ეგბერტ ფონ ჰაკე დამხვედროდა და დაკითხვა მოეწყო, სულ არ გამიკვირდებოდა — შემოსასვლელის კედლებიდან ორდენებით დამშვენებული გენერლები სამოქალაქო პირებს კუშტად დასცქე-

როდნენ და ძალიან სერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. მაგრამ აი, პატიც გამომეგება, თავისი მოხდენილი, გრძელი ნაბიჯებით, და უცებ ოთახი სითბოსა და მხიარულების კუნძულად იქცა. კარი მივხურე და ფრთხილად მოვეხვიე მერე მოპარული იასამანი მივართვი.

— ინებე, — ვუთხარი მე, — ქალაქის მმართველობაც მოკითხვას გითვლის. ყვავილები ფანჯრის წინ, იატაკზე მდგარ დიდ, ღია ფერის, თიხის ლარნაკში ჩაალაგა. ამ დროს მის ოთახს მოვავლე თვალი. რბილი, ჩამქრალი ფერები, ცოტა, ძველი, ლამაზი ავეჯი, ლურჯი ხალიჩა, მქრქალი ფარდები, პატარა, მოსახერხებელი სავარძლები, რომლებზეც გახუნებული აბრეშუმი იყო გადაკრული...

— ღმერთო ჩემო, ასეთი ოთახი სად იშოვე, პატ? — ვკითხე მე, — გასაქირავებელ ოთახებში სულ დამტვრეულ ხარახურას და დაბადების დღეზე ნაჩუქარ სულელურ ნივთებს დგამენ ხოლმე.

ყვავილებიანი ლარნაკი კედელთან ფრთხილად მიაჩოჩა.

მის თხელ მოხრილ კისერს ვუყურებდი, სწორ მხრებს და მეტისმეტად გამხდარ მკლავებს. ასე, ჩაცუცქული, ბავშვს ჰგავდა, ბავშვს, რომელსაც დაცვა სჭირდებოდა. მაგრამ მოქნილი ცხოველივით მოძრაობდა, და მერე, როცა გაიმართა და მომეყრდნო, ბავშვი აღარ იყო, თვალები და ბაგე კვლავ იმ მოლოდინით და იდუმალებით აღევსო, ასე რომ მაბნევდა, და მე რომ მეგონა, ამ ბინძურ სამყაროში აღარ არსებობს-მეთქი.

მხრებზე მოვეხვიე. მისი სიახლოვე ძალიან მსიამოვნებდა.

— სულ ჩემი საკუთარი ნივთებია, რობი. ეს ადრე დედაჩემის ბინა იყო. რომ გარდაიცვალა, გავასხვისე და ორი ოთახი დავიტოვე. — ანუ, შენია? — ამოვისუნთქე, — და უფროსი ლეიტენანტი ეგბერტ ფონ ჰაკე შენთან, უბრალოდ, ქირით ცხოვრობს?

თავი გააქნია.

— აღარა. მე ამ სახლს ვერ შევინახავდი. დარჩენილი ავეჯი

გავყიდე და მთელი ბინა ჩავაბარე. ახლა მე ვცხოვრობ ქირით. ისე, მოხუც ეგბერტს რას ერჩი?

— არაფერს უბრალოდ, პოლიციელების და შტაბის ოფიცრების თანდაყოლილი შიში მაქვს. ეს ჯერ კიდევ ჩემი სამხედროობის დროინდელი გადმონაშთია.

გაიცინა.

— მამაჩემიც მაიორი იყო.

— მაიორებს კიდევ ვუძლებ, — მივუგე მე.

— იცნობ ბებერ ჰაკეს? — მკითხა მან უცებ გულმა რეჩხი მიყო.

— დაბალი და ჩაფსკვნილია, წითელი სახე, თეთრი ულვაშები და ომახიანი ხმა აქვს? ქალაქის გაზონებში დასეირნობს ხოლმე?

— აჰა! — იასამანს გახედა და გამიღიმა, — არა, მაღალია, ფერმკრთალი და რქის სათვალეს ატარებს.

— მაგას არ ვიცნობ.

— გაგაცნო? ძალიან სასიამოვნო კაცია.

— ღმერთმა დამიფაროს! ჯერჯერობით მონტიორებისა და ცალევსკის დონე ვარ.

დააკაკუნეს. იმ გოგომ დაბალი, ბორბლებიანი მაგიდა შემოაგორა თხელი, თეთრი ფაიფური, ვერცხლის თეფშზე — ნამცხვარი, მეორეზე — დაუჯერებლად პატარა ბუტებროტები, ხელსახოცები, სიგარეტები და რა ვიცი, რა აღარა... დავხედე და დანახულმა თვალი მომჭრა. — შემიწყალე, პატ! — ვუთხარი მერე, — თავი ფილმში მგონია! კიბეზევე შევამჩნიე, რომ სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე ვდგავართ. გაიხსენე, მე ცალევსკის ფანჯრის რაფაზე ქონიანი ქაღალდიდან ჭამას ვარ შეჩვეული, გვერდით მედგარი სპირტქურა მიდგას. შეიცოდე უსიყვარულო პანსიონების მცხოვრები, თუ დაბნეულს ჭიქა გაუვარდება!

სიცილი დაიწყო.

— არ გაბედო. ძრავების სპეციალისტის ღირსება არ დაგრთავს ამის ნებას. მოხერხება გმართებს.

ჩაიდანს დასწვდა.

— ჩაი გინდა თუ ყავა?

— ჩაი თუ ყავა? ორივე გვაქვს?

— დიახ. აი, ნახე!

— შესანიშნავია! როგორც საუკეთესო დუქნებში! ახლა მუსიკა-ღა გვაკლია.

გადაიხარა და პატარა რადიომიმღები ჩართო, რომელიც აქამდე არ შემიმჩნევია.

— აბა, ჩაი თუ ყავა?

— ყავა, უბრალოდ, ყავა, პატ. მე სოფლელი ვარ. შენ?

— შენთან ერთად მეც ყავას დავლევ.

— ისე ჩაის სვამ ხოლმე?

— კი.

— აგერაა.

— ყავას ნელ-ნელა ვეჩვევი ნამცხვარს მიაყოლებ? თუ ბუტერ-ბროდს?

— ორივეს, პატ. ისეთი შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გა-უშვას კაცმა. მერე ჩაისაც დავლევ. ყველაფერი უნდა გავსინჯო, რაც გაბადია გაიცინა და თეფში გამივსო. ვიუარე.

— კმარა, კმარა! გახსოვდეს, უფროსი ლეიტენანტის სიახლო-ვეს ვართ! სამხედროებს ქვემდგომების ზომიერება მოსწონთ.

— მხოლოდ სმაში, რობი, მოხუცი ეგბერტი თვითონ გიჟდება ნაღებიან ნამცხვარზე.

— და კომფორტშიც, — მივუგე მე, — სამწუხაროდ, კომფორტს საფუძვლიანად გადაგვაჩვიეს.

რეზინის ბორბლებზე მდგომი მაგიდა გავაგორ-გამოვაგორე შეხედავდი და მოგინდებოდა. ხალიჩაზე უხმაუროდ დაგორავდა. მიმოვიხედე. ყველაფერი ერთმანეთს უხდებოდა.

— ჰო, პატ, — ვთქვი მე, — აი, ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრე-ბი. გაიცინა.

— რას ჰყვები!

— ახალს არაფეს ვყვები. ასეა, დრომ მოიტანა.

— ეს ხომ შემთხვევის ამბავია, რომ ერთი-ორი ნივთი შემომრჩა, რობი, თავი გავაქნიე.

— შემთხვევითი არაა. ნივთებიც არაფერ შუაშია. მთავარი ისაა, მათ უკან რა იმალება. უსაფრთხოება. შენ ეს არ გესმის. ეს მხოლოდ იმას ესმის, ვისაც დაკარგული აქვს.

შემომხედა.

— მართლა რომ გინდოდეს, შენც ხომ გექნებოდა.

ხელი ჩავკიდე.

— არ მინდა, პატ, ეგაა საქმე. თავს ავანტიურისტად ვიგრძნობდი ჩვენნაირები ყოველთვის ზღვარზე არიან. ასე ვართ შეჩვეული. დროის ამბავია.

— თან მოსახერხებელიცაა.

გამეცინა.

— შეიძლება. ცოტა ჩაი დამისხი, რა. გავსინჯო ერთი.

— არა, — მითხრა მან, — ყავა დავლიოთ. ჭამე, რა! რომ ზღვარს გადააბიჯო.

— კარგი აზრია. კი მაგრამ, ნამცხვრების ტრფიალ ეგბერტს რომ აღარ შეხვდება? ამაზე არ ფიქრობს?

— ალბათ კი. მაგრამ უმცროსი ჩინების შურისძიებაც უნდა გაითვალისწინოს. ესეც დროის ამბავია. შეგიძლია, ყველაფერი მშვიდად შეუჭამო.

თვალები უციმციმებდა და არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა — შენა, — ვუთხარი მე, — იცი, როდის არა ვარ ხოლმე ზღვარზე? არ მიპასუხა, მაგრამ დამაცქერდა.

— შენთან! — ვუთხარი, — ახლა კი, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, ეგბერტს დავცხოთ!

შუადღისას მძღოლების დუქანში ერთი ჭიქა ბულიონი მქონდა დახვრეპილი, სულ ეს იყო, ამიტომ ყველაფრის შეჭმა სულ არ

გამჭირვებია. პატის მიერ გამხნევებულმა, მთელი ყავადანი დავცალე.

ფანჯარასთან ვისხედით და ვეწეოდით სახურავების თავზე უკვე საღამოს სიწითლე გაწოლილიყო.

— კარგია შენთან, პატ, — ვთქვი მე, — მესმის, როგორ შეიძლება, მთელი კვირა გარეთ ფეხი არ გადგა.., სანამ მთელი ის ალიაქოთი არ დაგავიწყდება, რაც გარეთ გელის.

გაიღიმა.

— ერთ დროს არ მეგონა, რომ აქედან საერთოდ გავიდოდი.

— ეგ როდის?

— როცა ავად ვიყავი.

— ეგ სხვა ამბავია. რა გჭირდა?

— მაინცდამაინც ცუდი არაფერი. უბრალოდ, ვიწექი. როგორც ჩანს, ძალიან სწრაფად გავიზარდე და საჭმელი მაკლდა. ომის დროს და ომის მერე ხომ ბევრი არაფერი იყო.

თავი დავუქნიე.

— რამდენ ხანს იწექი?

წამით შეყოყმანდა.

— დაახლოებით, ერთი წელი.

— ძალიან დიდი დროა.

ყურადღებით შევხედე.

— დიდი ხნის ამბავია. მაგრამ მაშინ მეგონა, მთელი ცხოვრება გაგრძელდა. ერთხელ, ბარში, შენი მეგობრის, ვალენტინის შესახებ მიამბე, რომ ომის შემდეგ ვერაფრით დაივიწყა, რა ბედნიერებაა, რომ ცოცხალია, და ამის გამო სხვა აღარაფერი აღელვებსო.

— კარგად დაგიმახსოვრებია. — ვუთხარი მე.

— იმიტომ, რომ კარგად მესმის. მას მერე მეც ისე იოლად მიხარია მგონი, ძალიან ზედაპირული ვარ.

— ზედაპირულები მარტო ისინი არიან, ვისაც ჰგონიათ, რომ

არ არიან. — მე ნამდვილად ვარ. ცხოვრების დიდი ამბების ბევრი არაფერი გამეგება. მხოლოდ კარგი მესმის. ამ იასამანს რომ ვუყურებ, უკვე ბედნიერი ვარ.

— ეგ ზედაპირულობა არაა ... ეს უმაღლესი ფილოსოფიაა, — ჩემს შემთხვევაში — არა, ზედაპირული ვარ და ქარაფშუტა. — მეც.

— ჩემსავით — არა. ამას წინ ავანტიურისტი ახსენე მე ნამდვილი ავანტიურისტი ვარ.

— ასეც ვიფიქრე, — ვუპასუხე მე.

— ჰო. უკვე დიდი ხნის წინათ უნდა მქონოდა სხვა ბინაც, რამე პროფესიაც, და ფულიც უნდა გამეკეთებინა. მაგრამ საშველი ვერ დავაყენე, მინდოდა, ცოტა ხანი ისე მეცხოვრა, როგორც წარმომედგინა. სულერთია, ჭკვიანურად თუ სულელურად. ასეც ვქენი.

გამეცინა.

— ასე ჯიუტად რატომ მიყურებ?

— იმიტომ რომ ყველამ მითხრა, უსასრულოდ თავქარიანი ხარო. რა ფულიც გაქვს, უნდა გამოიზოგო, და სამსახური და თანამდებობა იშოვოო, მე კი მინდოდა, ერთხელ მაინც მსუბუქად და მხიარულად ვყოფილიყავი და ის მეკეთებინა, რაც მსურდა. ეს დედაჩემის სიკვდილის მერე იყო და იმის მერე, რაც ამდენ ხანს ვიწექი.

— და-ძმა გყავს?

თავი გააქნია.

— მეც ვერ წარმომედგინა.

— შენც ფიქრობ, რომ ქარაფშუტულად ვიქცევი?

— არა, მამაცურად.

— აჰ, სიმამაცე... არც ისე მამაცი ვარ. ზოგჯერ მაგრად მეშინოდა. როგორც ვიღაცას, თეატრში სხვის ადგილას რომ ზის და მაინც არ ინძრევა. — მაშ, მამაცი ყოფილხარ, — ვუთხარი მე, — მამა-

ცი მხოლოდ მაშინ ხარ, როცა გეშინია კიდეც. თან, სწორადაც მოიქეცი. მხოლოდ ფულს დაკარგავდი. ასე რამეში მაინც გამოგადგა. რა გააკეთე?

— სინამდვილეში, არაფერი. უბრალოდ, ჩემთვის ვცხოვრობდი.

— მერე, მაგარია! უკეთესი რა უნდა იყოს?

გამიღიმა.

— ეს ამბავი მალე მორჩება. მალე მუშაობას დავიწყებ.

— რას გააკეთებ? ბინდინგთან საქმიანი შეხვედრა ეგ იყო?

თავი დამიქნია.

— ბინდინგთან და დოქტორ მაქს მატუშაიტთან, ელექტროსაქონლის და გრამოფონების მაღაზიების დირექტორია. ვიქნები გამყიდველი რომელიც მუსიკაში ერკვევა.

— ბინდინგმა სხვა ვერაფერი გამოიგონა?

— კი, — მომიგო პატმა, — მაგრამ მე არ მოვინდომე.

— ბედი ჰქონია. როდის უნდა დაიწყოთ?

— პირველ აგვისტოს.

— აბა, მანამდე დიდი დროა. იქნებ სხვა რამეც ვიპოვოთ., ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი სახით კლიენტი არ მოგაკლდება.

— გრამოფონი გაქვს?

— არა, მაგრამ, რასაკვირველია, სასწრაფოდ ვიყიდი, ისე, ჯერჯერობით ეს ამბავი არ მომწონს.

— მე კი, — მითხრა მან, — მე არაფრის კეთება არ ვიცი, ახლა, რაც შენ მყავხარ, ყველაფერი ბევრად უფრო მეადვილება. ისე, არ უნდა მომეყოლა. — უნდა მოგეყოლა. ყოველთვის ყველაფერს უნდა მომიყვე.

წამით შემომხედა.

— კარგი, რობი, — თქვა მან. მერე ადგა და პატარა კარადასთან მივიდა, — იცი, რა მაქვს შენთვის? რომი. მე მგონი, კარგი რომია.

მაგიდაზე ჭიქა დადგა და მოლოდინით აღსავსემ შემომხედა.

— კარგი რომია, სუნი შორიდან მცემს, — ვუთხარი მე, — მაგრამ პატ, ხომ არ აჯობებდა, ცოტა ფული დაგეზოგა? გრამოფონის ფირფიტების ამბავი გადაგვედო...

— არა, — მომიგო მან.

— ეგეც მართალია, — ვუთხარი მე.

რომი — ფერზეც ეტყობოდა, — ყალბი იყო გამყიდველმა პატი გააცურა. ჭიქა დავცალე.

— უმაღლესი დონეა, — ვუთხარი მე, — ერთიც დამისხი. სად იშოვე? — კუთხის მაღაზიაში.

აჰა, ვიფიქრე, ცხადია, რაღაც წყეული დელიკატესების მაღაზიაა. გადავწყვიტე, როცა საშუალება მექნებოდა, შემეხედა და იმ კაცისთვის ყველაფერი მეთქვა, რასაც მასზე ვფიქრობდი.

— წავიდე, ჰო, პატ?

შემომხედა.

— ჯერ არა..

ფანჯარასთან ვიდექით. ქვემოთ შუქი აბრიალდა — შენი საძინებელი მაჩვენე, — ვუთხარი მე.

კარი გააღო და სინათლე აანთო. კარში შევდექი და შევიხედე. ათასი ფიქრი დამიტრიალდა.

— მაშ, ეს შენი ლოგინია, პატ, — ვუთხარი ბოლოს გაეღიმა.

— აბა, ვისი იქნება, რობი?

— მართლაც! — ავიხედე, — აი, ტელეფონიც. ესეც მეცოდინება ახლა კი წავედი. ბედნიერად, პატ.

— ხელები მომხვია. რა შესანიშნავი იქნებოდა, აქ რომ დავრჩენილიყავით, საღამოს ბინდში, საძინებლის რბილი, ლურჯი საბნის ქვეშ ჩახუტებულები... მაგრამ რაღაც მაკავებდა. არც დაძაბულობა იყო, არც შიში და არც სიფრთხილე... უბრალოდ, დიდი სინაზე იყო, რომელიც წადილს აღემატებოდა.

— ბედნიერად, პატ, — ვუთხარი მე, — კარგი იყო შენთან. ვერც წარმოიდგენ, რა კარგი იყო. და რომი კი... ამაზე რომ იფიქრე...

— მაგაზე ადვილი რაა...

— ჩემთვის — არა. ასეთებს არა ვარ შეჩვეული.

ცალევსკის ბინა. ერთხანს ვიჯექი. არ მომწონდა, რომ პატი ბინდინგის მადლიერი უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ, დერეფანი გავიარე და ერნა ბიონიგთან მივედი.

— სერიოზულ საქმეზე ვარ, — ვუთხარი მე, — ერნა, ქალების და-საქმების საქმე როგორაა?

— რა გითხრა, — მიპასუხა მან, — ამ ფხიზელ გულზე რა ცივი კითხვები გიჩნდება! საერთოდ, ცუდად.

— საქმე არაფერია? — ვკითხე მე.

— სად?

— მდივანი, თანაშემწე...

ხელი ჩაიქნია.

— ასიათასობით დაუსაქმებელი. რამე განსაკუთრებული შეუძლია? — ლამაზია, — ვუთხარი მე.

— რამდენი მარცვალი? — მკითხა ერნამ.

— რა?

— წუთში რამდენ მარცვალს ბეჭდავს? რამდენ ენაზე?

— აზრზე არა ვარ... — ვთქვი მე, — მაგრამ, ისე, წარსადგენად... — ჩემო საყვარელო ბიჭო, — მითხრა ერნამ, — გასაგებია: კარგი ოჯახიდან, უწინ კარგად ცხოვრობდა იძულებულია, და ასე შემდეგ მოგახსენებთ უიმედო ამბავია. დიდი-დიდი, ვინმე განსაკუთრებით დაინტერესდეს და ამის გამო გაქაჩოს რისთვისაც, მოგეხსენებათ მაგრამ ეს — ხომ არ გვინდა?

— მაზალო კითხვაა, — ვუთხარი მე.

— არც ისე, თქვენ რომ გგონიათ, — მიპასუხა ერნამ, ცოტა მწარედ, — მე სხვა შემთხვევებიც ვიცი, — მისი შეფის ამბავი გამახსენდა. — მაგრამ ერთ რჩევას კი მოგცემთ, — განაგრძო მან, — ეცადეთ, ორი კაცის სამყოფი ფული გააკეთოთ. ყველაზე იოლი

გამოსავალია. ცოლად მოიყვანეთ. — ეგრე სადაა, — ვთქვი და გამეცინა. — ნეტა ამდენი შემეძლოს. ერნა უცნაურად მიყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცქვიტი იყო, უცებ დაბერებულად და ლამის ჩამომჭკნარად მეჩვენა.

— რაღაცას გიამბობთ, — მითხრა მან, — მე კარგად ვცხოვრობ და იმდენი მაქვს, სულ რომ არ მჭირდება. მაგრამ დამიჯერეთ: ვინმე რომ მოვიდეს და შემომთავაზოს, ერთად ვიცხოვროთო, მართლა, გულწრფელად, ყველაფერს მივყრიდი და, თუ საჭირო იქნებოდა, მასთან ერთად სხვენზეც დავსახლდებოდი. — იგივე გამომეტყველება დაუბრუნდა, — კაი, და ვივიწყეთ. სენტიმენტალური კუნჭული ყველა ადამიანსა აქვს. — სიგარეტის ბოლში მოჭუტული მიცქერდა, — როგორც ჩანს, თქვენც, არა?

— რა ვიცი, აბა... — ვუთხარი მე.

— ჰო, ჰო... — თქვა ერნამ, — ყველაზე ნაკლებად როცა ელი, ყველაზე იოლად მაშინ დაგატყდება თავს...

— მე არა, — ვუთხარი პასუხად.

რვამდე ჩემს ოთახში გავძელი, მერე კი მარტო ჯდომა ყელში ამომივიდა და ბარში წავედი, ვინმეს რომ გადავყროდი.

ვალენტინი დამხვდა.

— დაჯექი, — მითხრა, — რას დალევ?

— რომს, — მივუგე მე, — დღეს რომის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს.

— რომი ჯარისკაცის რძეა, — თქვა ვალენტინმა, — ისე, კარგად გამოიყურები, რობი.

— ვითომ?

— კი, გაახალგაზრდავებული ხარ.

— ნეტავი შენ, — ვთქვი მე, — გაგვიმარჯოს, ვალენტინ.

— გაგვიმარჯოს, რობი, ჭიქები მაგიდაზე დავდგით და ერთმანეთს დავაცქერდით მერ ორივეს ერთად სიცილი აგვიტყდა.

— შე ძველო! — მითხრა ვალენტინმა.

— ჯიგარო! — მივუგე მე, — ახლა რისა დავლიოთ?

— იგივე, ერთხელაც.

— კარგი.

ფრედმა დაგვისხა.

— აბა, გაგვიმარჯოს, ვალენტინ.

— გაგვიმარჯოს, რობი.

— შესანიშნავი სიტყვაა, არა? გაგვიმარჯოს — სიტყვათა სიტყვაა.

კიდევ რამდენჯერმე ვთქვით. მერე ვალენტინი წავიდა.

მე დავრჩი. ფრედის გარდა აღარავინ იყო. ძველ, განათებულ რუკებს ვუყურებდი, გემებს გაყვითლებული იალქნებით, და პატზე ვფიქრობდი. სიამოვნებით დავურეკავდი, მაგრამ თავს ძალა დავატანე და არ ვქენი. არც მასზე ამდენი ფიქრი მინდოდა. ისე უნდა მიმეღო, როგორც მოულოდნელი, გასახარელი საჩუქარი, რომელიც მოვიდა და წავა — მეტი არაფერი მნდომებია. არ მინდოდა იმ აზრის დაშვება, რომ მეტიც შეიძლებოდა. მეტისმეტად კარგად ვიცოდი, რომ ყველა სიყვარულს მარადიულობა სურდა და სწორედ ეს იყო მარადიული სატანჯველი. მარადიული არაფერია. არაფერი.

— ერთიც დამისხი, ფრედ, — ვუთხარი მე კაცი და ქალი შემოვიდნენ. დახლთან თითო კოქტეილი კობლერი დალიეს. ქალი დაღლილი ჩანდა, კაცი — ხარბი. მალევე წავიდნენ.

ჭიქა დავცალე. ალბათ, აჯობებდა, ნაშუადღევს პატთან არ მივსულიყავი. სურათი ვერ მოვიშორე: ბინდში ჩაძირული ოთახი, საღამოს რბილი, ლურჯი ჩრდილები და მოკუნტული ლამაზი გოგო, რომელიც ბოხი, ჩახლეჩილი ხმით მიყვებოდა, როგორ ცხოვრობდა და როგორ უნდოდა, ეცხოვრა. რა ჯანდაბაა, სენტიმენტალური გავხდი! მაგრამ ის, რაც აქამდე სუნთქვის შემკვრელი, მოულოდნელი თავგადასავალი იყო, უკვე სინაზის ნისლში

გაეხვა, უფრო ღრმად შემეხო, ვიდრე წარმომედგინა და მინდოდა, და განა დღეს, სწორედ დღეს არ მივხვდი, როგორ შევიცვალე? რატომ წამოვედი, რატომ არ დავრჩი, ხომ დარჩენა მინდოდა! დასწყევლოს ღმერთმა ყველაფერ ამაზე აღარ ვიფიქრებ. რაც მოსახდენია, მოხდეს, ჯანდაბას, თუ დავკარგავდი, თუ უბედურებისგან გავგიჟდებოდი — აქ იყო, ახლა ხომ აქ იყო, და ყველაფერი დანარჩენი სულერთია და ეშმაკსაც წაუღია! თუნდაც ცოტა ხნით ცხოვრება შემერგო — ერთ დღეს ხომ მაინც მოვარდებოდა დიდი ტალღა და ყველაფერს წალეკავდა.

— თითო დავლიოთ, კარგი, ფრედ? — ვთხოვე მე.

— მუდამ მზად ვარ, — მითხრა მან.

ორი აბსენტი დავლიეთ. მერე თითოც დავამატეთ. ვერ მომერია. არ მეყო. თითოც წავუქციეთ. მეხუთეზე დავნებდი. სამ-სამი ჩავისხით. — მთვრალი ვარ თუ გარეთ მართლა ქუხს? — ვიკითხე მე.

ფრედმა მიაყურადა.

— მართლა ქუხს. წელს პირველი ჭექა-ქუხილია.

კართან მივედით და ცას ავხედეთ. არაფერი ჩანდა. უბრალოდ, ცხელოდა და ხანდახან ქუხდა.

— ამის აღსანიშნავად ერთიც უნდა დაილიოს, — შევთავაზე მე. ფრედიც ამ აზრის იყო.

— ჯანდაბა, რა წყალწყალაა, — ვთქვი და ცარიელი ჭიქა დახლზე დავაბრუნე. ფრედმაც თქვა, რამე მაგარი დავლიოთო. ფრედმა, შერიო, მე — რომი-მეთქი. რომ არ გვეჩხუბა, მონაცვლეობით ორივე ვსვით. იმისთვის, რომ ფრედს ამდენი ჩამოსხმა არ დასჭირვებოდა, კარგა მოზრდილი ჭიქებით ვსვამდით. ახლა კი შესანიშნავ გუნებაზე დავდექით. ხანდახან გავხედავდით ხოლმე, ხომ არ ელავდა. ელვის დანახვა გვინდოდა, მაგრამ არ გაგვიმართლა. მაინცდამაინც მაშინ ელავდა, როცა დარბაზში ვი-

ყავით. ფრედმა მითხრა, რომ საცოლე ჰყავს, ავტომატ-რესტორნის მფლობელის ქალიშვილი. მაგრამ ჯერ დაქორწინებას არ ჩქარობდა, ბერიკაცის სიკვდილს ელოდა, უნდა დარწმუნებულიყო, რომ რესტორანი გოგოს ერგებოდა. მე ჩავთვალე, რომ ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა, მაგრამ ფრედმა დამარწმუნა, რომ ამ ლეშისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო, შეიძლებოდა, ბოლო წამს რესტორანი მეთოდისტთა სათვისტომოსთვის გადაეცა. დავნებდი, ისე, ფრედი ფრიად ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ბერიკაცი გაციებულა, ფრედს იმედი ჰქონდა, ეგებ გრიპი სჭირსო, ეგ ხომ ძალიან საშიშიაო. სამწუხაროდ, უნდა მეთქვა რომ გრიპი ალკოჰოლიკებს ვერაფერს აკლებს, პირიქით, ზოგჯერ აკანკალებული ლოთები გრიპის წყალობით აყვავდებიან ხოლმე და წონაშიც იმატებენ. გუთხარი კიდეც. ფრედმა თქვა, არა უშავს, ეგებ მანქანამ დაარტყასო. დავუდასტურე, განსაკუთრებით, სველ ასფალტზე სავსებით დასაშვებია-მეთქი. ფრედი გავიდა და გახედა, ეგებ უკვე გაწვიმდაო, მაგრამ არ წვიმდა. უბრალოდ, უფრო ძლიერად ჭექდა. ერთი ჭიქა ლიმონის წვენი გადავკარი და ტელეფონთან მივედი. ბოლო წამს მივხვდი, რომ დარეკვა არ მინდოდა. ტელეფონს ხელი დავუქნიე და ქუდის მოხდას ვუპირებდი. მერეღა შევამჩნიე, რომ არც მეხურა.

უკან რომ დავბრუნდი, კიოსტერი და ლენცი დამხვდნენ.

— აბა, ერთი, მომასუნთქე, — თქვა გოტფრიდმა.

მივასუნთქე.

— რომი, შერი და აბსენტი, — თქვა მან, — აბსენტი, ვირისთავო, — თუ გგონია, რომ მთვრალი ვარ, ძალიან ცდები, — ვუთხარი მე. — საიდან მოდიხართ?

— პოლიტიკური თავყრილობიდან. მაგრამ ოტომ იქაურობა ვერ აიტანა. ფრედი რას სვამს?

— ლიმონის წვენს.

— ერთი ჭიქა შენც დალიე.

— ხვალ იყოს, — მივუგე მე, — ახლა რამე უნდა ვჭამო.

მთელი ამ დროის განმავლობაში კიოსტერი შეშფოთებული მიყურებდა.

— ასე ნუ მიყურებ, ოტო, — ვუთხარი მე, — სიხარულის გამო დავთვერი. დარდით კი არა.

— ძალიან კარგი, — თქვა მან, — მაგრამ მაინც, მოდი, ვჭამოთ.

თერთმეტ საათზე კვლავ სრულიად ფხიზელი ვიყავი. კიოსტერმა შემოგვთავაზა, ფრედს დავხედოთო. მივედით და ბარის მაგიდის უკან მკვდარივით გაშოტილი ვიპოვეთ.

— იქით გაიყვანეთ, — თქვა ლენცმა, — მომსახურება ჩემზე იყოს. მე და კიოსტერმა ფრედი გონს მოვიყვანეთ, ცხელი რძე დავალევინეთ. მაშინვე იმოქმედა. მერე სკამზე დავსვით და ვუთხარით, ნახევარი საათიც დაისვენე, ლენცი ყველაფერს მიხედავს-თქო.

გოტფრიდმა საქმეს მართლაც მიხედა. ფასებიც იცოდა და ყველაზე გავრცელებული კოქტეილების რეცეპტებიც. შეიკერს ისე ატრიალებდა, თითქოს აქამდე მეტი არაფერი ეკეთებინოს.

ერთ საათში ფრედი დაგვიბრუნდა. მოკალული კუჭი ჰქონდა და გონს იოლად მოდიოდა ხოლმე.

— ძალიან ვწუხვარ, ფრედ, — ვუთხარი მე, — მანამდე რამე უნდა გვეჭამა. — აღარაფერი მიშავს, — მომიგო მან, — ძალიან კარგად ვარ. ტელეფონთან მივედი და პატს დავურეკე. სულ არ მადარდებდა, მანამდე რას ვფიქრობდი. მიპასუხა.

— თხუთმეტ წუთში კართან ვიდგები, — ჩავძახე და უცებ დავკიდე. მეშინოდა, რომ დაღლილი იქნებოდა. ამის გაგონებაც არ მინდოდა — უნდა მენახა.

მოვიდა. სანამ კარს აღებდა, შუშას იქ ვაკოცე, სადაც თავი ჰქონდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ ვაცადე. ვკოცნიდი და ქუჩას მივუყვებოდით, სანამ ტაქსი გამოჩნდებოდა. ელავდა

და ქუხდა.

— ჩქარა, თორემ გაწვიმდება, — შევძახე მე.

ჩავსხედით. მანქანის სახურავზე პირველი წვეთების კაკუნი გაისმა. მანქანა ცუდ ქვაფენილზე ჯაყჯაყებდა. შესანიშნავი იყო, რადგან ჯაყჯაყის დროს პატს ვგრძნობდი. ყველაფერი შესანიშნავი იყო: წვიმა, ქალაქი, სმა, ყველაფერი დიდი იყო და დიდებული. სრულიად ფხიზელი ვიყავი, შესანიშნავ გუნებაზე — ასე იცის, რომ დათვრები და ისევ გამოხვალ. აღარაფერი მბოჭავდა, ღამე იყო ძლიერი და გაბრჭყვიალებული, ვეღარაფერი მოხდებოდა, ვეღარაფერში შევცდებოდით, მანქანიდან რომ გადმოვედით, გაწვიმდა. სანამ ვიხდიდი, ასფალტი ავაზასავით დაიწინწკლა, და კარამდე რომ მივაღწიეთ, უკვე შავად და ვერცხლისფრად აციალდა — კოკისპირულად დაუშვა. შუქი არ ამინთია. ოთახს ელვა ანათებდა. ქალაქის თავზე ჭექდა და ქუხდა.

— ახლა მაინც ვიყვიროთ! — გავძახე პატს, — ვერც ვერავინ გაგვიგონებს!

ფანჯარა ბრიალებდა. მოთეთრო-მოცისფრო ცაზე წამით გაკრთა სასაფლაოს ხეების შავი სილუეტები, მერე დასჭექა და ისინი კვლავ ღამემ შთანთქა. წყვდიადსა და წყვდიადს შორის მინაზე წამით გაიციმციმა პატის ჩამოქნილმა სხეულმა. მხრებზე მოვეხვიე, გულში ჩავიკარი, მის ბაგეს ვგრძნობდი, მის სუნთქვას, და აღარაფერს ვფიქრობდი...

12

ჩვენი სახელოსნო კვლავ ცარიელი იყო, როგორც ბეღელი მოსავლის აღებამდე. ამიტომ გადავწყვიტეთ, აუქციონზე ნაყიდი ტაქსი ჯერ არ გადაგვეყიდა და ტაქსიდვე გამოგვეყენებინა. მე და ლენცს მორიგეობით უნდა გვეტარებინა. კიოსტერი და იუპი სახელოსნოს მარტოებიც ჩინებულად მიხედავდნენ, სანამ ახალი საქმე არ გამოჩნდებოდა. მე და ლენცმა კენჭი ვყარეთ, პირველი ვინ წავიდოდა. მოვიგე, ჯიბე ხურდით გავივსე, საბუთები ავიღე და ტაქსით ნელა დავუყევი ქუჩებს, რომ ჯერ კარგი სადგომი მეპოვა. პირველ ჯერზე ცოტა უცნაური შეგრძნება იყო. ნებისმიერ იდიოტს შეიძლებოდა გავეჩერებინე და რამე დაევალებინა. დიდად არ მსიამოვნებდა.

სადგომს მივაგენი, სადაც მხოლოდ ხუთი მანქანა იდგა. სასტუმრო „ველდექერ ჰოფის“ მოპირდაპირე მხარეს იყო, სავაჭრო უბნის შუაგულში. ეს დიდი მისვლა-მოსვლის იმედს მაძლევდა. მანქანა გამოვრთე და გადმოვედი. ერთ-ერთი წინ მდგომი მანქანიდან ჩემკენ ტყავისპალტოიანი, მაღალი კაცი დაიძრა.

— მოუსვი აქედან, — შემიღრინა მან.

მშვიდად შევხედე და გავთვალე, რომ საქმე თუ აქამდე მივიდოდა, ქვემოდან, აპერკოტით უნდა დამეგდო. პალტოს გამო ხელებს დროზე ვერ ასწვდა.

— ვერ გაიგე? — ჩამეძია ტყავის კაცი და მერე სიგარეტი ფეხებთან გადმომიფურთხა, — აახვიე! შენღა გვაკლდი!

ახალი კაცის მოსვლა აბრაზებდა, გავიგე. მაგრამ აქ დგომის უფლება მეც მქონდა.

— ერთი სუფრა ჩემზეა, — ვუთხარი მე.

წესით, ყველაფერი ამით უნდა მორჩენილიყო, ახალი კაცი ასე იქცევა ხოლმე. ახალგაზრდა მძღოლი მოგვიახლოვდა.

— კარგი, მეგობარო. დაანებე, გუსტავ...

მაგრამ გუსტავს რაღაცით თვალში არ მოვუვედი. ვიცოდი, რაც იყო. გრძნობდა, რომ ამ საქმეში დამწყები ვიყავი, — სამამდე ვითვლი... — ამიხსნა მან.

ერთი თავით ჩემზე მაღალი იყო და ამის იმედი ჰქონდა.

შევამჩნიე, რომ სიტყვებით ვერაფერს გავხდებოდი. ან უნდა წავსულიყავი, ან უნდა მეჩხუბა. მეტისმეტად გასაგები იყო ყველაფერი.

— ერთი... — დაიწყო გუსტავმა და პალტო გაიხსნა.

— სისულელეს ნუ იზამთ, — ერთხელაც ვცადე, — ამას სჯობს, თითო ჭიქა მივცეთ...

— ორი... — იღრინებოდა გუსტავი.

მივხვდი, რომ დაგდებას მიპირებდა.

— და ერთიც... — ქუდი გადაიწია.

— მოკეტე, იდიოტო! — დავუღრიალე უცებ.

მოულოდნელობისგან გუსტავმა პირი დახურა და ერთი ნაბიჯით მომიახლოვდა. სწორედ იქ მოვიდა, სადაც მჭირდებოდა. ეგრევე დავარტყი. ჩაქუჩივით მოვუქნიე, მთელი სხეულით. ეს დარტყმა კიოსტერმა მასწავლა. კრივი დიდად არ მეხერხებოდა. არ

მიმაჩნდა საჭიროდ — ძირითადად, ყველაფერს პირველი დარტყმა წყვეტდა. ეს კარგი გამომივიდა. გუსტავი ჩაიკეცა.

— არაფერი მოუვა, — ვუთხარი ახალგაზრდა მძღოლს, — ძველი ნახიშტარია.

თავისი მანქანის კაპოტზე მივაყუდეთ.

— მალე მოვა აზრზე.

ცოტა ვღელავდი. სიჩქარეში დარტყმისას ცერათითი არასწორად დავიჭირე და ვიღრძე. გუსტავი რომ გონს მოეგებოდა, რასაც უნდოდა, იმას მიზამდა. ეს ახალგაზრდა მძღოლს ვუთხარი და ვკითხე, წასვლა ხომ არ მიჯობდა.

— სისულელეა, — მითხრა მან, — მორჩა. წამო ახლა დუქანში და სუფრა გაშალე პროფესიონალი მძღოლი არა ხარ, ჰო?

— არა...

— არც მე. მსახიობი ვარ.

— მერე?

— ვცხოვრობ, რა... — მომიგო ღიმილით, — წარმოდგენები ისედაც მაკლია.

არ ხუთნი ვიყავით, ორი უფროსი და სამი ახალგაზრდა ცოტა ხანში დუქანში გუსტავიც გამოჩნდა. ჩვენს მაგიდას კუშტად გადმოხედა და მოვიდა მარცხენა ხელით ჯიბეში გასაღებების აცმა ჩავბღუჯე და გადავწყვიტე, თავი ბოლომდე დამეცვა, სანამ განძრევა შემეძლებოდა.

მაგრამ საქმე აქამდე არ მივიდა. გუსტავმა სკამი ფეხით მიიჩოჩა და ზედ მოღუშული დაეშვა. მასპინძელმა ჭიქა დაუდგა. ჭიქები ავწიეთ, გუსტავმა გადაკრა. მეორეც ჩამოასხეს. გუსტავმა ალმაცერად გადმომხედა. ჭიქა ასწია.

— გაგვიმარჯოს, — მითხრა, თუმცა, საძაგელი სახით.

— გაგვიმარჯოს, — ვუთხარი და დავლიე.

გუსტავმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ისე მომაწოდა ზედ არ

შემოუხედავს. ერთი ღერი ავიღე და სამაგიეროდ, მოვუკიდე. მერე ორმაგი კიუმელი შევუკვეთე. დავლიეთ. გუსტავი ისევ ცერად მიყურებდა. — ბრიყვო, — მითხრა, ოღონდ სწორად.

— იდიოტო, — მივუგე შესაბამისად.

მომიტრიალდა.

— მაგარი დარტყმა იყო...

— შემთხვევით... — ცერათითი ვაჩვენე.

— აფსუს, — გამიღიმა, — ისე, გუსტავი მქვია.

— მე — რობერტი.

— კარგი. შევრიგდით, ხომ, რობერტ? მე დედიკოს ბიჭი მეგონე. — შევრიგდით, გუსტავ.

მას მერე დავმეგობრდით.

მანქანები წინ ნელა მიიწევდა. მსახიობმა, რომელსაც ტომი ერქვა, შესანიშნავი მგზავრი იშოვა სადგურამდე. გუსტავმა — იქვე მდგომ რესტორნამდე, ოცდაათ ფენინგად. ბრაზისგან კინაღამ გასკდა, იმიტომ რომ ათფენინგიანი მოგებისთვის ისევ უკან მოუწია დადგომა. მე იშვიათი რამე დამეცა — მოხუცი ინგლისელი ქალი, რომელსაც ქალაქის დათვალიერება უნდოდა. თითქმის ერთი საათი ვატარე. უკანა გზაზე ერთი-ორი წვრილმანიც გადამეყარა. შუადღისას, როცა კვლავ დუქანში ვისხედით და ჩვენ— ჩვენს ბუტერბროტებს შევექცეოდით, თავი გამოცდილ მძღოლად ვიგრძენი. ეს ყველაფერი ცოტა ძველი ჯარისკაცობის ძმობას ჰგავდა. აქ ყველა პროფესიის ადამიანი იყო შეკრებილი. თავიდანვე მძღოლი, დიდი-დიდი, ნახევარი თუ იქნებოდა, დანარჩენებმა აქ სხვადასხვა გზით ამოყვეს თავი.

ნაშუადღევს ჩვენი სახელოსნოს ეზოში ფრიად გახალისებული შევედი, ლენცი და კიოსტერი უკვე მელოდებოდნენ.

— რამდენი იშოვეთ, ძმებო? — ვკითხე მე.

— სამოცდაათი ლიტრი ბენზინი, — მომახსენა იუპმა.

— მეტი ვერაფერი?

ლენცმა ველური სახით ზეცას ახედა.

— ეწვიმა მაინც! მერე პატარა ავარია, სრიალა ასფალტზე, ზედ ჭიშკართან! არც ერთი დაშავებული! მხოლოდ კოხტა, სრული რემონტი!

— შეხედეთ! — ხელი გავშალე და ოცდათხუთმეტი მარკა ვაჩვენე. — შესანიშნავია, — თქვა კიოსტერმა, — აქედან ოცი მარკა მოვიგეთ. დღეს თავზე ვიმხობთ. პირველი გასვლა უნდა აღინიშნოს!

— ვალდმაისტერის კრუშონი უნდა დავლიოთ, — მოგვახსენა ლენცმა. — კრუშონი? — ვიკითხე მე, — კრუშონი რად გვინდა?

— იმიტომ, რომ პატიც მოდის.

— პატი?

— რა პირი დაგიფჩენია, — მითხრა უკანასკნელმა რომანტიკოსმა, — დიდი ხნის წინ მოვაგვარეთ. შვიდზე უნდა გავუაროთ. გაფრთხილებულია. შენ თუ ამაზე არ გიფიქრია, ჩვენ მაინც ხომ უნდა ვუშველოთ თავს სხვა თუ არაფერი, ჩვენ არ გაგაცანით?

— ოტო, — ვუთხარი მე, — ამ რეკრუტივით შეუვალი თუ გინახავს რამე? კიოსტერს გაეცინა.

— ხელზე რა გჭირს, რობი? რაღაც უცნაურად გიჭირავს.

— მე მგონი, ვიღრძე. — გუსტავის ამბავს მოვყევი.

ლენცმა ხელი დამითვალიერა.

— რასაკვირველია! მიუხედავად შენი უზრდელობისა, როგორც ქრისტიანი და არამოქმედი მედიცინის სტუდენტი, მასაჟსაც გაგიკეთებ. წამოდი, დიდოსტატო მოკრივევ!

სახელოსნოში შევედით, და გოტფრიდმა ზეთიანი ხელით დამამუშავა. — პატს უთხარი, რომ ჩვენი ტაქსის მძღოლობის ერთი დღის იუბილეს აღვნიშნავთ? — ვკითხე მას.

კბილებშუა უსტვენდა.

— რაო, გრცხვენია, ბიჭო?

— მოკეტე! — მივუგე პასუხად. მით უმეტეს, რომ მართალი იყო,

— უთხარი?

— სიყვარული, — ლენცი არც შეტოკებულა, — დიდებული რამაა. მაგრამ ხასიათს აფუჭებს.

— სამაგიეროდ, მარტოობამ უტაქტობა იცის, პირქუშო სოლისტო. — ტაქტი არის მდუმარე შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ერთმანეთის შეცდომებს არ შევიმჩნევთ, ნაცვლად იმისა, რომ ხაზი გავუსვათ.საცოდავი კომპრომისი. გერმანელი ვეტერანი ამაზე ყაბულს აღარაა, პატარავ!

— ჩემს ადგილას რას იზამდი, — ვკითხე მე, — ტაქსი რომ გამოეძახებინათ, მისულიყავი და პატი დაგხვედროდა?

ჩაიღიმა.

— ფულს არაფრის დიდებით არ გამოვართმევდი, შვილო ჩემო.

ხელი ვკარი, ისე, რომ სამფეხიდან ჩამოვარდა.

— კალიავ! იცი, რას ვიზამ? ავიღებ და დღეს ტაქსით მივაკითხავ. — სწორია! — ლენცმა მაკურთხა, ხელი ასწია, — მთავარია, თავისუფლება არ დაკარგო! ის სიყვარულზე ძვირფასია. უბრალოდ, ამას მერეღა ხვდებიან ხოლმე. ტაქსის კი მაინც არ მოგცემთ. ფერდინანდ გრაუსა და ვალენტინისთვის გვჭირდება. სერიოზული, მაგრამ დიდი საღამო იქნება.

— ქალაქგარეთ, პატარა ფუნდუკის ეზოში ვისხედით. ტყეების თავზე ნოტიო მთვარე წითელი ჩირაღდანივით ეკიდა. წაბლის ყვავილების — ფერმკრთალი სანთლები ციმციმებდა, იასამანი თავბრუდამხვევ სურნელს აფრქვევდა. ჩვენ წინ, დიდ მინის ჭურჭელში, ვალდმაისტერის სუნით გაჯერებული ღვინო გვიანი საღამოს იდუმალ ნათელში ოქროსფერ ჰგავდა. მასში უკანასკნელი სხივები ციალებდა ცისფერი და მარგალიტი... უკვე მეოთხედ ავავსებინეთ.

სუფრას ფერდინანდ გრაუ უძღვებოდა. პატი მის გვერდით იჯდა. ღია ვარდისფერი ორქიდეა დაებნია, გრაუს მირთმეული.

— ფერდინანდმა ღვინიდან ქინქლა ამოიყვანა და მაგიდაზე ფრთხილად დასვა.

— შეხედეთ, — თქვა მან, — რა ფრთებია! ამასთან შედარებით ნებისმიერი ფარჩა ჭუჭყიანი ტილოა! და ასეთი არსება მხოლოდ ერთი დღე ცოცხლობს, მერე — მორჩა. — თვალი მოგვავლო, — იცით, ძმებო, რა არის ამქვეყნად ყველაზე დიდი საშინელება?

— ცარიელი ჭიქა, — უპასუხა ლენცმა.

ფერდინანდმა ხელი აუქნია.

— მამაკაცისთვის ამქვეყნად ყველაზე უღირსი რამ ტაკიმასხარობაა — მერე ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა, — ყველაზე საშინელი, ძმებო, დროა. დრო. წამი, რომელშიც ვცოცხლობთ და რომელსაც არასდროს ვფლობთ. ჯიბიდან საათი ამოიღო და ლენცს თვალებთან მიუტანა.

— აი, ეს, ქაღალდის რომანტიკოსო! ეშმაკის მანქანა, წიკწიკებს და წიკწიკებს, არაფრისკენ მიწიკწიკებს! ზვავს გააჩერებ, ქვათაცვენას, ამას — ვერა.

— არც მინდა, — განუმარტა ლენცმა, — მინდა, მშვიდად დავბერდე. გარდა ამისა, მრავალფეროვნება მიყვარს.

— მაგრამ ადამიანი ამას ვერ უძლებს, — გრაუმ მას ყურადღება არ მიაქცია, — ადამიანს არც შეუძლია ამის ატანა. ამიტომ ოცნება გამოიგონა. კაცობრიობის ძველი, გულის ამაჩუყებელი, უიმედო ოცნება, მარადიულობა.

გოტფრიდმა გაიცინა.

— მსოფლიოს ყველაზე ცუდი ავადმყოფობა, ფერდინანდ, ფიქრია. ეგ უკურნებელია.

— მხოლოდ ეს რომ იყოს, უკვდავი იქნებოდი, — მიუგო გრაუმ — ნახშირწყლების, კირის, ფოსფორის და ცოტა რკინის შენაერთი, რომელსაც სულ ცოტა ხნით დედამიწაზე გოტფრიდ ლენცი

ჰქვია.

გოტფრიდი კმაყოფილი ხითხითებდა. ფერდინანდმა ლომის თავი გააქნია.

— ძმებო, სიცოცხლე ავადმყოფობაა, და სიკვდილი დაბადებისთანავე იწყება. ყოველი ჩასუნთქვა და ყოველი გულისცემა კიდევ ცოტა სიკვდილია, დასასრულისკენ გადადგმული პატარა ნაბიჯი.

— ყოველი ყლუპიც. — თქვა ლენცმა, — გაუმარჯოს, ფერდინანდ! ხანდახან, დასწყევლოს ღმერთმა, სიკვდილი ძალიან ადვილია.

გრაუმ ჭიქა ასწია. დიდ სახეზე, უხმო ჭექა— ქუხილივით, ღიმილი გადაეფინა.

— გაუმარჯოს, გოტფრიდ, მედგარო რწყილო დროის ხრეშის მოჩხრიალე ფერდზე. ნეტა, რას ფიქრობდა შენი შექმნისას ჩვენი მამოძრავებელი იდუმალი ძალა?

— ეგ მისი გასარკვევია. ისე, სწორედ შენ არ გმართებს ასეთებზე აგდებით ლაპარაკი, ფერდინანდ. ადამიანი მარადიული რომ იყოს, უმუშევარი გრაუს იქნებოდი, შე ძველო, მკვდრების პარაზიტო.

მხრები აუკანკალდა. იცინოდა. მერე პატს გახედა.

— რას გვეტყვით მოლაყბეებს, მოცეკვავე წყლებზე გაშლილო პატარა ყვავილო?

მერე მე და პატი ბაღში ვსეირნობდით. მთვარე უფრო მაღლა ასულიყო და მინდვრები ნაცრისფერ ვერცხლში ლივლივებდა. ზედ ხეების გრძელი და შავი ჩრდილები გადაწოლილიყო, იდუმალი მხარის ბნელი საგზაო ნიშნებივით. ტბამდე ჩავედით და მერე დავბრუნდით. გზად გოტფრიდ ლენცს გადავეყარეთ, რომელსაც ბარის სკამი წამოეღო და იასამნების ბუჩქების სიღრმეში დაედგა. იჯდა და ბუჩქნარიდან მისი ქერა ქოჩორი და სიგარეტი ანა-

თებდა. იქვე, მიწაზე, ჭიქა და კრუშონის ნარჩენები დაედგა. — მაგარი ადგილია! — თქვა პატმა, — შუაგულ იასამანში.

— ასატანია, — გოტფრიდი წამოდგა, — აბა, ნახეთ.

პატი სკამზე დაჯდა. მისი სახე ყვავილებში ციალებდა.

— იასამანზე ვგიჟდები, — თქვა უკანასკნელმა რომანტიკოსმა, — ჩემთვის ნოსტალგია იასამანია. 1924 წლის გაზაფხულზე რიო დე ჟანეიროდან გიჟივით გამოვვარდი, მხოლოდ იმიტომ, რომ გამახსენდა, აქ იასამნების ყვავილობის დრო დადგა. როცა ჩამოვედი, ცხადია, უკვე გვიანი იყო. — გაიცინა, — სულ ასე მომდის.

— რიო დე ჟანეირო. — პატმა აყვავებული ტოტი მოიზიდა — ერთად იყავით?

გოტფრიდი გაშრა დავიზაფრე.

— მთვარეს შეხედეთ! — ვთქვი სასწრაფოდ. იმავდროულად გოტფრიდს ფეხზე დავაბიჯე.

სიგარეტით განათებულ ლენცის სახეზე მსუბუქი ღიმილი და თვალების ბრჭყვიალი შევნიშნე. გადავრჩი.

— მაშინ მარტო ვიყავი. ისე, ამ ვალდმაისტერის ბოლო ყლუპზე რას იტყვით?

— ვერა, — პატმა თავი გააქნია, — ამდენ ღვინოს ვერ ვსვამ. ფერდინანდის ძახილი გავიგონეთ და მისკენ წავედით.

კარში იყო აღმართული.

— შემოდით, ბავშვებო, — თქვა მან, — ღამით ჩვენისთანა ხალხს ბუნებაში არაფერი ესაქმება. ღამით ბუნებას მარტოობა ნებავს. გლეხი ან მებადური სხვა ამბავია, მაგრამ ჩვენ, ქალაქის მკვიდრნი, მოკვეთილი ინსტინქტებით, ჩვენ — არა. — გოტფრიდს ხელი მხარზე დაადო, — ღამე ბუნების პროტესტია ცივილიზაციის კეთრის წინააღმდეგ, გოტფრიდ! წესიერი კაცი ამას დიდხანს ვერ უძლებს. ამჩნევს, რომ განდევნილია ხეების, ცხოველების, ვარსკვლავების და არაცნობიერი სიცოცხლის წრიდან! — იმ უცნაური ღიმილით გაიღიმა, ვერასოდეს რომ ვერ მიხვდები, სევდიანი

ხომ არ იყო, — შემოდით, ბავშვებო! ხელები მოგონებების ალზე გავითბოთ. ეჰ, მშვენიერი ხანა, როცა ჯერ კიდევ გვიმრა და სალამანდრები ვიყავით, სადღაც ორმოცდაათი, სამოცი ათასი წლის წინათ! ღმერთო ჩემო, მას მერე როგორ დავეცით... პატს ხელი ჩასჭიდა.

სილამაზის ოდნავი გრძნობა რომ არ გვქონოდა, წასული იყო საქმე. — თავისი უშველებელი თათით მისი ხელი მკლავზე ნაზად დაიდო, — ვერცხლის ვარსკვლავთცვენავ ხახადაფჩენილი უფსკრულის თავზე, ბერიკაცთან ერთად ერთ ჭიქას ხომ არ დალევდით?

პატმა თავი დაუქნია.

— კი, — თქვა მან, — რასაც კი ინებებთ.

შევიდნენ. ასე, გვერდიგვერდ, მამა-შვილი გეგონებოდათ. ტანკენარი, გულადი და ნორჩი ასული დაღლილი გოლიათისა რომელიც გარდასულ დროთაგან შემორჩენილიყო.

თერთმეტ საათზე წამოვედით. ვალენტინი და ფერდინანდი ტაქსით გაემგზავრნენ, საჭესთან ვალენტინი დაჯდა. ჩვენ კარლში ჩავსხედით. თბილი ღამე იყო და კიოსტერმა გზისპირას მიძინებულ სოფლებში გადაუხვია, სადაც სულ რამდენიმე შუქი ენთო და ალაგ-ალაგ ძაღლები ყეფდნენ. ლენცი წინ იჯდა, ოტოს გვერდით, და მღეროდა, მე და პატი კი მანქანის უკანა სკამებზე ვისხედით.

კიოსტერი მანქანას დიდებულად მართავდა. მოსახვევში ჩიტივით შედიოდა, თამაშ-თამაშით — ისეთი თავდაჯერებული იყო. მრბოლელთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ის რბილად ატარებდა სერპანტინებზე მისი მანქანა ისე მშვიდად მიდიოდა, დაძინებას შეძლებდი. სიჩქარე არასოდეს იგრძნობოდა.

გზის საფართან ერთად საბურავების ხმაც იცვლებოდა. გუდრონიან გზაზე სტვენდნენ, ქვაფენილზე ყრუდ გუგუნებდნენ. ჩვენ

წინ ფარები უფერული მწევრებივით გაწოლილიყვნენ და სიბნელეს სტაცებდნენ მოცახცახე არყის ხეების ხეივანს, ალვების მწკრივს, გადმომხობილ ტელეგრაფის ბოძებს, მოკუნტულ სახლებს და ტყეების მდუმარე აღლუმს.

ჩვენ თავზე, ათასი ვარსკვლავის თანხლებით, ირმის ნახტომის ნათელი ბოლი გადაწოლილიყო.

სიჩქარე ავკრიფეთ. პალტოები პატის გადავაფარე. გამიღიმა. — გიყვარვარ? — ვკითხე.

თავი გააქნია.

— შენ?

— არა. ბედნიერებაა, არა?

— დიდი ბედნიერებაა.

— და არაფერიც არ მოგვივა, არა?

— არაფერი... — მომიგო მან და პალტოების ქვეშ ხელი ხელზე მომიჭირა.

გზა რკინიგზის ნაყართან უხვევდა. რელსები პრიალებდა. შორს წითელი შუქი პარპალებდა. კარლმა დაიღმუვლა და გაქროლდა. სწრაფი მატარებელი იყო, საძილე ვაგონებით და გაბრდღვიალებული რესტორნით. სიმაღლე ავიღეთ და მალე გავუსწორდით. ფანჯრებიდან ხალხი ხელს გვიქნევდა. ჩვენ არ ვუპასუხეთ. ჩავუარეთ. მოვიხედე. ლოკომოტივი ბოლავდა და ნაპერწკლებს აფრქვევდა. მძიმედ და შავად მიგრუხუნებდა ლურჯ ღამეში. გავასწარით, მაგრამ ჩვენ ქალაქში ვბრუნდებოდით, ტაქსებთან, სახელოსნოებთან და ნაქირავებ ოთახებთან, ის კი ტყეების და ველების და მდინარეების მხარეებში, შორეთში და შორეული თავგადასავლებისკენ მიჩუქჩუქებდა.

ქუჩები და სახლები მოგვიახლოვდა. კარლი უფრო ჩუმად, მაგრამ კვლავ ნადირივით ღმუოდა.

კიოსტერი სასაფლაოსთან გაჩერდა. არც პატი მიაცილა, არც

ჩემს სახლამდე მისულა, უბრალოდ, ახლომახლო გააჩერა, ალბათ იფიქრა, რომ მარტო ყოფნა გვინდოდა. გადმოვედით. ის ორი უმალვე გაქროლდა, არც მოუხედავთ. თვალი გავაყოლე. წამით გამიკვირდა. წავიდნენ, ჩემი მეგობრები წავიდნენ, მე კი დავრჩი. დავრჩი.

ფიქრს თავი დავანებე.

— წამოდი, — ვუთხარი პატს, რომელიც ისე მიყურებდა, თითქოს რაღაც იგრძნო.

— წაჰყევი, — მითხრა მან.

— არა, — მივუგე მე.

— ხომ გინდოდა...

— კარგი, რა... — ვუთხარი და მივხვდი, რომ ასეც იყო, — წამოდი... სასაფლაოს გასწვრივ წავედით, ქარისა და მგზავრობისგან ჯერაც ოდნავ გაბრუებულები.

— რობი, — მითხრა პატმა, — მირჩევნია, სახლში წავიდე — რატომ?

— არ მინდა, ჩემ გამო რამე დათმო.

— რა გამოიგონე, — ვუთხარი მე, — რას ვთმობ?

— მეგობრებს...

— სულაც არა ვთმობ... ხვალ დილით ხომ ისევ შევხვდები.

— ხომ იცი, რასაც გეუბნები, — თქვა მან, — ადრე მათთან ერთად ბევრად მეტ დროს ატარებდი.

— იმიტომ რომ შენ არ მყავდი, — მივუგე და კარი გავაღე თავი გააქნია, — ეგ სულ სხვა ამბავია.

— რა თქმა უნდა, სხვა ამბავია. დიდება ღმერთს.

ხელში ავიყვანე და ჩემი ოთახისკენ დერეფანს გავუყევი, — მეგობრები გჭირდება, — მიჩურჩულა ზედ სახესთან.

— შენც მჭირდები, — მივუგე მე.

— ისეც არა...

— მაგასაც ვნახავთ...

კარი შევაღე და იატაკზე დავუშვი. მომეჭიდა.

— ოღონდ ძალიან ცუდი მეგობარი ვარ, რობი.

— იმედი მაქვს, — ვუთხარი მე, მეგობარი ქალი სულ არ მინდა მე შეყვარებული მჭირდება.

— ეგეც არ ვარ, — ჩაილუღლუღა მან.

— აბა, ვინ ხარ?

— არც მთელი ვარ და არც ნახევარი. ფრაგმენტი...

— ეგ ყველაზე კარგია, — ვუთხარი მე, — ფანტაზიას აღაგზნებს ასეთი ქალები მარადიულად უყვართ ხოლმე. დამთავრებული ქალები ადვილად ბეზრდებათ. ძვირფასებიც. ფრაგმენტები — არასდროს.

ღამის ოთხი საათი იყო. პატი შინ მივაცილე და უკან წამოვედი ცა ოდნავ განათდა. ალიონის სუნი იდგა.

შინისკენ მივდიოდი. სასაფლაოს გავუყევი, კაფე „ინტერნაციონალს“ ჩავუარე. პროფკავშირების სახლის გვერდით მძღოლების დუქნის კარი გაიღო და გოგო გამოვიდა. პატარა ქუდი, გაქუცული წითელი პალტო, მაღალი, ლაკის ჩექმები... თითქმის ჩავუარე, და უცებ ვიცანი — ლიზა...

— ნუთუ შენ გხედავ? —თქვა მან.

— საიდან? — ვკითხე მე.

შეირხა.

— აქ ვიცდიდი. ვიფიქრე, ჩაივლის-მეთქი. ამ დროს ხომ შინ ბრუნდები ხოლმე.

— ჰო, სწორია...

— წამოხვალ? — მკითხა მან.

ვორჭოფობდი.

— არ გამოვა...

— ფული არ გინდა, — მითხრა სწრაფად.

— ამიტომ არა, — ვუთხარი დაუფიქრებლად, — ფული კი მაქვს. — გასაგებია, — თქვა მწარედ და ერთი ნაბიჯი უკან გადადგა. ხელი

წავავლე.

— არა, ლიზა...

გამხდარი, ფერმკრთალი იდგა ცარიელ, ნაცრისფერ ქუჩაზე. ასეთი იყო მაშინაც, როცა პირველად შევხვდი, წლების წინ, დაჩლუნგებული და მარტოსული როცა ვიყავი, არც ვფიქრობდი და არც იმედი მქონდა. ჯერ არ მენდობოდა, ყველა ეს გოგო ასეა ხოლმე, მერე კი, ერთი-ორჯერ რომ ვისაუბრეთ, გამეხსნა და მომეწება. უცნაური ურთიერთობა გვქონდა: ხანდახან რამდენიმე კვირა ვერ ვნახულობდი, და მერე სადღაც ჩამოდგებოდა ხოლმე და მიცდიდა. იმხანად ორთავეს არაფერი და არავინ გაგვაჩნდა, და ის მცირედი სითბო და ერთად ყოფნის სიხარული, რის გაცემის უნარიც გვქონდა, მაშინ ორივესთვის უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე სხვა დროს იქნებოდა. დიდი ხანია, აღარ მენახა — რაც პატი გავიცანი.

— ამდენ ხანს სად იყავი, ლიზა?

მხრები აიჩეჩა.

— სულერთია. უბრალოდ, შენი ნახვა მინდოდა. კაი, აბა, წავედი. — მისმინე, და როგორა ხარ?

— კაი რა... — მითხრა მან, — ნუ იძაბები.

ტუჩები უკანკალებდა. მშიერს ჰგავდა.

— ცოტაზე გამოგყვები, — ვუთხარი მე.

საბრალო, გულგრილი, ბოზური სახე გამოუცოცხლდა და ბავშვური გაუხდა. გზად ერთ მძღოლების დუქანში, რომელიც მთელი ღამე ღიაა ხოლმე, რაღაც წვრილმანები ვიყიდე, რამე რომ ეჭამა. თავიდან უარობდა. მერე, როცა ვუთხარი, მეც მშია-მეთქი, დამნებდა. გაფაციცებული იყო, რომ არავის მოვეტყუებინე და ცუდი ნაჭრები არ მოეცათ. არც ნახევარი გირვანქა ლორი ისურვა, თუ ფრანკფურტულ ძეხვსაც ავიღებთ, მეოთხედიც გვეყოფაო. მაგრამ ჩემი გავიტანე — ნახევარი გირვანქა, და ორი ძეხვი.

სხვენში ცხოვრობდა, თავისებრად ჰქონდა მოწყობილი. მაგიდაზე ნავთის ლამპა იდგა, ლოგინის გვერდით, ბოთლში — სანთელი. კედლებზე გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები ჭიკარტებით იყო მიმაგრებული. კომოდზე ერთი-ორი დეტექტივი იდო და იქვე — ყოვლად ღორული ფოტოსურათების დასტა. ზოგ კლიენტს, განსაკუთრებით, დაქორწინებულს, ასეთი რამის თვალიერება უნდოდა ხოლმე. ლიზამ ფოტოები უჯრაში ჩაყარა და გაცვეთილი, მაგრამ სუფთა სუფრა ამოიღო.

სანოვაგე ამოვალაგე. ამასობაში ლიზამ გამოიცვალა ჯერ კაბა გაიხადა, თუმცა ვიცოდი, რომ ყველაზე მეტად ფეხები სტკიოდა — იმდენი სიარული უწევდა. ასე იდგა, მაღალ, ლაკის ჩექმებში და შავ თეთრეულში — ჩემ ფეხებზე რას იტყვი? — მკითხა მან.

— შესანიშნავია, როგორც ყოველთვის.

კმაყოფილი დამირჩა, გულზე მოეშვა, და ლოგინზე ჩამოჯდა რომ — ფეხსაცმელი გაეხსნა.

— ას ოცი მარკა ღირს, — მითხრა და დამანახვა, — სანამ ამდენ ფულს გავაკეთებ, დამეხევა კიდეც.

კარადიდან კიმონო გამოიღო და ძველი დიდების ნაშთი — გახუნებული ფარჩის ფეხსაცმელი. თან ლამის დამნაშავის ღიმილი დასთამაშებდა. თავს მაწონებდა. უცებ რაღაც შემომაწვა, აქ, ზემოთ, ამ პატარა ოთახში, გული ისე შემეკუმშა, თითქოს ვინმე გარდამცვლოდეს. ვისხედით და ვსაუბრობდით. ვუფრთხილდებოდი. მაგრამ ის მაინც მიხვდა, რომ რაღაც შეიცვალა. თვალებში შიში ჩაუდგა. ჩვენ შორის არასოდეს არაფერი ყოფილა, შემთხვევითი ამბავი იყო. მაგრამ ვინ იცის, ეგებ ეს მეტს გვავალებდა და მეტად გვაახლოებდა.

— მიდიხარ? — მკითხა, როცა წამოვდექი. თითქოს დიდხანს ეშინოდა ამისა.

— შეხვედრა მაქვს...

შემომხედა.

— ასე გვიან?

— საქმეა. ჩემთვის მნიშვნელოვანი, ლიზა. ვიღაც მყავს სანახავი. ამ დროს, როგორც წესი, „ასტორიაში“ ზის.

არც ერთი ქალი არაა ისეთი გამჭრიახი, როგორიც ლიზასთანა გოგოები არიან. მაგრამ მათთვის ყველაზე ნაკლები ტყუილის თქმა შეიძლება. ლიზას ცარიელი სახე გაუხდა.

— სხვა ქალი გყავს...

— კი მაგრამ, ლიზა, ჩვენ ხომ ისე იშვიათად ვხვდებოდით ახლა ლამის ერთი წელია გასული... შენ ხომ არ გეგონა, რომ...

— არა, არა, მაგას არ ვამბობ. ქალი გყავს, რომელიც გიყვარს შეცვლილი ხარ. ვგრძნობ.

— ეჰ, ლიზა...

— კი, კი. მითხარი!

— მეც არ ვიცი. შეიძლება...

ერთხანს იდგა. მერე თავი დამიქნია.

— ო, ჰო... აბა, რა... მეც შტერი ვარ... ჩვენ ხომ არაფერი... — შუბლზე ხელი გადაისვა, — არ ვიცი, რამ მაფიქრებინა...

— ასე იდგა — გამხდარი, საბრალო, ძალიან იოლი გასატეხი. ფარჩის ფეხსაცმელი კიმონო... გრძელი, ცარიელი საღამოები, მოგონება — ნახვამდის, ლიზა...

— მიდიხარ... ცოტა ხანს არ დარჩები? უკვე მიდიხარ?

ვიცოდი, რასაც გულისხმობდა. მაგრამ არ შემეძლო. უცნაური იყო: არ შემეძლო, ამას ძალიან მკაფიოდ ვგრძნობდი. ადრე ასეთი რამ არასოდეს მომსვლია. ერთგულების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენები არ მქონია. უბრალოდ, აღარ გამომდიოდა. უცებ ვიგრძენი, რამდენად შორს ვიყავი ყველაფერ ამისგან წასული.

კარში იდგა.

— მიდიხარ... — უკან მიირბინა, — აი, ვიცი, ფული დამიტოვე... გაზეთქვეშ... არ მინდა... აი... აი... ჰო, წადი ახლა...

— უნდა წავიდე, ლიზა.

— აღარ მოხვალ...

— როგორ არა, ლიზა...

— არა, არა, აღარ მოხვალ, მე ხომ ვიცი! არც უნდა მოხვიდე! წადი, წადი ახლა...

ტიროდა. კიბეზე დავეშვი და უკან არ მომიხედავს.

ქუჩებში კიდევ კარგა ხანს ვიარე. საოცარი ღამე იყო. ძალიან ფხიზელი ვიყავი და არ მეძინებოდა. „ინტერნაციონალთან“ ჩავიარე, ვფიქრობდი ლიზაზე და ძველ დროზე, ბევრ რამეზე, რაც დიდი ხნის დავიწყებული მქონდა, მაგრამ ეს ყველაფერი შორეულად მოჩანდა, თითქოს ჩემი აღარ იყო. მერე იმ ქუჩაზე გავიარე, სადაც პატი ცხოვრობდა. ქარი ამოვარდა. მისი სახლის ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო, დილა ნაცრისფერი ფეხებით კარებთან იპარებოდა, და როგორც იქნა, სახლში წავედი. „ღმერთო ჩემო“, ვფიქრობდი, „მგონი, ბედნიერი ვარ“.

13

— იმ ქალბატონს, სულ რომ მალავთ, — თქვა ქალბატონმა ცალევსკიმ, — ნუღარ დამალავთ. შეუძლია, თამამად მოვიდეს. მომწონს... — თქვენ ხომ არც გინახავთ, — ვუპასუხე.

— დაწყნარდით, მინახავს, — მომახსენა ხაზგასმით ქალბატონმა ცალევსკიმ, — ვნახე და მომწონს... თან ძალიან... მაგრამ სათქვენო ქალი არაა!

— მართლა?

— ჰო. გამიკვირდა კიდეც, იმ თქვენს დუქნებში სად ამოქექეთ მაგრამ, რასაკვირველია, წყალწაღებული...

— თემას გადავუხვიეთ, — შევაწყვეტინე.

— ეს ქალი, — თქვა მან და დოინჯი შემოირტყა, — კარგი, მტკიცე მდგომარეობის მქონე კაცის ქალია. მოკლედ, მდიდარი კაცისთვისაა, რა!

აი, ესღა მაკლდა.

— ეგ ყველა ქალზე ითქმის, — ვუთხარი გაცხარებულმა რუხი კულულები გააქნია.

— ჯერ დაიცადეთ! მომავალი გაჩვენებთ, რომ მართალი ვარ —

ო, მომავალი! — მანჟეტების შესაკრავები მაგიდაზე გაბრაზებულმა დავახეთქე, — დღეს მომავალზე ვინღა ფიქრობს? ამაზე ფიქრს რა აზრი აქვს?

ქალბატონი ცალევსკი მეფურ თავს დარდიანად აქნევდა.

— დიდი უცნაური ხალხი ხართ ეს ახალგაზრდები. წარსული გძულთ, აწმყოს არად აგდებთ, მომავალი არ გაინტერესებთ აბა, ამ ამბავს კარგი ბოლო როგორ ექნება!

— ერთი ისიც მითხარით, კარგში რას გულისხმობთ? — ვკითხე მე, — ბოლო კარგი მაშინაა, თუ მანამდე ყველაფერი ცუდი იყო. ასე, ცუდი ბოლო ბევრად აჯობებდა.

— ეგ ებრაული მამაძაღლობაა, — მომიგო ღირსებით აღსავსე ქალბატონმა ცალევსკიმ და კარისკენ მტკიცედ გატრიალდა მაგრამ სახელურს რომ დასწვდა, მილურსმულივით შედგა, — სმოკინგი? — აღმოხდა — გაოცებულს, — თქვენ და სმოკინგი?

ის თვალებგაფართოებული შესცქეროდა კარადის კარზე ჩამოკიდებულ ოტო კიოსტერის სმოკინგს. მათხოვა, რადგან საღამოს პატთან ერთად თეატრში ვაპირებდი წასვლას.

— დიახ, სწორედ მე! — ვუთხარი შხამიანად, — საოცარი დასკვნების გამოტანა შეგძლებიათ, მოწყალე ქალბატონო...

შემომხედა. მსუქან სახეზე ფიქრების ავდარმა გადაურბინა. ეს ყველაფერი ფართო, გამგებიანი ღიმილით დასრულდა:

— გასაგებია თქვა მან. და კვლავ: — გასაგებია.

მერე, უკვე გასულმა, ერთიც მომიგდო, თან დაკვირვებით, თან ეშმაკურად, სრულიად სახეცვლილმა იმ სიხარულის გამო, რომელსაც ქალი მსგავსი აღმოჩენისას განიცდის ხოლმე:

— აი, თურმე რა ხდება!

— აი, რა ხდება, სულწამწყდარო ბებიაქალო, — დავუღრინე უკვე გასულს, როცა დავრწმუნდი, რომ ვეღარ გამიგონებდა. მერე, გაცეცხლებულმა, ბულმა, ჩემი ახალი ლაკის ფეხსაცმელი ყუთიანად მოვიქნიე და იატაკზე დავყარე. მდიდარი კაცი — ვითომ,

მე არ ვიცი!

პატს მივაკითხე. თავისი ოთახის წინ იდგა, გამოწყობილი, და მიცდიდა. მის დანახვაზე კინაღამ სუნთქვა შემეკრა. რაც ვიცნობდი, საღამოს კაბა პირველად ეცვა.

ვერცხლისფერი ფარჩისა იყო, და სწორი მხრებიდან გრძლად და რბილად ეშვებოდა. თითქოს ვიწრო კაბა პატის მოხდენილ, გრძელ ნაბიჯებს არ ბოჭავდა. წინ დახურული იყო, მაგრამ ზურგზე — წელამდე ამოჭრილი. მკრთალ ლურჯ ბინდში პატი ვერცხლისფერ ჩირაღდანს ჰგავდა, უცებ და მოულოდნელად სახეცვლილი, მოზეიმე და ძალიან შორეული. მის უკან ქალბატონი ცალევსკის აჩრდილმა ამოყვინთა და თითი ამიწია. — კიდევ კარგი, ამ კაბაში არ გაგიცანი, — ვუთხარი მე, — შენთან ვერასოდეს გავბედავდი მოსვლას.

— არ მჯერა, რობი, — გაიღიმა, — მოგწონს?

— საშინელებაა სულ სხვა ქალი ხარ.

— მერე, ეგ რატომაა საშინელება. კაბებიც ამისთვის არსებობს — შეიძლება. მე კი ცოტა წავხდი, ასეთი კაბისთვის სხვა კაცი უნდა გყავდეს. ფულიანი.

გაიცინა.

— ფულიანი კაცები, როგორც წესი, საზიზღრები არიან, რობი, — ფული ხომ არაა საზიზღარი?

— არა, — მითხრა მან, — ფული არა.

— ასეც ვიფიქრე, — რა, არა?

— კი, — ვუთხარი მე, — ფულს ბედნიერება არ მოაქვს... მაგრამ მაგრად ამშვიდებს.

— დამოუკიდებლობა მოაქვს. საყვარელო, ეს მეტს ნიშნავს მაგრამ, თუ გინდა, სხვა კაბას ჩავიცვამ.

— გამორიცხულია. დიდებული კაბაა. დღეიდან მკერავებს ფილოსოფოსებზე მაღლა ვაყენებ! ისინი ცხოვრებას მშვენიერებას

სძენენ. ეს ღრმააზროვან ფიქრებზე ასჯერ მეტს ნიშნავს! ფრთხილად იყავი, არ შემიყვარდე.

სიცილი დაიწყო. ფრთხილად დავიხედე. კიოსტერი ჩემზე ოდნავ მაღალი იყო, ამიტომ შარვალი ზემოთ ქინძისთავებით დავიმაგრე, რამენაირად რომ მომრგებოდა დიდება ღმერთს არ ჩამძრომია.

თეატრში ტაქსით წავედით. გზად ვდუმდი რატომ — არ ვიცი. როცა გადავდიოდით და ფული გადავიხადე, თითქოს ძალდატანებით, მძღოლს შევხედე. უძინარი თვალები ჰქონდა, ჩაწითლებული უპეები, გაუპარსავი იყო და დიდი დაღლა ეტყობოდა. ფული გულგრილად გამომართვა. — დღეს ბევრი შემოგივიდათ? — ვკითხე ჩუმად.

ამომხედა.

— არა უშავს, — ანგარიშმიუცემლად მიპასუხა. ვიღაც ცნობისმოყვარე ვეგონე.

წამით ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მანქანაში უნდა ჩავმჯდარიყავი და გზა გამეგრძელებინა. მერე გავტრიალდი. პატი იდგა, თხელი და სიფრიფანა, ვერცხლის კაბაზე მოცმული ფართომკლავიანი ვერცხლისფერი ჟაკეტით, ლამაზი და მოლოდინით აღსავსე.

— ჩქარა, რობი, მალე დაიწყება!

შესასვლელთან ხალხი ირეოდა. დიდი პრემიერა იყო, თეატრი პროჟექტორებით გაენათებინათ, ყოველ წამს ახალი მანქანა ჩერდებოდა, საღამოს კაბებში გამოწყობილი ქალები გადმოდიოდნენ, სამკაულებს აბრჭყვიალებდნენ; ფრაკიანი მამაკაცები, გაპრიალებული, შეფაკლული სახეებით, მოცინარები, მხიარულები, ქედმაღლები, უდარდელები... მანქანა კი ჭრიალით და ოხვრით გაეცალა იქაურობას და თან დაღლილი მძღოლი წაიყვანა, — წამო, წამო, რობი! — დამიძახა პატმა და გაბრწყინებულმა და

აღგზნებულმა გამომხედა, — რამე დაგრჩა?

— არა... — ვუთხარი მე, — არაფერი დამრჩენია.

მერე სალაროსთან მივედი და ბილეთები გადავცვალე. ორი ადგილი ავიღე ლოჟაში, მიუხედავად იმისა, რომ მამასისხლი ღირდა. არ მინდოდა, პატი ამ თავდაჯერებულ ხალხში მჯდარიყო, რომლისთვისაც ყველაფერი თავისთავად ცხადია. არ მსურდა, იმათგანი ყოფილიყო. მხოლოდ ჩემთვის მინდოდა.

ძალიან დიდი ხანია, თეატრში არ ვყოფილვარ. არც წავიდოდი, პატს რომ არ ნდომებოდა. თეატრი, კონცერტები, წიგნები — ყველა ეს ბურჟუაზიული ჩვევა თითქმის სრულად მქონდა დაკარგული. ამისთვის არ მეცალა. პოლიტიკა ისედაც ბევრ წარმოდგენას მართავდა, ყოველ საღამოს ატეხილი სროლა სულ სხვა კონცერტს ასრულებდა, და სიღარიბის უზარმაზარი წიგნი ბევრად უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე სამყაროს ყველა ბიბლიოთეკა.

იარუსები და პარტერი სავსე იყო. როგორც კი ჩვენი ადგილები მოვნახეთ, სინათლეც ჩაქრა. დარბაზში რამპის ათინათიღა კრთოდა. მუსიკა შემოიჭრა და ყველაფერი აიტაცა.

ჩემი სკამი ლოჟის კუთხისკენ გავაჩოჩე. ასე არც სცენის ყურება მომიწევდა და არც მაყურებლების ფერმკრთალი თავებისა. მხოლოდ მუსიკა მესმოდა და პატის სახეს ვხედავდი.

მუსიკამ დარბაზი მოაჯადოვა. სამხრეთის ქარივით იყო, თბილი ღამესავით, ვარსკვლავების ქვეშ დაბერილი იალქანივით. დაუჯერებელი რამაა „ჰოფმანის ზღაპრები“. მუსიკამ ყველაფერი თვალუწვდენელი და ფერადი გახადა, ცხოვრების ბნელი ქარიშხალი მას არ ეხებოდა, აღარც სიმძიმე არსებობდა, აღარც საზღვრები, მხოლოდ ციალი იყო და მელოდია და სიყვარული, და ვერც წარმოიდგენდი, რომ იმავე დროს, როცა ეს მუსიკა ჟღერდა, გარეთ გაჭირვება და ტანჯვა და იმედგაცრუება მეფობდა.

პატის სახეს სცენის შუქი იდუმალად ანათებდა, მთლიანად

ჩართული იყო და მე ის მიყვარდა, იმიტომ, რომ არ მეყრდნობოდა და ჩემს ხელს არ ეჭიდებოდა, ჰო, ზედაც არ მიყურებდა, მგონი, ჩემზე საერთოდ არ ფიქრობდა და დავავიწყდი კიდეც. მეჯავრებოდა, როცა სხვადასხვა რამეს ერთმანეთში ურევდნენ ხოლმე. ვერ ვიტანდი, ძროხებივით ერთმანეთს რომ ეტმასნებოდნენ, როცა დიდი ქმნილების სილამაზე და ძალა თავს ატყდებოდათ. მე ვერ ვიტანდი შეყვარებული წყვილების მიბნედილ მზერებს, ჩლუნგ ლაქუცს, სამარცხვინო და სრულიად გაუგებარ, ცხვრის ბედნიერებას, მე ვერ ვიტანდი მთელ ამ საუბრებს განუყრელობისა და სიყვარულის შესახებ, რადგან ვთვლიდი, რომ სიყვარული შერწყმა არაა, რომ ერთად ყოფნის ბედნიერება მხოლოდ მან იცის, ვინც მარტოა. ყველაფერი სხვა საიდუმლოს აქარწყლებს, და მარტოობის მისნურ მხარეს ვერაფერი ააფორიაქებს, თუ არა ქარიშხალი, ღამე, მუსიკა. და სიყვარული...

დარბაზი გაჩახჩახდა. წამით თვალები დავხუჭე. რაზე ვფიქრობდი? პატი მომიტრიალდა. დავინახე, რომ ხალხი კარს მიაწყდა. დიდი შესვენება დაიწყო.

— გასვლა არ გინდა? — ვკითხე მე.

პატმა თავი გააქნია.

— დიდება ღმერთს! ვერ ვიტან, გარეთ რომ გადიან და ერთმანეთს ათვალიერებენ.

წამოვდექი, რომ ერთი ჭიქა ფორთოხლის წვენი მომეტანა. ბუფეტი დაპყრობილი დამხვდა. მუსიკა მრავალ ადამიანს უცნაურ მადას აღუძრავს. ცხელი ძეხვი ისე ქრებოდა, თითქოს შიმშილის ეპიდემია დაწყებულიყო.

როცა ჭიქით ხელში ლოჟას დავუბრუნდი, პატის სკამსუკან ვიღაც დამხვდა. პატს თავი მიეტრიალებინა და ხალისიანად ელაპარაკებოდა. — ეს ბატონი ბროიერია, რობერტ, — მითხრა მან.

„ბატონი ბუღა“, ვიფიქრე და უკმაყოფილომ შევხედე. პატიმ რობერტი თქვა, და არა რობი. ჭიქა ბორდიურზე დავდგი და კაცის წასვლას დაველოდე. ზღაპრული სმოკინგი ეცვა. მაგრამ ის რეჟისურასა და დასზე ლაყბობდა და არ მიდიოდა. პატი მომიბრუნდა.

— ბატონმა ბროიერმა გვკითხა, მერე „კასკადეში“ ხომ არ წამოხვალთო — როგორც გინდა, — ვუპასუხე მე.

ბატონმა ბროიერმა თქვა, ეგებ ვიცეკვოთო. ძალიან ზრდილობიანი იყო და სინამდვილეში ძალიან მომეწონა. უბრალოდ, ის უსიამოვნო ელეგანტურობა და სიმსუბუქე დაჰკრავდა, რომელიც, როგორც მე მეგონა, პატზე შთაბეჭდილებას ახდენდა, მე კი არ გამაჩნდა. უცებ — ყურებს არ დავუჯერე! — გავიგონე, რომ პატს შენობით მიმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ ასობით უმნიშვნელო მიზეზი იარსებებდა, კაცს საორკესტრო ორმოში უდიდესი სიამოვნებით მოვისვრიდი. ზარი დაირეკა.

— ესე იგი, შევთანხმდით, გასასვლელში შევხვდებით, — თქვა ბროიერმა და, როგორც იქნა, წავიდა.

— ეს მაწანწალა ვინაა? — ვიკითხე.

— მაწანწალა არაა, კარგი კაცია. ძველი ნაცნობია.

— მე ძველ ნაცნობებს ვერჩი, — ვთქვი მე.

— საყვარელო, — მომიგო პატმა, — მოდი, მოვუსმინოთ. „კასკადე“, ვიფიქრე და გულში ჩემი ფული გადავთვალე, „ფულის წყეული მახე!“

ბნელი ცნობისწადილით შეპყრობილი წავედი. ქალბატონ ცალევსკის გათვალულს ეს ბროიერიღა მაკლდა. შესასვლელთან უკვე გველოდა.

ტაქსის დავუძახე.

— დაანებეთ, — მითხრა ბროიერმა, — ჩემს მანქანაში ყველანი ჩავეტევით.

— კარგი, — ვთქვი მე. სხვაგვარად მოქცევა სასაცილო იქნებოდა მაგრამ მაინც ვბრაზობდი.

პატმა ბროიერის მანქანა იცოდა. დიდი პაკარდი იყო. ზუსტად წინ იდგა, სადგომზე. პატი პირდაპირ მანქანისკენ გაეშურა.

— გადაღებილია, — თქვა მან და მანქანასთან გაჩერდა.

— ჰო, რუხად, — უპასუხა ბროიერმა. — ხომ უფრო მოგწონს?

— ბევრად უკეთესია.

ბროიერი მე მომიტრიალდა.

— თქვენ რას იტყვით? ეს ფერი მოგწონთ?

— მე ხომ არ ვიცი, ადრე რა ფერი იყო, — ვუპასუხე.

— შავი.

— შავი ძალიან ლამაზია — რა თქმა უნდა. მაგრამ ცვლილებაც ხომ საჭიროა! აი, შემოდგომისთვის კი ახალი გვექნება.

„კასკადესკენ“ გავეშურეთ. ძალიან ელეგანტური საცეკვაო ადგილი იყო, შესანიშნავი კაპელა ჰყავდათ.

— მგონი, ადგილი აღარაა, — ვთქვი გახარებულმა როცა შესასვლელთან მივედით.

— აფსუს, — თქვა პატმა.

— რამეს მოვახერხებთ, — განაცხადა ბროიერმა და საქმეთა მმართველს მიადგა. როგორც ჩანს, აქ კარგად იცნობდნენ, რადგან მართლაც, მაგიდა მოგვიტანეს, რამდენიმე სკამიც მოაყოლეს და ორიოდე წუთში დარბაზის საუკეთესო ადგილას ვისხედით, საიდანაც მთელი საცეკვაო მოედანი მოჩანდა.

— რა ხანია, არ მიცეკვია.

ბროიერი ადგა.

— ვიცეკვოთ?

პატმა გაბრწყინებული თვალები მომანათა.

— მე მანამდე რამეს შევუკვეთავ, — ვთქვი მე.

— კარგი.

ტანგო დიდხანს გაგრძელდა. ცეკვის დროს პატი გამომხედავდა ხოლმე და მიღიმოდა. მეც თავს ვუქნევდი, მაგრამ მაინცდამაინც კარგად არ ვიყავი. ის შესანიშნავად გამოიყურებოდა და საუკეთესოდ ცეკვავდა. სამწუხაროდ, ბროიერიც კარგად ცეკვავდა, და ჩინებული სანახავები იყვნენ. ისე ცეკვავდნენ, თითქოს ერთად ხშირად ეცეკვოთ. დიდი ჭიქა რომი შევუკვეთე. დაბრუნდნენ. ბროიერი რამდენიმე ადამიანს მიესალმა და წამით პატთან მარტო დავრჩი.

— დიდი ხანია, ამ ბიჭს იცნობ? — ვკითხე მე.

— კი. რა იყო? ააა — არა, არაფერი. მასთან ერთად აქ ხშირად ყოფილხარ?

— შემომხედა.

— აღარ ვიცი, რობი.

— ეგ როგორ არ იცი, — ვუთხარი ჯიუტად, თუმც ვიცოდი რასაც გულისხმობდა თავი.

გააქნია და გამიღიმა იმწამს ძალიან მიყვარდა. მას იმის ჩვენება უნდოდა, რომ რაც იყო, ყველაფერი დაავიწყდა. მაგრამ მე რაღაც გვღრღნიდა რაც თვითონაც სასაცილოდ მიმაჩნდა, თუმცა თავიდან მაინც ვერ ვიშორებდი, ჭიქა მაგიდაზე დავდგი.

— შეგიძლია, მითხრა. რა მოხდა.

ისევ შემომხედა.

— შენ ფიქრობ, ვიქნებოდით? — მკითხა მან — არა, — შემრცხვა.

კაპელამ კვლავ დაკვრა დაიწყო. ბროიერი მოგვიახლოვდა.

— ბლუზი, — მითხრა მან, — შესანიშნავია. არ იცეკვებთ?

— არა! — მივუგე მე.

— სამწუხაროა.

— უნდა სცადო, რობი, — თქვა პატმა.

— არ მინდა.

— რატომაც არა? — მკითხა ბროიერმა.

— არ მსიამოვნებს, — მივუგე არცთუ მეგობრულად, — არც არასოდეს მისწავლია. საამისოდ დრო არ მქონდა მაგრამ თქვენ მშვიდად იცეკვეთ. მე არ მოვიწყენ.

პატი ორჭოფობდა.

— კი მაგრამ, პატ... — ვთქვი მე, — შენ ხომ ძალიან გსიამოვნებს. — კი... მართლა არ მოიწყენ?

— არანაირად! — და ჩემს ჭიქაზე მივუთითე, — ესეც ერთგვარი ცეკვაა. წავიდნენ. მიმტანს ვუხმე და ჭიქა დავცალე. მერე მაგიდასთან ვიჯექი და მარილიან ნუშს ვითვლიდი. ჩემ გვერდით ქალბატონ ცალევსკის აჩრდილი იჯდა.

ბროიერს სუფრასთან რამდენიმე ადამიანი მოჰყვა, ორი კოხტა ქალი და ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სრულიად მელოტი, პატარა თავი ჰქონდა. მერე მეოთხეც შეუერთდათ ყველა კორპივით მსუბუქი, ყველაფერს მორგებული და თავდაჯერებული იყო. პატი ოთხივეს იცნობდა.

თავს ჯირკივით მძიმედ ვგრძნობდი. აქამდე პატთან ერთად სულ მარტო ვიყავი ხოლმე. ახლა პირველად ვხედავდი ადამიანებს, რომლებსაც ჩემამდე იცნობდა. მათთან საერთო ვერ ვნახე. მსუბუქად, დაუძაბავად მოძრაობდნენ, ცხოვრება აწყობილი ჰქონდათ, ვერავინ ხედავდა იმას, რის დანახვაც არ უნდოდა, ისინი სხვა სამყაროდან იყვნენ. მარტი, რომ ვყოფილიყავი, ან ლენცთან ან კიოსტერთან ერთად, ამაზე სულ არ ვიდარდებდი და ჩემთვის სულერთი იქნებოდა. მაგრამ აქ პატი იყო, პატი მათ იცნობდა და ამის გამო ყველაფერი აირია, საკუთარი თავის რწმენა დავკარგე და შედარება დავიწყე.

ბროიერმა სხვაგან წასვლა შემოგვთავაზა.

— რობი, — მითხრა პატმა გასვლისას, — არ ჯობია, სახლში წავიდეთ? — არა, — ვუთხარი მე, — რატომ?

— შენ ხომ მოიწყინე.

— სულაც არა. რატომ უნდა მომეწყინა? პირიქით! და შენ ხომ გსიამოვნებს.

შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს მე სმა დავიწყე. ისე კი არა, მანამდე როგორც ვსვამდი, არამედ მართლა. მელოტი გაფაციცდა. მკითხა, რას სვამთო.

— რომს, — მივუგე მე.

— გროგს? — ჩამეკითხა.

— არა, რომს. — ვუთხარი მე.

გასინჯა და ყელზე დაადგა.

— დასწყევლოს, — მითხრა პატივისცემით, — ამას შეჩვევა უნდა. ახლა ქალებმაც ყურადღება მომაქციეს. პატი და ბროიერი ცეკვავდნენ. პატი ხშირად გამომხედავდა ხოლმე. მე იქით აღარ ვიყურებოდი, ვიცოდი, რომ უსამართლობა იყო, მაგრამ უცებ ასე მომინდა. ისიც მაბრაზებდა, რომ სხვებმა ჩემი სმა შეამჩნიეს. გიმნაზისტივით თავის მოწონებას სულ არ ვაპირებდი. ავდექი და ბართან მივედი, პატი სრულიად უცხოდ მეჩვენა. ჯანდაბისკენ გზა ჰქონია, მთელ ამ ხალხთან ერთად ისიც მათიანი იყო. არა, არ იყო, იყო!

მელოტი გამომყვა. მე და ბარმენმა არაყი დავლიეთ. ბარმენები მუდამ ნუგეში არიან. ბარმენი მთელ დედამიწაზე გაგიგებს, სიტყვის თქმაც არ — გინდა. ესეც მაგარი იყო. ოღონდ მელოტი გვყავდა სუსტი. გულის გადაშლა უნდოდა. შიგ ვიღაც ფიფი ჩავარდნოდა. მაგრამ ეს მალე გავიარეთ. მელოტმა მიამბო, ბროიერს მრავალი წელია, პატი უყვარსო.

— მართლა? — ვკითხე მე.

აქირქილდა. ერთი პრერი ოისტერით გავაჩუმე. მაგრამ მისი სიტყვები ჩამრჩა. გავბრაზდი, რომ გულზე მომხვდა. გავბრაზდი, რომ მაგიდას მუშტი არ დავარტყი. მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, ნგრევის ცივ ჟინს ვგრძნობდი, რომელიც სხვების კი არა, ჩემ წინააღმდეგ იყო მიმართული. მხოლოდ ჩემ წინააღმდეგ.

მელოტი მალე დაბლუვდა, მერე გაქრა. მე კვლავ ვიჯექი. უცებ მკლავზე მაგარი, მკვრივი მკერდის შეხება ვიგრძენი. იმ ქალთაგანი იყო, ბროიერმა რომ მოიყვანა. ჩემთან ჩამოჯდა, ძალიან ახლოს. აზიდული, მონაცრისფრო-მომწვანო თვალებით ნელა მათვალიერებდა. ისეთი მზერა იყო, სათქმელს რომ არ ტოვებს — საქმეს უნდა მიხედო.

— მაგარია, ასე სმა რომ შეგიძლიათ, — მითხრა ცოტა ხნის მერე. — ვდუმდი. ხელი ჩემი ჭიქისკენ გაიწოდა. ხვლიკივით ხელი იყო, სამკაულისგან მბრწყინავი, მშრალი და ძარღვიანი. ძალიან ნელა მოძრაობდა, თითქოს მიცოცავდა. მივხვდი, რა ხდებოდა. „შენ მალე მოგათავებ“, ვიფიქრე მე, „სათანადოდ ვერ მაფასებ, იმიტომ რომ ბრაზს მატყობ. მაგრამ ცდები. ქალებს ყოველთვის ვუმკლავდები. ეს სიყვარულია, რომ ვერ მოვერიე. მიუწვდომელი, რაც მანაღვლიანებს“.

ქალი ალაპარაკდა. გაბზარული, თითქოს შუშის ხმა ჰქონდა. შევამჩნიე, პატმა როგორ გადმოგვხედა. არ მიდარდია. მაგრამ არც ჩემ გვერდით მყოფი ქალი მადარდებდა. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სრიალა, უძირო მაღაროში მივსრიალებდი. ბროიერთან და ამ ხალხთან ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა. არც პატთან. ეს ბნელი საიდუმლოა, რომელიც სურვილებს აღძრავს, მაგრამ ვერასდროს აკმაყოფილებს. ის, რომ ადამიანში სიყვარული იწყება, მაგრამ მასში არასოდეს სრულდება. ის, რომ შეიძლება, ყველაფერი იყოს: ადამიანი, სიყვარული, ბედნიერება, სიცოცხლე — და ყოვლად საშინლად, ისე ხდება, რომ ეს არ კმარა, და რაც მეტი გგონია, სულ უფრო ნაკლებად საკმარისია ხოლმე. პატს უჩუმრად გავხედე. ვერცხლისფერ კაბაში, ნორჩი და მშვენიერი, სიცოცხლის კაშკაშა ალი, მე ის მიყვარდა და რომ მეთქვა — მოდი, მოვიდოდა, ჩვენ არაფერი გვაშორებდა, იმდენად ახლოს შეგვეძლო ვყოფილიყავით, რამდენადაც ეს ადამიანებს ძალუძთ — და მაინც, ზოგჯერ ყველაფერს სრულიად გასაკვირად,

ჩრდილი ადგებოდა, მტკივნეული ხდებოდა. მე მას საგნების წრეს ვერ გამოვტაცებდი, არსებობის წრიდან ვერ გამოვგლეჯდი — ის ჩვენზე ძლიერი იყო და თავის წესებს თავს გვახვევდა: სუნთქვას და ქმედებას, მარად არარაში გადაჩეხილი აწმყოს საეჭვო ბრწყინვალებას გრძნობის მოციალე ილუზიას, რომლის ფლობაც უკვე დანაკლისი იყო. ამას ვერასდროს, ვერასდროს შეინარჩუნებდი! ვერასდროს მოიშორებდი დროის მოჩხრიალე ჯაჭვებს, სუნთქვაშეკრული ვერ ამოისუნთქავდი, ძიება სიმშვიდედ ვერ იქცეოდა, წაქცეული ვერ გაჩერდებოდა. შემთხვევისგანაც კი ვერ დავიხსნიდი, იმისგან, რაც მანამდე იყო, სანამ გავიცნობდი, ათასი ფიქრისგან, მოგონებისგან, იმისგან, რამაც ასეთად აქცია, სანამ მე გადავეყრებოდი, აქ, ამ ხალხსაც კი ვერ გამოვტაცებდი...

ჩემ გვერდით ქალი თავისი გაბზარული ხმით ლაპარაკობდა. ერთი. ღამის თანამგზავრს ეძებდა, სხვისი ცხოვრების ნატეხს, თავი რომ გამოეცოცხლებინა, რომ დაევიწყებინა საკუთარი თავიც და მეტისმეტად მტკივნეული სიცხადე იმისა, რომ არაფერი დარჩება, არც მე და არც შენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ — ნამდვილად არა. სინამდვილეში, განა ისიც ჩემსას არ ეძებდა? თანამგზავრს, რომ სიცოცხლის სიმარტოვე დაევიწყებინა, მეგობარს, რომ ყოფიერების არარაობა მოექრთამა...

— წამოდით, — ვუთხარი, — დავბრუნდეთ. უიმედო ამბავია რაც თქვენ გინდათ, და ისიც, რაც მე მსურს.

წამით შემომხედა მერე თავი უკან გადააგდო და სიცილი დაიწყო.

კიდევ ერთი-ორგან შევიარეთ. ბროიერი გახურდა, ის მონდომებული და იმედებით აღსავსე იყო. პატი დუმდა. არაფერს მეკითხებოდა, არაფერს მსაყვედურობდა, არაფრის გარკვევას არ ცდილობდა, უბრალოდ, აქ იყო, ხანდახან ცეკვავდა, და მაშინ მეჩვენებოდა, რომ მარიონეტების და კარიკატურების ბრბოში ჩუმი,

ლამაზი, თხელი გემივით მისრიალებდა, და ხანდახან გამიღიმებდა ხოლმე.

— ღამის ბარების ბურუსი მორუხო-მოყვითალო ხელებს კედლებს და სახეებს უფათურებდა. მუსიკა თითქოს მინის კატაფალკიდან მოისმოდა. მელოტი ყავას სვამდა ხვლიკისხელება ქალს თვალი გაუშტერდა. ბროიერმა ილაჯგაწყვეტილი გოგოსგან ვარდები იყიდა და პატს და დანარჩენ ორ ქალს მიართვა. ნახევრად გაშლილ კვირტებზე პატარა, გამჭვირვალე წვეთები ესხა.

— ერთხელ ერთად ვიცეკვოთ, — მითხრა პატმა — არა, — ვუთხარი მე და იმ ხელებზე ვიფიქრე, რომლებიც დღეს ეხებოდა, — არა, — და თავი სასაცილოდ და საცოდავად ვიგრძენი.

— კი, — თქვა და თვალები ჩაუმუქდა.

— არა, — მივუგე მე, — არა, პატ.

მერე, როგორც იქნა, წავედით.

სახლში წაგიყვანთ, — მითხრა ბროიერმა.

— კარგი.

მანქანაში პლედი ჰქონდა, და პატს მუხლებზე დააფარა. ბარის ქალმა დამშვიდობებისას ხელში ბარათი ჩამიდო. არ შევიმჩნიე და მანქანაში ჩავჯექი. გზაში ფანჯრიდან ვიყურებოდი. პატი კუთხეში იჯდა და არ ინძრეოდა. მისი სუნთქვაც კი არ მესმოდა. უცებ ძალიან ფერმკრთალი და დაღლილი მეჩვენა. ბროიერმა ჯერ პატი მიიყვანა. მისი სახლი უკითხავადაც იცოდა. პატი გადავიდა. ბროიერმა ხელზე აკოცა.

— ღამე მშვიდობისა, — ვუთხარი პატს და თვალი ავარიდე.

— სად ჩამოგსვათ? — მკითხა ბროიერმა.

— შემდეგ კუთხესთან, — ვუპასუხე.

— სახლამდე სიამოვნებით მიგიყვანთ, — მითხრა ცოტა ნაჩქარევად და ზრდილობიანად.

არ უნდოდა, მივბრუნებულიყავი. ვიფიქრე, ხომ არ ვხიო-მეთქი მაგრამ საამისოდ მეტისმეტად ფეხებზე მეკიდა.

— კარგი, მაშინ ფრედისთან მიმიყვანეთ, ბართან, — ვუთხარი მე. — ამ დროს კიდევ ღიაა? — მკითხა მან.

— დიდი მადლობა, რომ ასე ზრუნავთ, — ვუთხარი მე, — მაგრამ ჩემზე არ იდარდოთ. ჩემთვის ჯერ ყველაფერი ღია იქნება.

ეს რომ ვუთხარი, შემეცოდა. ალბათ, მთელი საღამო თავს ძალიან მაგარ ბიჭად გრძნობდა. ასეთი რამის დანგრევა არ იქნებოდა.

მას უფრო თბილად დავემშვიდობე, ვიდრე პატს.

ბარში ჯერაც ბევრი ხალხი იყო. ლენცი და ფერდინანდ გრაუ ტანსაცმლით მოვაჭრე ბოლვისს და კიდევ ვიღაცებს პოკერს ეთამაშებოდნენ. — დაჯექი, — მითხრა გოტფრიდმა, დღეს პოკერის ჩემპიონატია — არ მინდა, — ვუთხარი მე.

— ამას შეხედე, — მითხრა და ფულის დასტა მაჩვენა, — არანაირი ბლეფი. თვითონ მომდის.

— მაგარია, — ვუპასუხე, მომეცი — ორი მეფით ოთხი კაცი ბოლომდე გავაცურე — აი, ასე! — ვთქვი მე, — ეტყობა, ბლეფის ამინდია.

— ეგ სულაა, — მომიგო ფერდინანდმა და სიგარეტი მომიჩოჩა. დიდხანს დარჩენა არ მინდოდა. მაგრამ ახლა თავს უფრო გამართულად ვგრძნობდი. განსაკუთრებული არაფერი მჭირდა; მაგრამ აქ ძველი ალალი სამშობლო იყო.

— ნახევარი ბოთლი რომი დამიდგი, — გავძახე ფრედს — პორტვეინი ჩაასხი, — მითხრა ლენცმა.

— არა, — მივუგე მე, — ექსპერიმენტებისთვის არ მცალია. დათრობა მინდა.

— მაშინ ტკბილი ლიქიორი აიღე. მარცხი მოგივიდა?

— რა სისულელეა.

— თქვი, ბიჭო. რად გინდა მოხუცი მამილო ლენცის მოტყუება, ის ხომ გულის ყველა კუნჭულს იცნობს. თქვი, რომ კი, და დალიე.

— ქალთან მარცხი ვერ მოგივა. დიდი-დიდი, გაბრაზდე — ღამის სამი საათისთვის მეტისმეტად ნატიფი ნიუანსებია. მე ყველა ქალთან მარცხი მომდიოდა. თუ მარცხი აღარ მოგდის, წასულია შენი საქმე — კარგი, — ვუთხარი მე, — ვინ არიგებს?

— როგორც ვხვდები, — მითხრა ფერდინანდ გრაუმ, — სამყაროს სევდა მოგეძალა, რობი. არ აჰყვე ცხოვრება ჭრელია, მაგრამ არასრულყოფილი. ისე, სამყაროს სევდის კვალობაზე ზღაპრული ბლეფი გამოგდის. ორი მეფე, ეს უკვე თავხედობაა.

— ერთი თამაში მაქვს ნანახი, ორ მეფეზე შვიდი ათასი ფრანკი მოდიოდა, — გადმოგვძახა დახლიდან ფრედმა.

— შვეიცარიული თუ ფრანგული? — ჰკითხა ლენცმა.

— შვეიცარიული.

— გაგმართლებია, — მიუგო გოტფრიდმა, ფრანგულებით თამაშის შეწყვეტა გამორიცხულია.

კიდევ ერთი საათი ვითამაშეთ. საკმაოდ ბევრი მოვიგე. ბოლვისი სულ აგებდა. ვსვამდი, მაგრამ მხოლოდ თავი ამტკივდა. ვერ დავთვერი. ყველაფერი მხოლოდ გამძაფრდა. კუჭი მეწვოდა.

— კაი, ახლა მორჩი და რამე შეჭამე, — მითხრა ლენცმა, — ფრედ, ერთი სენდვიჩი და რამდენიმე სარდინი მიეცი. ჩაიდე ფული, რობი. — ერთიც.

— კარგი. ბოლო. გავაორმაგოთ?

— გავაორმაგოთ, — თქვეს დანარჩენებმა.

საკმაოდ დაუფიქრებლად ჯვრის ათიანით და მეფით სამი კარტი ავიღე. ვალეტი, დამა და ტუზი. ბოლვისს მოვუგე, რომელსაც ოთხი რვიანი ჰყავდა და უზომოდ იყო გაღიზიანებული. უამრავი ფული სულ წყევლით ჩამითვალა.

— ხომ ხედავ, — თქვა ლენცმა, — ბანქოს ამინდია.

ბარს მივუსხედით. ბოლვისმა კარლის ამბავი იკითხა. ვერ ივიწყებდა, რომ კიოსტერმა მისი სპორტული მანქანა დაამარცხა. ჯერაც კარლის ყიდვა უნდოდა.

— ოტოს ჰკითხე, — უთხრა ლენცმა, — მაგრამ, მე მგონი, უმალ საკუთარ ხელს მოგყიდის.

— ვნახოთ, — თქვა ბოლვისმა.

— შენ ეს არ გესმის, — მიუგო ლენცმა, — მეოცე საუკუნის კომერციულო შვილო.

ფერდინანდ გრაუმ გაიცინა. ფრედმაც. ბოლოს ყველანი ვიცინოდით. მეოცე საუკუნისთვის რომ არ დაგეცინა, მაშინ, უნდა დაგეხვრიტა. მაგრამ დიდხანსაც ვერ იცინებდი. სატირალი იყო.

— ცეკვა იცი, გოტფრიდ? — ვკითხე მე.

— რასაკვირველია. ერთხელ ხომ ცეკვის მასწავლებელი ვიყავი. დაგავიწყდა?

— თუ დაავიწყდა, ნურც გაახსენებთ, — თქვა ფერდინანდ გრაუმ, — დავიწყება მარადიული სიჭაბუკის საიდუმლოა. კაცს მხოლოდ მეხსიერება აბერებს. მეტისმეტად ცოტას ვივიწყებთ.

— არა, — თქვა ლენცმა, — ყოველთვის არასწორ რამეს ვივიწყებთ — ხოლმე.

— მასწავლი? — ვკითხე მე.

— ცეკვას? ერთ საღამოში, ყმაწვილო. მთელი შენი დარდი ესაა? — დარდი არაა, — ვთქვი მე, — თავის ტკივილია.

— ეგ ჩვენი დროის სენია, რობი, — მითხრა ფერდინანდმა — ყველაფერს აჯობებდა, უთავოდ რომ დავბადებულიყავით.

კაფე „ინტერნაციონალშიც“ გავიარე. ალოიზი სწორედ დაკეტვას აპირებდა.

— არის კიდევ ვინმე? — ვკითხე მე.

— როზა.

— წამო, სამივემ თითო დავლიოთ.

— მოსულა.

როზა დახლთან იჯდა და თავისი ქალიშვილისთვის პატარა შალის წინდებს ქსოვდა. ორნამენტი მაჩვენა. ჟაკეტი უკვე მოქსოვილი ჰქონდა — იმუშავე? — ვკითხე მე.

— ცუდად. ფული კაციშვილს აღარა აქვს.

— გასესხო? აი... პოკერში მოვიგე.

— მოგებულმა ფული იცის, — თქვა როზამ, დააფურთხა და შეინახა. ალოიზმა სამი ჭიქა მოიტანა. მერე, ფრიცი რომ მოვიდა ერთიც დაამატა.

— მორჩა, — თქვა მერე, — დავიღალე, ფეხზე ვეღარ ვდგავარ. შუქი გამორთო. წამოვედით. როზა კართან დაგვემშვიდობა. ფრიცი ალოიზს აეკიდა. ცქვიტად და მსუბუქად მიაბიჯებდა მის გვერდით. ალოიზი ბრტყელ ტერფებს ქვაფენილზე მიაფლატუნებდა. დავდექი და თვალი გავაყოლე. დავინახე, როგორ დაიხარა ფრიცი და ჭუჭყიან, დაგრეხილ მიმტანს აკოცა. იმან გულგრილად მოიშორა. და უცებ, არ ვიცი, რა დამემართა, რომ მოვტრიალდი და ცარიელ ქუჩას, სახლების ბნელ ფანჯრებს და ცივ ღამეულ ზეცას გავხედე, პატი გიჟურად მომენატრა, ისე, რომ მგონი, დავბარბაცდი კიდეც. აღარაფერი მესმოდა: აღარც საკუთარი თავი, აღარც ჩემი საქციელი, აღარც მთელი ეს საღამო, აღარაფერი.

სახლის კედელს მივეყუდე და თვალი გამიშტერდა. ვერ ვხვდებოდი, საერთოდ, რა გავაკეთე. რაღაცას წამოვეგე, რამაც დამანგრია, გონი დამაკარგვინა და უსამართლო გამხადა, რის გამოც აქეთ-იქით ვაწყდებოდი და ყველაფერი დავამსხვრიე, რაც ასეთი რუდუნებით დამილაგებია. სრულიად უძლური ვიყავი, ვიდექი და არ ვიცოდი, რა უნდა მექნა.

სახლში წასვლა არ მინდოდა — საბოლოოდ წავხდებოდი. ბოლოს გამახსენდა, რომ ალფონსთან მიმესვლებოდა. წავედი დილამდე იქ ვაპირებდი დარჩენას.

რომ მივედი, ალფონსს ბევრი არაფერი უთქვამს ერთი შემომხედა და გაზეთის კითხვა განაგრძო. მაგიდასთან ჩამოვჯექი, ჩამთვლიმა ჩემ გარდა არავინ იყო. პატზე ვფიქრობდი. სულ პატზე ვფიქრობდი. ვიხსენებდი, როგორ მოვიქეცი. უცებ ყველა წვრილმანი გამახსენდა. ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ შემობრუნდა. სულ

ჩემი ბრალი იყო, რაც მოხდა. მაგიდას დავაშტერდი. სისხლი თავში მომაწვა. საკუთარ თავზე გამწარებული და გაცოფებული და სრულიად დაბნეული ვიყავი. ეს მე, მე გავაფუჭე ყველაფერი.

უცებ წკრიალი და ტკაცანი გაისმა. ჭიქა მთელი ძალით დავახეთქე. — ესეც გასართობია, — თქვა ალფონსმა და ადგა.

ხელიდან ნამსხვრევები ამომაცალა.

— ძალიან ვწუხვარ, — ვუთხარი მე, — დაუფიქრებლად მომივიდა ბამბა და სალბი მოიტანა.

— ბორდელში წადი, — მითხრა მან, — ასე აჯობებს.

— კარგი, — მივუგე მე, — უკვე გამიარა. უბრალოდ, ბრაზის შეტევა მქონდა.

— გაცოფებას გართობით უნდა უშველო, და არა ცოფის ყრით, — ამიხსნა ალფონსმა.

— მართალია, — ვუთხარი, — მაგრამ არ გამომდის.

— ყველაფერი ვარჯიშია, რომ მიგეშვი, ხალხს კედლებს თავით გავატანინებდი. მაგრამ წლებთან ერთად გამიარა, გრამოფონზე „ტრუბადურის“ მიზერერე დადო. მალე ინათა.

შინისკენ წავედი. ალფონსმა დიდი ჭიქით ფერნე-ბრანკა დამალევინა. ვიგრძენი, რომ შუბლზე შიგნიდან რბილ ჯოხებს მიკაკუნებდნენ. ქუჩა სწორი აღარ იყო. მხრებში ტყვია ჩამიდგა. მორჩა, მეყო.

კიბეს ნელა მივუყვებოდი და ჯიბეში გასაღებს ვეძებდი. უცებ ბინდ-ბუნდში ვიღაცის სუნთქვა მომესმა. ზედა საფეხურზე ფერმკრთალი, არამკვეთრი რამ ჩამომჯდარიყო. ორი ნაბიჯი გადავდგი.

— პატ... — ვთქვი დაბნეულმა, — პატ... აქ რას აკეთებ...

გაინძრა.

— მე მგონი, ჩამეძინა.

— კი, მაგრამ აქ რას აკეთებ?

— მე ხომ შენი გასაღები არ მაქვს, რობი...

— ამას არ ვამბობ. მე ის გკითხე... — სიმთვრალემ გადამიარა და კიბის გაცვეთილი საფეხურები, აქერცლილი კედელი და ვერცხლის ვაზა, ვიწრო, ბრჭყვიალა ფეხსაცმელი დავინახე... — იმას ვამბობ, საერთოდ აქ რატომ ხარ...

— მთელი ეს დროა, მეც ამას ვეკითხები ჩემს თავს...

— წამოდგა და გაიზმორა, თითქოს ამქვეყნად არაფერი იყო უფრო გასაგები, ვიდრე ის, რომ შუაღამისას აქ, კიბეზე იჯდა. მერე ცხვირი გააქსუტუნა.

— ახლა ლენცი იტყოდა: კონიაკი, რომი, შერი, აბსენტი...

— მეტსაც მოგახსენებ, ფერნე-ბრანკა, — ვაუწყე და ახლაღა მივხვდი ყველაფერს, — დასწყევლოს ღმერთმა, შენ ძალიან მაგარი გოგო ხარ, პატ, მე კი საზიზღარი იდიოტი!

ერთბაშად ავიტაცე, კარი გავაღე და დერეფანი გავიარე ჩემს მკერდს ეკვროდა, ვერცხლისფერი წერო, დაღლილი ფრინველი. თავი განზე გავწიე, რომ სასმელის სუნი არ სცემოდა, და ვგრძნობდი, რომ კანკალებდა, თუმცა იღიმებოდა.

სავარძელში ჩავსვი, შუქი ავანთე და საბანი მოვუტანე ეს რომ წარმომედგინა, პატ... რაც მე ვიხეტიალე, სად აღარ ვიჯექი... რა ბრიყვი ვარ... ალფონსისგან დაგირეკე, და შენს სახლთან ვუსტვინე, და რომ არ მიპასუხე, ვიფიქრე, აღარ გინდოდა...

— სახლში რომ მიმიყვანე, რატომ არ დაბრუნდი?

— ჰო, ეგ მეც მაინტერესებს...

— აჯობებს, თუ ბინის გასაღებსაც მომცემ — მითხრა მან, — გარეთ აღარ მომიწევს ხოლმე ლოდინი.

იღიმებოდა, მაგრამ ტუჩები უკანკალებდა, და უცებ მივხვდი, რა იყო ეს მისთვის — ეს დაბრუნება, ლოდინი და ახლა კიდევ მამაცური. — ძმაკაცური ტონი...

— პატ, — ვუთხარი სწრაფად, სრულიად დაბნეულმა, — პატ, შენ ალბათ გაიყინე, რამე უნდა დალიო, გარეთ, ორლოვთან შუქი

შევნიშნე, სწრაფად გავვარდები, ამ რუსებს ჩაი სულ აქვთ, ახლავე დავბრუნდები... ვიგრძენი, როგორ მხურვალედ მომაწვა, — ამა ჩემს სიცოცხლეში არ დაგივიწყებ — ვუთხარი უკვე კართან მდგომმა და მერე დერეფანი სწრაფად გავიარე.

ორლოვს ჯერ არ ეძინა. ოთახის კუთხეში ღვთისმშობლის ხატთან იჯდა, სადაც ლამპარი ენთო. თვალები ჩაწითლებული ჰქონდა. მაგიდაზე სამოვარს ორთქლი ასდიოდა.

— უკაცრავად, — ვთქვი მე, — გაუთვალისწინებელი შემთხვევაა . ცოტა ცხელ ჩაის ხომ ვერ დამისხამთ?

რუსები ყველანაირ შემთხვევას არიან მიჩვეული. ორი ჭიქა და შაქარი მომაწოდა და პატარა თეფშზე ნამცხვრები დამიხვავა.

— სიამოვნებით შეგეწევით, — მითხრა მან, — თუ ნებას დამრთავთ... მეც ხშირად მომსვლია... რამდენიმე ყავის მარცვალს... დასაღეჭად... — გმადლობთ, — ვუთხარი მე, — მადლობელი ვარ. სიამოვნებით გამოგართმევთ...

— თუ კიდევ რამე დაგჭირდათ, — იმწამს თავი მართლაც დიდებულად ეჭირა, — ჯერ არ ვიძინებ. დიდი სიამოვნებით...

დერეფანში გასულმა ყავა დავღეჭე. სასმელის სუნი მომაშორა. პატი ლამპასთან იჯდა და პუდრს ისვამდა. წამით კართან გავჩერდი. გული ამიჩუყდა, ასე რომ იჯდა, პაწაწინა სარკეში ყურადღებით იცქირებოდა და პუდრს საფეთქლებზე იყრიდა.

— ჩაი მოსვი, — ვუთხარი მე, — ცხელია.

ჭიქა გამომართვა. ვუყურებდი, როგორ სვამდა.

— ეშმაკმა უწყის, ამ საღამოს რა მოხდა, პატ.

— მე ვიცი, — მომიგო მან.

— მართლა? მე — არა.

— არცაა საჭირო, რობი. ისედაც ცოტა მეტი იცი საიმისოდ, რომ მართლა ბედნიერი იყო.

— შეიძლება, — ვუთხარი მე, — მაგრამ რაც შენ გაგიცანი, სულ უფრო ბავშვური ვხდები, ასე ხომ არ შეიძლება, — როგორ არა! ეს

არ სჯობს, ვიდრე უფრო გონიერი ხდებოდე?

— ესეც მართალია. კაცის გამოყვანა კარგად გეხერხება. მაგრამ, მე მგონი, არც უმაგისობაა.

ჭიქა მაგიდაზე დადგა. ლოგინის თავს მივეყუდე. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ გრძელი, მძიმე გზიდან დავბრუნდი.

ჩიტები აჟღურტულდნენ. გარეთ კარი გაჯახუნდა. ეს ქალბატონი ბენდერი იყო, ჩვილების გადია. საათს დავხედე. ნახევარ საათში ფრიდა სამზარეულოში შევიდოდა, შეუმჩნევლად ვეღარ გავიდოდით. პატს ჯერაც ეძინა. ღრმად და თანაბრად სუნთქავდა გაღვიძება სირცხვილი იყო. მაგრამ მომიწევდა.

— პატ...

ძილში რაღაც ჩაილუღლუღა.

— პატ... — ამქვეყნად ყველა ნაქირავები ოთახი დავწყევლე — პატ, დროა. უნდა ჩაიცვა.

თვალი გაახილა და გამიღიმა, ნამძინარევმა, ჯერაც ბავშვივით თბილმა. ყოველთვის მიკვირდა, ასე მხიარულად რომ იღვიძებდა, და მისი ეს თვისება ძალიან მიყვარდა. ახალგაღვიძებული მხიარულად არასოდეს ვყოფილვარ.

— პატ... ქალბატონი ცალევსკი უკვე ჩანას იხეხავს — დღეს შენთან დავრჩები...

— აქა?

— ჰო...

წამოვიმართე.

— შესანიშნავი აზრია... მაგრამ შენი ნივთები... ეს ხომ საღამოს კაბა და ფეხსაცმელია...

— მაშინ საღამომდე დავრჩები...

— სახლში?

— დავრეკოთ, რომ ღამით სადღაც დავრჩი.

— ეგრე ვქნათ. გშია?

— ჯერ არა.

— მე მაინც უცებ გავალ და ახალ ფუნთუშებს მოვიპარავ გარეთ კიდია, დერეფნის კარზე. ჯერ მივუსწრებ.

რომ დავბრუნდი, პატი ფანჯარასთან იდგა. მხოლოდ თავისი ვერცხლის ფეხსაცმელი ეცვა. ალიონის რბილი ნათელი მხრებზე მოსასხამივით ჰქონდა მოსხმული.

— გუშინდელი ამბები დავივიწყეთ, ჰო პატ? — ვუთხარი მე.

თავი დამიქნია, არც მოტრიალებულა.

— უბრალოდ, სხვებთან ერთად აღარ ვიყოთ ხოლმე ნამდვილი სიყვარული ხალხს ვერ იტანს. მაშინ არც მარცხი მოგვივა და არც ეჭვიანობის შეტევები. ის ბროიერიც და მთელი საზოგადოებაც ეშმაკს წაუღია, არა? — ჰო, — მითხრა მან, — და მარკოვიციც.

— მარკოვიცი? ეგ ვინღაა?

— აი, ის, ბართან რომ ისხედით, „კასკადეში“.

— ჰო, — ვთქვი მე, უცებ ფრიად ნასიამოვნებმა, ჰო, ის ქალიც. — ჯიბეები ამოვქექე.

— ამას შეხედე. ამ ამბავს ერთი ხეირი მაინც მოჰყვა. პოკერში უთვალავი ფული მოვიგე. დღეს საღამოსაც წავიდეთ სადმე, რას იტყვი?

ოღონდ ადამიანურად, სხვების გარეშე. ის ხალხი დავივიწყეთ ხომ? თავი დამიქნია.

— მზე პროფკავშირების სახლის სახურავების თავზე ამოვიდა. ფანჯრები ალაპლაპდა. პატის სინათლით სავსე თმა და ოქროს მხრები ჰქონდა.

— რა მითხარი, ის ბროიერი რას აკეთებსო? საქმიანობას ვგულისხმობ — არქიტექტორია.

— არქიტექტორი, — ცოტა გულზე მომხვდა, იმის გაგონება მერჩივნა, რომ საერთოდ არავინ არ არის, — ჰო, არქიტექტორი უკვე საქმეა, არა, პატ? — ჰო, საყვარელო.

— დიდი არაფერია, არა?

— საერთოდ არაფერია, — თქვა პატმა მტკიცედ და მომიტრიალდა და გაიცინა, — არაფერია, საერთოდ არაფერი. ნაგავია!

— და ეს ოთახიც არც ისეთი უბადრუკობაა არა პატ? ზოგს, რა თქმა უნდა, უკეთესი...

— შესანიშნავი ოთახია, — შემაწყვეტინა პატმა, — დიდებული ოთახია — უკეთესი მართლა არ მეგულება, საყვარელო!

— და მე კიდევ, „პატ, მე შეცდომებს კი ვუშვებ და მხოლოდ ტაქსის მძღოლი ვარ, მაგრამ...

— შენ, ხარ ძალიან საყვარელი ფუნთუშების ქურდი და ლოთი. შენ უსაყვარლესი ხარ!

უცებ კისერზე მომეხვია.

— ახ, შე სულელო, რა კარგია ეს სიცოცხლე!

— მხოლოდ შენთან ერთად, პატ. მართლა!

მშვენიერი, ნათელი დილა გათენდა. ქვემოთ, საფლავის ქვებთან თხელი ნისლი გაწოლილიყო. ხეების კენწეროები უკვე სხივებით იყო სავსე. სახლების საკვამლურებიდან ბოლი ამოდიოდა. პირველი გაზეთები ჩამოატარეს. დილის ძილს მივეცით თავი, ძილ-ღვიძილს სიზმრების ზღვარზე, ერთმანეთს მოხვეულები საოცარ უწონადობაში ვიყავით და ერთმანეთის სუნთქვით ვსუნთქავდით. მერე, ცხრა საათზე, საიდუმლო მრჩეველ ბურქარდის სახელით ჯერ პირადად ობერლეიტენანტ ეგბერტ ფონ ჰაკეს დავურეკე, მერე კი — ლენცს, რომ ჩვენი დროგის დილის სმენა გადამებარებინა.

მაშინვე შემაწყვეტინა:

— მორჩი, ყმაწვილო, შენი გოტფრიდი ტყუილად კი არაა ადამიანთა გულების ვარიაციების მცოდნე. ასეც ვიფიქრე. აბა, გაერთე, მზეჭაბუკო! — მოკეტე, — ვუთხარი ბედნიერმა, და სამზარეულოში ავხსენი, რომ ავად ვარ და შუადღემდე ვიწვები. სამჯერ მომიწია მზრუნველობით აღსავსე ქალბატონი ცალევსკის შეტევე-

ბის მოგერიება, რომელიც გვირილის ჩაის, ასპირინსა და კომ-პრესებს მთავაზობდა. მერე პატის სააბაზანოში გაპარებაც შევძე-ლი, და ჩვენც მოვისვენეთ.

14

ერთი კვირის მერე, სრულიად მოულოდნელად, ჩვენს ეზოში თავის ფორდით ხაბაზი გამოგვეცხადა.

— გადი ერთი, რობი, — მითხრა ფანჯრიდან შხამიანი მზერით მოთვალთვალე ლენცმა, — ბისკვიტა კაზანოვას ალბათ რამის რეკლამა აქვს ჩაფიქრებული.

მცხობელი ფრიად უკმაყოფილო ჩანდა.

— მანქანას სჭირს რამე? — ვკითხე მე.

თავი გააქნია.

— პირიქით შესანიშნავად დადის ახალივითაა.

— ასეც უნდა იყოს, — დავუდასტურე და მეტი ინტერესით შევხედე — ახლა... — თქვა მან, — მოკლედ... სხვა მანქანა მინდა უფრო დიდი... — მიმოიხედა, — კადილაკი არ გყავდათ?

იმწამს მივხვდი, რაც მოხდა იმ შავმა არსებამ რომელთან ერთადაც ცხოვრობდა აჯობა.

— აჰ, კადილაკი, — ვუთხარი მეოცნებე სახით, — დროზე უნდა გექნათ! დიდებული რამ იყო! შვიდ ათას მარკად გაიყიდა ნაჩუქარია რა! — ჰო, ნაჩუქარია...

— ნაჩუქარია! — გავიმეორე ხაზგასმით; თან ვფიქრობდი, რა მექნა. — ვიკითხავ, — ვუთხარი მერე, — ეგებ ვინც იყიდა, იმ კაცს ფული სჭირდებოდეს. დღეს ხომ ასეთი რამ უცებ ხდება ხოლმე. ერთი წუთით.

სახელოსნოში შევედი და უცებ მოვყევი, რაც მოხდა — გოტ-ფრიდი წამოხტა.

— აბა, ბავშვებო, სასწრაფოდ გვჭირდება ძველი კადილაკი. საიდან მოვიტანოთ?

— ეგ მე მომანდე, — ვუთხარი მე, — შენ მანამდე ხაბაზი გააკავე. — არის! — გოტფრიდი გაქრა.

ბლუმენთალს დავურეკე. დიდი იმედი არ მქონდა, მაგრამ ცდას წინ არაფერი ედგა. სამსახურში იყო.

— გინდათ, კადილაკი გაგიყიდოთ? — ვკითხე პირდაპირ ბლუ-მენთალმა გაიცინა.

— მყიდველი მყავს, განვაგრძე, — ნაღდი ფულით იხდის.

— ნაღდი ფულით... — ბლუმენთალი ცოტა ხანს ფიქრობდა, — ჩვენს დროში ეს სიტყვები წმინდა წყლის პოეზიაა....

— მეც ამას ვამბობ; ვუთხარი და უცებ გამოვცოცხლდი, — აბა, რას ვიტყვით, ვილაპარაკოთ?

— ლაპარაკს წინ რა უდგას, — გამომიცხადა ბლუმენთალმა — ძალიან კარგი, როდის შეგხვდეთ?

— დღეს, ნაშუადღევს, სადილის მერე მცალია ვთქვათ ორზე, ჩემთან, სამსახურში.

— კარგი. — დავკიდე, — ოტო, — ვუთხარი კიოსტერს აღგზნე-ბულმა ვერ წარმოვიდგენდი მაგრამ მე მგონი, კადილაკი გვიბ-რუნდება!

კიოსტერმა ქაღალდებს თავი მიანება — მართლა? ყიდის?

თავი დავუქნიე და ფანჯრიდან გავიხედე სადაც ლენცი ხაბაზს გაცხოველებით ესაუბრებოდა.

— შეცდომას უშვებს, — ვთქვი შეშფოთებულმა მეტისმეტად

ბევრს ლაპარაკობს წავალ, გოტფრიდს სასწრაფოდ გამოვრთავ.

კიოსტერმა გაიცინა.

— კისერიც გიტეხია, რობი.

თვალი ჩავუკარი და გავედი — და ყურებს არ დავუჯერე გოტ-ფრიდს კადილაკის ნაჩქარევი დიდება არ უმღერია, ის ხაბაზს მუ-ყაითად უხსნიდა, სამხრეთამერიკელი ინდიელები მჭადს როგორ აცხობენ. აღტაცებული მზერა ვტყორცნე და ხაბაზს მივუტრიალ-დი:

— სამწუხაროდ, კაცი არ ჰყიდის...

— ასეც ვიფიქრე, — თქვა ლენცმა დაუყოვნებლად, თითქოს შე-თანხმებული ვყოფილიყავით, — მხრები ავიჩეჩე.

— სამწუხაროა, მაგრამ მესმის მისი...

ხაბაზი ყოყმანობდა. ლენცს გავხედე.

— ერთხელაც რომ გეცადა? — მკითხა მან მაშინვე — აუცილებ-ლად, — მივუგე მე, — ის მაინც მოვახერხე, რომ დღეს შუადღისას ვხვდები. როგორ დაგიკავშირდეთ? — ვკითხე ხაბაზს.

— ოთხ საათზე აქეთ ვიქნები. გამოგივლით...

— კარგი... ამ დროს მეც ზუსტად მეცოდინება იმედი მაქვს რა-მეს — გავხდები.

ხაბაზმა თავი დააქნია. მერე ფორდში ჩაჯდა და გაქროლდა — სულ წახვედი ხელიდან, — მეცა ლენცი, როგორც კი ფორდი კუთ-ხეს მიეფარა, — ჯერ ბიჭი ძალით გამაკავებინე, მერე კი აიღე და გაუშვი! — ლოგიკა და ფსიქოლოგია, ჩემო კარგო გოტფრიდ! — ვუთხარი და მხარზე ხელი დავუტყაპუნე, — შენ ეს ჯერ არ გესმის...

ჩემი ხელი მოიშორა.

— ფსიქოლოგია! თქვა აგდებით, — საუკეთესო ფსიქოლოგია კარგი შემთხვევა მხოლოდ! და აგერ, გვქონდა. ეს კაცი აღარ ბრუნდება... — ოთხზე დაბრუნდება...

გოტფრიდმა სიბრალულით შემომხედა.

— დავნიძლავდეთ? — მკითხა მან.

— სიამოვნებით, — მივუგე, — წააგებ. მე ამ კაცს შენზე უკეთ ვიცნობ! ბევრი ქარცეცხლი უნდა გამოატარო. თან, იმას ხომ ვერ მივყიდი, რაც ჯერ ჩვენ თვითონ არა გვაქვს...

— ღმერთო ჩემო, შემისმინე,თუ საერთოდ არსებობ! — თქვა გოტფრიდმა თავის ქნევით, — შენგან, შვილო, არაფერი გამოვა! ნამდვილი გარიგება ხომ სწორედ ესაა! მოდი, თანამედროვე ეკონომიკის უფასო კურსს ჩაგიტარებ...

შუადღისას ბლუმენთალთან წავედი. გზად თავს ნორჩ ბეკეკად ვგრძნობდი, რომელსაც ბებერ მგელთან შესახვედრად მიეჩქარება. მზე ასფალტს აცხუნებდა და ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო მიქრებოდა სურვილი, ბლუმენთალს ნელ ცეცხლზე შევეწვი. აჯობებდა, მოკლედ მომეჭრა. ამიტომ შესვლისთანავე ვთქვი, სანამ დამასწრებდა, სხაპასხუპით:

— ბატონო ბლუმენთალ, მაგარი წინადადებით მოვედი! კადილაკში ხუთი ათას ხუთასი რომ გადაიხადეთ, მე ექვსს გთავაზობთ, იმ პირობით, რომ გავასაღებ. ეს დღეს საღამოს გადაწყდება...

ბლუმენთალი საწერ მაგიდასთან სავარძელში იყო ჩაბრძანებული და ვაშლს შეექცეოდა. ჭამა შეწყვიტა და წამით შემომხედა.

— კარგი, — დაიქსუტუნა და ჭამა განაგრძო.

დაველოდე, სანამ კურკებს საქაღალდეში ჩაუძახებდა — ანუ, თანახმა ხართ? — ვკითხე მერე.

— ერთი წუთით! — საწერი მაგიდის უჯრიდან ახალი ვაშლი ამოიღო, — თქვენც ინებებთ?

— გმადლობთ, ახლა არ მინდა.

ხრაშუნით ჩაკბიჩა.

— ბევრი ვაშლი უნდა ჭამოთ, ბატონო ლოკამპ! ვაშლები ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია. ყოველდღე რამდენიმე ვაშლი, და ექიმი არასდროს დაგჭირდებათ!

— მკლავიც რომ მოვიტეხო?

გამიცინა, გამოხრული ვაშლი გადააგდო და ადგა.

— მკლავსაც აღარ მოიტეხავთ.

— პრაქტიკულია, — ვთქვი და დაველოდე, რა მოხდებოდა ვაშლებზე საუბარი მეტისმეტად საეჭვო იყო.

ბლუმენთალმა პატარა კარადიდან სიგარების ყუთი გამოიღო და შემომთავაზა. ჩემთვის უკვე ნაცნობი „კორონა“.

— ესეც სიცოცხლეს ახანგრძლივებს?

— არა, ამოკლებს. ვაშლებით ვანაზღაურებ.

ბოლი გამოუშვა და თავგადახრილმა, დაფიქრებული ფრინველივით, ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ანაზღაურება, ბატონო ლოკამპ, ანაზღაურება, ესაა ცხოვრების მთელი საიდუმლო...

— როცა შეგიძლია...

თვალები მოჭუტა.

— ჰო, უნდა შეგეძლოს. ჩვენ მეტისმეტად ბევრი რამ ვიცით და მეტისმეტად ცოტა რამ შეგვიძლია. იმიტომ, რომ მეტისმეტად ბევრი ვიცით. — გაიცინა, — მაპატიეთ, ნასადილევს ფილოსოფოსობა მჩვევია... — ამ საქმისთვის ჩინებული დროა, — ვუთხარი მე, — მაშ, კადილაკის თაობაზეც ანაზღაურება მოხდა, ჰო?

ხელი ასწია.

— ერთი წამით.

თავი თვინიერად დავხარე. ბლუმენთალმა ეს შეამჩნია და გაეცინა. — ეს ის არაა, თქვენ რაც გგონიათ! მხოლოდ ქათინაურის თქმა მინდოდა. თავდასხმა კარიდანვე, გახსნილი კარტით! ბებერ ბლუმენთალზე სწორად გათვალეთ. იცით, რას ველოდი?

— რომ ოთხი ათას ხუთასით დავიწყებდი...

— დიახ! მაგრამ ცუდად გამოგივიდოდათ. შვიდად ჰყიდით, ჰო? მხრები ფრთხილად ავიჩეჩე.

— რატომ მაინცდამაინც შვიდად?

— იმიტომ რომ მაშინ პირველი ეს თანხა დამისახელეთ...

— შესანიშნავი მეხსიერება გაქვთ, — ვუთხარი მე.

— რიცხვებზე. მხოლოდ რიცხვები მამახსოვრდება. სამწუხაროდ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ: ამ ფასად მანქანა თქვენია ხელი გამომიწოდა და მეც ჩამოვართვი.

დიდება ღმერთს, — ამოვისუნთქე, — რა ხანია, საქმე არ გამოგვსვლია. ეს კადილაკი ჩვენთვის იღბლიანი გამოდგა.

ჩემთვისაც, — თქვა ბლუმენთალმა, — მეც ხომ ხუთასი მარკა გავაკეთე.

— ეგ კი. მაგრამ ასე უცებ რატომ ჰყიდით? არ მოგწონთ?

— ჩვეულებრივი ცრურწმენაა, — ამიხსნა ბლუმენთალმა, — ყველა გარიგებაზე მივდივარ, რომელსაც ფული მოაქვს...

— საარაკო ცრურწმენაა, — მივუგე მე.

ლაპლაპა თავი გააქნია.

— არ გჯერათ, მაგრამ ასეა. სხვა საქმეები ცუდად რომ არ წამივიდეს. დღეს ისეთი დროა, თუ გარიგება ხელიდან გაუშვი, ეს უკვე ბედისწერის გამოწვევის ტოლფასია. ამის თავი აღარავის აღარ აქვს.

ნაშუადღევს, ხუთის ნახევარზე, გოტფრიდ ლენცმა მრავლისმეტყველი სახით მაგიდაზე ჯინის ცარიელი ბოთლი ჩამომიდგა.

— ამივსე ერთი, პატარავ! უფასოდ! გახსოვს, რომ დავნიძლავდით? — მახსოვს, — ვუთხარი მე, — მაგრამ ნუ იჩქარებ.

გოტფრიდმა თავისი საათი უსიტყვოდ მომიტანა ცხვირთან.

— ხუთის ნახევარია, — ვუთხარი მე, — ვარსკვლავების დროით. ისიც საეჭვოა. საერთოდ, ყველას შეიძლება დააგვიანდეს. გთავაზობ, სანაძლეო გავაორმაგოთ, ორი ერთზე...

— მოსულა, — განაცხადა გოტფრიდმა საზეიმოდ, — ჩემთვის ოთხი ბოთლი ჯინი იყოს. ამას ჰქვია გმირობა წაგებულ ომში. ღირსეული საქციელია, პატარავ, მაგრამ არასწორი...

— დაიცადე...

თავი მომქონდა, თორემ იმედი თითქმის გადამეწურა. პირიქით, უკვე იმ აზრს ვეგუებოდი, რომ ხაბაზი აღარ მოვიდოდა. დილით უნდა გამეკავებინა. მეტისმეტად არასანდო იყო. — ხუთისთვის, როცა მოპირდაპირე მხარეს აღმართული ზამბარების ფაბრიკის საყვირი ჩაირთო, გოტფრიდმა მაგიდაზე კიდევ სამი ცარიელი ჯინის ბოთლი მდუმარედ დამიდგა., მერე ფანჯარას მიეყუდა და მომაჩერდა, — მწყურია, — მითხრა ცოტა ხანში ხაზგასმით.

იმწუთას ქუჩიდან ფორდის ძრავას რახრახი მომესმა — ეს ხმა არა ფერში ამერეოდა, — და ხაბაზის მანქანამაც შემოუხვია.

— თუ გწყურია, ძვირფასო გოტფრიდ, — მივუგე ძალიან ღირსეულად, — გაიქეცი, ის ორი ბოთლი რომი იყიდე, სანაძლეოში რომ მოგიგე. ერთ ყლუპს უფასოდ დაგალევინებ. იქ ხაბაზთუხუცესს თუ ხედავ? ფსიქოლოგია, ჩემო ბიჭო! და ეს ცარიელი ჯინის ბოთლები მომაშორე აქედან! მერე შეგიძლია, ტაქსით წახვიდე. მაღალი დონის გარიგებებისთვის ჯერ ნორჩი ხარ. ჭკუით, შვილო ჩემო!

გავედი და ხაბაზს მოვუყევი, რომ მანქანის ყიდვა, როგორც ჩანს, შესაძლებელი იქნებოდა. გამყიდველი შვიდი ათას ხუთას მარკას მოითხოვდა, მაგრამ ნაღდი ფულის დანახვაზე შვიდ ათასამდე ჩამოვიდოდა. ხაბაზი ისეთი დაბნეული მისმენდა, რომ დავიძაბე.

—ექვსზე იმ კაცს კიდევ დავურეკავ, — ვუთხარი ბოლოს.

— ექვსზე? — ხაბაზი გამოფხიზლდა, — ექვსზე — უცებ მომიტრიალდა. — წამოხვალთ?

— სად? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— თქვენ მეგობართან, მხატვართან. სურათი მზადაა.

— აჰ, ფერდინანდ გრაუსთან...

თავი დამიქნია.

— წამოდით, რა. მერე მანქანაზეც დავილაპარაკოთ..

როგორც ჩანს, მარტოს წასვლა არ უნდოდა. მეც სულ არ მინდოდა მისი მარტო გაშვება. ამიტომ ვუთხარი:

— კარგი. ცოტა შორი კია... ახლავე დავიძრათ.

ფერდინანდ გრაუ ცუდად გამოიყურებოდა. მონაცრისფრომომწვანო, ჩაშავებული და შეშუპებული სახე ჰქონდა. სახელოსნოს კარში შემოგვეგება. ხაბაზს მისთვის ზედაც არ შეუხედავს. უჩვეულოდ დაბნეული და აღელვებული იყო.

— სადაა? — იკითხა მაშინვე.

ფერდინანდმა ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა. სურათი მოლბერტზე იდგა. ხაბაზი სწრაფად მიიჭრა და პორტრეტის წინ გაქვავდა. ცოტა ხნის მერე ქუდი მოიხადა. ისე ეჩქარებოდა, მანამდე არც გახსენებია მე და ფერდინანდი კართან გავჩერდით.

— როგორ ხარ, ფერდინანდ? — ვკითხე მე.

ხელით გაუგებარი მოძრაობა გააკეთა.

— მოხდა რამე?

— რა უნდა მომხდარიყო?

— ცუდად გამოიყურები...

— სხვა?

— არა, — ვუთხარი, — სხვა არაფერი.

თავისი დიდი ხელი მხარზე დამადო და მოხუცი სენბერნარის ღიმილით გამიღიმა ცოტა ხანს ვაცადეთ. მერე ხაბაზს მივუახლოვდით. ნახატმა გამაკვირვა. საქორწილო ფოტოსა და მეორე, ძალიან შელანძღული სურათის მიხედვით ფერდინანდმა ჯერაც ახალგაზრდა ქალი დახატა, რომელიც სერიოზული, ცოტა დაბნეული თვალებით იცქირებოდა.

— კი, — ხაბაზი არც მოტრიალებულა, — ისაა. — ეს უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა და მე მომეჩვენა, რომ თვითონაც არ იცო-

და, რამე თუ თქვა. — სინათლე გყოფნით? — ჰკითხა ფერდინანდმა.

ხაბაზმა არ უპასუხა.

ფერდინანდი მოლბერტის გასასწორებლად მიუახლოვდა. მერე მობრუნდა და თავით სახელოსნოს გვერდით პატარა ოთახისკენ მანიშნა.

— ამას ვერ წარმოვიდგენდი, — მითხრა გაკვირვებულმა — ფასდაკლების მანქანასაც კი გულზე მოხვდა! ტირის...

— ერთხელ ყველას მოხვდება ხოლმე, — მივუგე მე, — უბრალოდ, ამისთვის გვიანია...

— გვიანია, — თქვა ფერდინანდმა, — ყოველთვის გვიანია ასეა ეს ცხოვრება, რობი.

ნელა სცემდა ბოლთას.

— ცოტა ხანი ვაცადოთ. მანამდე შეგვიძლია, ერთი ხელი ჭადრაკი ვითამაშოთ.

— ოქროს ხასიათი გაქვს, — ვუთხარი მე, გაჩერდა.

— რატომ? არც არაფერს არგებს და არც არაფერი დააკლდება.

ხალხმა სულ ამაზე რომ იფიქროს, მიწაზე გაცინებულს ვეღარავის ნახავდი, რობი...

— აქაც მართალი ხარ, — ვუთხარი მე, — აბა, მოდი, ჩქარა, ერთი ხელი ვითამაშოთ.

ფიგურები დავალაგეთ და დავიწყეთ. ფერდინანდი ძალდაუტანებლად მიგებდა. ეტლით და კუთი დამაშამათა, ისე, რომ დედოფალი არც გამოუყენებია.

— აი, ეს მესმის, — უთხარი მე, — სამი დღის უძინარს ჰგავხარ და ამ დროს მეკობრესავით თამაშობ.

— როცა მელანქოლია მეძალება, მუდამ კარგად ვთამაშობ, — მომიგო ფერდინანდმა.

— მელანქოლია რად მოგძალებია?

— რა ვიცი, ისე. იმიტომ რომ ბნელდება. საღამოს ყველა წესიერი კაცი მელანქოლიურია. უმიზეზოდ. ზოგადად...

— მხოლოდ მაშინ, როცა მარტოა, — ვუთხარი მე.

— რა თქმა უნდა. ჩრდილების ჟამი. მარტოობის ჟამი. ჟამი, როცა კონიაკს ყველაზე კარგი გემო აქვს.

ბოთლი და ორი ჭიქა მოიტანა.

— ხაბაზს არ მივაკითხოთ? — ვკითხე მე.

— ახლავე. — ჩამოასხა, — გაგვიმარჯოს, იმიტომ რომ ერთხელაც ყველანი გავჭიმავთ ფეხებს!

— გაგვიმარჯოს, ფერდინანდ! იმიტომ რომ ჯერ აქ ვართ!

— ჰო, — თქვა მან, — ისე, ზოგჯერ ბევრიც არ გვაკლდა. ამისაც უნდა დაილიოს.

— კარგი.

სახელოსნოში დავბრუნდით. დაბნელდა. ხაბაზი კვლავ მხრებჩამოყრილი იდგა ნახატთან. საწყალობლად დაბნეული ჩანდა დიდ, შიშველ სივრცეში, და მომეჩვენა, რომ დაპატარავებულიყო.

— სურათი შეგიფუთოთ? — ჰკითხა ფერდინანდმა.

შეკრთა.

— არა...

— მაშინ ხვალ გამოგიგზავნით.

— არ შეიძლება, ჯერ აქ დარჩეს? — იკითხა ყოყმანით ხაბაზმა. — რატომ? — ფერდინანდს გაუკვირდა და ახლოს მივიდა — არ მოგწონთ?

— კი..— მაგრამ მირჩევნია, ჯერ აქ იყოს...

— არ მესმის...

ხაბაზმა დახმარების იმედით გადმომხედა. მივხვდი — სურათის სახლში, იმ შავ ძუკნასთან დაკიდების ეშინოდა. ეგებ მიცვალებულისაც ერიდებოდა.

— კი მაგრამ, ფერდინანდ — ვთქვი მე, — თუ გადახდილი იქნება, ეკიდოს ნახატი, რა მოხდა — ეგ კი ხაბაზმა შვებით ამოისუნთქა და ჩეკის წიგნაკი ჯიბიდან ამოიღო მაგიდასთან მივიდნენ.

— დარჩენილი ოთხასი მარკა? — ჰკითხა ხაბაზმა.

— ოთხას ოცი, — უთხრა ფერდინანდმა, — ფასდაკლებიანად ქვითარს ინებებთ?

— დიახ, — მიუგო ხაბაზმა — წესი წესია.

ჩეკი და ქვითარი მდუმარედ შეავსეს. მე ფანჯარასთან დავრჩი და მიმოვიხედე. დაისის ბინდში კედლებზე მოუკითხავი და გადაუხდელი, ოქროს ჩარჩოებში ჩასმული პორტრეტები ლაპლაპებდა. თითქოს იმქვეყნიური აჩრდილები შეკრებილიყვნენ, ყველა გაშტერებული თვალი ფანჯრისკენ იყო მიმართული, საიდანაც საღამო სიცოცხლის უკანასკნელ სხივებს აფრქვევდა. უცნაური განწყობა იყო — მაგიდასთან მოხრილი, წერით გართული ორი ფიგურა, ჩრდილები და მრავალი მდუმარე ნახატი. ხაბაზი ფანჯარასთან დაბრუნდა. ჩაწითლებული თვალები მინის ბურთებს მიუგავდა, პირი დაეღო, ქვედა ტუჩი ჩამოეკიდა და ლაქებიანი კბილები გამოუჩნდა... სასაცილო და სევდიანი სანახავი იყო. სახელოსნოს თავზე ვიღაცამ პიანინოს დაკვრა დაიწყო, რაღაც თითების სავარჯიშო იყო, ბგერების თანმიმდევრობა სულ მეორდებოდა. წვრილ ხმაზე ისმოდა, მტანჯველად. ფერდინანდ გრაუ კვლავ მაგიდასთან იდგა. სიგარას მოუკიდა. ასანთის შუქმა სახე გაუნათა. პატარა, მოწითალო ალმა ნახევრად ბნელი ოთახი საშინლად დიდი და ძალიან ლურჯი გახადა. — შეიძლება, სურათზე რამე კიდევ შეიცვალოს? — იკითხა ხაბაზმა.: — რა?

ფერდინანდი მიუახლოვდა ხაბაზმა სამკაულზე მიუთითა — შეიძლება, წავშალოთ?

დიდი ოქროს გულსაბნევი იყო, რომელიც მაშინ შეკვეთისას საგანგებოდ მოითხოვა.

— რასაკვირველია, — უთხრა ფერდინანდმა, — სახეს ჩრდილავს კიდეც. სურათი მხოლოდ მოიგებს თუ მოვაშორებთ და მეც ამას ვამბობ. — ერთხანს იშმუშნებოდა, — რა ეღირება? მე და ფერდინანდმა ერთმანეთს გადავხედეთ.

— არაფერი არ ეღირება, — უთხრა ფერდინანდმა კეთილად, — პირიქით რაღაცა უნდა დაგიბრუნოთ კიდეც. ზედ ხომ ნაკლები იქნება დახატული. გაკვირვებულმა ხაბაზმა თავი ასწია. წამით ისეთი სახე ჰქონდა, ვიფიქრე, ასეც იზამს-მეთქი. მაგრამ მერე მტკიცედ თქვა:

— არა, რას ბრძანებთ... თქვენ ხომ დახატეთ...

— ეგეც მართალია...

წამოვედით. კიბეზე, ჩემ წინ მიმავალი მოხრილი ზურგი რომ დავინახე, ხაბაზი ცოტა შემეცოდა, გულზე მომხვდა, რომ გულსაბნევის თაობაზე მონაჩმახის გამო სინდისმა შეაწუხა. არ მსიამოვნებდა, რომ ამ განწყობაზე კადილაკი უნდა შემეტენა. მაგრამ მერე ვიფიქრე, თავის გარდაცვლილ ცოლს გულწრფელად იმიტომ მისტირის, რომ სახლში ის შავტუხა ნამდვილი ძუკნა ჰყავს-მეთქი, და ისევ გამოვცოცხლდი. — შეგვიძლია, ჩემთანაც დავილაპარაკოთ — მითხრა ხაბაზმა, როცა გამოვედით.

თავი დავუქნიე. ძალიან მაწყობდა ხაბაზს ეგონა, რომ თავის ოთხ კედელში ძალა მიეცემოდა, მე კი შავტუხას მხარდაჭერის იმედი მქონდა უკვე კართან იცდიდა.

— მომილოცავს, — ვუთხარი, სანამ ხაბაზი პირს დააღებდა — რა? — მკითხა სასწრაფოდ და თვალები გააცეცა.

— კადილაკი, — ვუთხარი წარბშეუხრელად.

— ჩემო სიცოცხლე! — დასძახა და ხაბაზს კისერზე ჩამოეკიდა — კი მაგრამ, ჯერ ხომ არ... — თავის დახსნას და რაღაცის ახსნას ეცადა. მაგრამ ქალი მაგრად იყო ჩაჭიდებული, ფართხალებდა და ატრიალებდა, რომ ვერაფერი ეთქვა. კაცის მხრებსუკან დრო-

დადრო მის — ეშმაკურ, თვალებმოჭუტულ ცხვირ-პირს ვხედავდი, ქალის მხრებიდან კი საყვედურით სავსე ფქვილის მატლის თავს რომელიც ამაოდ ცდილობდა შეწინააღმდეგებას.

როგორც იქნა, მოახერხა და თავი დააღწია — ჯერ ხომ აქამდე არ მივსულვართ, — ჩაიფხუკუნა მან — როგორ არა, — ვუთხარი, ძალიან გულითადად, — როგორ არ მივსულვართ! ხუთასი მარკის დაკლება ჩემზე იყოს. კადილაკისთვის შვიდ ათას მარკას გადაიხდით, არც ერთი ფენინგით მეტს! შევთანხმდით? — რასაკვირველია — თქვა სასწრაფოდ შავტუხამ, — მართლა იაფია, ჩემო სიცოცხლე...

— დაიცა! — ხაბაზმა ხელი ასწია.

— რა იყო? — ეცა ქალი, — ხან ამბობ, მანქანა გვეყოლებაო, ახლა კიდევ დგახარ და ამბობ, არ მინდაო!

— უნდა, — სიტყვა ჩავუგდე, — უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ... — რაო... სიცოცხლე... რატომ... — შავტუხა მიეტმასნა.

კაცი კვლავ თავის დახსნას ეცადა, მაგრამ ქალმა სავსე მკერდი მკლავზე მიაჭირა. კაცმა გაბრაზებული სახე მიიღო, მაგრამ უკვე ნაკლებად ეწინააღმდეგებოდა.

— ფორდი... — თქვა ხაბაზმა.

— ცხადია, გამოიქვითება...

— ოთხი ათასი მარკა...

— ამდენი დაჯდა, ხომ? — ვკითხე მეგობრულად.

— ოთხი ათასი იანგარიშეთ, — თქვა ხაბაზმა მტკიცედ. მოულოდნელი შეტევის მოსაგერიებლად საპასუხო დარტყმისთვის ამოსავალი წერტილი იპოვა, — მანქანა სულ ახალივითაა...

— ახალი... — ვთქვი მე, — ამხელა რესტავრაციის მერე...

— დღეს დილით თქვენ თვითონ თქვით...

— დღეს დილით სხვა ამბავი იყო. ახალიცაა და ახალიც, გააჩნია, ყიდულობ თუ ჰყიდი. ოთხი ათასი მარკის კვალობაზე თქვენს ფორდს ოქროს ბამპერები მაინც უნდა ჰქონდეს.

— ოთხი ათასი მარკა, სხვანაირად არ იქნება, — თქვა ხაბაზმა ჯიუტად, ძველი სახე დაებრუნებინა და, როგორც ჩანს, ყოველგვარი სენტიმენტალობის გამოსწორება უნდოდა.

— მაშ, ნახვამდის! — მივუგე მე და შავტუხას მივმართე, — ძალიან ვწუხვარ, მოწყალე ქალბატონო... მაგრამ წაგებაზე ვერ ვიმუშავებ. კადილაკისგან ისედაც არანაირი მოგება არა გვაქვს, და უზარმაზარ ფასად ძველ ფორდს საზღაურად ვერ ავიღებთ კარგად ბრძანდებოდეთ...

გამაჩერა თვალები აენთო და ხაბაზს ისე დაეტაკა, რომ იმას თვალთ დაუბნელდა.

— ასჯერ გაქვს ნათქვამი ფორდის ფასი კაპიკიაო, — წაისისინა ბოლოს ცრემლმომდგარმა.

— ორი ათასი მარკა, — ვთქვი მე, — ორი ათასი მარკა, თუმცა, ესეც თვითმკვლელობაა.

ხაბაზი დუმდა.

— ჰა, თქვი ახლა რამე! რას დგახარ, რას გაჩუმებულხარ? — დასჩხავლა შავტუხამ.

— ბატონებო, — ვთქვი მე, — ახლა წავალ და კადილაკს მოვიყვან იქნებ მანამდე ერთმანეთში მორიგდეთ.

ვგრძნობდი, უკეთესს ვერაფერს ვიზამდი — უნდა გავმქრალიყავი ჩემს გასაკეთებელს შავტუხაც გააკეთებდა.

ერთ საათში კადილაკით დავბრუნდი. მაშინვე მივხვდი, რომ ჩხუბი — ყოვლად მარტივად დასრულებულიყო. ხაბაზი დაჭმუჭნილი ჩანდა, ტანსაცმელზე ლოგინის ბუმბულები ეკიდა, სამაგიეროდ, შავტუხა ბრწყინავდა, ძუძუებს დააქანავებდა და მაძღარი, მრავლისმთქმელი ღიმილით იღიმებოდა. გამოეცვალა და თხელი, ტანზე მომდგარი აბრეშუმის კაბა ეცვა. წამი იხელთა და თვალი ჩამიკრა, ყველაფერი მოგვარდაო. მანქანა საჩვენებლად გა-

ვატარე. შავტუხა განიერ სავარძელში ნებივრობდა გაუჩერებლად ტლიკინებდა. დიდი სიამოვნებით გადავაგდებდი ფანჯრიდან, მაგრამ ჯერ კიდევ მჭირდებოდა. ჩემ გვერდით ხაბაზი საკმაოდ მოწყენილი იყო. თავის ფულს წინასწარ გლოვობდა — ეს ხომ ამქვეყნად ყველაზე გულწრფელი გლოვაა.

ხაბაზის სახლთან მივედით და ისევ ბინაში დავბრუნდით ხაბაზი ფულის მოსატანად გავიდა. ბერიკაცს დაემსგავსა და შევამჩნიე, რომ თმა შეღებილი ჰქონდა, შავტუხამ კაბაზე ხელი დაისვა — გამოგვივიდა, რას იტყვი?

— ჰო, — ვუთხარი უკმეხად.

— ჰოდა, ასი მარკა ჩამოყარე...

— რას ამბობ... — ვუთხარი მე.

— ბებერი, ძუნწი ვაცი, — ჩამჩურჩულა, გამანდო და ახლოს მოიწია, თივასავით აქვს ფული! მაგრამ სანამ რამეს იკისრებს! ანდერძის დაწერაც კი არ უნდა. ცხადია, ყველაფერი ბავშვებს ერგებათ, და ჩვენნაირი დარჩება ასე! მე შენ გეტყვი და სასიამოვნოა ამ ნანგრევთან... კიდევ უფრო მომიახლოვდა და ძუძუები შეარხია.

მაშ, ხვალ იმ ას მარკაზე მოგაკითხავთ. როდის ხართ ხოლმე? თუ აქ გამომივლით? — ჩაიხითხითა, — ხვალ, ნაშუადღევს, მარტო ვიქნები... — გამოგიგზავნით... — ვუთხარი მე.

ხითხითს განაგრძობდა — თქვენ თვითონ მოიტანეთ. რა, გეშინიათ? — როგორც ჩანს, მორცხვი ვეგონე და უნდოდა, გასაგებად აეხსნა, რაზე იყო ლაპარაკი. — არ მეშინია, — ვუთხარი მე, — მაგრამ ვერ მოვიცლი. ზუსტად ხვალ ექიმთან ვარ მისასვლელი. ათაშანგი, თან კაი ძველი, ხომ გესმით სიცოცხლეს გაუმწარებს კაცს...

უკან დაიხია, ისე სწრაფად, რომ კინაღამ პლუშის სავარძელს გადააწყდა. იმწამს ხაბაზიც შემოვიდა. შავტუხას უნდობლად გა-

ხედა. მერე ფული მაგიდაზე ჩამითვალა. ნელა და ჭოჭმანით ითვლიდა. ოთახის ვარდებიან შპალერზე მისი ჩრდილი ირწეოდა — ისიც ითვლიდა. სანამ ქვითარს ვავსებდი, გამახსენდა, რომ დღეს ეს უკვე მოხდა, უბრალოდ, ჩემ ადგილას ფერდინანდ გრაუ იყო. არაფერი, მაგრამ უცნაურად მეჩვენა. გარეთ გასვლა გამიხარდა. ზაფხულის რბილი ჰაერი დამხვდა. ქუჩის პირას კადილაკი ლაპლაპებდა.

— დიდი მადლობა, მოხუცო, — ვუთხარი და რადიატორის თავსახურზე დავუკაკუნე, — მალე კვლავ ჩაგედინოს საგმირო საქმეები!

15

მინდვრებს ნათელი, მბრწყინავი დილა დასდგომოდა, მე და პატი ტყის პირას ვისხედით და ვსაუზმობდით, ორკვირიანი შვებულება ავიღე და პატთან ერთად გზას გავუდექი, ზღვაზე მივდიოდით.

ჩვენ წინ, გზაზე, პატარა, ძველი სიტროენი იდგა. ხაბაზის ფორდის ფასში გამოვქვითეთ, და კიოსტერმა შვებულების დროს მათხოვა. ჩემოდნებით დახუნძლული სიტროენი მოთმინებით აღსავსე ვირს ჰგავდა — იმედია, გზაში არ დაიშლება, — ვთქვი მე.

— არ დაიშლება, — მიპასუხა პატმა.

— რა იცი?

— ვიცი. იმიტომ რომ ჩვენი არდადეგებია, რობი.

— შეიძლება, — ვუთხარი მე, — მაგრამ მე მის უკანა ღერძს ვიცნობ. სევდიანი სურათია. განსაკუთრებით, თუ დატვირთე.

— კარლის ძმაა. გაუძლებს.

— კაი რაქიტული ძმა კია.

— ღმერთს ნუ სცოდავ, რობი. ამწამს ეს ყველაზე კარგი მანქანაა რაც კი ოდესმე მინახავს.

ცოტა ხანს მინდორზე გვერდიგვერდ ვიწექით. ტყიდან რბილი და თბილი სიო უბერავდა, ფისის და ბალახების სურნელი მოჰ-ქონდა, — მითხარი, რობი, — მომმართა ცოტა ხანში პატმა, — იქ, ნაკადულთან მეორე ნაპირზე, ის რა ყვავილებია?

— ანემონები, — ვუპასუხე ისე, რომ არც გამიხედავს.

— კარგი რა, საყვარელო! სადაური ანემონებია, ანემონები ბევრად უფრო პატარაა; თან მხოლოდ გაზაფხულზე ყვავის.

— სწორია, — ვუთხარი, — ეს არის კარდამინები.

თავი გააქნია.

— კარდამინები ხომ ვიცი. ესენი სულ სხვანაირია — მაშინ ცი-კუტა.

— კარგი, რა, რობი! ციკუტა წითელი კი არა თეთრია — მაშინ არ ვიცი. აქამდე, თუ ვინმე მეკითხებოდა, ამ ყვავილის სახელით გავდიოდი ფონს, ყოველთვის მიჯერებდნენ.

გაიცინა.

— აფსუს., ეგ რომ მცოდნოდა, ანემონებსაც დაგჯერდებოდი.

— ციკუტა, — ვუთხარი მე, — ყველაზე მაგრად ციკუტა მიმარ-თლებდა.

წამოიმართა.

— სახალისო ამბავია! ხშირად გეკითხებოდნენ ხოლმე?

— არც ისე. თან, სულ სხვა ვითარებაში.

პატი ხელებით მიწას დაეყრდნო.

— ისე, სირცხვილია, მიწაზე რომ დავდივართ და მის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ერთი-ორი სახელწოდება რაღა გახდა.

— ნუ იდარდებ, — ვუთხარი მე — ბევრად მეტი, სირცხვილია, ის რომ არ იცი, მიწაზე საერთოდ, რისთვის დადიხარ ორიოდ სა-ხელწოდებით მეტის ან ნაკლების ცოდნა არაფერს წყვეტს.

— ეს შენ გგონია. მე კი მგონია, რომ სიზარმაცე გალაპარაკებს მოვტრიალდი.

— რასაკვირველია.: მაგრამ სიზარმაცის თაობაზე ჯერ საკმარისად არავინ დაფიქრებულა. სიზარმაცე ყოველგვარი ბედნიერების საწყისი და ყოველგვარი ფილოსოფიის დასასრულია. მოდი, დაწექი, რა ადამიანი მეტისმეტად ცოტა ხანს წევს. სულ დგას ან ზის. ცხოველქმედებისთვის ეს არ კმარა. საკუთარ თავთან თანხმობა მხოლოდ დაწოლილს თუ გექნება. მანქანის ზუზუნი გაისმა. ჩაგვიარა.

— პატარა მერსედესი, — არც კი წამოვმდგარვარ — ოთხცილინდრიანი — აი, კიდევ მოდის, — მითხრა პატმა.

— კი, მესმის. ეს რენოა ღორის დინგივით რადიატორი აქვს?

— კი.

— მაშ, რენოა დაიცა; გესმის? ახლა კი მართლაც მაგარი რამე მოდის. ლანჩია! იმ ორს ალბათ ისე მიერეკება როგორც მგელი — ერკემლებს! ძრავას მოუსმინე! ორღანივითაა!

მანქანამ ჩაიქროლა.

ამ საქმეში სამ სახელწოდებაზე მეტიც გეცოდინება არა? — მკითხა პატმა.

— აბა, რა, თან სწორადაც კი ვიცი.

გაიცინა.

— მერე ეს სევდიანი ამბავი არაა?

— სულაც არაა სევდიანი ბუნებრივია ზოგჯერ ერთი კარგი მანქანა ოც ყვავილებიან მდელოს მირჩევნია.

— მეოცე საუკუნის ხისტო შვილო! სულ არ ხარ სენტიმენტალური... — როგორ არა, ხომ მომისმინე, როცა საქმე მანქანებს ეხება... შემომხედა.

— მეც ასე ვარ, — მითხრა მან.

ნაძვნარიდან გუგულის ხმა მოისმა. პატმა დათვლა დაიწყო.

— ამას რატომ აკეთებ? — ვკითხე მე.

არ იცი? რამდენჯერაც დაიძახებს, იმდენი წელი დაგრჩენია.

— ა, ჰო. მე სხვაც ვიცი. გუგული როცა იძახის, ფული უნდა აიჩხრიალო. გამრავლდება.

— ჯიბიდან ხურდა ამოვიღე და მუჭში მაგრად დავაჩხრიალე — რა კაცი ხარ, — გაიცინა პატმა, — მე სიცოცხლე მინდა და შენ — ფული. — იმისთვის, რომ ვიცოცხლო, — მივუგე მე, — ჭეშმარიტი იდეალისტი ფულისკენ ილტვის. ფული თავისუფლებაა. თავისუფლება კი — სიცოცხლე.

— თოთხმეტი, — ითვლიდა პატი, — ადრე სხვანაირად ლაპარაკობდი. — ეს ბნელ დროს იყო. ფულზე აგდებით არ უნდა მელაპარაკა. ფულის გამო ბევრი ქალი შეყვარებულიც კია ხოლმე. სამაგიეროდ, სიყვარულის გამო მრავალი მამაკაცი ფულს ხარბდება. ასე რომ, ფული იდეალების მამოძრავებელი ძალაა: სიყვარული მატერიალიზმის წილ.

— დღეს კარგი დღე გაქვს, — მომიგო პატმა, — ოცდათხუთმეტი. მე განვაგრძობდი:

— მამაკაცი ფულს ქალის სურვილების გამო ხარბდება ქალები რომ არა, არც ფული იარსებებდა, და მამაკაცები გმირები იქნებოდნენ. სანგრებში ქალები არ იყვნენ, და არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის რა ებადა — მთავარი ის იყო, რა კაცი იყავი. ეს სანგრების სასარგებლოდ კი არ მითქვამს, სიყვარულის სწორად გაშუქება მინდა. ის ადამიანებში ცუდ ინსტინქტებს აღვიძებს: მფლობელობის, შეფასების, ფულის კეთების, სიმშვიდის მოთხოვნილებებს. ტყუილად კი არ უხარიათ დიქტატორებს დაქორწინებული ქვეშევრდომები — ისინი ნაკლებად სახიფათონი არიან, და ტყუილად კი არაა, კათოლიკე მღვდლებს ცოლები რომ არ ჰყავთ — სხვაგვარად ასეთი გულადი მისიონერები ვერ იქნებოდნენ. — მეტსაც გეტყვი, საარაკო დღე გაქვს, — მითხრა პატმა პატივისცემით, — ორმოცდათორმეტი.

ფული ისევ ჯიბეში ჩავიყარე და სიგარეტს მოვუკიდე.

— დიდხანს აპირებ თვლას? — ვკითხე მე, — მალე სამოცდაათ

წელს გადასცდები.

— ასი, რობი! ასი კარგი რიცხვია, ასამდე უნდა მივიდე.

— აი, მესმის გამბედაობა! მერე, რას აპირებ?

უც ებ გადმომხედა.

ვნახავ. მე ხომ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა აზრისა ვარ. — ეგ კი. ისე, ალბათ პირველი სამოცდაათი წელი გაგვიჭირდება. მერე ადვილად წავა.

— ასი! — მომახსენა პატმა და ავდექით კიდეც.

— ზღვა უზარმაზარი“ ვერცხლისფერი აფრასავით შემოგვეგება. უკვე კარგა ხანს ვგრძნობდით მის მარილიან სუნთქვას; ჰორიზონტი სულ უფრო ფართოვდებოდა და ნათდებოდა, და უცებ ჩვენ წინაშე ზღვაც გადაიშალა, აღელვებული, ძლევამოსილი და უსასრულო.

ერთ მოსახვევში გზა ზედ ზღვის პირს მიუყვებოდა. მერე ტყე იყო და ტყის მერე — სოფელი. ჩვენი საცხოვრებელი სახლის ამბავი ვიკითხეთ. სოფლიდან ოდნავ მოშორებით იდგა. მისამართი კიოსტერმა მოგვცა. ომის შემდეგ ერთი წელი იქ ჰქონდა გატარებული.

— პატარა, განმარტოებით მდგომი ვილა იყო. სიტროენით კოხტად შევუხვიე და დავასიგნალე. ერთ ფანჯარაში ფართო სახე გამოჩნდა, წამით უაზროდ მოგვაჩერდა და გაუჩინარდა.

— იმედია, ეს არაა მიულერის ქალი, — ვთქვი მე.

— რა მნიშვნელობა აქვს, რას ჰგავს, — მომიგო პატმა.

კარი გაიღო. დიდება ღმერთს, მიულერის ქალი ეს არ იყო. მოახლე გოგო ყოფილა. სახლის მფლობელი, ქალბატონი მიულერი, ერთ წუთში გამოჩნდა. შინაბერა, პაწაწინა, თმაშევერცხლილი ქალი. დახურული, შავი კაბა ეცვა და მკერზე ოქროს ჯვარი ჰქონდა დაბნეული.

გულსაბნევს შევხედე და პატს ჩავჩურჩულე:

— წინდები ჩაიცვი, პატ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— რამდენადაც ვიცი, ბატონმა კიოსტერმა ჩვენ შესახებ უკვე მოგახსენათ, — ვუთხარი მე.

— კი, დეპეშა გამომიგზავნა, რომ მობრძანდებოდით. — გულმოდგინედ მათვალიერებდა, — როგორაა ბატონი კიოსტერი?

— ოჰ, შესანიშნავად... რამდენადაც ეს დღეს შესაძლებელია. თავი დამიქნია და ჩემი თვალიერება განაგრძო — დიდი ხანია, იცნობთ?

„გამოცდას მიტარებს“, გავიფიქრე, და მოვახსენე, ოტოს როდიდან ვიცნობდი. თითქოს კმაყოფილი დარჩა. პატი მოგვიახლოვდა. წინდები ჩაეცვა. ქალბატონ მიულერს მზერა გაუთბა, როგორც ჩანს, პატის მიმართ მეტი წყალობა გამოიჩინა.

— ჩვენთვის ოთახი გექნებათ? — ვკითხე მე.

— თუ ბატონი კიოსტერი დეპეშას გამომიგზავნის, ოთახს ყოველთვის დაგახვედრებთ, — ამიხსნა ქალბატონმა მიულერმა და ცოტა აგდებით გადმომხედა, — საუკეთესოსაც კი, — მიმართა პატს.

პატმა გაუღიმა. ქალბატონმა მიულერმაც გაუღიმა.

— გაჩვენებთ, — გვითხრა მან.

პატარა ბაღის ვიწრო გზას გვერდიგვერდ გაუყვნენ. მე უკან მივაბოტებდი და, როგორც ჩანს, ზედმეტი ვიყავი, რადგან ქალბატონი მიულერი მხოლოდ პატს მიმართავდა.

ოთახი, რომელიც გვაჩვენა, ქვედა სართულზე იყო. ბაღიდან საკუთარი შესასვლელი ჰქონდა. ეს ძალიან მომეწონა. საკმაოდ დიდი იყო, „ნათელი და ხალისიანი. კუთხეში, ერთგვარ ნიშაში, ორი ლოგინი იდგა. — აბა? — იკითხა ქალბატონმა მიულერმა.

— ძალიან კარგია, — თქვა პატმა.

— დიდებულიც კი, — დავძინე მე, რომ ქალისთვის თავი მომექონა, — მეორე?

ქალბატონი მიულერი ნელა მომიტრიალდა.

— მეორე? რა — მეორე? სხვა გინდათ? ეს არ მოგწონთ?

იმის თქმას ვაპირებდი, რომ ორი ოთახი გვჭირდებოდა, მაგრამ მან იქვე განაგრძო:

— თქვენს მეუღლეს ხომ ძალიან მოსწონს...

მეუღლე... მომეჩვენა, რომ ერთი ნაბიჯი უკან გადავდგი მაგრამ არ გავნძრეულვარ ფრთხილად გავხედე პატს, რომელიც ფანჯარასთან იყო კედელს მიყრდნობილი და ჩემი შემყურე სიცილს ძლივს იკავებდა. — ჩემი მეუღლე, რასაკვირველია... — ვთქვი და ქალბატონი მიულერის ყელზე ოქროს ჯვარს მივაჩერდი. რა გაეწყობოდა, ახსნა-განმარტებას ხომ არ დავიწყებდი. ერთს შეჰყვირებდა და გული წაუვიდოდა.

— უბრალოდ, ცალ-ცალკე ოთახებში ძილს ვართ მიჩვეული ის — თავისაში მე — ჩემსაში.

ქალბატონმა მიულერმა აგდებით გააქნია თავი.

— წყვილისთვის — ორი ოთახი... ეს რა, ახალი მოდაა?

— სულაც არა, — ვთქვი, სანამ რამე ეჭვი გაუჩნდებოდა, — უბრალოდ, ჩემს ცოლს ძალიან ფხიზელი ძილი აქვს. მე კი, სამწუხაროდ, ძალიან ხმამაღლა ვხვრინავ.

— მაშ, ხვრინავთ, ჰო? — მომიგო ქალბატონმა მიულერმა, გეგონება, ასეც იცოდაო.

შემეშინდა, ზემოთ, მეორე სართულზე მომცემს მეთქი ოთახს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქორწინება მისთვის წმინდათა წმინდა იყო. გვერდით კარი გამოაღო. პატარა ოთახში ერთადერთი ლოგინი იდგა.

— შესანიშნავია, — ვთქვი მე, — სავსებით საკმარისია. სხვას არავის შევაწუხებ? — მაინტერესებდა, მარტონი თუ ვიყავით.

— არავის არ შეაწუხებთ, — მომახსენა ქალბატონმა მიულერმა და — უცებ ადამიანურად მითხრა, — თქვენ გარდა აქ არავინ ცხოვრობს. ყველა სხვა ოთახი ცარიელია. — წამით გაჩერდა, მერე თავი ხელში აიყვანა — ჭამას აქ ინებებთ თუ სასადილო ოთახში?

— აქ, — მივუგე მე.

მან თავი დამიქნია და გავიდა.

— აბა, ქალბატონო ლოკამპ, — ვუთხარი პატს, — მაშ, აქ ვართ. ისე, თვალებს არ ვუჯერებდი, ბებერი ეშმაკი როგორი ეკლესიური იყო! როგორც ჩანს, არც მე მოვეწონე. არადა, სასაცილოა, აქამდე დედაბრებთან მუდამ მიმართლებდა.

— ეს დედაბერი არაა, რობი. ძალიან სასიამოვნო, მოხუცი ქალბატონია. — სასიამოვნო? — მხრები ავიჩეჩე, — კი, თავის დაჭერა შეეძლო. სახლში კაციშვილი არ ჭაჭანებს, ამას კი როგორი მედიდური...

— სულაც არ იყო ასეთი მედიდური.

— შენთან — არა.

პატმა გაიცინა.

— მე მომეწონა. წამო, ჩემოდნები მოვიტანოთ და საბანაო ნივთები ამოვალაგოთ.

ერთი საათი ვცურავდი და სანაპიროზე მზეს ვეფიცხებოდი. პატი ჯერაც წყალში იყო. მისი თეთრი საბანაო ქუდი ლურჯ ტალღებში ირწეოდა რამდენიმე თოლია ჭყიოდა გემი ჰორიზონტს ნელა მიუყვებოდა და ბოლს მიაფრიალებდა.

მზე აცხუნებდა. წინააღმდეგობა ამაო იყო — რული მომერია, ფიქრები გამეფანტა. თვალები დავხუჭე და გავიშოტე. ცხელი ქვიშა ჩხრიალებდა. სუსტი მოქცევის ხმაური ჩამესმოდა. რაღაც გამახსენდა ერთი დღე, როცა ასევე ვიწექი...

1917 წლის ზაფხული იდგა. იმხანად ფლანდრიაში ვიყავით დაბანაკებული და სრულიად მოულოდნელად ოსტენდეში მოგვცეს შვებულება, მე, მეიერს, ჰოლტჰოფს, ბრეიერს, ლიუტგენს და კიდევ რამდენიმე კაცს. მრავალი ჩვენგანი მანამდე ზღვაზე არც ყოფილა, და ის რამდენიმე დღე, ის დაუჯერებელი შესვენება სიკვდილსა და სიკვდილს შორის, მზეს, ქვიშას და ზღვას გიჟურად

მივუძღვენით. მთელ დღეს სანაპიროზე ვატარებდით, შიშველ სხეულებს მზეს ვუფიცხებდით — ის, რომ ფორმა და იარაღი არ გვქონდა ასხმული და შიშვლები ვიყავით, უკვე თითქმის მშვიდობა იყო. სანაპიროზე დავქროდით და კვლავ და კვლავ ზღვაში შევრბოდით, მთელი ძალით ვგრძნობდით ჩვენს სხეულებს, ჩვენს სუნთქვას, ჩვენს მოძრაობებს, ყველაფერი დავივიწყეთ და ყველაფრის დავიწყება გვინდოდა. მაგრამ საღამოს, როცა ბინდი ჩამოწვა, როცა მზე ჩავიდა და ფერწასულ ზღვას ჰორიზონტიდან ჩრდილებმა გადაურბინა, მოქცევის გრუხუნს სხვა ხმაც შეერია, იმძლავრა და ბოლოს ყველა ხმა გადაფარა, დაგვემუქრა: ფრონტის ქვემეხების გრიალი იყო. მერე საუბარი უფერულმა დუმილმა შეგვაწყვეტინა, თავები წამოვწიეთ, მივაყურადეთ, და თამაშით დაღლილი ბავშვების სახეები კვლავ ჯარისკაცულ სახეებად გადაიქცა, და ზედ წამით კიდევ კრთოდა გაკვირვება, დარდი, რომელიც ყველაფერს მოიცავდა, რაც არასდროს თქმულა: სიმამაცე და სიმწარე და სიცოცხლის წყურვილი, მოვალეობის შესრულების ნება, სასოწარკვეთა, იმედი და ადრიანად დაღდასმულთა გასაოცარი სევდა. რამდენიმე დღეში დიდი შეტევა დაიწყო, სამ ივლისს ასეულში მხოლოდ ორას ოცდაათი კაცი დარჩა და მეიერი ჰოლტჰოფი და ლიუტგენი მოკლეს.

— რობი! — დამიძახა პატმა.

თვალები გავახილე. წამით ვერ მივხვდი, სად ვიყავი, ომის მოგონებებს ყოველთვის სხვაგან მივყავდი ხოლმე.

წამოვიმართე პატი წყლიდან ამოვიდა. ზღვაზე გაწოლილ მზის სხივში მოაბიჯებდა, ნათელი მხრებზე ეფინებოდა, ისეთ ნათელში იყო, რომ თავად ლამის შავი ჩანდა. სანაპიროზე გადადგმულ ყოველ ნაბიჯთან ერთად ამ დიდ ნათელში ზემოთ მიიწევდა, სანამ საღამოს მზე შარავანდედად არ დაადგა.

— წამოვხტი. ეს სურათი უცებ სხვა სამყაროს ჰგავდა: გაშლილი, ლურჯი ცა, ზღვის თეთრი ქაფის რიგები და წინ — ლამაზი,

თხელი სხეული... — თითქოს დედამიწაზე მარტო მე ვიყავი და წყლიდან პირველმა ქალმა გადმოაბიჯა. წამით სილამაზის უზარმაზარი, ჩუმი ძალა ვიგრძენი და მივხვდი, რომ ის უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მთელი ჩემი სისხლიანი წარსული, რომ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, თორემ სამყარო დაიქცეოდა, სხვაგვარად თავის საშინელ აურზაურში ჩაიხრჩობოდა. და ისიც ვიგრძენი, რომ აქ ვარ, უბრალოდ, აქ ვარ, და რომ პატი აქაა, და რომ ცოცხალი ვარ, შიშს თავი დავაღწიე, რომ თვალები, ხელები და ფიქრები მქონდა და სისხლის ცხელი ტალღები, და ეს ყველაფერი წარმოუდგენელი სასწაული იყო.

— რობი! — გაიმეორა პატმა და ხელი დამიქნია.

მის ხალათს დავწვდი და სწრაფად მივეგებე.

— ძალიან დიდხანს იყავი წყალში, — ვუთხარი მე.

— სულ არ მცივა, — მომიგო სუნთქვაშეკრულმა.

სველ მხარზე ვაკოცე.

— თავიდან ცოტა ფრთხილად უნდა იყო.

თავი გააქნია და გაბრწყინებულმა შემომხედა.

— მეყო, რაც ვიფრთხილე.

— ვითომ?

— რასაკვირველია. მეტისმეტიც კი იყო! აღარ მინდა ეს სიფრთხილე! — გაიცინა და ლოყა სახეზე მომადო.

— აღარ ვიფრთხილოთ, რობი! არ ვიფიქროთ, საერთოდ, არაფერზე ვიფიქროთ, მარტო ჩვენზე და მზეზე და არდადეგებზე და ზღვაზე!

— კარგი, — ვუთხარი და პირსახოცი ავიღე, უნდა გაგამშრალო ასე გარუჯვა როდის მოასწარი?

ხალათი ჩაიცვა.

— ეს იმდროინდელი ამბავია, როცა ფრთხილად ვიყავი. ყოველდღე ერთი საათი მიწევდა აივანზე, მზეზე წოლა. და საღამოს რვაზე უნდა დამეძინა ხოლმე. დღეს რვაზე კიდევ ვიცურავებ.

— ვნახოთ, — ვუთხარი მე, — გეგმებში ადამიანები მაგრები არიან, განხორციელებაში მოიკოჭლებენ. მაგასაც თავის ეშხი აქვს.

საღამოს ცურვა ჩაიშალა. სოფელში გავიარეთ და ბინდში სიტროენით ვიარეთ. მერე, უცებ, პატი ძალიან დაიღალა და შინ დაბრუნება მოუნდა. ეს უწინაც ხშირად შემიმჩნევია — გაბრწყინებული და სიცოცხლით სავსე უცებ დაიქანცებოდა ხოლმე. არც ძალა ჰქონდა, არც ამტანობა, არადა, სულ არ ეტყობოდა. მთელ თავის ძალას ხარჯავდა, იფიქრებდი, რომ მისი მოხდენილი სინორჩე დაუღალავი იქნებოდა — და უცებ ფერი მისდიოდა, თვალებთან ჩრდილი წვებოდა. ეს დასასრული იყო. ნელ-ნელა არ იღლებოდა ხოლმე, ერთ წამში ეცლებოდა ძალა.

— სახლში წავიდეთ, რობი, — მითხრა მან, და მისი ბოხი ხმა ჩვეულებრივზე ხრინწიანად ჟღერდა.

— სახლში? ჯვრით მკერდდამშვენებულ ქალბატონ ელფრიდე მიულერთან? ვინ იცის, ამ დროში კიდევ რა მოიგონა ეშმაკმა.

— სახლში, რობი, — თქვა პატმა და დაქანცული მხარზე მომეყრდნო, — ეს ჩვენი სახლია.

ცალი ხელი საჭეს გავუშვი და მხარზე მოვხვიე ასე, ნელა მივდიოდით ლურჯ, ნისლიან ბინდბუნდში, და ბოლოს, როცა პატარა სახლის განათებული ფანჯრები დავინახეთ, ჭალაში ბნელი ნადირივით შეყუჟული, მართლაც შინ დაბრუნების განცდა გვქონდა, ქალბატონი მიულერი გველოდა. გამოეცვალა, ამჯერად შავი შალის კაბის ნაცვლად შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, ისიც პურიტანული თარგით შეკერილი. გულის ნაცვლად გულის, ღუზისა და ჯვრის ემბლემა ეკეთა — რწმენის, იმედის და სიყვარულის ეკლესიური სიმბოლო.

ამჯერად ბევრად უფრო კეთილად მოგვექცა, ვიდრე ნაშუადღევს, და გვკითხა, ვახშმად კვერცხებს, ცივ ხორცსა და შებოლილ

თევზს თუ მივირთმევდით — რა ვიცი, — ვუთხარი მე.

— რას იტყვით? ახალგამოყვანილი კამბალაა. — ცოტა შიშით შემომცქეროდა.

— რასაკვირველია, — ვუთხარი გულგრილად.

— ახალგამოყვანილი კამბალა უგემრიელესი იქნება, — განაცხადა პატმა და საყვედურით გადმომხედა, — საუკეთესო ვახშამია, ზღვაზე პირველივე დღეს უკეთესს ვერაფერს ვინატრებთ, ქალბატონო მიულერ. კარგი ცხელი ჩაიც თუ იქნება...

— აბა, რა! ქაფქაფა ჩაი! სიამოვნებით! ახლავე მოვატანინებ — ქალბატონ მიულერს გულზე მოეშვა და აბრეშუმის კაბის შრიალით სასწრაფოდ გავიდა.

— თევზი მართლა არ გიყვარს? — მკითხა პატმა.

— თან როგორ მიყვარს! კამბალა! რა ხანია, ამაზე ვოცნებობ. — და თავი ასე ამპარტავნად გიჭირავს? აი, ეს მესმის!

— დღეს ნაშუადღევს როგორ შეგვხვდა? ხომ უნდა გადამეხადა! — ღმერთო ჩემო! — პატმა გაიცინა, — არაფერი გამოგეპაროს! რა ხანია, დამავიწყდა.

— მე კი — არა, — მივუგე პასუხად, — ასე იოლად არ ვივიწყებ ხოლმე. — არადა, კი უნდა ივიწყებდე.

მოახლემ სინი მოიტანა. კამბალას კანს ოქროსფერი ტოპაზის ფერი დაჰკრავდა და ზღვისა და კვამლის სურნელი ჰქონდა ახალთახალი ხამანწკებიც მოგვართვეს.

— დავიწყებას ვიწყებ, — ვთქვი მიბნედილმა, — თან ვატყობ, რომ სასტიკად მომშიებია.

— მეც. მაგრამ ჯერ ცხელი ჩაი მომაწოდე, რა. უცნაურია, მაგრამ ვიყინები. არადა, გარეთ როგორ თბილა.

შევხედე. ფერმიხდილი იყო, თუმცა იღიმებოდა.

— დიდხანს ცურვაზე კრინტი აღარ დაძრა, — ვუთხარი და მოახლე გოგოს მივმართე, — რომი ხომ არ გექნებათ?

— ბატონო?

— რომი. სასმელია, ბოთლში — რომი?

— ჰო.

— არა.

ნამცხვრის ცომისგან გაკეთებული ბადრი მთვარის პირისახე უაზროდ მომჩერებოდა.

— კარგი, — მივუგე მე, — ეგ არაფერია. კარგად იყავით უფალი გფარავდეთ.

გოგო გაუჩინარდა.

— რა ბედნიერებაა, პატ, რომ ასეთი შორსმჭვრეტელი მეგობრები გვყავს, — ვუთხარი მე, — დღეს დილით, გამომგზავრებისას, ლენცმა საკმაოდ მძიმე ყუთიც ჩამიდგა მანქანაში. ვნახოთ, რაა.

პაკეტი მანქანიდან ამოვიღე. შიგ ყუთი დამხვდა, ორი ბოთლი რომი, ერთი ბოთლი კონიაკი და ერთი ბოთლი პორტვეინი. დავათვალიერე. — თან სენტ ჯეიმსის რომი! ამ ბიჭს არაფერი ეშლება!

საცობი ამოვაძრე და პატს ჩაიში ბლომად ჩავუსხი. შევამჩნიე, რომ ხელი ოდნავ უკანკალებდა.

— ასე გცივა? — ვკითხე მე.

— წამით შემამცივნა. ახლა აღარ. რომი მესიამოვნა. მაგრამ მალე დავწვები.

— ახლავე დაწექი, პატ, — ვუთხარი, — მაგიდას ლოგინთან დავდგამ და ასე ვივახშმოთ.

დამთანხმდა. ჩემი ლოგინიდან კიდევ ერთი საბანი მოვიტანე და მაგიდა ლოგინთან მივაჩოჩე.

— იქნებ კარგი გროგი გერჩივნოს, პატ? ეგ ჯობია. უცებ გავაკეთებ თავი გააქნია.

— უკვე კარგად ვარ.

შევხედე. მართლა უკეთ გამოიყურებოდა. თვალები ისევ უციმციმებდა, ბაგე ძალიან წითელი ჰქონდა და კანი მკრთალად გაუნათდა.

— საოცარია, რა სწრაფად იმოქმედა, — ვუთხარი მე, — რომის ამბავი იქნება.

გამიღიმა.

— ლოგინის დამსახურებაცაა რობი. ლოგინში ყველაზე კარგად ვისვენებ. ეს ჩემი თავშესაფარია, — უცნაურია. ასე ადრე ლოგინში რომ ჩამაწვინო, გავგიჟდები. ანუ, მარტო, ეგ ვიგულისხმე.

გაიცინა.

ქალისთვის ცოტა სხვაა.

— ქალისთვისო, ნუ ამბობ. შენ ქალი არა ხარ.

— აბა, რა ვარ?

— არ ვიცი. მაგრამ ქალი — არა. ნამდვილი ნორმალური ქალი რომ იყო, ვერ შეგიყვარებდი.

მომაცქერდა.

— საერთოდ, სიყვარული შეგიძლია?

— რა ვიცი, — ვუთხარი. — განსაკუთრებით, ვახშმობისას. კიდევ გაქვს მსგავსი შეკითხვა?

— შეიძლება. მაგრამ ამ კითხვაზე რას მიპასუხებ?

რომი დავისხი.

— გაგვიმარჯოს, პატ! შეიძლება, მართალი ხარ. ეგებ არავისაც არ შეგვიძლია. ისე, როგორც უწინ უყვარდათ, ამას ვგულისხმობ. მაგრამ ამის გამო უარესად კი არ გვიყვარს. უბრალოდ, სხვანაირად. სხვაგვარად აღვიქვამთ.

კაკუნი გაისმა. ქალბატონი მიულერი შემოვიდა. ხელში ერთი ციცქნა მინის დოქი ეჭირა, რომელშიც რაღაც სითხე დაქანაობდა, სულ ცოტა.

— რომი მოგიტანეთ.

— გმადლობთ, — ვუთხარი და მინის სათითე გულაჩუყებულმა შევათვალიერე, — ძალიან მადლობელი ვართ, მაგრამ თავს უკვე ვუშველეთ.

— ღმერთო ჩემო! — მაგიდაზე დამწკრივებული ოთხი ბოთლი

შეშინებულმა დაათვალიერა, — ამდენს სვამთ?

— მხოლოდ წამლად, — ნაზად ვუპასუხე და პატს თვალი ავარიდე, — ექიმმა გამომიწერა. მეტისმეტად მშრალი ღვიძლი მაქვს, ქალბატონო მიულერ. ხომ არ დაგვეწვევით?

პორტვეინის ბოთლი გავხსენი.

— გაგიმარჯოთ! ეს სახლი მალე სტუმრებით გავსებულიყოს — დიდი მადლობა! — ამოიოხრა. ოდნავ დაიხარა და ჩიტივით მოსვა. — კარგი არდადეგებისა იყოს. — მერე კი ეშმაკურად გამიღიმა, — რა მაგარი ყოფილა. კარგია.

— ამ გარდაქმნის დანახვაზე კინაღამ ჭიქა ხელიდან გამივარდა. ქალბატონ მიულერს ლოყები შეეფაკლა და თვალები აუციმციმდა. ათას რამეზე ალაპარაკდა, რაც სულ არ გვაინტერესებდა. პატს ანგელოზის მოთმინება აღმოაჩნდა. ბოლოს ქალი მე მომიბრუნდა — მაშ, ბატონი კიოსტერი კარგადაა?

თავი დავუქნიე.

— მაშინ სულ ჩუმად იყო, — მითხრა მან, — ხშირად რამდენიმე დღე ისე გადიოდა, ხმას არ იღებდა. ახლაც ასეა?

— რა ვიცი, ახლა ზოგჯერ ლაპარაკობს ხოლმე.

— თითქმის ერთი წელი იყო აქ. სულ მარტო...

— ჰო, — ვუთხარი მე, — ასეთ დროს სულ უფრო ნაკლებს ლაპარაკობ კაცი, თავი სერიოზულად დამიქნია და პატს გახედა — დაღლილი იქნებით.

— ცოტა, — უთხრა პატმა..

— ძალიან, — დავსძინე მე.

— აბა, წავალ! — გვითხრა შეშინებულმა, — ღამე მშვიდობისა! ძილი ნებისა!

დამფრთხალი წავიდა.

— მე მგონი, დარჩენა უნდოდა, —ვთქვი მე, რა უცნაური იყო, არა? — საწყალი ქალი, — მითხრა პასუხად პატმა, — ალბათ, ყოველ საღამოს ოთახში მარტო ზის და დარდობს.

— ჰო, კი... მაგრამ, მე მგონი, მაინც ძალიან კარგად ვიქცეოდი. — კი, ნამდვილად. — ხელზე ხელი გადამისვა, — კარი ოდნავ გამოაღე, რა, რობი.

ავდექი და კარი გავაღე. ცა ოდნავ მოწმენდილიყო და ბილიკს, ზედ ოთახამდე, მთვარის შუქი ეცემოდა. ბაღი თითქოს კარის გაღებას ელოდა — უცებ ღამის სურნელი შემოიჭრა, ლევკოიონის, რეზედის და ვარდის სურნელი და მთელი ოთახი აავსო.

— ნახე, რა, — ვუთხარი და გარეთ გავახედე.

მთვარის შუქმა იმატა და მთელი ბილიკი გაანათა. თავდახრილი ყვავილები ბილიკის პირს მიუყვებოდნენ, ფოთლები მოსევადებულ ვერცხლს — მიუგავდათ, და გაშლილ კვირტებს, დღისით რომ ათასფრად ანათებდნენ, მკრთალი, პასტელის ფერები დაჰკრავდათ, ჯადოსნურად და ნაზად. მთვარის შუქმა და ღამემ ფერებს ძალა გამოაცალა, სამაგიეროდ, სურნელი უფრო სავსე და ტკბილი იყო, ვიდრე დღის განმავლობაში.

— პატს გავხედე. შავთმიანი, ნაზი, თხელი და სათუთი თავი თეთრ ბალიშზე დაედო. სუსტი იყო, მაგრამ მისი სისუსტე იდუმალი ჩანდა, როგორც ყვავილისა — ბინდში და მთვარის ლიცლიცა შუქში.

ცოტა წამოიწია.

— მართლა ძალიან დავიღალე, რობი. საშინელებაა?

ლოგინზე ჩამოვუჯექი.

— სულაც არა. ტკბილად დაგეძინება.

— მაგრამ შენ ხომ არ გეძინება.

— ცოტა ხნით სანაპიროზე გავალ.

თავი დამიქნია და კვლავ დაწვა. ცოტა ხანს ვიჯექი.

— ღამით კარი ღია დატოვე, — მითხრა რულმოკიდებულმა, — ვითომ ბაღში გვძინავს... — ახლა უფრო ღრმად სუნთქავდა. ჩუმად ავდექი და ბაღში გავედი. ხის ღობესთან გავჩერდი და სიგარეტი მოვწიე. აქედან ოთახი მოჩანდა. სკამის საზურგეზე პატის

ხალათი იყო გადაკიდებული, ზედ კაბა და რაღაც თეთრეული მიეგდო, იატაკზე, სკამთან, მისი ფეხსაცმელი ეწყო. ერთი წაქცეულიყო. ამის შემყურეს სამშობლოს უცნაური შეგრძნება დამეუფლა, და ვიფიქრე, რომ აი, ვიღაც მყავს და მეყოლება, და სულ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა დამჭირდება, რომ დავინახო და მასთან ვიყო, დღეს, ხვალ და, ვინ იცის, ეგებ დიდხანსაც...

„ვინ იცის“, ვფიქრობდი მე, „ვინ იცის...“ — სულ ეს სიტყვები, სხვანაირად აღარ გამოდის! აი, რა მაკლდა: იმედი, ის, რაც ყველას და ყველაფერს გვაკლდა.

სანაპიროზე ჩავედი, ზღვასთან და ქართან, ყრუ ხმაურთან — თითქოს სადღაც, შორს, ქვემეხები ქუხდა.

16

სანაპიროზე ვიჯექი და მზის ჩასვლას ვუყურებდი. პატი არ გამომყვა. მთელი დღე შეუძლოდ იყო. რომ დაბნელდა, წამოვდექი, შინ დაბრუნებას ვაპირებდი, ტყის პირას მოახლე გოგო დავინახე. ხელს მიქნევდა და რაღაცას იძახდა. ვერ გავიგე — ქარის და ტალღების ხმაურში არაფერი მესმოდა. ხელი დავუქნიე, დამელოდე, მოვდივარ-მეთქი. მაგრამ არ გაჩერდა და ხელები პირთან მიიტანა. გავიგონე:

— ქალბატონი... ჩქარა...

გავიქეცი.

— რა მოხდა?

გულამოვარდნილი იყო.

— ჩქარა... ქალბატონი... უბედურებაა...

შინისკენ ტყეში მიმავალ ქვიშიან გზაზე გავრბოდი ბაღთან ხის კუტკარი ვერ გავაღე, გადავახტი და ოთახში შევვარდი. პატი ლოგინზე იწვა, სისხლიანი მკერდით, დაკრუნჩხული ხელებით, და პირიდან სისხლი სდიოდა. მის გვერდით, ტილოებით და წყლიანი ჯამით, ქალბატონი მიულერი იდგა.

— რა მოხდა? — შევძახე და ქალი განზე გავწიე.

რაღაც მითხრა.

— მიტკალი მოიტანეთ გადასახვევად — დავუყვირე, — სადაა ჭრილობა?

ტუჩებაკანკალებული შემომცქეროდა.

— ჭრილობა არა აქვს...

გავიმართე.

— სისხლდენაა... — თქვა მან.

თითქოს ჩაქუჩი ჩამარტყეს.

— სისხლდენა? — წამოვხტი და წყლიანი ჯამი გამოვტაცე — ყინული, ჩქარა, ყინული მოიტანეთ!

პირსახოცი დავასველე და პატს მკერდზე დავაფინე.

— ყინული არა გვაქვს, — მითხრა ქალბატონმა მიულერმა.

მოვტრიალდი. უკან დაიხია.

— საიდანმე მოიტანეთ, ღვთის გულისათვის, ვინმე დუქანში გაგზავნეთ და ექიმს დაურეკეთ, სასწრაფოდ!

— ჩვენ ხომ ტელეფონი არა გვაქვს...

— ჯანდაბა! სიახლოვეში ტელეფონი სადაა?

— მასმანთან.

— გაიქეცით, ჩქარა. ექიმს გამოუძახეთ. რა ჰქვია? სად ცხოვრობს? სანამ სახელს მეტყოდა, გარეთ გავსვი.

ჩქარა, ჩქარა, გაიქეცით! შორსაა?

— სამი წუთი უნდა, — თქვა ქალმა და დაფაცურდა.

— ყინული წამოიღეთ! — მივაძახე.

თავი დააქნია და გაიქცა.

წყალი მოვიტანე და პირსახოცი ისევ დავასველე. პატს ხელს ვერ ვკიდებდი არ ვიცოდი, სწორად იწვა თუ არა, დაბნეული ვიყავი, ისიც არ ვიცოდი, თავქვეშ ბალიში უნდა ამომედო თუ სწორად უნდა დამეწვინა. ხრიალებდა, მერე წამოჯდა და პირიდან სისხლი

წასკდა. ხმამაღლა, კვნესით ჩაისუნთქა, თვალებში არაადამიანური შიში ჩასდგომოდა, იხრჩობოდა და ახველებდა, და კვლავ სისხლმა იფეთქა. ვაკავებდი, მხრებზე ვეხვეოდი, მისი საბრალო, დატანჯული ზურგის ცახცახს ვგრძნობდი. თითქოს უსასრულოდ გაგრძელდა. მერე მოწყდა...

ქალბატონი მიულერი შემოვიდა. ასე მოჩვენებებს უყურებენ ხოლმე. — რა ვქნათ? — შევძახე.

— ექიმი მოდის, — დაიჩურჩულა მან, — ყინული... მკერდზე და თუ მერე... პირზე...

— როგორ დავაწვინო? ღვთის გულისათვის, დროზე მითხარით!

— ასე იყოს... ახლავე მოვა...

პატს ყინულის ნატეხები მკერდზე დავაწყვე, გულმოცემულმა, რომ რაღაცის გაკეთება შემეძლო, ყინული კომპრესებისთვის წვრილად დავამტვრიე და დავადე, და მხოლოდ ტკბილ, საყვარელ, დამანჭულ პირს ვხედავდი, მხოლოდ პირს, სისხლიან პირს...

ველოსიპედის ხმა გავიგე. წამოვხტი. ექიმი.

— დაგეხმაროთ? — ვკითხე.

თავი გააქნია და ჩანთა გახსნა. ლოგინთან ვიდექი და ლოგინის თავს ვეჭიდებოდი. ამომხედა. ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე, თვალს არ ვაცილებდი. ის პატის ნეკნებს ამოწმებდა. პატი კვნესოდა.

— სახიფათოა? — ვკითხე მე.

— სად მკურნალობდა თქვენი მეუღლე? — მკითხა პასუხად — ბატონო? მკურნალობდა?

— რომელ ექიმთან? მკითხა მოუთმენლად.

— არ ვიცი... — ვუპასუხე, — არა, არ ვიცი... არა მგონია... მომაცქერდა.

— კი უნდა იცოდეთ...

— მაგრამ არ ვიცი. არაფერი უთქვამს პატისკენ დაიხარა და ჰკითხა. ის პასუხის გაცემას ეცადა, მაგრამ ისევ წითლად ხველება დაიწყო. ექიმმა წამოაყენა. პატმა სტვენით ჩაისუნთქა — იაფე, — ამოილუღლუღა, — ფელიქს იაფე? პროფესორი ფელიქს იაფე? — ჩაეკითხა ექიმი. პატმა თანხმობის ნიშნად თვალები დახუჭა. ექიმი მომიტრიალდა: დაურეკავთ? აჯობებს, მას ვკითხოთ.

— დიახ, დიახ, — ვუპასუხე მე, — ახლავე. მერე მოგაკითხავთ იაფე? — ფელიქს იაფე, — მითხრა ექიმმა, — ნომერი საცნობაროში იკითხეთ. — გამოძვრება? — ვკითხე მე.

— სისხლდენა უნდა შევაჩეროთ, — მითხრა ექიმმა მოახლე გოგოს ხელი ვტაცე და გავიქეცი. ტელეფონიანი სახლი დამანახა. კარზე დავრეკე. პატარა საზოგადოება დამხვდა, ლუდსა და ყავას უსხდნენ. თვალი მოვავლე და ვერ მივხვდი: ხალხი ლუდს როგორ სვამდა, როცა პატს სისხლი სდიოდა... სასწრაფო საუბარი შევუკვეთე და აპარატთან დაველოდე. მოზუზუნე წყვდიადს ვაყურადებდი და თან ფარდებს მიღმა ბუნდოვნად, არამკაფიოდ ვხედავდი მეორე ოთახის ნაწილს. ვხედავდი, რომ ვიღაცის მელოტი თავი ირწეოდა, შუქს ყვითლად ირეკლავდა. ვხედავდი გულსაბნევს თასმებით შეკრულ შავ ტაფტის კაბაზე და ღაბაბს პენსნეთი და მის თავზე აღმართულ ვარცხნილობას... ძვლიანი, ბებერი ხელი, სქელი ძარღვებით, რომელიც მაგიდაზე აკაკუნებდა... ყურება არ მინდოდა, მაგრამ ვხედავდი, თითქოს უსუსური გავხდი: თვალს მჭრიდა, როგორც ძალიან ძლიერი შუქი.

როგორც იქნა, შემაერთეს. პროფესორი ვიკითხე.

— ძალიან ვწუხვარ, — მითხრა მედდამ, — პროფესორი იაფე გასულია. გული გამიჩერდა, მერე ჩაქუჩივით ცემა დაიწყო.

— სად არის? სასწრაფოდ უნდა დაველაპარაკო.

— არ ვიცი. შეიძლება, ისევ კლინიკაში წავიდა.

— გეხვეწებით, კლინიკაში დარეკეთ. დაგელოდებით მეორე აპარატიც ხომ გაქვთ.

— ერთი წუთი.

კვლავ ზუზუნი გაისმა, უძირო წყვდიადი, რომლის თავზეც მხოლოდ ლითონის წვრილი ძაფი ირწეოდა, შევკრთი, ჩემ გვერდით, ქსოვილგადაფარებულ გალიაში, კანარის ჩიტი აწივწივდა, მედდის ხმა დაბრუნდა.

— პროფესორი იაფე კლინიკიდანაც გასულა.

— სად წავიდა?

— მართლა არ ვიცი, ჩემო ბატონო.

მორჩა. კედელს მივეყუდე.

— ალო! — მითხრა მედდამ, — აქ ხართ?

— დიახ... ყური მიგდეთ, დაო, ხომ არ იცით, როდის დაბრუნდება? — არ იბარებს ხოლმე? ხომ უნდა დაიბაროს... რამე რომ მოხდეს, ხმა ხომ უნდა მიაწვდინოთ.

— კლინიკის ექიმია.

— ხომ არ... — არა, რა აზრი ჰქონდა, რა იცოდა... — კარგი, დაო, — ვუთხარი ქანცგაწყვეტილმა, — როცა პროფესორი იაფე დაბრუნდება, სთხოვეთ, სასწრაფოდ დარეკოს. — ნომერი ვუთხარი, — გეხვეწებით, სასწრაფოდ!

— აუცილებლად, ჩემო ბატონო. — მან ტელეფონის ნომერი გაიმეორა და დამიკიდა.

ასე ვიდექი, მარტოდმარტო. მოქანავე თავები, მელოტი, გულსაბნევი, მეორე ოთახი შორს დარჩა, მოტივტივე რეზინის ბურთივით ტალღებს გაჰყვა. მიმოვიხედე. აქ აღარაფერი მესაქმებოდა. ამ ხალხისთვის უნდა მეთქვა, რომ დამირეკავენ, დამიძახეთ-მეთქი, ეს იყო და ეს. მაგრამ ტელეფონს ვერ მოვწყდი. თითქოს ჩემი გადამრჩენელი ბაგირისთვის უნდა მეშვა ხელი. და უცებ მივხვდი. ყურმილი კვლავ ავიღე და კიოსტერის ნომერი ვთქვი. უნდა დამხვედროდა. სხვა გზა არ იყო.

და აი, ღამის ორომტრიალში კიოსტერის მშვიდი ხმა გაისმა მე

თვითონაც უცებ დავმშვიდდი და ყველაფერი ვუთხარი. ვგრძნობდი, რომ უკვე იწერდა.

— კარგი, — მითხრა მან, — ახლავე გავალ საძებნელად. დაგირეკავ. მშვიდად იყავი. ვიპოვი მორჩა. მორჩა? სამყარო დაწყნარდა კოშმარი დასრულდა. შინისკენ — კაცმა არ იცის.

გავიქეცი.

— აბა? — მკითხა ექიმმა, — ხმა მიაწვდინეთ?

— ვერა, — ვუთხარი, — მაგრამ კიოსტერს ველაპარაკე.

— კიოსტერს? არ ვიცნობ რა თქვა? როგორ მკურნალობდა? — მკურნალობდა? კიოსტერი არ მკურნალობდა კიოსტერი ეძებს.

— ვის?

— იაფეს.

— ღმერთო დიდებულო, ეს კიოსტერი ვინღაა?

— უკაცრავად. კიოსტერი ჩემი მეგობარია. პროფესორ იაფეს ეძებს. მე ვერ მივაგენი.

— აფსუს, — თქვა ექიმმა და კვლავ პატს მიუბრუნდა.

— მოძებნის, — ვთქვი მე, — თუ არ მომკვდარა, მოძებნის.

ექიმმა გიჟივით შემომხედა. მერე მხრები აიჩეჩა.

უცებ ძახილი მომესმა.

— ტელეფონი!

მოვტრიალდი.

— ტელეფონია. წავიდე?

ექიმი წამოხტა.

— არა, მე წავალ. მე უკეთ ვკითხავ. აქ დარჩით. არაფერი გაიკეთოთ. ახლავე დავბრუნდები.

პატს ლოგინზე ჩამოვუჯექი.

— პატ, — ვუთხარი ჩუმად, — ყველანი აქ ვართ. მოგხედავთ. არაფერი მოგივა. შეუძლებელია. პროფესორი უკვე ელაპარაკება. ყველაფერს გვეტყვის. ხვალ ალბათ თვითონაც მოვა. გიშველის. გამოჯანმრთელდები. რატომ არ მითხარი, რომ ისევ ავად

ხარ? ცოტა სისხლდენა არაფერია, პატ. სისხლს ჩვენ მოგცემთ. კიოსტერმა პროფესორი ნახა. ყველაფერი კარგადაა, პატ. ექიმი დაბრუნდა.

— პროფესორი არ იყო...

წამოვდექი.

— თქვენი მეგობარი იყო, ლენცი.

— კიოსტერმა ვერ ნახა?

— ნახა. ექიმმა დაარიგა. თქვენმა მეგობარმა ლენცმა ტელეფონით მიკარნახა. თან ძალიან გარკვევით და სწორად. თქვენი მეგობარი ლენცი ექიმია?

— არა. ექიმობა უნდოდა. და კიოსტერი?

ექიმმა შემომხედა.

— ლენცმა დარეკა, კიოსტერი რამდენიმე წუთის წინ გამოვიდაო პროფესორთან ერთად.

კედელს მივეყუდე.

— ოტო, — ვთქვი მე.

— დიახ, — განაგრძო ექიმმა, — ერთადერთ რამეში შეცდა. ასე თქვა, ორ საათში მანდ იქნებიანო. ამ გზას კარგად ვიცნობ. რაც არ უნდა იჩქარონ, სამი საათი მაინც დასჭირდებათ. ასეა...

— ექიმო, — მივუგე მე, — ეჭვი არ შეგეპაროთ თუ თქვა, ორ საათში ვიქნებიო ორ საათში იქნება.

— შეუძლებელია. მიხვეულ-მოხვეულია, თან ღამეა.

— აცადეთ, — ვთქვი მე.

— ისე თუ ასე... რომ მოვა... აჯობებს, თუ მოვა.

ვეღარ ვძლებდი. გარეთ გავედი. ნისლი ჩამოწოლილიყო. შორს ზღვა შრიალებდა. ხეებიდან წვეთები ცვიოდა. მიმოვიხედე. მარტო აღარ ვიყავი, ჰორიზონტს მიღმა ახლა ძრავა ღმუოდა. ნისლს მიღმა, ფერწასულ გზებზე, საშველად მოქროდნენ, ფარები სინათლეს აფრქვევდა, საბურავები სტვენდა და ორ რკინის

ხელს საჭე ჰქონდა ჩაბღუჯული, ორი თვალი ბურღავდა წყვდიადს, ცივად, მტკიცედ. ეს ჩემი მეგობრის თვალები იყო.

მერე იაფესგან გავიგე, რაც მოხდა.

კიოსტერმა უმალვე დაურეკა ლენცს, მზად იყავიო. მერე კარლი გამოიყვანა და ლენცთან ერთად იაფეს კლინიკაში გაქროლდა. მორიგე მედდამ ივარაუდა, პროფესორი სავახშმოდ წავიდოდაო. კიოსტერს ის დუქნები ჩამოუთვალა, სადაც, სავარაუდოდ, გადაეყრებოდა. კიოსტერი დაიძრა. ყველა საგზაო ნიშანი დაივიწყა; პოლიცია არად ჩააგდო. მანქანას ცხენივით მიაჭენებდა. მეოთხე დუქანში პროფესორი იპოვა. იაფეს პატი უმალვე გაახსენდა. მან ვახშამს თავი ანება და წაჰყვა. საჭირო ნივთების ასაღებად პროფესორის ბინაში გაიარეს. ეს ერთადერთი მონაკვეთი იყო, სადაც კიოსტერი სწრაფად კი მიდიოდა, მაგრამ ჯერ არ მიქროდა. არ უნდოდა, ექიმი წინასწარ შეეშინებინა. გზად იაფემ ჰკითხა, პატი სად წევსო. კიოსტერმა ორმოცი კილომეტრის მოშორებით მდებარე დასახლება უთხრა. მხოლოდ ის უნდოდა, რომ პროფესორი მანქანაში ჩასჯდომოდა. მერე ყველაფერი თავისით აეწყობოდა. სანამ ჩანთას ალაგებდა, იაფემ ლენცი დაარიგა, ტელეფონით რა უნდა ეთქვა. მერე კიოსტერის მანქანაში ჩაჯდა.

— საშიშია? — ჰკითხა კიოსტერმა.

— კი, — უპასუხა იაფემ.

იმწამსვე კარლი თეთრ აჩრდილად გადაიქცა ადგილს ერთბაშად მოსწყდა და გაქროლდა. გაძვრა-გამოძვრა, ორი ბორბლით ტროტუარებზე იარა, მოძრაობის საპირისპიროდ მიერეკებოდა, ქალაქიდან გასასვლელ უმოკლეს გზას ეძებდა.

— გაგიჟდით? — შესძახა პროფესორმა.

კიოსტერმა გზა ომნიბუსის მაღალ ბამპერს ქვეშ ცერად ჩაჭრა, წამით გაზს უკლო და მერე ძრავა კვლავ ააღმუვლა.

— ნელა იარეთ, — აყვირდა ექიმი, — თუ გადავიჩეხეთ, რას მოვიგებთ — არ გადავიჩეხებით.

— თუ ასე ივლით, ორ წუთში გადავიჩეხებით.

კიოსტერმა მარცხნივ მოუხვია და მანქანა ელექტრობოძს აარიდა. — არ გადავიჩეხებით. — წინ გრძელი გზა ჰქონდა. კიოსტერმა ექიმს შეხედა, — მეც ვიცი, რომ საღ-სალამათი უნდა ჩაგიყვანოთ. მომენდეთ, უბრალოდ, ასე დავდივარ.

— მაგრამ რას გაძლევთ ეს სიჩქარე! ორ წუთს თუ მოვიგებთ.

— არა, — უთხრა კიოსტერმა და ქვებით დატვირთულ სატვირთო მანქანას დაუსხლტა, — კიდევ ორას ორმოცი კილომეტრი გვაქვს გასავლელი — რა?

— დიახ... — მანქანა საფოსტო მანქანასა და ავტობუსს შორის გაძვრა — წინასწარ თქმა არ მინდოდა.

— მაგას რა მნიშვნელობა ჰქონდა, — შეუღრინა იაფემ, — მე ხალხს კილომეტრების მიხედვით კი არ ვეხმარები. სადგურში გადით, რკინიგზით უფრო სწრაფად ჩავალთ.

— არა. — კიოსტერმა გარეუბანში გააღწია ქარი სიტყვებს პირიდან აცლიდა. — გავარკვიე... მატარებელი გვიან გადის... — იაფეს კვლავ შეხედა და, როგორც ჩანს, ექიმმა მის სახეში რაღაც ამოიკითხა.

— ღვთის გულისათვის ჩაიბუზღუნა — თქვენი შეყვარებულია?

კიოსტერმა თავი გააქნია. აღარ უპასუხია. საბაღე ნაკვეთები უკან მოიტოვა და სოფლის შარაზე გავიდა, ახლა მანქანა მთელი სიჩქარით მიქროდა. ექიმი ვიწრო საქარე მინის უკან მოიკუნტა. კიოსტერმა თავისი ტყავის ქუდი მიაწოდა. განუწყვეტლივ ასიგნალებდნენ. ტყე ხმას ისხლეტდა. სოფლებში კიოსტერი სიჩქარეს აგდებდა, სხვანაირად არ გამოვიდოდა. მაყუჩის მჭექარე ექოს თანხლებით სახლების რიგები ჩრდილით ნაქსოვი ტილოებივით იკეცებოდა, მანქანა მიქროდა, თავისი ფარების მოყვითალო ნათელს მიჰყვებოდა და სინათლის მორევით იკვალავდა ღამეში

გზას.

საბურავები ჭრიალებდა, შიშინებდა, ყმუოდა, სტვენდა, ძრავა ყველაფერს ხარჯავდა, რაც კი ებადა. კიოსტერი წინ გადახრილიყო, მთელი მისი სხეული ერთ უზარმაზარ ყურად იქცა, ფილტრად, რომელიც ჭექას და სტვენას ცრიდა და ნებისმიერ, ოდნავ გასაგონ უცხო ხმას ჩასაფრებოდა, საეჭვო ჭრიალს და შიშინს, რომელიც მარცხის და სიკვდილის მაუწყებელი შეიძლება ყოფილიყო.

გზა ნოტიო იყო. ტალახზე მანქანა იქით აქეთ აწყდებოდა და სრიალებდა. კიოსტერს სიჩქარის დაგდება მოუწია. სამაგიეროდ, მოსახვევებში აიწყვიტა. თავით აღარ მართავდა, მხოლოდ ინსტინქტურად. ფარები მოსახვევებს მხოლოდ სანახევროდ ანათებდა. პირველ წამს მოსახვევი სრულიად შავი და უჩინარი იყო. კიოსტერმა პროჟექტორი მოიხმარა, მაგრამ მისი სხივი მეტისმეტად წვრილი გამოდგა. ექიმი დუმდა. უცებ ფარებმა გაანათა, ჰაერმა ფერი შეიძინა, ფერმკრთალი ვერცხლისფერი, ნისლის ფარდა. ეს ერთადერთი იყო, როცა ექიმმა გაიგონა, რომ კიოსტერმა შეიკურთხა. ერთ წუთში კვლავ ნისლში იყვნენ გახვეული, კიოსტერმა ფარები ჩააქრო. ბამბაში ცურავდნენ. ჩრდილები დასრიალებდნენ, ხეები, რძის ზღვაში დანთქმული გაურკვეველი სილუეტები მოჩანდა... გზა აღარ იყო, მხოლოდ შემთხვევით და დაახლოებით თუ გაივლიდი, ჩრდილები იზრდებოდნენ და ძრავას ღმუილში ქრებოდნენ.

ათ წუთში გამოაღწიეს. კიოსტერს სახე აღარ ჰქონდა. მან იაფეს გახედა და რაღაც ჩაილაპარაკა. მერე გაზს დააჭირა და გზა განაგრძო მოხრილმა, ცივმა და კვლავ მტკიცემ...

ოთახში წებოვანი სითბო ტყვიასავით ჩამოწოლილიყო.

— არ ჩერდება? — ვიკითხე.

— არა, — მიპასუხა ექიმმა.

პატმა შემომხედა. გავუღიმე. დამანჭვა გამომივიდა — ნახევარი საათიც, — ვთქვი მე.

ექიმმა ამომხედა.

— საათ-ნახევარი, თუ ორი არა. წვიმს.

წვეთები ჩუმი სიმღერით ცვიოდა ბაღის ფოთლებსა და ბუჩქებზე ვერაფერს ვხედავდი. რა დრო გავიდა, რაც ღამით ავდექით და ლევკოიებში ჩავსხედით და პატი პატარა, საბავშვო სიმღერებს ღიღინებდა. რა დრო გავიდა, რაც მთვარე გზას თეთრად დაჰნათოდა და პატი თხელი ნადირივით, ბუჩქებთან გარბოდა...

კართან მეასედ მივედი. ვიცოდი, უაზრობა იყო, მაგრამ დროს ვკლავდი. ნისლი იდგა. შევუკურთხე. მე ხომ ვიცოდი, კიოსტერისთვის რა იქნებოდა. ბურუსში ფრინველმა დაიძახა.

— ხმა გაიკმიდე! — დავიღრინე. მკვდრების ფრინველის ამბები გამახსენდა. — რა სისულელეა, — ვთქვი ხმამაღლა, მაგრამ მაინც დამბურძგლა. სადღაც ხოჭო ბზუოდა... ახლოს არ მოდიოდა... ახლოს არ მოდიოდა. თანაბრად და ჩუმად ბზუოდა. აი, გაჩუმდა... ისევ დაიწყო... ისევ... უცებ ავკანკალდი... ეს ხოჭო არ იყო, ძალიან შორს მანქანა მოქროდა, დიდი სიჩქარით მოსახვევში შეიჭრა. გაშეშებული ვიდექი, სუნთქვაშეკრული, რომ უკეთ გამეგონა: ისევ, ისევ, ჩუმად, წვრილ ხმაზე ზუზუნებს, გაბრაზებული ბზიკივით. ახლა კი იმძლავრა, კომპრესორის ხმა აშკარად გავარჩიე. ჰორიზონტი, დაძაბულობისგან გაგლეჯის პირას რომ იყო, უცებ ჩამოვარდა, რბილ უსასრულობას დაეცა, ქვეშ მოიყოლა ღამე, შიში, ძრწოლა. უკან გადავქანდი, კარს დავეკიდე, ვთქვი:

— მოდიან! ექიმო, პატ, მოდიან, გავიგონე!

ექიმს მთელი საღამო ისედაც ცოტა შეშლილი ვეგონე. ის წამოდგა და მიაყურადა.

— სხვა მანქანა იქნება, — თქვა ბოლოს.

— არა, ძრავას ვცნობ.

გაღიზიანებული მიყურებდა. თავი მანქანების დიდ მცოდნედ

მიაჩნდა. პატს დედასავით მოთმინებით და ფრთხილად ექცეოდა, მაგრამ როცა მანქანაზე ვლაპარაკობდი, სათვალიდან თვალები დამიბრიალა — უკეთ იცოდა. — შეუძლებელია, — მითხრა მოკლედ და ისევ შებრუნდა.

გარეთ დავდექი. აღგზნებისგან მაკანკალებდა. ვიმეორებდი:

— კარლი, კარლი!

აი, მოგუდული ხმა და ღმუილი ერთმანეთს ენაცვლება — ჩანს, მანქანა სოფელში იყო, გიჟური ტემპით მოქროდა სახლებს შორის; აი, ხმა ნაკლებად ისმის; ტყეს მიეფარა — და უცებ გამოვარდა, სწრაფი, გამარჯვებული, ნისლს კაშკაშა სინათლემ გადაუარა, ფარები, ქუხილი! დაბნეული ექიმი ჩემ გვერდით იდგა. სინათლის სხივმა დაგვაბრმავა. ბაღის — ჭიშკართან მანქანა ღრჭიალით გაჩერდა. მივირბინე. პროფესორი მანქანიდან გადმოდიოდა. ზედ არ შემომხედა, ექიმისკენ გაემართა. მას კიოსტერი გადმოჰყვა.

— როგორაა? — მკითხა.

— ჯერაც სისხლი სდის, — ვუპასუხე.

— ხდება ხოლმე, — მითხრა მან, — ნუ გეშინია გავჩუმდი და შევხედე.

— სიგარეტი გაქვს? — მკითხა მან, მივაწოდე.

— კარგია, რომ მოხვედი, ოტო.

ღრმა ნაფაზებით ეწეოდა.

— ვიფიქრე, ასე აჯობებს-მეთქი.

— ძალიან სწრაფად გივლია.

— არა უშავს. უბრალოდ, ცოტა ნისლი იყო.

ძელსკამზე გვერდიგვერდ ვისხედით და ველოდებოდით, — როგორ ფიქრობ, გამოძვრება? — ვკითხე მე.

— აბა, რა. სისხლდენა საშიში არაა, — ჩემთვის არასოდეს უთქვამს.

კიოსტერმა თავი დააქნია.

— უნდა გამოძვრეს, ოტო, — ვუთხარი მე, არ ამოუხედავს.

— ერთიც მომაწევინე, — მითხრა მან, — ჩემის წამოღება დამავიწყდა — უნდა გამოძვრეს — ვთქვი მე, — თორემ მიმიფურთხებია ყველაფრისთვის.

პროფესორი გამოვიდა, ავდექი.

— მე მოვკვდე, თუ მანქანაში ჩაგიჯდეთ, — უთხრა კიოსტერს — მაპატიეთ, — უპასუხა კიოსტერმა, — ჩემი მეგობრის ცოლია. — აჰა, — თქვა იაფემ და შემომხედა.

— გამოძვრება? — ვკითხე მე.

ყურადღებით დამაცქერდა. თვალი ავარიდე.

— როგორ გგონიათ, რომ ვერ გამომძვრალიყო ამდენ ხანს თქვენთან ვიდგებოდი? — თქვა მან.

კბილი კბილს დავაჭირე. მუშტები შევკარი. ავტირდი..

— ბოდიში, — ვუთხარი მე, — ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა. — ასეთები მეტისმეტად სწრაფად არ ხდება ხოლმე, — თქვა იაფემ და გაიღიმა.

— არ აღშფოთდე, რომ ვბღავი, ოტო, — ვთქვი მე.

მხრებში ხელი ჩამკიდა, მიმატრიალა და კარისკენ მიბიძგა.

— მიდი, შედი. თუ პროფესორი ნებას დაგრთავს.

— მოვრჩი, — ვთქვი მე, — შეიძლება, შევიდე?

— კი, ოღონდ არ ილაპარაკოთ, — მითხრა იაფემ, — თან მხოლოდ წამით. მისი აღელვება არ შეიძლება.

ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ ათინათი იყო წყალზე. თვალები მოვჭუტე. შუქი ირწეოდა, ციალებდა. თვალების მოწმენდა ვერ გავბედე, პატს არ ეფიქრა, იმიტომ ტირის, რომ საქმე ცუდადაააო. ოთახს გავუღიმე მერე სასწრაფოდ გამოვბრუნდი.

— სწორად მოვიქეცი, რომ მოგიყვანეთ? — ჰკითხა კიოსტერმა — კი, — თქვა იაფემ, — ასე ჯობდა.

— ხვალ დილით უკან წაგიყვანთ.

— არ ღირს, — თქვა იაფემ.

— წესიერად ვივლი.

— ერთი დღეც დავრჩები და დავაკვირდები. თქვენი ლოგინი თავისუფალია? — მკითხა მან. თავი დავუქნიე.

— კარგი, მაშინ მე აქ დავიძინებ. სოფელში გათენებას მოახერხებთ? — დიახ. კბილის ჯაგრისი და პიჟამა გიშოვოთ?

— არ შეწუხდეთ. ყველაფერი თან მაქვს. ასეთი რამისთვის მუდამ მზად ვარ ხოლმე. რბოლისგან განსხვავებით.

— მაპატიეთ, — უთხრა კიოსტერმა, — წარმომიდგენია, როგორ ბრაზობთ.

— სულაც არა, — უპასუხა იაფემ.

— მაშ, მაპატიეთ, რომ თავიდან სიმართლე არ გითხარით.

იაფემ გაიცინა.

— ექიმებზე ცუდი აზრისა ხართ. ახლა კი, მშვიდად წაბრძანდით. მე აქ დავრჩები.

კიოსტერისთვის და ჩემთვის რაღაც ნივთები უცებ გამოვიტანე. სოფლისკენ გავემართეთ.

— დაღლილი ხარ? — ვკითხე მე.

— არა, — მითხრა პასუხად. — შევიდეთ სადმე.

— ერთ საათში მოუსვენრობამ შემიპყრო.

— რადგან აქ დარჩა, ალბათ, სახიფათო ამბავია, ოტო, — ვუთხარი მე, — აბა, რად უნდოდა...

— მე მგონი, სიფრთხილის გამო დარჩა, — მომიგო კიოსტერმა, — პატი ძალიან უყვარს. რომ ჩამოვედით, მომიყვა. ჯერ დედამისს მკურნალობდა... — იმასაც...

— არ ვიცი, — მითხრა სწრაფად კიოსტერმა, — შეიძლება, სხვა რამე სჭირდა. დავწვეთ?

— შენ წადი, ოტო. მე ერთხელაც მინდა... შორიდან...

— კარგი. მეც წამოვალ.

— რაღაც მინდა გითხრა, ოტო. როცა თბილა, გარეთ სიამოვ-

ნებით ვიძინებ ხოლმე. შენ მშვიდად იყავი. ერთხელ ხომ არ მიქ-ნია... — სისველეა.

— არა უშავს. კარლის სახურავს ავწევ და შიგ ჩამოვჯდები.

— კარგი. ღია ცისქვეშ მეც სიამოვნებით დავიძინებ.

მივხვდი, ვერ მოვიშორებდი. საბნები და ბალიშები ავიღეთ და კარლთან დავბრუნდით, წინა სკამები გადავწიეთ. ასე მშვენივ-რად დავწვებოდით, — ზოგჯერ ველზე უარესებიც ყოფილა, — თქვა კიოსტერმა.

ნისლში ფანჯრის განათებული ლაქა მოჩანდა ერთი-ორჯერ იაფეს ჩრდილი დავლანდე. მთელი კოლოფი სიგარეტი მოვწიეთ. მერე შუქი ჩააქრეს, პატარა ღამის ნათურაღა ენთო.

— დიდება ღმერთს, — ვთქვი მე.

სახურავზე ჟინჟღლავდა. სუსტმა სიომ დაუბერა აგრილდა.

— ჩემი საბანიც აიღე, ოტო, — ვუთხარი მე.

— არა, შეეშვი, არ მცივა.

— ძალიან მაგარი კაცია ეს იაფე, არა?

— ძალიან მაგარია. მე მგონი, საქმე იცის.

— აშკარად.

ძილ-ბურანიდან გამოვერკვიე. რუხი და ცივი დილა იყო. კი-ოსტერი უკვე ამდგარიყო.

— არ გეძინა, ოტო?

— როგორ არა.

მანქანიდან გადმოვცოცდი და ბაღის ბილიკით ფანჯარასთან მივიპარე. პატარა ღამის ნათურა ჯერაც ენთო. დავინახე, როგორ იწვა ლოგინში თვალებდახუჭული პატი. წამით შემეშინდა, რომ გარდაცვლილიყო. მაგრამ მერე შევამჩნიე, რომ მარჯვენა ხელი გაანძრია. ძალიან ფერმკრთალი იყო, თუმცა, სისხლი აღარ სდი-ოდა. ისევ გაინძრა. მეორე ლოგინზე მძინარე იაფემ უმალვე თვა-

ლები გაახილა. უცებ გავეცალე დავმშვიდდი — იაფე ყურადღებით იყო.

— მე მგონი, აქაურობას უნდა მოვშორდეთ, — ვუთხარი კიოსტერს, — არ დაგვინახოს, რომ ვამოწმებდით.

— შიგნით მშვიდობაა?

— კი, რაც დავინახე... კარგი ძილი აქვს ამ ჩვენ პროფესორს. დოლების ბაგაბუგში არხეინად სძინავს, მაგრამ თაგვის გაფხაჭუნებაზე ეღვიძება. — წამო, გავცუროთ, — მითხრა კიოსტერმა, — რა არაჩვეულებრივი ჰაერია. — გაიზმორა.

— შენ წადი, — ვუთხარი მე — შენც წამოდი, — მომიგო მან.

რუხი ცა გაიხსნა. ნარინჯისფრად დაიზოლა. ჰორიზონტზე ღრუბლების ფარდა აიწია და გამჭვირვალე, ვაშლივით მწვანე ცა გამოჩნდა. წყალში ჩავხტით და გავცურეთ. წყალი რუხად და წითლად ლიცლიცებდა.

მერე დავბრუნდით. ქალბატონი მიულერი უკვე ამდგარიყო. ბაღში ოხრახუშს კრეფდა. რომ დაველაპარაკე, შეკრთა. შერცხვენილს მომიწია აღიარება, რომ გუშინ აურაცხელი ცუდი სიტყვა ვთქვი. ტირილი დაიწყო.

— საწყალი ქალბატონი. როგორი ლამაზია და ჯერ როგორი ახალგაზრდა.

— ას წელს იცოცხლებს, — ვუთხარი გაბრაზებულმა რადგან ისე იტირა, თითქოს პატი უნდა მომკვდარიყო. პატი არ მოკვდებოდა. გრილმა დილამ, ქარმა, ზღვამ სიცოცხლე ჩამბერა. პატი არ მოკვდებოდა. ის მხოლოდ მაშინ შეძლებდა სიკვდილს, როცა მე ფარ-ხმალს დავყრიდი. აქ კიოსტერი იდგა, ჩემი მეგობარი; მე ვიდექი, პატის მეგობარი; ჯერ ჩვენ უნდა დავხოცილიყავით. სანამ ცოცხლები ვიყავით, გადავარჩენდით. ყოველთვის ასე იყო. სანამ კიოსტერი ცოცხალია, მე არ მოვკვდები. სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, პატი არ მოკვდება.

— ბედისწერის მორჩილება გვმართებს, — თქვა მოხუცმა ქალწულმა და ყავისფერი, შემწვარი ვაშლივით დანაოჭებული სახე საყვედურით აღევსო. ალბათ ჩემს ბილწსიტყვაობას გულისხმობდა.

— მორჩილება? — ვთქვი მე, — მორჩილება რა მოსატანია? არაფერს გვარგებს. ამ ცხოვრებაში ყველაფრის საფასური უნდა გადავიხადოთ, ორმაგად და სამმაგად. მორჩილება რაღა საჭიროა?

— მაინც, მაინც ასე სჯობია.

მორჩილებაო მერე, რა შეიცვლებოდა? ბრძოლა, ბრძოლა, ამ ჩხუბში ესღა დაგვრჩენოდა, ისიც, საბოლოოდ, მაინც დავმარცხდებოდით. ბრძოლა იმ მცირედისთვის, რაც გვიყვარდა. მორჩილი სამოცდაათი წლისა თუ გახდებოდა კაცი.

კიოსტერი გამოესაუბრა. ქალმა კვლავ გაიღიმა და ჰკითხა, სადილად რას მიირთმევთო.

— ხედავ, — მითხრა ოტომ, — ესაა სიბერის საჩუქარი. ცრემლები და სიცილი — ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება უდრტვინველად ეს არც ჩვენ გვაწყენდა, — დასძინა დაფიქრებულმა.

სახლის გარშემო ვუვლიდით.

— რაც მეტს იძინებს, მით უკეთესი, — ვთქვი მე. ისევ ბაღში დავბრუნდით. ქალბატონ მიულერს საუზმე მოემზადებინა. ცხელი შავი ყავა დავლიეთ. მზე ამოვიდა. უცებ დათბა. სინათლე და ცვარი ხეების ფოთლებს აელვარებდა. ზღვიდან თოლიების ძახილი ისმოდა. ქალბატონმა მიულერმა მაგიდაზე ვარდის თაიგული დადგა.

— ეს მერე მივართვათ, — თქვა მან.

ვარდებს ბაღის ყორისა და ბავშვობის სურნელი ჰქონდა — იცი, ოტო, — ვთქვი მე, — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მე თვითონ ვიყო ავად. უწინდელივით ხომ აღარ ვართ. მეტი სიმშვიდე მმართებს. დაფიქრება. რაც უფრო მშვიდად ხარ კაცი, მით მეტი დახმარება შეგიძლია. — ყოველთვის არ გამოდის, რობი. მეც

მქონია ასეთი პერიოდი. რაც უფრო დიდხანს ცოცხლობ, მით უფრო გაღიზიანებული ხდები. აი, ბანკირს რომ ზარალი ზარალზე ექნება, ასეა ეს საქმეც.

კარი გაიღო. პიჟამიანი იაფე გამოვიდა. ყავის მაგიდა კინაღამ ავაყირავე — კარგადაა, კარგადაა, — ხელი დამიქნია — რამდენადაც შესაძლებელია...

— შესვლა შეიძლება?

— ჯერ არა. ჯერ იქ მოახლე გოგოა. დაბანა და ამგვარები. ყავა დავუსხი. მზეზე თვალები მოჭუტა და კიოსტერს მიმართა. — კაცმა რომ თქვას, თქვენი მადლობელი უნდა ვიყო. ერთი დღით მაინც მოვახერხე ქალაქიდან გასვლა.

— ეგ ხომ ხშირად შეიძლება, — უთხრა კიოსტერმა, — საღამოს გაემგზავროთ და მეორე საღამოს დაბრუნდეთ ხოლმე.

— შეიძლება, შეიძლება, — უპასუხა იაფემ, — ისე, შეგიმჩნევიათ, რომ თვითგანადგურების დროში ვცხოვრობთ? რომ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ არ ვაკეთებთ, კაცმა არ იცის, რატომ? დღეს სამუშაო, იმის გამო, რომ ამდენ ადამიანს არ გააჩნია, ყველაფერ სხვას თრგუნავს. რა კარგია აქ ყოფნა! რამდენიმე წელია, აქეთ აღარ ვყოფილვარ, ორი მანქანა მყავს, ათოთახიანი ბინა და საკმარისი ფული — და რა ხეირი! რა არის ეს ყველაფერი ბუნებაში გატარებულ ზაფხულის დილასთან შედარებით! სამუშაო, შავბნელი შეპყრობილობა, მუდამ იმ ილუზიით, რომ მერე ყველაფერი სხვანაირად იქნება. სხვანაირად არასოდეს არ იქნება. საოცარია, საკუთარ ცხოვრებას რას ვუშვრებით.

— მე მგონი, ექიმმა ნამდვილად იცის, რისთვის ცხოვრობს, — ვუთხარი მე, — აბა, ბუღალტერს რაღა ეთქმის?

— ძვირფასო მეგობარო, — მომიგო იაფემ, — იმის მტკიცება, რომ ყველა ადამიანი თანაბრად მგრძნობიარეა, დიდი შეცდომა იქნებოდა. — სწორია, — თქვა კიოსტერმა, — მაგრამ ადამიანებს პროფესიები მგრძნობიარობის მიხედვით არ რგებიათ.

— მართალია, — უპასუხა იაფემ, — რთული საკითხია. — მერე თავი დამიქნია, — ახლა კი მშვიდად, ხელი არ ახლოთ, არ ალაპარაკოთ...

ბალიშებზე იყო მისვენებული, ღონემიხდილი, მივარდნილი. სახეზე ფერი წასვლოდა, თვალებქვეშ ლურჯი, ღრმა ჩრდილები ჩასწოლოდა, ტუჩები გასთეთრებოდა. მხოლოდ თვალები ჰქონდა დიდი და მოელვარე. მეტისმეტად დიდი და მეტისმეტად მოელვარე.

ხელი ხელზე მოვკიდე. გრილი და დაღლილი იყო.

— პატ, შე ძველო, — ვუთხარი დაბნეულმა და მის გვერდით ჩამოჯდომა რომ დავაპირე, ფანჯარასთან მოახლე გოგოს ცომივით სახე აღმოვაჩინე, ცნობისმოყვარედ მომჩერებოდა, — გაბრძანდით გარეთ, — ვუთხარი გაბრაზებულმა.

— ფარდები უნდა ჩამოვაფარო, — მომიგო პასუხად.

— კარგი, ჩამოაფარეთ და გადით აქედან.

ყვითელი ფარდა გადასწია, მაგრამ არ მიდიოდა — ქინძისთავებით ამაგრებდა, ძალიან ნელა.

— მომისმინეთ, — ვუთხარი მე, — ეს თეატრალური წარმოდგენა არაა. გაქრით.

ერთობ თავხედურად მოტრიალდა.

— ჯერ მეუბნებით, დაამაგრეო, მერე — არ დაამაგროო..

— შენ უთხარი? — ვკითხე პატს.

თავი დამიქნია.

— შუქი რომ შემოდის, თვალს გჭრის? — ვიკითხე.

თავი გააქნია.

— სჯობს, დღეს წესიერად ვერ დამინახო...

— პატ! — ვთქვი შეშინებულმა, — შენთვის ჯერ ლაპარაკი არ შეიძლება! მაგრამ თუ სულ ესაა მიზეზი...

კარი გავაღე, და მოახლე, როგორც იქნა, გაუჩინარდა. დავ-ბრუნდი, უხერხულობას აღარ ვგრძნობდი, მისი მადლიერიც კი ვიყავი. პირველი წამები ამარიდა. ასე მწოლი პატი ძალიან მძიმე საყურებელი იყო. ლოგინზე მის გვერდით დავჯექი.

— პატ, — ვუთხარი, — მალე გამომჯობინდები...

ტუჩები შეერხა.

— ხვალ უკვე...

— ხვალ არა, მაგრამ ერთ-ორ დღეში — ნამდვილად მერე ად-გები და სახლში წავალთ. აქ არ უნდა წამოვსულიყავით. შენთვის ეს ჰაერი მეტისმეტად მძიმეა...

— არა, — ჩაიჩურჩულა პატმა, — მე ავად კი არ ვარ, რობი, შემ-თხვევით მომივიდა...

შევხედე. მართლა არ იცოდა, რომ ავადაა? თუ არ უნდოდა, რომ სცოდნოდა? თვალები მოუსვენრად დაურბოდა.

— ნუ გეშინია... — ჩურჩულებდა პატი. უცებ ვერ მივხვდი რას გულისხმობდა, რატომ არ უნდა შემშინებოდა. მხოლოდ იმას ვხე-დავდი, რომ ღელავდა, უცნაური მზერა ჰქონდა, დატანჯული, რა-ღაცას ითხოვდა. უცებ მივხვდი. მივხვდი, რას ფიქრობდა. ეგონა, მისი მეშინოდა იმიტომ რომ ავად იყო.

— ღმერთო ჩემო, პატ, — ვუთხარი მე, — ამიტომ არ მეუბნებოდი არაფერს? პასუხი?

პასუხი არ გაუცია, მაგრამ მივხვდი, რომ ასე იყო.

— ჯანდაბა! — ვთქვი მე, — შენ მე ვინ გგონივარ?

მისკენ დავიხარე.

— წამით გაჩერდი, არ გაინძრე. — ვაკოცე. მშრალი და ცხელი ტუჩები ჰქონდა. როცა გავიმართე, დავინახე, რომ ტიროდა. ჩუ-მად ტიროდა, ფართოდ გახელილი თვალებით, სახე არ უტოკავ-და. მხოლოდ ცრემლი სდიოდა. — ღვთის გულისათვის, პატ...

— ბედნიერი ვარ, — მითხრა მან.

ვიდექი და ვუყურებდი. ერთი სიტყვა იყო, მაგრამ ისეთი, მე

რომ არასოდეს გამეგონა. ქალებს ვიცნობდი, მაგრამ სულ ხანმოკლე ურთიერთობები მქონდა. ხანდახან თავგადასავალი იყო, ხანდახან — ჭრელი საათი, ხანდახან — მარტო გატარებული საღამო, საკუთარი თავისგან, გაუგებრობისგან, სიცარიელისგან გაქცევა. სხვა არც არაფერი მინდოდა, რადგან ვისწავლე, რომ საკუთარი თავის გარდა არავის იმედი არ უნდა მქონოდა, დიდი-დიდი, ჩემი მეგობრებისა. ახლა კი უცებ დავინახე, რომ ადამიანს რაღაცას ვაძლევდი, მხოლოდ იმით, რომ აქ ვიყავი, და ის ბედნიერია, რომ მასთან ვარ. სათქმელად მარტივია, მაგრამ თუ დაუფიქრდი, უზარმაზარი რამაა, უსასრულო. ისეთ? რამაა, რომ დაგანგრევს და გარდაგსახავს. ეს სიყვარულია და კიდევ რაღაც. რაღაც, რისთვისაც სიცოცხლე ღირს. სიყვარულისთვის „კაცი ვერ იცოცხლებს.

ადამიანისთვის — ნამდვილად.

მინდოდა, რამე მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ძნელია სიტყვების პოვნა, როცა მართლა გაქვს სათქმელი. მაშინაც კი, სწორი სიტყვები როცა იცი, წარმოთქმისა გრცხვენია. ყველა ეს სიტყვა ძველი საუკუნეებისაა. ჩვენს დროს თავისი გრძნობებისთვის ჯერ სიტყვები ვერ მოუნახავს. ძმაკაცობა მოსულა, ყველაფერი დანარჩენი ყალბია.

— პატ, — ვთქვი მე, — შე ძველო, მაგარო შენა...

იმწამს იაფეც შემოვიდა. ვითარებას უცებ მიხვდა.

— საარაკო მიღწევებია, — ჩაიბუზღუნა მან, — ასეც ვიფიქრე. შეპასუხებას ვაპირებდი, მაგრამ მან უცერემონიოდ გამსვა გარეთ.

17

ორი კვირა გავიდა. პატი იმდენად მომჯობინდა, რომ შინ დაბრუნება შეგვეძლო. ჩავლაგდით და გოტფრიდ ლენცს ველოდებოდით. მანქანა უნდა წაეყვანა. მე და პატი მატარებლით ვაპირებდით გამგზავრებას. თბილი, დახუთული დღე იყო. ღრუბლები ცაზე არ იძვროდა, ბამბასავით ეწყო, დიუნების თავზე ცხელი ჰაერი ლიცლიცებდა და ზღვა ტყვიასავით გადაწოლილიყო კაშკაშა, მოციალე ხვატში ვისადილეთ და გოტფრიდიც მოვიდა. მისი მანათობელი, ყვითელი ქოჩორი ცოცხალი ღობის თავზე შორიდანვე დავინახე. მერე ქალბატონი მიულერის აგარაკისკენ შემოუხვია და აღმოვაჩინე, რომ მარტო არ იყო; მის გვერდით ავტომრბოლელის მცირეფორმატიანი იმიტაცია გამოჩნდა: უზარმაზარი, კუბოკრული ქუდი, უკან მოგდებული წინაფრით, დიდრონი სათვალე, თეთრი კომბინეზონი და ორი ძლევამოსილი ძოწისფერი ყური.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ იუპია! — ვთქვი გაკვირვებულმა — გახლავართ, ბატონო ლოკამპ! — გაიკრიჭა იუპი.

— თან გამოწყობილი! ეს რა მოგსვლია?

ლენცი კმაყოფილი ჩანდა.

— ხომ ხედავ, — თქვა და ხელი ჩამომართვა, — ავტომრბოლელად ვზრდით. რვა დღეა, მართვის გაკვეთილებს ვუტარებ. ჰოდა, დღევანდელზე შემეხვეწა, წამიყვანეო. კარგი შანსი აქვს, რთულ გზაზე პირველად გაიაროს.

— ყოფას ვუტირებ, ბატონო ლოკამპ, — დაუდასტურა ბეჯითად იუპმა. — თან როგორ უტირებს! — გოტფრიდმა ჩაიცინა, — ასეთი დევნის მანიით შეპყრობილი გიჟი ჩემ დღეში არ მინახავს! პირველი გაკვეთილი გვქონდა და ჩვენი ძველი, კარგი ტაქსით უკვე მერსედესის კომპრესორის გასწრება სცადა. წყეული პატარა სატანა!

იუპს ბედნიერებისგან ოფლი ასხამდა, ლენცს მზერით ეთაყვანებოდა. — ვიფიქრე, იმ კუდაბზიკას ვაჩვენებ-მეთქი სეირს, ბატონო ლენც! მოსახვევში უნდა გამომეჭირა, ბატონი კიოსტერი რომ შვება ხოლმე, ისე. გამეცინა.

— მაგრად იწყებ, იუპ!

გოტფრიდმა თავის შეგირდს მამაშვილური სიამაყით დახედა.

— ახლა ჩემოდნებს ხელი სტაცე და სადგურში გაიტანე.

— მარტომ? — იუპი ისე დაიძაბა, ლამის აფეთქდა, — შეიძლება, სადგურამდე სულ მარტოკა წავიდე, ბატონო ლენც?

გოტფრიდმა თავი დაუქნია და იუპი სახლში შექროლდა.

ჩემოდნები ჩავაბარეთ. მერე პატს გავუარეთ და სადგურისკენ გავემგზავრეთ. თხუთმეტი წუთით ადრე მივედით. ბაქანი ცარიელი იყო.

მხოლოდ რამდენიმე რძის ბიდონი იდგა.

— წადით, — ვთქვი მე, — თორემ სახლში ჩასვლა დაგიგვიანდებათ საჭესთან მჯომი იუპი გამინაწყენდა.

— არ მოგწონს, ხომ, მსგავსი შენიშვნები? — ჰკითხა ლენცმა. — ბატონო ლოკამპ, — მისაყვედურა, — ყველაფერი ზუსტად მაქვს

გათვლილი. რვა საათზე სახელოსნოში ვიქნებით, ძალიან წყნარად. — სწორია ლენცმა მხარზე ხელი დაჰკრა, — ნიძლავი თქო, იუპ. ერთ ბოთლ ზელტერის წყალზე.

— ზელტერის წყალს არა, — მიუგო იუპმა, — მაგრამ ერთ კოლოფ სიგარეტს ახლავე ჩამოვდივარ.

გამომწვევად მიცქერდა.

— იცი, რომ საკმაოდ ცუდი გზაა? — ვკითხე მე.

— ყველაფერი გავთვალე, ბატონო ლოკამპ!

— მოსახვევებზეც იფიქრე?

— მოსახვევები არ მაღელვებს. ნერვები არა მაქვს.

— კარგი, იუპ, — ვუთხარი სერიოზულად, — მაშ დავნიძლავდეთ. ოღონდ გზად ბატონი ლენცი არ დასვა.

იუპმა ხელი გულზე დაიდო.

— სიტყვას გაძლევთ!

— კაი, კაი. ერთი ის მითხარი, ასე მწარედ რა ჩაგიბღუჯავს? — ჩემი წამმზომია. გზაზე დრო უნდა დავნიშნო. ვნახო ერთი რისი მაქნისია ეს მარხილი.

ლენცმა ჩაიღიმა.

— დიახ, ბავშვებო, იუპი ჩინებულადაა აღჭურვილი. მე მგონი, მედგარ, მოხუც სიტროენს მისი შიშით უკვე ყველა ძვალი უკანკალებს. იუპმა ირონია არად ჩააგდო. ღელავდა, ქუდს აწვალებდა.

— აბა, წავიდეთ, ხომ, ბატონო ლენც? ნიძლავი ნიძლავია!

— აბა, რა, პატარა კომპრესორო! ნახვამდის, პატ! შეხვედრამდე, რობი! გოტფრიდი სკამზე აძვრა.

— აბა; იუპ, ერთი აჩვენე ქალბატონს, კავალერი და მომავალი მსოფლიო ჩემპიონი მანქანას ადგილიდან როგორ ძრავს!

იუპმა ავტომრბოლელის სათვალე მოირგო, მოხუცივით ხელი დაგვიქნია და ქვაფენილზე პირველი სიჩქარით გაქროლდა გზატკეცილისკენ.“

მე და პატი ერთხანს კიდევ სადგურის წინ, ძელსკამზე ვისხედით. ცხელი, თეთრი მზე ბაქნის ტიხარს, ხის კედელს ეფინებოდა. ფისის და მარილის სუნი იდგა. პატმა თავი უკან გადააგდო და თვალები დახუჭა ჩუმად იჯდა, მზისკენ პირშექცეული.

— დაიღალე? — ვკითხე მე.

თავი გააქნია.

— არა, რობი.

— მატარებელიც მოვიდა, — ვუთხარი მე.

ლოკომოტივი ჩამოდგა, მოლივლივე სივრცეში შავი, პატარა და დაკარგული. ავედით. მატარებელში სიხალვათე იყო. ქშენით დაიძრა. ჰაერში ლოკომოტივის სქელი და შავი ბოლი დარჩა. პეიზაჟმა ნელ-ნელა ჩაგვიარა — სოფელი, ჩალის ყავისფერი სახურავებით, მინდვრებზე მძოველი ძროხები და ცხენები, ტყე, და მერე, დიუნებს მიღმა, ჭალაში, მშვიდი და მთვლემარე ქალბატონი მიულერის სახლი.

პატი ჩემ გვერდით იდგა და ფანჯრიდან იცქირებოდა ლიანდაგმა მოუხვია და ჩვენი ოთახების ფანჯრები გარკვევით დავინახეთ. გამოღებული იყო და თეთრი თეთრეული მზეზე გამოეფინათ.

— აი, ქალბატონი მიულერი, — თქვა პატმა.

— ჰო, ალბათ.

სახლის კართან იდგა და ხელს გვიქნევდა. პატმა ცხვირსახოცი ამოიღო და ფანჯრიდან ააფრიალა.

— ვერ ხედავს, — ვთქვი მე, — მეტისმეტად პატარა და მეტისმეტად თხელია. აი, ჩემი აიღე.

გამომართვა და დააქნია. ქალბატონმა მიულერმა პასუხად გაცხოველებით დაგვიქნია ხელი.

მატარებელი გაშლილ ველზე გავიდა. სახლი გაუჩინარდა, დიუნები უკან ჩამოვიტოვეთ. ტყის შავი ზოლის უკან ზღვა ხანდა-

ხან კიდევ გაიბრჭყვიალებდა ხოლმე, ჩასაფრებული, მთვლემარე თვალივით. მერე ველების ნაზი ოქრო და მწვანე შემოგვეგება, თავთავები რბილ ნიავში ჰორიზონტამდე ირწეოდა.

პატმა ცხვირსახოცი დამიბრუნა და კუთხეში დაჯდა. ფანჯარა ავწიე. მორჩა! გავიფიქრე, დიდება ღმერთს, მორჩა და გათავდა! სიზმარი იყო, მეტი არაფერი! წყეული, ცუდი სიზმარი!

ქალაქში ექვსისთვის ჩავედით. ტაქსი დავიჭირე და ჩემოდნები შიგ ჩავტენე. მერე პატის ბინისკენ გავემგზავრეთ.

— ამომყვები? — მკითხა მან.

— რასაკვირველია.

ავიყვანე და კვლავ ქვემოთ ჩავედი, რომ მძღოლთან ერთად ჩემოდნები ამეტანა. რომ დავბრუნდი, პატი ისევ წინკარში იდგა. უფროს ლეიტენანტ ფონ ჰაკეს და მის მეუღლეს ესაუბრებოდა.

პატის ოთახში შევედით. გარეთ ნათელი, ადრიანი საღამო იდგა. მაგიდაზე, მინის ლარნაკში, ფერმკრთალი წითელი ვარდები ეწყო. პატი ფანჯარასთან მივიდა და გაიხედა. მერე მომიტრიალდა.

— რამდენ ხანს ვიყავით წასული, რობი?

— ზუსტად თვრამეტი დღე, — თვრამეტი დღე. ბევრად მეტი მეგონა.

— მეც. ეგ სულ ასეა, ქალაქიდან როცა გადიხარ...

თავი გააქნია.

— ამას არ ვამბობ...

აივნის კარი გააღო და გარეთ გავიდა. გარეთ კედელთან მიყუდებული თეთრი შეზლონგი იდგა. მოიჩოჩა და მდუმარედ დაეცქერდა.

რომ შემობრუნდა, სახე შესცვლოდა და თვალები ჩამუქებოდა.

— ვარდებს შეხედე, — ვუთხარი მე, — კიოსტერის საჩუქარია. ბარათი დაუტოვებია.

პატმა ბარათი აიღო და მერე ისევ მაგიდაზე დააბრუნა. ვარდებს შესცქეროდა, მაგრამ ვხედავდი, რომ ვერც ამჩნევდა. აზრებით კვლავ გასაშლელ სავარძელს უბრუნდებოდა. ეგონა, გავექეციო, და ახლა კი, ვინ იცის, კვლავ მისი ცხოვრების ნაწილი გამხდარიყო.

ხმა აღარ ამომიღია, ვაცდიდი. სიტყვის ბანზე აგდებას აზრი არ ჰქონდა. ბედს უნდა შეჰგუებოდა, და აჯობებდა, ეს ახლავე მომხდარიყო, სანამ მეც აქ ვიყავი. შეიძლება ბევრი მელაპარაკა და სხვა დროისთვის გადამედო, მაგრამ ერთხელაც იქნებოდა და დაუბრუნდებოდა, და ვინ იცის, კიდევ უფრო გასჭირვებოდა.

ცოტა ხანს მაგიდასთან იდგა, თავდახრილი და ხელებჩამოყრილი მერე ამომხედა. არაფერი მითქვამს. მაგიდას ნელა შემოუარა და ხელები მხრებზე დამაწყო.

— შე ძველო, — ვუთხარი მე.

მომეყრდნო მაგრად მოვეხვიე.

— საქმეს მივხედოთ, ჰო?

— თავი დამიქნია. მერე თმა გადაიწია.

— წამის ამბავი იყო, რობი.

— რასაკვირველია.

დააკაკუნეს. მოახლე გოგომ ჩაის სუფრა შემოაგორა.

— ძალიან კარგი, — თქვა პატმა.

— ჩაი გინდა? — ვკითხე მე.

— არა, ყავა, კარგი, მაგარი ყავა.

ნახევარი საათი კიდევ დავრჩი. მერე პატი დაიღალა. თვალებზე შე. ვატყვე.

— ეგებ დაგეძინა, — შევთავაზე მე.

— შენ?

— სახლში ნავალ და ცოტას მეც წავუძინებ ორ საათში მოგაკითხავ და ერთად ვივახშმოთ.

— დაღლილი ხარ? — ეჭვით მკითხა.

— ჰო, ცოტა. მატარებელში ძალიან ცხელოდა. მერე სახელოსნოშიც უნდა შევიარო.

აღარაფერი უკითხავს. ძალიან დაიღალა, წაქცევაზე იყო. ლოგინში ჩავაწვინე და საბანი დავახურე. ვარდები გვერდით დავუდგი და კიოსტერის ბარათიც იქვე დავდე, რომ გაღვიძებისთანავე საფიქრალი ჰქონოდა. მერე წავედი.

გზად ტელეფონის ავტომატთან გავჩერდი. გადავწყვიტე, იაფესთვის ახლავე დამერეკა. სახლიდან გამიჭირდებოდა. იქ უნდა გამეთვალისწინებინა, რომ მთელი პანსიონი მისმენს.

ყურმილი ავიღე და ნომერი ვუკარნახე. ცოტა ხანში იაფე გამეპასუხა. — ლოკამპი ვარ, — ვთქვი და ჩავახველე, — დღეს დავბრუნდით. ერთი საათია.

— მანქანით წამოხვედით? — მკითხა იაფემ.

— არა, მატარებლით.

— მერე, როგორაა?

— კარგად, — მივუგე მე.

წამით დაფიქრდა.

— ქალბატონ ჰოლმანს ხვალ ვინახულებ ხვალ დილით, თერთმეტზე ეტყვით?

— არა, — ვუთხარი მე, — ნუ ეცოდინება, რომ დაგირეკეთ ხვალ ალბათ თვითონაც შეგეხმიანებათ. იქნებ მაშინ უთხრათ — კარგი. ასე იყოს. მერე ვეტყვი.

სქელი, გაქონილი ტელეფონის წიგნი მექანიკურად განზე გავწიე. პატარა, ხის პულტზე იდო. მის თავზე, კედელზე, ტელეფონის ნომრები ფანქრით იყო მიჩხაპნილი.

— შეიძლება, ხვალ ნაშუადღევს გამოგიაროთ? ვკითხე მე.

იაფემ არ მიპასუხა.

— მაინტერესებს, როგორა აქვს საქმე, — ვთქვი მე.

— ამას ხვალ ვერ გეტყვით, — მომიგო იაფემ, — სულ მცირე, ერთი კვირა უნდა დავაკვირდე. მერე კი მოგახსენებთ — გმადლობთ.

ისევ პულტს მივჩერებოდი. ვიღაცას რაღაცა ჩაუხატავს. სქელი გოგო დიდი ჩალის ქუდით. ქვეშ ეწერა: ელა, შე თხა!

— რამე განსაკუთრებული ხომ არ უნდა აკეთოს?

— ამას ხვალ ვნახავ. მაგრამ, მე მგონი, საკუთარ ბინაში სათანადოდ მოუვლიან და ფეხზე დააყენებენ.

— არ ვიცი. გავიგე, ის ხალხი მომავალ კვირას მიემგზავრება. მაშინ მარტო დარჩება, მოახლის ამარა.

— მართლა? კარგი, მაშ, ხვალ ამაზეც დაველაპარაკები.

ტელეფონის წიგნი ისევ ნახატს დავაფარე.

— როგორ ფიქრობთ, ის... ასეთი შეტევა შეიძლება განმეორდეს? იაფე წამით ორჭოფობდა.

— რასაკვირველია, შეიძლება, — მითხრა მერე, — მაგრამ მოსალოდნელი არაა. ამის დანამდვილებით თქმას მხოლოდ მას მერე შევძლებ რაც კარგად გამოვიკვლევ. დაგირეკავთ — დიახ. გმადლობთ.

ყურმილი დავკიდე. გარეთ გასული ერთხანს კიდევ ქუჩაში ვიდექი. მტვრიანი, დახუთული დარი იყო, მერე სახლში წავედი — კართან, ქალბატონ ცალევსკის შევეჩეხე ქალბატონი ბენდერის ოთახიდან თოფნაკრავივით გამოვარდა. ჩემს დანახვაზე შედგა — რა, უკვე დაბრუნდით?

— როგორც ხედავთ. ამასობაში რამე მოხდა?

— სათქვენო არაფერი. არც წერილი მოგსვლიათ მაგრამ ქალბატონი ბენდერი კი წავიდა.

— მართლა? რატომ?

ქალბატონმა ცალევსკიმ ხელები გაშალა.

— ნაძირლებს რა დალევს. ქრისტიანულ თავშესაფარში გადასახლდა თავისი კატით და ოცდაექვსმარკიანი ავლადიდებით.

მომიყვა, რომ ბავშვთა სახლი, რომელშიც ქალბატონი ბენდერი ჩვილებს უვლიდა, გაკოტრდა. სამწუხაროდ, იქაურობის ხელმძღვანელი, პასტორი, თურმე ბირჟაზე სპეკულანტობდა. ქალბატონი ბენდერი მოხსნეს და თან ორი თვის ხელფასიც ჩამოაჭრეს.

— სხვა სამუშაო უკვე მონახა? — ვიკითხე დაუფიქრებლად.

ქალბატონმა ცალევსკიმ ერთი კი შემომხედა.

— გასაგებია. ცხადია, ვერა.

— ვუთხარი, დარჩით და იცხოვრეთ-მეთქი. ქირა არ მეჩქარება მეთქი. მაგრამ არ მოინდომა.

— ღარიბი ხალხი, როგორც წესი, პატიოსანი ხალხია, — ვუთხარი მე, — აქ ვინ შესახლდება?

— ჰასეები. აქამდე რომ ჰქონდათ, იმ ოთახზე იაფია.

— და ჰასეების ოთახი?

მხარები აიჩეჩა.

— ვნახოთ. დიდი იმედი არ მაქვს, რომ ვინმე მოვა.

— როდის დაცლიან?

— ხვალ. ჰასეები უკვე ნივთებს ეზიდებიან — ისე, რა ღირს ეს ოთახი? — ვკითხე მე უცებ რაღაც აზრი დამებადა. — სამოცდაათი მარკა.

— ძალიან ძვირია, — ვუთხარი, ამჯერად სრულიად გამოფხიზლებულმა — დილით — ყავა, ორი ფუნთუშა და ბლომად კარაქი?

— კარგი. ფრიდას ყავა გამოქვითეთ. ორმოცდაათი, ბოლო სიტყვა. — რა, დაქირავება გინდათ? — მკითხა ქალბატონმა ცალევსკიმ. — შეიძლება.

ჩემს ოთახში შევედი და ჰასეების ოთახში გამავალი ოთახი ჩაფიქრებულმა დავათვალიერე პატ, ცალევსკის პანსიონში! არა, ჭკვიანური „რაფერი მიფიქრია! მიუხედავად ამისა, ცოტა ხანში კარს მივადექი და დავაკაკუნე ქალბატონი ჰასე დამხვდა დაცლილ ოთახში სარკის წინ იჯდა, თავზე — ქუდით, და პუდრს ისვამდა. — მივესალმე, თან ოთახში მიმოვიხედე. უფრო დიდი იყო,

ვიდრე მეგონა. ახლაღა შევამჩნიე, ავეჯის ნაწილი როცა გაიტანეს. შპალერი ღია ფერისა იყო, უსახო და მეტ-ნაკლებად ახალი, კარ-ფანჯარა ახლახან შეეღებათ, და ძალიან დიდი და ლამაზი აივანი ჰქონდა.

— ალბათ, გაიგეთ, რა მაკადრა! — მითხრა ქალბატონმა ჰასემ, — იმ ქალის ოთახში უნდა გადავიდე! რა სირცხვილია!

— სირცხვილია? — ჩავეკითხე.

— დიახ, სირცხვილია! — განაგრძო აღელვებულმა, — ხომ იცით, ერთმანეთს ვერ ვიტანდით, და ახლა ჰასე მაიძულებს, მის ოთახში გადავიდეთ, უაივნოში, ერთადერთი ფანჯრით. მხოლოდ იმის გამო, რომ უფრო იაფია. ხომ წარმოგიდგენიათ, თავის ქრისტიანულ ჰოსპიტალში როგორ ზეიმობს!

— არა მგონია, ზეიმობდეს.

— არა, ზეიმობს, ეგ ვითომ ჩვილების გადია, ჩუმჩუმელა ას სოროში გამძვრალი! გვერდით კიდევ ის კეკელა, ის ერნა ბიონიგი! და კატების სუნი!

გაოგნებული ვუყურებდი. ას სოროში გამძვრალი ჩუმჩუმელა. საოცრებაა. ადამიანი ახალ და მართლაც ხატოვან გამოთქმებს მხოლოდ მაშინ იგონებს, როცა ილანძღება. როგორი მარად უცვლელია სიყვარულის გამოხატვის საშუალებები და, სამაგიეროდ, რა მრავალფეროვნად ილანძღებიან და იგინებიან ხოლმე!

— კატები ხომ ძალიან სუფთა და ლამაზი ცხოველები არიან — ვუთხარი მე, — ცოტა ხნის წინ ვიყავი იმ ოთახში. კატების სუნი სულ არ დგას.

— მართლა? — მომიგო მტრულად ქალბატონმა ჰასემ და ქუდი გაისწორა, — ყნოსვას გააჩნია, მაგრამ მე ხელის განძრევასაც არ ვაპირებ! ადგეს და ავეჯი თვითონ ათრიოს! მე მივდივარ! გავერთობი! ეს მაინც მქონდეს ჩემს ძაღლურ ცხოვრებაში!

ადგა. შეშუპებული სახე ბრაზისგან ისე უკანკალებდა, რომ

პუდრი დასცვივდა შევამჩნიე, რომ ტუჩები მეტისმეტად წითლად შეეღება და, საერთოდ, მაგარი აღგზნებული იყო. გასვლისას პარფიუმერიის სასტიკი სუნი დააყენა.

თვალი დაბნეულმა გავაყოლე. მერე ოთახი ერთხელაც დავათვალიერე. ვფიქრობდი, პატის ავეჯი სად უნდა დაგვედგა. მაგრამ მალე შევეშვი ამ ამბავს. პატი — აქ, სულ აქ, ჩემთან ერთად, — ვერც კი წარმომედგინა! აზრადაც არ მომივიდოდა, ჯანმრთელი რომ ყოფილიყო. ახლა კი... კარი გავაღე და აივანს თვალი შევავლე. მერე თავი გავაქნიე და ჩემს ოთახს დავუბრუნდი.

როცა მივაკითხე, ეძინა. ლოგინის გვერდით მდგარ სავარძელში ჩუმად ჩავჯექი, მაგრამ მაინც უცებ გაეღვიძა.

— გაგაღვიძე, არ მინდოდა, — ვუთხარი მე.

— მთელი ეს დრო აქ იყავი? — მკითხა მან.

— არა. ეს წუთია, მოვედი.

გაიზმორა და სახე ხელზე დამადო.

— ასე სჯობს. არ მიყვარს, როცა მძინარეს მიყურებენ.

— მესმის შენი. არც მე მსიამოვნებს. შენს თვალთვალსაც არ ვაპირებდი. უბრალოდ, გაღვიძება არ მინდოდა. გინდა, კიდევ წაუძინო?

— არა, გამოვიძინე. ახლავე ავდგები.

სანამ იცვამდა, მეორე ოთახში გავედი. გარეთ ნელ-ნელა ჩამობნელდა. მოპირდაპირე მხარეს, გამოღებული ფანჯრიდან, გრამოფონი ჰოენფრიდბერგერის მარშს ყიყინებდა. აპარატს მელოტი, აჭიმებიანი კაცი უტრიალებდა. ოთახში მიდი-მოდიოდა და მუსიკის თანხლებით ვარჯიშობდა. ბინდ-ბუნდში მისი მელოტი თავი აღელვებული მთვარის დარად ანათებდა. გულგრილად ვუცქერდი. დაჩლუნგებულად და ნაღვლიანად ვგრძნობდი თავს.

პატი შემოვიდა. ულამაზესი იყო, საღი, დაღლილობისა აღარაფერი ეტყობოდა.

— შესანიშნავად გამოიყურები, — ვუთხარი გაკვირვებულმა — თან კარგად ვარ, რობი. თითქოს მთელი ღამე მეძინა. ასეთები უცებ გამომდის.

— ჰო, რა ვიცი! ზოგჯერ ისე უცებაც, რომ ვერც გეწევი, — მხარზე მომეყრდნო და ამომხედა.

— უცბად-უცბად, რობი?

— არა. ეს მე ვარ უბრალოდ ასეთი, პატ, მეტისმეტად ნელა ვირჯები. გამიღიმა — ნელა და მტკიცედ. და მტკიცე კარგია.

— ისეთივე მტკიცე ვარ როგორც კორპი წყალზე, — ვუთხარი მე. თავი გააქნია.

— შენ ბევრად უკეთესი ხარ, ვიდრე გგონია. საერთოდ, სულ სხვანაირი ხარ, ისეთი არა, შენ რომ გგონია. იშვიათად მინახავს ადამიანი, საკუთარ თავთან დაკავშირებით ასე ცდებოდეს.

ხელი გავუშვი.

— ჰო, საყვარელო, — თქვა და თავი დამიქნია — მართლა ასეა. აბა, წამო, ვჭამოთ.

— სად წავიდეთ? — ვკითხე მე.

— ალფონსთან. იქაურობა უნდა ვნახო. ისეთი გრძნობა მაქვს რომ საუკუნეა, აღარ ვყოფილვარ.

— კარგი! — ვუთხარი, — მაგრამ საკმარისად მოგშივდა? თუ არ გშია, ალფონსთან მისვლა არ იქნება. გამოგვყრის.

გაიცინა.

— მეტსაც გეტყვი, ძალიან მშია.

— მაშ, წავედით! — უცებ ძალიან გავიხარე.

ალფონსის მიღება ტრიუმფალური იყო. მოგვესალმა, სადღაც გაქრა — და დაბრუნდა, თეთრი პერანგით და მწვანედ დაწინწკლული ჰალსტუხით. ამას გერმანიის იმპერატორსაც არ აღირსებდა. დეკადანსის ამ გაუგონარ გამოვლინებას ის თავადაც ცოტა დაებნია.

— აბა, ალფონს, რა ხდება ახალი და კარგი? — ჰკითხა პატმა

და მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო, ალფონსმა ჩაიცინა, ტუჩები დაბერა და თვალები მოჭუტა — გაგიმართლათ დღეს კიბორჩხალებს ვჭამთ!

ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რომ მოხდენილი ეფექტი დაენახა სათანადოდ დავუფასეთ.

— ზედ ერთი ჭიქა ახალი მოზელის ღვინოც, — წაგვჩურჩულა აღგზნებულმა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უკან. მის სიტყვებს მხურვალე აღტაცება მოჰყვა, უცნაურია — კარის მხრიდანაც. იქ გაჩეჩილი, ყვითელი თმით და მზით დამწვარი ცხვირით, უკანასკნელი რომანტიკოსის გაბადრული თავი გამოჩნდა.

— გოტფრიდ! — შესძახა ალფონსმა, — შენა ხარ? პირადად? ბიჭო რა მაგარი დღეა! მოდი, გულში ჩაგიკრა!

— აი, ახლა ნახე, — ვუთხარი პატს.

ერთმანეთს გადაეხვივნენ. ალფონსი ლენცს ზურგში ისე ურტყამდა, იფიქრებდი, სადღაც, აქვე, სამჭედლო ყოფილაო.

— ჰანს, — გასძახოდა ალფონსი მიმტანს, — „ნაპოლეონი“ მოიტანე! გოტფრიდი დახლთან მიათრია. მიმტანმა დიდი, დამტვერილი ბოთლი მიართვა. ალფონსმა ორი ჭიქა შეავსო.

— გაგიმარჯოს, გოტფრიდ, შე წყეულო ღორის მწვადო!

— გაგიმარჯოს, ალფონს, ძველო, შე ბებერო კატორღელო!

ორივემ გადაკრა.

— მაგარია! — თქვა გოტფრიდმა, — ღვთაებრივი კონიაკია — ასე გამოწრუპვა სირცხვილიც კია, — დაეთანხმა ალფონსი.

— არადა, როცა გიხარია, ნელა როგორ უნდა დალიო მოდი, თითოც მივცეთ!

დაასხა და ჭიქა ასწია.

— შე წყეულო, ორგულო პომიდორო!

ლენცმა გაიცინა.

— ჩემი ბებერი, საყვარელი ალფონსი!

ალფონსს თვალები აუწყლიანდა.

— ერთიც, გოტფრიდ, — თქვა გულაჩუყებულმა.

— მზად ვარ! — ლენცმა ჭიქა გაუწოდა, — კონიაკზე უარს მხოლოდ მაშინ ვიტყვი, როცა იატაკზე დავარდნილი თავის აწევას ვეღარ შევძლებ — მაგარი სიტყვაა! — ალფონსმა მესამეც ჩამოასხა.

სუფრასთან დაბრუნებულ ლენცს ცოტა არ იყოს სუნთქვა უჭირდა საათი ამოიღო რვას რომ ათი აკლდა, სიტროენი სახელოსნოსთან იდგა. რას იტყვით? — რეკორდია, — მიუგო პატმა — დიდება იუპს! ერთი კოლოფი სიგარეტი ჩემზეა!

— დამატებით ულუფა კიბორჩხალა — ჩემზე დასძინა ალფონსმა რომელიც გოტფრიდს ფეხდაფეხ მოჰყვა. მერე სუფრების მსგავსი ტილოები მოგვაწოდა ერთი, ქურთუკები გაიხადეთ და ესენი მოიხვიეთ! ქალბატონი ხომ ნებას დაგვრთავს?

— მე მგონი, აუცილებელიცაა, — თქვა პატმა ალფონსმა გაიხარა.

— გონიერი ქალი ხართ, ასეც ვიცოდი. კიბორჩხალები მშვიდად უნდა ჭამო. ლაქების არ უნდა გეშინოდეს. — ჩაიცინა, — თქვენ, ცხადია, უფრო ელეგანტურ რამეს მოგართმევთ.

მიმტანმა ჰანსმა თოვლივით თეთრი მზარეულის ხალათი მოიტანა. ალფონსმა გაშალა და პატს ჩაცმაში მიეხმარა.

— ძალიან გიხდებათ, — შეაქო ალფონსმა.

— მაგარია, მაგარია! — გაუცინა პატმა.

— მიხარია, რომ დაიმახსოვრეთ, — უთხრა კეთილად ალფონსმა, — გული მითბება.

— ალფონს! — გოტფრიდმა თავისი სუფრა კისერზე გაინასკვა, ისე, რომ — ბოლოები გაეპრიხა, — ჯერჯერობით აქაურობა მხოლოდ სადალაქოს ჰგავს. — ახლავე ყველაფერი იქნება. მაგრამ ჯერ — ცოტა ხელოვნება. ალფონსი გრამოფონისკენ წავიდა. მწირების გუნდმა „თანჰოიზერი“ დასჭექა. მდუმარედ ვუსმენდით.

როგორც კი ბოლო ბგერა მიჩუმდა, სამზარეულოს კარი გა-

იღო და მიმტანი ჰანსი საბავშვო აბაზანისხელა ტაშტით გამოგვეცხადა. ტაშტს ორთქლი ასდიოდა. კიბორჩხალებით სავსე იყო. ჰანსმა ტაშტი ხვნეშით დადგა მაგიდაზე.

— ხელსახოცი მეც მომიტანე, — თქვა ალფონსმა.

— ჩვენთან ერთად მიირთმევ, ოქროს კაცო? — შესძახა ლენცმა, — რა პატივში ვართ!

— ქალბატონს თუ საწინააღმდეგო არაფერი ექნება, — პირიქით, ალფონს!

პატმა თავისი სკამი ჩასწია და ალფონსი მის გვერდით დაჯდა. — კარგია რომ თქვენთან დავჯექი, — თქვა ცოტა დამორცხვებულმა — მე ძალიან სწრაფად ვასუფთავებ. ქალბატონისთვის ცოტა მოსაწყენი საქმეა. ალფონსმა ხელი ტაშტში ჩაყო და დაუჯერებელი სიჩქარით დაიწყო პატისთვის კიბორჩხალის გარჩევა. თავისი უშველებელი ხელებით ამას ისე მოხდენილად და კოხტად აკეთებდა, რომ პატს სხვა არაფერი დარჩენოდა — ჩანგლით გემრიელად მოწოდებული ლუკმა მიერთვა.

— გემრიელია? — ჰკითხა ალფონსმა.

— დიდებულია! — პატმა ჭიქა ასწია, — თქვენ გაგიმარჯოთ, ალფონს! ალფონსმა საზეიმოდ მიუჭახუნა და ჭიქა ნელა ჩაცალა, პატს შევხედე. — მერჩივნა, უალკოჰოლო რამე დაელია. ჩემი მზერა იგრძნო.

— გაგვიმარჯოს, რობი, — თქვა მან.

ულამაზესი იყო, გაბრწყინებული, გახარებული.

— გაგვიმარჯოს, პატ, — ვუთხარი და დავლიე.

— რა კარგია აქ, არა? — თვალს არ მაშორებდა.

— შესანიშნავია! — კიდევ დავისხი, — გაგვიმარჯოს, პატ!

— სახე გაუნათდა.

— გაგვიმარჯოს, რობი! გაგვიმარჯოს, გოტფრიდ!

დავლიეთ.

— კარგი ღვინოა, — თქვა ლენცმა.

— გრაახური აბსბერგია, გასული წლისა, — აუხსნა ალფონსმა, — მიხარია, რომ გაუგე.

— ტაშტიდან მეორე კიბორჩხალა ამოიღო და გახსნილი საცეცი პატს გაუწოდა.

პატმა იუარა.

— ეს თქვენ უნდა მიირთვათ, ალფონს თორემ არაფერი შეგხვდებათ. — მოვასწრებ. სხვებზე ბევრად უფრო სწრაფად ვირჯები.

— მაშ, კარგი.

პატმა საცეცი გამოართვა. ალფონსს სიამოვნებისგან სახე გაუნათდა და კვლავ მის გამასპინძლებას განაგრძობდა. ისეთი სანახავი იყო, თითქოს მოხუცი, დიდი ჭოტი პაწაწინა, თეთრ ბარტყს აპურებდა.

ბოლოს ყველამ კიდევ თითო ნაპოლეონი დავლიეთ და ალფონსს დავემშვიდობეთ პატი ბედნიერი იყო.

— შესანიშნავი საღამო გვქონდა! — თქვა მან, — დიდი, დიდი მადლობა, ალფონს. მართლაც შესანიშნავი იყო!

ხელი გაუწოდა. ალფონსმა რაღაც ჩაიბუტბუტა და ხელზე აკოცა. ლენცს გაოცებისგან კინაღამ თვალები გადმოსცვივდა.

— მალე მეწვიეთ, — თქვა ალფონსმა, — შენც, გოტფრიდ!

გარეთ, ლამპიონის ქვეშ, პატარა და ეული სიტროენი იდგა.

— ოჰ, — თქვა პატმა და გაჩერდა. შეკრთა.

— რაც დღეს ივაჟკაცა, ჰერკულესად მოვნათლე! გოტფრიდმა კარი გამოაღო, — სახლამდე გაგიყვანოთ?

— არა, — თქვა პატმა.

— ასეც ვიფიქრე. აბა, სად წავიდეთ?

— ბარში. არა, რობი? — ჩემკენ მოტრიალდა.

— რასაკვირველია, — ვუთხარი მე, — რასაკვირველია, ბარშიც

წავიდეთ. ქუჩებს ძალიან ნელა მივუყვებოდით. თბილი, მოწმენდილი საღამო იყო. კაფეების წინ ხალხი იჯდა. ნიავს მუსიკის ხმა მოჰქონდა. პატი ჩემ გვერდით იჯდა. უცებ წარმოუდგენლად მეჩვენა, რომ მართლა ავადაა, უცებ ძალიან დამცხა — წამით აღარ დავიჯერე.

ბარში ფერდინანდი და ვალენტინი შეგვხვდნენ. ფერდინანდი ჩინებულ გუნებაზე იყო. ადგა და პატს შეეგება.

— დიანა, — თქვა მან, — ტყეებიდან შინ დაბრუნებულა...

პატმა გაუღიმა. ფერდინანდმა მხრებზე ხელი მოხვია.

— ვერცხლის მშვილდის მატარებელო, გარუჯულო, მამაცო მონადირევ, რას გვეტყვი, რა დავლიოთ?

გოტფრიდმა ფერდინანდს ხელი ააღებინა.

— ეს პათეტიკური ხალხი სრულიად უტაქტოა, — თქვა მან, — ქალბატონს ორი მამაკაცი ახლავს, ეს ალბათ ჯერ ვერ შენიშნე, ყოჩაღო ზუბრო! — რომანტიკოსები მხოლოდ ამალა არიან, თანმხლებნი — არასოდის, — განუმარტა ფერდინანდმა და არც შეტოკებულა, ლენცი გაიკრიჭა და პატს მიუბრუნდა, — ახლა განსაკუთრებულ რამეს გაგიკეთებთ კოლიბრის კოქტეილს. ბრაზილიური სასმელია.

ბარის დახლთან მივიდა, ათასი რამე ერთმანეთში აურია და კოქტეილი მოიტანა.

როგორია? — იკითხა მან.

— კი, ბრაზილიურია, მაგრამ ცოტა სიმაგრე აკლია, — მიუგო პატმა — გოტფრიდმა გაიცინა.

— ამ დროს ძალიან მაგარია. არყით და რომითაა დამზადებული დანახვისთანავე მივხვდი, რომ არც რომი ჰქონდა, არც არაყი, ხილის წვენი იყო, ლიმონი, ტომატი და, შეიძლება, ერთი წვეთი ანგოსტურა.

უალკოჰოლო კოქტეილი. დიდება ღმერთს, პატი ვერ მიხვდა.

სამი დიდი კოლიბრი დაუსხეს და ვხედავდი, რა კარგად იყო,

რომ ავადმყოფივით არავინ ექცეოდა. ერთ საათში ყველანი ავდექით, მხოლოდ ვალენტინი დარჩა. ეს ლენცის მოწყობილი იყო. მან ფერდინანდი სიტროენში ჩატვირთა და გაქროლდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ მე და — პატი ადრე წავედით. ყველაფერი ეს ძალიან გულის ამაჩუყებელი იყო, მაგრამ მე მაინც წამით ძაღლური სევდა შემომაწვა.

პატმა ხელი გამიყარა. თავისი ლამაზი, მოხდენილი ნაბიჯით მომყვებოდა, მისი ხელის სითბოს ვგრძნობდი, მის გაცოცხლებულ სახეზე ლამპიონების ნათებას ვხედავდი... არა, ვერ ვიჯერებდი, რომ ავად იყო, ამას მხოლოდ დღისით ვხვდებოდი, საღამოს კი, როცა ცხოვრება უფრო ნაზი, უფრო თბილი ხდებოდა და ამდენს გვპირდებოდა, აღარ მესმოდა... — ცოტა ხნით ჩემთან წავიდეთ? — ვკითხე მე.

თავი დამიქნია.

ჩვენი პანსიონის დერეფანი გაჩახჩახებული იყო.

— დასწყევლოს ღმერთმა, — ვთქვი მე, — რა ხდება? ერთი წამი დამიცადე. კარი გავაღე და შევიხედე. განათებული, ცარიელი დერეფანი გარეუბნის ვიწრო ქუჩას ჰგავდა. ქალბატონ ბენდერის ოთახის კარი ბოლომდე იყო გამოღებული, და იქაც შუქი ენთო. შემოსასვლელში ჰასე პატარა, შავი ჭიანჭველასავით მიაბიჯებდა, ვარდისფერი აბაჟურით დამშვენებული ტორშერის ქვეშ მოკუზული. ნივთები გადაჰქონდა.

— საღამო მშვიდობისა, — ვუთხარი მე, — ასე გვიანობამდე მოგიწიათ? — ნაზი, მუქი ულვაშით შემკული ფერმკრთალი სახე ასწია.

— სამსახურიდან ერთი საათის წინ მოვედი. დალაგებისთვის ხომ მხოლოდ საღამოს მცალია.

— თქვენი ცოლი აქ არაა?

თავი გააქნია.

— თავის დაქალთან წავიდა. დიდება ღმერთს, დაქალი გამოუჩნდა და სულ მასთან ერთადაა ხოლმე.

უბოროტოდ, კმაყოფილმა გაიღიმა და გზა განაგრძო.

პატი შევიყვანე.

— შუქი არ გვინდა, ჰო? — ვკითხე, როცა ჩემს ოთახში შევედით. — კი, რა, საყვარელო. სულ წამით, მერე ისევ გამორთე.

— გაუმაძღარი ქალი ხარ, — ვუთხარი, პლუშის წითელი დიდება წამით გავაჩახჩახე და უმალვე ჩავაქრე.

ფანჯრები ღია იყო და, როგორც ტყიდან, ხეებიდან ღამის სუფთა ჰაერის სუნთქვა აღწევდა.

— კარგია, — თქვა პატმა და ფანჯრის რაფის კუთხეში მოკალათდა. — აქაურობა მართლა მოგწონს?

— კი, რობი. დიდი საზაფხულო პარკივითაა. შესანიშნავია!

— აქეთობისას გვერდით ოთახში თუ შეგიხედავს? — ვკითხე მე. — არა, რატომ?

— მარცხნივ რომ გადასარევი, დიდი აივანია, იმ ოთახს ეკუთვნის. ძალიან მყუდროა, მოპირდაპირე მხარესაც არაფერია. აქ რომ გეცხოვრა, გასარუჯად საცურაო კოსტიუმიც კი არ დაგჭირდებოდა...

— კი, აქ რომ მეცხოვრა...

— იცხოვრე მერე, — ისე, სხვათა შორის ვუთხარი, — ხომ ნახე, ამ დღეებში ოთახს დაცლიან.

შემომხედა და გაიცინა.

— როგორ ფიქრობ, ჩვენთვის კარგი იქნება? სულ ასე ახლოახლოს ყოფნა...

— სულ ერთად ყოფნა რატომ მოგვიწევს, — არ შევეპუე, — მთელი დღე გასული ვარ ხოლმე. ხშირად — საღამოსაც. ერთად თუ ვიქნებოდით, დუქნებში ჯდომა აღარ დაგვჭირდებოდა და ჩქარჩქარაც აღარ დავიშლებოდით ხოლმე, სტუმრებივით თავის კუთხეში ოდნავ შეირხა.

— ისე ამბობ, თითქოს უკვე გადაგეწყვიტოს, საყვარელო.

— გადავწყვიტე კიდეც, — ვუთხარი მე, — მთელი საღამო ამაზე ვფიქრობდი.

— წამოიმართა.

— არ ხუმრობ, რობი?

— არა, გეფიცები, — ვუპასუხე მე, — განა არ მეტყობა?

— წამით დუმდა..

— რობი, — მითხრა, და მისი ხმა უწინდელზე ხრინწიანი იყო, — მაინცდამაინც ახლა რატომ მოგაფიქრდა?

— რამ მომაფიქრა და... — გაცხარებული ავლაპარაკდი ასეც არ მინდოდა, მაგრამ უცებ მივხვდი, რომ ახლა ოთახის ამბავზე ბევრად მეტი რამ უნდა გადაწყვეტილიყო, — იმან მომაფიქრა, რომ ეს ბოლო კვირებია, ვნახე, რა კარგია სულ ერთად ყოფნა, ამას ვეღარ ვუძლებ, ამ საათობრივ შეხვედრებს! მე შენგან მეტი მინდა! მინდა, რომ სულ ჩემთან ერთად იყო, აღარ მომწონს, ჭკვიანური სახეებით სიყვარულს რომ ვმალავთ, ვერ ვიტან, არ მჭირდება, მხოლოდ შენ მჭირდები, დიახ, შენ, სულ შენი უკმარისობა მექნება და უშენოდ წუთსაც ვერ გავძლებ.

მისი სუნთქვა მესმოდა. ფანჯრის კუთხეში ჩაცუცქულიყო, ხელები მუხლებზე შემოეხვია და დუმდა.

— შეგიძლია, დამცინო, — ვუთხარი მე.

— დაგცინო? — მკითხა მან.

— ჰო, იმიტომ რომ სულ ვამბობ მე მინდა შენც ხომ უნდა გინდოდეს.

ამომხედა.

— იცი, რომ შეიცვალე, რობი?

— არა.

— კი. შენც ხომ ამბობ გინდა იმდენ კითხვას აღარ სვამ უბრალოდ გინდა.

— ეს რა დიდი ცვლილებაა. მაინც ხომ შეგიძლია, უარი თქვა,

მე ძალიანაც რომ მინდოდეს.

უცებ ჩემკენ დაიხარა.

— უარი რატომ უნდა ვთქვა, რობი, — მითხრა ძალიან თბილად და ნაზად, — მეც მინდა...

გაკვირვებული მხრებზე მოვეხვიე. სახეზე მისი თმა მეხებოდა. — მართლა, პატ?

— აბა, რა, ჩემო საყვარელო.

— ჯანდაბა — ვთქვი მე, — ეს ამბავი ბევრად უფრო რთულად მეხვეწებოდა.

თავი გააქნია.

ეგ ხომ მხოლოდ შენი ბრალია, რობი...

მგონი, მეც ასე მგონია, — ვთქვი გაკვირვებულმა.

ხელი კისერზე მომხვია.

— ზოგჯერ ძალიან კარგია, საფიქრალი რომ არაფერი გაქვს. როცა ყველაფერი შენი გასაკეთებელი არაა. როცა შეგიძლია, ვიღაცას მიეყუდო. საყვარელო, სინამდვილეში, ყველაფერი ძალიან ადვილია. მთავარია, შენ თვითონ არ გაართულო,.

წამით კრიჭა შევკარი. ამას პატი მეუბნებოდა!

— მართალი ხარ, — ვუთხარი მერე, — მართალი ხარ, პატ.

სულ არ იყო მართალი.

ერთხანს კიდევ ვიდექით ფანჯარასთან.

— ყველა შენი ნივთი წამოვიღოთ, — ვთქვი მე, — არაფერი არ უნდა მოგაკლდეს. ჩაის მაგიდაც შევიძინოთ. ფრიდა რამენაირად ისწავლის. — ხომ გვაქვს, ჩემო საყვარელო. ის ჩემია.

— კიდევ უკეთესი. მაშ, ხვალიდან ფრიდასთან ვარჯიშს ვიწყებ. თავი მხარზე დამადო. ვგრძნობდი, რომ დაიღალა.

— სახლში წაგიყვანო? — ვკითხე მე.

— ახლავე. სულ ერთი წუთით წამოვწვები.

ლოგინზე წყნარად იწვა, უსიტყვოდ, თითქოს ეძინა. მაგრამ თვალები გახელილი ჰქონდა და ხანდახან, როცა კედლებზე და

ჭერზე ფერადი ჩრდილოეთის ციალი უხმოდ გადაივლიდა ხოლმე, რეკლამის სხივებს ირეკლავდა. გარეთ ხმაური შეწყდა. ხანდახან ჰასე დააგრიხინებდა რაღაცას, თავისი იმედების, თავისი ოჯახის და ალბათ, თავისი ცხოვრების ნაშთებსაც.

— ახლავე დარჩი, — ვუთხარი მე.

წამოდგა.

— დღეს არა, საყვარელო, — მირჩევნია, დარჩე.

— ხვალ...

ადგა და ბნელ ოთახში ჩუმად გაიარა. ის დღე გამახსენდა, როცა ჩემთან პირველად დარჩა და ალიონის ნაცრისფერ რიბირაბოში ასევე ჩუმად გაიარა ოთახი, ტანთ რომ ჩაეცვა. არ ვიცი, რა იყო, მაგრამ თან გულს მიჩუყებდა, და თან თავზარსაც მცემდა. ეს მოძრაობა ძალიან ძველი, დიდი ხნის ჩავლილი დროისა იყო, როგორც უთქმელი კანონი, რომელიც აღარავინ იცის. სიბნელიდან დამიბრუნდა და სახეზე ხელები მომკიდა.

— კარგი იყო შენთან, საყვარელო. ძალიან კარგი იყო რა კარგია, რომ აქ ხარ.

არაფერი მითქვამს. ვერაფერს ვეტყოდი.

სახლში მივიყვანე და მერე ბარში დავბრუნდი. კიოსტერი დამხვდა — დაჯექი, — მითხრა მან როგორა ხარ?

— რა გითხრა, ოტო.

— დალევ?

— თუ დავლიე, ბევრს დავლევ. ეგ არ მინდა. ასეც მოვახერხებ მაგრამ სხვა რამეს კი ვიზამდი. გოტფრიდი ტაქსითაა?

— არა.

— კარგი. მაშინ ერთი-ორი საათით მე წავიყვან.

— წამოგყვები, — მითხრა კიოსტერმა.

მანქანა გამოვიყვანე და ოტოს დავემშვიდობე. მერე სადგომს მივაშურე ჩემ წინ ორი მანქანა იდგა. მერე გუსტავი და მსახიობი

ტომი მოვიდნენ. მერე წინა ორი მანქანა წავიდა და მალე მეც მუშტარი გამომიჩნდა. ახალგაზრდა გოგო იყო, „ვინეტაში“ მიდიოდა.

„ვინეტა“ პოპულარული საცეკვაო ადგილი იყო, მაგიდებზე ტელეფონებით, პნევმატური ფოსტით და ამდაგვარებით, პროვინციელებზე გათვლილი. სხვა დუქნებისგან ოდნავ მოშორებით იდგა, ბნელ ქუჩაზე. გავჩერდით. გოგომ ჯიბეები მოიქექა და ორმოცდაათმარკიანი მომაწოდა. მხრები ავიჩეჩე.

— სამწუხაროდ, ხურდა არა მაქვს.

პორტიე მოგვადგა.

— რამდენი დაწერა?

— ერთი და სამოცდაათი.

გოგომ პორტიეს მიმართა.

— გადამიხდით? წამოდით და სალაროსთან მოგცემთ.

პორტიემ კარი გამოაღო და სალაროსთან მივიდა მერე დაბრუნდა. — აი...

გადავითვალე.

— აქ ერთი და ორმოცდაათია.

— ნუ როშავ რაღაცას. თუ ახალბედა ხარ? ორი გროში პორტიეს გადასახადია, იმისა, რომ დავბრუნდი. მოუსვი აქედან!

არსებობს ადგილები, სადაც პორტიეს ფეხის ქირას აძლევენ. მაგრამ ეს მაშინ, როცა მანქანა მოჰყავს, და არა მაშინ, როცა მანქანას მოჰყავს ვინმე.

— როგორი ახალბედაც არ უნდა ვიყო, — ვუთხარი მე, — ერთი და სამოცდაათი მეკუთვნის.

— სიფათში მიიღებ, — შემიღრინა მან, — ბიჭო, აახვიე აქედან, შენზე დიდი ხანია, აქ ვდგავარ.

ორი გროში სულ არ მაღელვებდა. უბრალოდ, არ მინდოდა, ვინმეს გავებითურებინე.

— მორჩი ბაზარს და ფული დადე, — ვუთხარი მე.

პორტიემ ისე სწრაფად დამარტყა, რომ სახის დაფარვა ვერ მოვასწარი. ამ ჩემს სკამზე თავსაც ვერ ავარიდებდი. თავი საჭეს ვხეთქე. გაბრუებული გავიმართე. თავი მიგუგუნებდა და ცხვირიდან სისხლი მდიოდა. პორტიე თავზე მადგა.

— ერთიც, მკვდარო?

ჩემი შანსები წამში შევაფასე. ვერაფერს გავხდებოდი, ბიჭი ჩემზე ღონიერი იყო. მოსახელთებლად მოულოდნელობა იყო საჭირო. მანქანიდან დარტყმა არ გამოდიოდა, ძალა არ მეყოფოდა. სანამ მანქანიდან გადმოვიდოდი, კიდევ სამჯერ დამაგდებდა. შევხედე. ლუდის სუნს მაორთქლებდა.

— ერთსაც გაინძრევი და ცოლს დაგიქვრივებ.

ვუყურებდი. არ ვინძრეოდი. განიერ, ჯანმრთელ სახეს მივჩერებოდი. თვალებით ვჭამდი. ვხედავდი, სად უნდა დამერტყა, ცივად მოვემართე — გაცოფებული ვიყავი. მაგრამ არ ვინძრეოდი. სახეს ძალიან ახლოს ვხედავდი, ძალიან მკაფიოდ, როგორც გამადიდებელ შუშაში, უზარმაზარს, ყოველ ბეწვს ვხედავდი, უხეშ, ფორიან კანს... პოლიციელის მუზარადმა გაიპრიალა.

— აქ რა ხდება?

პორტიემ თვინიერი სახე მიიღო:

— არაფერი, ბატონო ვახმისტრო.

მე შემომხედა.

— არაფერი, — ვუთხარი მე.

— პოლიციელმა ახლა მე გადმომხედა — სისხლი გდით.

— მივარტყი.

პორტიემ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია თვალები ცუდად უღიმოდა. ეგონა, რომ მისი დასმენის მეშინოდა.

— აბა, გზა განაგრძეთ, — თქვა პოლიციელმა.

გაზს დავაჭირე და სადგომზე დავბრუნდი.

— რას ჰგავხარ, ბიჭო! — მითხრა გუსტავმა.

— მარტო ცხვირია, — ვთქვი და ამბავს მოვუყევი.

— ერთი, წამო დუქანში, — მითხრა გუსტავმა, — ფერშალი ტყუილად კი არ ვიყავი. მჯდომარე კაცის ცემა რა ღორობაა.

დუქნის სამზარეულოში შემიყვანა, ყინული მოატანინა და ნახევარი საათი თავს დამტრიალებდა.

— არც კი დაგილურჯდება, — ამიხსნა გუსტავმა.

როგორც იქნა, მორჩა.

— აბა, თავი როგორ გაქვს? კარგად? მაშ, დროს ნუ დავკარგავთ. ტომი შემოვიდა.

— ის, „ვინეტას“ მოხეული პორტიე იყო? ცემა-ტყეპით განთქმულია სამწუხაროდ, თვითონ ჯერ არ მოხვედრია.

— ახლა მოხვდება, — თქვა გუსტავმა.

— კი, ოღონდ ჩემგან, — ვუთხარი მე.

გუსტავმა უკმაყოფილოდ შემომხედა.

— სანამ შენ მანქანიდან გადახვალ...

— რაღაც ხრიკი მოვიგონე. თუ მე ვერ ვქენი, აქ არ ხარ...

— კარგი.

— გუსტავის ქუდი დავიხურე და მისი მანქანით წავედით, რომ პორტიეს დენთის სუნი უცებ არ სცემოდა. ისედაც ბევრს ვერაფერს დაინახავდა, ბნელოდა.

— მივედით. ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გუსტავი მანქანიდან გადახტა, ხელში ოცმარკიანი ეჭირა.

— ჯანდაბა ამის თავს, ხურდა არა აქვს! პორტიე, ხომ ვერ დამიშლით? ერთი და სამოცდაათი? აბა, მომეცით მაშინ.

ვითომ სალაროსკენ დაიძრა. პორტიე ხველებით მომიახლოვდა და ერთი მარკა და ორმოცდაათი მომცა, ხელი გაწვდილი დამრჩა — ხელი შესწიე... — შემიღრინა.

— ფული დადე, ძაღლო! — დავუღრიალე მე.

წამით გაქვავდა.

— ბიჭო, — მითხრა მერე და ტუჩები მოილოკა, — მერე ხომ რამდენიმე თვე გეტკინება!

მომიქნია. რომ მომხვედროდა, გონს დამაკარგვინებდა. მაგრამ უკვე მზად ვიყავი, შევტრიალდი და მოვიხარე, და მუშტი მთელი ძალით ამოსაქოქის ბასრ წვეტს მოხვდა — მარცხენა ხელში მქონდა დამალული.

პორტიემ დაიღრიალა, განზე გახტა და ხელის ქნევა დაიწყო. ტკივილისგან ორთქლის მანქანასავით შიშინებდა და დაუცველი იყო, არაფერი იფარავდა.

მანქანიდან გადმოვხტი — მიცანი? — დავუსისინე და კუჭში გავუქანე წაიქცა.

— ერთი, — სალაროდან გუსტავმა თვლა დაიწყო, — ორი... სამი... ხუთზე პორტიე, შუშასავით თვალებით, ისევ ადგა. ახლაც მის სახეს ვხედავდი, ძალიან მკაფიოდ, ამ ჯანმრთელ, ჯანიან ჯეელს, ამ ღორს, რომელსაც ავადმყოფი ფილტვები არასოდეს ექნებოდა, და უცებ გონსა და თვალებზე წითელი კვამლი გადამეფარა, ვეცი და ვურტყი, და ვურტყი, ყველაფერს ვურტყი, რაც ამ დღეებში და კვირებში დამიგროვდა, სულ ამ ჯანმრთელ, ფართო მოკიკინე სახეს ვურტყი, სანამ უკან არ გამათრიეს...

— ბიჭო, მოკლავ... — დამიყვირა გუსტავმა.

მიმოვიხედე, პორტიე, სისხლში მოთხვრილი, კედელს ეყუდებოდა. მერე მუხლები მოეკეცა, დაეცა და ნელა, როგორც უზარმაზარი, პრიალა, უნიფორმიანი მწერი, ოთხით გახოხდა შესასვლელისკენ, — ეგ ისე იოლად ვეღარავის სცემს... — თქვა გუსტავმა, — დროზე, მოვხიეთ, სანამ ვინმე მოსულა! ეს უკვე სხეულის მძიმე დაზიანება იყო. ფული ქვაფენილზე დავაგდეთ, მანქანაში ჩავსხედით და დავიძარით. — მეც სისხლი მდის? — ვკითხე მე, — თუ პორტიესია?

— ცხვირიდან ისევ გდის, — მითხრა გუსტავმა, — მაგარი მარცხენა — დაგაჭედა.

— ვერც ვიგრძენი.

გუსტავმა გაიცინა.

— იცი, რა, — ვუთხარი მე, — ახლა შეუდარებლად უკეთ ვარ.

18

ჩვენი ტაქსი ბართან იდგა. შევედი. ლენცი უნდა შემეცვალა და გასაღები და საბუთები წამომეღო. გოტფრიდიც გამომყვა.

— კარგი დღე გქონდა? — ვკითხე მე.

— ისე, რა, — მომიგო მან, — ან ტაქსია მეტისმეტად ბევრი, ან ტაქსის მგზავრია მეტისმეტად ცოტა. შენი საქმე როგორაა?

— ცუდად. მთელი ღამე ვიდექი და ოცი მარკაც ვერ გავაკეთე. — ცუდი დრო დადგა! — გოტფრიდმა წარბები ასწია, — აბა, დღეს დიდად არ გეჩქარება, ჰო?

— არა, რა იყო?

— ცოტაზე გამოგყვები.

კარგი. — მანქანაში ჩავსხედით.

— საით? — ვკითხე მე.

— ტაძართან.

— რაო? — ჩავეკითხე, — მომესმა? ტაძარი გავიგე.

— არა, შვილო ჩემო, არ მოგესმა. სწორედ ტაძარი ვთქვი!

გაოცებული ვუყურებდი.

— ნუ გიკვირს, დაიძარი! — მომიწოდა გოტფრიდმა.

— კარგი, — დავიძარით.

ტაძარი ქალაქის ძველ ნაწილში იდგა, გაშლილ მოედანზე, რომლის გარშემოც სასულიერო პირები ცხოვრობდნენ. მთავარ შესასვლელთან გავაჩერე.

— ცოტა იქით, — მითხრა გოტფრიდმა, — წრეზე წადი.

უკანა მხარეს, პატარა კართან გამაჩერა და გადავიდა.

— აბა გაამოს, — ვუთხარი მე, — როგორც ვხვდები, ცოდვები უნდა მოინანიო.

— შენც წამოდი, — მიპასუხა მან.

გამეცინა.

— სხვა დროს იყოს. დილით უკვე ვილოცე. მთელ დღეს მყოფნის ხოლმე.

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, პატარავ! წამოდი. ხელგაშლილი ვიქნები და რაღაცას გაჩვენებ.

ცნობისმოყვარეობამ მძლია. პატარა კარიდან შევედით და იქიდან პირდაპირ მონასტერში, ტალანებში აღმოვჩნდით. ტალანები დიდ ოთხკუთხედს კრავდნენ, მაღალი თაღების რიგისგან შემდგარს, შიდა მხარეს ნაცრისფერ გრანიტის სვეტებზე დაყრდნობილს. შუაში ბაღი იყო. ცენტრში დიდი, გამოქარული ჯვარი აღემართათ, ზედ იესოს გამოსახულებით. იქით-აქეთ, ქვის რელიეფებზე, ჯვარცმის სურათები გამოესახათ. ყოველი სურათის წინ ძველი სალოცავი სკამი იდგა. ბაღი გაველურებული იყო და ყვაოდა და ყვაოდა.

გოტფრიდმა თეთრი და წითელი ვარდის უზარმაზარი ბუჩქები მაჩვენა. — ეს უნდა მეჩვენებინა! იცანი?

გაოცებული დავრჩი.

— რასაკვირველია, ვიცანი, — ვუთხარი მე, — მაშ, აქ შეგიგროვებია, ეკლესიის ბებერო ქურდო!

ერთი კვირის წინ პატი ქალბატონ ცალევსკისთან გადმოსახლდა და საღამოს ლენცმა იუპის ხელით ვარდების უზარმაზარი

თაიგული გამოუგზავნა. იმდენი იყო, რომ იუპი ქვევით ორჯერ ჩავიდა და ორივეჯერ იმდენი ამოზიდა, ხელში არ ეტეოდა. ტვინი მეღრძო, ვერაფრით მივხვდი, გოტფრიდმა საიდან მოიტანა, რადგან ვიცოდი, ყვავილებს პრინციპულად არ ყიდულობდა. ქალაქის გაზონებზე ასეთები არასოდეს მენახა.

— მაგარი აზრია! — ვუთხარი პატივისცემით გამსჭვალულმა, — მოფიქრება არ გინდა?!

გოტფრიდმა ჩაიცინა.

— ეს ბაღი ოქროს საბადოა! — მხარზე ხელი საზეიმოდ დამადო, — მოწილედ ამყავხარ! ვფიქრობ, სწორედ ახლა ძალიან გამოგადგება!.

— რატომ მაინცდამაინც ახლა?

— იმიტომ რომ ქალაქის გაზონებზე ამჟამად ბევრი არაფერი ხარობს. აქამდე შენი ერთადერთი საძოვარი ეგ იყო, არა?

თავი დავუქნიე.

— გარდა ამისა, — განაგრძობდა გოტფრიდი,— ახლა ის დრო გიდგება, როცა ბურჟუასა და კავალერს შორის განსხვავება უნდა დაგვანახო, — ბურჟუა, რაც უფრო დიდხანს იცნობს ქალს, მით უფრო უყურადღებო ხდება. კავალერი — სულ უფრო ყურადღებიანი. — ხელი ფართოდ გაშალა, — ამით შეგიძლია მართლაც გასაოცარი კავალერი იყო!

— გავიცინე.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, გოტფრიდ, — ვუთხარი მე, — მაგრამ ის როგორ იქნება, თუ წამასწრეს? აქედან მოკურცხვლა გაჭირდება, ღვთისმოსავი ხალხი კი ასეთ რამეს სულ ადვილად შერაცხავს წმინდა ადგილების შეურაცხყოფად.

— ჩემო საყვარელო ბიჭო, — მითხრა ლენცმა, ვინმეს თუ ხედავ? ომის მერე ხალხი პოლიტიკურ თავყრილობებზე დადის, ეკლესიაში კი არა. ეგ მართალი იყო.

— მღვდლების საქმე როგორაა? — ვკითხე მე.

— მღვდლებს ყვავილები არ ადარდებთ, თორემ ბაღი უფრო მოვლილი იქნებოდა. ხოლო რაც უფალ ღმერთს შეეხება, დიდი-დიდი, ესიამოვნოს, ამით თუ ვინმეს გაახარებ. ეგ სულაც არაა ეგეთი.

— ისე, მართალი ხარ! — უზარმაზარ, ბებერ ბუჩქებს შევცქეროდი — მომავალი კვირები უზრუნველყოფილი მაქვს, გოტფრიდ.

— მეტიც. გაგიმართლა. ეს ვარდი ძალიან დიდხანს ყვავის. ასეთი ჯიშია. სულ მცირე, სექტემბრამდე გეყოფა. მერე კი ასტრები და ქრიზანტემები წამოვა. წამო, ბარემ იმათაც გაჩვენე.

ბაღში გავიარეთ. ვარდები გამაბრუებელ სურნელს აფრქვევდა. ფუტკრები მოზუზუნე ღრუბელივით დასტრიალებდნენ ბუჩქებს.

— ერთი, ამას შეხედე, — ვთქვი და გავჩერდი, — ნეტა, საიდან მოვიდნენ? შუა ქალაქში. ახლომახლო სკებიც არსადაა. თუ, როგორ ფიქრობ, მღვდლებსა აქვთ სადმე სახურავებზე დალაგებული?

— „არა, ძმაო, — მიპასუხა ლენცმა, — ნამდვილად ვიღაც გლეხის კარმიდამოდან მოვიდნენ. გზა კი იციან თვალი ჩამიკრა, — რა, არა?

მხრები ავიჩეჩე.

— შეიძლება პატარა მონაკვეთი მაინც ყველამ იცის. ვინც რამდენს აქაჩავს შენ რა, ეგრე არ ხარ?

— არა. არ ვიცი და არც მინდა, რომ ვიცოდე მიზანი ცხოვრებას ბურჟუაზიულს ხდის.

ტაძრის კოშკს ავხედე. მწვანე აბრეშუმივით იყო ლურჯ ცაში აღმართული, უსასრულოდ ძველი და მშვიდი, თავს მერცხლები დასტრიალებდნენ.

— აქ რა სიმშვიდეა, ვთქვი მე.

ლენცმა თავი დამიქნია.

— კი, ბებერო, აქ ატყობ, რომ მხოლოდ დრო არ გეყო, რომ

კარგი ადამიანი დამდგარიყავი, არა?

— დრო და სიმშვიდე, — მივუგე მე. — სიმშვიდეც გაიცინა.

— გვიანია! საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ სიმშვიდეს კაცი ვეღარც უძლებ. მაშ, წავედით! ალიაქოთს დავუბრუნდეთ!

გოტფრიდი ჩამოვსვი და სადგომზე დავბრუნდი. გზად სასაფლაოსთან ჩავიარე. ვიცოდი, რომ პატი აივანზე, შეზლონგზე იწვა, და ერთი-ორჯერ დავასიგნალე. მაგრამ არაფერი მოხდა და მეც გზა გავაგრძელე. სამაგიეროდ, ცოტა მოშორებით ქალბატონი ჰასე დავინახე, რაღაც ტაფტისა და აბრეშუმის მოსასხამში ქუჩას მიუყვებოდა და მერე კუთხეს მიეფარა. გავყევი, უნდა მეკითხა, სადმე ხომ არ გაგიყვანოთმეთქი. მაგრამ გზაჯვარედინს რომ მივაღწიე, დავინახე, კუთხესთან გაჩერებულ მანქანაში ჩაჯდა. ერთი დაფეხვილი მერსედესის ლიმუზინი იყო, 23 წლის გამოშვება. უმალვე გაფახფახდა. საჭესთან იხვნისკარტა კაცი იჯდა, ჭყეტელა კოსტიუმში. მანქანას თვალს კარგა ხანს ვაყოლებდი. ესე იგი, ასე იცის, ქალი სულ სახლში რომ ზის და თან მარტოა. დაფიქრებული მივდიოდი სადგომისკენ და ტაქსების რიგში ჩავდექი. სახურავს მზე აჭერდა. წინ ნელა მივიწევდი, ჩამთვლიმა და დაძინება ვცადე. მაგრამ ქალბატონი ჰასეს სახე თავიდან არ ამომდიოდა. ეს სულ სხვა ამბავი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს პატიც ხომ მთელი დღე მარტოა.

გადავედი და გუსტავის მანქანას მივადექი — მოდი, დალიე, — მომიწოდა და თერმოსი გამომიწოდა, — სასწაულად ცივია! ჩემი აღმოჩენაა! ყინულიანი ყავა. სიცხეში საათობით — ძლებს. ჰო, გუსტავი პრაქტიკული კაცია!

ჭიქა გამოვართვი და დავლიე.

— თუ ასეთი პრაქტიკული ხარ, — ვუთხარი მე, — ერთი, ისიც მიამბე, ქალს თუ ხშირად უწევს მარტო ყოფნა, როგორ უნდა გაართო?

— უადვილესია! — გუსტავმა ზემოდან დამხედა, — ბიჭო, რობერტ! ბავშვი ან ძაღლი! უფრო რთული რამე მკითხე!

— ძაღლი! — გამიკვირდა, — ჰო, ბიჭო, ძაღლი! მართალი ხარ! ძაღლი თუ გყავს, მარტო არასოდეს იქნები!

სიგარეტი შევთავაზე.

— მომისმინე, ასეთებში ერკვევი? წესით, ლეკვი იაფი არ უნდა ღირდეს, ჰო?

გუსტავმა თავი საყვედურით გააქნია.

— ჩემო რობერტ, როგორც ჩანს, არ იცი, ვის ელაპარაკები ჩემი სასიმამრო დობერმან-პინჩერების გაერთიანების მეორე მდივანია! ცხადია, ლეკვს აგაყვანინებ, თან უფასოდ, ყველაზე სუფთა სისხლისას. ერთმა ახლახან დაყარა სწორედ, ბებია ჩემპიონი ჰყავთ, ბერტა ტოგენბურგიდან.

გუსტავი დალოცვილი კაცი იყო. მისი საცოლის მამა მხოლოდ ძაღლებს როდი აშენებდა, დუქნის, „ნოიე კლაუზეს“ მფლობელიც იყო, და თავად საცოლეს პლისირების სახელოსნოც ჰქონდა. გუსტავი თავს ჩინებულად გრძნობდა. სასიმამროსთან მუქთად ჭამდა და სვამდა, საცოლე კი პერანგებს ურეცხავდა და უუთოვებდა. ქორწინებისგან თავს იკავებდა. მერე ყველაფერზე ზრუნვა თვითონ მოუწევდა.

გუსტავს ავუხსენი, რომ დობერმანი არ მაწყობს. მეტისმეტად დიდია და ხასიათიც არასანდო აქვს. გუსტავი ცოტა ხანს დაფიქრდა — წამომყევი ერთი, — მითხრა მან, — რამე გამოვქექოთ რაღაც მეგულება. ოღონდ შენ ხმა არ ამოიღო.

— კარგი.

პატარა მაღაზიასთან მიმიყვანა. ვიტრინაში წყალმცენარეებით სავსე აკვარიუმები გამოედგათ, ყუთში რამდენიმე ნაღვლიანი ზღვის გოჭი იჯდა. იქით-აქეთ გალიები ეკიდა, სადაც ჭივჭავები, წითელგულები და კანარის ჩიტები დაუღალავად დახტოდნენ.

ფეხებგაღუნული, დაბალი, ყავისფერ ჟაკეტში გამოწყობილი

კაცი გამოგვეგება. წყალწყალა თვალები, უფერული სახე, ნათურასავით ცხვირი — ლუდის და არყის მსმელი ბრძანდებოდა, — ერთი ეს მითხარი, ანტონ, ასტა რას შვრება? — ჰკითხა გუსტავმა. — მეორე ადგილი და საპატიო ჯილდო კიოლნში, — უპასუხა ანტონმა, — უსამართლობაა! — დაასკვნა გუსტავმა, — პირველი რატომ არა? — პირველი ბლანკენფელზის უდოს მისცეს, — დაიღრინა ანტონმა. — არ გამაცინო! იმისი უკანა ტანის პატრონს!

მაღაზიის სიღრმიდან ყეფა და წკავწკავი მოისმოდა. გუსტავი შევიდა. დაბრუნებულს ქეჩოთი ორი პატარა ტერიერი მოჰყავდა, მარცხენა შავ-თეთრი იყო, მარჯვენა — ჟღალი. ხელი, რომელშიც ჟღალი ეჭირა, ოდნავ შესამჩნევად გაატოკა. შევხედე: ეგ იყო.

ულამაზესი, ცელქი ძაღლი იყო. სწორი ფეხებით, კვადრატული სხეულით, ოთხკუთხედი თავით, ჭკვიანი და თავხედი. გუსტავმა ორივე გაუშვა. — სასაცილო ნაბიჭვარია, — თქვა და მოწითალოზე ანიშნა, — სად გიშოვია?

ანტონს ვიღაც ქალისგან ჰყოლია, რომელიც სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებულა. გუსტავი გიჟივით ახარხარდა. განაწყენებულმა ანტონმა ძაღლის გენეალოგიური ხე აჩვენა, რომელიც ნოეს კიდობნით იწყებოდა. გუსტავმა ხელი აუქნია და შავ-თეთრით დაინტერესდა. ანტონმა მოწითალოში ასი მარკა მოითხოვა. გუსტავმა ხუთი შესთავაზა. — დიდი ბაბუა არ მოეწონა. კუდსაც რაღაც დაუწუნა. არც ყურები ჰქონია სათანადო. აი, შავ-თეთრი კი უნაკლო იყო.

კუთხეში ვიდექი და ყურს ვუგდებდი. უცებ ვიღაცა ქუდში მწვდა. გაოცებულმა მოვიხედე. კუთხეში, ძელზე, პატარა მაიმუნი იჯდა, ოდნავ მოკუნტული, ყვითელი ბეწვით და სევდიანი სახით, შავი, მრგვალი თვალებით და მოხუცი ქალის დარდიანი ტუჩებით, წელზე ტყავის ქამარი ეკეთა, ზედ მიმაგრებული ჯაჭვით, პატარა, შავი და შემაშფოთებლად ადამიანური ხელები ჰქონდა.

— გაუნძრევლად ვიდექი. ნელ-ნელა მაიმუნის თავი ძელზე

ჩემკენ მოჩოჩდა. თან თვალს არ მაცილებდა, ის კი არა, რომ არ მენდობოდა — უცნაური, თავშეკავებული მზერა ჰქონდა. ბოლოს ხელი ფრთხილად გამოიშვირა. ერთი თითი გავუწოდე. შეკრთა, მერე კი ხელი მომკიდა. უცნაური შეგრძნება იყო — გრილი, ბავშვის ხელი, თითზე რომ მეჭიდებოდა, თითქოს საწყალ, მუნჯ, ამ მოგრეხილ სხეულში დატყვევებულ ადამიანს თავის დაღწევა უნდოდა. ამ მომაკვდინებლად ნაღვლიანი თვალების ყურება დიდხანს არ შემეძლო.

გუსტავმა გენეალოგიური ტევრიდან ხვნეშით გამოაღწია.

— მოკლედ, გადაწყდა, ანტონ, შენ სამაგიეროდ ჰერტასეული დობერმანის ლეკვი გეყოლება. შენი ცხოვრების საუკეთესო გარიგებაა!

მერე მე მომიბრუნდა, — ახლავე წაიყვან?

— რა ღირს?

— არაფერი. იმ დობერმანში გავცვალე, მანამდე რომ გაჩუქე. ჰო, რა, აცადეთ გუსტავს საქმის გაკეთება! გუსტავი ბაჯაღლო კაცია! შევთანხმდით, რომ ტაქსის გადავაბარებდი და ძაღლს მერე მივაკითხავდი.

— იცი, ვინ გერგო? — მკითხა გარეთ გუსტავმა — იშვიათი ვინმეა. ირლანდიული ტერიერი. პრიმისიმა! ნაკლი არა აქვს. და წინაპრები არ იცი, ღმერთო ჩემო, არც ნახო, თორემ ამ ცხოველს რამდენი მიმართავ იმდენი ქედის მოხრა მოგიწევს.

— გუსტავ, — ვუთხარი მე, — დიდი საქმე გამიკეთე. წამო ყველაზე ძველი კონიაკი დავლიოთ, რასაც კი მოვიპოვებთ.

— დღეს არა! — მითხრა გუსტავმა, — დღეს მტკიცე ხელი უნდა მქონდეს. საღამოს ჩემს გაერთიანებაში კეგლის სათამაშოდ მივდივარ. დამპირდი, რომ ოდესმე შენც წამოხვალ. სულ დიდ-დიდი ხალხია, ფოსტის უფროსი მდივანიც კი.

— წამოვალ, — ვუთხარი მე, — ფოსტის უფროსი მდივანი რომც არ დამხვდეს, მაინც.

ექვსი სრულდებოდა, როცა სახელოსნოში დავბრუნდი კიოსტერი მელოდა.

— ნაშუადღევს იაფემ დარეკა. დაურეკე.

წამით სუნთქვა შემეკრა.

— რამე გითხრა, ოტო?

— არა, დიდი არაფერი. მხოლოდ ისა თქვა, ხუთამდე კონსულტაციაზე ვიქნებიო მერე — დოროთეას საავადმყოფოში. ანუ, იქ უნდა დაურეკო. — კარგი.

ოთახში შევედი. ცხელოდა, დახუთული იყო, მაგრამ მე ვიყინებოდი და ტელეფონის ყურმილი ხელში მიკანკალებდა.

— რა სისულელეა, — ვთქვი და მაგიდას მაგრად დავეყრდენი.

სანამ იაფეს ხმა მივაწვდინე, კარგა ხანი გავიდა.

— გცალიათ? — მკითხა მან.

— კი.

— მაშ, ახლავე გამოდით. კიდევ ერთი საათი აქ ვიქნები.

მინდოდა, მეკითხა, პატს ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— კარგი, — ვუთხარი მე, — ათ წუთში თქვენთან ვარ.

დავუკიდე და მაშინვე სახლში დავრეკე. ყურმილი მოახლემ აიღო. პატი ვიკითხე.

— არ ვიცი, აქ თუა, — ჩაიბუზღუნა ფრიდამ, — ვნახავ.

ვიცდიდი. თავი გამისივდა და გამიხურდა. ლოდინი გაუთავებლად გრძელდებოდა. მერე ფაჩუნი და პატის ხმა გამიგონე.

— რობი?

წამით თვალები დავხუჭე.

— როგორ ხარ, პატ?

— კარგად. აქამდე აივანზე ვიჯექი და ვკითხულობდი. ჩამთრევი წიგნია.

— ჰო, ჩამთრევი წიგნია, — დავეთანხმე, — ძალიან კარგი. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ დღეს ოდნავ შემაგვიანდება. წიგნი დაამთავრე? — არა, შუამდე ვარ მისული. ერთი-ორი საათი კიდევ მეყოფა. — მანამდე ათ ჯერ მოვალ. ჩემს მოსვლამდე იკითხე.

ერთხანს კიდევ ვიჯექი. მერე წამოვიმართე, — ოტო, — ვუთხარი მე, — კარლით წავალ, კარგი?

— რასაკვირველია. თუ გინდა, წამოგყვები, საქმე აღარ მაქვს. — არ გინდა. არაფერი არ ხდება, სახლში უკვე დავრეკე.

კარლით ქუჩებში მივქროდი და ვფიქრობდი: როგორი შუქია! რა საოცარია ეს საღამოს ნათება სახურავების თავზე! რა სავსე და ტკბილია ეს ცხოვრება!

რამდენიმე წუთი იაფეს ლოდინი მომიწია. მედდამ პატარა ოთახში შემიყვანა, სადაც ძველი ჟურნალები ეწყო, ფანჯრის რაფაზე რამდენიმე ქოთანში ხვიარები ხარობდა. ისევ ის ჟურნალები, ყავისფერი გარეკანებით, ისევ ის სევდიანი ხვიარები. ასეთებს კაცი მხოლოდ ექიმის მისაღებში ან საავადმყოფოებში თუ ნახავ.

იაფე შემოვიდა. თოვლივით თეთრი ხალათი ეცვა, უთოს კვალი ჯერაც ეტყობოდა. მაგრამ როცა დაჯდა, მარჯვენა სახელოს შიდა მხარეს პაწაწინა, ალისფერი სისხლის წვეთი დავინახე. სიცოცხლის განმავლობაში ბევრი სისხლი მენახა, მაგრამ ამ პაწაწინა ლაქამ უფრო დამთრგუნა, ვიდრე იმ უამრავმა სისხლით გაჟღენთილმა სახვევმა. ჩემი თავდაჯერება უკვალოდ გაქრა.

— დაგპირდით, რომ ქალბატონი ჰოლმანის ამბავს გეტყოდით, — თქვა იაფემ.

თავი დავუქნიე და სუფრას დავაცქერდი. ფერადი პლუშის იყო, სახიანი. ერთმანეთში ჩაქსოვილ ექვსკუთხედებს ვუყურებდი და გიჟურად გავიფიქრე: თუ იაფეს ალაპარაკებამდე გავძლებ და თვალს არ დავახამხამებ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.

— ორი წლის წინ ექვსი თვე სანატორიუმში გაატარა. იცოდით? — არა, — ვთქვი, თან კვლავ სუფრას დავჩერებოდი.

— მაშინ გამომჯობინდა. ახლა კარგად შევამოწმე. ამ ზამთარს ისევ უნდა წავიდეს, აუცილებლად. ქალაქში დარჩენა არ შეიძლება. — როდის უნდა წავიდეს?

— შემოდგომაზე. ყველაზე გვიან, ოქტომბრის ბოლოს.

— ანუ, ერთჯერადი სისხლდენა არ იყო?

— არა.

ავხედე.

— უჩემოდ გეცოდინებათ, — განაგრძო იაფემ, — ამ ავადმყოფობას ვერაფერს გაუგებ. ერთი წლის წინ თითქოს შეჩერდა, პროცესის ინკაფსულაცია დაიწყო და სავარაუდოდ, უნდა ჩაკეტილიყო. როგორს უცებ დაიწყო, და ასევე მოულოდნელად შეიძლება ჩაქრეს.

ტყუილად არ ვამბობ... მართლა ასეა. მე თვითონ ვარ სასწაულებრივი განკურნებების მოწმე.

— გართულებებისაც?

შემომხედა.

— რასაკვირველია, ესეც ყოფილა.

წვრილმანების ახსნა დამიწყო. ორივე ფილტვი დაზიანებული იყო, მარჯვენა — ნაკლებად, მარცხენა — მეტად მერე გაჩერდა და მედდას დაურეკა.

— ჩემი საქაღალდე მომიტანეთ.

მედდამ მოუტანა. იაფემ ორი დიდი ფოტო ამოიღო. ჭრაჭუნა კონვერტები გახსნა და ფირები ფანჯრისკენ მიმართა.

— ასე უკეთ დაინახავთ. ეს რენტგენია.

გამჭვირვალე, ნაცრისფერ ფირფიტაზე ვხედავდი ხერხემალს, ბეჭებს, ლავიწებს, მკლავების სახსრების ღრმულებს, და ნეკნების ბრტყელ რკალებს. მაგრამ მეტსაც ვხედავდი — ჩონჩხს. სურა-

თის უფერულ, ერთმანეთში გარდამავალ ჩრდილებს შორის ბნელად და იდუმალად წამომართულიყო. პატის ჩონჩხს ვხედავდი. პატის ჩონჩხს.

პინცეტის გაყოლებით ფირფიტაზე რამდენიმე ხაზს და ლაქას მაჩვენებდა და მათ მნიშვნელობას მიხსნიდა. ვერ შეამჩნია, რომ იქით საერთოდ აღარ ვიყურებოდი. მეცნიერი იყო, საფუძვლიანად აკეთებდა თავის საქმეს. ბოლოს მომიტრიალდა.

— გაიგეთ?

— დიახ, — ვუთხარი მე.

— რა იყო? — მკითხა მან.

— არაფერი, — მივუგე, — უბრალოდ, კარგად ვერ ვხედავ.

— გასაგებია. — სათვალე შეისწორა. მერე ფოტოები კონვერტებში დააბრუნა და გამომცდელად დამაცქერდა, — ტყუილუბრალოდ ნურაფერს იფიქრებთ.

— არ ვფიქრობ. მაგრამ რა საშინელი სატანჯველია! მილიონობით ადამიანია ჯანმრთელი! რაღა ეს ერთი არაა!

იაფე ცოტა ხანს დუმდა.

— ამაზე ვერავინ გიპასუხებთ, — თქვა მერე.

— დიახ — მივუგე; უცებ საშინლად გამწარებულმა და ბრაზისგან დაყრუებულმა, — ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გამცემს! რასაკვირველია! ტანჯვასა და სიკვდილზე პასუხს ვერავინ აგებს! ჯანდაბა! ვერც ვერაფერს იზამ!

იაფე დიდხანს მიყურებდა, — მაპატიეთ, — ვუთხარი მე, — თავს ვერ მოვიტყუებ ესაა უბედურება ისევ მომჩერებოდა. .

— ცოტა ხანს გცალიათ? — მკითხა მან — დიახ, — ვუთხარი მე, — დიდხანსაც.

ადგა.

— ახლა საღამოს შემოვლა მაქვს. მინდა, რომ წამომყვეთ. მედდა თეთრ ხალათს მოგცემთ. პაციენტებისთვის ჩემი ასისტენ-

ტი იქნებით. ვერ მივხვდი, რა უნდოდა; მაგრამ მედდის მიერ გამოწვდილი ხალათი კი ჩავიცვი.

გრძელ დერეფნებს მივუყვებოდით. განიერი ფანჯრებიდან საღამოს ვარდისფერი ნათება შემოდიოდა. რბილი, მშვიდი ნათება იყო, არარეალურად მოლიცლიცე. რამდენიმე ფანჯარა გამოეღოთ აყვავებული ცაცხვების სურნელი შემოდიოდა.

იაფემ ერთი კარი გამოაღო. დახუთული, ლპობაშეპარული ჰაერი გვეცა. ქალის საოცარ ოქროსფერ თმაში სხივები აირეკლა; მან ხელი ძლივს ასწია. კეთილშობილი შუბლი საფეთქლებთან უვიწროვდებოდა. თვალებქვეშ შეხვეული იყო. სახვევები პირამდე სწვდებოდა. იაფემ ფრთხილად შეხსნა. დავინახე, რომ ქალს ცხვირი აღარ ჰქონდა. მის ნაცვლად ქერქით დაფარული, ცხიმიანი, წითელი იარა იყო, შიგ ორი ხვრელით. იაფემ სახვევი კვლავ დააფარა.

— კარგი, — უთხრა მეგობრულად და გასასვლელად გატრიალდა კარი გამოიხურა. წამით გავჩერდი და საღამოს რბილ ნათებას გავხედე.

წამოდით — მითხრა იაფემ და შემდეგი ოთახისკენ გამიძღვა სიცხიანის ხრიალი და ქშენა მოგვესმა. კაცი იყო, ტყვიისფერი სახით, რომელზეც უცნაურად წითელი ლაქები ეტყობოდა. პირი დაღებული ჰქონდა, თვალები — გადმოკარკლული, ხელებს საბანზე მოუსვენრად — ამოძრავებდა. კაცი უგონოდ იყო. ტემპერატურული მრუდი მუდმივად ორმოც გრადუსს აჩვენებდა. ლოგინთან მედდა იჯდა და კითხულობდა. როცა იაფე შევიდა, წიგნი გადადო და ადგა იაფემ დაფას დახედა და თავი გააქნია.

— ორმხრივი ფილტვების ანთება და პლევრიტი. ერთი კვირაა, ხარივით იბრძვის. შეუბრუნა. თითქმის გამოჯანმრთელებული იყო. სამუშაოდ ნაადრევად გავიდა. ცოლი და ოთხი შვილი ჰყავს. უიმედოა.

ფილტვებს მოუსმინა და პულსი შეუმოწმა მედდა ეხმარებოდა.

ამ დროს წიგნი ძირს დავარდა. ავიღე და დავინახე, რომ კულინარიული წიგნი იყო. ლოგინში მწოლი კაცის ობობასავით თითები საბანს განუწყვეტლივ ფხაჭნიდა. ოთახში მხოლოდ ეს ხმა ისმოდა.

— ღამით აქ დარჩით, დაო, — უთხრა იაფემ.

გავედით. გარეთ ვარდისფერ დაისს ფერები შემატებოდა. დაისი დერეფანს ღრუბელივით ავსებდა.

— წყეული შუქი, — ვთქვი მე.

— რატომ? — მკითხა იაფემ, — ერთად არ მოსულა. ის და ეს.

— ცდებით, — მითხრა იაფემ, — მოსულა.

მომდევნო ოთახში ქალი კვნესოდა. ნაშუადღევს ვერონალით მძიმედ მოწამლული მოუყვანიათ. წინადღით ქმარს უბედური შემთხვევა მოსვლია. ხერხემალი გაუტეხია და ცოლს სახლში აყვირებული, საღ გონზე მყოფი მოუყვანეს. ღამით იქვე მომკვდარა.

— გადარჩება? — ვიკითხე მე.

— ალბათ.

— რისთვის?

— ბოლო წლებში ხუთი მსგავსი შემთხვევა მქონდა, — მითხრა იაფემ. — ხელმეორედ თავის მოკვლა მხოლოდ ერთმა სცადა. გაზით. გარდაიცვალა. დანარჩენებიდან ორი ხელახლა გათხოვდა.

შემდეგ ოთახში კაცი იწვა, თორმეტი წლის წინ დამბლადაცემული. ცვილის კანი ჰქონდა, თხელი, შავი წვერი და ძალიან დიდი, მშვიდი თვალები. — როგორა ხართ? — ჰკითხა იაფემ.

კაცმა დაუდგენელი მოძრაობით უპასუხა. მერე ფანჯრისკენ გაახედა. — ცას შეხედეთ! იწვიმებს, ვგრძნობ. — გაიღიმა, — როცა წვიმს, უკეთ მძინავს.

მის წინ საბანზე,. ყავის ჭადრაკი იდგა, დასამაგრებელი ფიგურებით. იქვე გაზეთების დასტა და წიგნები ეწყო.

გზა განვაგრძეთ. ვნახე ახალგაზრდა ქალი, თავზარდაცემული თვალებით და ლურჯი ტუჩებით, მძიმე მშობიარობისგან სრულიად დაგლეჯილი; დაკრუნჩხული ბავშვი შეტრიალებული, შავი ფეხებით და ჰიდროცეფალური თავით; კაცი, რომელსაც კუჭი არ ჰქონდა; ბერიქალი, რომელიც ბუს ჰგავდა და ტიროდა, რომ ოჯახის წევრები მასზე არ ზრუნავდნენ — მათი აზრით, მეტისმეტად ნელა კვდებოდა; ბრმა ქალი, რომელსაც ეგონა, რომ თვალი აეხილება; ათაშანგიანი ბავშვი, სისხლიანი გამონაყარით, და მამამისი, რომელიც თავთით ეჯდა; ქალი, რომელსაც დილით მეორე მკერდსაც მოჰკვეთდნენ; მეორე ქალი, სახსრების რევმატიზმისგან დაგრეხილი; მესამე ქალი, რომელსაც საკვერცხეები ამოჭრეს; თირკმელებდაჭყლეტილი მუშა... ოთახიდან ოთახში გადავდიოდით, და ყოველ ოთახში იგივე მეორდებოდა: კვნესა, დაკრუნჩხული სხეულები, უძრავი, თითქმის ჩამქრალი ადამიანები, ტირილის, შიშის, დანებების, ტკივილის, სასოწარკვეთილების, იმედის, გაჭირვების გორგალი, დაუსრულებელი რიგი... და ყოველ ჯერზე, როცა კარს გავიხურავდით ხოლმე, დერეფანში უცებ კვლავ არამიწიერი საღამოს ვარდისფერი შუქი გვხვდებოდა, ოთახების, საკნების საშინელების მერე — რბილი, რუხი და ოქროსფერი ნათელის ნაზი ღრუბელი, და ვერც იტყოდი, რა იყო ეს: საშინელი დაცინვა თუ ზეადამიანური ნუგეში. საოპერაციოს შესასვლელთან იაფე გაჩერდა. ორმა მედდამ დარბაზში ბრტყელი ეტლი შეაგორა. ზედ ქალი იწვა. მის მზერას გადავაწყდი, მე არ მიყურებდა. სადღაც იყურებოდა, გაურკვეველ შორეთში. მაგრამ ამ თვალებმა შემაკრთო — შიგ დიდი სიმამაცე და თავდაჭერა და სიმშვიდე დავინახე უცებ იაფეს დაღლა დაეტყო.

— არ ვიცი, რამდენად სწორად მოვიქეცი, — მითხრა მან, — მაგრამ სიტყვებით დამშვიდებას აზრი არ ჰქონდა. არ დამიჯერებდით. ახლა ხომ ნახეთ, ამ მრავალი ადამიანი პატი ჰოლმანზე

ბევრად უფრო ავადაა. ზოგს იმედის გარდა აღარაფერი დარჩენია. მაგრამ უმრავლესობა გამოძვრება. გამომჯობინდებიან. ამის ჩვენება მინდოდა.

თავი დავუქნიე.

— სწორად მოიქეცით — ვუთხარი მე.

— ცხრა წლის წინ ჩემი ცოლი გარდაიცვალა. ოცდახუთისა იყო. ავად არასოდეს ყოფილა. გრიპი, — წამით გაჩუმდა, — ესმით, რატომ გეუბნებით? კვლავ თავი დავუქნიე.

— წინასწარ ვერაფერს იტყვი. შეიძლება, გადადებულმა ავადმყოფმა ჯანმრთელ კაცზე დიდხანს იცოცხლოს. ცხოვრება უცნაური რამაა. — ახლა იაფეს უამრავი ნაოჭი ჰქონდა. მედდა შემოვიდა და რაღაც ჩასჩურჩულა. იაფე გაიმართა და თავი საოპერაციო დარბაზისკენ გაიქნია.

— უნდა შევიდე. პატს არ აგრძნობინოთ, რომ დარდობთ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

— დიახ, — ვუთხარი მე.

ხელი გამომიწოდა და მედდასთან ერთად მინის კარიდან სწრაფად შევიდა კირივით თეთრი შუქით განათებულ დარბაზში.

კიბის უთვალავი საფეხური ჩავიარე. რაც უფრო ვეშვებოდი, მით უფრო ბნელდებოდა, პირველ სართულზე უკვე ნათურები ენთო. გარეთ გასულმა დავინახე, რომ ჰორიზონტიდან, ღრმა ამოსუნთქვასავით, ვარდისფერმა დაისმა ერთხელაც დაუბერა მაშინვე ჩაქრა და ნაცრისფერი დაედო.

ერთხანს მანქანაში თვალგაშტერებული ვიჯექი. მერე თავი ხელში ავიყვანე და სახელოსნოსკენ წავედი. კოსტერი ჭიშკართან მელოდა. მანქანა ეზოში შევიყვანე და გადმოვედი.

— იცოდი? — ვკითხე მე.

— კი, — მომიგო მან, — მაგრამ იაფეს უნდოდა, რომ თვითონ ეთქვა. თავი დავუქნიე.

კიოსტერმა შემომხედა.

— ოტო, — ვუთხარი მე, — ბავშვი არა ვარ და ვიცი, რომ ჯერ არ წაგვიგია. მაგრამ დღეს საღამოს, პატთან მარტო რომ დავრჩები, ალბათ მაინც გამიჭირდება, რამე არ შემეტყოს. ხვალ უკვე მოვახერხებ დღეს საღამოს ყველანი ერთად რომ წავიდეთ სადმე?

— რა თქმა უნდა, რობი. ეგ უკვე ვიფიქრე და გოტფრიდსაც ვუთხარი. — მაშინ კარლი ერთხელაც მათხოვე. სახლში წავალ და პატს წამოვიყვან, და მერე, ერთ საათში, თქვენც გამოგივლით.

— კარგი.

დავიძარი. ნიკოლაის ქუჩაზე გამახსენდა, რომ ძაღლი დამვიწყებოდა. მოვტრიალდი და მის წამოსაყვანად გავეშურე. მაღაზიაში შუქი არ ენთო, მაგრამ კარი ღია დამხვდა. ანტონი მაღაზიაში იჯდა, საველე საწოლზე. ხელში ბოთლი ეჭირა.

— გამაბითურა გუსტავმა, — თქვა და საარყე ქვაბის სუნი აუშვა. ტერიერი ხტუნვით გამომეგება, დამყნოსა და ხელზე ენა ამისვა. ქუჩიდან შუქი ირიბად ეცემოდა და ძაღლს თვალები მწვანედ უბრწყინავდა. ანტონი წამოდგა. დაბარბაცდა და უცბად ტირილი დაიწყო.

— ჩემო ცუგა, ახლა შენც წახვალ... ყველა მიდის... ტილდა მოკვდა... მინა წავიდა... მითხარით, აი, მითხარით, რისთვისაა, რომ ვცხოვრობთ? ესღა მაკლდა! პატარა, უნუგეშო ელექტრონათურა, კუების და ჩიტების ჩუმი შარიშური, და მაღაზიაში მჯდომი პატარა, შეშუპებული კაცი, — სქელებმა კი იციან, რისთვის, მაგრამ, მითხარით, ჩვენისთანა საერთოდ რისთვის ცოცხლობს? ჩვენ რისთვის ვცხოვრობთ, ბატონო, უჯიშოები?

მაიმუნმა საწყალობელი ხმა ამოუშვა და ძელზე ცოფიანივით დაიწყო წინ და უკან ხტუნაობა. კედელზე მისი დიდი ჩრდილი მასთან ერთად დახტოდა.

— კოკო, — სლუკუნებდა პატარა კაცი, აქამდე სიბნელეში მარტო რომ იჯდა და სვამდა, — მოდი, ჩემო ერთადერთო...

ბოთლი გაუწოდა. მაიმუნმა ხელი წაავლო.

— თუ დაალევინებთ, ცხოველს დაღუპავთ, — ვუთხარი მე.

— თუნდაც, — დაიბლუკუნა, — ჯაჭვით დაბმული ორი წლით მეტი იქნება თუ ნაკლები... სულერთია... ყველაფერი სულერთია... ბატონო... ძაღლი თბილად მეხუტებოდა. წავედით. ის მოქნილი, გრძელი, რბილი მოძრაობებით მომყვებოდა მანქანისკენ.

სახლისკენ გავემგზავრე და ღვედით დაბმულ ძაღლთან ერთად კიბე ფრთხილად ავიარე. დერეფანში გავჩერდი და სარკეში ჩავიხედე. ჩვეულებრივი სახე მქონდა. პატის კარზე დავაკაკუნე, ოდნავ გამოვაღე და ძაღლი შიგნით შევუშვი.

მე გარეთ დავრჩი, ღვედს ხელი მაგრად ჩავჭიდე და დაველოდე. მაგრამ პატის ნაცვლად მოულოდნელად ქალბატონი ცალევსკის ბანი გავიგონე.

— ღმერთო მაღალო.

ამოვისუნთქე და შევედი. პატთან მხოლოდ პირველი წუთისა მეშინოდა. ახლა ყველაფერი იოლი იყო. ქალბატონი ცალევსკი საიმედო ბუფერი იყო. მეფურად აღმართულიყო მაგიდასთან, გვერდით ყავის ჭიქა ედგა და კარტი ჰქონდა გაშლილი. გვერდით თვალებანთებული პატი ეჯდა და ამკითხავებდა.

— საღამო მშვიდობის, — ვუთხარი უცებ ძალიან გახარებულმა. — აი, მოვიდა, — თქვა ღირსეულად ქალბატონმა ცალევსკიმ, — მოკლე გზით, საღამოს საათს, შავი ბატონი ახლავს, სახლის თავი.

ძაღლმა ღვედი გამომტაცა, ფეხებშუა გამიძვრა და ყეფით შევარდა ოთახში.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა პატმა, — ირლანდიური ტერიერი!

— რა მაგარია! — ვთქვი მე, — რამდენიმე საათის წინ ეს არც ვიცოდი. პატი დაიხარა და ძაღლი უმალვე შეახტა.

— რა ჰქვია, რობი?

— წარმოდგენა არა მაქვს. ალბათ, კონიაკი, ან ვისკი, ან რამე ასეთი, წინა მფლობელს რაც ეკადრება.

— ჩვენია?

— რამდენადაც ცოცხალი არსება ვინმეს ეკუთვნის...

— პატს სიხარულისგან სუნთქვა ეკვროდა.

— ბილი დავარქვათ, რობი! დედაჩემს ბავშვობაში ჰყავდა. ბევ-რჯერ მოუყოლია, იმასაც ბილი ერქვა!

— აბა, მაგრამ გამირტყამს, — ვთქვი მე.

— წესიერად მოიქცევა? — მკითხა ქალბატონმა ცალევსკიმ.

— თავადური გვარიშვილობა აქვს, — მივუგე მე, — თავადები კი წესიერად იქცევიან.

— პატარაობაში არა. რა ხნისაა?

— რვა თვის. იგივეა, რაც ადამიანის თექვსმეტი წელი.

— მაინცდამაინც წესიერად გაზრდილს არ ჰგავს — ბრძანა ქალბატონმა ცალევსკიმ.

— ჯერ უნდა გაიზარდოს, ესაა და ეს.

პატი ადგა და ქალბატონ ცალევსკის ხელი მხარზე დააღო, დაბნეული ვუყურებდი.

— სულ ძაღლზე ვოცნებობდი, — თქვა პატმა, — გვეყოლება, ხომ? თქვენ ხომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო?

დედა ცალევსკიმ, რაც ვიცნობდი, პირველად დაიმორცხვა — რა ვიცი... იყოს, რა, — თქვა მან, — კარტშიც ხომ ამოვიდა სახლის კაცისგან სიურპრიზი.

— ისიც ამოვიდა, რომ საღამოს გავდივართ? — ვკითხე მე.

პატმა გაიცინა.

— ჯერ იქამდე არ მივსულვართ, რობი. ჯერ შენ ამომიხვედი.

ქალბატონი ცალევსკი წამოდგა და კარტი მოხვეტა.

— გინდ დაიჯერეთ, გინდ ნუ დაიჯერებთ, გნებავთ, სულ უკუღმა დაიჯერეთ, ცალევსკივით. თხევად ელემენტზე სულ უბედურების

მაცნე, ყვავის ცხრიანი ამოსდიოდა. ამიტომ თვლიდა, რომ წყალს უნდა მორიდებოდა. სინამდვილეში კი არაყი და პილზნერის ლუდი იყო.

— პატ, — ვუთხარი, როცა ცალევსკი გავიდა, და მაგრად მოვეხვიე, რა გადასარევია, სახლში რომ მოვდივარ და შენ აქ მხვდები. ჩემთვის ყოველ ჯერზე სიურპრიზია. ბოლო საფეხურებზე რომ ამოვდივარ და კარს ვაღებ სულ გული მისკდება, რომ ეს ყველაფერი ცხადში არ ხდება. ღიმილით შემომცქეროდა. ასეთ რამეს როცა ვამბობდი ხოლმე, თითქმის არასოდეს მპასუხობდა. მეც ვერ წარმომედგინა, ჩემთვის მსგავსი რამ რომ ეთქვა და ალბათ, ძნელად გადავიტანდი — ვთვლიდი, რომ ქალი კაცს არ უნდა ეუბნებოდეს, მიყვარხარო. მხოლოდ თვალები უხდებოდა მოციმციმე, ბედნიერი, და ამით უამრავ სიტყვაზე მეტს ამბობდა. დიდხანს მყავდა გულში ჩაკრული, მისი კანის სითბოს და თმის მსუბუქ სურნელს ვგრძნობდი. ვეხვეოდი და მის გარდა აღარაფერი არსებობდა, სიბნელემ უკან დაიხია, ის აქ იყო, ცოცხლობდა, სუნთქავდა, არ დავმარცხებულვართ.

— მართლა მივდივართ, რობი?

— მეტსაც გეტყვი, ყველანი ერთად მივდივართ — მივუგე მე, — კიოსტერი და ლენციც მოდიან. კარლი კართან გველოდება.

— ბილი?

— რასაკვირველია, ბილიც მოდის აბა, ვახშმის ნარჩენებს რა ვუყოთ! თუ უკვე ნაჭამი ხარ?

— არა, ჯერ არა. შენ გელოდებოდი.

— მე ნუ დამელოდები ხოლმე. ნურასოდეს საშინელებაა, რაღაცას რომ ელოდები:

თავი გააქნია.

— არ გესმის, რობი. საშინელება ისაა, როცა არაფერი გაბადია, რასაც უნდა ელოდო.

სარკესთან სინათლე აანთო.

— ახლა კი ჩაცმა უნდა დავიწყო თორემ ვერ მოვასწრებ შენც გამოიცვლი?

— მერე, — ვუთხარი მე, — მე ხომ უცებ მოვრჩები. ცოტა ხნით დავრჩები, რა.

ძაღლს მოვუხმე და ფანჯარასთან მდგომ სავარძელში ჩავჯექი. მიყვარდა ასე ჩუმად ჯდომა და პატის ყურება, როცა იცვამდა. საიდუმლო, რომ ქალი მუდამ უცხოდ რჩება, არასოდეს მიგრძნია ისე ძლიერად, როგორც ამ სარკის წინ ჩუმი ტრიალის შემყურეს, საკუთარ თავს დაფიქრებული რომ აფასებდა, საკუთარ თავში დანთქმული, თავისი სქესის არაცნობიერ შეგრძნებებში ჩაბრუნებული. ვერ წარმომედგინა, ქალი ტლიკინითა და სიცილით გამოწყობილიყო — თუ ასე იზამდა, არც იდუმალება ექნებოდა და არც მარად ხელიდან დამსხლტარის ჯადოსნური ხიბლი. მიყვარდა სარკის წინ მდგომი პატის რბილი და მაინც მოქნილი მოძრაობები. საოცარი სანახავი იყო, თმას როგორ ეხებოდა, ან თვალის ფანქარს ისარივით ფრთხილად და სათუთად როგორ ისვამდა. რაღაცით — ირემს, რაღაცით — თხელ ავაზას და რაღაცით ბრძოლის სამზადისში მყოფ ამორძალს ემსგავსებოდა. ირგვლივ ყველაფერი ავიწყდებოდა, მკაცრად და ყურადღებით იმზირებოდა, თავის ანარეკლს დაკვირვებით და მშვიდად შესცქეროდა, და როცა სახე სარკესთან ძალიან ახლოს მიჰქონდა ხოლმე, მეჩვენებოდა, რომ ეს ანარეკლი აღარ იყო, რომ იქ, რეალობიდან და ათასწლეულების ბინდიდან, ორი ქალი მცოდნე თვალებს ერთმანეთს მამაცურად და გამომცდელად უსწორებდა.

სასაფლაოდან ღია ფანჯარაში საღამოს გრილი ნიავი უბერავდა. ჩუმად ვიჯექი. ნაშუადღევს რაც მოვისმინე, არ დამვიწყებია, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ პატს რომ ვუყურებდი, ვგრძნობდი,

რომ გულზე ქვასავით შემოწოლილი ყრუ ნაღველი კვლავ გიჟურმა იმედმა გადაფარა, სევდა და იმედი ერთმანეთს უცნაურად შეერია, სახე იცვალა, ერთი მეორე გახდა — დარდი, იმედი, ქარი, საღამო და ლაპლაპა სარკესა და ნათურებს შორის მდგარი გოგონა. უცებ, წამით, უცნაური შეგრძნება მქონდა, რომ სწორედ ეს იყო ცხოვრება, ყველაზე ღრმა მნიშვნელობით, და ბედნიერებაც ეს იყო — ამდენი სევდით, შიშით და უთქმელი ცოდნით სავსე სიყვარული.

19

სადგომზე ვიდექი და ვიცდიდი. გუსტავმა მანქანა მოაყენა და ჩემ უკან დადგა.

— ლეკვი რას შვრება, რობერტ? — მკითხა მან — მაგრადაა, — ვუთხარი მე.

— შენ?

ხელი პირქუშად ჩავიქნიე.

— მეტ ფულს რომ ვაკეთებდე, მეც მაგრად ვიქნებოდი. წარმოიდგინე, დღეს ორჯერ ორმოცდაათფენინგიანები ვატარე.

თავი დააქნია.

— დღითი დღე სულ უფრო ჭირს. ყველაფერი გაჭირდა. მეტი რაღა! — თან ფული მჭირდება! — ვუთხარი მე, — ახლა მჭირდება! ბევრი ფული! გუსტავმა ნიკაპი მოიფხანა.

— ბევრი ფული! — მერე შემომხედა, — სინამდვილეში, დიდი მაყუთი არ იშოვება, რობერტ. მხოლოდ — სპეკულაციებით. ტოტალიზატორზე რას იტყვი? დღეს დოღია. ერთი მაგარი წერტილი ვიცი. ცოტა ხნის წინ აიდაზე ოცდარვამაგი მოვიგე.

— ჩემთვის სულერთია. მთავარია, შანსი არსებობდეს — დაგიდია?

— არა, — აბა, ახალი ხელი გაქვს! მოვახერხებთ რამეს. — საათს დახედა, — წავიდეთ? ჯერ მოვასწრებთ.

— კარგი! — ძაღლის ამბის მერე გუსტავს ვენდობოდი.

ტოტალიზატორი მოზრდილ ოთახში იყო განლაგებული. მარჯვნივ, გადატიხრულში, სიგარეტს ყიდდნენ, მარცხნივ თავად ტოტალიზატორი იყო. ვიტრინაში მწვანე და ვარდისფერი სპორტული გაზეთები და მანქანაზე დაბეჭდილი დოღის მონაცემები იყო გამოკიდებული, კედელს დახლი მიუყვებოდა, რომელზეც საწერი მოწყობილობები იყო მიმოფანტული. უკან სამი მამაკაცი გამალებით მუშაობდა. ერთი ტელეფონში წასძახოდა, მეორე ბარათებით ხელში წინ და უკან დარბოდა, მესამე კი, კეფაზე მოგდებული ქვაბურა ქუდით, კბილებში გაჩრილი სქელი, შავი, დაღეჭილი სიგარით, უპიჯაკოდ, მკლავებაკაპიწებული, პულტის უკან იდგა და ფსონებს იწერდა. ყოვლად იისფერი პერანგი ეცვა.

ჩემდა გასაკვირად, უამრავი ადამიანი ტრიალებდა. ძირითადად, პატარა ხალხი იყო: ხელოსნები, მუშები, წვრილი მოხელეები, ერთი-ორი მეძავი და სტუენიორი. შესვლისთანავე კაცმა გაგვაკავა, ჭუჭყიანი რუხი გამაშებით, რუხი ქვაბურა ქუდი ეხურა და დახეული, რუხი პიჯაკი ეცვა. — ფონ ბილინგი. დაგეხმაროთ, ბატონებო? გარანტიას ვიძლევი! — გაიარე, — მიუგო გუსტავმა, რომელსაც შესვლისთანავე სახე სრულად შეეცვალა.

— მხოლოდ ორმოცდაათ ფენინგად, — არ გვეშვებოდა ბილინგი, — მწვრთნელებს პირადად ვიცნობ. — მერე გამომხედა და დასძინა: — ადრიდან.

გუსტავი უკვე დოღის მონაწილეთა სიებს ჩაჰკირკიტებდა.

— ოტო ის დოღი როდის იწყება? — გადასძახა დახლსუკან მდგომს. — ხუთ საათზე, — დაიყიყინა ასისტენტმა.

— ფილომენა, გასიებული ნაბოზარი, — ბურტყუნებდა გუსტავი,

— ჯაგლაგი. — აღგზნებისგან უკვე ოფლი ასხამდა, — შემდეგი რაა?
— ჰოპეგარტენი, — უპასუხა გვერდით მდგომმა, გუსტავი კვლავ სიას მიუბრუნდა.

— თავიდან ორ-ორი მარკა ტრისტანზე დავდოთ, გამარჯვებაზე, — მომახსენა მან.

— ერკვევი? — ვკითხე მე.

— ერკვევიო? — მკითხა პასუხად — ყველა ცხენის ყველა ნალი ზეპირად ვიცი.

— მერე, ტრისტანზე დებთ? — თქვა ჩვენ გვერდით ვიღაცამ, — ბიჭო, ბეჯითი ლიზიკო, ეგ ერთადერთი შანსია! ჯონი ბარნსს პირადად ვიცნობ. — მეც, — მიუგო გუსტავმა, — ბეჯითი ლიზიკოს თავლის მფლობელი გახლავართ, მე უკეთ ვიცი.

ჩვენი ფსონი პულტთან მდგომ კაცს გადასძახა. რაღაც ქაღალდი მოგვცეს და წინ, კაფეში დავსხედით, სადაც რამდენიმე მაგიდა და სკამი იდგა. ჩვენ ირგვლივ ყველა სახელებს გასძახოდა. რამდენიმე მუშა ნიცის დოღის ცხენებზე ლაპარაკობდა, ორი ფოსტალიონი პარიზის ამინდის პროგნოზს ჩაჰკირკიტებდა, და ერთი მედროგე ამაყად იხსენებდა იმ დროს, როცა დოღზე გამოდიოდა. მხოლოდ ერთი ქოჩორაშლილი, მსუქანი კაცი არ მონაწილეობდა არაფერში, თავის მაგიდასთან იჯდა და ბუტერბროდებს განუწყვეტლივ ნთქავდა. ორი კაცი კედელს მიყუდებოდა და ხარბად შესცქეროდა. ხელში ორივეს ბილეთი ეჭირა, მაგრამ სახეები ისე მოჰქცეოდათ, რამდენიმე დღის უჭმელებს ჰგავდნენ. ტელეფონმა დარეკა. ყველამ ყურები ცქვიტა. ასისტენტმა სახელები დაიძახა. ტრისტანის შესახებ არაფერი გვსმენია.

— ჯანდაბა, — გუსტავი გაწითლდა, — სალომონმა მოიგო. ვინ იფიქრებდა, ჰა? — ჰკითხა გაბრაზებულმა ბეჯითმა ლიზიკომ, — თქვენ არ იყავით... ფონ ბილინგი დაგვადგა.

— ბატონებო, ჩემთვის უნდა მოგესმინათ... სალომონი გითხარით! მხოლოდ სოლომონი! შემდეგზეც დადებთ?

გუსტავი არ უსმენდა. დამშვიდდა და ახლა ბეჯით ლიზიკოსთან საქმიან საუბარში იყო ჩართული.

— ცხენების რამე გესმით? — მკითხა ბილინგმა.

— არაფერი გამეგება, — ვუთხარი მე.

— მაშინ, დადეთ! დადეთ! მაგრამ მხოლოდ დღეს, — დასძინა ჩურჩულით, — მეტი აღარასოდეს. დამიჯერეთ. დადეთ, სულერთია, გინდ მეფე ლირი იყოს, გინდ ვერცხლის ფარვანა, გნებავთ, ლურჯი ჟამი. მე ფული არ მინდა. უბრალოდ, თუ მოიგეთ, ცოტა მომეცით.

აზარტისგან ნიკაპი უკანკალებდა. ეს წესი პოკერიდან ვიცოდი: დამწყებები ხშირად იგებდნენ.

— კარგი, — ვუთხარი, — რაზე დავდო?

— რაზეც გნებავთ... რაზეც გნებავთ...

— ლურჯი ჟამი ცუდად არ ჟღერს. — ვთქვი მე, — მაშ, ათი მარკა, ლურჯ ჟამზე.

— გაგიჟდი? — მკითხა გუსტავმა.

— არა, — ვუპასუხე მე...

— ამ ჯაგლაგზე დებ ათ მარკას, დიდი ხნის წინ ძეხვად რომ უნდა ექციათ?

ბეჯითი ლიზიკო, რომელმაც წამით ადრე გუსტავს ყასაბი უწოდა, სავსებით დაეთანხმა:

— აი, მესმის! ლურჯ ჟამზე ჩამოდის! ბატონო ჩემო, ეგ ცხენი კი არა, ძროხაა! მაიენტრაუმი ორი ფეხით აჯობებს, თან როგორ! გამარჯვება? ბილინგმა შეთქმულივით გამომხედა და რაღაც მანიშნა.

— გამარჯვება, — ვთქვი მე.

— წასულია შენი საქმე, — ბეჯითმა ლიზიკომ აგდებით ჩაიღრუტუნა. — ბიჭო! — გუსტავმაც ისე შემომხედა, თითქოს ჰოტენტოტად გადავიქეცი. — ჯიფსი II, ეგ ხომ ბავშვმაც იცის დედის მუცელში!

გადაწყვეტილი ამბავია, ლურჯი ჟამი, — განვაცხადე მე. ახლა რომ გადამეთქვა, გამარჯვების ყველა საიდუმლო წინაპირობას დავარღვევდი. იისფერპერანგიანმა კაცმა ბარათი მომაწოდა. გუსტავი და ბეჯითი ლიზიკო ისე მიყურებდნენ, თითქოს შავი ჭირი შემყროდა. აშკარად გამერიდნენ და პულტს მიაშურეს, რომ იქ ერთმანეთისთვის დაეცინათ — თუმცა, ამ დაცინვაში პროფესიონალების მიმართ რიდიც იგრძნობოდა, — და ჯიფსი II და მაიენტრაუმი ჩაეწერათ.

იმწამს ვიღაც დაეცა. ერთ-ერთი იყო იმ გამხდარი კაცებიდან, მაგიდასთან რომ იდგნენ. კედელზე ჩამოსრიალდა და მიწაზე დაენარცხა.

ფოსტალიონებმა წამოაყენეს და სკამზე დასვეს. სახეზე ნაცრისფერი ედო. პირი ღია დარჩენოდა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ერთმა მეძავმა, მსუქანმა, შავმა ქალმა, სწორი თმით და დაბალი შუბლით — წყალი!

გამიკვირდა, რომ გულწასულს ყურადღება თითქმის არავინ მიაქცია. უმრავლესობამ ერთი გახედა მხოლოდ, მერე ისევ დოღს მიუბრუნდა. — ყოველ წამს ხდება ასეთები, — მითხრა გუსტავმა, — უმუშევრები. ბოლო ფენინგით თამაშობენ სულ დიდი ფულის იმედი აქვთ, ათეულ ათასების.

— მედროგე სიგარეტების განყოფილებიდან ჭიქით ხელში გამოვიდა, შავმა ბოზმა შიგ ცხვირსახოცი დაასველა და კაცს შუბლი და საფეთქლები მოსწმინდა. იმან დაიკვნესა და უცებ თვალები გაახილა. რაღაც შემზარავი იყო, ჩამქრალ სახეზე კვლავ რომ თვალები დაბრუნდნენ, სრულიად — უხმოდ, თითქოს გაშეშებული, ნაცრისფერი ნიღბის ნახვრეტებიდან, ცნობისმოყვარედ და ცივად, სულ სხვა, უცნობ არსებას გამოეხედოს., გოგომ წყლის ჭიქა აიღო და კაცს მიაწოდა. თან, ბავშვივით, მკლავი მოეხვია. მერე იმ კაცს, გულგრილად რომ ჭამდა და თმა რომ ყალყზე ედგა, მაგიდიდან ერთი ბუტერბროტი აართვა.

— მიდი, ჭამე... ოღონდ, ნელა, ნელა... თითები არ მომაკვნიტო ასე, ახლა ისევ წყალი დააყოლე...

სუფრასთან მჯდომმა კაცმა ბუტერბროდს თვალი გააყოლა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დამშეულს ნელ-ნელა ფერი დაუბრუნდა. ერთხანს კიდევ ჭამდა, მერე წამოიმართა. გოგონამ კარამდე მიიყვანა. მერე უკან სწრაფად მოიხედა და თავისი ჩანთა გახსნა.

— აი, წადი ახლა და დადებას გირჩევნია, ჭამე რამე.

ერთ-ერთი სუტენიორი, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ზურგით იდგა, უცებ შემოტრიალდა. მტაცებელი ფრინველის სახე ჰქონდა, დაცქვეტილი ყურები, ლაკის ფეხსაცმელი ეცვა და სპორტული ქუდი ეხურა.

— რა მიეცი? — ჰკითხა მან.

— გროშები.

კაცმა იდაყვი მკერდზე მიარტყა.

— მეტი იქნებოდა! სხვა დროს მე მკითხე.

— შეეშვი, ედე, — თქვა მეორემ.

მეძავმა პომადა ამოიღო და ტუჩები შეიღება — არადა, მართალი ვარ, — თქვა ედემ. — ბოზს არაფერი უთქვამს.

ტელეფონმა დარეკა. ედეს ვუყურებდი და სიტყვები გამომრჩა. უცებ გუსტავის ღრიანცელი მომესმა;

— ხალხო, ამას ძაღლის ბედიც აღარ ჰქვია! — მხარზე ხელი დამკრა, ძუკნაა, ცამეტი ლეკვით! ას ოთხმოცი მარკა მოხსენი, ბიჭო! შენმა აჩუამ შეასრულა! თან რა მაზალო სახელი ჰქვია...

— რა, მართლა? — ვკითხე მე.

დაღეჭილი ბრაზილიური სიგარის და დიდებული ფერის პერანგის მფლობელმა თავი მჟავე სახით დამიქნია და ბარათი გამომართვა — ვინ დაგარიგათ?

— მე, — თქვა საჩქაროდ ბილინგმა საშინლად თვინიერი მოლოდინით აღსავსე ღიმილით და ქედი მოიხარა, — თუ ნებას დამრთავთ, ჩემი კავშირები... — კაი, კაცო... — შეფმა არც შეხედა და

ფული ჩამითვალა.

წამით დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა ყველა მოგვაჩერდა უდრეკმა მჭამელმაც კი თავი წამოსწია.

ფული ჯიბეში ჩავიდე.

— გაჩერდი! — ჩურჩულებდა ბილინგი, გაჩერდი!

სახეზე წითელი ლაქები დააჩნდა. ათი მარკა ჩავაჩეჩე. გუსტავმა ჩაიცინა და ნეკნებზე მუშტები დამცხო.

— ხედავ? რა გითხარი? გუსტავს მოუსმინე და ფული ჩეჩქივით გექნება ყოფილ ფერშალს ჯიფსი II აღარ გავახსენე. ალბათ, თვითონაც გაახსენდებოდა.

— გავიდეთ, — მითხრა მან, — დღეს ხელოვან ხალხს აშკარად არ უმართლებს.

— კართან ვიღაცამ სახელოზე დამქაჩა ბეჯითი ლიზიკო იყო.

— მასლოვსკის ხსოვნის რბოლაზე ვისზე დადებდით? — მკითხა ხარბად და მოწიწებით.

— მხოლოდ ნაძვისხეოზე, — ვუთხარი და გუსტავთან ერთად უახლოეს დუქანს მივაშურე, რომ ლურჯი ჟამის სადღეგრძელო შეგვესვა. ერთ საათში ოცდაათი მარკა აღარ მქონდა. აბა, რას ვიზამდი. მაგრამ მერე გავჩერდი. ბილინგმა წასვლისას ბარათი მომაჩეჩა.

— თუ რამე დაგჭირდათ. ან ვინმე თქვენ ნაცნობს. წარმომადგენლობა მაქვს. — საოჯახო კინოთეატრების რეკლამა იყო, — ნახმარი ტანსაცმლის გაყიდვაშიც დაგეხმარებით, — ესეც მომაძახა, — ნაღდით გადახდა!

შვიდ საათზე სახელოსნოში დავბრუნდი კარლი ეზოში იდგა და გრიალებდა.

— რა კარგია, რომ მოხვედი, რობი, — შესძახა კიოსტერმა, — სწორედ გავლას ვაპირებდით, უნდა შევამოწმოთ. ჩაჯექი!

ყველა მოუთმენლად ელოდა. ოტომ კარლს რაღაცები გაუუმ-ჯობესა და შეუცვალა, რადგან თოთხმეტ დღეში სამთო რბოლაზე უპირებდა გაყვანას. დღეს პირველი საცდელი გასვლა უნდა გვქონოდა.

ჩავსხედით, იუპი კიოსტერის გვერდით იჯდა, სახეზე აფარებუ-ლი უშველებელი სათვალით. რომ არ წამოსულიყო გული გაუს-კდებოდა. ლენცი და მე უკან ჩავსხედით.

კარლი დაიძრა. გრძელ მაგისტრალზე გავედით და ას ორმო-ცით გავქროლდით. მე და ლენცი წინა სავარძლების საზურგეებ-თან მოვიკუნტეთ; ისეთი ქარი იყო, გვეგონა, თავს მოგვაწყვეტ-და. გზის ორივე მხარეს ალვებმა ჩაგვიქროლეს, საბურავები ზუ-ზუნებდა და ძრავას ჯადოსნური ხმა თავისუფლების ველური ძა-ხილივით ძვალ-რბილში ატანდა.

თხუთმეტ წუთში შავი წერტილი დავინახეთ, რომელიც სწრა-ფად იზრდებოდა. საკმაოდ მძიმე მანქანა იყო, რომელიც ოთხმო-ცით თუ ასით მიქროდა. მტკიცედ ვერ მართავდა, იქით-აქეთ აწ-ყდებოდა. ეს მონაკვეთი შედარებით ვიწრო იყო. ამიტომ კიოს-ტერმა სიჩქარე დააგდო. ასი მეტრი რომ გვაშორებდა და დასიგ-ნალება რომ დავაპირეთ, მარჯვენა მხარეს საპირისპიროდ მომა-ვალი მოტოციკლეტი დავინახეთ, რომელიც მაშინვე გზაჯვარე-დინთან ჩამწკრივებული ხეების რიგს მიეფარა — ჯანდაბა! ეს რა-ღაა! — შესძახა ლენცმა.

იმწამსვე მოტოციკლეტისტმა გზატკეცილზე ამოყვინთა მანქა-ნიდან ოცი მეტრის მოშორებით. როგორც ჩანს, სიჩქარე ვერ გათვალა და ამიტომ ეცადა, მოსახვევში გვერდი აევლო. მანქა-ნამ მარცხნივ მკვეთრად აიღო, რომ ასე გასცლოდა, მაგრამ მო-ტოციკლეტისტიც მარცხნივ ჩაიწია. მანქანა ახლა მარჯვნივ მიას-კდა და მოტოციკლეტს ფრთა გაჰკრა. მოტოციკლეტი გადავარ-და. მძღოლი მის წინ გზაზე დაეცა. მანქანამ მართვა დაკარგა,

გზას ვეღარ დაუბრუნდა, საგზაო ნიშანი წააქცია, ლამპიონი გატეხა და ხეს ხრჭიალით შეასკდა.

ეს ყველაფერი წამებში მოხდა. შემდეგ წამს, კვლავ დიდი სიჩქარით, მივადექით. საბურავებმა დაიწივლა, კიოსტერმა კარლი ცხენივით შეაგდო მოტოციკლეტისტს, მოტოციკლსა და ცერად დამდგარ, ორთქლადენილ მანქანას შორის, მარცხნივ კინაღამ წაქცეულის ხელს შეეხო და მარჯვნივ — მანქანას., მერე ძრავამ დაიღმუვლა, კარლი გასწორდა, მუხრუჭებმა დაიღრჭიალა, და სიჩუმე ჩამოწვა.

ყოჩაღ, ოტო, — თქვა ლენცმა.

სირბილით მივვარდით და მანქანის კარი გავაღეთ. ძრავა ჯერაც მუშაობდა. კიოსტერმა სასწრაფოდ გასაღები გამოაძრო მანქანის ქშენა შეწყდა და კვნესა გავიგონეთ.

მძიმე ლიმუზინის ყველა შუშა დამსხვრეულიყო. ნახევრად ბნელ სალონში ქალის დასისხლიანებული სახე დავლანდეთ. მის გვერდით მჯდომი მამაკაცი საჭესა და სავარძელს შორის იყო მომწყვდეული. ჯერ ქალი გამოვიყვანეთ და გზაზე დავაწვინეთ. მთელი სახე დასერილი ჰქონდა, რამდენიმე ნამსხვრევები ჯერაც ჩარჩენოდა, მაგრამ სისხლისგან არ იცლებოდა. მარჯვენა მკლავი ბევრად უარესად გამოიყურებოდა. თეთრი კოსტიუმის სახელო ალისფერი იყო, სისხლი წვეთავდა. ლენცმა სახელო გაჭრა. სისხლმა გამოასხა, მერე ისევ ფეთქვა დაიწყო. სისხლძარღვი გადასჭროდა. ლენცმა ცხვირსახოცი დაახვია.

— კაცი გამოიყვანეთ, ამას მე მივხედავ, — თქვა მან, — უახლოეს საავადმყოფოში უნდა გავქანდეთ.

კაცის გამოსაყვანად სავარძლის ამოხრახნა მოგვიწია საბედნიეროდ, საჭირო ხელსაწყოები თან გვქონდა და საქმე სწრაფად გავაკეთეთ. კაცსაც სისხლი სდიოდა და, როგორც ჩანს, რამდენიმე ნეკნი ჰქონდა გატეხილი. როცა გამოგვყავდა, აყვირდა.

მუხლიც დაზიანებული ჰქონდა, მაგრამ იმწამს ვერაფერს გავაწ-ყობდით.

კიოსტერმა კარლი უბედური შემთხვევის ადგილს უკანსვლით მიაყენა. წინა სავარძლის საზურგე გადავწიეთ და ზედ კაცის დაწ-ვენა შევძელით, ქალი უკან ჩავსვით. მე გვერდით, საფეხურზე დავდექი, ლენცი ხელს მეორე მხრიდან აშველებდა.

— აქ დარჩი და მანქანას მიხედე, იუპ, — უთხრა ლენცმა.

— მოტოციკლეტისტი რა იქნა? — ვიკითხე მე.

— გაიქცა, სანამ ჩვენ საქმეს ვაკეთებდით, — მოგვახსენა იუპმა ნელა დავიძარით. პირველივე სოფლის სიახლოვეს პატარა სანა-ტორიუმი იდგა. რამდენი ჩაგვივლია, ვხედავდით ხოლმე. თეთ-რი, კოხტა შენობა იყო, გორაკზე აშენებული. როგორც ვიცოდით, ერთგვარი კერძო საგიჟეთი იყო, მსუბუქად დაავადებული მდი-დარი პაციენტებისთვის მაგრამ ექიმი ხომ მაინც ეყოლებოდათ და მიმღებიც იქნებოდა.

მანქანით ბორცვზე ავედით და დავრეკეთ ძალიან ლამაზი მედდა გამოგვეგება სისხლის დანახვაზე გაფითრდა და უკან გა-იქცა. მაშინვე მეორე გამოვიდა, ბევრად უფროსი.

— ძალიან ვწუხვარ, — გვითხრა მან, — უბედური შემთხვევების-თვის არ გამოგადგებით. ვირხოვის საავადმყოფოში უნდა წახვი-დეთ. შორი არაა, — აქედან თითქმის ერთი საათი დაგვჭირდება, — მიუგო კიოსტერმა მედდამ ამრეზით შეხედა.

— ასეთი შემთხვევები ჩვენ არ გვეხება. თან ექიმიც გასულია... — ესე იგი, კანონს არღვევთ, — განაცხადა ლენცმა, — თქვენისთა-ნა კერძო დაწესებულებებში ექიმი ყოველთვის უნდა ჰყავდეთ. ტელეფონით სარგებლობის ნებას ხომ არ დამრთავთ? პოლიცია-ში და ყოველდღიურ გაზეთში უნდა დავრეკო.

მედდა დაიბნა.

— შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, — უთხრა კიოსტერმა ცივად, — შრომა ნამდვილად კარგად აგინაზღაურდებათ პირველ რიგში,

საკაცე გვჭირდება. ექიმს თქვენ თავად დაუკავშირდებით.

ქალი ჯერაც ყოყმანობდა.

— საკაცე, — გაუმეორა ლენცმა, — კანონით ესეც ეკუთვნის, ისევე, როგორც გადახვევა...

— დიახ, დიახ, — უპასუხა ქალმა სხაპასხუპით როგორც ჩანს, ამდენი ცოდნით დათრგუნვილმა, — ახლავე, ვინმეს გავგზავნი...

გაქრა.

— ესეც ასე, — ვთქვი მე.

— ეს ქალაქის საავადმყოფოებშიც შეიძლება დაგემართოს — მიპასუხა მშვიდად გოტფრიდმა, ჯერ ფული, მერე ბიუროკრატია, მერე — დახმარება.

მანქანასთან დავბრუნდით და ქალს გადმოსვლაში დავეხმარეთ ის ხმას არ იღებდა; მხოლოდ თავის ხელებს დასცქეროდა. პირველ სართულზე პატარა საორდინატოროში შევიყვანეთ. მერე კაცისთვის საკაცე მოიტანეს. ავწიეთ. დაიკვნესა.

— ერთი წამით.

შევხედეთ. თვალები დახუჭა.

— არ მინდა, ვინმემ გაიგოს, — ლაპარაკი უჭირდა.

— სრულიად უდანაშაულო ხართ, — მიუგო კიოსტერმა, — ავარიას ჩვენი თვალით ვუყურებდით და მოწმედ დაგიდგებით.

კი: ეგ არა, — თქვა კაცმა, — სხვა მიზეზების გამო არ მინდა, რომ ვინმემ რამე გაიგოს, იცით... — კარისკენ გაიხედა, რომელშიც ქალი გაუჩინარდა. — მაშ, კარგ ადგილას მოხვედრილხართ, — აუხსნა ლენცმა, — კერძო დაწესებულებაა. ერთადერთი, თქვენი მანქანა უნდა გავაქროთ, სანამ პოლიცია მოსულა.

კაცი წამოიწია.

— გამიკეთებთ? ხელოსნებს გამოიძახებთ? გეხვეწებით, თქვენი მისამართი მომეცით! მინდა... თქვენი წყალობით...

კიოსტერმა ხელის მოძრაობით გააწყვეტინა.

— არა, — უთხრა კაცმა, — მე მინდა...

— უმარტივესია, — მიუგო ლენცმა, — ჩვენ თვითონ გვაქვს სახელოსნო და თქვენნაირი მანქანების სპეციალისტები ვართ. თუ თანახმა ხართ, ახლავე წავიყვანთ და მოვაწესრიგებთ. თქვენც გეშველებათ და, გარკვეულწილად, ჩვენც.

— სიამოვნებით, — უთხრა კაცმა, — ჩემი მისამართი... მაშინ მანქანას მე თვითონ მოვაკითხავ. ან ვინმეს გამოვგზავნი.

კიოსტერმა სავიზიტო ბარათი ჯიბეში ჩაიდო და კაცი შიგნით შევიყვანეთ. ამ დროს ექიმიც მოსულიყო, ახალგაზრდა კაცი. ქალს პირიდან სისხლი მობანა და ღრმა ჭრილობებიც გამოჩნდა. ქალი ჯანმრთელ მკლავზე წამოიწია და გადასახვევ მაგიდაზე დადგმული თასის ლაპლაპა ნიკელს მიაჩერდა.

— ვაი, — თქვა ჩუმად და თავზარდაცემული თვალებით უკან გადავარდა. სოფელში ჩავედით და სახელოსნო ვიკითხეთ. იქ მჭედლისგან ბუქსირი ვითხოვეთ და სანაცვლოდ ოც მარკას დავპირდით. ის მაინც არ გვენდო და მანქანის ნახვა მოისურვა. ჩავისვით და გამოვემგზავრეთ. იუპი შუაგზაზე იდგა და ხელს გვიქნევდა. ისედაც დავინახეთ, რა მომხდარიყო. გზის პირას ძველი, მაღალძარიანი მერსედესი იდგა და ოთხი კაცი სტატზის გათრევას აპირებდა, — კარგ დროს მოვედით, — თქვა კიოსტერმა.

— ძმები ფოგტები არიან, — თქვა მჭედელმა, — საშიში ჯგუფია. იქ ცხოვრობენ, რაც ხელში ჩაუვარდებათ, ვეღარ გამოგლეჯ.

— მაგასაც ვნახავთ, — თქვა კიოსტერმა.

— ყველაფერი ავუხსენი, ბატონო კიოსტერ, — წაგვჩურჩულა იუპმა, — უნამუსო კონკურენციაა. მანქანა თავიანთი სახელოსნოსთვის უნდათ. — კარგი, იუპ. ჯერ აქ დარჩით, კიოსტერი ყველაზე მაღალთან მივიდა და დაელაპარაკა აუხსნა რომ მანქანა ჩვენ გვეკუთვნოდა.

— რამე მაგარი არ გაგაჩნია? — ვკითხე ლენცს.

— გასაღებების აცმა, ისიც მე მჭირდება. ქანჩის გასაღები აიღე. — არა, არ ღირს. შეიძლება სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვეს.

აფსუს, თხელი ფეხსაცმელი მაცვია. წიხლი ყველაფერს აჯობებდა.

— თქვენ? — ჰკითხა ლენცმა მჭედელს, — ოთხი ოთხზე ვიქნებოდით. — ღმერთმა დამიფაროს! ხვალ რომ ჩემი ბუდრუგანა თავზე დამამხონ? მე მტკიცედ ნეიტრალური ვიქნები.

— ეგეც სწორია, — თქვა გოტფრიდმა.

— მე თქვენთან ვარ, — განაცხადა იუპმა.

— შენ მე მომისმინე! — ვუთხარი მე, — შენ იმას უყურე, არავინ მოვიდეს, სხვა არაფერი გევალება.

მჭედელი ოდნავ გაგვერიდა, რომ თავისი მკაცრი ნეიტრალიტეტი უკეთ ეჩვენებინა.

— მორჩი ბაზარს! — გაისმა უფროსი ფოგტის ჭრიალა ხმა, — პირველი და მოგებული! მორჩა! ჰოდა, ჩაიწიეთ!

კიოსტერმა ერთხელაც აუხსნა, რომ მანქანა ჩვენია. ფოგტს სანატორიუმში გავლა და საქმის გარკვევა შესთავაზა. ფოგტმა აგდებით გაიცინა. მე და ლენცი მივუახლოვდით.

— თქვენც საავადმყოფოში გინდათ? — გვკითხა ფოგტმა.

კიოსტერს პასუხი არ გაუცია, უბრალოდ, მანქანას მიუახლოვდა. სამი დანარჩენი ფოგტი წამოიმართა. ახლა გვერდიგვერდ იდგნენ.

— ერთი, ბუქსირი მომეცით, — მოგვმართა კიოსტერმა.

— ბიჭო, — დაიწყო უფროსმა ფოგტმა ის კიოსტერზე ერთი თავით მაღალი იყო.

— ძალიან ვწუხვარ, — უთხრა კიოსტერმა, მაგრამ მანქანა თან მიგვყავს. მე და ლენცი კიდევ უფრო ახლოს მივედით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილები.

კიოსტერი მანქანასთან დაიხარა. იმწამსვე ფოგტმა ფეხი ჰკრა და გადააგდო. ოტოს ეს გათვლილი ჰქონდა; ის ფოგტს ფეხში ჩაეჭიდა და წააქცია, მერე წამოხტა და მეორე ძმას, რომელიც სწორედ იმწამს დომკრატს დასწვდა, კუჭში გაუქანა, ისე, რომ კაცი

დაბარბაცდა და მიწაზე დაეცა. მე და ლენცი დანარჩენ ორს ვეცით. მაშინვე სახეში მომხვდა. დიდი არაფერი, უბრალოდ, ცხვირიდან სისხლი წამსკდა, შემდეგი დარტყმა ამიცდა და ხელი მხოლოდ ცხიმიან ნიკაპს მოვარტყი. კიდევ ერთიც თვალში მომხვდა და ისე ცუდად წავიქეცი, რომ მეორე ფოგტმა კუჭში წიხლი ჩამაზილა. ასფალტზე ვეგდე, მან კი ყელში ჩამავლო ხელები. კუნთები დავძაბე, რომ ვერ დავეხრჩვე, და შევეცადე, მოვკუნტულიყავი და გადავგორებულიყავი, რომ ფეხებით მომეცილებინა ან მუცელში ჩამერტყა. მაგრამ ლენცი და მისი ფოგტი ჩემს ფეხებთან ჩხუბობდნენ, ვერ დავეხსენი. ყელის დაძაბული კუნთების მიუხედავად, სუნთქვა გამიჭირდა, სისხლიანი ცხვირი ჰაერს არ უშვებდა. ნელ-ნელა ყველაფერი დაიბინდა, ჩემს თვალებში ფოგტის სახე ჟელესავით თახთახებდა, და კეფასთან შავი ჩრდილები ვიგრძენი. უკანასკნელი, რაც დავინახე, იუპი იყო. ქუჩის თხრილში იყო ჩაკუზული, ჩემს ფართხალს თვალს მშვიდად და ყურადღებით ადევნებდა და იმწამს, როცა გადაწყვიტა, რომ მზად იყო, ფოგტს ხელში ჩაქუჩი ჩაარტყა. მეორე დარტყმაზე ფოგტი შემეშვა და ისე, რომ არც ამდგარა, გაცოფებული იუპს ეცა, რომელმაც ნახევარი მეტრით ჩაიჩოჩა და, ძალიან არხეინად, მესამე და ლაზათიანი თითებში ხეთქა, და ერთიც — თავში. წამოვვარდი, ფოგტს დავახტი და ახლა მე წავუჭირე ხელები. უცებ ცხოველური ღრიალი გაისმა, და მერე — წკავწკავი:

— გამიშვი... გამიშვი!

უფროსი ფოგტი იყო. კიოსტერმა ხელი გადაუტრიალა და ზურგსუკან აუწია. ფოგტი თავით დაემხო, კიოსტერი კი მის ზურგზე იყო ჩამუხლული და ხელს კვლავ უტრიალებდა. ფოგტი ყმუოდა, მაგრამ კიოსტერმა იცოდა, რომ სანამ ბოლომდე არ წაახდენდა, სიმშვიდე არ გვეწერა. მან ერთი მოქნევით ხელი ამოუგდო და მერეღა შეეშვა. ფოგტი ერთხანს მიწაზე ეგდო. მიმოვიხედე. ერთი

ძმა ფეხზე იდგა, მაგრამ უფროსის ყვირილის გამო გაშეშებულიყო.

— მოშორდით, თორემ ისევ დავიწყებთ, — უთხრა კიოსტერმა.

დამშვიდობებისას ჩემს ფოგტს თავი ერთხელაც დავარტყმევინე, ლენცი უკვე კიოსტერის გვერდით იდგა. ქურთუკი გახეული ჰქონდა, ტუჩის კუთხიდან სისხლი სდიოდა. როგორც ჩანს, ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულიყო, რადგან მისი ფოგტი, თუმც ასევე დასისხლიანებული, ფეხზე ადგა. სიტყვა აღარავის უთქვამს. უფროსს ადგომაში დაეხმარნენ და თავიანთი მანქანისკენ წავიდნენ. საღ-სალამათი ერთხელაც დაბრუნდა და დომკრატი წაიღო. კიოსტერისკენ თვალი ისე გააპარა, თითქოს ეშმაკი ყოფილიყო. მერე მერსედესი ადგილს მოსწყდა. უცებ მჭედელი კვლავ გამოგვეცხადა.

— ღირსები არიან, — თქვა მან, — რა ხანია, ასეთი არაფერი მოსვლიათ. უფროსი მკვლელობაზეა ნაჯდომი.

პასუხი არავის გაგვიცია. უცებ კიოსტერი შეირხა, თითქოს რაღაც — ჩამოიბერტყაო.

— ღორობა, — თქვა მან. მერე მოტრიალდა — საქმეს მივხედეთ! — აქ ვარ, — გაეპასუხა იუპი და ბუქსირი მოიტანა.

— მოდი აქ, — ვუთხარი მე, — დღეიდან უნტეროფიცერი ხარ და შეგიძლია სიგარეტიც მოსწიო.

მანქანა წინიდან წამოვწიეთ და კარლის ძარას ჩავაბით.

— როგორ ფიქრობ, არ ავნებს? — ვკითხე კიოსტერს, — კარლი ხომ საპალნე ვირი არაა, დოღის ცხენია.

თავი გააქნია.

— აქვეა. თან სწორი გზაა.

ლენცი სტატზში ჩაჯდა და ნელა დავიძარით. ცხვირზე ცხვირსახოცი მქონდა მიჭერილი და საღამოს ველებს და ჩამავალ მზეს გავცქეროდი. უზარმაზარი, ხელუხლებელი სიმშვიდე იყო, და იგ-

რძნობოდა, რომ ბუნებისთვის სულერთი იყო, რას აკეთებდა ამ-ქვეყნად კაცობრიობად წოდებული ავყია ჭიანჭველების ბუდე. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ღრუბლები ოქროს მთე-ბად გადაიქცა, რომ ჰორიზონტიდან უხმოდ დაიძრა ბინდის იის-ფერი ჩრდილები, რომ ტოროლები უკიდეგანო ზეციდან ხნულებს დაუბრუნდნენ, და რომ ნელ-ნელა ღამდებოდა.

ჩვენს ეზოს მივაღწიეთ. ლენცი სტატზიდან გამოცოცდა და მის წინაშე ქუდი საზეიმოდ მოიხადა.

— მოგესალმები, დალოცვილო! სევდიანი მიზეზით მობრძან-დი, მაგრამ მოსიყვარულე თვალის ერთი გადავლებით, სამიდან სამ-ნახევრამდე ათას მარკას კი მოგვიტან. ახლა კი დიდი ჭიქით ალუბლის ნაყენი და საპონი მომართვით, ფოგტების ოჯახი უნდა ჩამოვირეცხო.

თითო ჭიქა დავლიეთ, მერე კი სტატზის შეძლებისდაგვარად დაშლას შევუდექით. ზოგჯერ მხოლოდ ის არ კმაროდა, რომ მფლობელს შეკეთება შეეკვეთა; ხშირად სადაზღვევო კომპანიაც მოგვადგებოდა ხოლმე, რომ მანქანა სხვაგან წაეყვანა, ისეთ სა-ხელოსნოში, რომელთანაც ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. ამიტომ, რაც მეტად დავშლიდით, მით უკეთესი იქნებოდა. ხელა-ხალი მონტაჟი იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ მანქანის ჩვენთან დატოვება ერჩივნათ. როცა მოვრჩით, უკვე ბნელოდა.

— დღეს საღამოს კიდეც იტაქსავებ? — ვკითხე ლენცს.

— გამორიცხულია, — მომიგო გოტფრიდმა, — მეტისმეტი ფუ-ლის კეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. დღეისათვის სტატზი მეყოფა. — მე — არა, — ვუპასუზე, — შენ თუ არ მიდიხარ, თერთმეტიდან ორამდე ღამის დუქნებს დავივლი.

თავი დაანებე, — ჩაიცინა ლენცმა, — ამას გირჩევნია, სარკეში ჩაიხედე. ამ ბოლო დროს ცხვირის ამბავში არ გიმართლებს, ამ ჭარხლის პატრონს არავინ ჩაგიჯდება. წადი სახლში წყნარად და კომპრესი დაიდე.

მართალი იყო. ამ ჩემი ცხვირით არაფერი გამოვიდოდა. ამიტომ მალე დავემშვიდობე და შინისკენ გავეშურე, გზად ჰასე შემხვდა და ბოლო მონაკვეთი ერთად გავიარეთ. დამტვერილი და უბედური ჩანდა. — გამხდარხართ, — ვუთხარი მე.

თავი დამიქნია და მითხრა, რომ საღამოობით ვეღარ ნაყრდება. მისი ცოლი თითქმის ყოველთვის თავის ახალ ნაცნობებთანაა, და შინ სულ გვიან ბრუნდება. ძალიან კარგია, რომ ქალი ერთობა, მაგრამ საღამოს მარტოკას საჭმლის კეთება არ უხარია. დიდადაც არ შია; საამისოდ მეტისმეტად დაღლილია ხოლმე.

ვუყურებდი, ჩემ გვერდით მხრებჩამოყრილი როგორ მოაბიჯებდა. — იქნებ სჯეროდა კიდეც, რასაც ამბობდა, მაგრამ ძალიან სევდიანი მოსასმენი იყო. ოდნავ მეტი უსაფრთხოება და ოდნავ მეტი ფული — და უამისობამ ეს ოჯახი და ეს ნაზი, მოკრძალებული ცხოვრება დააქცია. ვიფიქრე, რომ მილიონობით ასეთი ადამიანი არსებობს, და ყველაფრის ბრალი მუდამ ოდნავ უსაფრთხოება და ოდნავ ფულია. სიცოცხლე საშინლად დაიჭმუჭნა, დაპატარავდა, მხოლოდ და მხოლოდ არსებობისთვის საწყალობელ ბრძოლად იქცა. დღევანდელი ჩხუბი გამახსენდა, გამახსენდა, ბოლო კვირების განმავლობაში რაც ვნახე, და მერე პატი გამახსენდა და უცებ ვიგრძენი, რომ ის ყველაფერი და პატი ერთად ვერ იარსებებდნენ. მეტისმეტად დიდი ნახტომი იყო, ცხოვრება ასეთი ბედნიერებისთვის მეტისმეტად ბინძური გახდა, ეს დიდხანს ვერ გასტანდა, ამის აღარ მეჯერა, ეს ამოსუნთქვის წუთები იყო და არა ნავსაყუდელი. კიბეზე ავედით და კარი გავაღეთ. წინკარში ჰასე გაჩერდა.

— აბა, ნახვამდის...

— რამე შეჭამეთ, — ვუთხარი მე.

თავი სუსტი ღიმილით გაიქნია, თითქოს ბოდიშს იხდიდა, და თავის ცარიელ, ბნელ ოთახში შევიდა. თვალი გავაყოლე. უცებ

ჩუმი სიმღერა მომესმა. გავჩერდი და მივაყურადე. ჯერ ერნა ბიონიგის გრამოფონი მეგონა, მაგრამ არა; პატის ხმა იყო. თავის ოთახში მარტო იჯდა და მღეროდა. კარს გავხედე, რომლის უკანაც ჰასე გაუჩინარდა, ისევ დავიხარე და ყური დავუგდე, და მერე უცებ მუშტები შევკარი. ეშმაკსაც წაუღია! იყოს ამოსუნთქვა და არა ნავსაყუდელი, იყოს ისეთი განსხვავება, რომ ვერც კი ვიჯერებდე — სწორედ იმიტომ, რომ დაუჯერებელია, სწორედ ამიტომაა ის ყოველთვის თავზარდამცემად ახალი და გადასარევი, ის, ჩემი ბედნიერება!

პატს ჩემი დაბრუნება არ გაუგია. სარკის წინ, იატაკზე იჯდა და პატარა, შავ ქუდს იზომავდა. მის გვერდით, ხალიჩაზე, სანათური იდგა. ოთახში თბილი, მოყავისფრო-ოქროსფერი ბინდი იდგა და სინათლის სხივები მხოლოდ მის სახეს ეცემოდა. სკამი მიეჩოჩებინა, რომელზეც აბრეშუმის ნაჭერი ეკიდა. სკამზე მაკრატელი ლაპლაპებდა.

კართან ჩუმად ვიდექი და ვუყურებდი, ქუდს როგორ გულდასმით უტრიალებდა უყვარდა ხოლმე იატაკზე ჯდომა, საღამოობით რომელიმე კუთხეში ჩაძინებული არაერთხელ მინახავს, გვერდით — წიგნი და ძაღლი.

ძაღლი ახლაც მის გვერდით იწვა. შემიღრინა პატმა ამოიხედა და სარკეში დამინახა. გამიღიმა და მომეჩვენა, რომ მთელი მსოფლიო განათდა. ოთახი გადავჭერი, მის უკან ჩავიმუხლე და მთელი დღის ჭუჭყით გასვრილი პირი თბილ, რბილ კეფას მივადე.

შავი ქუდი ზემოთ ასწია.

— გადავაკეთე, საყვარელო. მოგწონს?

— შესანიშნავი ქუდია, — ვუთხარი მე.

— ზედაც არ უყურებ! უკან ბოლო მოვაჭერი და წინიდან მივა-

მაგრე. — მშვენივრად ვხედავ, — ვუპასუხი მის თმაში სახეჩარგულმა, — ეს ქუდი რომ დაენახათ, პარიზელ მკერავებს შურისგან ფერი წაუვიდოდათ, — რობი! — სიცილით განზე გამწია, — შენ ამის არაფერი გაგეგება. საერთოდ, ამჩნევ ხოლმე, რა მაცვია?

— ყველა წვრილმანს ვხედავ, — გამოვუცხადე და მის გვერდით იატაკზე ჩავიცუცქე, ჩრდილში, ამ ჩემი ცხვირის გამო.

— მართლა? აბა, გუშინ საღამოს რა მეცვა?

— გუშინ? — დავფიქრდი. მართლა არ ვიცოდი.

— სხვას არაფერს ველოდი, საყვარელო! საერთოდ, ჩემ შესახებ თითქმის არაფერი არ იცი.

— სწორია, — ვუპასუხე მე, — მაგრამ სწორედ ესაა ყველაზე მშვენიერი. რაც მეტი იციან ხოლმე ერთმანეთზე, მით მეტი გაუგებრობა ხდება. და რაც უკეთ იცნობ, მით უფრო უცხო ხდები. ჰასეს ოჯახს შეხედე; ერთმანეთზე ყველაფერი იციან და ისე ერჩიან, სრულიად უცხოები გეგონება. პატარა, შავი ქუდი დაიხურა და სარკეში მოირგო.

— რასაც ამბობ, მხოლოდ სანახევროდაა მართალი, რობი, — ყველა სიმართლე ასეა, — მივუგე მე, — ვერაფერს გავაწყობთ. კაცნი ვართ. და ამ ჩვენი სანახევრო სიმართლეებით საკმაოდ ბევრ სისულელეს ჩავდივართ. მთლიანით ხომ საერთოდ, ვერც ვიცოცხლებდით.

ქუდი მოიხადა და გადადო მერე მომიტრიალდა და ჩემი ცხვირი დაინახა.

— ეს რაღაა? მკითხა შეშინებულმა — დიდი არაფერი. უბრალოდ, ცუდი შესახედია მანქანის ქვეშ რომ ვმუშაობდი, ზედ რაღაც დამეცა.

ურწმუნოდ მიყურებდა.

— კაცმა არ იცის, სად იყავი. შენ ხომ არაფერს ამბობ შენი არ იყოს, შენ შესახებ მეც არაფერი ვიცი.

— ასე უკეთესია, — ვუთხარი მე.

წყლიანი თასი და ხელსახოცი მოიტანა და კომპრესი დამადო. მერე ერთხელაც დამათვალიერა..

ნაცემს ჰგავს. ყელიც დაფხაჭნილი გაქვს რაღაც თავგადასავალი გადაგხდენია, საყვარელო.

— დიდი თავგადასავალი დღეს წინა მაქვს, ვუთხარი მე.

გაკვირვებულმა ამომხედა.

— გვიანი არაა, რობი? რას აპირებ?

— აქ ვრჩები! — მივუგე პასუხად, კომპრესი გადავაგდე და მკლავები მოვხვიე, — მთელი საღამო აქ ვრჩები, შენთან ერთად!

20

აგვისტო თბილი და უღრუბლო იყო, და სექტემბერშიც თითქმის ზაფხულის დარი იდგა. მაგრამ მერე, სექტემბრის ბოლოს, წვიმა დაიწყო, ღრუბლები მთელი დღე ქალაქზე იყო ჩამოწოლილი, სახურავებმა გაჟონა, ამინდი გაფუჭდა, და ერთ კვირადღესაც, როცა ადრე გამეღვიძა და ფანჯარასთან მივედი, სასაფლაოს ხეებზე გოგირდივით ყვითელი ლაქები და პირველი გაშიშვლებული ტოტები დავინახე.

ერთხანს ფანჯარასთან ვიდექი. მთელი ის თვეები, რაც ზღვიდან ჩამოვედით, უცნაური იყო. სულ, ყოველ წუთს ვიცოდი, რომ პატი შემოდგომაზე უნდა წასულიყო, მაგრამ ეს ისევე ვიცოდი, როგორც ბევრი სხვა რამ: რომ წლები გადის, რომ ასაკი გვემატება და რომ მარად სიცოცხლე შეუძლებელია. აწმყო უფრო ძლიერი იყო, ის ყველა ფიქრს განზე სწევდა, და სანამ პატი აქ იყო და ხეებზე ფოთლები შრიალებდა, სიტყვები „შემოდგომა“ და „წასვლა“ და „დამშვიდობება“ სხვა არაფერი იყო, თუ არა მკრთალი ჩრდილები ჰორიზონტზე, — რომლებიც ახლოს და ერთად ყოფნის ბედნიერებას მხოლოდ უკეთ გვაგრძნობინებდნენ.

სველ წვიმიან სასაფლაოს და ჭუჭყიანი, ყავისფერი ფოთლებით დაფარულ საფლავის ქვებს გადავყურებდი. ნისლმა, როგორც ფერმკრთალმა ცხოველმა, ხეების ფოთლებს მწვანე წვენი ერთ ღამეში გამოსწოვა. ახლა ფერწასულები და ძალამიხდილები ეკიდნენ ტოტებზე, მათ ქარი გლეჯდა და მიაქროლებდა — და უცებ მძაფრმა ტკივილმა დამსერა, სულ პირველად: რომ განშორება მოახლოვდა, სინამდვილედ იქცა, ისეთსავე სინამდვილედ, როგორიც შემოდგომაა, გარეთ კენწეროებში რომ შემოიპარა და ყვითელი კვალი დატოვა.

მეზობელი ოთახისკენ მივაყურადე. პატს ჯერაც ეძინა. კართან მივედი და ერთხანს გავჩერდი. მშვიდად ეძინა და არ ახველებდა. წამით იმედი გამიკრთა. წარმოვიდგინე, რომ იაფე დღეს, ან ხვალ, ან კიდევ მერე დამირეკავდა, რომ ეთქვა, წასასვლელი აღარააო. მაგრამ მერე ის ღამეები გამახსენდა, როცა მისი სუნთქვის ჩუმი შრიალი მესმოდა, ზომიერი, მოგუდული ფხაჭუნი, იქით-აქეთ, იქით-აქეთ, თითქოს ძალიან შორს ძალიან წვრილი ხერხით ხერხავდა ვიღაც... და იმედი ისევე სწრაფად ჩაქრა, როგორც აინთო.

ფანჯარასთან დავბრუნდი და ისევ წვიმას მივაჩერდი. მერე საწერ მაგიდას მივუჯექი და ფულის თვლას შევუდექი. ვანგარიშობდი, პატს რამდენ ხანს ეყოფოდა, მაგრამ თავი გლახაკად ვიგრძენი და ისევ ჩავალაგე. საათს დავხედე. შვიდს წუთები აკლდა. პატის გაღვიძებამდე, სულ მცირე, ორი საათი მქონდა. სწრაფად ჩავიცვი, რომ გასვლა მომესწრო. ოთახში მარტო ჯდომას და ფიქრს ეს სჯობდა, სახელოსნოში მივედი, მანქანა გამოვიყვანე და ქუჩებს ნელა გავუყევი. ცოტა ხალხი დადიოდა. მუშების დასახლებაში გრძელ რიგებად ჩამწკრივებული სახლები შემოძარცვული და უკაცრიელი იყო და წვიმაში ბებერ, სევდიან ბოზებს ჰგავდნენ. ფასადები — ჩამოქცეული და ჭუჭყიანი, დაბურული ფანჯრები დილას უსიხარულოდ შესცქეროდნენ და კედლების ჩამოშლილი

ბათქაში ბევრგან მოყვითალო-მონაცრისფრო ნახვრეტებს აჩენდა, თითქოს წყლულებით იყო დაჭმული, ძველი ქალაქი გადავჭერი და ტაძართან მივედი, მანქანა პატარა — შესასვლელთან გავაჩერე და გადავედი. მძიმე მუხის კარიდან ორგანის მოგუდული ხმა მომესმა. სწორედ დილის წირვის დრო იყო, და ორგანით მივხვდი, რომ წმინდა ძღვენის კურთხევა დაიწყო, ანუ წირვის დამთავრებამდე, სანამ ხალხი გამოვიდოდა, სულ მცირე, ოცი წუთი იყო დარჩენილი.

ბაღში შევედი. ნაცრისფერი შუქი ადგა. წვიმას ვარდის ბუჩქები გაელუმპა, მაგრამ ბევრი კიდევ ყვაოდა. განიერი ლაბადა მეცვა და მოჭრილი ტოტების დამალვა შევძელი. თუმცა კვირა იყო, არავის ჩაუვლია, და პირველი დიდი თაიგული მანქანამდე მშვიდად მივიტანე. მერე დავბრუნდი, რომ მეორეც წამომეღო. ის-ის იყო, ლაბადის ქვეშ დავმალე, რომ ტალანიდან ნაბიჯების ხმა მომესმა. თაიგული იღლიაში ამოვიდე, მაგრად მოვუჭირე და ერთერთ სალოცავთან გავჩერდი, ვითომ ვლოცულობდი.

ნაბიჯები მომიახლოვდა, მაგრამ არ ჩამიარა, კაცი გაჩერდა ცოტა დამცხა. ქვის გამოსახულებას ჩავაშტერდი, პირჯვარი გადავიწერე და შემდეგი სალოცავისკენ დავიძარი, რომელიც ტალანისგან ცოტა მოშორებით იდგა. ნაბიჯები გამომყვა და კვლავ გაჩერდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. მაშინვე გზის გაგრძელება არ გამოდიოდა, იმდენ ხანს მაინც უნდა ვმდგარიყავი, რამდენიც ათი „გიხაროდენ“ და ერთი „მამაო ჩვენოს“ სათქმელად იყო საჭირო, სხვაგვარად უცებ გავიყიდებოდი.

გავჩერდი და მოვიხედე, რომ დამედგინა, რა ხდებოდა, ფრთხილად, გულგრილი სახით, ვითომ ფიქრებში ხელი შემიშალეს.

პასტორის კეთილი, მრგვალი სახე დავინახე და ამოვისუნთქე. უკვე ვიფიქრე, გადავრჩი-მეთქი, ვიცოდი, რომ ლოცვის დროს

ხელის შეშლა არ შეიძლება. მაგრამ უცებ აღმოვაჩინე, რომ მაინ-ცდამაინც წრის ბოლო სალოცავს მივდგომოდი. ნელაც რომ მე-ლოცა, ერთ-ორ წუთში მაინც უნდა დამემთავრებინა, და ისიც, როგორც ჩანს, ამას ელოდა. გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ამიტომაც ნელა, გულგრილად დავიძარი გასასვლელისკენ.

— დილა მშვიდობისა, — მითხრა მღვდელმა, — ქებული იყოს იესოს სახელი!

— მარადის უკუნისამდე! — მივუგე მე. ეს კათოლიკეების საეკ-ლესიო სალამი იყო.

— ამ დროს აქ იშვიათად თუ მოდის ვინმე, — მითხრა და ნათე-ლი, ცისფერი, ბავშვური თვალებით შემომხედა.

რაღაც ჩავილუღლუღე.

— სამწუხაროდ, იშვიათობა გახდა, — განაგრძო ცოტა დადარ-დიანებულმა, — განსაკუთრებით, მამაკაცები, აქ მლოცველს იშ-ვიათად შეხვდები. ამიტომ მიხარია თქვენი დანახვა და ამიტომაც გამოგელაპარაკეთ. ალბათ, განსაკუთრებული სათხოვარი გაქვთ, ასე ადრიანად და ასეთ ამინდში რომ მოხვედით...

— „კი, ძალიან მინდა, რომ შენს გზაზე წახვიდე“, ვიფიქრე და თავი დავუქნიე. გულზე მომეშვა, როგორც ჩანს, აქამდე ყვავილე-ბი არ შეუმჩნევია. ახლა დროზე უნდა ჩამომეშორებინა, რომ თვალში არაფერი მოხვედროდა. ისევ გამიღიმა.

— წირვისთვის ვემზადები. ლოცვისას თქვენს თხოვნასაც გა-ვითვალისწინებ.

— გმადლობთ, — ვუთხარი გაკვირვებულმა და დაბნეულმა.

— გარდაცვლილის სულის საცხონებლად? — მკითხა მან.

წამით გავშრი და ყვავილები კინაღამ გადმომიცვივდა.

— არა, — ვთქვი სწრაფად და მკლავი ლაბადას მაგრად მოვუ-ჭირე. უწყინარი, ნათელი თვალებით მომაცქერდა. ალბათ, ელო-და, რომ ვეტყოდი, რაზე იყო ლაპარაკი. მაგრამ იმწამს არაფერი მომაგონდა, და არც ის მინდოდა, მისთვის აუცილებელზე მეტი

ტყუილი მეთქვა. ამიტომ ვდუმდი.

— მაშ, უცნობის განსაცდელისგან დახსნისთვის ვილოცებ, — გადაწყვიტა საბოლოოდ.

— დიახ, — მივუგე მე, — თუ ამას იზამთ... დიდად მადლობელი ვიქნები. ღიმილით მითხრა, არაფრისო.

— სამადლობელი არაფერია. ყველანი უფლის ხელთა ვართ. — წამით — კიდევ მიყურა, ოდნავ თავგადახრილმა, და მომეჩვენა, სახეზე რაღაცამ გადაურბინა, — ოღონდ, იწამეთ, — მითხრა მან, — ზეციური მამა დაგეხმარებათ. ყოველთვის გვეხმარება, თუმცა ეს ზოგჯერ არ გვესმის.

მერე თავი დამიქნია და წავიდა.

თვალს ვაყოლებდი, სანამ კარის გაჯახუნება არ გავიგონე. „მართლა ასე იოლი რომ იყოს“, ვფიქრობდი მე. გვეხმარება, ყოველთვის გვეხმარება! განა უშველა ბერნჰარდ ვიზეს, მუცელში დაჭრილი ჰაუტჰოლსტერის ტყეში რომ ეგდო და ყვიროდა, განა უშველა კაცინსკის, რომელიც ჰანდცემეში დაეცა და ავადმყოფი ცოლი დარჩა და ბავშვი, რომელიც არასოდეს უნახავს. განა უშველა მიულერს და ლეერს, და კემერიხს, პატარა ფრიდმანს უშველა თუ იურგენსს, თუ ბერგერს თუ მილიონობით სხვას? რაღაც, მეტისმეტად ბევრი სისხლი დაიღვარა ამქვეყნად საიმისოდ, რომ ზეციური მამისა ასე გვწამდეს!

ყვავილები შინ მივიტანე, მერე მანქანა სახელოსნოში მივიყვანე და კვლავ შინ დავბრუნდი. სამზარეულოდან ახალ მოდუღებული ყავის სურნელი მეცა და ფრიდას გრიალიც გავიგონე. უცნაურია, მაგრამ ყავის სურნელმა გამომაცოცხლა. ეს ომშიც ასე იყო: დიდი ამბავი არასოდეს განუგეშებდა, ნუგეში მუდამ უმნიშვნელო, პატარა რამ იყო ხოლმე, დერეფნის კარი მოხურულიც არ მქონდა, რომ თავისი ოთახიდან ჰასე გამოვარდა. სახე გაყვით-

ლებული და შეშუპებული ჰქონდა, თვალები — უძილო და ჩაწითლებული. როგორც ჩანს, ჩაცმულს ეძინა. რომ დამინახა, სახეზე უსაშველო იმედგაცრუება დაეტყო.

— ახ, თქვენ ხართ, — ჩაილაპარაკა მან.

გაკვირვებული შევცქეროდი.

— ამ დილაადრიან ვინმეს ელოდით?

— დიახ, — მითხრა ჩუმად, — ჩემს ცოლს. ჯერ არ დაბრუნებულა. ხომ არ გინახავთ?

ვიუარე.

— მხოლოდ ერთი საათით ვიყავი გასული.

თავი დააქნია.

— უბრალოდ, ვიფიქრე... ხომ შეიძლება, გენახათ.

მხრები ავიჩეჩე.

— ალბათ, მოგვიანებით დაბრუნდება. არ დაურეკავს?

ცოტა დამფრთხალმა შემომხედა.

— წუხელ თავის დაქალთან წავიდა. ზუსტად არ ვიცი, სად ცხოვრობს. — სახელი ხომ იცით? საცნობაროში ვიკითხოთ. — უკვე ვცადე. საცნობაროში სახელი ვერ მოძებნეს.

ნაცემი ძაღლის მზერა ჰქონდა.

— ამ ხალხს სულ ასაიდუმლოებდა, და ერთხელ რომ ვკითხე, მაშინვე გაბრაზდა. ჰოდა, შევეშვი, მიხაროდა, რომ ვიღაცასთან დამეგობრდა. სულ მეუბნებოდა, ალბათ ამასაც არ შემარგებო.

იქნებ მოვიდეს, — ვთქვი მე, — დარწმუნებულიც კი ვარ, მალე მოვა. ისე თავი რომ დავიზღვიოთ უბედური შემთხვევების სადგურში და პოლიციაში თუ დარეკეთ!

თავი დამიქნია.

— ყველაფერი გავაკეთე. იქ არავის არაფერი სმენია.

— კარგი, — ვუთხარი მე, — აბა, სადარდელიც არაფერი ყოფილა. იქნებ საღამოს შეუძლოდ გახდა და ღამითაც იქ დარჩა. ასეთები ხშირად ხდება. ალბათ, ერთ-ორ საათში დაბრუნდება.

— ასე ფიქრობთ?

სამზარეულოს კარი გაიღო და სინით ხელში ფრიდა გამოვიდა.

— ეს ვისთვისაა? — ვკითხე.:

— ქალბატონი ჰოლმანისთვის, — მომიგო, ჩემი დანახვით ოდნავ გაღიზიანებულმა.

— უკვე გაიღვიძა?

— როგორც ჩანს, — ამიხსნა გაგულისებულმა ფრიდამ, — თორემ ხომ არ დარეკავდა და საუზმეს ხომ არ მოითხოვდა.

— ღმერთმა დაგლოცოთ, ფრიდა! — მივუგე მე, — ზოგჯერ რა სიხარული ხართ დილაობით. შეგიძლიათ, თავს ძალა დაატანოთ და ყავა მეც მომიდუღოთ?

რაღაცა ჩაიღრინა და დერეფანს გაუყვა, თან უკანალს ადგებით იქნევდა. გამოსდიოდა. ფრიდა ერთადერთი არსება იყო, რომელსაც უკანალით ამდენის გამოხატვა შეეძლო.

ჰასე იცდიდა. მოვიხედე და თვინიერად და ჩუმად ატუზული რომ დავინახე, შემრცხვა.

— ერთ-ორ საათში ნამდვილად აღარაფერი გექნებათ სადარდებელი, — ვუთხარი და ხელი გავუწოდე.

არ ჩამომართვა და უცნაურად შემომხედა.

— იქნებ მოგვეძებნა? — მკითხა ჩუმად.

— თქვენ ხომ არ იცით, სადაა.

— იქნებ მაინც მოგვეძებნა, — გაიმეორა მან, — მანქანა რომ გამოგეყვანათ... ცხადია, ყველაფერს გადავიხდი, — დასძინა საჩქაროდ, — ამაზე არაა ლაპარაკი, — მივუგე მე, — უბრალოდ, სრული უაზრობაა, სად უნდა წავიდეთ? ამ დროს ქუჩაში ხომ არ იდგება.

— არ ვიცი, — მიპასუხა მან, ისევ ისე ჩუმად, უბრალოდ, იმას ვამბობ, იქნებ მოგვეძებნა.

— ფრიდა ცარიელი სინით დაბრუნდა.

— ახლა წასასვლელი ვარ, — ვთქვი მე, — და მე მგონი, ტყუილად ღელავთ. მაინც სიამოვნებით დაგეხმარებოდით, უბრალოდ, ქალბატონი — ჰოლმანი მალე უნდა გაემგზავროს და მინდა, დღევანდელი დღე მასთან ერთად ვიყო. შესაძლოა, აქ ბოლო კვირადღეს ატარებს. ხომ გესმით ჩემი? თავი დამიქნია.

შემეცოდა, ასე რომ იდგა, მაგრამ პატთან მიმეჩქარებოდა.

— თუ მაინც გასვლა გინდათ, ქვემოთ ტაქსები დგას, — განვაგრძე მე, — მაგრამ არ გირჩევთ. ცოტაც დაიცადეთ, მერე ჩემს მეგობარ ლენცს დავურეკავ და ძებნაში ის დაგეხმარებათ.

ისეთი გრძნობა მქონდა, რომ საერთოდ არ მისმენდა.

— დღეს დილით არ გინახავთ? — მკითხა უცებ.

— არა, — ვუპასუხე გაკვირვებულმა. — აქამდე ხომ ასჯერ გეტყოდით. ისევ თავი დამიქნია და წავიდა, თავის ოთახში ისე დაბრუნდა, სიტყვა აღარ უთქვამს.

პატი ჩემთან უკვე ყოფილა და ვარდები უნახავს. რომ შევედი, გაიცინა. — რობი, — მითხრა მან, — მე ხომ ცოტა მიამიტი ვარ. ეს ფრიდამ გამარკვია, კვირას, ასე ადრიანად, უდავოდ ნაქურდალი იქნებაო. ისიც ამიხსნა, რომ ამ ჯიშის ვარდები სიახლოვეში არც ერთ ყვავილების მაღაზიაში არ იყიდება.

— რაც გინდა, ის იფიქრე, — მივუგე მე, — მთავარია რომ მოგწონს და გახარებს.

— ახლა კიდევ უფრო მეტად, საყვარელო მათ მოსაპოვებლად ხომ თავი საფრთხეში ჩაიგდე!

— აბა, თან როგორ საფრთხეში პასტორი გამახსენდა, — ასე ადრე რამ აგაყენა?

— აღარ მეძინებოდა. თან სიზმარიც ვნახე კარგი არაფერი.

— ყურადღებით შევხედე. დაღლილი ჩანდა და უპეები ჩაშავებოდა. — დიდი ხანია, ასეთები გესიზმრება? — ვკითხე მე, — აქამდე ეს ჩემი სპეციალობა მეგონა.

თავი გააქნია.

— ხედავ, გარეთ შემოდგომა რომ დგება?

— ჩვენში ამას ზაფხულის მიწურულს ეძახიან, — მოვახსენე მე, — ვარდები ჯერაც ყვავის. წვიმს, მეტი ვერაფერს ვხედავ.

— წვიმს, — გაიმეორა მან, — მეტისმეტად დიდი ხანი წვიმს, საყვარელო. ზოგჯერ, ღამით, როცა მეღვიძება, მგონია, რომ ამდენი წვიმის ქვეშ დავიმარხე.

— ღამით ჩემთან უნდა მოხვიდე, — ვუთხარი მე, — მაშინ ასეთი აზრები აღარ მოგივა. პირიქით, როცა ბნელა და გარეთ წვიმს, ერთად ყოფნა ძალიან კარგია.

— შეიძლება, — თქვა და მომეყრდნო.

— ძალიან მიყვარს, კვირას რომ წვიმს ხოლმე, — ვთქვი მე, — უკეთ ხვდები, რა კარგად ხარ. ერთად ვართ, თბილი, ლამაზი ოთახი გვაქვს და წინ — თავისუფალი დღე... მე თუ მკითხავ, ძალიან ბევრია.

სახე გაუნათდა.

— ჰო, კარგად ვართ, არა?

— მე მგონი, გადასარევად ვართ. რომ მახსენდება, ადრე როგორ ვიყავი... ღმერთო ჩემო! ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ასეთი ბედნიერება მეღირსებოდა.

— რა კარგია, ამას რომ მეუბნები უმალვე ვიჯერებ ხშირად უნდა თქვა ხოლმე.

— ხშირად არ ვამბობ?

— არა.

— შეიძლება, — ვთქვი მე, — მე მგონი, დიდად ალერსიანი კაცი არ ვარ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ არ გამომდის. არადა, ძალიან მინდა, რომ ვიყო. — რად გინდა, საყვარელო, მე შენი ასეც მესმის. უბრალოდ, ზოგჯერ მაინც მინდა ხოლმე ამის გაგონება.

— ამიერიდან ყოველ ჯერზე გეტყვი ხოლმე. თუნდაც ამ დროს თავს ბრიყვულად ვგრძნობდე.

— აჰ, ბრიყვულად, — არ შემეპუა, — სიყვარულში სიბრიყვე არ არსებობს. — დიდება ღმერთს, — ვთქვი მე, — საშინელება იქნებოდა, რა დღეში ჩავვარდებოდი...

ერთად ვისაუზმეთ, მერე პატი ისევ ლოგინში ჩაწვა. იაფემ ასე დაუბარა. — აქ დარჩები? — გამომძახა პატმა საბანქვეშიდან.

— თუ გინდა, — ვუთხარი მე.

— მე კი მინდა, მაგრამ შენ არ უნდა...

ლოგინზე ჩამოვუჯექი.

— ეგ არ მიგულისხმია. უბრალოდ, გამახსენდა, რომ ადრე არ გიყვარდა, მძინარეს როცა გიყურებდნენ.

— ადრე, კი... მაგრამ ახლა ზოგჯერ მეშინია, მარტო — ეგ მეც მქონია, — ვუთხარი მე, — ლაზარეთში, ოპერაციის მერე. მაშინ ღამით დაძინების მეშინოდა. სულ ვფხიზლობდი და ან ვკითხულობდი, ან ვფიქრობდი, და რომ ინათებდა, მაშინღა ვიძინებდი. მაგრამ ეს გაგივლის.

სახე ხელზე დამადო.

— იმის მეშინია, რომ ვეღარ დავბრუნდები, რობი...

— ჰო, — ვუთხარი, — მაგრამ დაბრუნდები, და ეს მალე გაგივლის. მე შემომხედე. კაცი ყოველთვის ბრუნდები, თუნდაც მაინცდამაინც იმავე ადგილას არ გამოგივიდეს დაბრუნება.

— ჰო, ასეა, — მომიგო. უკვე ცოტა ჩათვლიმა, თვალები ეხუჭებოდა, სწორედ ამის მეშინია. მაგრამ შენ მომხედავ, ჰო?

— აქ ვარ, — ხელი შუბლსა და თმაზე გადავუსვი. თითქოს თმაც დაღლილი ჰქონდა.

ახლა უკვე ღრმად სუნთქავდა და ოდნავ შებრუნდა. ერთ წუთში უკვე ეძინა.

ისევ ფანჯარას მივუჯექი და წვიმას გავხედე. ახლა ნაცრისფერი შხაპივით ასხამდა მინებს და სახლი პირქუშ უსასრულობაში დაკარგულ პატარა კუნძულს ჰგავდა. ვდარდობდი, რადგან დილით უგუნებო და სევდიანი პატი იშვიათად მენახა. მაგრამ მერე

გავიხსენე, რომ რამდენიმე დღის წინ ჯერაც სიცოცხლით სავსე და მხიარული იყო და ალბათ, რომ გაიღვიძებდა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ვიცოდი, რომ თავის ავადმყოფობაზე ბევრს ფიქრობდა, და იაფესგანაც ვიცოდი, რომ არ გამომჯობინებულა, მაგრამ სიცოცხლის განმავლობაში იმდენი მიცვალებული მენახა, რომ ჩემთვის ყველა ავადმყოფობა ჯერაც სიცოცხლე და იმედი იყო. ვიცოდი, რომ ჭრილობას შეიძლება კაცი მოეკლა, და ამის დიდი გამოცდილებაც მქონდა, და სწორედ ამიტომ მიჭირდა დაჯერება რომ ავადმყოფობა, რომლის დროსაც ადამიანი გარეგნულად მაინც საღ-სალამათია, საშიში შეიძლება ყოფილიყო. ეს ფიქრი უცებ მავიწყებდა ასეთი სასოწარკვეთილების შეტევებს.

კარზე კაკუნი გაისმა. მივედი და გავაღე. ჰასე დამხვდა თითი პირთან მივიტანე და დერეფანში გავედი.

— მაპატიეთ, — ალუღლუღდა.

— ჩემთან შემობრძანდით, — ვუთხარი და ჩემი ოთახის კარი გავაღე. ჰასე ზღურბლზე გაჩერდა. სახე თითქოს დაპატარავებოდა. ცარცივით გაფითრებულიყო.

— მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ წასვლა აღარ მოგვიწევს, — ლაპარაკის დროს ტუჩებს თითქმის არ ამოძრავებდა.

— შემობრძანდით, რა, — ვუთხარი მე, — ქალბატონ ჰოლმანს სძინავს მცალია.

ხელში წერილი ეჭირა მისი შემყურე იფიქრებდი, ესროლეს, მაგრამ ჯერ ჰგონია, რომ მხოლოდ დაარტყესო.

— ყველაფერს აჯობებს, თუ თქვენ თვითონ წაიკითხავთ, — მითხრა და წერილი მომაწოდა.

— ყავა უკვე დალიეთ? — ვკითხე მე.

თავი გააქნია.

— წერილი წაიკითხეთ...

— ჰო, მაგრამ იქნებ ამ დროს რამე დაგელიათ.., გავედი და ფრიდას ვუთხარი. მერე წერილი წავიკითხე. ქალბატონ ჰასეს წერილი იყო და სულ რამდენიმე სტრიქონისგან შედგებოდა. ატყობინებდა, რომ ამ ცხოვრებისგან კიდევ ითხოვდა რაღაცას. ამიტომ აღარ დაბრუნებულა. რომ ვიღაც არსებობს, ვისაც მისი ჰასეზე უკეთ ესმის. არაფერს აზრი არ ჰქონდა, არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდებოდა. მისთვისაც ასე აჯობებს. იმის დარდი აღარ ექნება, ჯამაგირი ჰყოფნის თუ არა. თავისი ნივთების რაღაც ნაწილი წაუღია, დანარჩენისთვის ვინმეს გამოგზავნის.

სავსებით გასაგები, საქმიანი წერილი იყო. დავკეცე და ჰასეს დავუბრუნე. ისე შემომხედა, თითქოს ყველაფერი ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული.

— რა უნდა ვქნა? მკითხა მან.

— ჯერ ყავა დალიეთ და რამე შეჭამეთ, — ვუთხარი მე, — იქითაქეთ სირბილს და თავის წახდენას აზრი არა აქვს. მერე მოვიფიქროთ, იცადეთ, დამშვიდდეთ, მაშინ საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ.

ფინჯანი თვინიერად დაცალა ხელი უკანკალებდა, ლუკმა არ გადასდიოდა. ისევ მკითხა:

— რა უნდა ვქნა?

— არაფერი, — ვუთხარი, — დაიცადეთ.

შეირხა.

— რის გაკეთება გინდათ? — ვკითხე მე — არ ვიცი. ვერ ვხვდები.

ვდუმდი. რა უნდა მეთქვა. მხოლოდ დამშვიდება თუ შემეძლო, ყველაფერი დანარჩენი თვითონ უნდა გადაეწყვიტა. ქალი აღარ უყვარდა, ეს გასათვალისწინებელია, მაგრამ შესჩვეოდა, და ვინ იცის ბუღალტრისთვის შეჩვევა სიყვარულზე მეტსაც ნიშნავდა.

ცოტა ხანში ალაპარაკდა, რაღაც აბდაუბდა იყო, მხოლოდ იმის დასტური, რომ გულს ასკდებოდა. მერე საკუთარი თავის და-

დანაშაულება დაიწყო. ქალის აუგი არ დასცდენია. თავს ირწმუნებდა, რომ თვითონ გააფუჭა ყველაფერი.

— ჰასე, — ვუთხარი მე, — სისულელეებს ლაპარაკობთ. ასეთ დროს არც დამნაშავე არსებობს და არც უდანაშაულო. ქალი წავიდა, თქვენ ხომ არა. თქვენ რა შუაში ხართ.

— ვარ, — მითხრა და ხელებზე დაიხედა — მე ვერ გავქაჩე.

— რა?

— ვერ გავქაჩე. ეს დანაშაულია, როცა ვერ ქაჩავ წითელ პლუშის სავარძელში მჯდომ პატარა, საწყალობელ კაცს გაკვირვებულმა შევხედე.

ბატონო ჰასე, — ვუთხარი მერე მშვიდად, — ეს, დიდი-დიდი, მიზეზი იყოს, და არა დანაშაული. გარდა ამისა, აქამდე ხომ ქაჩავდით. თავი გამწარებით გააქნია.

— არა, არა, ამ ჩემი უმუშევრობის გაუთავებელი შიშით ქალი ჭკუიდან გადავიყვანე. და ვერც გავქაჩე! რა მქონდა შესათავაზებელი? არაფერი... გაქვავებული იჯდა. ავდექი და კონიაკის ბოთლი მოვიტანე.

— დალიეთ, — ვუთხარი მე, — ჯერ არაფერი დაგიკარგავთ.

თავი ასწია.

— ჯერ არ არაფერი დაგიკარგავთ. — გავუმეორე, — ადამიანს მარტო მაშინ კარგავ, როცა კვდება.

თავის ქნევა დაიწყო და ჭიქას დასწვდა. მაგრამ მერე ისევ დადგა, არც მოუსვამს.

— გუშინ ბიუროს უფროსი გავხდი, — მითხრა ხმადაბლა, — უფროსი ბუღალტერი და ბიუროს უფროსი. პროკურისტმა საღამოს მითხრა. იმიტომ დამნიშნეს, რომ ბოლო თვეები სულ გვიანობამდე ვრჩებოდი ხოლმე. ორი ბიურო გააერთიანეს. იმ მეორე ბიუროს უფროსი მოხსნეს. ორმოცდაათი მარკით მეტს მივიღებ. — უცებ დაბნეულმა შემომხედა, — როგორ ფიქრობთ, ეს რომ სცოდნოდა, დარჩებოდა?

— არა, — ვუთხარი მე.

— ორმოცდაათი მარკით მეტი. მივცემდი. რასაც მოუნდებოდა, იყიდდა. კიდევ თორმეტი ათასი მარკა სალაროში მაქვს! რისთვის ვაგროვე? ვფიქრობდი, საქმე ცუდად თუ წაგვივა, ჩემი ცოლისთვის რამე მექნება-მეთქი. ახლა კი წავიდა, იმიტომ რომ ფულს ვიზოგავდი. თვალი ისევ გაუშტერდა.

— ჰასე, — ვუთხარი მე, — მე მგონი, თქვენ რასაც ფიქრობთ, სწორი არაა. ამაზე ფიქრით თავს ნუ გაიხეთქავთ. ახლა თქვენთვის ისაა მნიშვნელოვანი, რამდენიმე დღე გადააგოროთ. მერე უკეთ გეცოდინებათ, რის გაკეთება გინდათ. შეიძლება, თქვენი ცოლი დღეს საღამოსვე ან ხვალ დაბრუნდეს. ახლა ისიც ხომ თქვენსავითაა, ფიქრობს.

— აღარ დაბრუნდება, — მიპასუხა მან.

— რა იცით?

— ვინმეს რომ ეთქვა, რომ ახლა მეტი ჯამაგირი მაქვს, და არდადეგები გვექნებოდა, და დაზოგილი ფულით ვიმოგზაურებდით...

ყველაფერ ამას თქვენ თვითონ ეტყვით. ასე ერთბაშად დაცილება არ ხდება.

მიკვირდა, რომ იმ სხვა კაცის შესახებ არც უფიქრია. როგორც ჩანს, ჯერ იქამდე არ მისულა. ახლა მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ მისი ცოლი წავიდა, სხვა ყველაფერი თითქოს ნისლივით იყო, ამის მიღმა. სიამოვნებით ვეტყოდი, რამდენიმე კვირაში შეიძლება გაგიხარდეს კიდეც რომ წავიდა-თქო, მაგრამ ახლა ისეთი განადგურებული იყო, ამის თქმა ზედმეტი სისასტიკე იქნებოდა. ნატკენ გულზე სიმართლე ყოველთვის სასტიკი და თითქმის აუტანელია ერთხანს კიდევ ველაპარაკე — უბრალოდ, ლაპარაკი რომ შესძლებოდა. ვერაფერს მივაღწიე: წრეზე დარბოდა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ცოტა დაწყნარდა. კონიაკიც დალია. გვერდით ოთახიდან პატის ძახილი მომესმა.

— ერთი წუთით! — ვუთხარი და ავდექი.

— ჰო, — დამჯერი ბიჭივით მიპასუხა და ისიც წამოდგა.

— იჯექით, ახლავე მოვალ.

— მაპატიეთ...

— ამწამს დავბრუნდები, — ვთქვი და პატისთან გავედი.

ლოგინზე იჯდა, გამოძინებული ჩანდა, კარგად იყო.

— არაჩვეულებრივად მეძინა, რობი! ახლა ალბათ უკვე შუადღეა. — ზუსტად ერთი საათი გეძინა, — ვუთხარი და საათი გავუწოდე. — დახედა.

— კიდევ უკეთესი, უამრავი დრო დაგვრჩენია ახლავე ავდგები. — ძალიან კარგი. მეც ათ წუთში შემოვალ.

— სტუმარი გყავს?

— ჰასე. — ვუთხარი, — თუმცა უკვე მალე წავა დავბრუნდი, მაგრამ ჰასე აღარ დამხვდა დერეფანში გამავალი კარი გავაღე, მაგრამ გასასვლელი ცარიელი იყო. დერეფანს გავუყევი და მის — კარზე დავაკაკუნე. არ მიპასუხა. კარი შევაღე და დავინახე, რომ დასთან იდგა. ერთი-ორი უჯრა გამოღებული იყო.

— ჰასე, — ვუთხარი მე, — რამე დამაძინებელი წამალი დალიეთ, ლოგინში ჩაწექით და გამოიძინეთ. ახლა მეტისმეტად აღგზნებული ხართ ნელა მომიტრიალდა.

— სულ მარტო უნდა ვიყო, ყოველ საღამოს! სულ წუხანდელივით — ვიჯდები, წარმოიდგინეთ...

ვუთხარი, რომ ყველაფერი შეიცვლება, რომ უამრავი ადამიანი არსებობს, ვინც საღამოს მარტოა. წესიერად არც მიპასუხა. ერთხელაც გავუმეორე, დაიძინეთ-მეთქი, იქნებ ყველაფერი სრულიად მშვიდად დამთავრდეს და ცოლი საღამოს დაგიბრუნდეთ მეთქი თავი დამიქნია და ხელი გამომიწოდა.

საღამოს კიდევ შემოგივლით, — ვუთხარი და წავედი ძალიან მიხაროდა, რომ თავი დავაღწიე.

პატს გაზეთი გადაეშალა.

— შეგვიძლია, შუადღემდე მუზეუმში წავიდეთ, რობი, — შემომთავაზა მან.

— მუზეუმში? — ვკითხე მე.

— ჰო. სპარსული ხალიჩების გამოფენაა. მუზეუმში მაინცდამაინც ხშირად არ დადიხარ, ხომ ასეა?

— არასოდეს ვყოფილვარ! — მივუგე პასუხად, — რა უნდა მეკეთებინა? — მართალი ხარ, — მითხრა და გაიცინა.

— ეგ არაფერი. — ვუთხარი და ავდექი, — წვიმიან დარში კაცმა შეიძლება განათლებაზეც იზრუნოს.

ჩავიცვით და წავედით. გარეთ დიდებული ჰაერი დაგვხვდა. ტყის და სინოტივის სუნი იდგა. „ინტერნაციონალთან“ რომ ჩავიარეთ, ღია კარიდან დახლთან მჯდომი როზა დავინახე. კვირადღე იყო და ამიტომ ერთ ჭიქა შოკოლადს მიირთმევდა. მაგიდაზე პატარა პაკეტი იდო. ალბათ მერე, როგორც ყოველთვის, თავის შვილთან აპირებდა გამგზავრებას. დიდი ხანია, „ინტერნაციონალში“ აღარ ვყოფილვარ, და მეხამუშა, რომ როზა უწინდელივით არხეინად იჯდა. ჩემს თავს იმდენი რამ შეიცვალა, ვფიქრობდი, ყველგან ყველაფერი შეცვლილია-მეთქი.

მუზეუმს მივაღწიეთ. მეგონა, ცოტა ხალხი იქნებოდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, უამრავი ადამიანი იყო. დარაჯს ვკითხე, რა ხდება-მეთქი. — არაფერი, — მომიგო მან, — იმ დღეებში, როცა თავისუფალი შესვლაა, სულ ასეა ხოლმე.

— ხომ ხედავ, — მითხრა პატმა, — ასეთი რამეები კიდევ ბევრს აინტერესებს.

დარაჯმა ქუდი გადაიწია.

— ასეც არაა, ჩემო ქალბატონო. აქ თითქმის სულ უმუშევრები არიან. ხელოვნების გამო კი არ მოდიან უბრალოდ, საქმე არა აქვთ აქ საყურებელი მაინცაა რამე.

— ეს განმარტება უკეთ მესმის — ვთქვი მე.

— ახლა რა უშავს, — თქვა დარაჯმა, — ზამთარში უნდა ნახოთ!

გადატენილია. გათბობის გამო.

დარბაზში შევედით, სადაც ხალიჩები ეკიდა. წყნარი, ცოტა მოფარებული დარბაზი იყო. მაღალი ფანჯრებიდან ბაღი მოჩანდა, სადაც უზარმაზარი ჭადარი იდგა, სულ ყვითელი, და დარბაზსაც მქრქალი, ყვითელი შუქი ეფინებოდა.

შესანიშნავი ხალიჩები იყო. ორი ხალიჩა — მეთექვსმეტე საუკუნისა, რამდენიმე ისპაჰანური და რამდენიმე აბრეშუმის, მოვარდისფრო-მონარინჯისფრო პოლონური ხალიჩა, ზურმუხტივით მწვანე არშიით. სიძველისა და მზის გამო ნაზი პატინა დაჰკრავდათ, ისე, რომ დიდი, ზღაპრული, პასტელის სურათები გეგონებოდა. მათი წყალობით დარბაზში დრო თითქოს გამქრალიყო, ჰარმონია სუფევდა, ამას ვერც ერთი ტილო ვერ შეძლებდა. ფანჯარაში მომზირალი შემოდგომის ჭადარი და მარგალიტივით რუხი ცაც თითქოს ძველ ხალიჩად ქცეულიყო.

ერთხანს იქ დავყავით, მერე მუზეუმის სხვა დარბაზებში დავბრუნდით. კიდევ უფრო მეტი ხალხი მოსულიყო, და ახლა აშკარად ეტყობოდათ, რომ აქ, წესით, არაფერი ესაქმებოდათ. ფერმკრთალი სახეებით და გაცვეთილი ტანსაცმლით, ზურგსუკან დაწყობილი ხელებით, დარბაზებში ოდნავ შემკრთალები დასეირნობდნენ, და მათი თვალები აღორძინების ტილოებს და ანტიკური ხანის მარმარილოს მშვიდ ქანდაკებებს ვერ ხედავდნენ. მრავალი მათგანი გარშემო დალაგებულ წითელ, ქსოვილგადაკრულ სკამებზე იჯდა. დაღლილები ისხდნენ, და ზედ ეტყობოდათ, ვინმე რომ მისულიყო და გაეძევებინა, უმალვე ადგებოდნენ. ეტყობოდათ, რომ ქსოვილით დაფარული სკამები მათთვის უცხო ხილი იყო, თითქოს ვერ ხვდებოდნენ, მათზე ჯდომაში ფულს რომ არავინ სთხოვდათ. შეჩვეული იყვნენ, რომ მუქთად არაფერი ეძლეოდათ. დარბაზებში სიჩუმე იყო, და მრავალი მნახველის მიუხედავად, ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებდი. მაგრამ მე მეჩვენე-

ბოდა, რომ დიდ ბრძოლას შევცქეროდი, უხმო ბრძოლას ადამიანებისა, რომლებიც დამარცხდნენ, მაგრამ ჯერ არ დანებებულან. თავიანთი სამუშაოს, მისწრაფებების, პროფესიების სფეროდან განდევნილებმა ხელოვნების დარბაზებს მიაკითხეს, რომ გაქვავებას და სასოწარკვეთას გადარჩენილიყვნენ. პურზე ფიქრობდნენ, სულ პურზე ფიქრობდნენ, და საქმეზე, მაგრამ აქ მოვიდნენ, რომ თავიანთ ფიქრებს გაჰქცეოდნენ, და რომაელების სპეტაკ თავებსა და ბერძნული ქალების სხეულების უკვდავ მშვენებას შორის ფეხათრევით ევლოთ, უმიზნო ადამიანების მოხრილი მხრებით შემზარავი კონტრასტი იყო, უნუგეშო სურათი იმისა, რასაც კაცობრიობამ ათასობით წლის განმავლობაში მიაღწია — და ვერ მიაღწია: მარადიული ხელოვნების ნიმუშების მწვერვალს — და პურს საკუთარი ძმებისთვის.

ნაშუადღევს კინოში წავედით. რომ გამოვედით, ცა მოწმენდილი დაგვხვდა. ვაშლივით მწვანე იყო და კამკამა. ქუჩებსა და მაღაზიებში უკვე სინათლე ენთო. სახლისკენ ნელი ნაბიჯით გავემართეთ, თან გზად ვიტრინებს ვათვალიერებდით.

ბეწვეულის დიდი მაღაზიის გაჩახჩახებულ ფანჯრებთან გავჩერდი. საღამოობით უკვე გრილოდა, და საზამთროდ ვერცხლისფერი მელიის დიდი შეკვრები და თბილი პალტოები უკვე გამოეფინათ. პატს შევხედე; ახლაც ბეწვის მოკლე ქურთუკი ეცვა და საერთოდ, მეტისმეტად თხლად იყო ჩაცმული.

— ახლა რომ კინოს გმირი ვიყო, შევიდოდი და ქურქს აგირჩევდი, — ვუთხარი მე.

გამიღიმა.

— აბა, რომელს?

— აი, ამას. — ის დავანახე, რომელიც ყველაზე თბილს ჰგავდა. გაიცინა.

— კარგი გემოვნება გაქვს, რობი, ეს შესანიშნავი კანადური წაულაა. — გინდა?

შემომხედა.

— იცი, ასეთი ქურქი რა ღირს, საყვარელო?

— არა, — ვუთხარი მე, — არც მაინტერესებს მირჩევნია, ვიფიქრო რომ იმას გაჩუქებ, რაც მომინდება მარტო სხვებს რატომ უნდა შეეძლოთ?

ყურადღებით მიმზერდა.

— მე ეს ქურქი სულ არ მინდა, რობი.

— გინდა, — ვუთხარი პასუხად, — და გექნება მორჩა და გათავდა. ხვალ მოვატანინოთ.

გაიღიმა.

— კარგი, საყვარელო, — მითხრა და შუა ქუჩაში მაკოცა, — ახლა შენი ჯერია. — მამაკაცების ტანსაცმლის მაღაზიასთან დადგა, — აი, ეს ფრაკი! წაულასთვის გჭირდება. და იმ ცილინდრსაც მოგართმევ ნეტა, ცილინდრით როგორი — ბუხრის მწმენდავს ვემგვანები. — ფრაკი შევათვალიერე ნაცრისფერი ხავერდით გაწყობილ ვიტრინაში გამოეფინათ. დავაკვირდი, ეს სწორედ ის მაღაზია იყო, სადაც გაზაფხულზე ჰალსტუხი ვიყიდე, იმ დღეს, როცა პატთან პირველად დავრჩი მარტო და დავთვერი. უცებ ყელში რაღაც მომაწვა, რატომ — არ ვიცი. გაზაფხულზე... მაშინ ჯერ აზრადაც არაფერი მომსვლია.

პატის თხელი ხელი წამით ლოყაზე მივიდე — კიდევ რამე გჭირდება, — ვუთხარი მერე, — მარტო წაულა იგივეა, რაც მანქანა ძრავას გარეშე. ორი-სამი საღამოს კაბა...

— საღამოს კაბები, — პატი დიდი ვიტრინების წინ გაჩერდა, — სწორია, საღამოს კაბები, ამაზე უარის თქმა უფრო გამიჭირდება...

სამი არაჩვეულებრივი კაბა ავირჩიეთ. ვხედავდი, ამ თამაშმა

პატი როგორ გამოაცოცხლა. მთლიანად ჩაერთო — საღამოს კაბები მისი სისუსტე იყო. იქვე კაბებისთვის აუცილებელი სხვა ნივთებიც მოვძებნეთ, და პატი სულ უფრო ხარობდა. თვალები უბრწყინავდა. მის გვერდით ვიდექი, ვუსმენდი და ვიცინოდი და ვიცინოდი. რა საშინელებაა, ქალი რომ გიყვარს და ღარიბი რომ ხარ!

— წამოდი, — ვუთხარი სასოწარკვეთილმა და მხიარულმა, — თუ ყიდვაა, ყიდვა იყოს! — საიუველირო მაღაზიისკენ წავიყვანე. — აი, ის ზურმუხტის სამაჯური! და ის ორი ბეჭედი და საყურეები! რა სალაპარაკოა. ზურმუხტი სწორედ საშენო თვალია.

— მაშინ, შენ — ის პლატინის საათი და მარგალიტები პერანგისთვის. — შენ კი — მთელი მაღაზია! ნაკლებზე თანახმა არა ვარ!

იცინა და გულამოვარდნილი მომეყრდნო.

— კმარა, საყვარელო, კმარა! ახლა ერთი-ორი ჩემოდანიღა გვაქვს საყიდელი, მერე სამოგზაურო ბიუროში წავიდეთ, მერე ჩავლაგდეთ და წავიდეთ, მოვშორდეთ ამ ქალაქს და ამ შემოდგომას და ამ წვიმას. ჰო, ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, ჰო, და მერე უცებ გამოკეთდებოდი!

— საით? — ვკითხე, — ეგვიპტეში? თუ უფრო შორს? ინდოეთში ან ჩინეთში?

— მზე სადაცაა, საყვარელო, სადმე, სადაც მზეა და სამხრეთი და სითბო. სადაც პალმების ხეივნებია და კლდეები და თეთრი სახლები და აგავები. მაგრამ ვინ იცის, იქნებ იქაც წვიმს. იქნებ ყველგან წვიმს. — მაშინ გზას განვაგრძობთ, — ვუთხარი მე, — სანამ სადმე არ გადაიღებს. ტროპიკებში და სამხრეთის ზღვებში.

ჰამბურგ-ამერიკის ხაზის სამოგზაურო ბიუროს განათებულ ფანჯრებთან ვიდექით. შუაში გემის მოდელი დაედგათ. ლურჯ, მუყაოს ტალღებს მიაპობდა, უკან მანჰეტენის ცათამბჯენების გადიდებული სურათი აღმართულიყო. ვიტრინაზე დიდი, ფერადი რუკები ეკიდა, წითლად აღნიშნული მარშრუტებით.

— ამერიკაშიც წავალთ, — თქვა პატმა, — კენტაკიში და ტექსასში და ნიუ იორკში და სან-ფრანცისკოში და ჰავაებზე. და მერე გზას სამხრეთ ამერიკაში განვაგრძობთ. მექსიკის გავლით, პანამის არხით — ბუენოს-აირესში. და რიო დე ჟანეიროდან დავბრუნდებით.

— ჰო...

გაბრწყინებული მიყურებდა.

— იქ არასოდეს ვყოფილვარ, — ვუთხარი მე, — მაშინ მოვროშე. — ვიცი, — მომიგო მან.

— იცი?

— კარგი, რა, რობი! რა თქმა უნდა, ვიცი. მაშინვე ვიცოდი. — მაშინ ცოტა გიჟი ვიყავი. დაბნეული და სულელი და გიჟი. ამიტომ მოვროშე.

— დღეს?

— დღეს კიდევ უარესად ვარ, — ვუთხარი მე, — ხომ ხედავ. — ვიტრინაში გემისკენ მივუთითე, — აფსუს, როგორ ვერ მივყვებით!

გაიღიმა და მკლავი გამიყარა — აჰ, საყვარელო, ნეტა მდიდრები ვიყოთ! რა კარგად გვეცოდინებოდა, რა უნდა გვექნა! რამდენი მდიდარი კაცია, სხვას რომ ვერაფერს იგონებს და ისევ თავის ბიუროში ან თავის ბანკში რომ დაიარება.

— ამიტომაც არიან მდიდრები, — ვუთხარი მე, — ჩვენ მდიდრები დიდხანს ვერ ვიქნებოდით.

— მეც ასე მგონია. ნამდვილად გავღატაკდებოდით.

— შეიძლება, იმის შიშით, გავღატაკდებითო, საერთოდაც ვერ შეგვერგო დღეს სიმდიდრე პროფესიაა. თან, არცთუ იოლი.

— საწყალი მდიდრები! — თქვა პატმა, — ალბათ, აჯობებს, თუ წარმოვიდგენთ, რომ მდიდრები უკვე ვიყავით და მერე ყველაფერი ისევ დავკარგეთ. უბრალოდ, ერთი კვირის წინ გაკოტრდი და ყველაფრის გაყიდვა მოგიწია — სახლიც გაყიდე, ჩემი სამკაულიც და შენი მანქანებიც რას იტყვი?

— მე მგონი, ძალიან თანამედროვე ამბავია, — ვუპასუხე მე. გაიცინა.

— მაშ, წამოდი! ორი გაკოტრებული ჩვენს პატარა ნაქირავებ ოთახში წავიდეთ და ერთმანეთს გარდასულ დიდ დღეთა ამბები ვუთხრათ. — კარგი აზრია.

საღამოს ქუჩებს ნელა მივუყვებოდით. სულ მეტი ლამპიონი ინთებოდა, და სასაფლაოსთან მისულებმა მწვანე ცაზე თვითმფრინავი დავინახეთ. ისე მიფრინავდა, როგორც მონატრების ჯადოსნური ფრინველი ერთი ძველი ზღაპრიდან. დავდექით და თვალი გავაყოლეთ, სანამ არ გაქრა.

ნახევარი საათის მისულებიც არ ვიქნებოდით, რომ ჩემი ოთახის კარზე დააკაკუნეს. ვიფიქრე, ისევ ჰასეა-მეთქი, და გასაღებად გავეშურე. მაგრამ ქალბატონი ცალევსკი დამხვდა. გადარეული იყო.

— ჩქარა, წამოდით, — წამჩურჩულა მან.

— რა მოხდა?

— ჰასე.

შევხედე. მხრები აიჩეჩა.

— ჩაიკეტა და არ მპასუხობს.

— ერთი წამით.

დავბრუნდი და პატს ვუთხარი, დაისვენე მეთქი, მანამდე ჰასეს დაველაპარაკები-მეთქი.

— კარგი რობი. თან მართლა დავიღალე.

ქალბატონ ცალევსკის დერეფანში გავყევი. ჰასეს კართან უკვე მთელი პანსიონი დამხვდა: წითელთმიანი, ჭრელ, დრაკონებიან კიმონოში გამოწყობილი ერნა ბიონიგი — ორი კვირის წინ ჯერ კიდევ ქერა იყო; საფოსტო მარკების შემგროვებელი ხაზინადარი, სამხედრო ყაიდაზე შეკერილი საშინაო კურტაკით; ორლოვი,

გაფითრებული და მშვიდი, საცეკვაო ჩაის სუფრიდან ახლად დაბრუნებული; გეორგი, რომელიც აღელვებული აკაკუნებდა და მოგუდული ხმით ჰასეს უძახდა; და ბოლოს — ფრიდა, აღგზნებისგან, შიშისგან და ცნობისმოყვარეობისგან დაელმებული, დიდი ხანია, რაც აკაკუნებ, გეორგ? — ვკითხე მე.

— თხუთმეტ წუთზე მეტი იქნება, — ჩაგვეჩარა აწითლებული ფრიდა, — თან სახლშია, საერთოდ აღარ გასულა, სადილის მერე არსად წასულა, მხოლოდ ბოლთას სცემდა, იქით-აქეთ, და მერე გაჩუმდა...

— და გასაღები შიგნიდანაა გაჩრილი, — მითხრა გეორგმა, — ჩაკეტილია. ქალბატონ ცალევსკის შევხედე, — გასაღები უნდა ამოვაგდოთ და გავაღოთ. მეორე გასაღები არა გაქვთ?

— გასაღებების აცმას მოვიტან, — ფრიდამ უჩვეულო მზადყოფნა გამოიჩინა, — იქნებ რომელიმე მოერგოს, მავთული მოვატანინე, გასაღები მოვაბრუნე და ჭუჭრუტანიდან შიგნით შევაგდე. კარის მეორე მხარეს იატაკზე დაეცა. ფრიდამ შეჰყვირა და სახეზე ხელები აიფარა.

— გამეცალეთ, — ვუთხარი და გასაღებების მორგება ვცადე. ერთი მოერგო. გადავატრიალე და კარი გავალე. ოთახში თითქმის ბნელოდა, ისე, რომ პირველ წამს ვერავის დაინახავდი, ორი ლოგინი თეთრად ანათებდა, სკამებზე არავინ იჯდა, კარადის კარები მიხურული იყო, — იქ დგას! — დაისისინა ფრიდამ, რომელიც კვლავ შემომძვრალიყო და ჩემს მხრებსუკნიდან იცქირებოდა. სახეზე ცხელი, ხახვის სუნით გაჯერებული სუნთქვა ვიგრძენი, — იქაა, ფანჯარასთან.

— არა, — თქვა ორლოვმა, რომელმაც ოთახში რამდენიმე ნაბიჯი სწრაფად გადადგა და ისევ მობრუნდა. დამეჯახა, სახელურს ხელი ჩაავლო და კარის მიხურვა სცადა. მერე დანარჩენებს მიუტრიალდა, — აჯობებს, თუ წახვალთ. არა მგონია, კარგი სანახავი იყოს.

ნელა ლაპარაკობდა, მაგარი, რუსული გერმანულით, და კარიდან ფეხს არ იცვლიდა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ქალბატონმა ცალევსკიმ და უკან დაიხია. ერნა ბიონიგმაც რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა. მხოლოდ ფრიდა მოძვრებოდა და სახელურისთვის ხელის ჩავლებას ცდილობდა ორლოვმა განზე გასწია.

— მართლა აჯობებს, — გაიმეორა მან.

— ბატონო ჩემო! — დაიყვირა უცებ ხაზინადარმა და მხრებში გაიმართა, — რას ბედავთ! თქვენ უცხოელი ხართ!

ორლოვი გაუნძრევლად შესცქეროდა.

— უცხოელი... — თქვა მან, — უცხოელი... ამჯერად სულერთია. არაფერ შუაშია...

— მოკვდა, ჰო? — სისინებდა ფრიდა.

— ქალბატონო ცალევსკი, — ვთქვი მე, — მეც ვფიქრობ, აჯობებს თუ მხოლოდ თქვენ დარჩებით და, ალბათ, მე და ორლოვი.

— ექიმს დაურეკეთ, — თქვა ორლოვმა.

— გეორგმა უკვე ყურმილი აიღო. ეს ყველაფერი, დიდი-დიდი, ხუთ წამს გაგრძელდა.

— ვრჩები! — თქვა აჭარხლებულმა ხაზინადარმა, — გერმანელი კაცი ვარ და უფლება მაქვს...

ორლოვმა მხრები აიჩეჩა და კარი ისევ გააღო. მერე შუქიც აანთო. ქალებმა ყვირილით დაიხიეს უკან. ჰასე მოშავო-მოლურჯო სახით, კბილებშუა გამოჩრილი ლურჯი ენით, ფანჯარასთან ეკიდა.

— ჩამოვხსნათ, — შევძახე მე.

— აზრი არა აქვს, — თქვა ორლოვმა ნელა, მტკიცედ და სევდიანად, — ვიცი ეს... ეს სახე... მკვდარია, რამდენიმე საათია...

— ვცადოთ მაინც...

— სჯობს, ნუ ვიზამთ... ჯერ პოლიცია მოვიდეს.

იმწამს კარზე დარეკეს. ექიმი იქვე ცხოვრობდა და უკვე მოსულიყო. გამხდარ, დაკრუნჩხულ სხეულს ერთი გახედა.

— ვეღარაფერს ვიზამთ, — თქვა მან, — მაგრამ მაინც ხელოვნური სუნთქვა უნდა ვცადოთ. ახლავე პოლიციაში დარეკეთ და დანა მომეცით. ჰასეს თავი სქელ, ვარდისფერ ბაწარზე ჩამოუხრჩვია. მისი ცოლის ხალათისა იყო, ძალიან ჭკვიანურად დაუმაგრებია ფანჯრის ზემოთ, კაუჭზე. საპნით იყო გაპოხილი. როგორც ჩანს, ფანჯრის რაფაზე დადგა და იქიდან გადმოეშვა. ხელები დაჰკრუნჩხვოდა, სახე საშინელი სანახავი ჰქონდა. იმწუთას უცნაური იყო, მაგრამ გავიფიქრე, რომ იგივე ეცვა, რაც დილით ვიცოდი — მისი საუკეთესო კოსტიუმი იყო, ლურჯი კამვოლის. გაპარსული იყო და თეთრეულიც გამოეცვალა. მაგიდაზე პედანტურად, გვერდიგვერდ ეწყო მისი პასპორტი, შემნახველი სალაროს წიგნაკი, ოთხი ათმარკიანი და რაღაც ხურდა. იქვე — ორი წერილი, ერთი — ცოლს, მეორე — პოლიციას. ცოლის წერილის გვერდით ვერცხლის პორტსიგარი და ქორწინების ბეჭედიც იდო.

— დიდხანს უფიქრია და ყველაფერი წინასწარ მოუწესრიგებია ოთახი საგულდაგულოდ იყო დალაგებული, და როცა უკეთ დავათვალიერეთ, კომოდზე რაღაც ფული აღმოვაჩინეთ და იქვე — ბარათი, რომელზეც ეწერა: „ამ თვის დარჩენილი ქირა“. საგანგებოდ დაუდვია, თითქოს იმის საჩვენებლად, რომ ამ საქმესთან მის სიკვდილს არაფერი ჰქონდა საერთო.

ზარი გაისმა, და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი მოხელე მოვიდა. ექიმი, რომელსაც ცხედარი უკვე ჩამოეხსნა, წამოდგა. — მკვდარია, — თქვა მან, — თვითმკვლელობაა, უეჭველად.

მოხელეებს არაფერი უთქვამთ. კარი მიხურეს და მთელი ოთახი ყურადღებით დაათვალიერეს. კარადის უჯრიდან რამდენიმე წერილი ამოიღეს და მაგიდაზე დალაგებულ წერილების ხელწერას შეადარეს. უმცროსმა თავი დააქნია.

— ვინმემ მიზეზი თუ იცის?

მოვუყევი, რაც ვიცოდი. ისევ თავი დააქნია და ჩემი მისამართი ჩაიწერა.

— წავაღებინოთ? — იკითხა ექიმმა.

— კარიტასის მანქანა გამოვიძახე, — უთხრა უმცროსმა მოხელემ, — წესით, ახლავე უნდა მოვიდე.

ვიცდიდით. ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ექიმმა იატაკზე ჩაიმუხლა, ჰასეს გვერდით. ტანსაცმელი გადაუღეღა და პირსახოცით მკერდს უზელდა, გაცოცხლებას ცდილობდა. მკვდარ ფილტვებში ჰაერის სტვენა და ხრიალი ისმოდა მხოლოდ.

— ამ კვირაში მეთორმეტეა, — თქვა უმცროსმა მოხელემ — იმავე მიზეზით? — ვკითხე მე.

— არა, თითქმის ყველა უმუშევრობის გამო, ორი ოჯახი, ერთი — სამშვილიანი. გაზით, რასაკვირველია ოჯახები თითქმის ყოველთვის გაზს იყენებენ.

საკაცე მოიტანეს. კაცებს ფრიდაც შემოჰყვათ. რაღაცნაირად, ხარბად უცქერდა ჰასეს საცოდავ სხეულს. ფრიდას სახე დაეფოთლა, ოფლმა დაასხა.

— აქ რა გინდათ? ჰკითხა უხეშად უფროსმა მოხელემ ფრიდა შეკრთა და ალუღლუღდა:

— ჩვენება ხომ უნდა მოგცეთ.

მოუსვით! — უთხრა მოხელემ.

ჰასეს საბანი გადააფარეს და გაიტანეს. მერე მოხელეებიც წავიდნენ. ქაღალდები თან წაიღეს.

— დაკრძალვისთვის ფული ჰქონია გადადებული, — თქვა უმცროსმა — გადავცემთ, სადაც საჭიროა. თუ ცოლი მოვიდა, უთხარით, საოლქო სისხლის სამართლის პოლიციაში გამოცხადდეს. ფული მას უანდერძა დანარჩენი ნივთები აქ რომ დავტოვოთ?

ქალბატონმა ცალევსკიმ თავი დაუქნია.

— ამ ოთახს რაღა გააქირავებს.

— ძალიან კარგი.

მოხელე დაგვემშვიდობა და გავიდა. ჩვენც გავედით. ორლოვმა კარი ჩაკეტა და გასაღები ქალბატონ ცალევსკის მისცა.

— ყველაფერს აჯობებს, ამაზე ნაკლები ილაპარაკოთ, — თქვა მან. — მეც ასე მგონია, — უპასუხა ქალბატონმა ცალევსკიმ.

— უპირველეს ყოვლისა, ეს თქვენ გეხებათ, ფრიდა, — დავურთე მე. ფრიდამ თითქოს ვერაფერი გაიგო. თვალები უბრწყინავდა. პასუხი არ გაუცია.

— ქალბატონ ჰოლმანთან ერთი სიტყვაც რომ დაგცდეთ, — ვუთხარი მე, — ვაი, თქვენი ბრალი!

— ეგ მეც ვიცი, — მიპასუხა ურცხვად, — საწყალი ქალბატონი მეტისმეტად ავადაა!

თვალები უელავდა. თავი შევიკავე, რომ სილა არ გამეწნა — საბრალო ჰასე! — თქვა ქალბატონმა ცალევსკიმ დერეფანში ბნელოდა.

— გრაფ ორლოვს უხეშად მოექეცით, — ვუთხარი ხაზინადარს — ბოდიშის მოხდას არ აპირებთ?

მოხუცი მომაშტერდა. მერე დაიწყო:

— გერმანელი კაცი ბოდიშს არ მოიხდის მით უმეტეს, აზიელთან! — და კარი გამიჯახუნა.

— ამ მარკების ულაყს რა დაემართა? — ვიკითხე გაკვირვებულმა, ხომ მუდამ კრავივით იყო...

— რამდენიმე თვეა, საარჩევნო შეკრებებზე დადის მომიგო სიბნელიდან გეორგმა.

— ასეა საქმე?

ორლოვი და ერნა ბიონიგი უკვე წასულიყვნენ უცებ ქალბატონმა ცალევსკიმ ტირილი დაიწყო.

— გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, ვუთხარი მე, — რას უშველით.

— საშინელებაა, — სლუკუნებდა ქალბატონი ცალევსკი, — სხვაგან უნდა გადავიდე, ამას ვერ გადავიტან!

— გადაიტანთ, — ვუთხარი მე, — ერთხელ რამდენიმე ასეული ადამიანი მყავს ასე ნანახი. გაზით მოწამლული ინგლისელები როგორც ხედავთ, გადავიტანე.

გეორგს ხელი ჩამოვართვი და ჩემს ოთახში შევედი. სანამ შუქს ავანთებდი, ჩემდაუნებურად ფანჯარას გავხედე. მერე პატს მივაყურადე. ეძინა. კარადასთან მივედი, კონიაკის ბოთლი გამოვიღე და ერთი ჭიქა დავისხი. კარგი კონიაკი იყო და კარგი იყო, რომ მქონდა. ბოთლი მაგიდაზე დავდგი. ბოლოს ეს კონიაკი ჰასემ დალია. ვფიქრობდი, რომ უმჯობესი იქნებოდა, მარტო არ დამეტოვებინა. დათრგუნვილი ვიყავი, მაგრამ თავს არ ვიდანაშაულებდი. იმდენი რამ მქონდა ჩადენილი, რომ ზუსტად ვიცოდი: ან, რაც არ უნდა ქნა, თავს ნებისმიერ შემთხვევაში დაიდანაშაულებ, ანდა ბრალი საერთოდ არ არსებობს. ჰასეს უბედურება ის იყო, რომ ეს ამბავი კვირადღეს შეემთხვა. სხვა დღეს ბიუროში წავიდოდა და იქნებ გადაეტანა კიდეც.

კონიაკი კიდევ დავლიე. ამაზე ფიქრს აზრი არ ჰქონდა. ვინ რა იცის, ვის რა გვიწერია. ვინ იცის, შეიძლება ის, ვინც ახლა გებრალება, ოდესმე ბედნიერად მოგეჩვენოს. — გავიგონე, რომ პატი შეირხა, და მასთან გავედი, მომაცქერდა — სასოწარკვეთილი ვარ, რობი, — მითხრა მან, — ისევ მაგრად მეძინა — ეგ ხომ კარგია, — ვუპასუხე მე.

— არა. — იდაყვებით წამოიწია, — ამდენი ძილი არ მინდა — რატომაც არა? ზოგჯერ მინდა, მომავალი ორმოცდაათი წელი სულ ვიძინო.

— მაგრამ ორმოცდაათი წლით დაბერება ხომ არ გინდა?

— არ ვიცი. ამას მერე თუ ვიტყვი.

— მოწყენილი ხარ? — მკითხა მან.

— არა, — ვუპასუხე, — პირიქით. სწორედ ახლა გადავწყვიტე; ჩავიცვამთ და სადმე წავალთ, რომ შესანიშნავად ვივახშმოთ. ყველაფერი ვჭამოთ, რაც შენ გიყვარს. თან ცოტა დავთვრებით

კიდეც.

— ეგ კარგია, — მომიგო პატმა, — ჩვენი დიდი გაკოტრების ამ-ბავში მაინც გამოგვივა?

— კი, — ვუთხარი მე, — გავქაჩავთ.

21

ოქტომბრის შუა რიცხვებში იაფემ დამიბარა. დილის ათი საათი იყო, მაგრამ ისეთი მრუმე დარი იდგა, კლინიკაში ჯერაც შუქი ენთო, გარეთ ნისლიან ბინდს ერეოდა და ფერმკრთალ, ავადმყოფურ ნათელს ჰფენდა. იაფე თავის დიდ მისაღებში მარტო იჯდა. რომ შევედი, მელოტი თავი წამოსწია. პირქუშად მიმანიშნა დიდ ფანჯარაზე, რომელსაც წვიმა ასხამდა.

— ამ წყეულ ამინდზე რას იტყვით?

მხრები ავიჩეჩე.

— იმედია, მალე გადაიღებს.

— ეს არ გადაიღებს.

მიყურებდა და დუმდა. მერე საწერი მაგიდიდან ფანქარი აიღო, დააკაკუნა და ისევ გადადო.

— მე მგონი, ვიცი, რატომ დამიძახეთ, — ვუთხარი მე.

იაფემ რაღაც ჩაიბურტყუნა.

წამით ვიცდიდი. მერე ვუთხარი:

— პატი მალე უნდა წავიდეს?

— დიახ...

იაფეს თვალი ბრაზიანად გაუშტერდა.

— მე ოქტომბრის ბოლოს ვვარაუდობდი. მაგრამ ასეთ ამინდში — ვერცხლის ფანქარს დასწვდა.

ქარი და წვიმა ფანჯარას ეხეთქებოდა. თითქოს შორს ავტომატის ჯერი ისმოდა.

— როგორ ფიქრობთ, როდის უნდა გაემგზავროს? — ვკითხე მე.

უცებ ამოიხედა და თვალებში ჩამხედა.

— ხვალ, — მითხრა მან.

წამით ფეხქვეშ მიწა გამომეცალა. ჰაერი ბამბასავით მიმეკრო ფილტვებზე. მერე გამიარა და ვკითხე, რამდენადაც შემეძლო, მშვიდად, მაგრამ საკუთარი ხმა შორიდან ჩამესმოდა, თითქოს სხვას ეკითხოს:

— ერთბაშად ასეთი გაუარესებაა?

იაფემ თავი მაგრად გააქნია და ადგა.

— ასე სწრაფად რომ შეცვლილიყო რამე, მაშინ ხომ საერთოდ ვეღარ წავიდოდა, — მითხრა არცთუ კეთილად, — უბრალოდ, ასე სჯობს. ასეთ ამინდში ყოველი დღე საფრთხეა. გაციება და რაღაც ასეთები... მაგიდიდან რამდენიმე წერილი აიღო.

— უკვე ყველაფერი მოვამზადე. მხოლოდ გასვლა გჭირდებათ. სანატორიუმის მთავარ ექიმს სტუდენტობიდან ვიცნობ ძალიან ყოჩაღი კაცია. ყველაფერი ავუხსენი.

წერილები მომცა. გამოვართვი, მაგრამ ჯიბეში არ ჩამიდია. შემომხედა, მერე წინ დამიდგა და ხელი მკლავზე დამადო. ჩიტის ფრთასავით მსუბუქი ხელი ჰქონდა, საერთოდ ვერ ვგრძნობდი.

— ძნელია, — მითხრა ჩუმად, შეცვლილი ხმით, — ვიცი. ამიტომაცაა, რომ რამდენადაც შეიძლებოდა, გადავდე.

— ძნელი არაა... — ვუპასუხე.

ხელი ამიქნია.

— არ გინდათ.

— არა, — ვუთხარი, — ამას არ ვგულისხმობ მხოლოდ ერთი რამის ცოდნა მინდა; დაბრუნდება?

იაფე წამით დუმდა, ყვითელ ნისლიან შუქში მუქი, წვრილი თვალები უბრჭყვიალებდა.

— ახლა ამის ცოდნა რად გინდათ? — მკითხა მერე, — მაშინ აჯობებს არ წავიდეს — ვუთხარი მე უცებ ამომხედა.

— რას ლაპარაკობთ?

— მაშინ აჯობებს, აქ დარჩეს.

მომაშტერდა — ხვდებით, ეს რას ნიშნავს? — მკითხა მერე ჩუმად და მკაცრად — დიახ, — ვუთხარი მე, — ეს ნიშნავს, რომ სიმარტოვეში არ მოკვდებოდა. ხოლო ეს რას ნიშნავს, ესეც ვიცი.

იაფემ მხრები ასწია, თითქოს შეამცივნა. მერე ფანჯარასთან ნელა მივიდა და წვიმას გახედა. უკან რომ დაბრუნდა, სახე ნიღბად ჰქონდა ქცეული. წინ დამიდგა.

— რამდენი წლის ხართ? — მკითხა მან.

— ოცდაათის, — მივუგე. ვერ მივხვდი, რა უნდოდა — ოცდაათის, — გაიმეორა მან, უცნაური ხმით, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა და ჩემი საერთოდ არ ესმოდა, — ოცდაათის, ღმერთო ჩემო! — საწერ მაგიდასთან მივიდა და გაჩერდა, დაპატარავებული და უცნაურად გაუცხოებული, უზარმაზარი, ლაპლაპა ავეჯის გვერდით სრულიად დაკარგული, — მე სამოცის ვხდები, — არ მიყურებდა, — მაგრამ ამას ვერ ვიზამდი. ყველაფერს ვცდიდი, კვლავ და კვლავ, მაშინაც, თუ ზუსტად მეცოდინებოდა, რომ აზრი არა აქვს.

ხმას არ ვიღებდი. იაფეს თითქოს ყველაფერი დავიწყებოდა. მერე შეირხა და გამომეტყველება შეეცვალა. გაიღიმა, — დარწმუნებული ვარ, რომ იქ, ზემოთ, ზამთარს კარგად გადაიტანს. — მხოლოდ ზამთარს? — ვკითხე მე.

— იმედი მაქვს, რომ გაზაფხულზე კვლავ დაბრუნებას შეძლებს. — იმედი გაქვთ, — ვთქვი მე, — რას ნიშნავს, იმედი გაქვთ?

— ყველაფერს, — მომიგო იაფემ, — სულ ყველაფერს. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. სხვა დანარჩენი სულ სათუოა. ვნახოთ, ზემოთ რა მოხდება. მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ გაზაფხულზე დაბრუნებას შეძლებს — ნამდვილად?

— დიახ. — მაგიდას შემოუარა და ღიად დარჩენილ უჯრას ისე ჰკრა ფეხი რომ შუშები აზრიალდა, — ბიჭო, მეც გულზე მხვდება, რომ უნდა წავიდეს ჩაილაპარაკა მან.

მედდა შემოვიდა იაფემ ხელი აუქნია ის მაინც იდგა, ჯმუხი ჩაფსკვნილი, ბულდოგისსახიანი, ჭაღარა.

მერე! — შეუღრინა იაფემ, — მერე მოდით!

მერე მე მომიტრიალდა.

— აბა?

— დღეს საღამოს წავალთ, — ვუთხარი მე.

— დღეს?

— ჰო. თუ წასვლაა. დღესვე იყოს მე ავიყვან. რამდენიმე დღით წასვლა კი შემიძლია.

თავი დამიქნია და ხელი გამომიწოდა.

— წამოვედი. მომეჩვენა, რომ კარამდე უგრძელესი გზა გავიარე. გარეთ გავჩერდი. აღმოვაჩინე, რომ წერილები კვლავ ხელში მეჭირა. ზედ წვიმის წვეთები ატყაპუნდნენ. გადავწმინდე და გულის ჯიბეში ჩავიდე. მერე მიმოვიხედე. სახლის წინ ომნიბუსი გაჩერდა. სავსე იყო, იქიდან მთელი ბრბო გადმოვიდა. ერთიორი გოგონა, შავ, პრიალა ლაბადაში, მძღოლს რაღაცაზე აცინებდა. ახალგაზრდა კაცი იყო, გარუჯულ სახეზე კბილები უბრჭყვიალებდა. „შეუძლებელია“, ვიფიქრე მე, „ეს როგორ იქნება?“ ირგვლივ ამდენი სიცოცხლეა, და პატი როგორ უნდა წავიდეს?

— ომნიბუსმა დაიწკრიალა და დაიძრა. ბორბლებმა წყალი ტროტუარს მიაშხეფა. გზას გავუყევი, რომ კიოსტერი გამეფრთხილებინა და ბილეთები მეყიდა.

შუადღისას სახლში მივედი. ყველაფერი მოვაგვარე და სანატორიუმშიც დეპეშა გავგზავნე.

— პატ, — კარიდანვე დავიწყე, — საღამომდე ჩალაგდები?

— უნდა წავიდე?

— ჰო, — ვუთხარი, — ჰო, პატ.

— მარტო?

— არა. ერთად. მე აგიყვან.

ფერი დაუბრუნდა.

— როდისთვის მოვემზადო? — მკითხა მან.

— მატარებელი დღეს საღამოს ათზე გადის.

— ისევ უნდა წახვიდე?

— არა, აქ ვიქნები, გამგზავრებამდე ღრმად ამოისუნთქა.

— მაშ, უცებ ვიზამთ. რობი, — მითხრა მან — დავიწყოთ?

— ჯერ დრო გვაქვს.

— ახლავე მირჩევნია. დროზე მოვრჩებით.

— კარგი.

უცებ ჩავალაგე, რის წაღებასაც აპირებდა, და ნახევარ საათში მოვრჩი. მერე ქალბატონ ცალევსკისთან გადავედი და ვუთხარი რომ საღამოს მივემგზავრებოდით. შევთანხმდით, რომ ოთახს პირველი ნოემბრისთვის დავცლიდით, თუ მანამდე ვერ გააქირავებდა. საუბრის გაბმა დააპირა, მაგრამ უცებ გავერიდე და ოთახში დავბრუნდი.

პატი სკივრთან იყო ჩაცუცქული, გარშემო მისი კაბები ეკიდა, ლოგინზე თეთრეული ეწყო. ფეხსაცმელს ალაგებდა. გამახსენდა, რომ მაშინაც ასე იყო ჩაცუცქული, როცა ამ ოთახში გადმოვიდა და თავისი ნივთების ამოლაგება დაიწყო, და მომეჩვენა, რომ ეს უსასრულოდ დიდი ხნის წინ მოხდა, და თან — მხოლოდ გუშინ. ამომხედა.

— ვერცხლისფერი კაბაც მიგაქვს? — ვკითხე მე.

თავი დამიქნია.

— დანარჩენს რა ვუყოთ, რობი? ავეჯს?

— ქალბატონ ცალევსკის ველაპარაკე. რამდენიც დაეტევა, ჩემს ოთახში გადავიტან. დანარჩენს შესანახად სატრანსპორტო ფირმას დავუტოვებთ. რომ დაბრუნდები, წამოვიღებთ.

— რომ დავბრუნდები, — თქვა მან.

— ჰო, — მივუგე მე, — გაზაფხულზე, მზით გარუჯული რომ დაბრუნდები.

ჩალაგებაში დავეხმარე და ნაშუადღევს, როცა ჩამობნელდა, მოვრჩით. უჩვეულო იყო: ავეჯი ისევ ისე იდგა, მხოლოდ კარადები და უჯრები იყო დაცლილი, და მაინც, ოთახი უცებ შიშველი და სევდიანი გახდა. პატი ლოგინზე ჩამოჯდა. დაღლა ეტყობოდა.

— შუქი ავანთო? — ვკითხე მე, თავი გააქნია.

— არა, იყოს.

მის გვერდით დავჯექი.

— მოწევ? — ვკითხე მე.

— არა, რობი. უბრალოდ, ვიჯდები.

ავდექი და ფანჯარასთან მივედი. გარეთ, წვიმაში, ლამპიონები მოუსვენარ შუქს აფრქვევდნენ, ქარი ხეებში ფათურობდა, ქვემოთ როზა მიაბიჯებდა. მაღალი ჩექმები ულაპლაპებდა. იღლიაში პარკი ჰქონდა ამოჩრილი, „ინტერნაციონალში“ მიდიოდა. ალბათ თან საქსოვი ჰქონდა, რომ თავისი პატარა გოგოსთვის შალის ტანსაცმელი მოექსოვა, მის კვალდაკვალ ფრიციმ და მარიონმა ჩაიარეს, ორივეს ახალი, თეთრი, ტანზე მომდგარი საწვიმარი ლაბადები ეცვათ, და ცოტა ხანში მათ დაკონკილი და დაღლილი მიმიც მიჰყვა.

მოვტრიალდი, როგორ ჩამობნელებულა, პატს ვეღარ ვხედავდი.

მხოლოდ მისი სუნთქვა მესმოდა. სასაფლაოს ხეების თავზე ნელა და მკრთალად რეკლამის სხივები ამოცოცდა. სიგარეტის

რეკლამის წითელი წარწერა ორდენის ლენტივით გადაიშალა სახურავებზე, ღვინის ფირმების ლურჯი და ზურმუხტისფერი წრეები აციმციმდა და სამრეცხაოს რეკლამის ნათელი კონტურებიც აინთო. ფანჯარაში შემოსული დაბინდული შუქი კედლებს და ჭერს ეფინებოდა. შუქი ცახცახებდა, და უცებ მომეჩვენა, რომ ოთახი დაკარგული, პატარა მყვინთავი გუმბათია ზღვის ფსკერზე, და მის გარშემო წვიმის ტალღები ხმაურობდნენ და შორიდან, შორიდან ოდნავ აღწევდა ჭრელი სამყაროს ათინათი.

საღამოს რვა იყო. გარედან პიპინი მოისმა.

— გოტფრიდი მოვიდა თავისი ტაქსით, — ვთქვი მე, — საჭმელად მივყავართ.

ავდექი, ფანჯარასთან მივედი და ჩავძახე, მოვდივართ-მეთქი. მერე პატარა მაგიდის ნათურა ავანთე და ჩემს ოთახში გავედი, სრულიად უცხოდ მეჩვენა. რომის ბოთლი გადმოვიღე და ერთი ჭიქა უცებ დავლიე. მერე სავარძელში ჩავჯექი და შპალერს მივაჩერდი, ცოტა ხანში ისევ ავდექი და პირსაბანთან მივედი, რომ თმა დამევარცხნა. ეს საქმე უმალვე დამავიწყდა, რადგან უცებ სარკეში საკუთარი სახე დავინახე. ცივად და ცნობისმოყვარედ დავათვალიერე. ტუჩება გავწელე და ანარეკლს გავუღიმე. იმანაც გამიღიმა, დაძაბულმა და ფერწასულმა.

— შენა, — ვუთხარი უხმოდ.

მერე პატთან დავბრუნდი.

— წავიდეთ, შე ძველო? — ვკითხე მე.

— კი, — მითხრა მან, — მაგრამ მანამდე ერთხელაც შევალ შენს ოთახში — რად გინდა? — ვკითხე, — ძველი ხუხულა...

— შენ აქ დარჩი, — მითხრა მან, — ახლავე დავბრუნდები. — ერთხანს — ველოდე, მერე მეც გავედი. შუა ოთახში იდგა და ჩემს დანახვაზე შეკრთა. ასეთი არასოდეს მენახა. მთლიანად დაცლილი იყო წამი და, ისევ მიღიმოდა.

— წამო, — მითხრა მან, — წავედით.

სამზარეულოსთან ქალბატონი ცალევსკი გველოდა. ნაცრისფერი კულულები ერხეოდა, და შავ აბრეშუმის კაბაზე გულსაბნევი ეკეთა, ცხონებული ცალევსკის გამოსახულებით.

გამაგრდი! — წავჩურჩულე პატს, — გადახვევას გიპირებს!

წამიც და, პატი უშველებელ მკერდში ჩაიკარგა. ქალბატონ ცალევსკის მძლავრი სახე უთრთოდა. წამის ამბავი იყო, თორემ პატი დაიხრჩობოდა — ატირებული ქალბატონი ცალევსკის თვალები სიფონის დარი წნევით ასხამდნენ ცრემლებს.

— მაპატიეთ, — ვუთხარი მე, — ძალიან გვეჩქარება დრო არ იცდის — დრო არ იცდის? — ქალბატონმა ცალევსკიმ გამანადგურებელი მზერა მტყორცნა, — მატარებელი მხოლოდ ორ საათში გადის! ამ დროს ალბათ საწყალ ბავშვს დათრობას უპირებთ!

პატს გაეცინა.

— არა, ქალბატონო ცალევსკი. სხვებსაც გვინდა დავემშვიდობოთ დედა ცალევსკიმ თავი ურწმუნოდ გააქნია.

— თქვენ ეს ყმაწვილი აუწონავი ოქრო გგონიათ, ქალბატონო ჰოლმან. არადა დიდი-დიდი, ოქროს ბოთლი თუ იქნება.

— მშვენიერი სახეა, — ვთქვი მე.

— შვილო... — ქალბატონ ცალევსკის ისევ გული აუჩუყდა — მალე დაბრუნდით! თქვენი ოთახი სულ დაგელოდებათ. შიგ თავად იმპერატორმაც რომ იცხოვროს, თქვენი ჩამოსვლისთვის გარეთ გავაბრძანებ.

— დიდი მადლობა, ქალბატონო ცალევსკი, — უთხრა პატმა, — ყველაფრისთვის მადლობელი ვარ., მკითხაობისთვისაც, ყველაფერს დავიმახსოვრებ.

— ძალიან კარგი და კარგად დაისვენეთ და გამომჯობინდით!

— ჰო, — მიუგო პატმა, — ვეცდები. ნახვამდის, ქალბატონო ცალევსკი ნახვამდის! ფრიდა!

წამოვედით. ჩვენ ზურგსუკან დერეფნის კარი გაჯახუნდა სადარბაზოში ნახევრად ბნელოდა; ერთი-ორი ნათურა გადამწვარიყო. პატი ჩუმად და რბილად, მდუმარედ ჩადიოდა კიბეზე. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ შვებულება დამთავრდა და ახლა, ნაცრისფერ რიჟრაჟში, სადგურში მივდიოდით, ფრონტზე წასასვლელად.

ლენცმა ტაქსის კარი გააღო.

— ფრთხილად! — თქვა მან.

მანქანა ვარდებით იყო სავსე. უკანა სკამებზე თეთრი და წითელი ყვავილების ორი უზარმაზარი თაიგული იდო. უცებ ვიცანი, საიდანაც მოიტანა — ტაძრის ბაღიდან.

— ესენიღა იყო დარჩენილი, — მომახსენა თავმომწონედ, — ძვირად დამიჯდა. მღვდელთან კარგა ხანს მომიწია კამათი.

— ცისფერი, ბავშვური თვალები ჰქონდა? — ვკითხე მე.

— მაშ, შენ იყავი, ძმაო? — შესძახა ლენცმა, — ესე იგი, შენზე მიყვებოდა. ძალიან გაწბილდა, როცა მიხვდა, ჯვარცმასთან ლოცვა რას მოასწავებდა. უკვე სჯეროდა, რომ მამაკაცებს კვლავ სათნოება მოეძალათ.

— ყვავილებიანად გამოგიშვა? — ვკითხე მე.

— ველაპარაკე. ბოლოს დაკრეფაშიც კი დამეხმარა.

პატმა გაიცინა.

— მართლა?

გოტფრიდმა ჩაიღიმა.

— რასაკვირველია. საარაკო სანახაობა იყო, სულიერი მამა ბინდში რომ ხტუნაობდა, მაღალი ტოტების მოსაზიდად, სპორტული სულისკვეთებით. მომიყვა, რომ უწინ, გიმნაზიაში, კარგი ფეხბურთელი იყო. თუ არ ვცდები, მარჯვენა ინსაიდი, — მღვდელს ქურდობისკენ უბიძგე, — ვთქვი მე, — ეს რამდენიმე საუკუნე ჯოჯოხეთი ღირს. კი მაგრამ, ოტო რა იქნა?

— უკვე ალფონსთანაა ხომ ალფონსთან მივდივართ?

— რა თქმა უნდა, — უთხრა პატმა.

— მაშ, წავედით?

ალფონსთან ფარშირებული კურდღელი, წითელი კომბოსტო და მოთუშული ვაშლი გველოდა., ბოლოს გრამოფონით დონის კაზაკების გუნდსაც მოვუსმინეთ. ძალიან წყნარი სიმღერა იყო, გუნდი მხოლოდ მოგუდული ორღანივით ისმოდა, შორიდან, და ეული, წკრიალა ხმა ზედ დაჰფარფატებდა. წარმოვიდგინე, რომ კარი უხმოდ გაიღო და მოხუცი, დაღლილი კაცი შემოვიდა, მაგიდას მდუმარედ მიუჯდა და ახლა თავისი ყმაწვილკაცობის სიმღერებს უგდებდა ყურს.

— ბავშვებო, — თქვა ალფონსმა, როცა გუნდი მიჩუმდა, მიჩუმდა ღა ბოლოს ოხვრასავით გაქრა, — ბავშვებო, იცით, რას ვფიქრობ ხოლმე, როცა ამას ვუსმენ? იპრი მახსენდება, 1917, გოტფრიდ, მაშინ, მარტში, ბერტელსმანთან ერთად გატარებული საღამო...

— ჰო, — თქვა ლენცმა, — მახსოვს, ალფონს. ის საღამო იყო, ალუბლის ხეებით...

ალფონსმა თავი დაუქნია.

კიოსტერი წამოდგა.

— მე მგონი, დროა. — საათს დახედა, — ჰო, უნდა წავიდეთ.

— თითო კონიაკიც, — თქვა ალფონსმა, — ნამდვილი ნაპოლეონი საგანგებოდ თქვენთვის წამოვიღე!

კონიაკი დავლიეთ და წამოვიშალეთ.

— ნახვამდის, ალფონს! — უთხრა პატმა, — ძალიან მიყვარდა აქ ყოფნა. — ხელი გაუწოდა.

ალფონსი გაწითლდა. პატის ხელი თათებშუა მოიმწყვდია.

— მოკლედ, თუ რამეა... ოღონდ მითხარით. — დარცხვენილი

უყურებდა, — ჩვენიანი ხართ. ვერც ვიფიქრებდი, რომ ქალი ჩვენიანი გახდებოდა. — გმადლობთ, — თქვა პატმა, — გმადლობთ, ალფონს. უკეთესს ვერაფერს მეტყოდით. ნახვამდის, კარგად იყავით.

— ნახვამდის! მალე ნახვამდე!

კიოსტერმა და ლენცმა სადგურში მიგვიყვანეს. სახლის წინ წუთით გავჩერდით და ძაღლი ჩამოვიყვანე ჩემოდნები იუპს უკვე სადგურში გაეტანა.

დროულად მივედით. როგორც კი ჩავსხედით, მატარებელი დაიძრა. როცა ლოკომოტივმა ბიძგი მისცა, გოტფრიდმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და შეხვეული ბოთლი მომაწოდა.

— აი, რობი, გამომართვი. გზაში გამოგადგება.

— გმადლობ, — ვუთხარი მე, — საღამოს თქვენ დალიეთ, ბიჭებო. მე უკვე მაქვს რაღაცა.

გამომართვი, — გამიმეორა ლენცმა, — მაინც არ გეყოფა. — დაძრულ მატარებელს მოჰყვებოდა და ბოთლი მესროლა, — ნახვამდის, პატ! — დაუძახა ლენცმა, — აქ რომ გავკოტრდებით, ყველანი თქვენთან ამოვალთ, ოტო მეთხილამურე იქნება, მე — ცეკვის მასწავლებელი, რობი — პიანისტი. მერე თქვენთან ერთად ჯგუფს შევკრავთ და სასტუმროდან სასტუმროში ვივლით!

მატარებელმა სვლას უმატა და გოტფრიდი ჩამოიტოვა. პატი ფანჯარასთან დადგა და ხელს იქნევდა, სანამ სადგური მოსახვევს არ მიეფარა. მერე მომიტრიალდა. ფერმკრთალი იყო და თვალები უბრჭყვიალებდა. მოვეხვიე. — მოდი, ვუთხარი, — ცოტა დავლიოთ. თავი მაგრად გეჭირა.

— სულაც არ ვიყავი მაგრად, — მომიგო და გაცინებას შეეცადა. — არც მე, — ვუთხარი პასუხად, — ამიტომაც უნდა დავლიოთ.

ბოთლი გავხსენი და კონიაკის ჭიქა მივაწოდე.

— კარგია? — ვკითხე.

თავი დამიქნია და მხარზე მომეყრდნო.

— აჰ, საყვარელო, ნეტა, რა იქნება?

— ნუ სტირი, — ვუთხარი მე, — ისეთი ამაყი ვიყავი, რომ არ გიტირია, მთელი დღე არ გიტირია.

— სულაც არ ვტირი, — მომიგო მან, — თავი გააქნია და თხელ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— მოდი, დალიე, — ვუთხარი და ხელი მაგრად მოვხვიე, — პირველი წუთი ჭირს, მერე მოგეშვება.

თავი დამიქნია.

— ჰო, რობი. შენ ნუ იდარდებ. ახლავე გამივლის, სჯობს, არც მიყურო. ერთი-ორი წუთით მარტო დამტოვე, უცებ მოვერევი — რა მოგივიდა? მთელი დღე როგორ მამაცურად იყავი! ახლა კი იტირე, რამდენიც გინდა.

— სულაც არ ვიყავი მამაცურად უბრალოდ, ვერ მატყობდი.

— შეიძლება, — ვთქვი მე, — მართლა მამაცი ყოფილხარ გაღიმებას შეეცადა.

— ეგ რატომ, რობი?

— იმიტომ, რომ არ დანებდი, — თმაზე ხელი გადავუსვი, — სანამ არ ნებდები, ბედისწერაზე მეტი ხარ.

— ჩემს შემთხვევაში ეს სიმამაცე არაა, საყვარელო, — ჩაილაპარაკა მან, — უბრალოდ, შიშია. დიდი, უკანასკნელი შიშის შესაბრალისი შიში. — მთელი სიმამაცეც ესაა, პატ.

მომეყრდნო.

— აჰ, რობი, შენ არ იცი, რა არის შიში.

— ვიცი, — ვუთხარი მე.

კარი გაიღო. გამცილებელმა ბილეთები მოგვთხოვა.

— საძილე ვაგონის ბილეთი ქალბატონისაა? — გვკითხა მან.

თავი დაუქნიე.

— მაშინ საძილე ვაგონში უნდა გაბრძანდეთ, — მიმართა პატს — ეს ბილეთი სხვა ვაგონებში არ ჭრის.

— კარგი.

— და ძაღლი საბარგულში უნდა იყოს, — აგვიხსნა მან, — ძაღლების განყოფილება საბარგულშია.

— კარგი, — ვუთხარი, — სადაა საძილე ვაგონი?

— მარჯვნივ მესამე. საბარგული სულ წინაა.

წავიდა. მკერდზე პატარა ნათურა უქანავებდა. თითქოს მაღაროში მიაბიჯებდა.

— აბა, გადავიდეთ, პატ, — ვუთხარი მე, — ბილის შენთან შემოვაპარებ. საბარგულში არაფერი ესაქმება.

ჩემთვის საძილე ვაგონში ბილეთი ვერ ვიშოვე. სადმე კუთხეშიც გავათენებდი ღამეს, არაფერი მიშავდა. თან, უფრო იაფიც იყო.

იუპს პატის ბარგი პირდაპირ საძილე ვაგონში მიეტანა. კოხტა, პატარა, მაჰაგონით გაწყობილი კუპე იყო. პატს ქვედა ლოგინი ერგო გამცილებელს ვკითხე, ზემოთ თუ იყო დაკავებული.

— დიახ, — მითხრა მან, — ფრანკფურტიდან.

— ფრანკფურტში როდის ვიქნები?

— სამის ნახევარზე.

ფეხის ქირა მივეცი და ის თავის კუთხეს დაუბრუნდა.

— ნახევარ საათში ძაღლთან ერთად დაგიბრუნდები, — ვუთხარი პატს — ეგ როგორ იქნება? გამცილებელი ხომ ვაგონში რჩება?.

— მოვახერხებთ. ოღონდ, კარი არ დაკეტო.

დავბრუნდი, გამცილებელს ჩავუარე. თვალი გამაყოლა. შემდეგ სადგურში ჩავედი, ბაქანზე საძილე ვაგონს ჩავუარე და მომდევნოსთან დავდექი. აქ დაველოდე, სანამ გამცილებელი მემანქანესთან საბაასოდ ჩამოვიდოდა. მერე ისევ ავედი, ვაგონი საძილე განყოფილებამდე გავიარე და პატთან ისე მივაღწიე, არავის დავუნახივარ.

რბილი, თეთრი ხალათი ეცვა და ულამაზესი იყო. თვალები უბრჭყვიალებდა.

— სულ აღარ მეფიქრება, რობი — მითხრა მან.

— ძალიან კარგი. დაწოლა არ გინდა? კაი სივიწროვეა. ჩამოგიჯდები. — კი, მაგრამ... — შეიშმუშნა და ზედა თაროზე მიმითითა, — უცებ კარი რომ გაიღოს და ზნედაცემული გოგოების გაერთიანების ხელმძღვანელი რომ დაგვადგეს...

— ფრანკფურტამდე შორია, — ვუთხარი მე, — არ იდარდო, არ დამეძინება. ფრანკფურტში შესვლამდე ჩემს კუპეში დავბრუნდი. კუთხეში, ფანჯარასთან დავჯექი და დაძინებას შევეცადე. მაგრამ ფრანკფურტში კაცი ამოვიდა, სელაპის ულვაშებით, მაშინვე ჩემოდანი გახსნა და ჭამა დაიწყო. ისე გამალებით ჭამდა, რომ ვერ დავიძინე. ლამის ერთი საათი ჭამდა. მერე სელაპი ლოგინში ჩაწვა და ისეთი კონცერტი დაიწყო, ჩემს დღეში არ მომესმინა. ეს უბრალოდ ხვრენა არ იყო. ეს იყო ყმუილი და ოხვრა, ალაგ-ალაგ კვნესითა და გრძელ-გრძელი ბუყბუყით. ისეთი მრავალფეროვანი იყო, ვერანაირი სისტემა ვერ მივუსადაგე საბედნიეროდ, კაცი ექვსის ნახევარზე ჩავიდა.

რომ გავიღვიძე, გარეთ ყველაფერი თეთრი იყო. დიდი ფანტელები ცვიოდა და ვაგონში უცნაური, უჩვეულო ბინდი იდგა. უკვე მთაში ვიყავით. ცხრა სრულდებოდა. გავიზმორე და პირის დასაბანად და გასაპარსად წავედი. რომ დავბრუნდი, პატი ვაგონში დამხვდა. გამოძინებული ჩანდა. — კარგად გეძინა? — ვკითხე მე.

თავი დამიქნია.

— ბებერი მჩხიბავი როგორი იყო?

— ნორჩი და მშვენიერი, ჰელგა გუტმანი ჰქვია და ისიც ჩემს სანატორიუმში მოდის.

— მართლა?

— კი, რობი, აი, შენ კი ცუდად გეძინა, გეტყობა კარგად უნდა ისაუზმო — ყავა, — ვთქვი მე. — ყავა და ცოტა შერი.

— ვაგონ-რესტორანში გავემართეთ. უცებ კარგ გუნებაზე დავ-

დექი. ყველაფერი ისე საშინლად არ მეჩვენებოდა, როგორც გასულ საღამოს. ჰელგა გუტმანი უკვე იქ იჯდა. თხელი, ცოცხალი გოგო იყო, სამხრეთელს ჰგავდა.

— უცნაურია, — ვთქვი მე, სანატორიუმი როგორ დაემთხვა.

— სულაც არაა უცნაური, — მომიგო მან.

შევხედე. გაიცინა.

— ამ დროს ხომ გადამფრენი ჩიტები ისევ იკრიბებიან ხოლმე. იქ... — რესტორნის კუთხისკენ მიმითითა, — მთელი ის მაგიდაც იქ მოდის — საიდან იცით? — ვკითხე მე.

— გასული წლიდან ყველას ვიცნობ. იქ, ზემოთ ხომ ყველა იცნობს ერთმანეთს.

მიმტანმა ყავა მოიტანა.

— ერთი დიდი შერიც გამომიყოლეთ, — ვუთხარი მე.

რამე უნდა დამელია. უცებ ყველაფერი გაიოლდა. ხალხი იჯდა და სანატორიუმში მიემგზავრებოდა, მეორედაც კი, და მათთვის ეს გასეირნება იყო, მეტი არაფერი. ამდენი შიში სისულელეა. პატი დაბრუნდება, როგორც ყველა ეს ადამიანი დაბრუნდა. იმაზე არ მიფიქრია, რომ ეს ხალხი კვლავ იქით მიდიოდა — იმის ცოდნაც კმაროდა, რომ დაბრუნდებოდა და კიდევ ერთი წელი გვექნებოდა. ამ ერთ წელიწადში — უამრავი რამ შეიძლება მოხდეს. ჩვენმა წარსულმა მოკლევადიანი ფიქრი გვასწავლა.

გვიან ნაშუადღევს ჩავედით გამოიდარა, თოვლიან ველებს მზე ოქროსფრად დაჰნათოდა და ცა ისეთი ლურჯი იყო, როგორიც მრავალი კვირაა, აღარ მენახა. სადგურში უამრავი ხალხი იცდიდა. ჩამოსულებს ესალმებოდნენ, ხელებს იქნევდნენ, და მატარებლიდან ჩამოსულებიც ხელს იქნევდნენ. ჰელგა გუტმანს მოცინარი, ქერა ქალი და ღია ფერის გოლფებში გამოწყობილი ორი კაცი დახვდა. ჰელგა ღელავდა, ცმუკავდა, თითქოს დიდი ხანი შინ არ ყოფილიყო და ახლა დაბრუნდა.

— ნახვამდის, ზემოთ შევხვდებით! — მოგვაძახა და მეგობრებთან ერთად მარხილში ჩაჯდა.

ხალხი მალე დაიშალა და რამდენიმე წუთში ბაქანზე ჩვენღა დავრჩით. მტვირთავი მოგვადგა.

— რომელი სასტუმრო? — გვკითხა მან.

— სანატორიუმი ვალდფრიდენი, — მივუგე მე.

თავი დამიქნია და მემარხილეს უხმო. ჩემოდნები ცისფერ მარხილზე დაალაგეს, რომელშიც ორი თეთრი ცხენი იყო ჩაბმული. ცხენებს თავს ჭრელი ბუმბულები უმშვენებდათ, სუნთქვისას ორთქლი სადაფისფერი ღრუბელივით ამოსდიოდათ.

ჩავსხედით.

— საბაგიროსთან მიგიყვანოთ თუ მარხილით ახვალთ? — გვკითხა მემარხილემ.

— მარხილით რამდენი დაგვჭირდება?

— ნახევარი საათი.

— მაშინ, მარხილით იყოს.

მემარხილემ ენა დაატკაცუნა და დავიძარით. სოფლიდან გავედით და ზემოთ ავუხვიეთ. სანატორიუმი სოფლის თავზე, ბორცვზე იდგა. გაშლილი, თეთრი შენობა იყო, ფანჯრების გრძელი მწკრივით. ყოველი ფანჯრის წინ აივანი იყო. სახურავზე სუსტი ქარი დროშას აფრიალებდა. ველოდი, რომ საავადმყოფოსავით იქნებოდა მოწყობილი, მაგრამ უფრო სასტუმროს ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, პირველი სართული ასეთი იყო. შემოსასვლელში ბუხარი გიზგიზებდა, და პატარა მაგიდებზე ჩაის სუფრები იყო გაწყობილი. მისაღებში გამოვცხადდით. მოსამსახურემ ჩვენი ბარგი შემოზიდა და ხანშიშესულმა ქალმა მოგვახსენა, რომ პატის ოთახი 79-ე იყო. ვკითხე, რამდენიმე დღით ოთახის დაქირავება თუ შემეძლო. თავი გააქნია. — სანატორიუმში არა. შეიძლება, ფლიგელში იყოს.

— ფლიგელი სადაა?

— აქვე.

— კარგი, — ვუთხარი მე, — მაშინ იქ ერთი ოთახი მომეცით და ჩემი ბარგი იქ მიატანინეთ.

უხმაურო ლიფტით მეორე სართულზე ავედით. ზემოთ მართლა საავადმყოფოსავით იყო. ძალიან კომფორტული, მაგრამ მაინც საავადმყოფო. თეთრი დერეფნები, თეთრი კარები, ყველაფერი ბრწყინავდა — მინა, — ნიკელი და სისუფთავე. უფროსი მედდა შემოგვეგება — ქალბატონი ჰოლმანი?

— დიახ, — უთხრა პატმა, — 79-ე ოთახი, არა?

უფროსმა მედდამ თავი დაუქნია, წინ გაგვიძღვა და ოთახი გააღო. — აი, თქვენი ოთახი.

ნათელი, საშუალო ზომის ოთახი იყო, დიდი ფანჯრიდან მზე ანათებდა. მაგიდაზე ყვითელი და წითელი ასტრების თაიგული იდგა და გარეთ თოვლიანი ველები ბრჭყვიალებდა, რომელშიც სოფელი ისე იყო გახვეული, როგორც დიდ, ფუმფულა საბანში.

— მოგწონს? — ვკითხე პატს.

წამით შემომხედა.

— კი, — მითხრა მერე.

მოსამსახურემ ჩემოდნები მოიტანა.

— გამოკვლევაზე როდის უნდა მივიდე? — ჰკითხა პატმა მედდას. — ხვალ, დილით. აჯობებს თუ დღეს ადრე დაიძინებთ რომ დასვენებული იყოთ.

პატმა პალტო გაიხადა და თეთრ ლოგინზე დადო, რომლის თავზეც — ახალი ტემპერატურული მრუდი ეკიდა.

— ოთახში ტელეფონი არაა? — ვიკითხე მე.

— გაყვანილია, — თქვა მედდამ, — დადგმა შეიძლება.

— კიდევ რამე მევალება? — ჰკითხა პატმა მედდამ თავი გააქნია.

— დღეს არა. ხვალ, გამოკვლევის მერე, ყველაფერს დაგიწესებენ გამოკვლევა ათზეა. მოგაკითხავთ.

— გმადლობთ, დაო, — უთხრა პატმა.

მედდა წავიდა. მოსამსახურე ჯერაც კართან იცდიდა. ფეხის ქირა მივეცი და ისიც წავიდა. უცებ ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. პატი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იხედებოდა. გარეთ ბრჭყვიალის ფონზე თავი სულ შავად მოუჩანდა.

დაიღალე? — ვკითხე მე.

მოტრიალდა.

— არა.

— დაღლილს ჰგავხარ, — ვუთხარი მე.

— ეს სხვა დაღლაა, რობი. მაგრამ ამას კიდევ მოვასწრებ — გინდა, გამოიცვალე? — ვკითხე მე, — თუ ჯერ ერთი საათით ჩავიდეთ? მე მგონი, აჯობებს, თუ ერთხელაც ჩავალთ.

— ჰო, — თქვა მან, — აჯობებს.

უხმაურო ლიფტით ჩავედით და შემოსასვლელში ერთ-ერთ პატარა მაგიდას მივუსხედით. ცოტა ხანში ჰელგა გუტმანი და მისი მეგობრებიც მოვიდნენ. ჩვენთან დასხდნენ. ჰელგა გუტმანი აღგზნებული და ცოტა ზედმეტად მხიარული იყო, მაგრამ მე მისი აქ ყოფნა მიხაროდა, მიხაროდა, რომ ვიღაცებს უკვე იცნობდა. პირველი დღე ყოველთვის ძნელად მიდის ხოლმე.

22

ერთი კვირის მერე წამოვედი. სადგურიდან პირდაპირ სახელოსნოში გავეშურე საღამოს ჩავედი, ჯერაც წვიმდა და მეჩვენებოდა, რომ პატის გამგზავრებიდან ერთი წელი იყო გასული.

კიოსტერი და ლენცი ოთახში ისხდნენ.

— კარგ დროს მოხვედი, — მითხრა გოტფრიდმა.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— აცადე ჯერ, შემოვიდეს, — უთხრა კიოსტერმა.

მივუჯექი.

— პატი როგორაა? — მკითხა ოტომ.

— კარგად. რამდენადაც შესაძლებელია, კარგად მაგრამ ჯერ მითხარით, რა მოხდა.

საქმე სტატზს ეხებოდა. შევაკეთეთ და ორი კვირის წინ ჩავაბარეთ. გუშინ კიოსტერი ფულის წამოსაღებად მისულა, მაგრამ ამ დროს მანქანის მფლობელი გაკოტრებულა და მანქანა აუქციონზე გასატანად ჩამოურთმევიათ.

— მერე, რა მოხდა, — ვთქვი მე, — ჩვენ ხომ საქმე დაზღვევასთან გვაქვს.

— ჩვენც ასე გვეგონა, — ამიხსნა მშრალად ლენცმა, — მაგრამ მანქანა დაზღვეული არაა.

— ჯანდაბა! მართლა, ოტო?

კიოსტერმა თავი დამიქნია.

— დღეს გავიგე.

— რას ვიფიქრებდით! — ვთქვი მე.

ლენცს სიცილი აუტყდა.

— რა სისულელეა!

— რა ვქნათ, ოტო? — ვიკითხე მე.

— ჩვენი მოთხოვნები აუქციონერს წარვუდგინეთ. მაგრამ, ვშიშობ, ბევრი არაფერი გამოგვივა.

— სახელოსნოს დავხურავთ, აი, რა გამოგვივა, — თქვა გოტფრიდმა, — გადასახადების გამო საფინანსო უწყება ისედაც გვერჩის.

— შეიძლება, — კვერი დაუკრა კიოსტერმა.

ლენცი ადგა.

— მძიმე ვითარებაში ჯარისკაცს სიმშვიდე და თავშეკავება შვენის. — კარადისკენ წავიდა და კონიაკი გამოიღო.

— ამ კონიაკით გმირულადაც კი დავდგებით, — ვთქვი მე, — თუ არა ვცდები, ეს ჩვენი უკანასკნელი კარგი ბოთლია.

— გმირულად დგომა, ყმაწვილო, — დამარიგა ლენცმა, — მძიმე დროის საქმეა. ჩვენ არეულ დროში ვცხოვრობთ. აქ იუმორის გარდა არაფერი ჭრის. — ჭიქა დაცალა, — კარგი, ჩავჯდები ახლა ჩვენს ბებერ როსინანტში და ცოტა ხურდას გავაკეთებ.

ბნელი ეზო გადაჭრა და ტაქსით წავიდა. მე და კიოსტერი კიდევ ერთხანს ვისხედით.

— რა ჭირი გვჭირს, ოტო, — ვთქვი მე, — ამ ბოლო დროს რაღაც ჭირი გვეტაკა.

— ვისწავლე, რომ აუცილებელზე მეტი არ უნდა ვიფიქრო, — მომიგო კიოსტერმა, — ისედაც სავსებით საკმარისია. ზემოთ რა

ხდებოდა? — ავადმყოფობა რომ არა, სამოთხეა. თოვლი და მზე.

თავი წამოწია.

— თოვლი და მზე. ცოტა დაუჯერებლად ჟღერს, არა?

— ჰო. დასწყევლოს ღმერთმა დაუჯერებელია. იქ ყველაფერი დაუჯერებელია.

შემომხედა.

— საღამოს რას აპირებ?

მხრები ავიჩეჩე.

— ჯერ ჩემოდანს სახლში მივიტან.

— მე ერთი საათით გასასვლელი ვარ. მერე ბარში მოხვალ?

— აუცილებლად, ვუთხარი მე, — აბა, რა ვაკეთო?

სადგურიდან ჩემოდანი წამოვიღე და სახლში მივიტანე. კარი შეძლებისდაგვარად ჩუმად გავაღე, არანაირი სურვილი არ მქონდა, ვინმესთან მელაპარაკა. მოვახერხე და ისე გავიარე, რომ ქალბატონ ცალევსკის ხელში არ ჩავუვარდი. ერთხანს ოთახში ვიჯექი. მაგიდაზე წერილები და გაზეთები ეწყო. წერილები სულ ნაბეჭდი იყო. არავინ მყავდა, რომ მოეწერა. „ახლა მეყოლება“, ვიფიქრე მე.

ცოტა ხანში ავდექი, დავიბანე და ტანსაცმელი გამოვიცვალე. ჩემოდანი არ ამომილაგებია. მინდოდა, რომ მერე, შინ მარტოდ დაბრუნებულს, რამე საქმე მქონოდა. არც პატის ოთახში შევსულვარ, თუმცა ვიცოდი, რომ იქ არავინ ცხოვრობდა. დერეფანი ფეხაკრეფით გავიარე და გარეთ გასულმა ამოვისუნთქე.

კაფე „ინტერნაციონალში“ წავედი, რამე რომ მეჭამა. მიმტანი ალოიზი კარში შემეგება.

— დაბრუნდით?

— ჰო, — ვუთხარი მე, — საბოლოოდ ხომ ყოველთვის ვბრუნდებით. როზა და გოგოები ერთ მაგიდას უსხდნენ. თითქმის ყველა აქ იყო — პირველსა და მეორე შემოვლას შორის შესვენებაზე.

— ღმერთო ჩემო, რობერტი! — თქვა როზამ, — იშვიათი სტუმარი. — ბევრს ნურაფერს მკითხავ, — ვუთხარი მე, — მთავარია, რომ ისევ აქ ვარ.

— რას ამბობ? ხშირად მოხვალ ხოლმე?

— ალბათ.

— შენ გულს ნუ გაიტეხ, — მითხრა და შემომხედა — ყველაფერი გაივლის. მართალი ხარ, — ვუთხარი მე, — ეს ამქვეყნად ყველაზე ნაღდი ჭეშმარიტებაა.

— აბა, რა, — მომიგო როზამ — რამე რომ იყოს, ლილი ამაზე სიმღერასაც იმღერებს.

— ლილი? — ახლაღა დავინახე, რომ როზას გვერდით იჯდა, — შენ აქ რას აკეთებ? შენ ხომ გათხოვილი ხარ და სახლში უნდა იჯდე, იმ შენს საინსტალაციო სახელოსნოში.

ლილი არ გამეპასუხა.

— საინსტალაციო სახელოსნო, — ჩაიფრუტუნა როზამ — სანამ თავისი ფული ჰქონდა, ყველაფერი კარგად იყო: ჩემო ლილი — და ჩემო ლილი, რაც იყო, იყო, რა მნიშვნელობა აქვს... ზუსტად ნახევარი წელი გაგრძელდა ეს ბედნიერება. მერე, ბოლო ფენინგი რომ გამოსწოვა, ნატიფ ბატონს, მისი ფულით დახვეწილს, უცებ ბოზი ცოლი აღარ ეკადრებოდა. — როზამ დაიქსუტუნა, — ცხადია, უცებ აღმოჩნდა, რომ არაფერი არ იცოდა! მისი წარსულით გაოგნებული იყო! ისე გაოგნდა, რომ განქორწინების მიზეზი გაჩნდა. ფული, ცხადია, შეიჭამა. — რამდენი იყო? — ვკითხე მე.

— ოთხი ათასი მარკა, ხურდა არ გეგონოს! წარმოგიდგენია, რამდენ ღორთან მოუწია ამისთვის დაწოლა?

— ოთხი ათასი მარკა, — ვთქვი მე, — ისევ. როგორც ჩანს დღეს ჰაერში ტრიალებს.

როზამ ვერ გამიგო.

— ამას სჯობს, რამე დაუკარი, — მითხრა მან, — რომ კარგ გუნებაზე დავდგეთ.

— კარგი... თან ისევ ყველანი აქ ვართ.

პიანინოს მივუჯექი და ერთი-ორი შლაგერი დავუკარი. სანამ ვუკრავდი, ვფიქრობდი, რომ პატის ფული სანატორიუმს იანვრის ბოლომდე თუ ეყოფოდა და ახლა უწინდელზე მეტი უნდა გამეკეთებინა. კლავიშებს მექანიკურად ვეხებოდი და ჩემ გვერდით, დივანზე, როზას ვხედავდი, რომელიც თავდავიწყებით მისმენდა, და მის გვერდით — ლილის ფერმკრთალ, წარმოუდგენელი იმედგაცრუებისგან სრულიად გაქვავებულ სახეს, ცივსა და უსიცოცხლოს, უკვე გარდაცვლილისას.

ყვირილმა გამომაფხიზლა. როზა ოცნებებიდან გამოერკვა. მაგიდის უკან იდგა, ქუდი გვერდზე მოექცა, თვალები გაუფართოვდა, და ნელა, ისე, რომ როზას არც შეუმჩნევია, წაქცეული ჭიქიდან ყავა მაგიდას გაჰყვა მის გახსნილ ხელჩანთაში ჩაიღვარა.

— არტურ! — ლუღლუღებდა როზა, — არტურ, მართლა შენა ხარ?

დაკვრა შევწყვიტე. კაცი შემოსულიყო, გამხდარი, მოუხეშავი, ზე მოქცეული ქვაბურა ქუდით. ყვითელი, არაჯანსაღი ფერი ედო, დიდი ცხვირი და მეტისმეტად პატარა, კვერცხივით თავი ჰქონდა.

— არტურ, — კვლავ ლუღლუღებდა როზა, — შენ ხარ?

— აბა, ვინ იქნება? — შეუღრინა არტურმა.

— ღმერთო ჩემო, საიდან მოხვედი?

— საიდან უნდა მოვსულიყავი? ქუჩიდან, კარის გავლით.

იმის კვალობაზე, რომ ამდენი ხნის მერე დაბრუნდა, არტური მაინცდამაინც სათნოდ ვერ იქცეოდა. ცნობისმოყვარედ ვათვალიერებდი.

მაშ, ეს ყოფილა როზას ლეგენდარული კერპი, მისი შვილის მამა. ციხიდან ახალგამოსულს ჰგავდა. ვერაფერი შევატყვე საიმისო, როზას გიჟურად ჰყვარებოდა. მაგრამ იქნებ სწორედ ასე იყო. უცნაურია, რაზე ვარდებოდნენ ეს ალმასივით მაგარი მამა-

კაცების მცოდნე ქალები. არტურს არავისთვის არაფერი უკითხავს, როზას სიახლოვეს მაგიდაზე მდგარ სავსე ლუდის კათხას ხელი დაავლო და გამოცალა. წვრილ, ძარღვიან ყელზე ყანყრატო ლიფტივით მოძრაობდა: ზემოთ — ქვემოთ. როზა გაბრწყინებული შესცქეროდა.

— ერთსაც დალევ? — ჰკითხა მან.

— რა თქმა უნდა, — ჩაიბურტყუნა არტურმა, — ოღონდ, დიდს, — ალოიზ! — ბედნიერმა როზამ მიმტანს ხელი დაუქნია, — ერთი ლუდიც უნდა!

— ვხედავ, — ალოიზი შეუდრეკელი იყო. ჩამოასხა.

— ჩვენი პატარა! არტურ, შენ ხომ პატარა ელვირა არც გინახავს! — შენა! — არტური პირველად გამოცოცხლდა. ხელი მკერდზე აიფარა. — ნუ შემიკიკინებ! ეგ სულ არ მეხება! მე მინდოდა, რომ ეგ ტიკინა მოგეშორებინა. მოიშორებდი კიდეც, მე რომ არ... — ცუდად დაფიქრდა, — ახლა კი, ცხადია, სულ ხარჯია.

— ასეც არაა, არტურ. თან გოგოა.

— ეგეც ფული ღირს — თქვა არტურმა და მეორე ლუდიც ჩაისხა — იქნებ ვინმე შერყეული, მდიდარი დედაკაცი გამოჩნდეს, ვინც ბავშვს აიყვანს. ცხადია, სათანადო ფასად. ეგ ერთადერთი გამოსავალია ფიქრებიდან გამოერკვა.

— ნაღდი ფული გაქვს?

როზამ თვინიერად აიღო თავისი ყავით დასვრილი ხელჩანთა — მხოლოდ ხუთი მარკაა, არტურ, მე რა ვიცოდი რომ მოხვიდოდი მაგრამ სახლში მეტი მაქვს.

— არტურმა ვერცხლის ფული კურტაკის ჯიბეში ფაშასავით ჩაისრიალა — ვერც ვერაფერს გააკეთებ, თუ ამ დივანზე გექნება უკანალი დადებული, — ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ.

— უკვე გავდივარ, არტურ. მაგრამ ჯერ ბევრი არაფერი ხდება. ვახშმის დროა.

— პატარა ჩიტის სკინტლიც სკინტლია, — აუხსნა არტურმა.

— მივდივარ.

— კაი... — არტურმა თავის ქუდს თითები დაჰკრა, — თორმეტისთვის გამოვივლი.

ქანაობით გავიდა. როზამ ნეტარი თვალი გააყოლა. იმას არც მოუხედავს და კარიც ღია დატოვა.

— აქლემი, — მიალანძღა ალოიზმა და კარი მიხურა როზამ ამაყად შემოგვხედა.

— ხომ არაჩვეულებრივია? ვერაფრით გატეხავ ნეტა მთელი ეს დრო სად იყო?

— კანზე არ ეტყობა? — უპასუხა ვალიმ, — ვირის აბანოში!

შენ მაგას არ იცნობ...

— სავსებით საკმარისი იყო, — მიუგო ვალიმ.

— შენ არ გესმის. — როზა წამოდგა, — ესაა ნამდვილი კაცი. ცინგლები კი არ სდის, აბა, წავედი. ჭკუით, ბავშვებო!

გაახალგაზრდავებული და ფრთაშესხმული გავიდა. როგორც იქნა, ისევ ჰყავს ვიღაცა, ვინც ფულს წაართმევს, გამოტყვრება და მერე ურტყამს. როზა ბედნიერი იყო, ნახევარ საათში დანარჩენებიც გავიდნენ მხოლოდ ლილი იჯდა, კვალავ გაქვავებული სახით. კიდევ რაღაცა. დავაჟღარუნე, მერე ბუტერბროტი შევჭამე და მეც წავედი. ლილისთან ერთად მარტო ყოფნას დიდხანს ვერ გავუძლებდი.

სველ, ბნელ ქუჩებში დავეხეტებოდი. სასაფლაოსთან ხსნის არმიის ქვედანაყოფი გამაგრებულიყო. ტრომბონებისა და საყვირების თანხლებით ზეციურ იერუსალიმს უმღეროდნენ. გავჩერდი. უცებ ვიგრძენი, რომ ვერ გავძლებდი, მარტო, პატის გარეშე. სასაფლაოს უფერულ ქვებს ვუყურებდი, საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ ერთი წლის წინ უფრო მარტოხელა ვიყავი, რომ მაშინ პატს საერთოდ არ ვიცნობდი და ახლა ხომ აქ მყავს, მერე რა, რომ ჩემთან არაა — მაგრამ არაფერი მეშველა. უცებ ყველაფერი

დამენგრა და აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს ჩემს ოთახში ავედი, იქნებ, პატის წერილი მომსვლოდა. სისულელე იყო, ჯერ ვერ მოვიდოდა, და არც არაფერი დამხვდებოდა, მაგრამ მაინც ავედი.

როცა ისევ წასვლა დავაპირე, კართან ორლოვი დამხვდა. გახსნილი პალტოს ქვეშ სმოკინგი ეცვა, სასტუმროში მიდიოდა, თავის საქმეზე, საცეკვაოდ. ვკითხე, ქალბატონ ჰასესგან ხომ არაფერი ისმის-მეთქი. არა, — თქვა მან, — ჯერ არ მოსულა. არც პოლიციაში ყოფილა. აჯობებს, თუ აღარ დაბრუნდება.

ქუჩას ერთად გავუყევით. კუთხეში ქვანახშირის ტომრებით დატვირთული მანქანა იდგა. მძღოლს ძრავსაფარი აწეული ჰქონდა და ძრავას უტრიალებდა. მერე სკამზე აცოცდა. სწორედ მაშინ, როცა ჩავუარეთ, დაქოქა და ერთი მაგარი გაზიც მისცა. ორლოვი შეკრთა. შევხედე. თოვლივით იყო გაფითრებული.

— ცუდად ხართ? — ვკითხე მე.

ფერმკრთალი ტუჩებით გამიღიმა და თავი გააქნია.

— არა... მაგრამ ზოგჯერ, მოულოდნელად თუ გავიგონე, შევკრთები ხოლმე. როცა მამაჩემი რუსეთში დახვრიტეს, გარეთ სატვირთო მანქანა ჰქონდათ დაქოქილი, რომ გასროლა არავის გაეგონა... მაინც გავიგონეთ.

ისევ გაიღიმა, თითქოს მოიბოდიშა.

— დედაჩემის დროს ამდენი არ უწვალიათ. ალიონზე, სარდაფში დახვრიტეს. მერე, ღამით, მე და ჩემმა ძმამ გაქცევა მოვახერხეთ, ბრილიანტები ჯერ კიდევ გვქონდა, მაგრამ ჩემი ძმა გზაში გაიყინა.

— მშობლები რატომ დაგიხვრიტეს? — ვკითხე მე.

— ომის დროს მამაჩემი კაზაკების პოლკის მეთაური იყო, აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობდნენ. იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. როგორც იტყვიან, თვლიდა, რომ სწორიც იყო. დედაჩემს ასე არ მიაჩნდა. — თქვენ?

ხელი დაღლილმა აიქნია.

— იმის მერე იმდენი რამე მოხდა....

— ჰო, — ვუთხარი, — ამდენს ვერ მოინელებ.

მის სამუშაო ადგილს, სასტუმროს მივადექით. ბიუიკიდან ქალბატონი გადმოვიდა, გახარებულმა შესძახა და ორლოვს ეცა. საკმაოდ მსუქანი და ელეგანტური იყო, ორმოცი წლის ქერა ქალის გადარეცხილი სახე ჰქონდა, რომელსაც არც საზრუნავი ჰქონდა რამე, არც საფიქრალი.

— უკაცრავად, — მითხრა ორლოვმა და შეუმჩნევლად გადმომხედა — საქმეა...

ქერათმიანის წინ ქედი მოიხარა და ხელზე აკოცა.

ბარში ვალენტინი კიოსტერი და ფერდინანდ გრაუ დამხვდნენ ლენცი მერე მოვიდოდა. მივუჯექი და ნახევარი ბოთლი რომი შევუკვეთე ჯერაც ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს.

ფერდინანდ გრაუ კუთხეში იჯდა, ფართო, მასიური ჩავარდნილი სახით და ძალიან ნათელი, ცისფერი თვალებით უკვე ყველაფერი ჰქონდა დალეული.

— რაო, პატარა რობი, — მხარზე ხელი დამკრა, — რა მოგივიდა? — არაფერი, ფერდინანდ, — ვუთხარი მე, — ყველაზე ცუდი სწორედ ესაა.

ერთხანს მათვალიერა.

— არაფერი? — თქვა მერე, — არაფერიო? ეგ ბევრია! არაფერი სარკეა, რომელშიც სამყარო ამოიცნობა — ბრავო! — შესძახა ლენცმა — საოცრად ორიგინალურია, ფერდინანდ!

— შენ დაწყნარდი, გოტფრიდ, ფერდინანდმა მძლავრი თავი მისკენ მიატრიალა, — შენისთანა რომანტიკოსი მხოლოდ პათეტიკური კარისკაცია, სიცოცხლის განაპირას მდგომი, ყველაფერი არასწორად ესმის და სენსაციებშია. შენ რა გესმის არაფრისა, შე მჩატე!

მესმის, იმდენი მაინც, რომ მჩატედ დავრჩე, — მიუგო ლენცმა, — წესიერი ხალხი არაფერს პატივს სცემს, ფერდინანდ შიგ თხუნელასავით არ იქექებიან.

გრაუ მიაჩერდა.

— გაუმარჯოს, — თქვა გოტფრიდმა.

— გაუმარჯოს, შე კორპო შენა!

ჭიქები დაცალეს.

— სიამოვნებით ვიქნებოდი კორპი, — ვთქვი და მეც დავლიე, — აი, ისეთი, ყველაფერს რომ სწორად აკეთებს და ყველაფერი რომ გამოსდის. ცოტა ხნით მაინც.

მკრეხელო! — ფერდინანდი სავარძელში ჩაეშვა, კინაღამ დალეწა, — დეზერტირობა გინდა? ძმაკაცების ღალატი?

არა, — ვუთხარი, — ღალატი არ მინდა. მაგრამ მინდა, რომ ყოველთვის ყველაფერი თავზე არ გვექცეოდეს.

ფერდინანდი გადმოიხარა. დიდი, ველური სახე უთამაშებდა — სამაგიეროდ, ორდენის წევრი ხარ, ძმაო. წარუმატებელი, ზარმაცი, უმიზნო სურვილების მქონე, არაფრის მომცემი ნატვრების, უმომავლო სიყვარულის, ამაო სასოწარკვეთის ორდენის წევრი. — გაიღიმა, — საიდუმლო საძმოსი, რომელიც უმალ დაიღუპება, ვიდრე კარიერას გაიკეთებს, უმალ ცხოვრებას წააგებს, დაინგრევს, დაკარგავს, ვიდრე იმ მიუწვდომელ ხატებას შეცვლის ან დაივიწყებს — იმ ხატებას, ძმაო, რომელიც გულში აქვს, რომელიც ღრმადაა ჩამარხული იმ საათებში და დღეებში და ღამეებში, როცა სხვა არაფერი არსებობდა: მხოლოდ შიშველი ცხოვრება და შიშველი სიკვდილი.

ჭიქა ასწია და ბართან მდგომ ფრედს ხელი დაუქნია:

— დამალევინე.

ფრედმა ბოთლი მოიტანა — გრამოფონი ჩავრთო? — იკითხა მან.

— არა, — უპასუხა ლენცმა, — გრამოფონი გადააგდე და დიდი

ჭიქები მოიტანე. მერე ნახევარი ნათურები ჩააქრე, რამდენიმე ბოთლი დაგვიდგი და იმ შენს ოთახში გაუჩინარდი, ფრედმა თავი დაუქნია და ზედა შუქი გამორთო მხოლოდ ძველი რუკებისგან გაკეთებული პერგამენტის აბაჟურებიღა ანათებდა. ლენცმა ჭიქები შეავსო.

— გაგვიმარჯოს, ბიჭებო! იმიტომ რომ ცოცხლები ვართ! იმიტომ რომ ვსუნთქავთ! იმიტომ რომ სიცოცხლეს ისე მაგრად ვგრძნობთ, რომ ვეღარაფერს ვუხერხებთ!

— ასეა, — თქვა ფერდინანდმა, — ბედნიერების გემო მხოლოდ უბედურმა იცის. ბედნიერი კაცი სიცოცხლის წყურვილის მანეკენია. ის მას მხოლოდ ასახიერებს. სინამდვილეში, არ გააჩნია. სინათლე სინათლეში არ ანათებს, ის ბნელში ჩნდება. სიბნელეს გაუმარჯოს!

— ვინც ქარიშხალში ერთხელ მაინც მოხვედრილა, ელექტროდამტენს ვეღარაფერს მოუხერხებს. წყეული იყოს ქარიშხალი! ჩვენი ცოტა სიცოცხლე დავლოცოთ! და რადგან ასე ძალიან გვიყვარს, ნურასდროს დავაგირავებთ! გავანადგუროთ! დალიეთ, ბიჭებო! ზოგი ვარსკვლავი ათი ათასი სინათლის წელიწადის წინ აფეთქდა, მაგრამ დღესაც ყოველღამე ანათებს! დალიეთ, სანამ დრო გაქვთ დიდება უბედურებას დიდება წყვდიადს!

წყლის ჭიქა კონიაკით აავსო და გადაჰკრა.

რომი თავში ამივარდა ავდექი და ფრედს ოთახში დავადექი გავაღვიძე და სანატორიუმში დავარეკინე.

— აქ დაიცადეთ, — მითხრა მან, — ამ დროს სწრაფად გადის ხოლმე. ხუთ წუთში ტელეფონმა დარეკა, სანატორიუმი იყო.

— ქალბატონ ჰოლმანს სთხოვეთ, — ვთქვი მე.

— ერთი წუთით, სადგურს შეგაერთებთ.

უფროსმა მედდამ აიღო.

— ქალბატონ ჰოლმანს უკვე სძინავს.

— ოთახში ტელეფონი არა აქვს?

— არა.

— ვერ გააღვიძებთ?

შეყოყმანდა.

— ვერა. თან დღეს მისთვის ადგომა არც შეიძლება.

— რამე მოხდა?

— „რა, არა, თავიდან ყოველთვის ასეა ხოლმე. ჯერ უნდა იწვეს და შეეჩვიოს.

დავკიდე:

— რაო, გვიანიაო“? მკითხა ფრედმა.

— რატომ გგონია?

საათი მაჩვენა..

— თორმეტი სრულდება.

— ჰო, — ვუთხარი მე, — არ უნდა დამერეკა.

დავბრუნდი და სმა განვაგრძე.

ორ საათზე დავიშალეთ. ლენცმა ვალენტინი და ფერდინანდი ტაქსით სახლებში დაარიგა.

— წამო, — მითხრა კიოსტერმა და კარლი დაქოქა.

— ორ ნაბიჯს ფეხითაც გავივლი, ოტო.

შემომხედა.

— ცოტა გავისეირნოთ.

— კარგი.

ჩავჯექი.

— საჭესთან შენ დაჯექი, — მითხრა კიოსტერმა.

— სისულელეა, ოტო. ვერ ვატარებ, მთვრალი ვარ.

— დაჯექი! ჩემ თავზე ვიღებ.

— აი, ნახავ, — ვუთხარი და საჭესთან დავჯექი.

ძრავმა დაიბღავლა. საჭე ხელში მიკანკალებდა. ქუჩები ქანაობდა, სახლები ირწეოდა და წვიმაში ლამპიონები ცერად იდგა.

— ასე არ იქნება, ოტო, — ვუთხარი მე, — რამეს შევასკდები. —

შეასკდი, — მომიგო მან.

შევხედე. ნათელი, დაძაბული და მტკიცე სახით იჯდა. ქუჩას გასცქეროდა. საბურგეს მივეყრდენი და საჭეს ხელი მოვუჭირე. კბილი კბილს დავაჭირე და თვალები მოვჭუტე. ნელ-ნელა გზა უფრო მკვეთრად გამოჩნდა.

— საით, რტო? — ვკითხე მე.

— მიდი. ქალაქიდან გავიდეთ.

ქალაქის გასასვლელს, გადასახვევს მივადექით და გზატკეცილზე დავდექით.

— შორი განათება, — მითხრა კიოსტერმა.

ჩვენ წინ გადაჭიმული ბეტონის გზატკეცილი ღია ნაცრისფერი იყო, ოდნავღა წვიმდა, მაგრამ წვეთები სახეზე სეტყვასავით მეცემოდა. ქარი მძიმედ უბერავდა, დაბლა დაკიდებული ღრუბლები ზედ ტყის თავზე გარღვეული იყო და იქიდან ვერცხლი წვეთავდა. თვალებიდან ბურუსი ჩამომეცალა. ძრავას გრიალი მკლავებიდან მთელ სხეულში მირტყამდა, მანქანას და მის ძალას ვგრძნობდი. ცილინდრების აფეთქებები გახევებულ კეფაში მხვდებოდა. კოლბების ბაგაბუგი სისხლს მიჩქარებდა. თავი ხელში ავიყვანე. მანქანა გზატკეცილზე მიქროდა.

— უფრო ჩქარა, — მითხრა კიოსტერმა.

საბურავებმა სტვენა დაიწყო. ხეებმა და ტელეგრაფის ბოძებმა ზუზუნით ჩაგვიქროლა. სოფელს გრიალით ჩავუარეთ. უკვე სრულიად ფხიზელი ვიყავი.

— გაზი მიეცი, — მითხრა კიოსტერმა.

— დამუხრუჭებას მოვახერხებ? გზა სველია.

— თვითონ მიხვდები. მოსახვევებში მესამე სიჩქარეში ჩააგდე და გაზით შედი.

ძრავამ დაიღრიალა. სახეზე ჰაერი მცემდა. საქარე მინის უკან მოვიკუნტე, — და უცებ მანქანის გრიალში ჩავსრიალდი, მანქანა

და სხეული ერთი გახდა, ერთი დაძაბულობა, ვიბრაცია, ჩემ ფეხქვეშ ვგრძნობდი ბორბლებს, მიწას, გზას, სიჩქარეს. გავსწორდი. ღამე ყმუოდა და ზუზუნებდა. ყველაფრისგან დავიცალე, ტუჩები ერთმანეთზე მიმეკრო, ხელები კლანჭებად მექცა, აღარაფერი დარჩა, გზისა და სიჩქარის, დაუფიქრებელი და ამავე დროს ძალიან ყურადღებიანი გაფრენის გარდა.

ერთ მოსახვევში საჭე გამექცა. გავასწორე, ერთხელ, ორჯერ, და გაზი მივეცი. წამით ყველაფერი საჰაერო ბუშტივით იყო, უწონადობა — მერე კი მანქანა კვლავ დამემორჩილა.

— კარგია, — მითხრა კიოსტერმა.

— სველი ფოთლების ბრალია, — ვუთხარი და სითბო და სისუსტე ვიგრძენი, განსაცდელის მერე რომ იცის ხოლმე.

კიოსტერმა თავი დამიქნია.

შემოდგომაზე ტყეში მოსახვევებს ეგა აქვს საზიზღარი თითო მოვწიოთ?

— კი.

გავაჩერეთ და მოვწიეთ.

— ახლა კი დავბრუნდეთ, — მითხრა მერე კიოსტერმა.

ქალაქში დავბრუნდი და მანქანიდან გადავედი.

— კარგი იყო, რომ წავედით, ოტო. სულ გამიარა.

შემდეგში სხვა ტექნიკას გასწავლი მოსახვევებში, — მითხრა მან, — მუხრუჭებით შესვლას. მაგრამ მარტო მშრალ გზაზე შეიძლება. — კარგი, ოტო. ძილი ნებისა.

— ძილი ნებისა, რობი.

კარლი გაქროლდა. სახლში წავედი. ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ მშვიდი, და აღარ ვდარდობდი.

23

ნოემბრის დასაწყისში სიტროენი გავყიდეთ. ფული იმისთვის გვეყო, რომ სახელოსნოს ერთხანს კიდევ ემუშავა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა კვირით კვირამდე უარესდებოდა. ზამთარში ხალხმა მანქანები დააყენა, რომ ბენზინი და გადასახადები დაეზოგა, შეკეთება სულ უფრო იშვიათად გვიწევდა. ტაქსის წყალობით თავს ვშველოდით, მაგრამ გამომუშავებული თანხა სამი კაცისთვის ძალიან ცოტა იყო. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა „ინტერნაციონალის“ მფლობელმა შემომთავაზა, დეკემბრიდან ყოველ საღამოს კვლავ ჩემთან დაუკარიო. ბოლო დროს უმართლებდა: მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეების გაერთიანებამ ყოველკვირეული საღამოების გამართვა „ინტერნაციონალის“ უკანა ოთახში დაიწყო, მას ცხენებით მოვაჭრეთა გაერთიანება მოჰყვა და ბოლოს კრემაციის მომხრეთა საზოგადოებაც შეუერთდათ, ყველასთვის ხელსაყრელი პირობებით. ამრიგად, შემეძლო ტაქსი ლენცისა და კიოსტერისთვის დამეთმო, და ისედაც, ძალიან კმაყოფილი ვიყავი — მაინც აღარ ვიცოდი, საღამოობით რა მეკეთებინა.

პატი სულ მწერდა, მის წერილებს სულმოუთქმელად ველოდი, მაგრამ მაინც ვერ წარმომედგინა როგორ ცხოვრობდა, და ზოგჯერ, დეკემბერს ბნელ, ჭუჭყიან დღეებში მეჩვენებოდა, რომ დიდი ხნის წინათ დამისხლტა და ყველაფერი დამთავრებული იყო. მეგონა, უსასრულოდ დიდი ხნის წასული იყო, და მისი დაბრუნება ვეღარც წარმომედგინა. მერე მძიმე, გიჟური მონატრების საღამოები მიდგებოდა, როცა არაფერი მშველოდა, თუ ბოზებთან და საქონლით მოვაჭრეებთან ერთად არ ვიჯექი და არ ვსვამდი.

— მფლობელმა უფლება მოიპოვა, და ინტერნაციონალი შობა ღამესაც იმუშავებდა. ყველა გაერთიანების უცოლოებისთვის დიდი ზეიმი უნდა გაემართათ. საქონლით მოვაჭრეთა გაერთიანების თავმჯდომარემ, ღორებით მოვაჭრე შტეფან გრიგოლაითმა ორი გოჭი და ღორის ბარკლები შემოგვწირა. ორი წელია, დაქვრივებულიყო, გულჩვილი კაცი გახლდათ, და უნდოდა, შობა საზოგადოებაში გაეტარებინა.

მასპინძელმა ოთხმეტრიანი ნაძვი იყიდა, რომელიც დახლთან დადგეს. როზამ, რომელიც ყველაფერში ავტორიტეტი იყო, რაც სიმყუდროვესთანაა დაკავშირებული, ნაძვისხის მორთვა იკისრა. მარიონი და მამათმავალი კიკი ეხმარებოდნენ — ამ უკანასკნელს, თავისი მიდრეკილებების გამო, სილამაზის განსაკუთრებული შეგრძნება ჰქონდა. სამივენი დილიდან შეუდგნენ საქმეს. უამრავი ფერადი ბურთი, სანთელი და ვერცხლის წვიმა დახარჯეს, მაგრამ საბოლოოდ ხე მართლა დიდებული სანახავი იყო. გრიგოლაითის პატივსაცემად ზედ მრავალი ვარდისფერი მარციპანის გოჭი დაკიდეს.

ნაშუადღევს ლოგინში ჩავწექი, რომ რამდენიმე საათი დამეძინა. რომ გავიღვიძე, ბნელოდა. უცებ ვერ მივხვდი, საღამო იყო

თუ დილა. რაღაც მესიზმრა, მაგრამ რა — აღარ მახსოვდა. სადღაც, შორს ვიყავი და ახლაც ჩამესმოდა, ჩემ ზურგსუკან შავი კარი როგორ გაჯახუნდა. მერე მივხვდი, რომ აკაკუნებდნენ.

— რომელი ხარ? — ვიკითხე მე.

— მე ვარ, ბატონო ლოკამპ.

ქალბატონი ცალევსკის ხმა ვიცანი.

— შემობრძანდით, — გავძახე, — ღიაა.

სახელურმა დაიტკაცუნა და დერეფნის ყვითელ შუქზე კარში მდგომი ქალბატონი ცალევსკი დავინახე.

ქალბატონი ჰასე მოვიდა, — წამჩურჩულა მან, — ჩქარა, წამოდით. მე ვერ ვეტყვი.

არ გავნძრეულვარ. ჯერ გონს უნდა მოვსულიყავი.

— პოლიციაში გაუშვით! — ვუთხარი მერე.

ბატონო ლოკამპ! — ქალბატონმა ცალევსკიმ ხელები აღაპყრო, თქვენ მეტი არავინაა. მიშველეთ. ღვთის გულისათვის!

მოცეკვავე შავი ჩრდილივით იდგა კარის ჩარჩოში.

— მორჩით! — ვუთხარი გაბრაზებულმა. — მოვდივარ.

ჩავიცვი და გავედი. ქალბატონი ცალევსკი გარეთ მელოდა.

— რამე იცის? — ვკითხე მე.

თავი გააქნია და ცხვირსახოცი ტუჩებზე მიიჭირა.

— სადაა?

— თავის ძველ ოთახში.

სამზარეულოს წინ ფრიდა იდგა, აღგზნებისგან ოფლი ასხამდა. ქუდი ახურავს, სულ წეროებით, და ბრილიანტის გულსაბნევი უკეთია, — წამჩურჩულა მან.

— მიხედეთ ერთი, ამ უტვინო ხეპრემ არ მოგვისმინოს, — ვუთხარი ქალბატონ ცალევსკის და ოთახში შევედი.

ქალბატონი ჰასე ფანჯარასთან იდგა. რომ შევედი, დაფაცურდა. აშკარად ვიღაც სხვას ელოდა. იდიოტურად გამოვიდა, მაგრამ პირველ რიგში მის ქუდსა და გულსაბნევს შევხედე, თუმცა

სულ არ ვაპირებდი. ფრიდა მართალი იყო: დიდებული ქუდი ეხურა. გულსაბნევი ნაკლებად შთამბეჭდავი იყო. ზოგადად, ეტყობოდა, რომ სხვებს აჩვენებდა, რა კარგად ჰქონდა საქმე. საერთოდ, ცუდად არ გამოიყურებოდა, იმაზე უკეთაც, ვიდრე აქ გატარებული მთელი წლის განმავლობაში.

— ჰასე ალბათ შობაზეც მუშაობს, ჰო? — მკითხა მწარედ — არა, — ვუთხარი მე.

— აბა, სადაა? შვებულებაში?

ჩემკენ წამოვიდა, თეძოების ქნევით. მეტისმეტად მკვეთრი სუნამოს სუნი ჰქონდა.

— მისგან რა გინდათ? — ვკითხე მე.

— ჩემი საქმეების მოგვარება, რაღაცების დაანგარიშება წესით, ამის ნაწილი მეც მეკუთვნის.

— ნუღარ გაირჯებით, — ვუთხარი მე, — ახლა ყველაფერი თქვენია მომაშტერდა.

— მოკვდა, — ვუთხარი მე.

სხვაგვარად მინდოდა მეთქვა. მინდოდა, შემემზადებინა, არ ავჩქარებულიყავი. მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. გარდა ამისა ნამძინარევზე ჯერაც არ ვიყავი გამოფხიზლებული ნაშუადღევს რომ დაიძინებ და გაღვიძებულმა ლამის თავი მოიკლა.

— ქალბატონი ჰასე შუა ოთახში იდგა, და, ჩემდა გასაკვირად, იმწამს, როცა ვუთხარი, ძალიან ცხადად დავინახე, რომ თუ წაიქცეოდა, თავს არაფერს დაარტყამდა. უცნაურია, მაგრამ სხვას მართლა ვერაფერს ვხედავდი და ვერ ვფიქრობდი.

მაგრამ არ წაქცეულა. იდგა და მიყურებდა.

ასე, — თქვა მან, — ასე...

მხოლოდ წეროს ქუდის ბუმბულები უთრთოდა და უცებ, ისე, რომ ვერც მივხვდი, რა მოხდა, ჩემ თვალწინ გამოწყობილი, სუნამოიანი ქალი დაბერდა. თითქოს დრომ თავს ელჭექი დაატეხა,

ყოველი წამი წელიწადივით იყო — მოდუნდა, დამარცხდა, დაჩაჩანაკდა. ნაოჭები მატლებივით დაიძრნენ, და როცა ხელის ცეცებით სკამის ზურგს მიაგნო და ისე დაჯდა, გეგონება, რამის გატეხვისა შეშინებოდა, თითქოს სულ სხვა ადამიანი შემრჩა ხელში — ისეთი დაღლილი, მოტეხილი და მოხუცი ჩანდა. — რა სჭირდა? — მკითხა ისე, რომ ტუჩები არც შერხევია — უცებ, — ვუთხარი მე.

— არ მისმენდა. თავის ხელებს დასცქეროდა.

— ახლა რაღა ვქნა? — ლუღლუღებდა ქალი, — ახლა რაღა ვქნა? ერთხანს ვადროვე. თავს საზიზღრად ვგრძნობდი.

— ვიღაც ხომ გყავთ, ვისთანაც მიგესვლებათ, — ვუთხარი ბოლოს — აჯობებს, თუ აქ არ დარჩებით. ხომ არც აპირებთ...

— სულ სხვა ამბავია — მიპასუხა ისე, რომ არც ამოუხედავს — რაღა ვქნა?

— ვიღაც ხომ ნამდვილად გელოდებათ წადით და დაელაპარაკეთ შობის მერე კი პოლიციის განყოფილებაში მიდით. მემკვიდრე ხართ, ანგარიშებისაც. იქ უნდა მიხვიდეთ, რომ ფული აიღოთ.

— ფული, ფული, — უაზროდ იმეორებდა, — რა ფული?

— საკმაოდ ბევრი. სადღაც, თორმეტი ათასი მარკა.

ასწია. უცებ შეშლილის თვალები გაუხდა, — არა! — დაიკივლა, — ტყუილია!

პასუხი არ გავეცი.

— მითხარით, რომ ტყუილია, — აჩურჩულდა.

შეიძლება, ტყუილია. მაგრამ შეიძლება შავი დღისთვისაც ჰქონდა გადადებული.

ადგა. უცებ მთლიანად შეიცვალა. რაღაც, მექანიკურად მოძრაობდა. სახე სახესთან მომიტანა.

— ჰო, მართალია, — დაისისინა, — ვგრძნობ, მართალია! არამზადა! — ოხ, ეგ არამზადა! ყველაფერი გადამატანინა და — ინებეთ! ავიღებ, ავიღებ და გადავყრი, ერთ საღამოში გადავყრი, ქუჩაში დავყრი, რომ არაფერი დარჩეს! არაფერი! არაფერი!

ვდუმდი. მეყო. პირველი დარტყმა გადაიტანა, იცოდა, რომ ჰასე მოკვდა, დანარჩენი უკვე მისი საქმე იყო. ალბათ, ერთხელაც წაიქცეოდა, როცა გაიგებდა, რომ თავი ჩამოიხრჩო, მაგრამ ეს მისი საქმე იყო. მისი გულისთვის ჰასეს ვერ გავაცოცხლებდი.

ახლა უკვე ტიროდა. ცრემლად იღვრებოდა. ხმამაღლა და საცოდავად ტიროდა, ბავშვივით. ერთხანს ასე გაგრძელდა. ერთ სიგარეტში რას არ გავცვლიდი. სხვისი ტირილის ყურება არ შემეძლო.

როგორ იქნა, გაჩერდა. სახე მოიწმინდა, მექანიკურად საპუდრე ამოიღო და პუდრი წაისვა, ისე, რომ სარკეში არც ჩაუხედავს. მერე ვერცხლის კოლოფი ისევ ხელჩანთაში ჩაიდო, ოღონდ ჩანთის დახურვა დაავიწყდა.

— აღარაფერი აღარ მესმის — თქვა გაბზარული ხმით, — აღარაფერი აღარ მესმის. ალბათ, კარგი კაცი იყო.

— კარგი კაცი იყო.

პოლიციის განყოფილების მისამართიც ვუთხარი, ისიც, რომ დღეს დაკეტილი იქნებოდა. ჩავთვალე, რომ დღეს მისვლა აღარ ღირდა. დღეისთვის უკვე საკმარისი მიიღო.

როცა წავიდა, თავისი სალონიდან ქალბატონი ცალევსკიც გამობრძანდა.

— ჩემ გარდა აქ არავინაა? — ვკითხე საკუთარ თავზე გაცოფებულმა — მხოლოდ ბატონი გეორგი. რა თქვა?

— არაფერი.

— ძალიან კარგი.

— რა გითხრათ. ხანდახან კარგი არაა ხოლმე.

— არ მეცოდება, — მითხრა ქალბატონმა ცალევსკიმ ენერგიულად სულ არ მეცოდება.

— „მეცოდება“ ამქვეყნად ყველაზე ფუჭი ზმნაა, — ვუთხარი გაბრაზებულმა, — სხვისი მარცხის გამო სიხარულის მეორე მხარეა,

თავადაც მოგეხსენებათ. რომელი საათია?

— შვიდს თხუთმეტი აკლია.

— შვიდზე ქალბატონ ჰოლმანს უნდა დავურეკო. ოღონდ ისე, რომ არავინ მომისმინოს. შესაძლებელია?

— ბატონი გეორგის გარდა არავინაა. ფრიდა უკვე გავუშვი. თუ გნებავთ, სამზარეულოში დაჯექით. მავთული იქამდეც სწვდება.

— კარგი.

გეორგს მივუკაკუნე. რა ხანია, მასთან არ ვყოფილვარ საწერ მაგიდასთან იჯდა და ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. მის გარშემო დახეული ქაღალდის გორა იყო აღმართული.

— სალამი, გეორგ, — ვუთხარი მე, — რას აკეთებ?

— ინვენტარიზაციას, — მომიგო სუსტი ღიმილით, — საშობაოდ ჩინებული საქმიანობაა.

ერთ ნაგლეჯს დავწვდი. კოლეჯის რვეული იყო, ქიმიური ფორმულები.

— რატომ? — ვკითხე მე.

— აზრი აღარა აქვს, რობი.

ლანდი გასდიოდა. ყურები ცვილისას მიუგავდა.

— დღეს რა ჭამე? — ვკითხე მე. — არ მაცალა.

— სულერთია. ეგეც არაა. ჭამა არაფერ შუაშია უბრალოდ, აღარ შემიძლია. უნდა შევეშვა.

— ასე გაჭირდა?

— ჰო, — მითხრა მან.

— გეორგ, — ვუთხარი მშვიდად, — შემომხედე. როგორ გგონია, ოდესღაც მე არ მინდოდა, სხვა რამე გავმხდარიყავი, და არა პიანისტი ბოზების კაფე „ინტერნაციონალში“?

— თითებს იმტვრევდა.

— ვიცი, რობი. მაგრამ ეს არ მიშველის. ჩემთვის ეს ყველაფერი იყო და ახლა მივხვდი, რომ უაზრობაა. რომ ყველაფერი უაზრობაა საერთოდ, რისთვის ვცოცხლობთ?

გამეცინა, თუმცა ძალიან საცოდავი იყო და მწარედ და სერიოზულადაც ლაპარაკობდა.

შე ჩოჩორო, — ვუთხარი მე, — ეს რა აღმოგიჩენია! რა გგონია, მარტო შენ გაგენდო ეს დიდი სიბრძნე? რა თქმა უნდა, უაზრობაა. აზრის გამო ხომ არ ვცოცხლობთ. ასე იოლადაც არაა საქმე. მიდი, ჩაიცვი. „ინტერნაციონალში“ მივდივართ. შენი დაკაცება აღვნიშნოთ. აქამდე მოსწავლე ახალგაზრდა იყავი. ნახევარ საათში მოგაკითხავ.

— არა, — მითხრა მან.

ძალიან წამხდარი იყო.

— კი, — ვუთხარი მე, — ჩემი ხათრით დღეს მარტო ყოფნა არ მინდა. ეჭვით შემომხედა. მერე უღონოდ მითხრა:

— ჯანი გავარდეს. მაინც სულერთია.

— აი, ხომ ხედავ, — ვუთხარი მე, — დასაწყისისთვის უკვე ჩინებული დევიზი გაქვს.

შვიდ საათზე პატთან საუბარი შევუკვეთე. შვიდის მერე ნახევარი ტარიფი ღირდა და ორჯერ დიდხანს შემეძლო ლაპარაკი. წინკარში მაგიდაზე დავჯექი და ლოდინი დავიწყე. სამზარეულოში არ მინდოდა. იქ მწვანე ბარდის სუნი იდგა, და პატს ამას სატელეფონო საუბრის დროსაც ვერ ვაკადრებდი. თხუთმეტ წუთში შემაერთეს. პატმა უმალვე მიპასუხა. როდესაც მისი თბილი, ბოხი, ცოტა დაბნეული ხმა ასე ახლოს გავიგონე, ისე ავღელდი, რომ ლაპარაკი გამიჭირდა. კანკალი ამივარდა, სისხლი ამიღელდა, და ამას ვერაფერს ვუხერხებდი.

— ღმერთო ჩემო, პატ, ვუთხარი მე, — მართლა აქ ხარ?

გაიცინა.

— სად ხარ, რობი? სამსახურში?

— არა, ქალბატონ ცალევსკისთან მაგიდაზე ვზივარ, როგორა ხარ? — კარგად, საყვარელო.

— ფეხზე ხარ?

— კი. ჩემს ოთახში ფანჯრის რაფაზე ვზივარ და თეთრი ხალათი მაცვია. გარეთ თოვს.

უცებ თვალნათლივ დავინახე. ფანტელების ტრიალი დავინახე, თხელი, შავთმიანი თავი, ოდნავ მოხრილი მხრები, ბრინჯაოსფერი კანი... — ღმერთო ჩემო, პატ! — ვუთხარი მე, — ეს წყეული ფული! თორემ ახლავე ჩავჯდებოდი თვითმფრინავში და საღამოს უკვე მანდ ვიქნებოდი — ეჰ, საყვარელო.

გაჩუმდა ყურმილში ჩუმი ფხაჭუნი და ზუზუნი მესმოდა — აქ ხარ, პატ?

— კი, რობი. ოღონდ ეგ აღარ თქვა. თავბრუ დამეხვა — მეც თავბრუ მეხვევა, — ვუთხარი მე. — მომიყევი, აბა, მანდ რას აკეთებ. დაიწყო, მაგრამ ცოტა ხანში მისი სიტყვები აღარ მესმოდა. მხოლოდ მისი ხმა მესმოდა, და გარეული ტახის თავთან, სამზარეულოდან გამოსული მწვანე ბარდის სუნში, შორის ბნელ წინკარში ჩაცუცქულს მეგონა, რომ კარგი გაიღო და სითბოსა და ციალის ტალღა შემოვიდა, ალერსიანი და ჭრელი, სიზმრებით, მონატრებით და სიყმაწვილით სავსე. ფეხები მაგიდას მივაბჯინე, თავით ხელს დავეყრდენი, ტახის თავს და გაქუცულ სამზარეულოს კარს ვუყურე, მაგრამ არაფერი მეშველა — უცებ ზაფხული მოვიდა, ქარი, ხორბლის ყანაზე ჩამოწოლილი საღამო და ტყის ბილიკის მწვანე ნათელი. ხმა მიწყდა. ღრმად ვსუნთქავდი. — რა კარგია შენთან ლაპარაკი, პატ. დღეს საღამოს რას იზამ? — დღეს საღამოს პატარა ზეიმი იქნება. რვაზე იწყება. ახლა სწორედ — რას იცვამ? ვერცხლისფერ კაბას?

— კი, რობი. ვერცხლისფერ კაბას, მაშინ რომ მეცვა, დერეფანში ხელში აყვანილი რომ წამიყვანე.

— ვისთან ერთად მიდიხარ?

— არავისთან. აქვეა, სანატორიუმში. ქვემოთ, შესასვლელში აქ ყველა ყველას იცნობს, — ალბათ გიჭირს ჩემი ერთგულება, ვუთხარი მე, ვერცხლისფერ კაბაში.

გაიცინა.

— არა, მით უმეტეს, ვერცხლისფერ კაბაში. მოგონებები მაკავშირებს. — მეც. ნანახი მაქვს, როგორ მოქმედებს. მაგრამ არც მაინტერესებს. მიღალატე, ოღონდ მე ნუ გავიგებ. მერე, რომ დავბრუნდები, სიზმარივით იქნება, დაგავიწყდება და გაივლის.

— რობი, — მითხრა ნელა, უწინდელზე დაბალი ხმით, — მე ვერ გიღალატებ. საამისოდ შენზე მეტისმეტად ბევრს ვფიქრობ. შენ არ იცი, აქ რა ხდება. განათებული, მშვენიერი სატუსაღოა. რამდენადაც შემიძლია, ვცდილობ, სხვა რამეზე ვიფიქრო, ესაა და ეს. შენი ოთახი როცა მახსენდება, აღარ ვიცი ხოლმე, რა ვქნა, მაშინ სადგურში გავდივარ, ქვემოდან მოსულ მატარებლებს ვუყურებ და თუ ვაგონში ავალ ან თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ ვინმეს ველოდები, უფრო ახლოს ვიქნები შენთან.

ტუჩები დავიკვნიტე. მისგან ასეთი სიტყვები ჯერ არ გამეგონა. ყოველთვის მორცხვი იყო და სიყვარულს მოძრაობით და მზერით უფრო ავლენდა, ვიდრე სიტყვებით.

— ვეცდები, გინახულო, პატ, — ვუთხარი მე.

— მართლა, რობი? — ჰო, იქნებ იანვრის ბოლოს.

ვიცოდი, რომ წარმოუდგენელი იყო, თებერვლიდან ხომ სანატორიუმის ფულიც უნდა გვეშოვა. მაგრამ მაინც ვუთხარი, რომ საფიქრალი ჰქონოდა. მერე გადადება არ გამიჭირდებოდა, სანამ მისი დაბრუნების დღე არ დადგებოდა.

— კარგად იყავი, პატ, — ვუთხარი მე, — თავს მიხედე. მხიარულად იყავი და მეც გახარებული ვიქნები. ამ საღამოს კარგად გაერთე. — ჰო, რობი, დღეს ბედნიერი ვარ.

გეორგს გავუარე და კაფე „ინტერნაციონალში“ წავედით, ძველი, გაბუღული ოთახი ვეღარც კი ვიცანი. საშობაო ნაძვისხე ბრჭყვიალებდა და მისი თბილი შუქი ყველა ბოთლში, ჭიქაში და დახლის ნიკელსა და სპილენძში ირეკლებოდა, ბოზებს საღამოს

კაბები ეცვათ, იაფიანი სამკაულით იყვნენ მორთული, და მოლოდინით აღსავსენი ისხდნენ მაგიდის გარშემო. ზუსტად რვაზე გაერთიანებული მსხვილფეხა საქონლით მოვაჭრეების სიმღერა გაისმა. კარში ხმების მიხედვით დალაგდნენ: მარჯვნივ — პირველი ტენორი, მარცხენა კუთხეში — მეორე ბანი. შტეფან გრიგოლაითმა, ქვრივმა და ღორებით მოვაჭრემ, კამერტონი ამოიღო ხმები დაანაწილა — და ოთხ ხმაში დაიწყეს:

Heilige Nacht, o gieße du
Himmelsfrieden in dies Herz!
Bring dem armen Pilger Ruh,
Holde Labung seinem Schmerz!

Hell schon erglühn die Sterne,
Grüßen aus blauer Ferne:
Möchte zu euch so gerne
ziehn himmelwärts![1]

(*ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის საშობაო ჰიმნი:
„წმინდა ღამეო, ზეციური სიმშვიდე მოჰფინე ამ გულს,
საბრალო მწირს სიმშვიდე არგუნე, მალამოდ დაედე მის ტკივილს,
ვარსკვლავები აკაშკაშდნენ, ლურჯი შორეთიდან ანათებენ,
ეგებ მეც ზეცაში ამიტაცო“.)

— გულისამაჩუყებელია, — თქვა როზამ და თვალები მოიწმინდა. მეორე სტროფიც ჩაამთავრეს. ტაშის გრიალი ატყდა. მომღერლებმა თავი მადლიერად დახარეს შტეფან გრიგოლაითმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— ბეთჰოვენი ბეთჰოვენია, — განმარტა მან.

არავინ შესდავებია. შტეფანმა ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო.

აბა, საქმეს მივხედოთ!

სუფრა გაერთიანების დიდ ოთახში იყო გაშლილი. შუაში პატარა სპირტქურებზე შედგმულ ვერცხლის სინებზე, დაბრაწული გოჭები იდგა, პირში გაჩრილი ლიმონებით. ზურგზე პატარა, სანთლებიანი ნაძვისხეები ედგათ და აღარაფერი უკვირდათ.

ალოიზი ახალ, გადაღებილ ფრაკში გამოცხადდა — ეს უფროსის საჩუქარი იყო. ნახევარი დუჟინი სურა შტაინჰეგერი მოიტანა და ჩამოასხა. მას კრემაციის მომხრეთა საზოგადოების წევრი პოტერი მოჰყვა, რომელსაც მანამდე კრემაციისთვის ეხელმძღვანელა.

— ქვეყანასა ზედა მშვიდობა! — თქვა მან გამოთქმით, როზას ხელი გაუწოდა და მის გვერდით დაჯდა. შტეფან გრიგოლაითი, რომელმაც გეორგი მაშინვე სუფრასთან მიიწვია, ადგა და თავისი ცხოვრების ყველაზე მოკლე და ყველაზე კარგი სადღეგრძელო თქვა მან მოციალე ღვიის არყით სავსე ჭიქა ასწია, გაბრწყინებულმა მიმოიხედა და თქვა:

— გაგვიმარჯოს!

მერე ისევ დაჯდა, და ალოიზმა ღორის ბარკლების, მჟავე კომბოსტოს და მოხარშული კარტოფილის გამოზიდვა დაიწყო. მასპინძელი ოქროსფერი პილზნერის დიდი, მინის კათხებით ხელში შემოვიდა.

— ნელა ჭამე, გეორგ, — ვუთხარი მე, ჯერ კუჭი ცხიმიან ხორცს უნდა შეეჩვიოს.

— საერთოდ, ჯერ უნდა შევეჩვიო — მითხრა და შემომხედა.

— ეგ სწრაფად ხდება, — ვუთხარი მე, — მთავარია, შედარებას ნუ დაიწყებ. მერე წავა.

თავი დამიქნია და ისევ თეფშს მიუბრუნდა.

უცებ მაგიდის ბოლოში ჩხუბი ატყდა. პოტერის მყივანა ხმა ისმოდა. სიგარეტით მოვაჭრე ბუშთან ერთად დალევა უნდოდა,

მაგრამ ბუშს უარი ეთქვა, იმ მიზეზით, თუ დავლიე, ბევრს ვეღარ შევჭამო. — ეგ სისულელეა! — ჩხუბობდა პოტერი, — თუ ჭამ, უნდა დალიო კიდეც! ვინც სვამს, იმას მეტის ჭამაც შეუძლია.

— ბოდვაა! — ბურდღუნებდა ბუში, გამხდარი, წოწოლა კაცი ბრტყელი ცხვირით და რქის სათვალით.

პოტერი აღშფოთდა.

— ბოდვაარ? ამას შენ მეუბნები, თამბაქოს ჭოტო?

— სიჩუმე! — დაიყვირა გრიგოლაითმა, — შობა საღამოს ყაყანი ვის გაუგია!

გაარკვია, რაზე დაობდნენ და სოლომონის განაჩენი გამოიტანა. უნდა ეცადათ. ორივე მებრძოლს წინ თანაბარი ზომის ჯამები დაუდგეს, ხორცით, კარტოფილით და კომბოსტოთი სავსე. პოტერს რაც უნდოდა, ის დაელია, ბუშს ჯერ სმა ეკრძალებოდა. ვითარების გასამძაფრებლად, ფსონებიც დადეს. ტოტალიზატორი გრიგოლაითმა ჩაიბარა.

პოტერმა გარშემო ლუდის კათხები შემოიწყო, მათ შორის შტაინჰეგერის პატარა ჭიქები ბრწყინავდა. 3:1 დადეს მის სასარგებლოდ. მერე გრიგოლაითმა ბრძანა, დაიწყეთო.

ბუში გამწარებით ჭამდა, თეფშში თავჩარგული პოტერი ღიად, წელში გამართული იბრძოდა.

ყოველ ყლუპზე ბუშს გახარებული გადასძახებდა ხოლმე, გაგვიმარჯოსო, რაზეც ის მხოლოდ სიძულვილით სავსე მზერით პასუხობდა ცუდად ვარ, — მითხრა გეორგმა.

— წამო, გავიდეთ.

პირსაბანებთან გავიყვანე და წინკარში დაველოდე.

სანთლების ტკბილი სურნელი დამწვარი წიწვების ტკაცუნსა და სუნს ერეოდა, და უცებ მომეჩვენა, რომ მსუბუქი, საყვარელი ნაბიჯების ხმა გავიგონე, თბილი სუნთქვა ვიგრძენი და სულ ახლოს დავინახე ორი თვალი... — რა ჯანდაბაა, — ვთქვი და წამოვდექი, — რა დაგემართა?

იმწამს ღრიანცელი გავიგონე.

— პოტერ! ბრავო, ალოიზიუს!

კრემაციამ გაიმარჯვა.

უკანა ოთახში სიგარების ბოლი იდგა, კონიაკს სვამდნენ ისევ დახლთან ვიჯექი. გოგოები გამოვიდნენ და გამწარებით აჩურჩულდნენ.

რა ხდება? — ვკითხე მე.

ჩვენც ხომ საჩუქრები გვაქვს, — მიპასუხა მარიონმა.

გასაგებია.

თავით დახლს მივეყრდენი და ვიფიქრე, ნეტა ახლა პატი რას აკეთებს-მეთქი. სანატორიუმის დარბაზში წარმოვიდგინე, მოგიზგიზე ბუხარი და ფანჯარის გვერდით, მაგიდასთან მჯომი პატი, ჰელგა გუტმანთან და ვიღაც ხალხთან ერთად. საშინლად დიდი დრო გავიდა. ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ დილით გავიღვიძებდი და ყველაფერი ჩავლილი იქნებოდა, ყველაფერი, რაც ადრე მოხდა, დავიწყებული, ჩაძირული, დამხრჩვალი. ყველაფერი წარმავალია, მოგონებებიც კი.

წკრიალი გაისმა. გოგოები დამფრთხალი ქათმებივით გაიქცნენ ბილიარდის ოთახისკენ. იქ ზანზალაკით ხელში როზა იდგა. ხელი დამიქნია, შენც მოდიო. პატარა ნაძვის ქვეშ, ბილიარდის მაგიდაზე, თეფშები ეწყო, რომლებზეც აბრეშუმის ქაღალდი იყო გადაფარებული. ზედ დალაგებულ ბარათებზე სახელები ეწერა, თეფშებზე კი შეფუთული საჩუქრები ელაგა — გოგოებმა ერთმანეთს გაუკეთეს. ეს სულ როზას მოწყობილი იყო. თავისი შეფუთული საჩუქრები ყველას მისთვის უნდა მიეცა, და მერე როზამ თეფშებზე დააწყო.

გოგოები „აღგზნებულები იყვნენ, ჩურჩულებდნენ, ბავშვებივით ეჩქარებოდათ თავიანთი საჩუქრების ნახვა..

— არ გინდა, შენი თეფში ნახო? — მკითხა როზამ.

— რა თეფში?

— შენი. შენც ხომ დაგასაჩუქრეს მართლაც, ჩემი სახელიც ეწერა, ორი ფერით, წითლად და შავად, ლამაზადაც კი იყო გამოყვანილი. ვაშლები, კაკალი, გარგარი, როზას მოქსოვილი პულოვერი, დიასახლისისგან — ბალახივით მწვანე ყელსახვევი, მამათმავალი კიკისგან — ნამდვილი ხელოვნური აბრეშუმის ვარდისფერი წინდები, მზეთუნახავი ვალისგან — ტყავის ქამარი, მარიონმა, ლინამ და მიმიმ ექვსი ცხვირსახოცი მაჩუქეს და მასპინძელმა — ორი ბოთლი კონიაკი.

— ბავშვებო, — ვთქვი მე, — ბავშვებო, რა მოულოდნელია სიურპრიზია? — შესძახა როზამ.

— ნამდვილად!

დარცხვენილი ვიყავი და საშინლად გულაჩუყებული.

— ბავშვებო, — ვუთხარი მე, — იცით, ბოლოს როდის დამასაჩუქრეს? აღარც კი მახსოვს. ალბათ, ომამდე იყო. მე კი თქვენთვის არაფერი არა მაქვს.

ძალიან გაიხარეს, ასეთ დღეში რომ ჩავვარდი — იმიტომ რომ ყოველთვის გვიკრავ ხოლმე რაღაცას, — თქვა ლინამ და გაწითლდა.

— ჰო, რამე დაგვიკარი და შენი საჩუქარიც ეგ იქნება, — მითხრა როზამ. — რასაც მეტყვით, — ვთქვი მე, — ყველაფერს, რასაც ინებებთ. — სიყრმისა, — გამომძახა მარიონმა.

— არა, მხიარული იყოს, — შეეწინააღმდეგა კიკი.

არ აცადეს. ისედაც, ჰომოსექსუალი იყო და მთლად კაცად არ მიაჩნდათ. პიანინოს მივუჯექი და დავიწყე. ყველა ამყვა.

ეს სიმღერაა ჩემი სიყრმისა.

— რა დრო გავიდა, ნორჩი ვიყავი...

დიასახლისმა შუქი ჩააქრო. მხოლოდ სანთლები პარპალებდა ლუდს ასხამდნენ და ჩუმი ჩხრიალი ისმოდა, თითქოს სადღაც, ტყეში, წყარო მოსჩქეფდა. ბრტყელტერფა ალოიზი შავი პანივით

მიდი-მოდიოდა. მეორე სტროფი წამოვიწყე გოგოებს თვალები უბრწყინავდა და წესიერი წვრილი ბიურგერების სახით იდგნენ პიანინოს გარშემო. ჰეი, ეს ვინ ტირის გულამოსკვნილი? კიკია, მარილიანი ბლითების ირგვლივ მოცეკვავე ლუკენვალდელი კიკი...

დიდი გაერთიანების ოთახის კარი გაიღო გუნდის წევრები ბატებივით შემოლაგდნენ, მელოდიური ბურდღუნით, და გოგოების უკან დამწკრივდნენ. თავში შავი, ბრაზილიური სიგარით ხელში გრიგოლაითი იდგა.

„რომ მივდიოდი, სავსე დაგტოვე,

როცა დავბრუნდი — აღარა დამხვდა...“

შერეული გუნდი ნელ-ნელა მიჩუმდა.

— კარგია, — თქვა ლინამ.

როზამ ბენგალური ცეცხლები დაანთო და ისინიც აშიშინდა ნაპერწკლები გაყარა.

— ახლა კი — მხიარულები შესძახა როზამ, — კიკი უნდა გავახალისოთ.

— ეგ მეც მჭირდება, — თქვა შტეფან გრიგოლაითმა.

თერთმეტზე კიოსტერი და ლენცი მოვიდნენ. გაფითრებულ გეორგთან ერთად დახლის გვერდით მდგომ მაგიდას მივუსხედით. გეორგს რამდენიმე ნაჭერი ხმელი პური მივეცით, რომ გონს მოსულიყო. ცოტა ხანში ლენცი საქონლის ხალხის აყალმაყალში გაერია. თხუთმეტ წუთში — მან და გრიგოლაითმა დახლთან ამოყვინთეს. ხელები გადააჭდეს და ბრუდერშაფტი დალიეს.

— შტეფანი! — თქვა გრიგოლაითმა.

— გოტფრიდი! — თქვა ლენცმა, და ორივემ კონიაკის ჭიქა დაცალა — ხვალ ძეხვს გამოგიგზავნი, გოტფრიდ. მოსულა?

— მოსულა რომელია! — ლენცმა მხარზე ხელი დაჰკრა, — შტეფან, შე ძველო!

შტეფანი ყვაოდა.

— რა კარგად იცინი, — უთხრა აღტაცებულმა, — ძალიან მიყვარს, როცა ვიღაცა კარგად იცინის. მე მეტისმეტად იოლად ვიწყენ ხოლმე, ეს ჩემი ნაკლია.

— ჩემიც, — უთხრა ლენცმა, — ამიტომაც ვიცინი. მოდი რობი, ერთი შენც დალიე სამყაროს უსასრულო სიცილისა!

— მივედი.

— რა სჭირს პატარას? მკითხა შტეფანმა და გეორგზე მიმანიშნა — ძალიან სევდიანი ჩანს.

— ადვილი გასაბედნიერებელია, — ვუთხარი მე, — მხოლოდ სამსახურის ჭირდება.

— დღეს ამით ვის გააკვირვებ მიპასუხა შტეფანმა.

— ყველაფერს გააკეთებს.

— დღეს ყველა ყველაფერს აკეთებს. — შტეფანი ცოტა გამოფხიზლდა.

— ბიჭს თვეში სამოცდათხუთმეტი მარკა სჭირდება — სისულელეა. არ ეყოფა.

— ამას ჰყოფნის, — თქვა ლენცმა.

— გოტფრიდ, — უთხრა გრიგოლაითმა, — მე ბებერი ლოთი ვარ. კარგი. მაგრამ სამუშაო სერიოზული რამაა. დღეს თუ მისცემ, ხვალ ვერ წაართმევ. იმაზე უარესია, ცოლი რომ მოაყვანინო და ხვალ ისევ წაართვა. მაგრამ თუ პატიოსანი ბიჭია და სამოცდათხუთმეტი მარკა ყოფნის, ბედი ჰქონია. სამშაბათს რვაზე მომაკითხოს. დამხმარე მჭირდება, გაერთიანების საქმეებზე რომ ირბინოს და ასეთი რაღაცები. ხანდახან ხორცის პაკეტიც ერგება. კოჭებში ეტყობა ივარგებს.

— სიტყვა სიტყვაა? — ჰკითხა ლენცმა.

— შტეფან გრიგოლაითის სიტყვაა.

— გეორგ, — გავძახე, — მოდი ერთი აქ.

რომ ვუთხარით, კანკალი დაიწყო. კიოსტერთან დავბრუნდი —

მისმინე, ოტო, რომ გითხრან, ცხოვრება თავიდან დაიწყეო, მოგინდებოდა?

— ისე, როგორც ვიცხოვრე — ჰო.

— არა. — მითხრა კიოსტერმა.

— არც მე.

24

ეს სამი კვირის მერე მოხდა, იანვრის ერთ ცივ საღამოს. „ინ-ტერნაციონალში“ ვიჯექი და მფლობელს „17 და 4“—ს ვეთამაშე-ბოდი. დუქანი ცარიელი იყო, ბოზებიც კი არ ჩანდნენ. ქალაქში არეულობა იყო. გარეთ ყოველ წამს კოლონები ჩაივლიდნენ ხოლმე, ზოგი — გამაყრუებელი სამხედრო მარშით, ზოგი — „ინ-ტერნაციონალით“, და მერე ისევ მდუმარე, გრძელი რიგები, რომლებსაც ტრანსპარანტები მოჰქონდათ სამუშაოსა და პურის მოთხოვნით. ქვაფენილზე ნაბიჯების ხმა უზარმაზარი, დაუნდო-ბელი საათის წიკწიკს ჰგავდა. ნაშუადღევს საქმე გაფიცულებსა და პოლიციას შორის შეტაკებამდე მივიდა, თორმეტი ადამიანი დაშავდა და პოლიციაში განგაში იყო გამოცხადებული. ქუჩებში საპატრულო მანქანები დაქროდნენ.

— მოსვენება არაა, — მითხრა მასპინძელმა და თავის თექვსმე-ტი მაჩვენა, — ომის მერე სიმშვიდე არ გვღირსებია. მაშინაც სიმ-შვიდე გვინდოდა, სხვა ხომ არაფერი. მსოფლიო გაგიჟდა!

ჩვიდმეტი ვაჩვენე და ფსონი ავკრიფე.

— მსოფლიო არა, — ვუთხარი მე, — ხალხი გაგიჟდა.

ალოიზი, რომელიც მასპინძლის ზურგსუკან იდგა და ყურს გვიგდებდა, უცებ ჩაერთო:

გიჟები არა. ხარბები არიან. ერთი მეორეს არაფერს უწილადებს. ჰოდა, ამდენი რომა აქვთ, დანარჩენებს არაფერი რჩებათ. განაწილების ამბავია.

მასპინძელმა კარტი გახსნა. თხუთმეტი ჰქონდა და ეჭვით მიყურებდა. მერე კიდევ აიღო, ტუზი, და დაიწვა. ჩემი კარტი ვაჩვენე. მხოლოდ თორმეტი მქონდა, თხუთმეტით მომიგებდა.

— ჯანდაბას, მოვრჩი, — გაბრაზდა, — საძაგელი ბლეფი იყო! მე მეგონა, თვრამეტი მაინც გყავდათ.

ალოიზი აჭიხვინდა. ფული მოვკრიფე. მასპინძელმა დაამთქნარა და საათს დახედა.

— თერთმეტი სრულდება. მე მგონი, მოვრჩეთ მაინც აღარავინ მოვა — აი, მოდის, — თქვა ალოიზმა.

კარი გაიღო. კიოსტერი იყო.

— ხდება რამე, ოტო?

თავი დაგვიქნია.

ბორუსიას დარბაზებში ჩხუბია. ორი მძიმე დაშავებული რამდენიმე ათეული მსუბუქად დაშავებული და ასამდე დაპატიმრებული. ჩრდილოეთში ორი სროლა იყო. ერთი პოლიციელი მოკლეს. რამდენი დაიჭრა, არ ვიცი. ახლა დაიწყება მთელი ამბები, დიდ თავყრილობებს რომ მორჩებიან. მორჩით?

— ჰო, — ვუთხარი მე, — ვაპირებდით — აბა, წამოდი.

მასპინძელს გავხედე. თავი დამიქნია — აბა, კარგად, — ვუთხარი მე.

— კარგად, — მიპასუხა უღიმღამოდ, — თავს გაუფრთხილდით.

გავედით. თოვლის სუნი იდგა. პროკლამაციები ქუჩაზე დიდი, მკვდარი თეთრი პეპლებივით ეყარა.

— გოტფრიდი არ ჩანს, — მითხრა კიოსტერმა, — შეკრებებზე დაიარება. ამბობენ, ააფეთქებენო, და კიდევ კაცმა არ იცის, რა

მოხდება. კარგი იქნება, თუ სადმე გადავაწყდებით. არც ეგ მყავს დიდად მშვიდი კაცი. — იცი, სადაა? — ვკითხე მე.

— ზუსტად არ ვიცი. სამი დიდი შეკრებაა, სადმე იქნება. უნდა დავუაროთ. გოტფრიდის მანათობელ ქოჩორს უცებ შევამჩნევთ.

— კარგი. — ჩავსხედით და კარლით პირველი შეკრების დუქნისკენ გავქროლდით.

ქუჩაში დაცვის პოლიციის მანქანა იდგა. საიერიშო მუზარადები ეხურათ. ლამპიონების შუქზე კარაბინები ლაპლაპებდა. ფანჯრებიდან ფერადი დროშები იყო გადმოკიდებული. შესასვლელთან ფორმიანები ირეოდნენ. თითქმის ყველა ძალიან ახალგაზრდა იყო.

ორი ბილეთი ვიყიდეთ, ბროშურებზე, შესაწირავებზე და გაწევრიანებაზე უარი განვაცხადეთ და დარბაზში შევედით. სავსე და კარგად განათებული იყო, რომ უცებ დაენახათ, თუ ვინმე ადგილიდან რამეს დაიძახებდა.

კარში შევდექით და კიოსტერმა, რომელსაც ძალიან მახვილი თვალი ჰქონდა, რიგებს თვალი მოავლო.

სცენაზე ჯანიანი, ჩაფსკვნილი კაცი ლაპარაკობდა. ძლიერი ღრმა ხმა ჰქონდა, რომელიც ყოველ კუნჭულში ძალდაუტანებლად ისმოდა, ისეთი ხმა იყო, ყველაფერს დაგაჯერებდა, დიდად არ დაფიქრდებოდი, რას ლაპარაკობს. რასაც ამბობდა, იოლი გასაგები იყო. კაცი სცენაზე ბოლთას სცემდა, ძალდაუტანებლად, ხელებს დიდად არ იქნევდა, ხანდახან წყალს მოსვამდა და გაიხუმრებდა ხოლმე. მერე უცებ ჩუმდებოდა, დარბაზს უბრუნდებოდა და სულ სხვა, მჭახე ხმით მათრახივით იქნევდა წინადადებებს, ყველასთვის ცნობილ სიმართლეს მზარდი გაჭირვების, შიმშილის, უმუშევრობის შესახებ. ხმას იმაღლებდა, იმაღლებდა, მსმენელს ნუსხავდა, და ბოლოს მგზნებარედ დასძახა:

— კმარა! უნდა შევცვალოთ!

დარბაზი აღფრთოვანდა, ტაშს უკრავდნენ და ყვიროდნენ თითქოს ამით უკვე ყველაფერი შეიცვალა. ზემოთ მდგომმა კაცმა ადროვა. გაბრწყინებული იყო. მერე კი დაიწყო, გულღიად, დამაჯერებლად, დაპირებები, დაპირებები, დაპირებების წვიმა, უამრავ თავს ზემოთ სამოთხე გადაიშალა, ჯადოსნური და ფერადი, ლატარეა იყო, სადაც ყველა წაგებული მოგებული იყო და სადაც ყველა თავის პირად ბედნიერებას და პირად სამართალს და პირად შურისძიებას ეღირსებოდა.

მსმენელებს გადავხედე. ყველა პროფესიის ხალხი იყო: ბუღალტრები, წვრილი კომერსანტები, მოხელეები, რამდენიმე მუშა და ბევრი ქალი. ცხელ დარბაზში ისხდნენ, სკამს მიყუდებულები ან წინ გადახრილები, რიგებად, სახეების რიგები. სიტყვების ნაკადი თავზე გადასდიოდათ და უცნაური იყო: ამ სრულიად სხვადასხვანაირ ადამიანებს ერთნაირი გამომეტყველება ჰქონდათ — თითქოს სხვაგან იყვნენ, ფატა მორგანას ნისლიან შორეთში მიმართული დაბინდული მზერით, რომელშიც სიცარიელე იყო და იმავდროულად უძლეველი მოლოდინი, რომელიც ყველაფერს შლიდა — კრიტიკას, ეჭვს, წინააღმდეგობას და კითხვებს, ყოველდღიურობას, აწმყოს, სინამდვილეს. იმან, ზემოთ რომ იდგა, ყველაფერი „იცოდა, ყველა კითხვაზე პასუხი ჰქონდა, ნებისმიერი გასაჭირისთვის — საშველი. მის იმედად ყოფნა კარგი იყო. კარგია, როცა ვიღაც შენ ნაც ვლად ფიქრობს. ვინმეს რწმენა კარგი რამაა.

კიოსტერმა ხელი წამკრა, ლენცი აქ არ იყო. წასასვლელისკენ მანიშნა. თავი დავუქნიე და წავედით. დარბაზის დაცვამ პირქუშად და ეჭვით შეხედა. წინკარში გუნდი იდგა, დარბაზში შესასვლელად გამზადებული. მის უკან დროშების და ტრანსპარანტების კედელი იყო აღმართული. — მაგარია, არა? — მკითხა გარეთ კიოსტერმა.

— მაღალი დონეა. ძველ პროპაგანდის შეფს დამეჯერება.

რამდენიმე ქუჩა გავიარეთ. იქ მეორე პოლიტიკური თავყრილობა — დაგვხვდა. სხვა დროშები, სხვა ფორმები, სხვა დარბაზი; მაგრამ დანარჩენი იგივე იყო. ყველა სახეს იგივე გამომეტყველება ჰქონდა — გაურკვეველი იმედის და რწმენით სავსე სიცარიელის. მომხსენებლის თეთრი სუფრით დაფარული მაგიდა, სკამების რიგების წინ აღმართული. მას პარტიის მდივნები უსხდნენ, მმართველობა, რამდენიმე მუყაითი შინაბერა. მოსაუბრე, მოხელის ჯიშისა, წინა ორატორს ჩამოუვარდებოდა. ოქმების ენით ლაპარაკობდა, რიცხვებს ასახელებდა, მტკიცებულებები მოჰყავდა, რასაც ამბობდა, სულ მართალი იყო, მაგრამ იმ პირველივით დამაჯერებლად არ გამოსდიოდა, თუმცა იმას მტკიცებულებები არ მოჰყავდა, თავად ამტკიცებდა ყველაფერს. დაქანცული პარტიის მდივნები მაგიდასთან თვლემდნენ; მათ ასობით ასეთი ყრილობა ჰქონდათ გადატანილი.

— წამოდი, — მითხრა ცოტა ხანში კიოსტერმა, — არც აქაა. აბა, რას ველოდი.

გზა განვაგრძეთ. გადავსებული დარბაზების დახუთულობის მერე ჰაერი გრილი და სუფთა იყო. მანქანა ქუჩაში მიქროდა. არხს ჩავუარეთ. ლამპიონების ზეთივით ყვითელი ათინათი ჩამუქებულ წყალზე ირეკლებოდა. წყალი ჩუმად უტყლაშუნებდა ბეტონის ნაპირს, შავი ბორანი ნელა მიცურავდა. ბორანზე წითელი და მწვანე სასიგნალო ნათურები ენთო, ძაღლი ყეფდა, მერე კაცმა განათებულ ზოლში გაიარა და ლუიკში გაუჩინარდა, რომლიდანაც წამით ოქროსფერი ნათელი ამოიფრქვა. აუზის მეორე ნაპირზე დასავლეთის სახლები გაჩახჩახებული იყო. მათკენ ხიდის თაღი გადადიოდა. ზედ დაუღალავად მიდი-მოდიოდნენ მანქანები, ომნიბუსები და ტრამვაები. შავ წყალზე გადებული ხიდი მოციალე ჭრელ გველს ჰგავდა.

— მე მგონი, მანქანა აქ დავტოვოთ და ბოლო მონაკვეთი ფეხით გავიაროთ, — მითხრა ცოტა ხანში კიოსტერმა, — ასე თვალში

ნაკლებად მიხვდებით.

— კარლი რაღაც დუქანთან, ლამპიონის ქვეშ დავაყენეთ. რომ გადმოვედით, თეთრმა კატამ ჩაგვირბინა. მოშორებით, თაღში, რამდენიმე წინსაფრიანი ბოზი იდგა. რომ ჩავუარეთ, გაჩუმდნენ. სახლის კუთხეს მეარღნე იყო მიყუდებული, ეძინა. ქუჩის პირას დედაბერი ნაგავში იქექებოდა, უზარმაზარ, ჭუჭყიან ყაზარმაში მივედით, რომელსაც უამრავი დამხმარე ნაგებობა, ეზო და გასასვლელი ჰქონდა. პირველ სართულზე მაღაზიები, საცხობი და ძონძების და ჯართის მიმღები პუნქტები იყო. ქუჩაში, პირველ გასასვლელთან, დაცვის პოლიციის ორი საბარგო მანქანა იდგა. — პირველი ეზოს კუთხეში ფიცარნაგი აღემართათ, ორი დიდი ვარსკვლავის გამოსახულებით. მაგიდაზე ქაღალდები ეწყო, მაგიდის წინ კი, პატარა ამაღლებაზე, ჩალმიანი კაცი იდგა. მის თავზე ტრანსპარანტი ეკიდა: ასტროლოგია, ქირომანტია, წინასწარმეტყველება — მომავალი 50 ფენინგად. კაცის გარშემო ბრბო შეკრებილიყო. გარს უამრავი ადამიანი ეხვია. კარბიდის ლამპის მკვეთრი შუქი ყვითელ, დანაოჭებულ სახეს უნათებდა. მაყურებელს მიმართავდა, ის კი მდუმარედ მისჩერებოდა, სწორედ ისეთივე გზაკვალაბნეული, გათიშული, სასწაულის მოლოდინში გარინდული სახით, როგორიც დროშებიან-გუნდებიანი თავყრილობების მაყურებელს ჰქონდა.

— ოტო, — ვუთხარი ჩემს წინ მომავალ კიოსტერს, — ახლა მივხვდი, ხალხს რა უნდა. პოლიტიკა სულ არ სჭირდებათ., რელიგიის სანაცვლო უნდათ.

შემომხედა.

— რასაკვირველია. უნდათ, რომ ისევ რამის სჯეროდეთ. რისა — სულერთია. ამიტომაც არიან ასეთი ფანატიკოსები.

მეორე ეზოში შევედით, იქ, დუქანში იყვნენ შეკრებილი. ყველა ფანჯარა გაჩახჩახებული იყო. უცებ შიგნიდან ხმაური მოგვეს-

მა. იმწამსვე, თითქოს შეთანხმდნენო, ჩაბნელებული უკანა კარიდან საქარე ქურთუკებში გამოწყობილი ახალგაზრდები გამოცვივდნენ, ფანჯრების ქვეშ გაიარეს და დუქნის კარს მიაწყდნენ პირველმა კარი გააღო და შიგნით შეცვივდნენ.

— დამრტყმელი ჯგუფი, — თქვა კიოსტერმა — კედლისკენ წამოდი ლუდის კასრებს ამოვეფაროთ.

დარბაზში ღრიანცელი და ჩოჩქოლი ატყდა. წამიც და, ფანჯარა ჩაიმსხვრა და ვიღაც გამოფრინდა. კარი გაიღო, ბლომად ხალხი გამოცვივდა, წინ ვინც მორბოდა, დაეცა, დანარჩენები ზედ დაენარცხნენ. ვიღაც ქალი აკივლდა, შველას ითხოვდა, მერე თაღიდან გარეთ გავარდა. პირველს მეორე ნაკადი გამოჰყვა, სკამის ფეხებითა და ლუდის კათხებით შეიარაღებული. ერთმანეთს გააფთრებით ეტაკნენ. უზარმაზარი ხარატი გამოხტა, ოდნავ განზე დადგა, და რამდენი მოწინააღმდეგის თავიც გაუსწორდა, გრძელი მკლავი მოიქნია და ბრბოში უკან მოისროლა. ძალიან მშვიდად ირჯებოდა, გეგონება, შეშას ჩეხავსო.

კიდევ ახალი ჯოგი დაეტაკათ, და უცებ ჩვენგან სამ მეტრში, ვიღაც გამხეცებული ულვაშას ხელში, გოტფრიდის ყვითელი ქოჩორი დავინახეთ. კიოსტერი მოიხარა და ბრბოს შეერია. რამდენიმე წამში ულვაშამ გოტფრიდს ხელი უშვა, ფრიად გაკვირვებული სახით ხელები ასწია და მოჩეხილი ხესავით ხალხში ჩავარდა. იქვე კიოსტერი დავინახე, ლენცს საყელოთი მოათრევდა.

ლენცი ეურჩებოდა.

— გამიშვი, ოტო, — ხრიალებდა ლენცი.

— რა სისულელეა, — დაუყვირა კიოსტერმა, — ძაღლობა მოდის! წამო, იქით!

ეზო გადავირბინეთ, ბნელი გასავლელისკენ. წამით გავასწარით. ეზოში სასტვენის მჭახე ხმა გაისმა, შავი მუზარადები ალაპლაპდა, პოლიციამ ეზო გადაკეტა. კიბეზე ავრბოდით, ოღონდაც

კი დაცვას არ ავეყვანეთ. წინკარის ფანჯრიდან ვხედავდით, მოვლენები როგორ განვითარდა. პოლიცია ბრწყინვალედ მუშაობდა. გადაკეტეს, ბრბოში შეიჭრნენ, დაფანტეს და მაშინვე ყველა აიყვანეს, პირველი გაოგნებული ხარატი იყო, რომელიც ამაოდ ცდილობდა რამის ახსნას. ჩვენ უკან კარის ხმა გაისმა. თავი პერანგიანმა, ფეხშიშველმა, წვრილკანჭებიანმა ქალმა გამოყო, ხელში სანთელი ეჭირა:

— შენ ხარ? — იკითხა კუშტად.

— არა, — ლენცმა უკვე ამოისუნთქა. ქალმა კარი გაიჯახუნა ლენცმა ჯიბის ნათურა კარს მიანათა. კარსუკან ქვისმთლელ გერჰარდ პესკეს ელოდნენ.

ქვემოთ ჩოჩქოლი მიწყნარდა. პოლიცია გავიდა და ეზო დაცარიელდა, ცოტა ხანს მოვიცადეთ, მერე კიბეს დავუყევით. სადღაც, კარსუკან, ბავშვის ტიროდა. სიბნელეში ჩუმად და შესაბრალისად ისმოდა მისი ტირილი — სწორად იქცევა, — თქვა გოტფრიდმა, წინასწარ ტირის.

წინა ეზო გადავჭერით, ასტროლოგი თავის ვარსკვლავების რუკებთან მარტოდმარტო იდგა.

— ჰოროსკოპი, ბატონებო? — დაგვიძახა მან — თუ ხელზე გიმკითხაოთ? — აბა! — გოტფრიდმა ხელი გაუწოდა.

კაცი ერთხანს დასცქეროდა.

— გული გირევთ, — თქვა მერე კატეგორიულად, — ძალიან მგრძნობიარე ხართ, გონების მოკლე ხაზით, სამაგიეროდ, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული. ბევრს ოცნებობთ, მაგრამ ქმრად არ ივარგებთ. მიუხედავად ამისა, სამ ბავშვს ვხედავ. დიპლომატიური ბუნება გაქვთ, ჩაკეტილი, და ოთხმოც წელს მიაღწევთ.

— სწორია, — თქვა გოტფრიდმა, — ამას ჩემი დედა-ბატონიც ამბობდა ხოლმე: ბოროტი კაცი სიბერემდე ცოცხლობსო. მორალი

კაცობრიობის გამოგონებაა და არა ცხოვრების შედეგად გამოტანილი დასკვნა. კაცს ფული მისცა და გზა განვაგრძეთ. ქუჩა ცარიელი იყო. შავმა კატამ გადაგვირბინა. ლენცმა მისკენ გაგვახედა:

— წესით, უნდა დავბრუნდეთ.

— დაანებე, — ვუთხარი მე, — მანამდე თეთრი ვნახე. გააბათილებს ქუჩას გავუყევით. მოპირდაპირე მხარეს ჩვენკენ რამდენიმე ადამიანი მოდიოდა. ოთხი ბიჭი იყო. ერთს ახალი, ყვითელი, ტყავის გამაშები ეცვა, დანარჩენებს — ერთგვარი სამხედრო ჩექმები გაჩერდნენ და მოგვაჩერდნენ.

— ეგაა! — დაიძახა უცებ გამაშებიანმა და ქუჩა გადმოჭრა.

იმწამსვე ორი გასროლა გაისმა, ბიჭმა მოკურცხლა, ოთხივე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. დავინახე, რომ კიოსტერი დადევნებას აპირებდა, მაგრამ მერე უცნაურად შემოტრიალდა, მკლავები გაშალა და მოგუდული, შეშლილი გმინვით შეეცადა გოტფრიდ ლენცის დაჭერას რომელიც ქვაფენილზე მძიმედ დაეცა.

წამით ვიფიქრე, უბრალოდ, წაიქცა მეთქი; მერე სისხლი დავინახე კიოსტერმა ქურთუკი გადაუხია, პერანგი შემოაგლიჯა — სისხლი ღვარად სდიოდა. ცხვირსახოცი მივაჭირე.

— აქ იყავი, მანქანას მოვიყვან, — მომაძახა კიოსტერმა და გაიქცა — გოტფრიდ, — ვუთხარი მე, — გესმის?

სახეზე ნაცრისფერი დაედო, თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა ქუთუთოები არ უმოძრავებდა. ცალი ხელით თავს ვუკავებდი, მეორე ხელით ჭრილობაზე ცხვირსახოცი მქონდა მიჭერილი. მის გვერდით ჩავიმუხლე, მის ხრიალს, მის სუნთქვას ვაყურადებდი, მაგრამ არაფერი მესმოდა. ყველაფერი დუმდა — უსასრულო ქუჩა, უსასრულო სახლები, უსასრულო ღამე... მხოლოდ სისხლის წანწკარი მესმოდა ქვაფენილზე და ვიცოდი, რომ ეს ერთხელ უკვე მოხდა და სინამდვილე ვერ იქნებოდა. კიოსტერი მოქროლდა. მარცხენა სავარძლის საზურგე უკან გადააგდო.

გოტფრიდი ფრთხილად ავწიეთ და ორივე სკამზე გადავაწვინეთ. მანქანაში ჩავხტი და კიოსტერი გაქროლდა. უახლოეს საავადმყოფოს მივადექით. — ნახე, ექიმი თუა. თუ არა, გზის გაგრძელება მოგვიწევს.

შევირბინე. სანიტარი შემომეგება.

— ექიმი აქაა?

— კი. ვინმე მოიყვანეთ?

— ჰო. წამოდით, რა! საკაცე...

გოტფრიდი საკაცეზე დავაწვინეთ და შევიყვანეთ, ექიმს უკვე სამკლავეები წამოეცვა და გველოდა.

— აქეთ! — მაგიდაზე მიგვითითა. საკაცე ავწიეთ. ექიმმა ნათურა დახარა, სხეულს დაანათა.

— რა სჭირს?

— რევოლვერით ესროლეს.

ბამბა აიღო, სისხლი მოსწმინდა, გოტფრიდის პულსს დასწვდა მიაყურადა და წამოიმართა.

— ვეღარაფერს ვიზამთ.

კიოსტერი მიაშტერდა.

— ცერად არ მოხვდა? ასეთი რა უნდა იყოს?

— ორი ტყვიაა! — უთხრა ექიმმა.

სისხლი ისევ მოსწმინდა. დავიხარეთ და დავინახეთ, რომ სისხლიანი ჭრილობის ქვეშ მეორეც იყო, ოდნავ აცდენილი, — პატარა შავი ნახვრეტი, გულის არეში.

— ალბათ, წამში გარდაიცვალა, — თქვა ექიმმა, კიოსტერი გაიმართა გოტფრიდს დახედა. ექიმმა ჭრილობებს ტამპონები დააფინა და პლასტირი დააკრა.

— ხელების დაბანა გინდათ? მკითხა.

— არა, — ვუთხარი მე.

გოტფრიდს სახე გაჰყვითლებოდა და ჩავარდნოდა პირი ოდნავ დამანჭვოდა, თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა, ერთი

მეორეზე მეტად. გვიყურებდა, კვლავ გვიყურებდა.

— ეს როგორ მოხდა? — გვკითხა ექიმმა.

არ გვიპასუხია. გოტფრიდი გვიყურებდა. თვალს არ გვაცილებდა — შეგიძლიათ, დატოვოთ, — გვითხრა ექიმმა.

— კიოსტერი შეირხა.

— არა, — თქვა მან, — წავიყვანთ.

— არ შეიძლება, — თქვა ექიმმა, — პოლიციაში უნდა დავრეკოთ სისხლის სამართლის საქმეა. დამნაშავის დასაჭერად ხომ ყველაფერი სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს.

— დამნაშავე? — კიოსტერმა ექიმს ისე შეხედა, თითქოს ვერაფერი გაეგო, — კარგი, — თქვა მერე, — წავალ და პოლიციას მოვიყვან. — დარეკეთ. უფრო სწრაფად მოვლენ.

კიოსტერმა თავი ნელა გააქნია.

— არა. მე მოვიყვან.

— გავიდა და გავიგონე, კარლი როგორ დაქოქა. ექიმმა სკამი მომიჩოჩა. — დაბრძანდით, ისე დაელოდეთ.

— გმადლობთ, — ვუთხარი, მაგრამ არ დავმჯდარვარ.

მკვეთრი შუქი ჯერაც გოტფრიდის დასისხლიანებულ მკერდს დაჰნათოდა. ექიმმა ნათურა ასწია.

— როგორ მოხდა? — მკითხა ისევ.

— არ ვიცი. როგორც ჩანს, ვიღაცაში აერიათ — ნაომარია? — მკითხა ექიმმა.

თავი დავუქნიე.

— ჭრილობებზე ეტყობა, — მითხრა მან — და ნატყვიარ მხარზე ბევრჯერაა დაჭრილი.

— კი, ოთხჯერ.

— უსამართლობაა, — თქვა სანიტარმა, — სულ ის ნაძირლები არიან, მაშინ აკვანში რომ იწვნენ.

არაფერი მითქვამს გოტფრიდი მიყურებდა ისევ მიყურებდა

კიოსტერის დაბრუნებამდე კარგა ხანი გავიდა. მარტო იყო. ექიმმა გაზეთი გადადო.

მოხელეები მოვიდნენ? — იკითხა მან.

კიოსტერი იდგა. ექიმის კითხვა ვერ გაიგონა.

— პოლიცია მოვიდა? — ჰკითხა კვლავ ექიმმა.

— ჰო, — მიუგო კიოსტერმა, — პოლიცია, უნდა დავურეკოთ, მოვიდნენ. ექიმმა შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს და ტელეფონთან მივიდა. რამდენიმე წუთში ორი მოხელე მოვიდა. მაგიდას მიუსხდნენ და ერთ-ერთმა გოტფრიდის მონაცემები ჩაიწერა. არ ვიცი, მაგრამ სიგიჟედ მეჩვენა იმის თქმა, თუ რა ერქვა, როდის დაიბადა და სად ცხოვრობდა — ახლა, როცა მკვდარი იყო. ფანქრის შავ წვერს მივშტერებოდი, რომელსაც მოხელე დროდადრო ტუჩებით ასველებდა, და მექანიკურად ვპასუხობდი. მეორე მოხელემ ოქმის შედგენა დაიწყო. ჩვენებას კიოსტერი აძლევდა. — დაახლოებით როგორ გამოიყურებოდა? — ჰკითხა მოხელემ.

— ვერ გეტყვით, — მიუგო კიოსტერმა, — ყურადღება არ მიმიქცევია. გავხედე. ყვითელი გამაშები და ფორმა გამახსენდა.

— არ იცით, რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა? რამე ნიშანი ან ფორმა ხომ არ დაგინახავთ?

— არა, — უთხრა კიოსტერმა, — სროლამდე არაფერი დამინახავს. მერე კი მხოლოდ... — წამით გაჩერდა, — მხოლოდ ჩემი ამხანაგი მყავდა მისახედი.

— რამე პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნით?

— არა.

— უბრალოდ, ამხანაგიო, რომ თქვით...

— ომის დროინდელი მეგობარია, — თქვა კიოსტერმა.

მოხელე მომიბრუნდა.

— ბოროტმოქმედის აღწერა შეგიძლიათ?

კიოსტერი ჯიქურ მიყურებდა.

— არა, — ვუთხარი მე, — მეც არაფერი დამინახავს.

— უცნაურია, — თქვა მოხელემ.

— ვსაუბრობდით და ყურადღება არაფრისთვის მიგვიქცევია. თან ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა.

მოხელემ ამოიოხრა.

— ძალიან საეჭვოა, რომ მივაგნოთ.

ოქმი შეადგინა.

— შეიძლება, წავიყვანოთ? — ჰკითხა კიოსტერმა.

— საერთოდ — მოხელემ ექიმს შეხედა, — საერთოდ, აკრძალულია, — თქვა მერე, — მაგრამ თუ სახლში წაიყვანთ გარდაცვალების მიზეზი უკვე დაადგინეთ?

ექიმმა თავი დაუქნია.

— ფურცელი უკვე შევავსე.

— ტყვია სადაა? ტყვია თან უნდა წავიღო.

— ორივე სხეულში დარჩა. მე უნდა... — ექიმი ორჭოფობდა — ორივე მჭირდება, — თქვა მოხელემ, — უნდა ვნახო, რომ ორივე ერთი იარაღიდანაა გასროლილი.

ექიმმა კიოსტერს ერთი გახედა.

— კარგი, — თქვა კიოსტერმა.

— სანიტარმა საკაცე გაასწორა და ნათურა დაბლა დასწია., ექიმმა ხელსაწყოები აიღო და პინცეტით ჭრილობაში შევიდა. პირველი ტყვია სწრაფად იპოვა, მაინცდამაინც ღრმად არ იყო შესული. მეორის ამოსაღებად გაჭრა მოუწია. რეზინის ხელთათმანები ბოლომდე აიწია და კაუჭები და დანა მოიმარჯვა. კიოსტერი უცებ მივიდა საკაცესთან და გოტფრიდს ჯერაც ნახევრად ღია თვალები დაუხუჭა. დანის ჩუმი ღრჭიალის გაგონებაზე განზე გავიხედე. წამით მინდოდა მივვარდნილიყავი და ექიმი განზე გამეთრია, გამიელვა, გოტფრიდს უბრალოდ გრძნობა აქვს დაკარგული და ექიმი ახლა მართლა მოკლავს-მეთქი, მაგრამ მერე გონს მოვეგე. საამისოდ მეტისმეტად ბევრი მკვდარი გვყავდა ნა-

ნახი. — აი, — თქვა ექიმმა და გაიმართა. ტყვია გაწმინდა და მოხელეს მიაწოდა. — ისეთივეა. იმავე იარაღისაა. ჰო?

კიოსტერი დაიხარა და მოხელის ხელისგულზე წინ და უკან მოგორავე პატარა, მკრთალად მოლაპლაპე ტყვიები გულმოდგინედ დაათვალიერა — ჰო, — თქვა მან.

მოხელემ ტყვიები ქაღალდში გაახვია და ჯიბეში ჩაიდო.

— წესით, აკრძალულია, — თქვა მერე, — მაგრამ თუ სახლში გინდათ — მიასვენოთ... დანაშაულის შემადგენლობა ნათელია, არა, ბატონო ექიმო? — ექიმმა თავი დაუქნია, — თქვენ ხომ სასამართლოს ექიმიც ხართ, — განაგრძო მოხელემ, — ჰოდა... თქვენ როგორც იტყვით... უბრალოდ შეიძლება ხვალ კიდევ ერთი კომისია მოვიდეს...

— ვიცი, — უთხრა კიოსტერმა. — ხელს არაფერს ვახლებთ.

მოხელეები წავიდნენ.

ექიმმა გოტფრიდის ჭრილობები ისევ დაფარა — როგორ აპირებთ? თუ გნებავთ, საკაცე წაიღეთ. უბრალოდ, ხვალ დღის განმავლობაში გამოგვიგზავნეთ.

— დიახ, გმადლობთ, — თქვა კიოსტერმა, — წავედით, რობი.

— დაგეხმარებით, — თქვა სანიტარმა.

თავი გავაქნიე.

— ჩვენით ვიზამთ.

საკაცე ავწიეთ, გავიტანეთ და მარცხენა სკამებზე დავდეთ — გადაწეული საზურგით ერთიანი სიბრტყე გამოდიოდა. სანიტრები და ექიმები გამოვიდნენ და თვალს გვადევნებდნენ. გოტფრიდს მისი პალტო გადავაფარეთ და დავიძარით. ცოტა ხანში კიოსტერი მომიტრიალდა.

— ერთხელაც ჩავიაროთ. უკვე ჩავიარე. მაგრამ ადრე იყო ეგებ ახლა გამოიაროს.

თოვლი წამოვიდა. კიოსტერს მანქანა თითქმის უხმოდ დაჰყავდა. მოჭიდებას ნეიტრალურში აგდებდა და ზოგჯერ საერთოდ

აქრობდა. არ უნდოდა, ვინმეს მანქანის ხმა გაეგონა, თუმცა იმ ოთხმა, ვისაც ვეძებდით, არც იცოდა, რომ მანქანით ვართ. უხმოდ, თეთრი მოჩვენებასავით მივსრიალებდით. ბარდნიდა. ხელსაწყოებიდან ჩაქუჩი ამოვიღე და გვერდით დავიდე, რომ უმალვე მანქანიდან გადახტომა და დარტყმა შემძლებოდა. იმ ქუჩას გავუყევით, რომელზეც ყველაფერი მოხდა. ლამპიონის ქვეშ ჯერაც სისხლის შავი ლაქა იყო დარჩენილი. კიოსტერმა შუქი ჩააქრო. ზედ ტროტუარის პირს მივუყვებოდით და ქუჩას ვუთვალთვალებდით. არავინ ჩანდა. მხოლოდ განათებული დუქნიდან ისმოდა ხმები.

კიოსტერმა გზაჯვარედინთან გააჩერა.

— აქ იყავი, — მითხრა მან, — დუქანში შევიხედავ — წამოვალ, — მივუგე მე, — შემომხედა. ამ მზერას იმ დროიდან ვიცნობდი, როცა მარტო მიდიოდა ხოლმე დაზვერვაზე.

— დუქანში არ ვაპირებ — მითხრა მან, — იქ შეიძლება გამასწროს. უბრალოდ, ვნახავ, იქაა თუ არა.. მერე დაველოდებით. შენ აქ დარჩი, გოტფრიდთან.

თავი დავუქნიე და კიოსტერი თოვლის ქარბუქში გაუჩინარდა ფიფქები სახეზე მეცემოდა და ჩემს კანზე დნებოდა. უცებ ვერ ავიტანე, რომ გოტფრიდს რაღაც ჰქონდა გადაფარებული, თითქოს ჩვენთან აღარ იყო, და თავზე პალტო გადავხადე. ახლა თოვლი მასაც ეცემოდა, მის სახეს, თვალებს და პირს, მაგრამ არ დნებოდა. ცხვირსახოცი ამოვიღე, თოვლი გადავწმინდე და ისევ პალტო დავახურე.

კიოსტერი დაბრუნდა.

— არა?

— არა, — მითხრა მან.

ჩაჯდა.

— სხვა ქუჩებიც შემოვიაროთ. ისეთი გრძნობა მაქვს რომ ყოველ წამს შეიძლება შევხვდეთ.

— მანქანამ დაიღმუვლა და იმწამსვე დადუმდა ჩუმად მივიპარებოდით თეთრ, ქარბუქიან ღამეში, ყოველ ქუჩაზე ვუხვევდით, და მოსახვევში გოტფრიდს ხელს ვჭიდებდი, რომ არ ჩაცურებულიყო. ხანდახან რომელიმე დუქნიდან ას მეტრში ვაჩერებდით და კიოსტერი გრძელი ნახტომებით უკან ბრუნდებოდა ხოლმე, რომ დუქანში შეეხედა. ბნელი, ცივი, შეპყრობილი, ის არ ფიქრობდა, რომ ჯერ გოტფრიდი უნდა წაგვეყვანა. ორჯერ გადაწყვიტა, მაგრამ მერე ისევ გამოტრიალდა, რადგან ეგონა რომ სწორედ იმწამს ის ოთხი სადმე ქუჩაში იქნებოდა.

უცებ, ძალიან შორს, გრძელ, ცარიელ ქუჩაზე ადამიანების ბნელი ჯგუფი დავინახეთ. კიოსტერმა მანქანა მაშინვე ჩააქრო და უჩუმრად, ჩამქრალი ფარებით მივუახლოვდით. იმათ ჩვენი მისვლა არც გაუგიათ. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

— ოთხნი არიან, — წავჩურჩულე კიოსტერს.

იმწამსვე მანქანამ დაიღმუვლა, დარჩენილი ორასი მეტრი გაიფრინა, სანახევროდ ტროტუარზე ახტა და ღრჭიალით და სრიალით ოთხი აყვირებული ადამიანისგან ერთ მეტრში გაჩერდა. კიოსტერი სანახევროდ მანქანიდან იყო გადაკიდებული, ფოლადის მშვილდივით მოზიდული, გადასახტომად მომზადებული, და სიკვდილივით ულმობელი სახე ჰქონდა.

ოთხი უწყინარი, ხანშიშესული ადამიანი იყო, ერთი მათგანი — მთვრალი ლანძღვა-გინება ატეხეს კიოსტერს არაფერი უთქვამს გზა განვაგრძეთ.

— ოტო, — ვუთხარი მე, — დღეს ვერ ვიპოვით არა მგონია, ქუჩაში გამოსვლა გაბედოს.

— ჰო, ალბათ, — მითხრა ცოტა ხანში და მანქანა მოაბრუნა.

კიოსტერის სახლისკენ მივდიოდით. მის ოთახს ცალკე შესასვლელი ჰქონდა, არავის გაღვიძება არ მოგვიწევდა. როცა გადავედით, ვკითხე: — პოლიციას რატომ არ უთხარი, როგორ გამოი-

ყურებოდა? ძებნაში დაგვეხმარებოდნენ. თან კარგადაც დავინახეთ.

კიოსტერმა შემომხედა.

— იმიტომ, რომ მარტოები ვიზამთ, პოლიციის გარეშე. შენ რა გგონია... — ძალიან ჩუმი, მოგუდული და საშინელი ხმა გაუხდა, — პოლიციას გადავცემ? რომ ორიოდე წლით ციხეში ჩასვან? შენ ხომ იცი, მთელი ეს პროცესები რითაც მთავრდება! იმ ჯეელებმა იციან, რომ მოწყალე მოსამართლეებს იპოვიან! არ არსებობს! მეტსაც გეტყვი, პოლიციას რომ ეპოვა, ვეტყოდი, ეს არაა-მეთქი, მე რომ ჩამვარდნოდა ხელში! გოტფრიდი მკვდარი იყოს და ის — ცოცხალი? არ არსებობს!

საკაცე გადმოვიღეთ და თოვლსა და ქარბუქში გავიტანეთ, და ისე იყო, თითქოს ფლანდრიაში ვიყავით და მკვდარი მეგობარი სანგრიდან უკან მოგვყავდა.

ვიყიდეთ კუბო და ადგილი სათვისტომოს სასაფლაოზე. ნათელი, მზიანი დღე იყო, როცა დაკრძალეს. კუბოს სახურავი ჩვენ თვითონ დავახურეთ და — კიბეზე ჩავიტანეთ. ბევრი ხალხი არ გამოჰყოლია. ფერდინანდი, ვალენტინი, ალფონსი, ბარმენი ფრედი, გეორგი, იუპი, ქალბატონი შტოსი, გუსტავი, შტეფან გრიგოლაითი და როზა. სასაფლაოს ჭიშკართან ლოდინი მოგვიწია. ჩვენამდე ორი სამგლოვიარო პროცესია მოვიდა, ჯერ ისინი უნდა გაგვეშვა. ერთი — შავი დამკრძალავი მანქანით იყო მოსული, მეორე — შავად და ვერცხლისფრად შეკაზმული ცხენებით და ჭირისუფლების უსასრულო მწკრივით. ჭირისუფლები ერთმანეთს გამალებით ელაპარაკებოდნენ. კუბო მანქანიდან გადმოვდგით და თოკებით ჩვენვე ჩავუშვით. მესაფლავე კმაყოფილი დარჩა, იმიტომ რომ სხვა საფლავებთანაც ბევრი საქმე ჰქონდა. მოძღვარიც მოვიწვიეთ არ ვიცოდით გოტფრიდი რას იტყოდა, ეს ვალენტინის იდეა იყო. მღვდელს ვთხოვეთ, სიტყვას ნუ იტყვი-თქო. მხოლოდ ბიბლიის ტექსტი უნდა წაეკითხა. მოხუცი, ახლომხედველი კაცი

იყო. საფლავთან როცა მივიდა, მიწის ბელტს ფეხი წამოკრა და საფლავში გადაეშვებოდა, კიოსტერს და ვალენტინს რომ არ დაეჭირათ. მაგრამ წაქცევისას ბიბლიაც გაუვარდა და სათვალეც, რომელიც იმწამს ჰქონდა ცხვირზე მორგებული, და საფლავში ჩაუცვივდა. მღვდელი დაზაფრული ჩასცქეროდა.

— დაანებეთ, მამაო, — უთხრა ვალენტინმა, — ახალს გიყიდით. — წიგნს არ ვჩივი, — თქვა ჩუმად მამაომ, — სათვალე მჭირდება. ვალენტინმა სასაფლაოს ცოცხალ მესერს ტოტი მოატეხა. მერე საფლავთან ჩაიმუხლა და იმდენი მოახერხა, ტოტი სათვალის კეხს გამოსდო და თაიგულებიდან ამოაცოცა. ოქროსი იყო. იქნებ ამიტომაც უნდოდა მღვდელს მისი დაბრუნება. ბიბლია კუბოს გვერდით ჩასრიალებულიყო. მის საპოვნელად კუბოს ამოღება გახდებოდა საჭირო. ეს არც მღვდელს უნდოდა. დაბნეული იდგა.

— ამის ნაცვლად რამდენიმე სიტყვა ხომ არ ვთქვა? — იკითხა მან. — დაანებეთ, ბატონო მღვდელო, — თქვა ფერდინანდმა, — ქვეშ მთელი აღთქმა აქვს ამოდებული.

ამოთხრილ მიწას მკვეთრი სუნი ასდიოდა ერთ ბელტში თეთრ ქამა სოკოს წამოეყო თავი. მერე, როცა მიწას დააყრიდნენ, ის ქვემოთ სიცოცხლეს განაგრძობდა, გამრავლდებოდა და მომავალ წელს ბელტს გაანგრევდა, დღის სინათლეზე გამოაღწევდა. გოტფრიდი კი მკვდარი იყო. ჩამქრალი. მის საფლავთან ვიდექით, ვიცოდით, რომ მისი სხეული, მისი თმა, მისი თვალები ჯერ კიდევ აქ იყო, უკვე შეცვლილი, მაგრამ ჯერ აქ იყო, და რომ მაინც წასული იყო და აღარასდროს დაბრუნდებოდა. წარმოუდგენელია. ჩვენი კანი თბილია, ფიქრი მოგვდის, გული სისხლს ძარღვებში მიერეკება, ისეთები ვართ, როგორებიც ადრე ვიყავით, როგორებიც გუშინ ვიყავით, არც ხელი დაგვიკარგავს, არც დავბრმავებულვართ და არც დავმუნჯებულვართ, ყველაფერი ძველებურადაა, და ახლა ჩვენ წავალთ და გოტფრიდ ლენცი დარჩება და აღარასოდეს შემოგვიერთდება. წარმოუდგენელია.

ბელტები კუბოს ეხეთქებოდა. მესაფლავემ ნიჩბები მოგვცა და ჩვენ ვმარხავდით — მე, ვალენტინი, კიოსტერი, ალფონსი, ისევე ვმარხავდით, როგორც უკვე არაერთი მეგობარი დაგვემარხა, თავში ძველი, ნაღვლიანი ჯარისკაცული სიმღერა ამიგუგუნდა, რომელსაც ის ხშირად მღეროდა ხოლმე:

„არგონის ტყეო, არგონის ტყეო, მალე მდუმარე სასაფლაო იქნები...“. — ალფონსს უბრალო, შავი, ხის ჯვარი ჰქონდა მოტანილი, ისეთი ჯვარი, საფრანგეთში, უსასრულო საფლავების რიგებში რომ ათიათასობით დგას. საფლავის თავთან ჩავდგით.

— წავედით, — თქვა ბოლოს ხრინწიანად ვალენტინმა.

— ჰო, — თქვა კიოსტერმა.

მაგრამ არ განძრეულა. არც ერთი არ გავნძრეულვართ ვალენტინმა თვალი მოგვავლო.

— რისთვის? — თქვა ნელა. — რისი გულისთვის? დასწყევლოს ღმერთმა! პასუხი არავის გაუცია.

მოხრეშილ გზას გასასვლელისკენ გავუყევით. ჭიშკართან ფრედი, გეორგი და დანარჩენები გველოდნენ.

— ისეთი საოცარი სიცილი იცოდა, — თქვა შტეფან გრიგოლაითმა და უძლურ, გაცოფებულ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა.

მოვიხედე. არავინ მოგვყვებოდა.

25

თებერვალში მე და კიოსტერი სახელოსნოში უკანასკნელად ვისხედით. გაყიდვა მოგვიწია. ახლა აუქციონერს ველოდით, რომ დარჩენილი ნივთები და მანქანაც ფულად გვექცია. გაზაფხულიდან კიოსტერი პატარა საავტომობილო ფირმაში ავტომრბოლელობას აპირებდა. მე კაფე „ინტერნაციონალში“ დავრჩი, თან ვეცდებოდი, დღის განმავლობაში კიდევ რამე საქმე მეშოვა, რომ მეტი ფული გამეკეთებინა.

ეზოში ნელ-ნელა ხალხი მოგროვდა. აუქციონერი მოვიდა.

— გახვალ, ოტო? — ვკითხე მე.

რატომ? ყველაფერი გარეთაა, და იმ კაცმაც ყველაფერი იცის. კიოსტერი დაღლილი ჩანდა. იოლად ვერ შეატყობდი, მაგრამ ვინც კარგად იცნობდა, მიხვდებოდა — დაღლილი იყო. ჩვეულებრივზე უფრო დაძაბული და მტკიცე სახე ჰქონდა. ყოველ საღამოს ერთსა და იმავე უბანში ტრიალებდა. გოტფრიდის მკვლელის სახელი, რა ხანია, იცოდა უბრალოდ, ვერ პოულობდა — იმას, პოლიციის შიშით, ბინა გამოეცვალა, და სადღაც იმალებოდა. ეს

ყველაფერი ალფონსმა გაარკვია. ისიც ჩასაფრებული იყო. შეიძლება, ის ჯეელი ქალაქში აღარც დარჩა. მან არ იცოდა, რომ კიოსტერი და ალფონსი დასდევდნენ, და ისინიც ელოდნენ როდის დამშვიდდებოდა და დაბრუნდებოდა.

— გავალ და დავხედავ, ოტო, — ვუთხარი მე.

— კარგი.

ეზოში გავედი. ჩვენი ხელსაწყოების მაგიდები და დანარჩენი ნივთები შუა ეზოში ეწყო. მარჯვნივ, კედელთან, ტაქსი იდგა. გავრეცხეთ. შალითებს და საბურავებს თვალი შევავლე. გოტფრიდი ტაქსის ჩვენს ყოჩაღ მეწველ ძროხას ეძახდა. მასთან განშორება მიმძიმდა.

ვიღაცა მხარზე შემეხო. გაკვირვებულმა მოვიხედე. ჩემ წინ ახალგაზრდა, უსიამოვნოდ ცქვიტი კაცი იდგა, ქამრიანი პალტოთი. თვალები მოჭუტა და ბამბუკის ხელჯოხი გაიქნია.

— სალამი! მე თქვენ გიცნობთ!

მომაგონდა.

— გვიდო თისი „აუდეკადან“!

— დიახ! — თქვა თვითკმაყოფილმა ქამროსანმა, — მაშინაც ამ ძონძის — გამო გადავეყარეთ. თან ვიღაც გულისამრევი ტიპი გახლდათ კინაღამ გავარტყი.

იმის წარმოდგენაზე, რომ კიოსტერს გაარტყამდა, ჩემდაუნებურად სახე დამემანჭა. თისმა ეს ღიმილად ჩათვალა და საკმაოდ გაფუჭებული კბილები გამოაჩინა.

— კაი, დავივიწყეთ, გვიდო ბოღმიანი კაცი არაა. მაშინ ბაბუში სასწაული ფასი მიეცით. გიღირდათ კია?

— კი, — ვუთხარი მე, — კარგი მანქანაა.

თისმა დაიკიკინა.

— დაგეჯერებინათ ჩემთვის და მეტს მოიგებდით მეც მოვიგებდი. კაი, დავივიწყეთ! შევრიგდით და გავიარეთ! მაგრამ დღეს შეგვიძლია მოვრიგდეთ, ეს ყუთი ხუთას მარკად გავასაღოთ. აქ

ხომ მეტს კაციშვილი არ შემოგთავაზებთ. მოსულა?

მივხვდი. ეგონა, რომ მაშინ მანქანა გადავყიდეთ, არ იცოდა, რომ ეს ჩვენი სახელოსნო იყო. პირიქით, ფიქრობდა, რომ მანქანის კვლავ ყიდვას ვაპირებდით.

— მანქანა დღესაც ხუთასი ღირს ვუთხარი მე. — ეს ტაქსის შეღავათების გარეშე.

— დიახაც, — თქვა გვიდომ ბეჯითად, — ხუთასამდე ავალთ, ანუ ავალ. როგორც კი მომყიდიან, სამას ორმოცდაათს ხელში ჩაგითვლით. — ვერ ვიზამ, — ვუთხარი მე, — მანქანის კლიენტი უკვე მყავს. — მოიცა... — კიდევ რაღაცის შემოთავაზება უნდოდა.

— აზრი არა აქვს... — ეზოს ცენტრისკენ წავედი ვიცოდი, ათას ორასამდე იყო ამსვლელი.

აუქციონერი საქმეს შეუდგა. ჯერ ავეჯით და მსგავსებით დაიწყო. ბევრი ვერაფერი. არც ხელსაწყოებით გვიხეირია. მერე მანქანის ჯერი დადგა. პირველი შეთავაზება სამასი მარკა იყო.

— ოთხასი, — თქვა გვიდომ.

— ოთხას ორმოცდაათი, — თქვა კარგა ხნის მერე დურგლისპერანგიანმა კაცმა, არცთუ მტკიცედ.

— გვიდო ხუთასამდე ავიდა. აუქციონერმა კითხვა გაიმეორა. პერანგიანი კაცი დუმდა. გვიდომ თვალი ჩამიკრა და ოთხი თითი ასწია.

— ექვსასი, — ვთქვი მე.

გვიდომ თავი გააქნია და შვიდასიო. მე ვაჭრობა განვაგრძე. გვიდო დაიბნა და გამომყვა. ათასზე ისევ რაღაც მანიშნა და თითებით ამიხსნა, ასზე მეტს ვერ მიიღებო. ათას ათი თქვა. ათას ასზე რომ ავედით, გაწითლდა და გაბრაზდა, მაგრამ ათას ას ათი კი ამოშაქრა. ათას ას ოთხმოცდაათამდე მივედი და მის ათას ორასს დაველოდე. მერე გავჩერდებოდი.

მაგრამ გვიდო გაცოფდა. ბრაზობდა, რომ მოტეხეს, და უცებ ათას სამასი დაახეთქა. სწრაფად ვფიქრობდი. მართლა ყიდვა

რომ ნდომოდა, ნამდვილად ათას ორასზე გაჩერდებოდა. ახლა შურისძიების ამბავი იყო. ჩვენი საუბრის მერე დაასკვნა, რომ თხუთმეტი ათასი მქონდა მხოლოდ, და საფრთხეს ვერ ხედავდა.

— ათას სამას ათი, — ვთქვი მე.

— ათას ოთხასი, — თქვა სასწრაფოდ გვიდომ.

— ათას ოთხას ათი, — ვჭოჭმანობდი შემეშინდა, არ გადამაგდოს- მეთქი.

— ათას ოთხას ოთხმოცდაათი! — გვიდომ გამარჯვებული და დამცინავი სახე მიიღო. ეგონა, რომ გუნება მაგრად მომიშხამა. — მის მზერას გავუძელი და გავჩუმდი. აუქციონერმა კითხვა გაიმეორა, ერთხელ, მეორედ, მერე ჩაქუჩი ასწია. იმწამს, როცა მანქანა გვიდოსი გახდა, მის სახეზე ტრიუმფი უზომო გაკვირვებით შეიცვალა დაბნეული მომადგა.

— მე მეგონა, გინდოდათ...

— არა, — ვუთხარი მე.

წელში გასწორდა და თავი მოიფხანა.

— ჯანდაბა! ჩემი ფირმისთვის ამის ახსნა რთული საქმე იქნება. მეგონა, ათას ხუთასზე ახვიდოდით. რაც არი, არი, ამჯერად მაინც ხომ ზედ ცხვირწინ აგაცალეთ!

— ასეც უნდა გექნათ, — ვუთხარი მე.

გვიდომ ვერ გაიგო. მხოლოდ მაშინ მიხვდა ყველაფერს ერთბაშად, როცა ჩვენკენ მომავალი კიოსტერი დაინახა, და ხელი თმაში წაივლო. — ღმერთო მაღალო, მანქანა თქვენი იყო? რა ვირი ვარ, ბრიყვი და ვირი! გამაბრიყვეს! გამაცუცურაკეს! ბიჭო, გვიდო, ეს რა მოგივიდა! რადროინდელ ხაფანგში ჩავარდი! კაი, დავივიწყეთ. ყველაზე მაგარი ბიჭები მუდამ წვრილმანს წამოეგებიან ხოლმე. შემდეგ ჯერზე მაინც ამოვიღებ ჩემსას.

საჭეს მიუჯდა და წავიდა. მანქანას თვალი გავაყოლეთ დიდად არ გვიხაროდა.

ნაშუადღევს მატილდა შტოსი მოვიდა. ბოლო თვის ფული გვქონდა გადასახდელი. კიოსტერმა ფული მისცა და შესთავაზა, სახელოსნოს ახალ მფლობელთან კვლავ დამლაგებლის ადგილის მიღება ეცადა. იუპიც მას გადავაბარეთ. მაგრამ მატილდამ თავი გააქნია.

— არა, ბატონო კიოსტერ, მე მოვრჩი. ძვლები აღარ მემორჩილება — აბა, რას იზამთ? — ვკითხე მე.

— ჩემს გოგოსთან მივდივარ ბუნცლაუშია გათხოვილი იცით ბუნცლაუ?

— არა, მატილდა.

— ბატონმა კიოსტერმა ხომ იცის?

— არც მე ვიცი, ქალბატონო შტოს.

— უცნაურია, — თქვა მატილდამ, — ბუნცლაუ კაციშვილმა არ იცის. ბევრს ვკითხე. არადა, ჩემი შვილი თორმეტი წელია, იქაა გათხოვილი კანცელარიის მდივანს გაჰყვა.

— მაშინ ბუნცლაუც იარსებებს. ნამდვილად. თუკი კანცელარიის მდივანი იქ ცხოვრობს...

— ეგ კი. მაგრამ მაინც უცნაურია, რომ არავინ იცის, არა?

დავეთანხმეთ.

— ამდენ ხანს ერთხელაც რატომ არ ჩახვედით? — ვკითხე მე.

მატილდამ ჩაიღიმა.

— იყო რაღაცა. მაგრამ ახლა ბავშვებთან უნდა ჩავიდე. უკვე ოთხი — ჰყავთ. პატარა ედუარდიც მოდის.

— მე მგონი, ბუნცლაუს მიდამოში მაგარი არაყი იციან, — ვუთხარი მე, — ქლიავის არაყი თუ რაღაც ეგეთი...

მატილდამ გამაჩერა.

— ეგაა სწორედ. ჩემი სიძე არ სვამს ეგ ხალხი საერთოდ არ სვამს. კიოსტერმა ცარიელი თაროებიდან ბოლო ბოთლი გადმოიღო.

— აბა, ქალბატონო შტოს, მაშინ დამშვიდობებისა ერთად უნდა

დავლიოთ.

— თანახმა ვარ, — თქვა მატილდამ.

კიოსტერმა ჭიქები მაგიდაზე დადგა და ჩამოასხა. მატილდამ რომი ისეთი სიჩქარით ჩაისხა, თითქოს საცერში გაეტარებინოს. ზედა ტუჩი მაგრად უცახცახებდა, ულვაში უთრთოდა.

— თითოც? — ვკითხე — უარს არ ვიტყვი.

დიდი ჭიქა შევუვსეთ, მერე დაგვემშვიდობა.

— ბუნცლაუში წარმატებებს გისურვებთ, — ვუთხარი მე..

— ჰო, დიდი მადლობა, მაგრამ მაინც უცნაურია, რომ არავინ იცის, არა? ქანაობით გავიდა. ერთხანს კიდევ ვიდექით დაცარიელებულ სახელოსნოში.

— წავიდეთ, რას იტყვი? — თქვა კიოსტერმა.

— ჰო, ვუთხარი მე, — აქ აღარაფერი გვესაქმება.

კარი დავკეტეთ და გარეთ გავედით. მერე კარლი გამოვიყვანეთ სიახლოვეში, გარაჟში იდგა, არ გაგვიყიდია. ბანკში და ფოსტაში გავიარეთ და კიოსტერმა ფული აუქციონერთან გადარიცხა. როცა დაბრუნდა, მითხრა.

— წავალ, დავიძინებ. მერე სად იქნები?

— დღეს მთელი საღამო მცალია, დავეთხოვე.

— კარგი, მაშინ რვისთვის გამოგივლი.

ქალაქგარეთ პატარა დუქანში ვჭამეთ და მერე ისევ დავბრუნდით პირველივე ქუჩაზე წინა ბორბალი გაგვისკდა. გამოვცვალეთ. კარლი დიდი ხნის გაურეცხავი იყო და მეც გავისვარე.

— ხელები უნდა დავიბანო, ოტო, — ვუთხარი მე.

იქვე შედარებით დიდი კაფე იყო. შევედით და შესასვლელთან დავსხედით. ჩვენდა გასაოცრად, კაფე თითქმის სავსე იყო. ქალების ჯგუფი — უკრავდა და დიდი მისვლა-მოსვლა იყო ატეხილი. მუსიკოსებს ფერადი ქაღალდის ქუდები ეხურათ, სტუმრების ნაწილიც გადაცმული იყო, მაგიდების თავზე ქაღალდის ლენტები

დაფრინავდა, ბუშტები აუშვეს, მიმტანები დატვირთული სინებით დარბოდნენ, და მთელ დარბაზში დიდი მოძრაობა, სიცილი და ხმაური იყო ატეხილი.

— აქ რა ხდება? — იკითხა კიოსტერმა.

ჩვენ გვერდით მდგომმა ქერა გოგომ კონფეტის ღრუბელი დაგვაფრქვია თავზე.

— საიდან ხართ? — გაგვიცინა მან, — არ იცით, დღეს რომ ყველიერი — დაიწყო?

— გასაგებია — ვთქვი მე, კაი მაშინ წავალ, ხელებს დავიბან პირსაბანებამდე მისასვლელად მთელი დარბაზის გადაკვეთა მომიწია. ერთხანს შევფერხდი — ვიღაც მთვრალები ქალს ექაჩებოდნენ, რომ ამდგარიყო და ემღერა. ქალი კივილ-წივილით უარობდა, მაგიდა აყირავდა და მას მთელი საზოგადოება მიჰყვა. ვიცდიდი, სანამ გასასვლელს გაათავისუფლებდნენ — და უცებ თითქოს დენმა დამარტყა. გაქვავებული და გაშტერებული ვიდექი, კაფე გაუჩინარდა, აღარც ხმაური მესმოდა, აღარც მუსიკა, მხოლოდ გაურკვეველი, ჩაქროლებული ჩრდილები დარჩა, მაგრამ გარკვევით, წარმოუდგენლად მკვეთრად და ნათლად ვხედავდი მაგიდას, ერთადერთ მაგიდას, და მაგიდასთან — ახალგაზრდას რომელსაც თავზე ჯამბაზის ქუდი მოქცეოდა და ცალი ხელით ნასვამ გოგოს იყო მოხვეული. ვხედავდი მის შუშასავით, სულელ თვალებს ძალიან წვრილ ტუჩებს, და მაგიდის ქვეშ — ყვითელ, თვალშისაცემ, გაპრიალებულ, ყვითელი ტყავის გამაშებს...

მიმტანი დამეჯახა. გზა მთვრალივით გავაგრძელე და მერე გავჩერდი. საშინლად მცხელოდა, მაგრამ ვკანკალებდი. ხელები სულ სველი მქონდა. ახლა მაგიდასთან სხვა ხალხიც დავინახე. გავიგონე, რომ გუნდს გამომწვევი სახით აჰყვნენ, რაღაც სიმღერას მღეროდნენ და ლუდის კათხებს მაგიდას რიტმულად უბრახუნებდნენ. ისევ ვიღაც დამეჯახა. — გასასვლელს ნუ ხერგავთ, —

დამიღრინა მან.

გზა მექანიკურად განვაგრძე, პირსაბანს მივაგენი, ხელი დავიბანე. ეს მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, როცა ხელი ლამის მომეხარშა მერე დავბრუნდი, — რა გჭირს? — მკითხა კიოსტერმა.

ვერ ვუპასუხე.

— ცუდად ხარ? — მკითხა მან.

თავი გავაქნიე და მაგიდას გავხედე, საიდანაც ქერა გოგო იცქირებოდა უცებ კიოსტერს ფერი წაუვიდა. თვალები დაუწვრილდა ჩემკენ დაიხარა. — ჰოო? — მკითხა ძალიან ჩუმად.

— ჰო, — ვუპასუხე მე — სად?

იმ მხარეს გავიხედე.

კიოსტერი ნელა ადგა. თითქოს გველი წამოიმართა.

— დაიცა, — წავჩურჩულე მე, — აქ არა, ოტო!

ხელი გააქნია და ნელა წავიდა. მზად ვიყავი, მივყოლოდი. ვიღაც ქალმა მწვანედ და წითლად შეღებილი ქაღალდის ქუდი დაახურა და კისერზე დაეკიდა. ისე ჩამოვარდა, რომ კიოსტერი არც განძრეულა, და გაკვირვებული მიაჩერდა. ოტომ კაფეს წრე დაარტყა და დაბრუნდა — წასულა, — მითხრა მან.

ავდექი და დარბაზს გადავხედე. კიოსტერი მართალი იყო.

— შენ ფიქრობ, მიცნო? — ვკითხე მე.

კიოსტერმა მხრები აიჩეჩა ახლაღა შეამჩნია, რომ ქაღალდის ქუდი ეხურა და მოიძრო.

— არ მესმის, — ვუთხარი მე, — პირსაბანებთან ხომ, დიდი-დიდი, ერთი-ორი წუთი ვიყავი.

— თხუთმეტ წუთზე დიდხანს იყავი წასული.

— რა? — მაგიდას ერთხელაც გავხედე, — სხვებიც წასულან გოგოც ახლდათ, ისიც აღარაა. რომ ვეცნე, მარტო გაქრებოდა კიოსტერმა მიმტანს უხმო.

— აქ მეორე გასასვლელიც არსებობს?

— კი, იქით, მეორე მხარეს. ჰარდენბერგის ქუჩაზე გადის.

კიოსტერმა ჯიბიდან ფული ამოიღო და მიმტანს მისცა.

— წამოდი, — მითხრა.

— აფსუს, — თქვა ქერა გოგომ და გაიღიმა — რა სერიოზული კავალრები იყვნენ.

გარეთ ქარი გვეცა. კაფეს ცხელი ბუღის მერე აქაურობა საყინულედ გვეჩვენა.

— სახლში წადი, — მითხრა კიოსტერმა.

— ბევრნი იყვნენ, — ვუთხარი და ჩავუჯექი.

მანქანა გაქროლდა. კაფეს გარშემო ყველა ქუჩა მოვიარეთ მაგრამ ვერაფერი ვნახეთ. როგორც იქნა, კიოსტერმა მანქანა გაჩერა. — გაგვექცა, — მითხრა მან. — მაგრამ ეგ არაფერი ახლა ნამდვილად ვიპოვით.

— ოტო, — ვუთხარი მე, — უნდა შევეშვათ.

შემომხედა.

— გოტფრიდი მკვდარია, — მე თვითომ მიკვირდა რომ ამას ვამბობდი, — ამის გამო არ გაცოცხლდება.

კიოსტერი ისევ მიყურებდა.

— რობი, — ნელა დაიწყო, — მე აღარ ვიცი, რამდენი კაცი მოვკალი მაგრამ ჯერაც მახსოვს, ერთ ახალგაზრდა ინგლისელს როგორ ვესროლე. იარაღმა გაუჭედა, ვეღარ გადატენა და ვეღარაფერს შვრებოდა. ავტომატით მივდევდი, რამდენიმე ნაბიჯში, და ძალიან კარგად დავინახე მისი შეშინებული, ბავშვური სახე, თვალებში ჩამდგარი შიში. მისი პირველი გაფრენა იყო, ეს მერე დავადგინეთ, და ჯერ თვრამეტისაც არ იყო. და ამ შეშინებულ, უსუსურ, ლამაზ, ბავშვურ სახეში ერთი-ორი მეტრიდან ავტომატის მთელი მჭიდი დავაცალე, ისე, რომ თავი გაუსკდა, ქათმის კვერცხივით. იმ ბიჭს არ ვიცნობდი, მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია. მაშინ ჩვეულებრივზე დიდი დრო დამჭირდა, სანამ დავივიწყებდი, სანამ სინდისს ჩავიკლავდი ამ წყეული გამოთქმით: ომი

ომია. მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: თუ ის კაცი ვნახე, ვინც გოტ-ფრიდს ესროლა, ვინც, სრულიად უმიზეზოდ, ძაღლივით მოკლა, და თუ ის კაცი არ მოვკალი, მაშინ ის, რაც ინგლისელთან გავაკეთე, საშინელი დანაშაული იქნება. გესმის, რას გეუბნები?

— კი, — ვუთხარი მე.

— ახლა კი სახლში წადი. მე ეს საქმე დასამთავრებელი მაქვს. გალავანივითაა. გზას ვერ გავაგრძელებ, სანამ ამას არ მოვიშორებ.

— სახლში არ წავალ, ოტო. თუ ასეა, ერთად ვიყოთ.

— სისულელეა, — მითხრა მოუთმენლად, — არაფერში მჭირდები. რომ დაინახა, რომ რაღაცის თქმას ვაპირებდი, ხელი ასწია.

— ფრთხილად ვიქნები! მარტოს შევხვდები, სხვების გარეშე, სულ მარტოს! ნუ გეშინია.

მანქანიდან სასწრაფოდ გადამსვა და მაშინვე გაქროლდა. ვიცოდი, ვერ გავაჩერებდი. ისიც ვიცოდი, თან რატომ არ წამიყვანა. პატის გამო. გოტფრიდს წაიყვანდა.

ალფონსთან წავედი. ის ერთადერთი იყო, ვისთანაც საუბარი შემეძლო. მინდოდა, რჩევა მეკითხა, რა უნდა გვექნა. მაგრამ ალფონსი არ დამხვდა. ვიღაც ნამძინარევმა გოგომ მითხრა, ერთი საათის წინ შეკრებაზე წავიდაო. მაგიდას მივუჯექი, ველოდებოდი. — დუქანი ცარიელი იყო. მხოლოდ ბარის თავზე ენთო პატარა ნათურა. გოგო ისევ დაჯდა და დაიძინა. ოტოზე და გოტ-ფრიდზე ვფიქრობდი, ფანჯრიდან ქუჩას გავცქეროდი, რომელსაც ახლა სახურავების თავზე ამოწვერილი მთვარე დაჰნათოდა, ვფიქრობდი საფლავზე ხის ჯვრითა და ფოლადის მუზარადით, და უცებ შევამჩნიე, რომ ვტიროდი. ცრემლები მოვიწმინდე. ცოტა ხანში სახლში სწრაფი, ჩუმი ნაბიჯები გაისმა. ეზოში გამავალი კარი გაიღო და ალფონსმა შემოაბიჯა, სახე ოფლისგან უპრიალებდა.

— მე ვარ, ალფონს, — ვუთხარი მე.

— მოდი აქ, ჩქარა!

ბარის უკან, ხელმარჯვნივ, ოთახში შევყევი ალფონსი კარადასთან მივიდა და ორი ძველი, სამხედრო სახვევების პაკეტი გამოიღო. — გადამიხვიე, რა, — მითხრა და შარვალი უხმაუროდ გაიხადა. — ბარძაყი გაგლეჯილი ჰქონდა.

— ნასროლს ჰგავს, — ვუთხარი მე.

— ეგაა, — დაიღრინა ალფონსმა, — მიდი, გადაახვიე!

— ალფონს, — ვთქვი და გავიმართე, — ოტო სადაა?

— მე რა ვიცი, ოტო სადაა, — ჩაიბუზღუნა და ჭრილობას ხელი მოუჭირა. — ერთად არ იყავი?

— არა.

— არ გინახავს?

— აზრზე არა ვარ. ორივე დაძენძე და დამადე. მხოლოდ ნაიარევი დამრჩება.

კვლავ ბუზღუნებდა და თავის ჭრილობას ათვალიერებდა — ალფონს, — ვუთხარი მე, — ჩვენ ის... შენ ხომ იცი, გოტფრიდის დღეს საღამოს ვნახეთ, და ოტო დასდევს.

— რაო? ოტო? — უცებ გამოფხიზლდა, — სადაა? რაღა აზრი აქვს? მოშორდეს!

— არ შორდება.

ალფონსმა მაკრატელი მოიქნია.

— წადი! იცი, სადაა? გაქრეს. უთხარი, რომ გოტფრიდის ამბავი მორჩა. მაგაზე ადრე გავიგე! ხომ ხედავ! მესროლა, მაგრამ ხელში ჩავარტყი. მერე მე ვესროლე. ოტო სადაა?

— სადღაც, მიონკის ქუჩასთან ტრიალებს.

— დიდება ღმერთს! იქ, რა ხანია, აღარ ცხოვრობს მაგრამ ოტო მაინც მოაშორე იქაურობას.

ტელეფონთან მივედი და ტაქსის გაჩერებაზე დავრეკე, სადაც, ჩვეულებრივ, გუსტავი იდგა ხოლმე. ადგილზე დამხვდა.

— გუსტავ, — ვუთხარი მე, — ვიზენის ქუჩის და ბელვიუს მოედნის კუთხეში მომაკითხავ? სასწრაფოდ. აქ დაგელოდები, — მოსულა, ათ წუთში მანდ ვარ.

ყურმილი დავკიდე და ალფონსთან დავბრუნდი. სხვა შარვალი ჩაიცვა.

— არ ვიცოდი, რომ სადღაც დახეტიალებდით, — მითხრა მან. სახე ჯერაც სველი ჰქონდა, — აჯობებდა, სადმე მსხდარიყავით ალიბის გამო. ხომ შეიძლება, მერე გკითხონ. კაცმა არ იცის...

— შენ შენს თავზე იფიქრე, — ვუთხარი მე.

— მოიცა, რა! — ჩვეულებრივზე სწრაფად ლაპარაკობდა, — მარტოები ვიყავით. ოთახში ველოდებოდი. ფანჩატურშია. ირგვლივ არავინ ცხოვრობს. გარდა ამისა, თავდაცვა გამოდის. როგორც კი შემოვიდა, მესროლა. ალიბი არ მჭირდება. თუ მომინდება, ერთი დუჟინი მექნება.

მიყურებდა. სკამზე იჯდა, სველი, ფართო სახე ჩემკენ ჰქონდა მობრუნებული, თმა ოფლიანი ჰქონდა, დიდი პირი — მოქცეული, და მისი თვალები უცებ აუტანელი საყურებელი გახდა — იმდენი ტანჯვა, ტკივილი და სიყვარული ჩაუდგა, გაშიშვლებული და სასოწარკვეთილი.

— ახლა გოტფრიდიც მოისვენებს, — თქვა მან ჩუმად, ჩახლეჩილი ხმით, — ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ვერ ისვენებდა მის წინ მდუმარედ ვიდექი.

— წადი ახლა, — მითხრა მან.

— დარბაზიდან გავედი. გოგოს ისევ ეძინა. ხმამაღლა სუნთქავდა გარეთ მთვარე ამოსულიყო და კაშკაშებდა. ბელვიუს მოედანზე გავედი. მთვარის შუქში სახლების ფანჯრები სარკესავით ლაპლაპებდა. ქარი ჩადგა. სრული სიჩუმე იყო.

ორიოდე წუთში გუსტავიც მოვიდა.

— რა მოხდა, რობერტ? — მკითხა მან.

— დღეს საღამოს მანქანა მოგვპარეს. ახლა მითხრეს მიონკის

ქუჩის სიახლოვეს უნახავთ. გამიყვან?

— აბა, რა! — გუსტავი დაფაცურდა, — რას აღარ იპარავენ! ყოველ დღე ორ მანქანას მაინც. მაგრამ, ძირითადად, მხოლოდ დასეირნობენ მერე, ბენზინი რომ დაუმთავრდებათ იქვე აგდებენ.

— ჰო, ჩვენი ამბავიც ეგ იქნება.

გუსტავმა მიამბო, რომ მალე დაქორწინებას აპირებდა. ბავშვს ელის, სხვა გზა არაა. მიონკის ქუჩა და მისი გადამკვეთებიც მოვიარეთ. — აგერაა! — შესძახა უცებ გუსტავმა.

მანქანა მოფარებულ, ბნელ ჩიხში იდგა. ჩავჯექი, გასაღები ამოვიღე და დავქოქე.

— წესრიგშია, გუსტავ — ვუთხარი მე, — დიდი მადლობა, რომ მომიყვანე.

— თითო არ დავლიოთ? მკითხა მან — არა, დღეს არა. ხვალ. ახლა გასაქცევი ვარ.

ჯიბეში ხელი ჩავიყავი, რომ მგზავრობისა გადამეხადა.

— გაგიჟდი? — მკითხა მან.

— მადლობა, გუსტავ. აღარ გაგაჩერებ.

— მომპარავი ბიჭები ხომ არ დაგვეჭირა სადმე, რას იტყვი?

— არა, არა, დიდი ხნის წასულები იქნებიან, — უცებ მოუთმენლობამ შემომიტია, — ნახვამდის, გუსტავ.

— ბენზინი გეყოფა?

— კი, ბლომადაა. დავხედე. აბა, ღამე მშვიდობისა.

დავიძარი. ერთხანს დავიცადე, მერე გავყევი, მიონკის ქუჩაზე გავედი და მესამე გასასვლელიდან ნელ-ნელა დავუყევი. უკან რომ მოვბრუნდი, კიოსტერი კუთხეში იდგა.

— ეს როგორ გავიგო?

— ჩაჯექი, — ვუთხარი სწრაფად, — აქ დგომა აღარ გჭირდება ალფონსმაც იცოდა. ის... ის უკვე შეხვდა.

— მერე?

— ჰო, — ვუთხარი მე.

კიოსტერი მდუმარედ ჩაჯდა. საჭესთან არ დამჯდარა, ჩემ გვერდით, სკამზე დაეშვა, ცოტა მოიკუნტა, და წავედით — ჩემთან ავიდეთ? — ვკითხე მე.

თავი დამიქნია. გაზი მივეცი და არხის ნაპირს გავუყევი. მხოლოდ წყალი იყო განიერი, ვერცხლისფერი ზოლი. მოპირდაპირე მხარეს ჩრდილში მდგომი ფარდულები კუპრივით შავად მოჩანდა. მაგრამ გზას მკრთალი ცისფერი დაჰკრავდა, და საბურავები ზედ ისე მიცურავდა, თითქოს უხილავი თოვლი ყოფილიყო, სახურავების თავზე ტაძრის განიერი, ბაროკოს კოშკები აღმართულიყო. შორეული, ფოსფორივით მოციმციმე ცის ფონზე მწვანედ და ვერცხლისფრად ანათებდნენ, და მთვარე დიდი, მანათობელი ბურთივით ეკიდა.

— მიხარია, რომ ასე მოხდა, ოტო, — ვუთხარი მე.

— მე არა, — მომიგო პასუხად.

ქალბატონ ცალევსკისთან ჯერაც შუქი ენთო. კარი რომ გავაღე, სალონიდან გამოვიდა.

— თქვენთვის ტელეგრამაა, — მითხრა მან.

— ტელეგრამა? — ვიკითხე გაკვირვებულმა. ჯერაც ამ საღამოზე ვფიქრობდი. მერე მივხვდი, რას მეუბნებოდა, და ოთახში შევვარდი. ტელეგრამა შუა მაგიდაზე იდო, კაშკაშა სინათლეში კირისას ჰგავდა. ბეჭედი ავხსენი, გული შემეკუმშა, ასოები დაიშალა, გაიქცა, კვლავ დამიბრუნდა... ამოვისუნთქე, ყველაფერი დალაგდა, და ტელეგრამა კიოსტერს მივეცი.

— დიდება ღმერთს! მე ვიფიქრე...

მხოლოდ სამი სიტყვა იყო.

— რობი, მალე მოდი...

ფურცელი ისევ გამოვართვი. შიში დაბრუნდა.

— რა უნდა მომხდარიყო, ოტო? ღმერთო ჩემო, რატომ არ დარეკა? რაღაცა მოხდა!

კიოსტერმა დეპეშა მაგიდაზე დადო.

— ბოლოს როდის ელაპარაკე?

— ერთი კვირის წინ. არა, უფრო ადრე.

— საუბარი შეუკვეთე. თუ რამეა, ახლავე წავიდეთ. მანქანით. გზამკვლევი გაქვს?

სანატორიუმთან დაკავშირება შევუკვეთე და ქალბატონი ცალევსკის სალონიდან გზამკვლევი გამოვიტანე სანამ ვიცდიდით, კიოსტერმა გადაშალა.

— რაც გვაწყობს, ის მატარებელი მხოლოდ ხვალ, შუადღისას გადის, — თქვა მან, — ჯობს, მანქანით წავიდეთ და სადამდეც შევძლებთ, მივიდეთ. მერე ნებისმიერ მატარებელს გავყვებით. რამდენიმე საათს ნამდვილად მოვიგებთ. რას იტყვი?

— კი, ნამდვილად. — ვერ წარმოვიდგინე, მატარებელში საათებს უქმად როგორ გავატარებდი, ტელეფონმა დარეკა, კიოსტერი გზამკვლევიანად ჩემს ოთახში — შევიდა. სანატორიუმთან შემაერთეს. პატი ვიკითხე. ერთი წუთის მერე მედდამ მითხრა, აჯობებს თუ პატი ტელეფონით არ ილაპარაკებსო.

— რა სჭირს? — დავიყვირე.

— რამდენიმე დღის წინ პატარა სისხლდენა ჰქონდა. დღეს ცოტა — სიცხე აქვს.

— უთხარით, რომ მოვდივარ, — ვუყვიროდი, — კიოსტერთან და კარლთან ერთად. ახლავე გამოვდივართ. გამიგეთ?

— კიოსტერთან და კარლთან ერთად, — მიპასუხა ხმამ.

— დიახ. ოღონდ ახლავე უთხარით. ახლავე გამოვდივართ — ახლავე მოვახსენებ.

ოთახში დავბრუნდი. ფეხებში აშკარად სიმსუბუქეს ვგრძნობდი კიოსტერი მაგიდასთან იჯდა და მატარებლების განრიგს იწერდა.

— ჩაალაგე, — მითხრა მან, — სახლში გავივლი და ჩემს ჩემოდანსაც ავიღებ. ნახევარ საათში დავბრუნდები.

კარადის თავიდან ჩემოდანი გადმოვიღე. ლენცისა იყო, სასტუმროების ჭრელი წარწერებით. სწრაფად ჩავლაგდი და ქალბატონი ცალევსკი და „ინტერნაციონალის“ მფლობელი გავაფრთხილე. მერე ჩემს ოთახში ფანჯარასთან დავჯექი და კიოსტერს დაველოდე. სიჩუმე იყო. ვფიქრობდი, რომ ხვალ საღამოს პატთან ვიქნებოდი, და უცებ ცხელი, ველური მოლოდინი შემომაწვა და მასთან შედარებით სხვა ყველაფერი გაფერმკრთალდა: შიში, დარდი, გლოვა, სასოწარკვეთილება. ხვალ საღამოს მასთან ვიქნებოდი, ეს წარმოუდგენელი ბედნიერება იყო, ისეთი, რომ აღარც კი მეჯერა. მას მერე ხომ იმდენი რამე დავკარგე ჩემოდანი ავიღე და ჩავედი. უცებ ყველაფერი ახლობელი და თბილი გახდა: კიბე, შესასვლელში გამჯდარი სუნი, ცივი, მოციმციმე რუხი ასფალტი, რომელზეც კარლი მოჰქროდა.

— ორი საბანი წამოვაყოლე, — მითხრა კიოსტერმა, — შეგვცივდება კარგად გაეხვიე.

— მონაცვლეობით ვატაროთ, ჰო?

— კი. ოღონდ ჯერ მე წავიყვან. მე ხომ ნაშუადღევს მეძინა. ნახევარ საათში ქალაქი უკან მოვიტოვეთ და მთვარიანი ღამის უსაშველო დუმილი შემოგვეგება. გზა ჰორიზონტამდე თეთრად გადაჭიმულიყო მთვარე ისე კაშკაშებდა, რომ ფარების ანთებაც არ დაგვჭირვებია. ძრავა ორგანივით ისმოდა. ის სიჩუმეს არ არღვევდა, უფრო საგრძნობს ხდიდა.

კარგი იქნება, თუ წაუძინებ — მითხრა კიოსტერმა.

თავი გავაქნიე.

— არ შემიძლია, ოტო.

— მაშინ წამოწექი მაინც, რომ ხვალ დილით ჯანზე იყო. მთელი გერმანია გვაქვს გადასავლელი.

— ასეც ვისვენებ.

კიოსტერის გვერდით დავრჩი. მთვარე ცაზე ნელა მიცურავდა.

მინდვრები სადაფივით ციალებდა. ხანდახან სოფლები ჩაგვიქროლებდა ხოლმე, ხანაც — ქალაქი, ჩაძინებული, ცარიელი, სახლების რიგებს შორის მთვარის ჯადოსნური, ხელთუქმნელი შუქით განათებული ხეობებივით ქუჩებით, და ამ ღამეში ყველაფერი დაუჯერებელ ფილმს ჰგავდა. დილისკენ აცივდა. მინდვრები უცებ თრთვილმა დაფარა და ააბრჭყვიალა, გაფერმკრთალებული ცის ფონზე ხეები ფოლადისგან ნაჭედს დაემსგავსნენ, ტყეში ქარი ამოვარდა და აქა-იქ, საკვამლურებიდან, კვამლი დაიძრა. კიოსტერს ადგილი გავუცვალე და ათამდე საჭესთან ვიჯექი. მერე გზისპირა ფუნდუკში სწრაფად ვისაუზმეთ და თორმეტამდე მანქანას ისევ მე ვმართავდი. მერე საჭეს კიოსტერი მიუჯდა. მარტო უფრო სწრაფად ატარებდა ხოლმე.

ნაშუადღევს, როცა ბინდი ჩამოწვა, უკვე მთაში ვიყავით. ჯაჭვები და ნიჩაბი თან გვქონდა და გავიკითხეთ, სადამდე შევძლებდით მისვლას. — ჯაჭვებით სცადეთ, — გვითხრა ავტომობილისტთა კლუბის მდივანმა, — წელს ძალიან ცოტა თოვლია. მაგრამ ბოლო კილომეტრების საქმე როგორაა, ეგ არ ვიცი. შეიძლება გაიჭედოთ.

მატარებელს მაგრად გავასწარით და გადავწყვიტეთ, ბოლომდე მისვლა გვეცადა. ციოდა და ნისლის შიში არ გვქონდა. მანქანა სერპანტინს წიკწიკით მიუყვებოდა. ნახევარ გზაზე ჯაჭვები გავუკეთეთ. გზა გაწმენდილი იყო, მაგრამ მრავალგან გაყინულიყო, და მანქანა ცეკვავდა და სრიალებდა. ხანდახან გადასვლა და მიწოლა გვიწევდა. ორჯერ თოვლში ჩავეფალით და თხრა მოგვიხდა ბოლო სოფელში ერთი ვედრო ქვიშა გამოვართვით, რადგან უკვე ძალიან მაღლა ვიყავით და ვშიშობდით, რომ ასვლისას მოყინული მოსახვევები შეგვხვდებოდა დაბნელდა ჩვენ ირგვლივ ციცაბო, შიშველი მთები იყო აღმართული, უღელტეხილი დავიწროვდა, ძრავა პირველ სიჩქარეში გრიალებდა, ყოველ მო-

სახვევს სულ — უფრო ზემოთ ავყავდით. უცებ ფარების შუქი უფსკრულს გადააწყდა, სიცარიელეს შეასკდა, მთები გაიხსნა — და ქვემოთ სოფლის სინათლეები დავინახეთ.

მანქანა ქუხილით მიიწევდა მთავარი ქუჩების ფერად მაღაზიებს შორის. ფეხით მოსიარულეები განზე ხტებოდნენ, ცხენები ფრთხებოდნენ, მარხილი მოსრიალდა. მანქანა სანატორიუმისკენ მიქროდა, და აი, მთავარ შესასვლელთან გაჩერდა. გადავხტი, თითქოს პირბადიდან ვხედავდი ცნობისმოყვარე სახეებს ადამიანებს, ბიუროს, ლიფტს, მერე თეთრ დერეფანში გავიქეცი, კარი გავაღე და პატი დავინახე, ისეთი, როგორიც სიზმარში ათასჯერ მინახავს და როგორზეც მიოცნებია. შემომეგება და მოვეხვიე, როგორც სიცოცხლეს და სიცოცხლეზე მეტს.

— დიდება ღმერთს! — ვთქვი, როცა გონს მოვეგე, — მე მეგონა, ლოგინში იწექი.

— მხარზე მოყრდნობილმა თავი გააქნია მერე გასწორდა ჩემი სახე ხელებშუა მოიქცია და დამაცქერდა.

— აქ რომ ხარ, — ლუღლუღებდა, — რომ მოხვედი!

მაკოცა, ფრთხილად, სერიოზულად და ნაზად, თითქოს დამსხვრევისა ეშინოდა. მისი ტუჩების შეხებაზე კანკალი დავიწყე. მეტისმეტად სწრაფად მოხდა ყველაფერი, ჯერაც ვერ მივმხვდარიყავი. ჯერ ბოლომდე აქ არ ვიყავი. ჯერაც გზა იყო, ძრავას გუგუნი და ქუჩა. ისე ვიყავი, კაცი სიცივიდან და ღამის წყვდიადიდან უცებ თბილ ოთახში რომ შევა: კანით სითბოს გრძნობს, თვალითაც ხედავს, მაგრამ ჯერაც ვერ გამთბარა — სწრაფად ვიარეთ, — ვუთხარი მე.

პასუხი არ გაუცია. ჯერაც მიყურებდა, გულაჩუყებული, თვალები ახლოს მომიტანა და თითქოს ძალიან მნიშვნელოვან რამეს ეძებდა, პოვნას ცდილობდა. დავიბენი. ხელები მხრებზე დავადე და თვალი დავხარე — აქ დარჩები? — მკითხა მან.

თავი დავუქნიე.

— ახლავე მითხარი. მითხარი, წასვლას თუ აპირებ რომ ახლავე ვიცოდე.

მინდოდა მეთქვა, რომ ჯერ არ ვიცოდი და ალბათ ერთ-ორ დღეში გავემგზავრებოდი, იმიტომ რომ დასარჩენი ფული არ მქონდა. მაგრამ შემეძლო ასე რომ მიყურებდა, არ შემეძლო.

— ჰო, — ვუთხარი მე, — ვრჩები, სანამ ერთად არ გავემგზავრებით სახე არც შესტოკებია, მაგრამ უცებ გაუნათდა, თითქოს შიგნიდან გაბრწყინდა.

— ოჰ, — ჩაილაპარაკა, ვერც გადავიტანდი მის მხარს ზემოთ ლოგინის თავთან დაკიდებული ტემპერატურული დაფის წაკითხვას ვეცადე. შემამჩნია, ფურცელი უცებ გამოგლიჯა, დაჭმუჭნა და ლოგინქვეშ შეაგდო, — აღარ ითვლება, — მითხრა მან.

დავიმახსოვრე, ქაღალდი სად დავარდა, და გადავწყვიტე, რომ მერე ვნახავდი, როცა პატი ვერ დამინახავდა.

— ავად იყავი? — ვკითხე მე.

— ცოტა. მაგრამ ახლა მორჩა.

— ექიმმა რა თქვა?

გაიცინა.

— ახლა ექიმზე ნურაფერს მკითხავ. საერთოდ, ნუღარაფერს მკითხავ. შენ აქ ხარ, და ეს სავსებით საკმარისია!

უცებ შეიცვალა. არ ვიცი, იქნებ იმიტომ, რომ დიდი ხნის უნახავი მყავდა, მაგრამ სულ სხვანაირი მეჩვენა. უფრო ნაზად მოძრაობდა, კანი უფრო თბილი ჰქონდა, ჩემთანაც სხვანაირად მოვიდა. ეს მხოლოდ ლამაზი გოგო აღარ იყო, ისეთი, დაცვა რომ სჭირდება. რაღაც შეიძინა, და თუ უწინ ხშირად ვერ ვხვდებოდი, ვუყვარდი თუ არა, ახლა ვგრძნობდი, ის აღარაფერს მალავდა, უფრო ცოცხალი იყო და უწინდელზე უფრო ახლობელი, უფრო ცოცხალი, უფრო ახლობელი და უფრო ლამაზი, მეტი ბედნიერე-

ბის მომტანი, მაგრამ, ამავდროულად, უცნაურად ამაფორიაქებელიც.

— პატ, — ვუთხარი მე. — ქვემოთ უნდა ჩავირბინო. კიოსტერი ქვემოთაა. საცხოვრებელი უნდა მოვნახოთ.

— კიოსტერი? და ლენცი სადაა?

— ლენცი, — ვუთხარი მე. — ლენცი სახლში დარჩა.

არაფერი შეუმჩნევია.

შეიძლება, რომ მერე შენც ჩამოხვიდე? — ვკითხე მე. — თუ ჩვენ ამოვიდეთ?

— ჩემთვის ყველაფერი შეიძლება. ახლა ყველაფერი შეიძლება ჩავიდეთ და მერე რამე დავლიოთ, მე გიყურებთ, როგორ სვამთ.

— კარგი. მაშინ ქვემოთ, მისაღებ დარბაზში კარადასთან მივიდა, რომ კაბა გამოეღო. დრო ვიხელთე და დაჭმუჭნული ტემპერატურული ფურცელი ჯიბეში ჩავიდე.

— აბა, გელით, პატ.

— რობი!

მომიახლოვდა და ხელები კისერზე მომხვია.

— არადა, რამდენი რამ მაქვს სათქმელი.

— მეც, პატ. მაგრამ დრო ბევრი გვაქვს. მთელი დღე ერთმანეთს რაღაცებს მოვუყვებით. ხვალ. თავიდან ეგრევე არ გამოდის ხოლმე.

თავი დამიქნია.

— ჰო, ყველაფერს მოვყვეთ. მაშინ გამოვა, რომ მთელი ის დრო, რაც მარტოები ვიყავით, ჩვენი განშორების დრო არ ყოფილა. მაშინ ერთმანეთზე ყველაფერი გვეცოდინება და ისე გამოვა, ვითომ სულ ერთად ვიყავით.

— ასეც იყო, — ვუთხარი მე.

გამიღიმა.

— მე ვერ შევძელი. ამდენი ძალა არა მაქვს. მე ცუდად მქონდა

საქმე. როცა მარტო ვარ, ფიქრებით თავს ვერ ვიმშვიდებ. მარტო ვარ, და მეტი არაფერი ვიცი ხოლმე უსიყვარულოდ მარტო ყოფნა უფრო ადვილია. ისევ იღიმებოდა. შუშის ღიმილი იყო, იღიმებოდა, მაგრამ გამჭვირვალე იყო და ყველაფერი ჩანდა.

— პატ, — ვუთხარი მე, — შე ძველო, მაგარო შენა.

— რა ხანია, ეს აღარ მსმენია, — მითხრა და თვალები ცრემლით აევსო.

კიოსტერთან ჩავედი. ჩემოდნები უკვე გადმოელაგებინა. ფლიგელში გვერდიგვერდ ორი ოთახი მოგვცეს.

— ამას შეხედე, — ვუთხარი და ტემპერატურის ხაზი ვაჩვენე, როგორ დადის, აღმა-დაღმა.

კიბეზე ავდიოდით, ჩვენ ფეხქვეშ თოვლი ჭრიალებდა.

— ხვალ ექიმს ჰკითხე, — მითხრა კიოსტერმა, — მარტო ტემპერატურის დიაგრამით რას მიხვდები.

— რაღაცას კი მივხვდი, — მივუგე მე, დავჭმუჭნე და ისევ ჯიბეში ჩავიდე, ვიბანავეთ. მერე კიოსტერი ჩემს ოთახში შემოვიდა ახალგაღვიძებულს ჰგავდა.

— ჩაიცვი, რობი — მითხრა მან.

— ჰო.

ფიქრებიდან გამოვერკვიე და ჩემოდანი ამოვალაგე.

სანატორიუმში დავბრუნდით. კარლი ჯერაც გარეთ იდგა. კიოსტერს რადიატორზე საბანი გადაეფარებინა.

— როდის დავბრუნდეთ, ოტო? — ვკითხე მე.

გაჩერდა.

— მე მგონი, ხვალ საღამოს ან ზეგ, ალიონზე გავალ. შენ ხომ აქ რჩები... — აბა, როგორ? — ვუპასუხე დაბნეულმა, — ფული, დიდი-დიდი, ათი დღე მეყოს. პატის სანატორიუმიც მხოლოდ თხუთმეტამდეა გადახდილი. უნდა დავბრუნდე და ფული გავაკეთო. აქ ცუდი პიანისტი ნამდვილად არ სჭირდებათ.

კიოსტერი კარლის რადიატორთან დაიხარა და საბანი ასწია.

— ფულს მე გიშოვი, — მითხრა და გაიმართა, — ამიტომ შეგიძლია, მშვიდად დარჩე.

— ოტო, — ვუთხარი მე, — მე ხომ ვიცი, აუქციონიდან რა დაგრჩა. სამასი მარკაც არ იქნება.

— მაგას არ ვგულისხმობ. ვიშოვი. ამაზე არ იდარდო, რვა დღეში გექნება. — მემკვიდრეობას ელოდები? — სევდიანად ვიხუმრე.

— რაღაც მსგავსი ამბავია. ეგ მე მანდე. ახლა ხომ შენი წასვლა არ იქნება.

— არა, — ვუთხარი, — არც ვიცოდი, პატისთვის როგორ მეთქვა. კიოსტერმა საბანი კვლავ კარლის რადიატორს გადააფარა. ხელი მოუსვა. მერე მისაღებში შევედით და ბუხართან დავსხედით.

— რომელი საათი იქნება? — ვკითხე მე, კიოსტერმა საათს შეხედა.

— შვიდის ნახევარია.

— უცნაურია, — ვთქვი მე, — მე ბევრად გვიანი მეგონა.

პატი კიბეზე ჩამოდიოდა. თავისი ბეწვის ქურთუკი ეცვა. ოთახი სწრაფად გაიარა და კიოსტერს მიეგება. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, როგორი გარუჯული იყო. მოწითალო სპილენძისფერი კანი ჰქონდა და ნორჩ, ძალიან ღია ფერის ინდიელ ქალს ჰგავდა. მაგრამ სახე გაუხდა და თვალები მეტისმეტად უბრჭყვიალებდა.

— სიცხე გაქვს? — ვკითხე მე.

— ცოტა, — სწრაფად მომიგო, არ შეიმჩნია, — საღამოობით აქ ყველას სიცხე აქვს. იმიტომ მაქვს მხოლოდ, რომ თქვენ ჩამოხვედით. დაიღალეთ? — რისგან?

— მაშინ ბარში წავიდეთ, ჰო? აქ, ზემოთ, ჩემი პირველი სტუმრები ხართ. — აქ ბარი არსებობს?

— კი, პატარა ყოველ შემთხვევაში, ერთი კუთხეა, რომელიც ბარივით გამოიყურება. ეს მკურნალობის ნაწილია. საავადმყოფოს არაფერი არ უნდა ჰგავდეს. თუ არ შეიძლება, არაფერსაც არ

მოგცემენ. ბარი სავსე იყო. პატი რამდენიმე ადამიანს მიესალმა. ერთი იტალიელი თვალში მომხვდა. მაგიდას მივუსხედით, რომელიც იმწამს გათავისუფლდა.

— რას დალევ? — ვკითხე პატს.

— რომის კოქტეილს. ბარში როგორსაც ვსვამდით ხოლმე რეცეპტი იცი? — უადვილესია, — მივმართე მიმტან გოგონას, — ნახევარი პორტვეინი და ნახევარი იამაიკური რომი.

— ორი ჭიქა, — გასძახა პატმა, — და ერთი სპეციალი.

გოგომ ორი პორტო რონკო და ერთი ალისფერი სასმელი მოიტანა — ეს ჩემია, — თქვა პატმა. რომი მოგვიჩოჩა, — გაგვიმარჯოს! ჭიქიდან არც მოუსვამს, ისე დადგა, მერე უცებ ჩემსას მისწვდა და გამოცალა — რა კარგია! — თქვა მან.

— ეს რა შეუკვეთე? — ვკითხე და საეჭვოდ წითელი სითხე მოვსვი. ჟოლოს წვენის და ლიმონის გემო ჰქონდა. არც ერთი წვეთი ალკოჰოლი. — მშვენიერია, — ვთქვი მე.

პატმა შემომხედა.

— წყურვილის მოსაკლავად, — დავსძინე.

გაიცინა — ერთი პორტო რონკოც შეუკვეთე. ოღონდ, შენთვის მე არ მომცემენ გოგონას დავუძახე.

— ერთი პორტო რონკო და ერთი სპეციალი, — ვუთხარი შევამჩნიე რომ მაგიდებთან ბევრ სპეციალს სვამდნენ.

— დღეს შეიძლება, ჰო, რობი? — თქვა პატმა, — მხოლოდ დღეს! როგორც ძველ დროში. ჰო, კიოსტერ?

— სპეციალი მშვენიერია, ვთქვი და მეორე ჭიქაც დავცალე.

— მძულს! საწყალო რობი, რას გასმევთ!

— თუ საკმაოდ სწრაფად შევუკვეთავთ, მეც რამე მერგება — ვთქვი მე.

პატმა გაიცინა.

— მერე, ვახშამზე, ჩემთვისაც შეიძლება დალევა. წითელი ღვი-

ნის. კიდევ რამდენიმე პორტო რონკო შევუკვეთეთ, მერე კი სასადილოში წავედით. პატი ულამაზესი იყო. სახე უნათებდა. ფანჯარასთან ერთერთ პატარა, თეთრსუფრიან მაგიდას მივუსხედით. თბილოდა, და ქვემოთ თოვლში ჩაფლული, ქუჩებგანათებული სოფელი მოჩანდა.

— ჰელგა გუტმანი სადაა? — ვკითხე მე.

პატი ოდნავ შეყოვნდა.

— წავიდა.

— წავიდა? ასე ადრე?

— ჰო, — თქვა პატმა, და მივხვდი, რა იგულისხმა.

— გოგომ შავი ღვინო მოიტანა. კიოსტერმა ჭიქები შეავსო. ახლა ყველა მაგიდასთან ხალხი იჯდა. ყველგან ისხდნენ და საუბრობდნენ. ვიგრძენი, რომ პატი ხელზე შემეხო.

— საყვარელო, — მითხრა ძალიან ჩუმად და ნაზად — ვეღარ ვუძლებდი.

26

მთავარი ექიმის ოთახიდან გამოვედი. კიოსტერი მისაღებში მელოდა. ჩემ დანახვაზე წამოდგა. გარეთ გავედით და სანატორიუმის წინ ძელსკამზე დავსხედით.

— ცუდი ამბავია, ოტო, — ვუთხარი მე, — იმაზე უარესი ვიდრე წარმომედგინა.

მოთხილამურეების ჯგუფმა ჟრიამულით ჩაგვიარა. თან რამდენიმე ქალი ახლდათ, ზეთით აპრიალებული, ჯანსაღი, მზით დამწვარი სახეებით და თეთრად მოელვარე კბილებით. ერთმანეთს გასძახოდნენ, მგლებივით დამშეულები ვართო. დაველოდეთ, სანამ წავიდოდნენ. — ასეთები, ცხადია, ცოცხლობენ, — ვთქვი მე, — ცოცხლობენ და ჯანმრთელობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. გული მერევა!

— მთავარ ექიმს პირადად ელაპარაკე? — მკითხა კიოსტერმა.

— კი. მიკიბ-მოკიბულად ამიხსნა, ბევრი რამე გამოტოვა. მაგრამ შედეგი ისაა, რომ საქმე უარესობისკენ წასულა. ის კი ამბობს, უკეთააო. — ვერ გავიგე.

— ამბობს, ქვემოთ რომ დარჩენილიყო არაფრის იმედი აღარ

გვექნებოდაო. აქ უფრო ნელა მიდის. ამას ეძახის გაუმჯობესებას.

კიოსტერი ფეხსაცმლის ქუსლებით გამაგრებულ თოვლს ხაზავდა. მერე თავი ასწია.

— ანუ, იმედი არსებობს?

— ექიმს იმედი ყოველთვისა აქვს, მაგის პროფესია ეგაა. მაგრამ მე ძალიან ცოტა მრჩება. ვკითხე, პნევმოთორაქსზე რას იტყვით-მეთქი. მითხრა, აღარ გამოვაო. წლების წინ უკვე ჰქონია. ახლა ორივე ფილტვი დაავადებულია. წყეული ამბებია, ოტო.

ჩვენ სკამთან მოხუცი ქალი გაჩერდა, გაცვეთილ რეზინის ფეხსაცმელში. გალურჯებული, ჩავარდნილი სახე ჰქონდა და ჩამქრალი, სხვადასხვა ფერის თვალები ბრმისას მიუგავდა. ყელზე ძველმოდური ბუმბულების ბოა ჰქონდა შემოხვეული. ლორნეტი ნელა ასწია და დაგვათვალიერა. მერე გზა გააგრძელა.

— გულისამრევი მოჩვენება იყო!

— კიდევ რა თქვა? — მკითხა კიოსტერმა.

— ამიხსნა, საიდან შეიძლება გასჩენოდა ამ ასაკის ბევრი პაციენტი ჰყოლია. ომის შედეგები ყოფილა. განვითარების ასაკში საკვების ნაკლებობა. მაგრამ ეგ რა ჩემი საქმეა? პატი უნდა გამოჯანმრთელდეს — კიოსტერს გავხედე. — ცხადია, მითხრა, რომ საკმაოდ ბევრი სასწაული უნახავს სწორედ ამ ავადმყოფობას სცოდნია, რომ უცებ გაჩერდება, დაკაფსულდება და მორჩება, უიმედო შემთხვევებშიც კი. ეს იაფემაც თქვა მაგრამ მე სასწაულების არ მჯერა.

კიოსტერს პასუხი არ გაუცია. გვერდიგვერდ, მდუმარედ ვისხედით ან რა გვეთქმოდა? მეტისმეტად ბევრი გვქონდა გაკეთებული საიმისოდ, რომ ახლა ნუგეშის სიტყვები გვეხარჯა.

— არ უნდა შეგატყოს, რობი, — მითხრა ბოლოს კიოსტერმა — რასაკვირველია, — მივუგე მე.

ვისხედით, სანამ პატი არ გამოჩნდა. არაფერს ვფიქრობდი. სასოწარკვეთილიც კი არ ვყოფილვარ, დავჩლუნგდი, მოვკვდი.

— მოვიდა, — თქვა კიოსტერმა.

— ჰო, — ვთქვი და წამოვდექი.

— სალამი! — პატი ჩვენკენ მოიჩქაროდა და ხელს გვიქნევდა. ცოტა შებარბაცდა და გაიცინა, — ცოტა დავთვერი. მზისგან. ყოველთვის, როცა მზეზე ვწვები, მერე ბებერი მეზღვაურივით მაქანავებს.

შევხედე და უცებ ყველაფერი შეიცვალა. ექიმის აღარ მჯეროდა; სასწაული ვირწმუნე. აქ იყო, ცოცხალი იყო, იდგა და იცინოდა — და სხვა ყველაფერი გაქრა.

— რა სახეები გაქვთ? — იკითხა პატმა — ქალაქური სახეები, აქაურობას არ უხდება, — უთხრა კიოსტერმა — ჯერ მზეს ვერ შევეჩვიეთ.

გაიცინა.

— დღეს კარგი დღე მაქვს. უსიცხო. გარეთ გასვლა შემიძლია. გინდა სოფელში წავიდეთ და აპერიტივი დავლიოთ?

— რასაკვირველია.

— აბა, წავიდეთ!

— მარხილით არ გვირჩევნია? — ჰკითხა კიოსტერმა.

— გავუძლებ, — თქვა პატმა.

— ვიცი, — უთხრა კიოსტერმა, — მაგრამ ასეთ რაღაცაში არასოდეს ვმჯდარვარ ერთხელ მინდა ვცადო.

მარხილი ავიყვანეთ და სერპანტინით სოფლისკენ დავეშვით, ერთ კაფესთან შევაჩერეთ, რომელსაც პატარა, მზიანი ტერასა ჰქონდა, და გადმოვედით, ბევრნი ისხდნენ, და სანატორიუმიდანაც ვიცანი ვიღაცები. ბარის იტალიელიც აქ იყო. ანტონიოს ეძახდნენ, ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, პატს მიესალმა. მოგვიყვა, რომ წუხელ რამდენიმე ხუმარამ ერთი მძინარე პაციენტი საკუთარი ოთახიდან ლოგინიანად გამოაგორა და უბებრესი მასწავლებელი ქალის ოთახში დადგა.

— ეგ რატომ გააკეთეს? — ვკითხე მე.

— გამოჯანმრთელდა და ამ დღეებში სახლში ბრუნდება, — მომიგო ანტონიომ, — ასეთ დროს ყოველთვის ოინებს ვუწყობთ ხოლმე.

— ეს დარჩენილების ყბადაღებული იუმორია, სახრჩობელას იუმორი, საყვარელო, — მითხრა პატმა.

„გამოჯანმრთელდა“, ვიფიქრე მე. გამოჯანმრთელდა და სახლში ბრუნდება.

— რას დალევ, პატ? — ვკითხე მე.

— მარტინის. მშრალ მარტინის.

რადიო ჩაირთო. ვენური ვალსები. თბილ, მზიან ჰაერში მსუბუქი, ნათელი დროშებივით ფრიალებდა. მიმტანმა მარტინი მოიტანა. ძალიან ცივი იყო და მზის სხივებში მარგალიტივით ბრწყინავდა.

— კარგია აქ ჯდომა, არა? — მკითხა პატმა.

— შესანიშნავია, — მივუგე მე.

— მაგრამ ზოგჯერ გაუსაძლისია ხოლმე, — თქვა მან.

სადილად ქვემოთ დავრჩით. პატს ასე უნდოდა. ბოლო დროს სულ სანატორიუმში უწევდა ყოფნა, ეს მისი პირველი გასეირნება იყო. ასე თქვა, სოფელში რომ მესადილა, თავს ორჯერ უფრო ჯანმრთელად ვიგრძნობდიო. ანტონიო დაგვეწვია. მერე ისევ ზემოთ გავემგზავრეთ და პატი თავის ოთახში დაბრუნდა, იმიტომ რომ ორი საათით უნდა დაწოლილიყო. მე და კიოსტერმა კარლი გარაჟიდან გამოვიყვანეთ და მივხედეთ. რესორის ორი გატეხილი ფირფიტა უნდა გამოგვეცვალა. გარაჟში — ხელსაწყოები ჰქონდათ, და საქმეს შევუდექით. მერე ზეთი ჩავასხით და შასი დავზეთეთ. როცა მოვრჩით, გარეთ გამოვაგორეთ. კარლი თოვლში ჭუჭყიანი და ყურებჩამოყრილი იდგა.

— გავრეცხოთ? — ვკითხე მე.

— არა, გზაზე ვდგავართ, — თქვა კიოსტერმა. — იწყენს.

პატი მოვიდა. თბილი და გამოძინებული ჩანდა გარშემო ძაღლი დარბოდა.

— ბილი — შევძახე მე.

გაჩერდა, მაგრამ დიდად თბილად არ შემხვედრია ვეღარ მიცნო და ძალიან დაიბნა, როცა პატმა ჩემკენ მოახედა.

— ასეა, — ვთქვი მე, — დიდება ღმერთს ადამიანებს უკეთესი მეხსიერება აქვთ. გუშინ სად იყო?

პატმა გაიცინა.

— მთელი ეს დრო ლოგინქვეშ იჯდა. როცა სტუმარი მომდის, ეჭვიანობს და გაბრაზებული იმალება.

— არაჩვეულებრივად გამოიყურები, — ვუთხარი მე.

ბედნიერმა შემომხედა. მერე კარლს მიადგა.

— ძალიან მინდა, ისევ ჩავჯდე და ცოტა გავიარო.

— რასაკვირველია, — ვთქვი მე, — რას იტყვი, ოტო?

— აბა, რა. სქელი პალტო გაცვიათ და შარფები და საბნებიც ბლომად გვაქვს.

პატი წინ ჩაჯდა, საქარე მინის უკან, კიოსტერის გვერდით. კარლმა დაიღრიალა. გამონაბოლქვი ცივ ჰაერში თეთრად და ცისფრად გაიშალა. ძრავა ჯერ არ გამთბარიყო. ნელ-ნელა და ტკაცუნით ჯაჭვებმა თოვლის მოხატვა დაიწყეს. კარლი შიშინით, ტკაცატკუცით და ბურდღუნით ჩახოხდა სოფლისკენ მიმავალ გზაზე და მერე მთავარ ქუჩას გაუყვა, მოკუნტული მგელივით, ფლოქვების თქარათქურსა და მარხილების ეჟვნების ჟღარუნში.

სოფლიდან გავედით. საღამოვდებოდა და თოვლით დაფარული ველები ჩამავალი მზის სხივებში წითლად ციალებდა. მთის კალთაზე რამდენიმე თივის ზვინი თითქმის მთლიანად იყო სითეთრეში დამარხული.

უკანასკნელი მოთხილამურეები მკრთალი მძიმეებივით ეშვებოდნენ ველზე, წითელ სხივებს მოუყვებოდნენ. წითელი მზე ჯერაც ფერდობზე ეკიდა, გავარვარებული, პირქუში ბურთი.

— გუშინ ამ გზით ამოხვედით? — იკითხა პატმა.

— კი.

— მანქანა პირველი ბორცვის თავზე მოექცა კიოსტერმა გააჩერა. აქედან წარმოუდგენელი ხედი იშლებოდა. ერთი დღის წინ, გაყინულ, ლურჯ საღამოს, ეს არც შეგვიმჩნევია მაშინ მხოლოდ გზას შევცქეროდით.

ბორცვები, ბორცვები — ხეობა იშლებოდა შორეული მთების ზოლი ღია ფერის, მომწვანო ცაზე მკვეთრად იკვეთებოდა, ოქროსფრად ანათებდა. მწვერვალის ქვეშ, თოვლიან ველებზეც თითქოს ოქროს ლაქები ეყარა, — მთის კალთები სულ უფრო იძირებოდა დიდებულ სიწითლეში, ჩრდილები ლურჯდებოდა. მზე სწორედ ორ მოკიაფე მწვერვალს შორის იდგა, და ვრცელი ველი, თავისი მწვერვალებით და უფსკრულებით, წარმავალი ხელმწიფის წინაშე გამართულ დიდებულ, მდუმარე, მანათობელ აღლუმს ჰგავდა. გზის იისფერი ლენტი ბორცვების ირგვლივ იკლაკნებოდა, ქრებოდა, კვლავ ჩნდებოდა, მოსახვევებში ჩაბნელებული სოფლებს გადიოდა და უღელტეხილის უნაგირზე პირდაპირ ჰორიზონტს ებჯინებოდა.

— სოფლიდან ასე შორს არასოდეს წავსულვარ, — თქვა პატმა, — შინისკენ მიმავალი გზა ესაა?

— ჰო.

დუმდა და ქვემოთ იყურებოდა მერე მანქანიდან გადავიდა და ხელით თვალები მოიჩრდილა. ჩრდილოეთს გასცქეროდა, თითქოს აქედან ქალაქის კოშკების დანახვა შეეძლო.

— იქამდე შორია? — იკითხა მან.

— ათასი კილომეტრი იქნება. მაისში წავალთ. ოტო მოგვაკითხავს — მაისში, — გაიმეორა მან, — ღმერთო ჩემო, მაისში.

მზე ნელ-ნელა ჩავიდა. ველი გამოცოცხლდა. აქამდე გაშეშებული ჩრდილები მდუმარედ წამოხტნენ და ზემოთ დაიწყეს აცოცება უზარმაზარი ობობებივით. აცივდა.

— უნდა დავბრუნდეთ, პატ, — ვუთხარი მე.

ამომხედა, და მისი სახე უცებ თითქოს ტკივილისგან დაიშალა უცებ მივხვდი, რომ ყველაფერი იცოდა. იცოდა, რომ ჰორიზონტზე გადაჭიმულ ამ უმოწყალო ქედს ვეღარასოდეს გასცდებოდა, იცოდა და მალავდა, როგორც ჩვენ ვუმალავდით, მაგრამ წამით თავი ხელში ვეღარ აიყვანა, და მისი თვალებიდან დედამიწის ყველა ტკივილი გამოკრთა.

— ცოტათი ჩავიდეთ, — თქვა მან, — სულ ცოტათი.

კიოსტერს შევხედე და ვუთხარი:

— ჩავიდეთ.

მანქანაში უკან, ჩემთან დაჯდა. მკლავი მოვხვიე და საბანი გადავიფარეთ. მანქანა დაღმართში ნელა დაეშვა, ველისკენ და ჩრდილებისკენ. — რობი, საყვარელო, ახლა ვითომ სახლში მივდივართ ჩვენს ცხოვრებაში ვბრუნდებით...

— ჰო, — ვუთხარი და საბანი თმამდე ავუწიე.

უცებ დაბნელდა. პატი საბნებში იყო ჩამალული. ხელი მკერდზე დამადო, პერანგის ქვეშ შემიცურა. მის ხელს კანით ვგრძნობდი, მერე სუნთქვა შემეხო, ტუჩები და მერე — ცრემლები.

ფრთხილად, რომ მოსახვევი არ შეემჩნია, კიოსტერმა სოფლის ბაზრობის მოედანზე მანქანა მოაბრუნა და ნელ-ნელა უკან წამოვედით.

როცა სიმაღლე ავიღეთ, მზე უკვე ჩასულიყო. აღმოსავლეთით, ღრუბლების ფთილებს შორის, ფერმკრთალი და ნათელი მთვარე იდგა. უკან ვბრუნდებოდით, ჯაჭვები გზას მონოტონურად ეხლებოდა. დიდი სიჩუმე ჩამოწვა. გავშეშდი, არ ვინძრეოდი, და გულზე პატის ცრემლებს ვგრძნობდი, თითქოს ჭრილობიდან სისხლი მდიოდა.

ერთი საათის მერე დარბაზში ვიჯექი. პატი თავის ოთახში იყო, კიოსტერი კი მეტეოროლოგებთან წავიდა, რომ თოვლის ამბავი

გაეგო.

გარეთ ნისლი ჩამოწვა, მთვარე რკალში მოექცა, და ფანჯრებიდან რბილი და რუხი, აბრეშუმივით საღამო მოჩანდა. ცოტა ხანში ანტონიო მოვიდა და გვერდით მომიჯდა. რამდენიმე მაგიდის მოშორებით ყუმბარასავით კაცი იჯდა, შინნაქსოვ ჟაკეტში და გოლფის მოკლე შარვალში. ჩვილის სახე, მკვეთრი ტუჩები, ცივი თვალები, მრგვალი, წითელი, მელოტი თავი ბილიარდის ბურთივით ულაპლაპებდა. მის გვერდით — გამხდარი ქალი, ჩაშავებული თვალებით და საწყალობელი, ტანჯული გამომეტყველებით. ყუმბარა ცქვიტად იყო, თავს სულ ამოძრავებდა, ვარდისფერ, კოტიტა ხელებს განუწყვეტლივ იქნევდა.

— გადასარევია, აქ, ზემოთ, სრულიად შესანიშნავია! ეს ხედი, ეს ჰაერი, კვებაც როგორია! მართლა კარგ ადგილას ხარ...

— ბერნჰარდ, — უთხრა ქალმა ჩუმად.

— მართლა! მეც კი მინდა, თავს მევლებოდნენ და მივლიდნენ! — ზეთიანი ღიმილი, — კარგი, შენი იყოს...

— ეჰ, ბერნჰარდ, — თქვა ქალმა უძლურად.

— რა? რა? — მხიარულად ხმაურობდა ყუმბარა, — უკეთესი რა უნდა იყოს? სამოთხეში ხარ! რა გგონია, ქვემოთ რა ხდება? ხვალ ისევ იმ აყალმაყალში ვიქნები, გიხაროდეს რომ შენ არ გეხება მიხარია რომ ვნახე, რომ კარგად ხარ.

— ბერნჰარდ, არა ვარ კარგად, უთხრა ქალმა.

— კი მაგრამ, პატარავ! — გრუხუნებდა ბერნჰარდი, — ახლა ნუ დაიწყებ! ჩვენნაირმა რაღა თქვას? სულ საქმე, ყველა კოტრდება გადასახადები... კარგია, ჰო?

ქალი დადუმდა.

— მხნე ბიჭია, — ვუთხარი ანტონიოს.

— თან როგორი! — მომიგო მან, — გუშინწინ ჩამოვიდა და რამდენი ცოლი რამის თქმას დააპირებს, ეგრევე აწყვეტინებს: „რა შესანიშნავად ხარ!“ იცით, არაფრის დანახვა არ უნდა, არც მისი

შიშის, არც მისი ავადმყოფობის, არც მისი მარტოობის. ალბათ უკვე დიდი ხანია, მეორე ყუმბარასთან ერთად ცხოვრობს ბერლინში და აქ ექვს თვეში ერთხელ ამოდის, მოვალეობას იხდის, ხელებს იფშვნეტს, გულითადი უჭირავს, თავის კეთილდღეობაზე ფიქრებშია. მთავარია, არაფერი გაიგონოს! აქ ეს ხშირად ხდება.

— ქალი დიდი ხნის ამოსულია?

— დაახლოებით, ორი წელია.

დარბაზში ახალგაზრდების ჯგუფმა ჟრიამულით ჩაირბინა ანტონიომ გაიცინა.

— ფოსტიდან მოდიან. როთს დეპეშა გაუგზავნეს.

— როთი ვინაა?

— ისაა, რომ მიდის. მისწერეს, გრიპის ეპიდემიაა, სამშობლოში დაბრუნება არ იქნება და კიდევ მანდ უნდა დარჩეთო. ჩვეულებრივი ხუმრობებია. იმიტომ, რომ თვითონ აქ რჩებიან, ხომ ხვდებით?

ფანჯრიდან რუხ აბრეშუმში გახვეულ ფერდობებს გავცქეროდი.

„არ არსებობს“, გავიფიქრე, ეს სინამდვილე ვერ იქნება, ასე არ ხდება. ეს ხომ მხოლოდ სცენაა, სადაც ცოტა სიკვდილს დგამენ. როცა კვდები, ეს ძალიან სერიოზული ამბავია. მინდოდა, ახალგაზრდებს გავდევნებოდი, მხარზე ხელი დამეკრა და მეთქვა; ეს მხოლოდ სალონური სიკვდილია, არა? და თქვენ მხიარული მოხალისეები ხართ, სიკვდილობანას თამაშობთ, არა? მერე ადგებით და თავს დაგვიკრავთ? ასე ხომ არ კვდებიან, დაბალი სიცხით და ცოტა ხრინწიანი სუნთქვით, ამისთვის ხომ სროლა და ჭრილობებია საჭირო, მე ხომ ვიცი.

— თქვენც ავად ხართ? მკითხა ანტონიომ.

— რასაკვირველია, — გავიღიმე.

— მართლაც შესანიშნავი ყავაა, — ხმაურობდა ყუმბარა, — ჩვენთან ასეთი საერთოდ არ არსებობს. სამოთხის კარია!

კიოსტერი მეტეოროლოგებისგან დაბრუნდა.

— უნდა წავიდე, რობი, — მითხრა მან, — ბარომეტრი დაეცა, ამაღამ ალბათ მოთოვს. ხვალ ვეღარ გავაღწევ. დღეს საღამოს კიდევ გამომივა. — კარგი. ერთად ვივახშმოთ, ჰო?

— კი. უცებ ჩავლაგდები.

— წამოგყვები, — ვუთხარი მე.

კიოსტერის ნივთები ჩავალაგეთ და გარაჟში ჩავიტანეთ მერე დავბრუნდით, რომ პატი წამოგვეყვანა.

— თუ რამე იქნა, დამირეკე, რობი, — მითხრა ოტომ.

თავი დავუქნიე.

— ფული რამდენიმე დღეში გექნება. ერთხანს გეყოფა. რაც საჭირო იქნება, ყველაფერი გააკეთე..

— კი, ოტო. — ვორჭოფობდი, — რამდენიმე ამპულა მორფიც ხომ გვაქვს. გამომიგზავნი?

შემომხედა.

— რად გინდა?

— არ ვიცი, აქ რა იქნება. იქნებ არც დამჭირდეს. მაინც იმედი მაქვს, ყველაფრის მიუხედავად. მარტო როცა ვარ, მაშინ არა. მაგრამ არ მინდა, რომ იწვალოს, ოტო. იწვეს და ტკივილის მეტი არაფერი დარჩეს. შეიძლება აქ ისედაც მისცენ. მაგრამ თუ მეცოდინება, რომ დახმარება შემიძლია, უფრო მშვიდად ვიქნები.

— მხოლოდ ეგაა, რობი? — მკითხა კიოსტერმა.

— მხოლოდ ეგაა, ოტო. მართლა თორემ არ გეტყოდი.

თავი დამიქნია.

— მხოლოდ ორნი დავრჩით მითხრა ნელა.

— ჰო.

— კარგი, რობი.

— დარბაზში შევედით, მე პატი ჩამოვიყვანე მერე სწრაფად ვივახშმეთ, რადგან ცა სულ უფრო იქუფრებოდა. კიოსტერმა კარლი გარაჟიდან გამოიყვანა და შესასვლელთან გაჩერდა.

— კარგად, რობი, — მითხრა მან — კარგად, ოტო.

— ნახვამდის, პატ. — ხელი გაუწოდა და თვალი გაუსწორა, — გაზაფხულზე მოგაკითხავთ.

— მშვიდობით, კიოსტერ. — პატს მისი ხელი მტკიცედ ეჭირა, — ძალიან მიხარია, რომ კიდევ გნახეთ. გოტფრიდ ლენციც მომიკითხეთ — ჰო, — უთხრა კიოსტერმა.

პატი ხელს არ უშვებდა. ტუჩები უკანკალებდა. უცებ ნაბიჯი გადადგა და კიოსტერს აკოცა.

— მშვიდობით, — ჩაიბუტბუტა, ცრემლი ახრჩობდა.

კიოსტერს ალმური აუვიდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გაბრუნდა, მანქანაში ჩაჯდა, ადგილს მოსწყდა და სერპანტინზე დაეშვა. არ — მოუხედავს. თვალი გავაყოლეთ. მანქანა შარაგზას მიუყვებოდა, მოსახვევებში შედიოდა, მარტოხელა ციცინათელასავით, ფარები ნაცრისფერ თოვლს ანათებდა. სიმაღლე აიღო და გაჩერდა. კიოსტერმა ხელი დაგვიქნია. ფარების წინ იდგა, შავად მოჩანდა. მერე გაქრა ჩვენ კი დიდხანს გვესმოდა მანქანის სულ უფრო სუსტი ხმა.

პატი წინ გადახრილი იდგა და ყურს უგდებდა, სანამ რამის გაგონება შეეძლო, მერე მომიტრიალდა.

— ბოლო გემი გავიდა, რობი.

— ბოლოს წინა, — ვუთხარი მე, — ბოლო მე ვარ. და იცი, რას ვაპირებ? სხვა ნავსაყუდელი უნდა ვიშოვო. ფლიგელში ყოფნა აღარ მომწონს. ვერ ვხვდები, რატომ არ შეიძლება, ერთად ვიცხოვროთ? ვეცდები, სადმე ახლოს მოვიპოვო ოთახი.

გაიღიმა.

— გამორიცხულია! არ მოგცემენ! როგორ აპირებ?

— თუ მოვახერხებ, გაგიხარდება?

— რა კითხვაა! შესანიშნავი იქნებოდა, საყვარელო თითქმის ისე, როგორც დედიკო ცალევსკისთან!

— კარგი მაშ, ნახევარი საათი უნდა ვიმუშაო. მაცალე — ჩინებულია. მე და ანტონიო მანამდე ჭადრაკს ვითამაშებთ, აქ მასწავლეს.

ბიუროში წავედი და ავუხსენი რომ დიდი ხნით ვაპირებდი დარჩენას და ოთახი პატის სართულზე მჭირდებოდა. ხანშიშესულმა, უმკერდო ქალმა აღშფოთებით შემომხედა და უარი მითხრა, შიდა განაწესის თანახმად, არ შეიძლებაო.

— განაწესს ვინ ადგენს? — ვკითხე მე.

— დირექტორი, — მიპასუხა ქალბატონმა და კაბის ნაკეცები გაისწორა დიდად იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მითხრა, რომ გამონაკლის შემთხვევებში გადაწყვეტილებას უფროსი ექიმი იღებს.

— მაგრამ უკვე წასულია, — დასძინა ქალმა, — და საღამოს მისი შეწუხება მხოლოდ საქმეზე შეიძლება.

— ძალიან კარგი, — ვუთხარი მე, — მაშ, საქმეზე შევაწუხებ. განა — წესის გამო.

მთავარი ექიმი სანატორიუმის გვერდით პატარა სახლში ცხოვრობდა. უმალვე მიმიღო და ნებართვაც მომცა.

— თავიდან არ მეგონა, რომ ასე იოლად გამომივიდოდა, — ვუთხარი მე გაიცინა.

— მაშ, მოხუცმა რექსროთმა გამოგიჭირათ? კაი, ახლავე დავურეკავ. ბიუროში დავბრუნდი. ჩემი გამომწვევი სახის დანახვაზე მოხუცი რექსროთი ღირსეულად გავიდა. მდივან ქალთან ყველაფერი მოვაგვარე და მამასახლისს დავუბარე, ჩემი ბარგი გადაეტანა და რამდენიმე ბოთლი სასმელიც ეშოვა. მერე პატს დარბაზში მივაკითხე.

— რა ქენი? მკითხა მან.

— ჯერ ვერაფერი, მაგრამ რამდენიმე დღეში მაინც ჩემსას გავიტან — აფსუს.

ჭადრაკის ფიგურები წააქცია და წამოდგა — რა ვქნათ? — ვკითხე მე. — ბარში წავიდეთ?

— საღამოობით კარტს ვთამაშობთ ხოლმე, — თქვა ანტონიომ — თბილი ქარი უბერავს, იგრძნობა. ასეთ დროს ყველაფერს კარტის თამაში სჯობს. — კარტი? პატ? — გაკვირვებულმა ვიკითხე, — რას თამაშობ? შავ პეტერს და პასიანსს, თუ რას?

— პოკერს, საყვარელო, — ამიხსნა პატმა.

გამეცინა.

— მართლა, თამაშობს, — მითხრა ანტონიომ — ოღონდ. მეტისმეტად თამამია. საშინელი ბლეფი იცის.

— მეც, — მივუგე მე, — აბა, ვნახოთ.

კუთხეში დავსხედით და თამაში დავიწყეთ. პატი არცთუ ურიგოდ თამაშობდა. მართლა საშინლად იტყუებოდა. ერთ საათში ანტონიომ ფანჯრიდან გაგვახედა. თოვდა. ნელა, თითქოს ჯერ ვერ ბედავენო სქელი ფიფქები ეშვებოდა.

— ქარი არაა, — თქვა ანტონიომ, — დიდ თოვლს დადებს.

— კიოსტერი სად იქნება? — მკითხა პატმა.

— მთავარ უღელტეხილს უკვე გადაივლიდა. — ვუთხარი მე.

წამით კარლი ცხადად დავინახე, კიოსტერთან ერთად თეთრ ღამეში მიმავალი, და უცებ ყველაფერი არარეალურად მეჩვენა — რომ აქ ვიჯექი, რომ კიოსტერი გზაში იყო, რომ პატი აქ მყავდა. ბედნიერმა გამიღიმა, კარტიანი ხელით მაგიდას იყო დაყრდნობილი.

— მიდი, რობი!

დარბაზში ყუმბარა შემოქროლდა. ჩვენი მაგიდის უკან გაჩერდა და ხალისიანად ჩაერია. ალბათ, მის ცოლს ეძინა და გართობა უნდოდა. კარტი დავდე და შხამიანი მზერით მივაშტერდი, სანამ არ წავიდა. — კეთილი ხარ-მეთქი, ვერ გეტყვი, — პატი ნასიამოვნები იყო. — არა, — მივუგე მე, — არც მჭირდება.

ბარშიც წავედით და რამდენიმე სპეციალი დავლიეთ მერე პატის ძილის დროც მოვიდა. დარბაზშივე დავემშვიდობე. კიბეს ნელა აუყვა, უკან იხედებოდა და ჩერდებოდა, სანამ დერეფანში არ

შეუხვია. ერთხანს ვადროვე, მერე ბიუროში ჩემი ოთახის გასაღები გამოვართვი. პატარა მდივანმა ქალმა გამიღიმა.

— სამოცდამეთვრამეტე, — მითხრა მან.

ოთახი პატის გვერდით იყო.

— ქალბატონ რექსროთის ინიციატივაა? — ვკითხე მე.

— არა, ქალბატონი რექსროთი მისიაშია, — მომიგო მან.

— ეს მისიები ზოგჯერ ღვთის წყალობაა, — ვუთხარი და სწრაფად ავედი.

ნივთები უკვე ამოლაგებული იყო. ნახევარ საათში პატთან გამავალი ოთახის კარზე დავაკაკუნე.

— რომელი ხართ? — გამომძახა პატმა.

— ზნეობის დამცველები, — მივუგე მე.

გასაღებმა დაიჩხაკუნა, კარი ფართოდ გაიღო.

— შენა ხარ, რობი? — ლუღლუღებდა დაბნეული პატი.

— გახლავარ! — ვუთხარი მე, — ქალბატონ რექსროთის დამმარცხებელი! კონიაკისა და პორტო რონკოს მფლობელი! — ხალათის ჯიბიდან ბოთლები ამოვაცოცე. — ახლავე მითხარი, აქ რამდენი კაცია ნამყოფი! — არავინ, ფეხბურთის გუნდისა და გაფართოებული ფილარმონიის ორკესტრის გარდა, — მომახსენა სიცილით პატმა, — საყვარელო! ძველი დრო დაბრუნდა!

ჩემს მხარზე დაეძინა. მე კარგა ხანს ვფხიზლობდი ოთახის კუთხეში პატარა ნათურა ენთო. ფიფქები ფანჯარას ჩუმი კაკუნით ეხლებოდა, და ამ მოყავისფრო-მოოქროსფრო ბინდში დრო თითქოს გაჩერდა. ოთახში ცხელოდა. ხანდახან ცენტრალური გათბობის მილების ტკაცუნი ისმოდა. პატი ძილში შეირხა და საბნები ნელა, შრიალით ჩაცურდა იატაკზე. და მე ვიფიქრე: სპილენძისფერი, მბზინავი კანი! თხელი მუხლი, სასწაული! ნაზი, იდუმალი მკერდი! მხარზე მის თმას ვგრძნობდი და ტუჩებქვეშ — მის მაჯისცემას. უნდა მომკვდარიყავი, ვფიქრობდი. შენ არ მოკვდები. შენ ბედნიერება ხარ.

საბანი ფრთხილად ამოვწიე. პატმა რაღაც ჩაილაპარაკა გაჩუმდა და ნელა, მძინარემ, ხელი თავქვეშ შემიცურა.

27

რამდენიმე დღე გადაუღებლად თოვდა. პატს სიცხე ჰქონდა და ლოგინში იწვა.

— ამინდის ბრალია, — მითხრა ანტონიომ, — მეტისმეტად თბილა და უბერავს. სწორედ სიცხის ამინდია.

საყვარელო, ცოტა გაისეირნე, — მითხრა პატმა, — სრიალებ?

— არა. საიდან უნდა ვიცოდე? მთაში ჩემს დღეში არ ვყოფილვარ — ანტონიო გასწავლის. ესიამოვნება. მოსწონხარ.

— დავრჩები, ასე მირჩევნია.

ლოგინში წამოჯდა. ღამის პერანგი მხრებზე ეკიდა.

— მხრები საშინლად გაუხდა. კისერიც საშინლად დაუწვრილდა. — რობი, — მითხრა მან, — ჩემი ხათრით. არ მინდა, ავადმყოფის სასთუმალთან იჯდე. გუშინ და გუშინწინ ხომ იჯექი, ახლა კმარა.

— აქ ჯდომა ძალიან მომწონს, — ვუთხარი მე, — თოვლისკენ გული — სულ არ მიმიწევს.

ხმამაღლა სუნთქავდა, ხანდახან შრიალი ამოჰყვებოდა ხოლ-

მე. — ამაში შენზე უკეთ ვერკვევი, — მითხრა მან და იდაყვებს დაეყრდნო, — ორივესთვის ასე აჯობებს. აი, ნახავ. — გაჭირვებით გაიღიმა, — დღეს ნაშუადღევს და საღამოსაც გეყოფა ჩემთან ჯდომა. დილით ვწუხვარ ხოლმე, საყვარელო. დილით, სიცხიანი საშინელი სანახავი ვარ. საღამოს სულ სხვა ამბავია. ქარაფშუტა და სულელი ვარ... არ მინდა, უშნოს მიყურებდე.

— კარგი, რა, პატ! — ავდექი, — კარგი, მაშინ ანტონიოსთან ერთად გავივლი. შუადღისას დავბრუნდები. იმედი მაქვს ის რაღაც თხილამური ყველა ძვალს არ დამამტვრევს.

— უცებ ისწავლი, საყვარელო. — შეშინებული და დაძაბული აღარ მიყურებდა, — სულ მალე არაჩვეულებრივად ისრიალებ.

— შენ კი სულ მალე არაჩვეულებრივად მორჩები. — ვუთხარი და ვაკოცე. ხელები ნოტიო და ცხელი ჰქონდა, ტუჩები — მშრალი და დამსკდარი.

ანტონიო მეორე სართულზე ცხოვრობდა. ფეხსაცმელი და თხილამური მათხოვა. მომერგო, ერთი ზომა გვქონდა. სავარჯიშო მინდვრისკენ გავეშურეთ, სოფლიდან ოდნავ მოშორებით იყო. ანტონიომ გზად დაკვირვებით შემომხედა.

— სიცხემ შფოთვა იცის, — მითხრა მან, — ასეთ დღეებში უცნაური ამბები ხდება ხოლმე. — თხილამური წინ დაიწყო და გაამაგრა, — ყველაზე — ცუდი ლოდინია, ვერაფერს რომ ვერ შვრები. ეს გაგიჟებს და განგრევს. — ჯანმრთელებსაც ანგრევს, — მივუგე მე, — იქვე რომ ხარ და ვერაფერს ახერხებ.

თავი დამიქნია.

— ჩვენებიდან ზოგი მუშაობს, — განაგრძო მან, — ზოგს მთელი ბიბლიოთეკა აქვს წაკითხული. მაგრამ მრავალი ისევ ზარმაცი სკოლის მოსწავლესავით იქცევა, წოლით რეჟიმს არღვევს, და შემთხვევით ექიმმა თუ ჩაიარა, დამფრთხალი, ხითხითით იმალება უახლოეს მაღაზიაში ან საკონდიტროში. ჩუმად მოწევა, ჩუმად დალევა, აკრძალული მჩხიბაობა, ჭორაობა და სულელური

ჩხუბები... ამით ცდილობენ, სიცარიელეს თავი დააღწიონ და გადარჩნენ. და სიმართლესაც. სიკვდილის თამაშ-თამაშით, ქარაფშუტულად და თან გმირულად იგნორირება სხვა მაინც რა დარჩენიათ.

„ჰო“, ვიფიქრე მე, „სხვა რა დაგვრჩენია...“

— ვცადოთ? — მკითხა ანტონიომ და ჯოხები თოვლში ჩაარჭო.

— ჰო.

თხილამურის დამაგრება და წონასწორობის შენარჩუნება მასწავლა რთული არ იყო. ხშირად ვეცემოდი, მაგრამ მერე ნელ-ნელა შევეჩვიე და უკვე ცოტა გამომივიდა. ერთ საათში მოვრჩით.

— კმარა, — მითხრა ანტონიომ, — საღამოს კუნთებს უკვე იგრძნობთ თხილამური მოვიხსენი და ვიგრძენი, სისხლი როგორ ამიჩქარდა. — კარგია, რომ გამოვედით, ანტონიო, — ვუთხარი მე.

თავი დამიქნია.

— შეგვიძლია, ყოველ დილით ვქნათ. სხვა რამეზე ვიფიქრებთ. — სადმე ხომ არ დაგველია? — ვკითხე.

— რატომაც არა. დუბონე, ფორსტერთან.

დუბონე დავლიეთ და სანატორიუმისკენ მიმავალ აღმართს შევუყევით. ბიუროში მდივანმა გოგომ მითხრა, ფოსტალიონმა გამოგიარათ და დაიბარა, რომ ფოსტაში უნდა მიხვიდეთო. ფული გამოუგზავნიათ. საათს დავხედე მივუსწრებდი, ამიტომ უკან დავბრუნდი. ფოსტაში ორი ათასი მარკა ჩამითვალეს. კიოსტერის წერილიც დამხვდა. არ იდარდო, მეტიც მაქვსო. უბრალოდ, მომწერეო.

— ფულს დავცქეროდი. საიდან მოიტანა? თან ასე ჩქარა! ჩვენი წყაროები კი მომეხსენებოდა და უცებ მივხვდი. თვალწინ მრბოლელი ტანსაცმლის მწარმოებელი ბოლვიზი დამიდგა, საღამოს,

ბარის წინ, ნიძლავი როცა წააგო, კარლს როგორ ხარბად უტრიალებდა, და როგორ თქვა „ამ მანქანის მყიდველად მუდამ მიგულე“. ჯანდაბა! კიოსტერმა კარლი გაყიდა! ფულიც ეგაა! კარლი, რომელზეც ნათქვამი ჰქონდა, ამ მანქანის დაკარგვას ხელის დაკარგვა მირჩევნიაო. კარლი აღარ გვყავდა. ის ახლა ტანსაცმლის მწარმოებელს ჩაუვარდა სქელ ხელებში, და ოტო, რომელიც მას კილომეტრებიდან ცნობდა, გაიგონებს ხოლმე, როგორ ყმუის ქუჩაში კარლი, გაგდებული ძაღლივით.

კიოსტერის წერილი და მორფის ამპულების პატარა შეკვრა ჯიბეში ჩავიდე. ფოსტის სარკმელთან კვლავ დაბნეული ვიდექი. ყველაფერს მერჩივნა, ფული უმალვე უკან გამეგზავნა. მაგრამ ვერ ვიზამდი, გვჭირდებოდა. დასტა გავასწორე და ჯიბეში ჩავიდე. მერე გარეთ გავედი.

დასწყევლოს ღმერთმა, ამიერიდან ყოველ მანქანას შორიდან უნდა მოვუარო. მანქანები მეგობრები იყვნენ, მაგრამ კარლი ბევრად მეტი იყო! ძმაკაცი! კარლი, გზატკეცილების აჩრდილი. ერთნი ვიყავით. კარლი და კიოსტერი, კარლი და ლენცი, კარლი და პატი. გაცოფებული, უძლური, თოვლს ვტკეპნიდი. ლენცი მოკვდა. კარლი აღარაა. და პატი? თვალთ დამიბნელდა. ცას ავხედე, შეშლილი უფლის რუხ, უსასრულო ზეცას, ღმერთისა, რომელმაც სიცოცხლე და სიკვდილი იმისთვის გამოიგონა, რომ საკუთარი თავი გაერთო.

ნაშუადღევს ქარი შეიცვალა, ცა მოიკარა და აცივდა, და საღამოს პატი უკეთ იყო. მეორე დილას ადგომა შეძლო, და რამდენიმე დღეში, როცა როთი, ის კაცი, რომ განიკურნა, შინისკენ გაემგზავრა, სადგურამდეც გააცილა.

როთს დიდძალი ხალხი აცილებდა. აქ ყოველთვის ასე იყო ხოლმე, როცა ვინმე მიდიოდა. თვითონ როთი დიდად არ ხარობ-

და. თავის ამბავში არ გაუმართლა. ორი წლის წინ, პასუხად კითხვაზე, რამდენ ხანს ვიცოცხლებო, ერთმა დიდმა ექიმმა უთხრა, თავს თუ კარგად მიხედავ, დიდი-დიდი, ორი წელიო, როთმა თავი დაიზღვია და სხვა ექიმსაც ჰკითხა რჩევა. იმან კიდევ ნაკლები უთხრა. ამიტომ როთმა მთელი თავისი ქონება ორ წელიწადზე დაანაწილა და დაანიავა, ისე, რომ თავის ავადმყოფობაზე საერთოდ არ დაფიქრებულა. ბოლოს მძიმე სისხლდენით მიიყვანეს საავადმყოფოში. აქ, ნაცვლად იმისა, რომ მომკვდარიყო, საქმე უკეთესობისკენ წაუვიდა. რომ ჩამოვიდა, ოთხმოცდაათ გირვანქას იწონიდა. ახლა ას ორმოცდაათგირვანქიანი დადგა და აჯობებდა, ცოტა დაეკლო კიდეც. მაგრამ ფული აღარ ჰქონდა.

— ქვემოთ რა უნდა ვქნა? — მკითხა და ჟღალი თავი მოიფხანა, — ხომ იქიდან მოდიხართ, რა ამბებია?

— ყველაფერი შეცვლილია, — ვუთხარი და მის მრგვალ ლაპლაპა სახეს და უფერულ წამწამებს დავაცქერდი. გამომჯობინდა, თუმცა გადადებული იყო — მისი მეტი არაფერი მაინტერესებდა.

— რამე სამსახური უნდა ვიშოვო, — მითხრა მან, — ამ ამბავში რა ხდება? მხრები ავიჩეჩე. რატომ უნდა მეთქვა, რომ, ალბათ, ვერ იშოვიდა. ამის გაგებას თვითონაც მოასწრებდა.

— რამე კავშირები გაქვთ, მეგობრები, რამე ასეთი?

— მეგობრები... მოგეხსენებათ. — აგდებულად გაიცინა, — უცებ ფული რომ აღარ გაქვს, ისე გადახტებიან, როგორც რწყილები მკვდარი ძაღლიდან.

— მაშინ გაგიჭირდებათ.

შუბლი შეჭმუხნა.

— აზრზე არ ვარ, რა იქნება. ორასიოდე მარკა კიდევ მაქვს. ფულის ხარჯვის მეტი არც არაფერი ვიცი. როგორც ჩანს, ჩემი პროფესორი მართალი იყო, ცოტა სხვა გაგებით... ორ წელიწადში მორჩებიო... ყოველ შემთხვევაში...

უცებ ამ იდიოტურმა ლაყბობამ გამაცოფა. რა, სიცოცხლის ფასი არ იცოდა? ვხედავდი, როგორ მიდიოდნენ ანტონიო და პატი, ვიცოდი, როგორ უყვარდა პატს სიცოცხლე, და იმწამს როთის მომკვლელი ვიყავი, თუ პატს ამით ეშველებოდა.

მატარებელი დაიძრა. როთი ქუდს იქნევდა. დარჩენილები ათას რამეს მისძახოდნენ და იცინოდნენ. ერთი გოგო მატარებელს ბორძიკით მისდევდა და გაბზარული, წვრილი ხმით მისძახოდა: „ნახვამდის! ნახვამდის!“ მერე დაბრუნდა და ცრემლები წამოსცვივდა. ყველამ დაირცხვინა.

— ჰეი! — შესძახა ანტონიომ, — ვინც სადგურში იტირებს, ჯარიმა უნდა გადაიხადოს! ეს სანატორიუმის ძველი წესია! ჯარიმა მომავალი ქეიფის სასარგებლოდ!

ხელი თეატრალურად გაუწოდა. დანარჩენებმა ისევ სიცილი დაიწყეს. თვალცრემლიან გოგონასაც ღიმილი გადაეფინა საწყალ, წვეტიან სახეზე. პალტოს ჯიბიდან გაქუცული საფულე ამოიღო. გარშემომყოფები არ იღიმოდნენ, ეს ნაძალადევი, ტანჯული მხიარულება იყო.

— წამოდი, — ვუთხარი პატს და ხელი მაგრად მოვხვიე.

სოფლის ქუჩას მდუმარედ დავუყევით. პირველივე საკონდიტროს თან გავჩერდი და ერთი კოლოფი კანფეტი გამოვიტანე, — მოხალული ნუშია, — ვუთხარი და პაკეტი გავუწოდე, — ხომ გიყვარს? — რობი, — თქვა პატმა. ტუჩები უთრთოდა.

— ერთი წუთით, — ვუთხარი პასუხად და სწრაფად შევედი იქვე, საყვავილეში. შედარებით მშვიდად დავბრუნდი ვარდებით ხელში.

— რობი, — თქვა პატმა.

საწყალობლად გავიღიმე.

— ამ სიბერეში კავალერი გავხდები, პატ.

არ ვიცი, უცებ რა დაგვემართა. ალბათ იმ წყეული, წასული მატარებლის ბრალი იყო. ტყვიის ჩრდილი იყო, რუხი ქარი, ყველაფერი ჩამოგლიჯა, რის დაჭერასაც ასე ვცდილობდით. უცებ ორი გზააბნეული ბავშვი ვიყავით, ვერაფერი გაგვეგო და თავი მაინც გულადად მოგვქონდა.

— წამო, ჩქარა, თითო დავლიოთ, — ვთქვი მე.

თავი დამიქნია. უახლოეს კაფეში შევედით და ფანჯარასთან ცარიელ მაგიდას მივუსხედით.

— რას დალევ, პატ?

— რომს, — მითხრა და შემომხედა.

— რომს, — გავიმეორე და მაგიდის ქვეშ ხელი ხელზე მოვუჭირე მანაც მაგრად მომიჭირა.

რომი მოიტანეს. ბაკარდი ლიმონით.

— შე ძველო, ჩემო საყვარელო, — თქვა პატმა და ჭიქა ასწია. — შე ძველო, მაგარო ბიჭო, — ვუთხარი მე.

ერთხანს ვისხედით.

— ზოგჯერ მაზალოა ხოლმე, არა? — მითხრა პატმა.

— ჰო. ხდება ხოლმე. გაგვივლის.

თავი დამიქნია. გზა განვაგრძეთ, ერთმანეთის გვერდით მივაბიჯებდით, გვერდით მარხილის ცხენებმა ჩაგვიარეს, ორთქლი ასდიოდათ.

დაღლილი, სახედამწვარი მოთხილამურეები, ჰოკეის გუნდი წითელ და თეთრ სვიტერებში, მჭექარე ცხოვრება.

— როგორ ხარ, პატ? — ვკითხე მე.

— კარგად, რობი.

— კი, საყვარელო. — მკლავზე მომეხვია, ქუჩა დაცარიელდა, მწუხრი დათოვლილ მთებს ვარდისფერი საბანივით გადაეფარა — ვნახოთ ვისი აჯობებს, ჰო?

— პატ, — ვუთხარი მე, — შენ არც კი იცი, რამდენი ფული გვაქვს. კიოსტერმა გამოგვიგზავნა.

გაჩერდა.

— შესანიშნავია, რობი. მაშინ ერთხელ მართლა წავიდეთ სადმე. — რასაკვირველია, — ვუთხარი მე, — რამდენჯერაც მოგვინდება. — მაშინ შაბათს, საღამოს, დარბაზში. წელს ბოლო დიდი მეჯლისი იმართება.

— შენთვის ხომ საღამოს გასვლა არ შეიძლება.

— თითქმის არავისთვის არ შეიძლება, მაგრამ მაინც გადიან ხოლმე. ჩაფიქრებული სახე მივიღე.

— რობი, — მითხრა პატმა, — სანამ აქ არ იყავი, ყველაფერს ვაკეთებდი, რასაც მეუბნებოდნენ. ერთი დაშინებული რეცეპტი ვიყავი, მეტი არაფერი. არაფერმა მარგო. უფრო ცუდად გავხდი. არ შემაწყვეტინო, ვიცი, რის თქმასაც აპირებ. ისიც ვიცი, რაზეა ლაპარაკი. მაგრამ რა დროც დამრჩენია, რაც შენთან ერთად დამრჩენია... ნება მომეცი, ის გავაკეთო, რაც მინდა.

მზე წითლად დაჰნათოდა მის სერიოზულ, მშვიდ და სინაზით სავსე სახეს. „რაზე ვლაპარაკობთ?“ ვიფიქრე პირგამშრალმა. შეუძლებელია, აქ როგორ ვდგავართ და იმაზე როგორ ვლაპარაკობთ, რაც არასოდეს მოხდება, არ შეიძლება, რომ მოხდეს. ეს ხომ პატი ამბობს ავ სიტყვებს, მშვიდად, თითქოს უდარდელად, თითქოს საწინააღმდეგო არაფერი მეთქმოდეს, იოტისოდენა ცრუ იმედიც აღარ იყოს. ეს ხომ პატია, ლამის ბავშვი, რომელიც მე უნდა დავიცვა, პატი, რომელიც უცებ ძალიან შორს აღმოჩნდა ჩემგან და იქით, მეორე ნაპირზე, რაღაც უსახური გაიცნო და მას დანებდა.

— ასე ნუ იტყვი — ჩავილუღლუღე ბოლოს, — უბრალოდ, ვიფიქრე, ჯერ ექიმს ხომ არ ვკითხოთ-მეთქი.

— აღარავის ვკითხავთ, აღარავის! — ლამაზი, თხელი თავი გააქნია და თავისი საყვარელი თვალებით შემომხედა, — არაფერი არ მაინტერესებს. მე მხოლოდ ბედნიერება მინდა.

საღამოს სანატორიუმის დერეფნებში დიდი ჩურჩული და მისვლა-მოსვლა იყო ატეხილი, ანტონიომ მოსაწვევი მოგვიტანა. ერთი რუსის ოთახში წვეულება იმართებოდა.

— ასე, უბრალოდ წამოვიდე? — ვიკითხე მე.

— აქ? — კითხვითვე მიპასუხა პატმა.

— აქ ბევრი რამ შეიძლება, რაც სხვაგან არ მოსულა, — გამიღიმა ანტონიომ.

რუსი მუქთმიანი, ასაკოვანი კაცი იყო. ორი ოთახი ეკავა, ხალიჩებით გაწყობილი. სკივრზე არყის ბოთლები იყო დამწკრივებული. ოთახებში ბინდი იდგა. მხოლოდ სანთლები ენთო. სტუმრებს შორის ერთი ულამაზესი, ახალგაზრდა ესპანელი ქალიც იყო. მისი დაბადების დღე ყოფილა, ამას აღვნიშნავდით.

— რას დალევთ? — მკითხა რუსმა. ძალიან თბილი, ბოხი ხმა ჰქონდა. — რაც გექნებათ.

ერთი ბოთლი კონიაკი და გრაფინით არაყი მოიტანა — ჯანმრთელი ხართ? — მკითხა მან.

— დიახ, — ვუპასუხე დაბნეულმა.

სიგარეტი შემომთავაზა, გრძელი, ქაღალდის მუნდშტუკი ჰქონდა. დავლიეთ., — ალბათ, აქ ბევრი რამ უცნაურად გეჩვენებათ, არა? — მკითხა მან. — არც ისე, — მივუგე მე, — ნორმალურ ცხოვრებას არ ვარ მიჩვეული. — ჰო, — თქვა მან და მუქი თვალებით მოპირდაპირე მხარეს მჯდომ ესპანელ გოგოს გახედა, — აქ, ზემოთ, ცალკე სამყაროა. ადამიანებს ცვლის.

თავი დავუქნიე.

— უცნაური ავადმყოფობაა, — დასძინა დაფიქრებულმა, — ადამიანებს აცოცხლებს. ხანდახან, აუმჯობესებს კიდეც. ჯადოსნური სენია. ჭუჭყი გამოაქვს — ადგა, თავი დამიკრა და ესპანელი გოგოსკენ დაიძრა, რომელმაც ღიმილი შეაგება.

— ძალიან პათეტიკურია რას იტყვით? — იკითხა ჩემ უკან ვიღა-

ცამ. ნიკაპი არ ჰქონდა წინწამოწეული შუბლი. მოუსვენარი, სიცხიანი თვალები.

— აქ სტუმრად ვარ, — ვთქვი მე — თქვენ არა?

— ქალებს ამით აბამს, — განაგრძო, ისე, რომ ჩემთვის არც მოუსმენია. — ამით აბამს. ეს პატარაც ასე დააბა.

არ მიპასუხია.

— ეს ვინაა? — ვკითხე პატს, როცა წავიდა.

— მუსიკოსია. მევიოლინე. ესპანელი გოგო უსაშველოდ უყვარს. აქ, ზემოთ, ასეთი სიყვარული არ იციან. მაგრამ გოგოს არ აინტერესებს. რუსი უყვარს.

— მის ადგილას მეც ასე ვიზამდი.

პატმა გაიცინა.

— მე მგონი, შესაყვარებელი კაცია, — ვუთხარი მე, — შენ რას იტყვი? — არაფერს, — მიპასუხა მან.

— აქ შეყვარებული არასოდეს ყოფილხარ?

— დიდად არა.

— ჩემთვის სულერთი იქნებოდა, — ვუთხარი მე.

— კარგი, გავითვალისწინებ. — პატი წამოიმართა, — ისე, მთლად სულერთიც არ უნდა იყოს.

— მაგას არ ვამბობ. ვერც კი აგიხსნი, რას ვამბობ. იმიტომ არ შემიძლია, რომ ახლაც არ ვიცი, ჩემში რა იპოვე.

— ეგ ჩემი სადარდებელია, — მომიგო მან.

— შენ იცი?

— ზუსტად არა, — გაიცინა, — მაშინ ხომ სიყვარული აღარ იქნებოდა. რუსმა ბოთლები დატოვა. რამდენიმე ჭიქა დავისხი და დავცალე.— ოთახის განწყობა მთრგუნავდა. ამ მომწონდა, რომ პატს ამ ავადმყოფებს შორის ვხედავდი.

— არ მოგწონს აქ ყოფნა? — მკითხა მან.

— ისე რა. ჯერ უნდა შევეჩვიო.

— ჩემო საწყალო, ჩემო საყვარელო... — ხელზე ხელი გადამისვა. — შენ როცა აქ ხარ, საწყალი არ ვარ, — ვუთხარი მე.

— რიტა ძალიან ლამაზია, არა?

— არა, — ვუთხარი მე, — შენ ბევრად უფრო ლამაზი ხარ.

ესპანელ გოგონას კალთაში გიტარა ედო. ერთი-ორი აკორდი აიღო, მერე ამღერდა, თითქოს ოთახში ბნელმა ფრინველმა შეკრა კამარა. ესპანურ სიმღერებს მღეროდა, ხმადაბლა, ავადმყოფი ქალის ხრინწიანი, სუსტი ხმით. არ ვიცი, უცხო, მელანქოლიური მელოდიების ბრალი იყო, გოგონას სულშიჩამწვდომი, დაისის ხმისა, სავარძლებში და იატაკზე მოკუნტული ავადმყოფების ჩრდილების თუ რუსის დიდი, დახრილი, შავგვრემანი სახისა — უცებ მომეჩვენა, რომ ეს ყველაფერი იმისთვის ხდებოდა, რომ სლუკუნით, ჩუმად შეევედრებინათ თავი ბედისწერისთვის, ფარდაჩამოფარებული ფანჯრების უკან, გარეთ რომ იდგა და იცდიდა. თხოვნა იყო, ყვირილი და შიში, მარტოდ დარჩენის, ნელ-ნელა მღრღნელი არაფრის პირისპირ დარჩენის შიში. მეორე დილას პატი მხიარული და ხალისიანი იყო. თავის კაბებს ათვალიერებდა.

— ძალიან დიდი მაქვს, მეტისმეტად დიდი, — სარკის წინ ტრიალებდა. მერე მომიბრუნდა:

— შენი სმოკინგი თანა გაქვს, საყვარელო?

— არა, — ვუთხარი მე, — არ ვიცოდი, აქ თუ დამჭირდებოდა.

— მაშინ ანტონიოსთან მიდი. გათხოვებს. ერთი აღნაგობა გაქვთ. — თვითონ არ დასჭირდება?

— ფრაკს ჩაიცვამს. — კაბა გადაკეცა, — და მერე სათხილამუროდ წადი. მე აქ უნდა ვიმუშაო. შენ თუ აქ იქნები, ვერ შევძლებ.

— ეს ანტონიო, — ვთქვი მე, — ბოროტად ვიყენებ. ეგ რომ არ გვყოლოდა, რა გვეშველებოდა.

— კარგი ბიჭია, არა?

— ჰო, — ვუთხარი, — სწორად თქვი. კარგი ბიჭია.

— მარტო როცა ვიყავი, არც ვიცი, მის გარეშე რა მეშველებოდა — მაგაზე ნუ ვიფიქრებთ, ჩავლილი ამბავია.

— ჰო, — მაკოცა, — აბა, წადი, ითხილამურე.

ანტონიო უკვე მიცდიდა.

— ვიფიქრე, რომ სმოკინგი თან არ გექნებოდათ, — მითხრა მან, — აბა, ერთი ეს ჩაიზომეთ.

კოსტიუმი ცოტა პატარა იყო, მაგრამ მომიხდა. ანტონიომ კმაყოფილმა დაუსტვინა და ტანსაცმელი კარადიდან გამოალაგა.

— ხვალ ძალიან გავერთობით, — მითხრა მან, — საბედნიეროდ, სადავოს მდივანი გოგო მუშაობს. მოხუცი რექსროთი არ გაგვიშვებდა. ოფიციალურად, ხომ ეს ყველაფერი აკრძალულია. მაგრამ, არაოფიციალურად, ცხადია, ბავშვები აღარ ვართ.

სასრიალოდ წავედით. მშვენივრად ვისწავლე და სავარჯიშო მინდორზე წასვლა აღარ გვჭირდებოდა. გზად კაცი გადაგვეყარა, ბრილიანტის ბეჭდებით, მოჩითული შარვლით და ქარში მოფრიალე ხელოვანის ჰალსტუხით.

— მაზალო ხალხი ამოდის, — ვთქვი მე.

ანტონიომ გაიცინა.

— მნიშვნელოვანი კაცია. ცხედრების ბადრაგი.

— ბატონო? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ცხედრების ბადრაგი, — გაიმეორა ანტონიომ, — აქ ხომ მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან ავადმყოფები. განსაკუთრებით ბევრი სამხრეთ ამერიკიდანაა. ჰოდა, ოჯახებს, როგორც წესი, უნდათ, რომ თავისიანები სამშობლოში დაკრძალონ. აი, ასეთი ბადრაგიც, საკმაოდ კარგ ანაზღაურებად, წამოჰყვებათ ხოლმე და მერე თუთიის კუბოს ჩაიტანს. ამ გზით ხალხი მდიდრდება და ბევრსაც მოგზაურობს. როგორც ხედავთ, ეს კაცი სიკვდილმა დენდიდ აქცია.

ერთხანს კიდევ აღმართს მივუყვებოდით, მერე თხილამური

დავიმაგრეთ და დავეშვით. თეთრ კალთებზე აღმა-დაღმა დავსრიალებდით, და უკან, ყეფით, ალაგ-ალაგ მკერდამდე თოვლში ჩაფლული, მოწითალო-მოყავისფრო ბურთივით, ბილი მოგვდევდა. ისევ შემეჩვია, თუმცა კი გზაში ხშირად მოტრიალდებოდა ხოლმე და თავქუდმოგლეჯილი, ყურების ქნევით, სანატორიუმისკენ გარბოდა.

სწრაფად გაჩერებას ვსწავლობდი. ყოველ ჯერზე, როცა დაღმართში ვეშვებოდი, მოსახვევად ვემზადებოდი და სხეულს ვადუნებდი, ვფიქრობდი ხოლმე: თუ გამომივა და არ დავეცემი, პატი გამოჯანმრთელდება. ქარი სახეში მცემდა, თოვლი მძიმე და მაგარი იყო, მაგრამ ყოველ ჯერზე თავიდან ვდგებოდი, სულ უფრო ციცაბო დაღმართებს ვეძებდი, სულ უფრო რთულ გზებს, და როცა გამომდიოდა, ვფიქრობდი: გადარჩა! ვიცოდი, რომ სისულელე იყო, მაგრამ მაინც ისე მიხაროდა როგორც დიდი ხანია, არაფერი გამხარებია.

— შაბათს საღამოს დიდი, გასაიდუმლოებული გასვლა მოვაწყვეთ. ანტონიომ სანატორიუმიდან ოდნავ მოშორებით მარხილი დაგვახვედრა.

თვითონ მხიარული მოძახილით დაეშვა დაღმართზე, ლაკის ფეხსაცმლით და გადაღეღილი პალტოთი, რომლიდანაც ფრაკიანი თეთრი მკერდი მოუჩანდა.

— გიჟია, — ვთქვი მე.

— ასეთებს ხშირად შვრება, — მითხრა პატმა, — უსაზღვროდ ქარაფშუტაა. ეგ აძლებინებს. სხვაგვარად სულ კარგ ხასიათზე ვერ იქნებოდა. — სამაგიეროდ, შენ უფრო ჩაგფუთნავთ.

რაც მქონდა, ყველა შარფი და საბანი მოვახვიე. მერე მარხილი დაღმართში დაეშვა. გრძელი კოლონა იყო. ვისაც კი შეეძლო, ყველა გამოიპარა. კაცს ეგონებოდა, მექორწილეები მოდი-

ანო: მთვარის შუქზე ცხენები თავზე დამაგრებულ ჭრელ ბუმბულებს საზეიმოდ იქნევდნენ, ბევრს ვიცინოდით და მარხილებიდან ერთმანეთს გავძახოდით.

დარბაზი მდიდრულად მოერთოთ. რომ მივედით, უკვე ცეკვავდნენ. სანატორიუმიდან მოსული სტუმრებისთვის ერთი კუთხე დაეჯავშნათ, ორპირი ქარისგან დაცულ ადგილას თბილოდა, ყვავილების, სუნამოს და ღვინის სუნი იდგა.

ჩვენს მაგიდასთან უამრავი ადამიანი იჯდა: რუსი, რიტა, მევიოლინე, მოხუცი ქალი — მორთულ-შეღებილი ცხედარი, მისი თანმხლები ჟიგოლო, ანტონიო და კიდევ რამდენიმე კაცი.

— წამოდი, რობი, — მითხრა პატმა, — ვიცეკვოთ, ვცადოთ.

პარკეტი ჩვენ ფეხქვეშ ნელა ტრიალებდა. ვიოლინო და ჩელო მოჩურჩულე ორკესტრს ნაზი კანტილენათი გამოეყო. მოცეკვავეები სულ უფრო ჩუმად დასრიალებდნენ.

— ჩემო საყვარელზე საყვარელო, ასე უცებ ასე კარგად როგორ ცეკვავ? — მკითხა გაკვირვებულმა პატმა.

— არაჩვეულებრივად...

— მართლა. სად ისწავლე?

— ჯერ კიდევ გოტფრიდმა მასწავლა, — ვუთხარი მე.

— სახელოსნოში?

— პო... და კაფე „ინტერნაციონალში“. ქალბატონებიც ხომ გვჭირდებოდა. ბოლოს როზამ, მარიონმა და ვალიმ დამხვეწეს. ვშიშობ, მაინცდამაინც ელეგანტურად არ გამოუვიდათ.

— როგორ არა! — თვალები უციმციმებდა, — პირველად ვცეკვავთ ერთად, რობი!

ჩვენ გვერდით რუსი და ესპანელი ცეკვავდნენ. ესპანელი გოგო ძალიან ფერმკრთალი იყო, შავი, მბზინავი თმა მის შუბლს ყორნის ფრთასავით ევლებოდა. უძრავი, სერიოზული სახით ცეკვავდა. მაჯაზე ოთხკუთხედი, დიდი ზურმუხტების სამაჯური ეკეთა. გოგო თვრამეტი წლისა იყო. მაგიდიდან მევიოლინე ხარბად

ადევნებდა თვალს. დავბრუნდით.

— ახლა კი მომაწევინე, — თქვა პატმა.

— ეგებ არ ღირდეს, — ვუთხარი ფრთხილად.

— ორი ნაფაზი, რობი. რამდენი ხანია, არ მომიწევია.

სიგარეტი აიღო, მაგრამ მალე ისევ გადადო.

— არ მეგემრიელება, რობი. უბრალოდ, აღარ მსიამოვნებს.

გავიცინე.

— ასეა ხოლმე, დიდხანს რომ გაქვს რამეზე უარი ნათქვამი.

— ჩემზეც დიდხანს გქონდა უარი ნათქვამი? — მკითხა მან.

— ეგ მარტო შხამებს ეხება, — მივუგე მე, — მარტო სასმელს და თამბაქოს.

— ადამიანები სასმელზე და თამბაქოზე ბევრად უარესი შხამი არიან, საყვარელო.

გავიცინე.

— ჭკვიანი ბავშვი ხარ, პატ.

მკლავებით მაგიდას დაეყრდნო და შემომხედა.

— ისე, მთლად სერიოზულად არასოდეს მიყურებდი, არა?

— მთლად სერიოზულად არც საკუთარი თავისთვის შემიხედავს, — ვუთხარი მე.

— არც ჩემთვის სიმართლე მითხარი, — არ ვიცი. მაგრამ ჩვენ ორს ერთად ყოველთვის ძალიან სერიოზულად აღვიქვამდი, ეგ ზუსტად ვიცი.

გამიღიმა. ანტონიომ საცეკვაოდ დაპატიჟა, წავიდნენ. ვუყურებდი, როგორ ცეკვავდა. რამდენი ჩამივლიდა, გამიღიმებდა ხოლმე. მისი ვერცხლის ფეხსაცმელი იატაკს თითქმის არ ეხებოდა. ჯეირანივით მოძრაობდა, რუსი კვლავ ესპანელთან ერთად ცეკვავდა. ორივე დუმდა. რუსის დიდი, შავგვრემანი სახე დაფარული სინაზით იყო სავსე. მევიოლინემ ესპანელთან ცეკვა სცადა. გოგომ თავი გააქნია და რუსთან ერთად გავიდა მოედანზე.

მევიოლინემ სიგარეტი გრძელი, ძვლიანი თითებით დაჭმუჭნა. უცებ შემეცოდა. სიგარეტი მივაწოდე. უარი მითხრა.

— თავს უნდა მოვუფრთხილდე, — მითხრა თავისი ჩაწყვეტილი ხმით. თავი დავუქნიე.

— აი, ის, — განაგრძო ხითხითით და რუსისკენ გამახედა, — ის ყოველდღე ორმოცდაათ ღერს ეწევა.

— ზოგი ისე იქცევა, ზოგი — ასე, — ვუპასუხე მე.

— ახლა კი არ უნდა ჩემთან ცეკვა, მაგრამ მაინც ჩემი გახდება. — ვინ?

— რიტა.

ახლოს მომიჩოჩდა.

— კარგი ურთიერთობა გვქონდა. ერთად ვთამაშობდით ხოლმე მერე ეს რუსი მოვიდა და თავისი ტირადებით წამართვა. მაგრამ მაინც დავიბრუნებ.

— დაძაბვა მოგიწევთ, — ვუთხარი მე. კაცი არ მომწონდა.

აკიკინდა, სიცილი დაიწყო.

— დაძაბვა? უბიწო ანგელოზო! მე მხოლოდ დაცდა მჭირდება.

— მაშ, დაიცადეთ.

— ორმოცდაათი სიგარეტი, — აჩურჩულდა, — ყოველდღე. გუშინ რენტგენის სურათი ვნახე. კავერნა კავერნაზე. გათავებულია. — ისევ გაიცინა, — ჯერ ერთნაირად ვიყავით, რენტგენის სურათები ერთმანეთში აგერეოდა. ახლა უნდა ნახოთ განსხვავება! ორი გირვანქა მოვიმატე. არა, ძვირფასო, მე მხოლოდ უნდა დავიცადო და თავს გავუფრთხილდე. შემდეგ სურათს მოუთმენლად ველი. მოწყალების და ყოველთვის მაჩვენებს ხოლმე. ის რომ წავა, ჩემი რიგი დადგება.

— ეგეც ერთგვარი ხერხია, — ვუთხარი მე.

— ეგეც ერთგვარი ხერხია, — მომბაძა, — ერთადერთი ხერხია, ბიჭუნავ! თუ დავუპირისპირდები, შეიძლება სამომავლოდ შანსი დავკარგო. არა, პატარავ... მეგობრულად, წყნარად... დავიცდი...

ჰაერი დაიხუთა და დამძიმდა. პატი ახველებდა. დავინახე, შეშინებულმა გამომხედა, და თავი შორს დავიჭირე, ვითომ არც გამეგონა. მარგალიტებასხმული მოხუცი ქალი ჩუმად იჯდა, ფიქრებში ჩაძირული. ხანდახან ხმამაღლა გაიცინებდა ხოლმე. მერე ისევ უცებ წყნარდებოდა და არ ინძრეოდა. გაპრანჭული ცხედარი ჟიგოლოს ეკინკლავებოდა.

რუსი განუწყვეტლივ ეწეოდა. მევიოლინე უკიდებდა ხოლმე. ერთ გოგოს უცებ სისხლი მოადგა, ცხვირსახოცი ტუჩებთან მიიტანა, მერე დახედა და ფერი წაუვიდა.

დარბაზს თვალი მოვავლე. სპორტსმენების მაგიდები, ჯანმრთელი ადამიანების მაგიდები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, თავიანთი ენის მტკიცე მარცვლებით, რომელთაც მინდვრების და ზღვის ხმა მოსდევდა... და მათ შორის — ავადმყოფობის და სიკვდილის პატარა კოლონია, — სიცხიანი, ლამაზი და დაკარგული. მინდვრები და ზღვა... პატს შევხედე... მინდვრები და ზღვა... ქაფი და ქვიშა და ცურვა... და მე ვფიქრობდი: ჩემი საყვარელი, თხელი შუბლი! საყვარელი ხელები! საყვარელი სიცოცხლე, რომლის სიყვარული შემიძლია, გადარჩენა კი — არა.

ავდექი და გარეთ გავედი. საკუთარი დათრგუნვილობისა და უძლურებისგან დამცხა. გზას ნელა გავუყევი. სიცივე ძვალრბილში ატანდა, სახლების უკან ქარი დამეწია და კანი გამითოშა. მუშტები შევკარი და დიდხანს გავცქეროდი მტკიცე, თეთრ მთებს, და ყველაფერი გიჟურად ამერია: თავაშვებულობა, რისხვა და ტკივილი.

ქვემოთ, ქუჩაზე, მარხილმა ჟღარუნით ჩაიარა. დავბრუნდი. პატი მომეგება.

— სად იყავი?

— გარეთ გავედი.

— ცუდ გუნებაზე ხარ?

— სულაც არა.

— საყვარელო, გამხიარულდი დღეს იმხიარულე! ჩემი ხათრით! ვინ იცის მეჯლისზე როდისღა მოვხვდები.

— კიდევ ძალიან ბევრჯერ.

თავი მხარზე დამადო.

— შენ თუ ამბობ, ალბათ, მართლა ასეა. წამოდი, ვიცეკვოთ. ერთად პირველად ვცეკვავთ.

ვცეკვავდით, და თბილი, რბილი შუქი მოწყალე იყო. მან ყველა ჩრდილი დაფარა, რომელიც ღამემ სახეებს დამღად დაადო, — როგორა ხარ? — ვკითხე მე.

— კარგად, რობი.

— რა ლამაზი ხარ, პატ.

თვალები უნათებდა.

— კარგია, რომ მეუბნები.

ლოყაზე თბილი, მშრალი ტუჩები ვიგრძენი.

სანატორიუმში როცა დავბრუნდით, გვიანი იყო.

— შეხედეთ, რას ჰგავს, — ჩაიხითხითა მევიოლინემ და უჩუმრად რუსისკენ გამახედა.

— თქვენც ზუსტად ასე გამოიყურებით, ვუპასუხე გაბრაზებულმა გაკვირვებით შემომხედა.

— კარგი, ერთი, ჯანმრთელო! — მითხრა შხამიანად რუსს ხელი გავუწოდე. თავი დამიკრა და კიბეზე ასვლისას ნორჩ ესპანელს ფრთხილად და ნაზად შეეშველა. ღამის სუსტ განათებაში კიბეზე მიმავალი მისი დიდი, მოხრილი ზურგი და ესპანელი გოგოს სუსტი მხრები ისე ჩანდა, თითქოს მთელი სამყაროს ტვირთი ზედ დასწოლოდათ. ბერიქალი მობუზღუნე ჟიგოლოს დერეფანში მიათრევდა. ანტონიომ ღამე ნებისა გვისურვა. ცოტა არაამქვეყნიური რამ იყო ეს თითქმის უხმო, ჩურჩულით დამშვიდობება.

პატიმ კაბის გახდა დაიწყო. მოხრილი იდგა, თავზემოთ აწეუ-

ლი კაბით, და მხრებთან ექაჩებოდა. ფარჩა გაიხა. პატი დააცქერდა.

ძალიან ნაზი ქსოვილი იყო, — ვუთხარი მე.

— არა უშავს, — თქვა პატმა, — მაინც აღარ მჭირდება.

კაბა დაკეცა. კარადაში აღარ შეუკიდია ჩემოდანში ჩადო უცებ სახეზე დაღლა დაეტყო, — ნახე, რა მაქვს, — ვთქვი სასწრაფოდ და პალტოს ჯიბიდან შამპანურის ბოთლი დავაძრე, — ახლა ჩვენი საკუთარი პატარა ზეიმი იწყება. ჭიქები მოვიტანე და ჩამოვასხი. ისევ გაიღიმა და დალია.

ჩვენ ორს გაგვიმარჯოს, პატ.

— ჰო, საყვარელო, ჩვენს მშვენიერ სიცოცხლეს.

რა უცნაური იყო ეს ყველაფერი: ეს ოთახი, სიჩუმე და ჩვენი სევდა, განა კარსმიღმა სიცოცხლე არ იყო, უსასრულო, ტყეებით, მდინარეებით და ძლიერი სუნთქვით, აყვავებული და მოუსვენარი, განა თეთრი მთების მიღმა უკვე აღელვებული მარტი არ აკაკუნებდა გამოღვიძებულ მიწაზე?

— ამაღამ ჩემთან დარჩები, რობი?

— კი, წამოდი, დავწვეთ. ისე ახლოს ვიყოთ, რამდენადაც კი ადამიანებს შეუძლიათ, და ჭიქა საბანზე დავდგათ და დავლიოთ.

დალევა, ოქროსფერი კანი. ლოდინი. უძილობა. სიჩუმე და ჩუმი შრიალი საყვარელი ქალის მკერდში.

28

თბილმა ქარმა დაუბერა., სველი სითბო დატრიალდა. თოვლმა დნობა დაიწყო. სახურავებიდან წვეთავდა. ტემპერატურული დიაგრამები ავარდა, პატი ლოგინიდან ვერ დგებოდა. ექიმი ორ საათში ერთხელ მოდიოდა. სახე სულ უფრო ექუფრებოდა.

ერთხელ ვსადილობდი და ანტონიო მოვიდა, ჩემ გვერდით ჩამოჯდა. — რიტა მოკვდა, — თქვა მან.

— რიტა? რიტა თუ რუსი?

— არა, რიტა, ესპანელი.

— შეუძლებელია, — ვთქვი და ვიგრძენი, რომ სისხლი გამეყინა. რიტა პატზე ბევრად ნაკლებად ავად იყო.

— აქ ბევრი რამაა შესაძლებელი, — მითხრა ანტონიომ მელანქოლიურად, — დღეს დილით გარდაიცვალა. ფილტვების ანთებაც დაერთო.

— ფილტვების ანთება. ეს სულ სხვა რამეა, — გულზე მომეშვა. — თვრამეტი წლისა. საშინელებაა. და რა მძიმედ მოკვდა.

— რუსი?

— არ მკითხოთ. არ იჯერებს, რომ მოკვდა. ამბობს, კომაშიაო,

ლოგინთან უზის და ოთახიდან ვერ გაჰყავთ.

ანტონიო წავიდა. ფანჯარას მივაშტერდი. რიტა მოკვდა. მაგრამ მე ვიჯექი და ვფიქრობდი: პატი — არა. პატი არ მომკვდარა.

შემინული დერეფნიდან მევიოლინე დავინახე სანამ წამოვდგებოდი მომადგა. საშინლად გამოიყურებოდა.

— ეწევით? — რამე ხომ უნდა მეთქვა, გაიცინა.

— რასაკვირველია! რატომაც არა? ახლა? ახლა ხომ სულერთია. მხრები ავიჩეჩე.

— გსიამოვნებთ, ხომ, სათნოებავ? — მკითხა აგდებით.

— გიჟი ხართ, — ვუთხარი მე.

— გიჟი? არა, გაბრიყვებული! — მაგიდაზე გადაწვა და კონიაკის სუნი მომასუნთქა, — გავბრიყვდი. გამაბრიყვეს. ღორები. ყველა ღორია. თქვენც, სათნო ღორო.

— ავად რომ არ იყოთ, ფანჯრიდან გადაგაგდებდით, — ვუთხარი მე. — ავად? ავად? — დამცინა, — ჯანმრთელი ვარ, თითქმის ჯანმრთელი, სწორედ იქიდან მოვდივარ! რაპიდული დაკაფსულების გასაოცარი მაგალითი! სასაცილოა, არა? — გიხაროდეთ, — ვუთხარი მე, — აქედან რომ წახვალთ, თქვენი დარდებიც გადაგავიწყდებათ.

— ვითომ? — მომიგო მან, — ასე გგონიათ? პრაქტიკული პატარა ჭკუის კაცი! ღმერთმა დაიფაროს თქვენი ლოყებღაჟღაჟა სული!

წაბარბაცდა, მაგრამ მერე ისევ მობრუნდა.

— წამოდით! ერთად ვიყოთ, დავლიოთ. მე ვიხდი მარტო ყოფნა არ შემიძლია.

— არა მცალია, — ვუთხარი მე, — ვინმე სხვა მონახეთ.

ისევ პატთან ავედი. მძიმედ სუნთქავდა, ზურგსუკან მრავალი ბალიში ეწყო.

— არ თხილამურობ? — მკითხა მან.

თავი გავაქნიე.

— ცუდი თოვლია. ყველგან დნება.

— მაშინ ანტონიოსთან ჭადრაკის თამაში არ გინდა?

— არა, — ვუთხარი მე, — აქ მინდა, შენთან დარჩენა.

— საწყალო რობი, — განძრევას ეცადა, — რამე დასალევი მაინც მოიტანე — ამას კი ვიზამ.

— ჩემ ოთახში გავედი და კონიაკის ბოთლი და ჭიქა წამოვიღე., — ცოტას დალევ? — ვკითხე მე, — შეიძლება, ხომ იცი.

პატარა ყლუპი მოსვა, ცოტა ხანში — მეორე. მერე ჭიქა დამიბრუნდა. გავავსე და დავცალე.

— ჩემი ჭიქიდან არ უნდა სვამდე, — მითხრა პატმა.

— უკეთესი იქნებოდა. — ერთიც დავისხი და ჩავცალე.

თავი გააქნია.

— ასე ნუ იზამ, რობი. აღარც ჩემი კოცნა შეიძლება. საერთოდ, ჩემთან ერთად ამდენ ხანს აღარ უნდა იყო ხოლმე. ავად არ უნდა გახდე. — გაკოცებ და მეტსაც ვიზამ, — ვუთხარი მე.

— არა, არ შეიძლება. აღარც ჩემს ლოგინში არ უნდა დაიძინო. — კარგი, მაშინ შენ დაიძინე ჩემს ლოგინში.

ტუჩები შეერხა.

— გაჩერდი, რობი. შენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო მე მინდა, რომ დიდხანს იცხოვრო და შვილებიც გყავდეს და ცოლიც.

— უშენოდ არც შვილები მეყოლება და არც ცოლი. შენ ხარ ჩემი შვილი და ჩემი ცოლი.

ერთხანს ჩუმად იწვა.

— შენგან შვილი სიხარულით მეყოლებოდა, რობი, — თქვა მერე და სახე მხარზე მომადო, — ადრე არასოდეს მნდომებია. არც კი წარმომედგინა. ახლა კი ხშირად ვფიქრობ ამაზე. კარგია, როცა ვიღაცისგან რაღაც გრჩება. მერე ბავშვი შემოგხედავდა ხოლმე და გაგახსენდებოდი მაშინ მეც აქ ვიქნებოდი. — ჭიქა გამომართვა და მოსვა.

— იქნებ, ასე სჯობს, რომ არ გვყავს, საყვარელო, თან არაფერი

უნდა წაიღო. უნდა დამივიწყო. და თუ გაგახსენდები, მხოლოდ ის უნდა იფიქრო, რომ კარგად ვიყავით — მეტი არაფერი. ჩვენ ხომ ვერც მივხვდებით რომ მორჩა და გათავდა, არ იდარდო, — როცა ასე ლაპარაკობ, ვდარდობ.

ერთხანს მიყურებდა.

— ასე რომ წევხარ, ათას რამეზე ფიქრობ. ბევრი რამ საოცრად გეჩვენება, რასაც სხვა დროს ყურადღებას არ აქცევდი, იცი, ახლა რა ვერ გამიგია? რომ შეიძლება ისე უყვარდეთ ერთმანეთი, როგორც ჩვენ გვიყვარს, და ერთ-ერთი მაინც კვდება.

— გაჩუმდი, — ვუთხარი მე, — ერთ-ერთი პირველი უნდა მოკვდეს, ცხოვრებაში მუდამ ასეა. მაგრამ მანამდე ჯერ ბევრი გვიკლია. — მხოლოდ მაშინ უნდა კვდებოდე, როცა მარტო ხარ. ან ერთმანეთი გძულთ... მაგრამ მაშინ არა, როცა გიყვარს და უყვარხარ გაღიმებას ვეცადე.

— ჰო, პატ, — ვუთხარი და ცხელ ხელებზე ხელი მოვკიდე, — სამყარო ჩვენ რომ შეგვექმნა, უკეთესი გამოგვივიდოდა, არა? — თავი დამიქნია.

— ჰო, საყვარელო. ჩვენ ასეთ რამეს არ დავუშვებდით. ნეტა ვიცოდე, იქით რა იქნება. გჯერა, რომ იქითაც გაგრძელდება?

— კი, — ვუთხარი პასუხად, — ისეთი ცუდი გაკეთებულია, ჯერ ვერ დამთავრდება.

გაიღიმა.

— ესეც მიზეზი. მართლა ცუდად გაკეთებული ggონია?

ლოგინის გვერდით ყვითელი ვარდების თაიგული დამანახა.

— სწორედ ეგაა, — ვუთხარი მე, — ცალკეული წვრილმანები შესანიშნავია, მაგრამ მთლიანობაში აზრი არა აქვს. თითქოს ისეთმა ვიღაცამ გააკეთა, ვისაც ცხოვრების საოცარი მრავალფეროვნების შემყურეს სხვა აზრი არ მოუვიდა, გარდა იმისა, რომ გაენადგურებინა. — და ხელახლა გაეკეთებინა, — თქვა პატმა.

— აქაც ვერანაირ აზრს ვერ ვხედავ, — მივუგე მე, — ამის გამო

დღემდე არაფერი გაუმჯობესებულა.

— გაუმჯობესდა, საყვარელო, — თქვა პატმა, — ჩვენი ამბავი, ეგ კარგად გამოუვიდა. ოღონდ მოკლე იყო. მეტისმეტად მოკლე.

ერთი-ორი დღის მერე მკერდში ჩხვლეტა ვიგრძენი და ხველება დავიწყე. მთავარმა ექიმმა გაიგონა, როცა დერეფანს მიუყვებოდა და თავი ჩემს ოთახში შემოჰყო.

— ერთი, მიმღებში წამომყევით.

არაფერი არაა, — ვუთხარი მე.

— სულერთია, — მომიგო მან, — ასეთი ხველებით ქალბატონ ჰოლმანთან არ უნდა იჯდეთ. ახლავე წამოდით.

მიმღებში პერანგი რაღაცნაირად, კმაყოფილმა გავიხადე. აქ, ზემოთ, ჯანმრთელობა ლამის უსამართლოდ მიღებული სარგებელი იყო.

საკუთარ თავს სპეკულანტად და მუქთახორად ვგრძნობდი. ექიმმა უცნაურად შემომხედა.

— მგონი, გახარებული ხართ, — მითხრა შუბლშეჭმუხნულმა.

მერე გულდასმით შემამოწმა. კედლებზე პრიალა ნივთებს შევცქეროდი და ღრმად და ნელა და ჩქარა და მოკლედ ვსუნთქავდი, როგორც მეუბნებოდა. ამ დროს ისევ ჩხვლეტას ვგრძნობდი და კმაყოფილი ვიყავი, რომ პატს ცოტა მაინც დავეწიე.

— გაციებული ხართ, — მითხრა მთავარმა ექიმმა, — ერთი-ორი დღით ლოგინში ჩაწექით ან თქვენი ოთახიდან მაინც ნუ გახვალთ. ქალბატონ ჰოლმანთან შესვლა გეკრძალებათ. თქვენი კი არა, ქალბატონი ჰოლმანის გამო. — კარიდან რომ ველაპარაკო? — ვკითხე მე, — ან აივნიდან?

— აივნიდან კი, ოღონდ ერთი-ორი წუთი, კარგი, კარიდანაც, თუ ყელში ბეჯითად გამოივლებთ ხოლმე. გაციების გარდა, მწეველის კატარიც გაქვთ.

— ფილტვები? — იმედი მქონდა, რომ რამე მაინც მჭირდა. პატთან თავს უკეთ ვიგრძნობდი.

— თქვენი ფილტვიდან სამი გამოიჭრება, მითხრა მთავარმა ექიმმა, — დიდი ხანია, თქვენისთანა ჯანმრთელი კაცი არ მინახავს. ოღონდ ცოტა მაგარი ღვიძლი გაქვთ. ალბათ, მეტისმეტს სვამთ.

რაღაც გამომიწერა და წამოვედი.

— რობი, — დამიძახა თავისი ოთახიდან პატმა, — რა გითხრა? — ცოტა ხნით შენთან შემოსვლის ნება არ მაქვს, — ვუპასუხე კართან ჩაცუცქულმა, — მკაცრი აკრძალვაა. გადადების საშიშროება.

— ხომ ხედავ, — თქვა შეშინებულმა, — სულ ამას ვამბობდი, აღარ მინდოდა.

— შენ გადაგედება, პატ, მე — არა.

— რა სისულელეა, — მითხრა მან, — წესიერად მომიყევი რა მოხდა. სწორედ ასეა. დაო, — სტაციონარის მედდას ხელი დავუქნიე, ისისაა, წამლები მომიტანა, — უთხარით ქალბატონ ჰოლმანს, ჩვენ შორის ვინაა უფრო სახიფათო.

— ბატონი ლოკამპი, — აუხსნა მედდამ, — მისი გარეთ გასვლა არ შეიძლება, რომ არაფერი გადაგდოთ.

პატმა ჯერ დას შეხედა უნდობლად, მერე — მე. კარიდან წამლები დავანახე. მიხვდა, რომ მართლაც ასე იყო, და სიცილი დაიწყო, იცინოდა და იცინოდა, სანამ ცრემლი არ წასკდა და მწარე ხველება არ აუვარდა, ისე, რომ მედდამ მიირბინა და ხელი შეაშველა.

— ღმერთო ჩემო, საყვარელო, — ჩურჩულებდა პატი, — მეტისმეტად სასაცილოა. და რა ამაყად გამოიყურები!

მთელი საღამო მხიარულად იყო. ცხადია, მარტო არ დავტოვე, სქელი პალტოთი, ყელზე მოხვეული შარფით შუაღამემდე აივანზე ვიჯექი, ცალ ხელში — სიგარეტით, მეორე ხელში — ჭიქით, ფე-

ხებთან ჩადგმული კონიაკის ბოთლით, და ჩემი ცხოვრების ამ-ბებს ვუყვებოდი. კვლავ და კვლავ ჩუმი, ჩიტის სიცილი მაწყვეტი-ნებდა და მეც ვიტყუებოდი, რაც ძალა და ღონე მქონდა, ოღონდ კი მის სახეზე სიცილი დამენახა. ბედნიერი ვიყავი, რომ ძაღლი-ვით ვახველებდი. მთელი ბოთლი ჩავცალე და დილით ჯან-მრთელმა გავიღვიძე.

ისევ თბილმა ქარმა დაუბერა. ქარი ფანჯრებს ანჯღრევდა, ღრუბლები დაბლა დაეკიდა, თოვლმა ძალა მოიკრიბა და ღამღა-მობით გუგუნებდა, და ავადმყოფები, გაღიზიანებულები და უძი-ლოები, იწვნენ და ყურს უგდებდნენ. ქარისგან დაცულ ფერდო-ბებზე კროკუსები აყვავდა, და ქუჩაში, მარხილებთან ერთად, პირველი მაღალბორბლიანი ეტლებიც გამოჩნდა. — პატი სულ უფრო სუსტდებოდა. საერთოდ ვეღარ დგებოდა. ღამღამობით ხშირად შეტევები მოსდიოდა და იხრჩობოდა. ასეთ დროს სიკ-ვდილის შიშისგან ნაცრისფერი ედებოდა ხოლმე. მისი სველი, უძლური ხელები მეკავა.

— ოღონდ ეს საათი გამაძლებინა! — იხრჩობოდა პატი, — ეს ერ-თი საათი, რობი. ამ დროს კვდებიან...

ღამესა და დილას შორის ბოლო საათისა ეშინოდა ეგონა, რომ ღამის დასრულებასთან ერთად სიცოცხლის იდუმალი ნაკა-დი სუსტდებოდა და თითქმის წყდებოდა. მხოლოდ ამ საათის ეში-ნოდა და მარტო დარჩენა არ უნდოდა. სხვა დროს ისეთი მამაცი იყო, კრიჭა მეკვროდა ხოლმე. ჩემი ლოგინი მის ოთახში დავად-გმევინე. როცა იღვიძებდა და თვალებში ის დაბნეული მუდარა ჩაუდგებოდა ხოლმე, მის თავთით ვჯდებოდი. ხშირად ვფიქრობ-დი ჩემს ჩემოდანში დამალულ მორფის ამპულებზე და ამას და-უფიქრებლადაც ვიზამდი, ყოველი ახალი დღე ასე რომ არ გახა-რებოდა.

სასთუმალთან ვეჯექი და ვყვებოდი, რაც კი თავში მომდიოდა.

მისთვის ბევრი ლაპარაკი არ შეიძლებოდა და სიამოვნებით მისმენდა, როცა ვუყვებოდი, თავს რა გადამხდენოდა. ყველაზე მეტად ჩემი სკოლის დროინდელი ამბები მოსწონდა და ზოგჯერ, შეტევის მერე, ჯერაც ფერმიხდილი და დალეწილი რომ იყო ბალიშებზე მისვენებული, ისევ მთხოვდა, რომელიმე ჩემი მასწავლებლისთვის მიმებაძა. ხელებს ვიქნევდი, ცხვირს ვაქსუტუნებდი, წარმოსახვით წითელ წვერზე ხელს ვისვამდი, ოთახში დავიარებოდი და ჭრიალა ხმით კათედრიდან გაგონილ მარგალიტებს ვაბნევდი. ყოველდღე ახალ-ახალს ვიგონებდი, და ნელ-ნელა პატმა ჩვენი კლასის ყველა ჯიბგირი და ბრიყვი და მასწავლებლების გამმწარებელი საუკეთესოდ გაიცნო. ერთხელ ღამის მედდაც მოვიდა, ჩვენი რექტორის ბანის გუგუნით მონუსხული, და პატის გულის გასახარად კარგა ხანს ვუხსნიდი, რომ შუაღამისას ოთახში მოსასხამითა და ჩაჩით კი დავრბივარ, მაგრამ არ გავგიჟებულვარ, უბრალოდ, ვინმე კარლ ოსეგეს საშინლად ვტუქსავ, იმიტომ რომ იმან უჩუმრად, კათედრა მოხერხა.

ნელ-ნელა ფანჯარაში დღის შუქი შემოდიოდა. მთების კალთები ორლესულ, შავ სილუეტებად იქცეოდა. მათ თავზე ცივი და ფერმკრთალი ცა უკან დახევას იწყებდა. ღამის ნათურა ფერს კარგავდა, ყვითლდებოდა და პატი ნოტიო სახეს ხელებზე მადებდა.

— დამთავრდა, რობი. ახლა კიდევ ერთი დღე მერგება.

ანტონიომ რადიომიმღები მომიტანა. სათითაოდ ყველა მავთულს და გათბობის მილს მივაერთე და საღამოს პატთან გამოვცადე. წიოდა და ყიყინებდა, მერე კი შრიალიდან უცებ ნაზი, ნათელი მუსიკა მოისმა. — ეს რა არის, საყვარელო? — მკითხა პატმა.

— ანტონიომ რადიოჟურნალიც გამომატანა. გადავშალე.

— მე მგონი, რომია.

აი, გამომცხადებელი ქალის დაბალი, ფოლადივით ხმაც გაისმა „Radio Roma... Napoli... Firenze...“

ისევ დავატრიალე. საფორტეპიანო სოლო.

— აქ ჩახედვაც არ მჭირდება, — ვთქვი მე, — ბეთჰოვენის ვალდშტაინის სონატაა. ოდესღაც მეც ვუკრავდი, იმ დროს, როცა ჯერ კიდევ მეგონა, რომ ოდესმე მასწავლებელი, პროფესორი ან კომპოზიტორი გამოვიდოდი. ახლა, უკვე რა ხანია, ვეღარ ვუკრავ. აჯობებს, გავაგრძელოთ. მაინცდამაინც კარგი მოგონებები არაა.

— თბილი ალტი, ძალიან ჩუმი და შემპარავი. „Parlez-moi d'amour“ — „პარიზია, პატ“.

მოხსენება ფილოქსერას დამარცხების შესახებ. ტრიალი განვაგრძე. რეკლამა. კვარტეტი.

— ეს რა არის? — მკითხა პატმა.

წავიკითხე:

— პრაღა, სიმებიანი კვარტეტი ოპუსი 59, 2, ბეთჰოვენი.

ფრაზის დასრულება ვაცადე, მერე ტრიალი განვაგრძე, და უცებ — ვიოლინო, ჯადოსნური ვიოლინო.

— ეს ბუდაპეშტი იქნება, პატ. ბოშების მუსიკა.

სკალაზე გავასწორე. მელოდიამ, ციმბალების, ვიოლინოების და სალამურების ორკესტრის თანხლებით, ოთახი გაავსო.

— დიდებულია, არა, პატ?

დუმდა. მოვტრიალდი. ფართოდ გახელილი თვალებით ტიროდა. რადიო უცებ გამოვრთე.

— რა მოხდა, პატ?

ხელი თხელ მხრებზე მოვხვიე.

— არაფერი, რობი. სულელურად მომდის. უბრალოდ, რომ მესმის, პარიზი, რომი, ბუდაპეშტი... ღმერთო ჩემო, მე კი ისიც გამიხარდებოდა ქვემოთ, სოფელში რომ შემეძლოს ჩასვლა.

— კი მაგრამ, პატ...

ყველაფერი ვუთხარი, რისი თქმაც შემეძლო, ოღონდ ამაზე არ

ეფიქრა, მაგრამ მან თავი გააქნია.

— არ ვდარდობ, საყვარელო. ეგ არ გეგონოს. თუ ვტირი, კი არ ვდარდობ. მომივლის ხოლმე, მაგრამ დიდი ხნით არა. მეტისმეტად ბევრს ვფიქრობ.

— რაზე ფიქრობ? — ვკითხე და თმაზე ვაკოცე.

— ერთადერთ რამეზე, რაზეც ფიქრი შემიძლია... სიცოცხლეზე და სიკვდილზე. მერე, როცა დარდი მომაწვება ხოლმე და აღარაფერი მესმის, საკუთარ თავს ვეუბნები, რომ უკეთესია, მაშინ მოკვდე, როცა სიცოცხლე გინდა, ვიდრე მოკვდე და სიკვდილი გინდოდეს. შენ როგორ ფიქრობ? — არ ვიცი.

— ასეა. — თავი ჩემს მხარს მიაყრდნო, — როცა სიცოცხლე გინდა, რაღაც დაგრჩენია, რაც გიყვარს. უფრო ძნელია, მაგრამ უფრო ადვილიც. აი, ნახე, ისედაც ხომ უნდა მოვმკვდარიყავი, და ახლა კი მადლობელი ვარ, რომ შენ მყავდი. ხომ შეიძლება, მარტო და უბედური ვყოფილიყავი. მაშინ სიამოვნებით მოვკვდებოდი. ახლა მიმძიმს; სამაგიეროდ, სიყვარულით ვარ სავსე, როგორც ფუტკარი — თაფლით, როცა საღამოს სკას უბრუნდება. არჩევანი რომ მქონოდა... ამ ორიდან ისევ ამას ავირჩევდი. მიყურებდა.

— პატ, — ვუთხარი მე, — მესამეც ხომ არსებობს... თბილი ქარი რომ ჩადგება, მომჯობინდები და აქედან წავალთ.

კვლავ გამომცდელად მიყურებდა.

— შენ გამო მეშინია, რობი. შენ ჩემზე ბევრად მეტად გიჭირს — ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, — ვუთხარი მე.

— მხოლოდ იმიტომ გითხარი, რომ არ გეგონოს, თითქოს დარდი მქონოდეს, — მომიგო მან.

— მეც არა მგონია, რომ დარდიანი იყო.

ხელი მკლავზე დამადო.

— ბოშებს აღარ დააკვრევინებ?

— მოუსმენდი?

— კი, საყვარელო.

რადიო ისევ ჩავრთე და ჩუმად, მერე — სულ უფრო სავსედ, ოთახში ვიოლინოს და სალამურების ხმა და ციმბალების მოგუდული არპეჯიოები დაიძრა.

— კარგია, — თქვა პატმა, — ქარივითაა. ქარი, რომელიც წაგიღებს. კონცერტი ბუდაპეშტში, ბაღის რესტორანში იმართებოდა მუსიკის ჩურჩულში ხანდახან სტუმრების საუბარი ისმოდა, დროდადრო ვიღაცა — წკრიალა ხმით, მხიარულად შესძახებდა ხოლმე.

— შეგეძლო, „გეფიქრა, რომ მარგარიტას კუნძულზე, წაბლის ხეებზე, უკვე პირველი ფოთლები გაშლილიყო, მთვარის შუქზე ნაცრისფრად ლიცლიცებდა და ირხეოდა, — „თითქოს ვიოლინოს ქარმა დაუბერა. იქნებ უკვე თბილი საღამო იდგა, ხალხი გარეთ იჯდა და წინ ყვითელი უნგრული ღვინით სავსე ჭიქები ედგა, თეთრკურტაკიანი მიმტანები წინ და უკან დარბოდნენ; ბოშები — უკრავდნენ, მერე კი, გაზაფხულის ბინდ-ბუნდში, შინისკენ დაღლილები — გაეშურებოდნენ. პატი კი იწვა და იღიმებოდა და ამ ოთახიდან აღარასოდეს გამოვიდოდა, ამ ლოგინიდან აღარასოდეს ადგებოდა.

— მერე, უცებ, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა სახე ჩამოუდნა ყვრიმალები წინ წამოეწია და საფეთქლებთან შუბლის ძვლები გამოუჩნდა. მკლავები ბავშვის მკლავებივით წვრილი ჰქონდა, კანქვეშ ნეკნები მოუჩანდა, და სიცხე კვლავ და კვლავ უტევდა მის გალეულ სხეულს. მოწყალების დამ ჟანგბადის ბალონები მოიტანა, ექიმი კი საათში ერთხელ მოდიოდა.

ერთ საღამოს სიცხე, გაუგებარი მიზეზის გამო, უცებ დაუვარდა. პატი გამოფხიზლდა და დიდხანს მიყურა, მერე წამჩურჩულა — სარკე მომეცი.

— სარკე რად გინდა? — ვუთხარი მე, — დაისვენე, პატ. მე მგონი, გამოძვერი. სიცხე აღარ გაქვს.

— არა, — წამჩურჩულა ჩახლეჩილი, გამომწვარი ხმით სარკე მომეცი ლოგინს შემოვუარე, სარკე ავიღე და ძირს დავაგდე. დაიმსხვრა. — მაპატიე, — ვუთხარი მე, — რა მოუქნელი ვარ. ყველაფერი ხელიდან მივარდება და მემსხვრევა.

— ერთი სარკე ჩანთაში მიდევს, რობი.

ქრომირებული ნიკელის პატარა სარკე იყო. ხელი გადავუსვი, რომ ცოტა ჩამქრალიყო და პატს მივაწოდე მან გულდასმით გაწმინდა და დაძაბულმა ჩაიხედა.

— უნდა წახვიდე, საყვარელო, — წამჩურჩულა.

— რატომ? აღარ გიყვარვარ?

აღარ უნდა მხედავდე ეს მე აღარ ვარ.

სარკე გამოვართვი.

— ეს ლითონის ნივთები არაფრად ვარგა, პატ. შემომხედე, მე რას ვგავარ შიგ არეკლილი. ფერმიხდილი და გამხდარი ამ დროს ხომ გარუჯული და ჯანმრთელი ვარ. მთლიანად დატალღულია ეს შენი სარკე, — სხვანაირი უნდა გახსოვდე, — ჩურჩულებდა პატი, — წადი საყვარელო. მარტოც ჩავამთავრებ.

დავამშვიდე. ისევ სარკე და თავისი ჩანთა მომთხოვა მერე პუდრი წაისვა საბრალო, ღონემიხდილ სახეზე, დახეთქილ ტუჩებზე, თვალებ ქვეშ ჩაწოლილ მძიმე, ყავისფერ ჩრდილებზე.

— ვითომ ესეც რამეა, საყვარელო, — მითხრა და გაღიმებას ეცადა, უშნოს არ უნდა მიყურებდე.

— რაც გინდა, ის ქენი, — ვუთხარი მე, — შენ უშნო არასოდეს იქნები. ჩემთვის შენ ყველაზე ლამაზი ქალი ხარ, უფრო ლამაზი არავინ მინახავს.

სარკე და საპუდრე გადავდე და ხელები თავზე ფრთხილად შემოვაწყვე. ცოტა ხანში შფოთვა დაიწყო.

— რა იყო, პატ? — ვკითხე მე.

— რა ხმამაღლა წიკწიკებს დაიჩურჩულა მან.

— რა? საათი? — თავი დამიქნია.

— ისე გუგუნებს...

საათი მაჯიდან მოვიხსენი წამების ისარს შეშინებულმა დახედა — მოაშორე...

საათი ავიღე და კედელს მივახალე.

— მორჩა, აღარ წიკწიკებს. ახლა დრო გაჩერდა. გავწყვიტეთ. მხოლოდ ჩვენ ორნი დავრჩით, მხოლოდ ჩვენ, შენ და მე, და მეტი არავინაა მიყურებდა. ძალიან დიდი თვალები ჰქონდა.

— საყვარელო... — ჩურჩულებდა.

მის მზერას ვერ ვუძლებდი. შორიდან მოდიოდა და ჩემი გავლით სადღაც იყურებოდა — შე ძველო, — ვლუღლუღებდი — ჩემო საყვარელო მამაცო, შე ძველო.

ღამის ბოლო წამს მოკვდა სანამ დილა დადგებოდა მძიმედ და ტანჯვით მოკვდა და ვერავინ შველოდა. ჩემი ხელი ეჭირა, მაგრამ აღარ იცოდა, რომ მასთან ვიყავი. მერე ვიღაცამ თქვა.

— გარდაიცვალა...

— არა, — ვუთხარი მე, — ჯერ არ გარდაცვლილა ჩემი ხელი უჭირავს...

შუქი. აუტანელი, მკვეთრი შუქი. ადამიანები ექიმი. ხელი ნელა გავხსენი. პატის ხელი ჩამოვარდა. სისხლი. დამანჭული, გაგუდული სახე ტანჯვით სავსე, გაშტერებული თვალები. ყავისფერი, აბრეშუმივით თმა.

— პატ, — ვთქვი მე, — პატ!

და პირველად მოხდა ისე, რომ არ მიპასუხა.

— მარტო დამტოვეთ, — ვთქვი მე.

— ჯერ არ... — თქვა ვიღაცამ.

— არა, — ვთქვი მე, — გადით. ხელი არ ახლოთ მერე სისხლი მოვბანე. გახევებული ვიყავი. თმა დავვარცხნე გაცივდა. ჩემს ლოგინში ჩავაწვინე და საბნები გადავაფარე. სასთუმალთან დავჯექი და ვერაფერზე ვიფიქრე. სკამზე ვიჯექი და მივშტერებოდი

ძაღლი შემოვიდა და ჩემთან ჩამოჯდა. ვხედავდი, პატს სახე რო-გორ შეეცვალა. ვერაფერს ვშვრებოდი, ვიჯექი ასე, ცარიელი და ვუყურებდი.

მერე გათენდა და ის აღარ იყო.